

1969



საქართველოს
რესპუბლიკის
ქვეყნური ბიბლიოთეკა

ბუნების

6

1969

ენათობი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური პარტიის
და საზოგადოებრივი კოლექტიური შრომის

წელიწადი 45-ე

№ 6

ივნისი, 1969 წ.

საქართველოს საზოგადოებრივი კავშირის ორგანო

შინაირი

| | |
|--|----|
| ირაკლი აბაშიძე — ლექსები | 3 |
| ლადო მამულაშვილი — საბავშვო, რომანი, წიგნი მეორე | 5 |
| იოსებ ნუნუაშვილი — ლექსები | 35 |
| გიორგი ხვადაჭავლი — საინტელექტუალური შემთხვევა, ფონტური ცხოვრება | 37 |
| ზაქარია შარაზაძე — ბარათუნა... ნიკოლოზი... — ლექსი | 53 |
| მამულიანი ქარაიანი — ლექსები | 54 |
| ოთარ ჩხეიძე — შავი ჯოჯი, წიგნი სოფლის ეტიუდებიდან | 55 |
| როდამ ჩაჩანიძე — ინფილი, მოთხრობა | 62 |
| მირიან ხარაიანი — მთების სიმღერა, მოთხრობა | 72 |

100 ჰ. ი. ლენინი 100

| | |
|--|----|
| სიმონ აკვიალაძე — ლენინი საზღვარგარეთულ დემოკრატიულ კონგრესში | 80 |
| რ. შამულაშვილი — ჰ. ი. ლენინის შემადგენლობის ენათმეცნიერების ჯგუფისათვის | 86 |

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

| | |
|---|-----|
| ზ. ბაგრატიანი — აკისის თავისუფლების პროკლამაციისათვის | 91 |
| გივი ვარდუაშვილი — კრიტიკა — მიხროსული, შთაბრძნობები, დაგვიწყობი-რებალი | 102 |
| თენგიზ ვიკოლაძე — კრიტიკა თუ... | 112 |
| ჯუჯუაძე ვუჯუაძე — ნიკოლოზ ბარათუნაშვილი და 60-იანი წლების ქართული კრიტიკა | |



საქართველოს კომუნისტური პარტიის გამომცემლობა



| | |
|--|-----|
| აპაკი გაქრამე — გვიროზის აკოლოგია | 126 |
| რეზან მდებარეობა — „ციხის“ კომბლური მონაგალი | 130 |
| ვიოზი შალამბარიძე — ზასათვალისწინებელი შინაგონი | 143 |
| მთებან ვარჯანაძე — აპაკი წამითელი თარგანის შესახებ | 147 |
| რუსულან კუსარაშვილი — ზალატიონი შემოქმედისა და შემოქმედების სახე | 152 |
| წ. მებელიშვილი — ურისის აღმინებელი შემოქმედება | 157 |

ნ ა რ კ ვ ე ვ ი

| | |
|---|-----|
| სიმონ წამბა — ასანელი კალიშვილი | 166 |
| განტონ გუაჩიძე — შრანგული ჩანაწერები (ვაგრტელება) | 178 |

წიგნების მიმოხილვა

| | |
|---|-----|
| შალვა გოგალიშვილი — „ლიტერატურული წერილები“ | 189 |
|---|-----|

მთავარი რედაქტორი ელგუჯა მაღრაძე

ს ა რ ე დ ა ქ ტ ო რ კ ო ლ ე გ ი ა :

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ძღენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ქილაძე, რ. ჯაფარიძე, ვ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ჩაყვითაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 18.

გადაცემა ასაწუობად 28/IV-69 წ. ხელმოწერილი დასაბეჭდად 10/VI-69 წ. ქალაქის ფორმატი 70x108^{1/16} ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. ტე 02215 ტირაჟი 11.000. შეკვ. №1350

ბალეშონი: რედაქტორის — 98-55-11, პ/მგ. მდივნის — 98-55-13, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

საქ. კვ ც-ის გამომცემლობის სტამბა თბილისი, ლენინის ქ. № 14.



სიხოცხლე ჩვენს ადანებაზე

(ომისდროინდელი)

მოზდოკის,
ვლადიკავკაეის,
მრისხანე ლამე ყირიმის...
ზეცაზე ბევრი ვარსკვლავი, —
ერთი ნახტომი ირემის;
წვრილი ვარსკვლავი ზეცაზე,
მიწაზე ლამის უკუნი;
შავ ზღვიდან ყინულეთამდე
გაბზული ომის გუგუნი.

აქეთ მტრის ხელი მოიწვეს,
იქით მტერს მისდევს მღვფარი.
ზეცა ჩამოაქვს გრიგალებს,
მიწას ზეცაში იტაცებს...
ვაჰ, თუ ზის იმ წვრილ ვარსკვლავზე
და გვარკვევს მათი შეკვლევარი:
— არის თუ არა სიცოცხლე პლანეტა
„დედამიწაზე“?

პაზარებს

არ მოიშალო ცოცხალი თავით,
რაც გინდ გაძნელდეს,
რაც გინდ გაჭირდეს:
ყველა „მანქანის“ დაშალე „ძრავი“,
შენს სათამაშოს ყველას ჩაჭვრიტე;

იმ საიდუმლოს ესწრაფე ნახვას;
დაშალე, დახსენ,
მიჰყარ —

მოჰყარე,
მოვა და ვინმე ააწყობს ახლად, —
შენ იყავ მხნე და ცნობისმოყვარე.

მერე კი,
როცა გახდები კაცი,
(ვინძლო ეს ბედი ცამ დაგაცალოს)
მაგ შენის ღინით
კაცს სულში ჩაწვდი, —
მაგრამ არასდროს ის არ დაშალო.



ყ ა ბ ა ხ ი

რ მ ა ნ ი

წიგნი მეორე

თავი პირველი

1

ჭრელი ბრბო ზიმზიმებდა ეკლესიის
გალავანში და გალავნის გარეთ.

ჩამავალი მზის ძალადაცლილი სხი-
ვები ღიმღამობდნენ ფიჩხის ქოხმახებსა
და ჩალიხულ ურემთა წყებებში. მომ-
ძლავრებული ნიავე მიწაზე აწვეენდა კო-
ცონთა კვამლს. ერთმანეთში ურევდა
ზურნის ჭყვიტინს, დოლის ბაგუნსა და
გარმონის წიკვინს. ყიოდნენ გადამ-
თვრალი მედღეობენი და ნახევრადშე-
ლილ საცეკვაო წრეში უაზროდ ბობლი-
ნებდნენ. საუკუნო მეგობრობის ფიცს
ტლოშნით ამტკიცებდნენ სახიწყლე
ფარდულებთან მოლაშლაშენი. აქა-იქ
მოკლედ გაისმოდა ცხერის მოგუდუ-
ლი შებღავლება. შხივილით ესხმებოდა
ცხელი სისხლი გრილ მიწას და თუხ-
თუხებდნენ საძროხე ქვაბები. გულის-
გამლევაღ ჩხაკუნობდა ფანდური. შუ-
შხუნა მაჭრით დაბერილი დედაკაცები
წარმართებივით ძუნძულებდნენ ქვაბ-
თა გარშემო და ამაზრზენი შეკვივლე-
ბით ადიდებდნენ ალავეკდს. მუხლზე
დაცემული დედაბრები, სასოებით თავ-
ჩაქინდრულნი დაბობდავდნენ საყდრის
ირგვლივ. მათ უკან რქებში ხელჩაეღუ-

ბულ ქედლიებს მიათრევდნენ მღუმა-
რე მოხუცნი. რიგრიგობით კოცნიდნენ
ცივ ფილაქანს თეთრთავსაფრიანი მო-
ნები.

კვიპაროსებს იქით უზარმაზარი,
წრე შეკრულიყო. ზურნა საჭიდაოს
უკრავდა. გამაღიზიანებლად გუგუნებ-
და დოლი. წრეს თანდათან ემატებოდა
ხალხი. ხანდახან შუაგულიდან ოხვრა
და ყიყინა ამოვარდებოდა. საერთო ბუ-
ბუნში დროდადრო გამოაღწევდა:

— იყალთოდან შიშმანაშვილი. ჯოყო-
ლოდან ბორჩაშვილი. შენ დაუქარ!

და გასკდომამდე ბერავდნენ ლოყებს
მეზურნეები.

უეცრად ხმა გავარდა: ბაკურაძე ქი-
დაობსო!

ახალგაზრდობა კვიპაროსების მწკრი-
ვისაკენ დაიძრა.

დიდი საცდური იყო ეს გვარი მამა-
თა სქესისათვის და ბერიკაცებმაც კი
ზარხოშიანი ღიმილით მიატოვეს მსუ-
ყე სუფრები.

და მთელი ხალხი საჭიდაოს მიეზ-
ღევა. ვინც ცოცხალ გალავანში ვერ
შეაღწია, კვიპაროსებს ეცა.

წრეში ვილაც ახმახი დადიოდა, ხალხს მკერდზე აწებოდა და ხრინწიანი ხმით უყვიროდა:

— დაიწით! დაიწით!

მაგრამ ძალა აღმართს ხნავდა, წუთით უკან დახეულნი ისევ წინ მიიწევენ.

მაშინ ახმახმა საიდანღაც სახრე გამოატყვინა. სასწრაფოდ დაურბინა და ხალხს ფეხის წვერებში დაუშინა.

ახლა კი იკადრეს უკან დახევა მეწინაელებმა.

მეზურნეთა გვერდით თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული, სარკენად გამზადებული ბაკურაძე იდგა. ცალი ხელით დოინჯი შემოედგა, ქედრ ოდნავ მოედრია და მოპირდაპირეს დიდსულოვნად ელოდებოდა. მოპირდაპირეც მალე გამოჩნდა და მიაყურებლებმა მაშინვე იცნეს ჭალისპირელი გოლიათი. ამან კი მოლოდინს გადააჭარბა. უკეთეს სანახავს ალავერდობა ვერც მოიტანდა!

ბაკურაძე კარგად იცნობდა ზაქროს. დიდ პატივს სცემდა და ყოველთვის ინატრებდა სხვა ადგილას, უფრო დიდ ხალხიანზე შეხვედროდა. მაგრამ ჭალისპირელი ბიჭები შეუჩინდნენ, აღარ მისცეს საშველი და თავის ძმაკაცებსაც ველარ უთხრა უარი. მეგობრები მას ისე იცნობდნენ: გაგიჟებულ კამეჩსაც არ მოერიდებოდა.

ზაქრომ ფეხსაცმელები გაიხადა და ხასხასა მოლი წინდიანი ფეხით მოსინჯა. ვალერიანი დიდი გულისყურით არტყამდა წელზე ქამარს. ვარლამი დინჯად უსწორებდა ჩოხის კალთებს.

ზურნა გაჩუმდა.

ხალხი გაიტრუნა.

მედოლის წინ მდგარი ახმახი ბაკურაძეს მიუახლოვდა.

ვერაეინ მიხვდა რაზე ეჩურჩულა. მერე მაჯაში ხელი ჩაავლო, მარჯვენა მკლავი ზევით აუწია და მეგაფონივით დაივრგვინა:

— ჭიდაობენ: ჩაბინიანიდან — ბაკურაძე! საქართველოს ფალავანი, აბსოლუტური ჩემპიონი ქართულ ჭიდაობა-

ში, სპორტის ოსტატი, ახმეტის რაიონი!

მერე საჭიდაო წრე გადასჭრა და ახლა ზაქროს ამოუდგა გვერდით.

— ჭალისპირიდან, ზაალიშვილი! გაქვს რამე წოდება?

ზაქრომ ხელი ჩაიქნია.

— რაც თქვი, ეგეც საკმარისია.

„არბიტრმა“ უკმაყოფილოდ შეხედა და დამთავრა:

— თელავის რაიონი! შენ დაუქარ!

აზუზუნდა პირველი ზურნა, აკიჟყინდა მეორე. დოღმა დიბაგუნა და იქ მყოფთა გულებიც ააბაგუნა.

სისხლმა ჩუხჩუხი დაიწყო.

აჩქაროდნენ ძარღვები.

ამაგაგდნენ კუნთები და მოჭიდავენი ერთმანეთისაკენ დაიძრნენ.

დაზვევრა სწრაფი იყო და მალეც დამთავრდა.

ჩემპიონმა მარცხენა ხელით ჩოხის ორივე სახელო დაიფარა და მარჯვენით მოახერხა მოწინააღმდეგის ჩოხას მისწვდნოდა.

ელვისებური იყო შუა სარმა. მიაყურებლებმა მხოლოდ ჰაერში შებრუნებულ გოლიათს მოჰკრეს თვალი და ჭალისპირელმა მარჯვენა ბეჭი დაჰკრა მოლს.

— აუუუ! — დაიბღავლეს ჩაბინიანელებმა და ფალავანის ძმაკაცებმა.

წააქცია, წააქცია!

— არ არი, არ არი!

— აღარ ეჭიდო, ბაკურაძე!

— არ არი! მხოლოდ ცალი ბეჭი დადო!

— ბაკურაძეს გაუმარჯოს!

— არ წაქცეულა, ჩაბინიანელებო, თქვენი...

— ვაშა! გამოდი წრიდან. ბაკურაძე!

მაგრამ ბაკურაძე წრიდან არ გასულა. ზეიმი ნაადრევი იყო. მან იცოდა, რომ ზაალიშვილის წაქცევა აგრე აღვილი არ იყო.

ზამპარასავით წამოვარდა ზაქრო მიწიდან.

კარგა ხანს უვლიდნენ ირგვლივ ერთ-

მანეთს. ქულა მოიგო და ფრთხილობდა ბაქურაძე.

და წუთით გაქვედა საჭიდაო...

წელანდელი ხერხითვე დასცა ძირს ზაქრომ ფალავანი და გვერდზე გახტა. ახლა ქალისპირელების ღრიალის ჯერი დადგა.

ბრძოლა თანდათან მწყვედებოდა. აქამდე ფრთხილი და დაკვირვებული მეტოქენი მეტისმეტად გაფიცდნენ. ფანდი ფანდს სცვლიდა, ილეთი — ილეთს, სარმა სარმას ენაცვლებოდა, მაგრამ ჭიდაობას დასასრული არ უჩანდა: გადალაჯება გამოთვლილი იყო, ნახტომი მოზომილი, ფარვა და იერიში თითქმის მილიმეტრებამდე გაანგარიშებული.

დაღლილი მორკენალნი ერთმანეთს ჩაიციებოთ უთვალთვალეზდნენ. ცდილობდნენ, ერთმანეთის ყურადღების მოღუწებნას.

პირველად ბერიკაცები აყვირდნენ:

— კარგით, გააშველეთ, ხომ არ უნდა დაახოციხოთ ერთმანეთი, კაცო!

— გააშველეთ, ორივე კაი ბიჭია! ახმახმა თავისი სახრე დაატრიალა და წრეს დაურბინა შიგნიდან.

— დაიწით, უკან დაიწით! თქვენ ვინა გკითხავთ გაშველებას?

— დაასვენეთ მაინც, ქარი ამოიღონ, ვერ ხედავთ, ოფლი ღვართქათად გასლით?

მაგრამ მოჭიდავენი არ ისვენებდნენ. და გარს მოჭარულეებმა იგრძნეს, რომ მოსახდენი უნდა მომხდარიყო.

უეცრად ბაქურაძემ შეამჩნია, რომ ქალისპირელს ჩოხის სახელო ამოეჩაჩა. ზაქროს მოწინააღმდეგის თვალების ეღვაზე იგრძნო სუსტი ადგილი და უმაღლვე გაისწორა, მაგრამ გვიანდა იყო. მოპირდაპირემ ისარგებლა ამ შეცდომით. სახელო ხელში მოიგდო, წამიც და... უეჭველად კისრულზე წამოვიდოდა ჩემპიონობის მაძიებელი.

მაგრამ ბაქურაძემ სწრაფად უშვა ჩოხას ხელი, განზე გახტა, დოინჯი შემოიდგა და დრო მისცა ხალხს აღტაცებულიყო. შემდეგ მივიდა, მეტოქეს

ქამარი უკეთ შემოარტყა, ჩოხის კალთებიც თავისივე ხელით გაუსწორა და ისევ განზე გადგა.

სიმწრის ცრემლები მოადგა ზაქროს თვალეზზე. ვეება ხოროხი აუთრთოლდა და ცრემლები უკანვე გადაეყლაპა:

ეს იცოდა ბაქურაძემ: თუ ფიზიკურად ვერა, მორალურად გასტეხდა მოწინააღმდეგეს. მაყურებელი ტაშს უკრავდა დიდსულოვან ვაჟაკს და მთელი სიმბათიაც მისკენ ვადადიოდა.

განა ხალხი ხვდებოდა, რომ ეშმაკი ჩემპიონი ამ ხერხს იმ დროს მიმართავდა, როდესაც დარწმუნებული იყო ილეთი არ გაუმართლდებოდა?

კისრულის საწინააღმდეგო ბრწყინვალე ფანდს ფლობდა ქალისპირელი. და ამას წამის მეთაუდებში აკეთებდა: მარცხენა ფეხის ქუსლს მარცხენავე ფეხის წვივზე მოსდებდა, ერთმანეთში ჩახლართულ ხელებს კეფაზე მიბაჯენდა და პირქვე დაცემულ მეტოქეს ზევიდან თვითონ დაეცემოდა. შავი დღე ადგა მოიერიშის ცხვირს მაშინ!

ეს ამბავი ბაქურაძემაც კარგად იცოდა და ამიტომ ორი კურდღელი ერთად მოკლა.

მცირე ხნის უნებურმა შესვენებამ მოჭიდავეებს წუთით სული მოათქმევინა. ახლა უფრო გააფთრებული გახდა იერიშები. ხალხს გული გადაელია. მაგრამ ჩუჩუნიც არ გაუღია. ალღოთი მიხვდა, რომ სულ მოკლე დროში რაღაც უნდა მომხდარიყო. ასეთი რამ მხოლოდ ბრძოლის ბოლო წუთებში ცნაურდება.

და, აჰა, ჩემპიონმა ცალი ხელით შუბლზე ოფლი იმ დროს მოიწმინდა, როცა მეტოქე ერთი მკლავის გაშლაზე იყო. მხოლოდ თვალის დახამხამება კმაროდა, რომ ბაქურაძის ბუკი ზაალიშვილის ილღის ქვეშ მოჭეულიყო. ზაქრომ ქალისპირული „უკუღმართი“ დაახვია მარცხენა ფეხზე და იგრძნო ზურნამ როგორ აუწია ხმას. დოლი გამაყრუებლად აბაგუნდა. გაისმა აქაიქ წამაჭებელი და ბოლმიანი შეძა-

ხილები. და უცებ შეიცნო: ან ახლა, ან ვერასოდეს!

მაგრამ ბაკურაძე არ შემდრკალა. ძალოვანი მკლავები წელზე მოხვია მოწინააღმდეგეს და ხელში ბავშვივით აიყვანა. შემდეგ დრო შეურჩია, მომავლდინებელ სარმას ფეხი ოსტატურად გამოაცალა და ძირს დაიქნია.

და მას შემდეგ, რაც ჭიდაობდა, ყველაზე საბედისწერო შეცდომა აქ დაუშვა:

ლონიერ დაქვევებზე ზაქრომ მარცხენით ოდნავ ჩაიმუხლა, მარჯვენით კი გარეკავური მოსდო საკეცში. ეს იყო უსწრაფესი და მოულოდნელი ილეთი, რომელიც ოდესმე მოჭიდავეს შეუსრულებია.

ჩემპიონმა იგრძნო საშიშროება და მთელი ძალ-ლონით შეეცადა თეძომდე არ მიეშვა. იცოდა: თუ თეძომდე მივიდოდა, გათავებული იყო, მერე თუნდაც ალავერდის ტაძარი მოგეციდებიანთ ჭალისპირელისათვის, მაინც გადაიტანდა.

მოჭიდავენი უკანასკნელ ძალებს ხარჯავდნენ, ფეხის ფრჩხილები მიწაში ესობოდნენ, კუნთები წარმოუდგენელი ძალით იკუმშებოდნენ, ძარღვები დაძაბულობისაგან სკლებოდნენ და ბუდიდან გადმოცეცნილი თვალეები ბოროტად ელავდნენ.

გაუჭირდა პირველ ზურნას, გაუჭირდა მეორესაც. დოღს ხმა ჩაუწყდა და უკმაყოფილოდ აბუზღუნდა. ერთხანს მათი უნიათო ზუზუნ-წუწუნი ისმოდა. მაგრამ როდესაც ჭალისპირელის განიერი თეძო ჩაბინანელის ვიწრო მუცელქვეშ გოჯ-გოჯობით შეცურდა, ნელ-ნელა კვლავ ამოიდგეს ენა და ხმასაც აუწიეს.

უეცრად აზვავდა პირველი ზურნა, ყივინა დასცა მეორემ, დაიჭექა დოღმა, დაიღმუვლა საჭიდაომ და მერე მოსხლეტით ჩაკვდა იქაურობა...

და არც ვისმე ახსოვს, პირველად როგორ დაიწყო ყველაფერი....

წრიდან ჩასაბერმა გამოაღწია და გალავანს ვარეთ ღრიალით გავარდა.

— არიქათ, ბიჭებო, ჭალისპირელებს სცემენ ჩაბინანელები ადამიანებზე! ვალერიანი მოკლეს! ვახტანგს ყმა მოამტერიეს, მახარეს თავი გაუტეხეს, სერგოს ყური ჩამოაგლიჯეს!.. ზაქროს ხუთი კაცი ახვევია, ჩქარა ბიჭებო! — და ენაგადმოგდებული ხოდაშნის რიყესთან მივარდა.

რიყესთან ცხენის ურემია გამოშვებული. ზედ ქვესი თუ შვიდი ძუა — გამოკვანძული ცხენია გამობმული. ურმის ხელნებზე და ხელნების წინ დაყრილ ქვებზე შვიდიოდე კაცი ჩამოსხდარა. მძივით ნაქარგ ქუდიანები და ძირს ჩამოფართხულ. გამკვერტლულ ულვაშიანნი. ურმის კოფოზე, „საფიხნოს თავში“ მჯდარ ხმალ-ხანჯლიანს მუხლზე ტიკი ჩამოუდვია, პანტის არაყს ასხამს და თოთიებმა და აბიკებს აწვდის.

მოვარდნილი ბიჭი პირველად ტიკიანმა შენიშნა.

— ჩქარა მიეშველე, შავლეგ, თორემ მოკლავენ ზაქროს! — სულს ძლივს ითქვამდა ჩასაბერი. — მე ძლივს გამოვიქეცი, სხვა ბიჭები ისევე ჩხუბობენ! არიქა, თორემ დახოცავენ!

შავლეგოს ყანწი ხელში შეაცივდა. იქ მყოფთ ახალა მიაქციეს ყურადღება გალავნის იქიდან მოდენილ ყრუ ხმაურს.

ალაყაფის კარში ხალხი გამორბოდა. შავლეგომ მუხლის თავზე გადაშლილი ბლოკნოტი და კალამი ჯიბეში იკრა. ორიოდე ყლუპით ყანწი გამოცალა, „მერიქიფეს“ ესროლა და ლოდს გადაახტა.

კოფოზე მჯდარი ჯუბიანი დევკაცი წამოდგა, თეძოზე ფრანგული მოისინჯა და ძირს ჩამოაბოტა.

— საით, ძმისწულო, მიაც მავდივარ.

წამოიშალნენ თოთიები და აბიკები. ვანიერი ტორებით მსხვილვადიანი ხანჯლის ტარები მოძებნეს ქამრებზე.

შავლეგო მობრუნდა.

— შენ არა, უნცრუავ, არც თქვენა, ვეფხვებო, ახლავე მოვალ.

უნცრუამ ლოდს გადმოაღაჯა.

— არა, ძმისწულო, თავისი თვალით უნდა შეახენო, ვინ დაგკრავს, მკვლარ-ციციანი.

მაგრამ შავლეგომ იცოდა, როგორც ხარისთვის, ისე მთვრალი ხევისურისთვის სისხლის დანახვა არ შეიძლება.

მობრუნდა და თოთიები ისევ ტიკთან მიაბრუნა.

— გუდანის ჯვრის მადლმა, უნცრუავ, ახლავე მაოლ.

როდესაც გალაგანში შევარდა, ვინ ვისა სცემდა, უკვე აღარ გაიგებოდა. სანამ ზაქრომდე მიიღწევდა, ბარე ათიოდე მუშტი მოხვდა გვერდებში. ბოლოს მიაგნო თანასოფლელს და დროულადაც. ოთხ კაცს მიემწყვდია გალაგანთან და ცდილობდნენ წაექციათ. გასავათებული მოჭიდავე სუსტადლა იგერიებდა თავდამსხმელებს.

ვილაკამ კეტი მოიტანა და თავში უსწორა.

დაკრული მიზანს ასცდა და ერთი თავისიანი იქვე გაასავსავა.

შავლეგო მისწვდა, ხელიდან წაჭგლიჯა კეტი, გალაგანს იქით ისროლა. მერე დანარჩენებიც მიყარ-მოყარა და ზაქრო ჩასაბერს გადასცა.

— საყდარში შეიყვანე და ვანკას ჩააბარე.

— რას ამბობ, კაცო, გზაში მეც მომკლავენ და ამასაც.

— ნუ გეშინია, მე თვალყურს ვადევნებ. ეს ხალხი თუ არ დავშალეთ, დახოცავენ ერთმანეთს. ნუ გრცხვენია, გაჰყე, ზაქრო, და მე უკან მოგდევთ.

საბრალო ბიჭმა ერთი სიკვდილი გაათავა. იცოდა, რომ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ფეხზე ძლივსლა იღვა დაღლილობისაგან.

უეცრად ვილაკამ შეასწრო თვალი სამეულს.

— არიქა, ბიჭებო, გააპარეს! არიქა, თორემ წაგვივიდა!

— აბა, ზაქრო, გაჰყე, სანამ მოგეწვდომიან. რას უყურებ, შაქრი? — და შემობრუნდა.

პირველი მომხედური პირველივე დარ-

ტყმით ნაკრაულასავით ისროლა უკან. მერე ერთი ნაბიჯი დაიხიდა და შემორეწაქცია.

ზაქრო ერთი-ორჯერ შემოტრიალდა, მაგრამ ჩასაბერმა ხელი ჩაავლო და ძალისძალად გაათრია.

შავლეგო ნაბიჯ-ნაბიჯ იხევდა უკან.

და უცებ სატანურად გაელიმა. იგრძნო, რომ ყოველ დარტყმაზე ეშხში შედიოდა.

ბრბო თანდათან წინ მოიწვედა და მათ შეშლილ სახეებზე მიხვდა, რომ ზაქრო აღარავის არ აინტერესებდა. ახლა ეს, საიდანღაც გამომტყვრალი ალქაჯი უნდა მიებეგვათ და დედა ეტირებინათ.

გაწვრთნილმა თვალმა შეამჩნია, რომ ვილაკ ორი ხანჯლიანი მოარღვევდა ბრბოს.

„ქისტები არიან. ბაკურაძის ძმაცაყეები იქნებიან. კარგია, რომ უნცრუა არ გამოვიყოლე“.

— ფრთხილად, ბიჭო, ზურგიდან მოდიან.

შავლეგო მობრუნდა და თავდამსხმელი ფეხის კვრით მოიშორა.

— წინადან!

და კარგა მაგარი დარტყმა იგემა ვილაკ ტალიკი ბიჭისაგან.

შავლეგო ისევ შებრუნდა და ორი მოქნევით დასცა ძირს დამრტყმელი. და მხოლოდ წამით ჰკიდა თვალი: თავის ფარდულში სახელდახელო ფიცრის დახლზე სახინკლე ცომს როგორ გულდინჯად აბრტყელებდა კუპრაჯა.

— უკანიდან... წინადან... — და მერე სასადილოს გამგეს აღარა უთქვამს რა: უხმაუროდ გადმოაღაჯა დახლს, ზინკლის საბრტყელებელი ზურგიდან ქვით წამოპარულ ბიჭს უთაქა, მერე წაქცეულს გადააღაჯა და ისევ ცომს დაუწყო ბრტყელება.

შავლეგო მიხვდა რომ იღლებოდა. ეს იყო გაუთავებელი რაუნდი და გონგის მაგიერ ყიყინა ისმოდა. სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. თვალეები ეწოდა და ენაზე რაღაც მომწკლარტო სიმლაშეს გრძნობდა. ახლა უკვე პირით

სუნთქავდა. კუნთები სანახევროდ გაბუეებოდა. აღარ აკეთებდა ცრუ გამოხდომებს და ზოგჯერ ნახტომიც ეშლებოდა.

უეცრად თვალი ჰკიდა, რომ ხანჯლიანმა ბრბო გაარღვია.

„ამას უკვე ველარ წაუვალ“. — გაიფიქრა და იხანა, რომ კეტი გალავანს იქით გადააგდო. — „ნუთუ იარაღს იხმარენ?“ — და მაშინვე მიხვდა, რომ იხმარდნენ.

ხანჯლიანი სწრაფად მოახლოვდა.

„თუ მაქამდე ვერ მიიწვდი, მორჩა!“ — გაუფლავა შავლეგოს.

— ხელი არ ახლოთ! — უეცრად იკივლა საიდანღაც გამოვარდნილმა ქალმა და გასაგათებულ ბიჭს წინ ჩამოეფარა. მერე მისწვდა კიდევ ხანჯლიანს და ორივე ხელი მკლავზე უტაცა.

— არც კი გრცხვენიან, ვაჟკაცი კაცი უიარაღოზე ხანჯლით მიდიხარ!

ხანჯლიანი შეცბა და წამით შეჩერდა.

„დროა!“ — გაიფიქრა შავლეგომ, თვალის დახამხამებაში აუვლის გვერდს ქალს და მარცხენა ხელით... შუბლზე თითქოს ურნალი დააჯახესო. უკან წაბარბაცდა. უმწეოდ აიქნია ხელები. იგრძნო, რომ ალავერდის ტაძარი შექანდა და მისკენ ნელ-ნელა წამოვიდა. ყურებმა კუთილი დაუწყეს. ყრულ ჩაესმა საშინელი დგრიალი, კივილი, მათრახის ტყალმუნი, გინება და ქუხილი.

— დაიშალენით! დაიშალენით, თქვენნი!..

— დაიშალენით, თორემ სუყველას დაგაბატომრებთ!

— ჰაიტ, თქვე მწერელთცყვე კახებო, თათრებ ხო არ გგონავთ ერთურთო!

— ვის ურტყამთ, რას ურტყამთ, შეიშალეთ?!

შავლეგომ სცადა გაქცეოდა თავზე დასამხოზად მომავალ ალავერდს და მწარედ შეიგრძნო, რომ მუხლები აღარ ემორჩილებოდა. ერთიც შექანდა ტაძარი და მერე ზეავივით წამოვიდა.

— შავლეგ, შავლეგ!..

შავლეგოს თვალი დაუბნელდა და ჩოქზე დაეცა.

2

იჭდა ნიკო ფანჯრის პირას და ჩაიციებით უმზერდა ნანგრევებად ქეუულ გარაეს. ერთმანეთში არეულიყო ქვის, ცემენტის, ხისა და რკინის ნამსხვრევები. აფეთქების საშინელ ძალას შუაზე გაეგლიჯა „პობედა“. უსახო გროვას სიგრძივ დაჰყროდა ქლიავის დაღეწილი ტოტები. გარაეის თავთან ჩაწოლილ ღობეს მხოლოდ მუხის ბოძი შემორჩენოდა, ჯვარდინად მიკრულფიცრიანი. ჩამავალი მზის უღიმღამო სხივების ლაციცზე იავარქმნილი სასაფლაოს შთაბეჭდილებას ტოვებდა იგი.

ქიშკარმა გაიჯახუნა და გზოში ვიდაც შემოვიდა. დაგვიანებული ჰირისუფალივით დაადგა თავზე მანქანის ნამუსრევს. დიდხანს უმზერდა თავის ქნევით. შემდეგ ლოდებქვეშ მოყოლილ ძაღლს კუდზე ხელი წაავლო და გვერდზე გაათრია. უშნოდ გაიკლავნა მიწაზე გარეთ გამოყრილი რუხი ნაწლავები. უწადინოდ აიშალა მწვანე ბუზების დაფეთებული გუნდი.

კაცმა ზიზღით უშვა ხელი ძაღლს, განზე ვადგა და ხელები ერთიმეორეზე ვაიბღერტა. პირქუში მზერა სახლის ზედა სართულს სტყორცნა. შებრუნდა და კიბეს აუყვა.

— ფული დილასვე გამოვატანე, — ნიკოს კვლავ ზელისგულზე ედო ნიკაბი, მსხვილ ტუჩებში სიტყვებს წვრილად სტრიადა.

— ვიცი. — მოსულმა ქუდი მაგიდაზე დააგდო და სკამი გამოსწია.

ნიკოს არც მოუხედავს.

სტუმარმა პაპიროსი ამოიღო.

— ვერ გაიგე?

— ვერ გავიგე.

— რაღა კვირა დილა შეგირჩიეს?

— ცქერით რომ დავმტკბარიყავ სახლში დარჩენილი.

— ეჰვი არავისზე გაქვს?

— ეძვს რას ვუზამ, ხომ ვერ ჩამოვახრჩობ?

— მითხარი ვინ არი.

— რა საჭიროა? თვითონ მოვეუქლი.

— ძალღი მაინც გადაგვგდო, ააყროლებს აქაურობას.

— არ მინდა ვინმე ვაზეიმო. დაღამდება და მაშინ გავიტან.

— რატომ მილიციას არ შეატყობინე?

— დილითვე მოვიდა. გიორგი გაქცეულიყო თელავში. ძალღიც ჩამოიყვანეს, რა დაგეჟარგავს, რას ეძებ? ვერც თავი გაუგეს და ვერც ბოლო... მილიცია... რა უშმაკად მინდა მილიცია? მე თვითონა ვარ კანონიკა და მილიციაც.

— რა დროს მოხდა?

— ორიოდ საათით ადრე გათენებამდე.

— საკვირველია, რატომ ძალღმა ვერ გაიგო.

— მეც ეგ მაკვირვებს. შორიდან არ არი ნასროლი. გარაჟი გაუღია. პირდაპირ მანქანის ქვეშ არი დინამიტი დადებულა.

— თვითონ თუ საღად გაასწრო.

— მაგას რა უნდა? პატრუქს გრძელს უზამ და სანამ ჩაიწვება, ცხრა მთას გადაივლი.

მერე დიდხანს ფიქრობდა ორივე თავიანთ საფიქრალს.

— ახლა ხელი მეც შემეშლება. სეტყვა ყველგან არ მისწვდენია. დღეს ზვალ რთველიც დამთავრდება. უმანქანოდ რა უნდა ვუყო?

ნიკომ თავი ასწია, წამოდგა და კარგა ხანს დადიოდა ჩაფიქრებულა. შემდეგ შედგა, ფანჯრის რაფას მიეყუდა, მანქანის სასიკვდილო სარეცელი ზურგს უკან მოიქცია და გულხელი დაიკრიფა.

— მარტო სიკვდილს არა ეშველება რა. სანამ მაჟარი დაღვინდება, მანამდე მანქანასაც იშოვნენ... ახლა კი, აი, რა მინდა გირჩიო: შენ ამაზე არ შეწყუხდე. ეს მხოლოდ ნემსის წვერი მიჩხვლიტეს. მე კი ხანჯალი მაქვს, დღით ტარამდე გამოხილი. შენ იმ საქმეს მოუარე, რომელზედაც გელაპარაკე. ეცადე იჩქარო.

ამოეწერები თუ არა თელავიდან, მაშინვე ქალისპირში შეხვალ კომპლექსიკაში. ნასყიდასთვის ნიჩაბია გამხადებულა. ზედ მარტო დაჯდომალა უნდა. სანამ ეგ წავე, მანამდე უნდა გააკეთო. თუ უარს იტყვის, აგრძნობინე, რომ სახლს უამისოდ არ იყიდი. ნასყიდა ხარბია. იმ წუთსვე გაგატარებს საკომლო დაეთარში. მერე, მაგის შემდეგ ვინც მოვა, იმისთვის შენ ახალი ხილი აღარ იქნები.

— სახლზე უკვე მოვეურიგდი. ნაწილიც მივეცი.

— მაშ ის მეორე ნაწილიც მიეცი და წადი აქედან.

— წავიდე? სად უნდა წავიდე? სახლი ჯერ ისევ გასაკეთებელია. შენი იმედი მქონდა, მასალა მაკლია.

ნიკომ გაიოცა:

— ვინ ვითხრა, რომ მე მასალას ვანიავებ?

— მთელი ქალისპირი ლაპარაკობს: ვიღაც ბებერს კლუბის მასალით დაუდგა სახლიო.

— შინაურსა და გარეულს მე ახლაც ვარჩევ, მაგრამ შენ კი გერჩივნა ქალისპირს იმ ბებერსა და მასალაზე კრინტი არ დაეძრა.

— ვითომ რატომოა?

— ეგ კითხვა მიხვედრას უფრო მოითხოვს, ვიდრე პასუხს... წადი აქედან. ეცადე მალე წახვიდე. არ არი საჭირო ხალხს თვალში ეჩხირებოდე.

— ხალხი? ხალხს ის უფრო ეცემა თვალში, ეგრე უცებ მოსული უცებვე წავიდე. გარდა ამისა, სიმინდიც მოსამტკრევია.

— ვახტანგ! — ნიკომ წარბი შეიკრა:

— ცოტა იყოს და ტყბილიო, ვიდრე ბევრმა მომკვეთოს კბილიო. — მძიმედ მივიდა და მაგიდის მოპირდაპირე მხარეს სკამი ხრავუნით გამოსწია, — სიმინდს სხვა მოუვლის. მე შენ იმდენ მასალას მოგცემ, რამდენიც ერთი ოთახის გაკეთებას ეყოფა. დანარჩენი დატოვე გაუმართავი. ყოველ წელს მხოლოდ ერთ ოთახს გააკეთებ. თუ დაგ-

ჭირდა, ღამის გასათევად ის ერთი ოთახიც გეყოფა.

— სანამ ნასყიდა იჯდება საბჭოში, მანამდე სახლს მისი სახელი ერქმევა, როცა ეგ წავა, ჩემსას დაეარქმევი. მანამდე სოფელიც თვალს შემჩვენებს.

— არც მე გეუბნები, ღღესვე გაიქეცი-მეთქი. საშრობში კარგად მოაგვარე საქმეები. იგრე გააკეთე, არც შგელი დარჩეს მშვიერი და არც ფარეხი დაცარიელდეს. კარგად დაიხსომე: აქედან სუფთად უნდა წახვიდე.

— სანამ მაქარი დაღვინდება, სიმინდიც დამიტგრევა...

— სიმინდს თავი დაანებე-მეთქი, რას აიკვირებ? გინდა სახედრის მძებნელმა ბედაური დაკარგო? — და ცივად დაუმატა. — სიმინდს სხვა მოუვლის.

— ის მატყლი?

— რომელი მატყლი?

— შირვანში წასასვლელი ცხვარი რომ გაპარსეს, ის მატყლი...

— ის მატყლი, როცა გაპარსეს, მშრალი იყო... და საწყობმა ჩაიბარა... სახლი მალე გააფორმე შენზე. შეიძლება ნასყიდამ თავმჯდომარეობასთან ერთად ეგვე დაკარგოს.

ჭიშკარმა კიდევ გაიჭახუნა.

ვახტანგმა კისერი მიღრიჯა კარისკენ.

— სამძიმარზე იქნება ვინმე მოსული. მეგონა. დილითვე მოისტუმრებდნენ.

— კარგა ხანს არავინ გამოჩენილა. მერე კიბუზე მოისმა ფეხის ხმა. გვერდის ოთახში ვილაც შემოვიდა.

— ნიკო! შინ არავინა ხართ?

— მოდი, რომელი ხარ? — ნიკოს ხმა მოთენთილი ჰქონდა.

ვახტანგმა შეფარვით შეხედა მასპინძელს და ყბები მტკიცედ მოკემა. შავგერემან კანქვეშ კუნთები შესამჩნევად ამოიბურცნენ.

ოთახში ეფრემა შემოვიდა და გამარჯობა თქვა.

— დაჯექი, ეფრემ.

— დასაჯდომად არა მცალიან, ნიკო.

რა იყო, რა დაემართა ამ შენ გარაყს, რამ დაანგრია?

— დაჯექი. საძირკველი არ უფარგოდა.

— ემენტი მეტი უნდა მიგეცეს! მფუსუს! რა უქნია იმ მანქანისათვის. დასახოცები არიან ეხლანდელი კალატოზები. ვინ ააშენა?

ვახტანგს ყბის კუნთები აუთამაშდა:

— საქმე გაქვს, რამე?

— შემოდგომაა, ახლა უსაქმოდ მართო მიცვალებულები არიან.

— მაშ თქვი და გაათავე.

ეფრემას ეწყინა.

— შენ რა გინდა, შენთან ხომ არ მოვსულვარ, კაცო. ამ ქვეყანაზე ყველას თავისი სატკივარი აქვს.

ნიკო ფანჯარასთან მივიდა ნათლულს უთხრა, დაეხსენიო.

ვახტანგი წამოდგა და ქული აიღო.

ნიკო გვიან მოტრიალდა.

— გინდოდა რამე?

— კუპრაჰამა თქვა...

— სანამ კუპრაჰა პირს გააღებს, მანამ ვიცი რა უნდა თქვას.

ვახტანგი მწყარლად შებრუნდა, ქული დაიხურა და გავიდა.

— რა არი, ეფრემ... რამ ვაგსარჯა, ხომ გითხარი, ავანსად მეტს ვერ მოგცემ-მეთქი?

— ავანსისთვის არ მოვსულვარ. ჭურჭლის ფული ამინაზლაურეს და ხელი მოვიწაცვლე.

— ძალღის ბედი გაქვს: ჯერ არ მახსოვს, რომ რამე დაგეკარგოს.

— აქამდის არც მე მახსოვდა.

— ახლა რა ღმერთი გაგიწყრა?

— ის ჩემი გათოხნილ-გაკეთებული ვენახი დამიკრიფეს.

— რომელი ვენახი?

— რომელიც მომეცი. — საბედ-ასეული.

— მერე, ჩემგან რა გინდა?

— როგორ თუ რა მინდა? ან მოცემა რა იყო და ან წართმევა?

— ვინ წაგართვა?

— ძალღმა და ღორმა. ის ყიმყიმა ბრიგადირი რომ გყავთ, შესულა თავისი ამქრით, საბედას ვენახი დაუკრეფია

და ზედ ის თქვენი მოცემული სამი მწკრივიც მიუყოლებია.

— დღესა?

— დღესა, მაშა!

— ვინ ბრიგადირი ყოფილა?

— ბრიგადირი ვინა გყავთ? — ენუ-ქანთ რევაზი.

— რევაზს რა უნდოდა შიგ? ნამდვილად გეშლება, ერმანა იქნებოდა.

— არა, რევაზი ყოფილა, თითონ საბედამა თქვა... მაშ მართალია, მოხსნესო?

— კიდევ იათად გადარჩა, — ქურდებსა და მტაცებლებს ცოტა უფრო სხვაგვარად ექცევიან ჩვენში.

— ავი არ დაუმტყიცდაო?

— ვინ ვითხრა?

— რა ვიცი, მთელი სოფელი მაგას ამბობს.

— სხვას აღარაფერს ამბობს სოფელი?

— როგორ არ ამბობს, თავმჯდომარემ გადაარჩინა, ისევ ნიკომ უშველაო.

— მართალი უთქვამთ. ერთ ლაფიან ღორს ასს ვერ გავასვრევიანებდი. სოფლის სახელი გადავრჩინე.

— შე კაი კაცო, რაღა ჩემდა ჰირად გადაარჩინე. იქამდის მაინც დააჭერინებდი, სანამ ჩემ სამ მწკრივს გამოვკრეფავდი.

თავმჯდომარის შავი უღვაშების ტყვარში რაღაც ღიმილის მსგავსი გაიხლართა.

— აბა, ახლა რაღა ეშველებს, უნდა წინასწარ მოგათბობრებოდი მაგ საკითხზე.

— სხვისა ჰირი ღობეს ჩხირიო. სახუმროდ არა მცხელა, ნიკო.

— თქვი, რა გინდა.

— ის სამი მწკრივი ხომ მომეცი.

— მოგეცი.

— მაშ რაღად შევიდა და დაკრიფა?

— არ ვიცი.

— აი, ხათაბალა! მაშ ვინ იცის?

— არც ეგ ვიცი.

— როგორ არ იცი, კაცო, გამგეობაზე არ მითხარ შენიაო?

— ვითხარი.

— მაშ სადაური ჩემი გამოდის, თუ მე დავამუშავებ და ნაყოფს სხვა უწილებს?

— შენ უთხარი, შედი და დაკრიფეო?

— მე რათ ვეტყვოდი?

— ის, რაც დაკრიფა, შენთან მოიტანა?

— ჩემთან რომ მოეტანა, აქ მოვიდოდი?

— სხვისგან უნებართვოდ სხვისი ნაშრომის წაღება ქურდობად ითვლება, უჩივლე.

— ვუჩივლო? სად უნდა ვუჩივლო?

— სადაც საჭიროა.

— ვინ დამიჭერებს? ქვეყანას წმინდანი ჰგონია.

— დაგიჭერებენ. ხშირად წმინდანები უფრო სცოდავენ. ამ ცოტა ხნის წინ უკვე იყო ქურდობაზე დაჭერილი.

— ამბობენ, არ დაუმტყიცდაო.

— სარევიზიო კომისია დაეცა, ოთხი ტომარა სათესლე მოჰპარა კოლმეურნეობას.

— არ დამტყიცებია.

— დაუმტყიცდა და მე გადავარჩინე. კოლმეურნეობის სახელი გადავარჩინე. უჩივლე.

— როგორ ვუჩივლო, თავისთვის არ წაუღია სახლში. აჰა, აი, მოვედი და ვჩივი.

ჭრუტა თვალეში დაიწყურა და თავმჯდომარის ბოლქვა უღვაშები მძიმედ დააწვა ზიზლით დაბრეცილ მსხვილ ტუჩებს.

— მაშ ყველამ გადასწყვიტეთ, რომ ნარდ თავმჯდომარის ხელითა ჰგლიჯოთ? თვითონ კი ყურის გაპარტყუნებაც არ გინდათ? კინაღამ ნახევარი სოფელი რომ აიყარეთ და რაიკომს მიაღექით: პატროსანი კაცია და გაუშვითო. მაშ რას ფიქრობდით? შენ კი არ ერიე იმათში?

— რა მექნა, ნიკო, წამოდიო და წამიყვანეს.

— წაგიყვანეს?

— წამიყვანეს.

— ძალით წაგიყვანეს?

— ძალით, მაშა!

— ეფრემ მე შენ იგრე გიცნობ, როგორც ძალი სალაფავს. სული ბინძური გაქვს და არც შენი ჩუმჩუმი ძრომიალია ჩემთვის უცნობი. გგონია არ ვიცი, გეკუთვნოდა თუ არა კიდევ მიწა? მაგრამ მოგეცი, რადგან გლეხი ხარ და მეგონა, რომ დამიფასებდი.

ეფრემა წამოჭარხლდა და მაგიდიდან სკამი უკან დასწია.

— როგორ თუ არ მეკუთვნოდა?

— არ გეკუთვნოდა.

— რა არ მეკუთვნოდა, კაცო, აგე, კომისია მანდა გყავთ და დაზოგით მგონი ათჯერ დაზოგა.

— ეფრემე, ერთი ის არ ვიცი, ღმერთი რომელი ღრუბლის ქულაზე ზის, თორემ მიწაზე რა ხდება, არ გამომეპარება. დალოცვილია ვაზის ძირი. იმისმა ნაწურმა ნოეს წყალი პირუტყვისათვის დაალოცვინა. კანტორაში რომ მოსულიყავი, კინწის კვრით გამოგაგდებდი. ახლა ადექი და მშვიდობიანად წადი.

ეფრემა სკამიდან წამოდგა.

— მაშ სამართალი აღარ არი ქვეყანაზე, პა!

— სამართალი რომ არა ყოფილიყო, იმ ყურძენს საბედია კი არა, — შენ დაჯრეფდი.

— მაშ შენი ნებართვით მომხდარა ეგ საქმე.

— ჩემი ნებართვით მოხდა.

იმ ჩემ შრომას რაღას მემართლებით, ის მაინც ამინაზლაურეთ.

— განა შენ არა თქვი: რევანმა და იმისმა ამქარმა დაუკრიფეს საბედას ვენახიო?

— მე გითხარი.

— ვინ ამქარი იყო?

— სოფლის ბიჭ-ბუჭები. მგონი გოგოვებიცა ყოფილან.

— რამდენი მიუცია საბედას.

— არაფერი, იგრე მომეხმარნენო.

— პოდა, შე დალოცვილო, თუ სოფლის ბიჭ-ბუჭებს მაგდენი კაცობა აქვთ, რომ ერთ ჭვრივ-ოხერ ღედაკაცს უსასყიდლოდ ეხმარებინან, შენ ჭალარა კაცი, რა სასყიდელს ითხოვ?

შველეგომ ცხადად დაინახა გასურებული რკინა შუბლზე როგორ დაიდეს. მარცხენა წარბიდან თმამდე დაუწვეს. ასე ჯიშინ ცხენებს ადებენ დამლას. ტყვიელმა მთელ თავში დაუარა. დაუარა და კუპრაქაც მოჭკრა თვალი: ძხვივით დამრგვალებულ სახინკლე ცოშს განიერ ფიცარზე დანით კეპავდა სასადილოს გამგე. ცოში გრძელი იყო, უშველებელი, უსასრულო. იდგა კუპრაქა და კეპავდა. ნაჭრები ტოლი გამოდიოდა, ჩვეულებრივ ერთ ხინკალს რომ სჭირდება. დარტყმაც გამოზომილი იყო, თანაბარი, როგორც კუპრაქას ოსტატობას შეეფერებოდა:

„კაკ-კუკ!“

„კაკ-კუკ!“

მერე ეს კაცუნი დაგა-დუგში გადავიდა და უფრო გაძლიერდა. ეტყობა, კუპრაქამ დანა დადო და ნაჭები აიღო. ყურებში ალაზნის ნაკადი გრძელი, გაუთავებელი შხუილით შხუოდა. ეს, ალბათ, წყალდაღმა მიჰყავდა კუპრაქას მანქანა ალვანში გასასვლელად. მერე ტყეში გზადაგზა აქეთ-იქით გადაწეული ტოტები აჩურჩულდნენ. სახეზე რბილი ხავსის სასაიპოვნო ღუტუნე იგრძნო, ნედლი სოკოსა და მინდვრის ყვავილების სურნელი. მარწყვით იყო მინდორი მოფენილი. მწიფე, დათაფლული მარწყვით. ჭამდა და ვერ ძღებოდა. მზეს ისე გაეთბო ნაყოფი, ტუჩებს წვაავდა. შველეგოს კუპრაქაც დააიწყდა და შუბლზე დადებული ცხელი რკინაც. ვეებერთელა მარწყვი იპოვნა, ადამიანის თავის ტოლა. ორივე ხელი ხარბად ჩასკიდა და დაეწაფა. ახლა მარტო ტუჩებით კი არა, მთელი სხეულით იწოვდა ტკბილ ბადაგს. ო, რა გემრიელი იყო! ღმერთო! ნუ გაათავებ მინდვრის ბარაქას, მდელის სურნელს, ტოტების ჩურჩულს და ცხელი ნიავის დროდადრო ქროლას!..

ალაზნის შხუილში რუსუდანის ხმა გაარჩია. შორიდან ეძახდა:

„შველეგ! შველეგ! ჩემო შველეგ! ჩემო ძვირფასო ბიჭო!“

ტყვილი იყო რუსუდანის ხმა, იმ მარწყვივით ტყვილი...

ტყვილიმა იძალა შებლზე. ნადამდარი სტიოდდა. თავიც ისე გახურებოდა, ნივი ვეღარაფერს შეელოდა. კუბრაკაც წასულიყო, საფეთქლებთან კი კვლავ დანის რიტმული კაკუნი იღგა. კაკუნი აჩქარებული იყო. ხავსი ახლა თითქმის მთელ სახეს უფარავდა. და კვლავ ეძახოდა რუსუდანი, ახლა უკვე საღდაც ახლოდან:

„შავლეგ! შავლეგ! ჩემო ვეკაცო! ჩემო პატარა ბიჭო! ჩემო დიდო ბიჭო! ჩემო სიცოცხლე!“

შავლეგომ თვალი გაახილა. სახეზე მოდებულ ხავსში ვერა დაინახა რა. თვალები აახამხამა და იგრძნო: წამწამები რაღაც რბილს წამოედო. ბიჭმა გრძელ, ჩამოშლილ ხავსში თითები გაუყარა და მერე ვეება მარწყვის კვლავ დაეწაფა...

— შავლეგ, შავლეგ! შენი ჭირიმე, როგორა ხარ, ახლა როგორა ხარ? — რუსუდანმა თავი ასწია და ბიჭს ჩანისლულ თვალებში ჩაჰხედა.

შავლეგომ გაიღიმა. ტყვილიმა შებლის ძვალი გაუბზარა და კეფაში გადაინაცვლა. ახლა უკვე სალტეს უჭერდნენ თავზე. თხემის ძვლებს ტყაცატყუცი გაუდიოდა. საფეთქლებთან ნაჩახი არახუნდა.

— ნუ გეშინია, ექიმმა თქვა, ამ კაცს მარტორქის შებლი ჰქონიაო. — რუსუდანმა ჩაიჩოქა და თმების თალამით მთელი სახე კვლავ დაუფარა.

უამლევი მისწვდა ყნოსვას ალაზნის ველისეული მსუყე სურნელი. დაუბერა თბილი ნაივმა. ბიჭი ისევ შეერია მარწყვის მდელოს და მერე მთლად დაკარგა გზა-სავალი მუქი-წაბლისფერი თმის უღრან ტყეში შესულმა...

- ახლა როგორა ხარ, შავლეგ?
- არტალაზე? ვაცივითა ვარ, ვაცივით!
- კიდევ გტყვი?
- ფუფუა? ცოტათილა მეწვება.
- ოჰ, შავლეგ, იმოდენა ქვა კამეჩს

მოკლავდა!.. რა იქნებოდა, თეიმურაზს რომ არ მოესწრო?

თეიმურაზი

— თეიმურაზი რა შტამშია; [ჯანაშენი არ გადამარჩინე?

— მე მხოლოდ ხანჭლიანთან აგეფარე. თეიმურაზმა შემოყარა ტაძრის ეზოში შიშველ ცხენებზე მსხდარი თუშები და ხევსურები. თვითონაც შიგ ხალხში დარბოდა ცხენით და ჰაერში დამბაჩას ისროდა... მერე მოვიხედე. კუბრაკა და ვილაც ბიჭები მანქანაში გსვამდნენ... ყველაზე ახლო ალვანი იყო. ძლივს მოვიფიქრე, რომ აქ მოგიყვანდნენ... ოჰ, შავლეგ, რატომ ერევი ღვინით გაღეშილთა ბრბოში?

ქალი ნაზად ეხუტებოდა მკერდზე და მხურვალედ უკოცნიდა დაბანდულ მარჯვენას.

— ხალხს ხომ არაფერი დაუშავდა. რუსუდან, ხომ არაფერი დაუპატიმრებიათ?

— არაფერი მახსოვს და, მგონი, შენს გარდა, არც არაფერი დამინახავს. რატომ გაერიე ჩხუბში?

— არც ჩხუბისა ვიცოდი რამე და არც ვაპირებდი შიგ გარეეას. შაქრია მოვარდა რიყესთან. არაყსა ვსვამდი ხევსურებთან და პირიქითელი უნცრუასაგან „ხოგაის მინდია“ ახალ ვარიანტს ვიწერდი. იცი, რა არი, რუსუდან? — საოცარია, ვეამ როგორ ვერ მიაკვლია. ალბათ, ყველაზე უძველესია. აქ გამოძახილია შუმერების ძველი ღმერთისა. იქნებ ვილგამეშზე ადრეც ჩავიდა მკვდართა სამეფოში ჩვენი მინდია!

— მერე? რატომ დაანებე თავი ჩაწერას და საჩხუბრად გავარდი?

— საჩხუბრად არ წავსულვარ. მინდოდა გამეშველებინა. ხომ არ უნდა დაეხოცნა ხალხს ერთმანეთი?

ქალმა თითი დაუქნია.

— ჩხუბში ისე გაერიე, გამშველებაზე სიტყვა არ დაგცდენია.

ბიჭს გაეღიმა.

— იცი, რუსუდან, არის წუთები, როცა რამის თქმა სასააცილოა... მოჩხუბართა ერთი ნაწილის რისხვა მე დავიტეხე თავზე, რათა მეორე ნაწილი მეხსნა...

არკი მეგონა თუ იმდენ ხანს გავუძლებდი. ამაში თვითონ მოჩხუბარნი მენამარებოდნენ, — ერთმანეთს ხელს უშლიდნენ და მე საშუალებას მაძლევდნენ შემოქმედა.

— რატომ შენ არ შესხი ხევისურები ცხენებზე?

— შემეშინდა, მეგონა, ვერ დავიმორჩილებდი. კაცს რის უნარიც შესწევს, არ უნდა დაუკარგო, თეიმურაზს აქვს მაგისი მარიფათი... მაგრამ მაინც მიხარია, გულის სიღრმეში მაინც მიხარია...

— რა არი მანდ გასახარელი, შავლემ?

— მიხარია, რომ ჩვენს ხალხს ვნებები ჯერ არ დაჩლუნგებია. ეს შორეული ექოა იმისა, რაც საუქუნეების მიღმა დაინთქა. ოღონდ სწორად უნდა წარმართვა ამ ვნებებს. სპარტის კანონმდებლის — ლიკურგეს მესამე რეტრა ერთსა და იმავე ხალხზე ხშირ ლაშქრობას კრძალავდა, რათა მტერი თავდაცვას არ მისჩვევოდა და სპარტელთა თანასწორ მომრად არ ქცეულიყო. ჩვენ კი ისტორიის განუსჯელობამ ისეთ სამკედლოში შეგვაგდო, სადაც თითქმის ყველა მხრიდან გვირტყამდნენ უროს. მაგრამ ამ დარტყმამ გასრესის ნაცვლად ისე გამოგვქმედა, წინაპართა ფოლადმა ჩვენს თაობამდე მოატანა, ოღონდ წვრთნა არი საქირო. წვრთნა და მაგარი ხელი. აუცილებლად მაგარი ხელი, რადგან ჩვენი ერთი უდიდესი ნაკლავანი დაუდევრობა და უზრუნველობაა. ყველაზე მეტად კი უზრუნველობა, რადგან საკუთარ ძალებს ხშირად ზედმეტად ვაფასებთ.

— თვალში მოგხვდა რამე?

— არა.

— მარცხენა თვალი ჩავლურჯებია.

— ეგ არაფერი. შუბლის ბრალი იქნება. ალბათ სისხლი ჩამექცა.

— ძალიან გტყვი?

— შენ რომ მოხვედი, დამიწყინარდა.

— ოჰ, შავლემ, პატარა ბიჭვით იქცევი. როცა დაბრუნდი, რატომ ჩემთან არ მოხვედი?

— ვიყავი. ალბათ მინდორში გამასწა-

რი. მერე ვთქვი: სალამოთი ვნახავ-მეთქი და აქ გამოვიქეცი.

— ჩააბარე დისერტაცია...
— კიდეც კარგა ხნის სამუშაოა. რაღაც-რაღაცეებია გასასწორებელ-ჩასამატებელი.

— ამდენ ხანს რატომ დარჩი თბილისში?

— ჩემი ხელმძღვანელი მაცდუნებდა: უნდოდა ბოლნისში წავეყვანე გათხრებზე.

— და არ წახვედი.

— დიდხანს მომიწევდა უშენოდ ყოფნა.

რუსულდანი ოდნავ წამოენთო. ტბილად გაიღიმა, დაიხარა და ჩამოშლილი თმის წვერებით სახეზე შეუღლიტინა.

— მაშ რატომღა დარჩი ამდენ ხანს, ჩხუბისთავო?

— ექვიანობ?

— არა, მაგრამ რატომ დარჩი ამდენ ხანს?

— ზოგ რამეს ვაზუსტებდი პროფესორ აფაქიძესთან.

რუსულდანი ფრთხილად მოიქცია ხელებში ბიჭის სახე და ლოყით ზედ მიეხუტა.

— ასე ხომ არ გტყვი?

— პირიქით, ტყვივლს მიყუჩებს.

— ასე? — უფრო ძალიან მიყვარა.

— არც ვგრე.

— არც ახლა?

— არა, არა, არა! — ბიჭმა ხელი მოჭხვია და თავით უფრო ძლიერ მიიკრა.

— ოჰ, ასე ხომ დამახრჩობ? ახლა მითხარ: ფლორას გადაეცი ჩემი წერილი?

— გადავეცი.

— ხომ კარგი გოგოა?

— არც ისეთი, როგორც აქებ.

— ჩამოვალო?

— იცი, რუსულდან... დრო ვერ ვიპოვე მისასვლელად. ფოსტით გავუგზავნე.

— ო, რა ზარმაცი ხარ. თან მატყუებ კიდეც. კაცმა მოგანდოს საქმე და შენს იმედზე იყოს?!

— ჩამოვა, აბა, რას იზამს. რთველზე უქველად ჩამოვა.

— აბა, მითხარი, შე ზარმაცო, რატომ არ მიხველ?

— ვერ მოვახერხე, რუსუდან.

— არა, მითხარი, ნამდვილი მითხარი.

— თუ საიდუმლოა?

— ეგ სხვა ამბავია... მაგრამ მე ხომ არაფერს არ გიმაღავ შენ?

— არა, შენც მალავ. თვითონ ხომ იცი, რომ მალავ.

— მე არაფერი მაქვს საიდუმლო.

— ყველას აქვს თითო საიდუმლო.

— შეიძლება, მაგრამ მე არაფერი მაქვს.

— გაქვს.

— არა-მეთქი. საიდან მოიტანე? მე არაფერი მაქვს საიდუმლო.

— გაქვს-მეთქი გახსოვს ის სალამო? რუსუდანი მიხვდა, რომელ სალამოზეც ეუბნებოდა.

— მახსოვს. მერე რა?

— მაშინ მე გითხარი, ისეთსავე ქუდს მოგიტანდი, როგორც წყალში ჩაგივარდა. შენ რაღაც უცნაურად გაიცინე და არ მითხარი მიზეზი.

ქალის კისკისმა გაბზარა პალატის სიმყურდოვ.

— გინდა გითხრა, რატომ გავიცინე მაშინ?

— არა, თქმა რომ გდომოდა, განა მაშინ არ მეტყოდო?

— მაშინ ვერ გითხარი.

— ახლა?

— ახლა შემიძლია.

— თუ არ გინდა, ნუ იტყვი.

— არა, გეტყვი: გახსოვს, ფიჩხი რომ მოგქონდა ტყიდან?

— როდის?

— შე დღევ კი მახსოვს, კვირა სალამო იყო. ფიჩხის უზარმაზარ გულდურაზე შენი ძმისწული გეჭდა. წკებლას იქნევდა და მდეროდა. ეტყობოდა, სიმღერის ტექსტიც მისი იყო და მუსიკაც. შენ შეისვენე, გულდურის თავი ჩემი ბაღის ღობეზე ჩამოსდე და ორი წვერი მავთული გაწვეციტე.

— ოჰოო! აი, თურმე რატომ დაგხსომება.

— მე თქვენი დიალოგიც კი მახსოვს. გინდა, სიტყვა-სიტყვით აღვადგინო?

— დიდებული მენსიერება გქონია, ნეტა მართლა თუ გახსოვს...

— სიტყვა-სიტყვით გეტყვი: ჩემი ხმა მაზი გადმობობდა გულურიდან:

„ეეე! ამ ცხენს ვერ ვაჭამე ქერი დღესა და დამივიარდა...“

• მერე შენ გამოძვერი გულურის ქვევიდან:

„მოიცა, სულელო, ლამის მხარი გამიჩვრიტა გადანაჭერმა“.

„ხომ გითხარი, პერანგს ნუ გაიხდამეთქი? ჩემოდენა კაცს სიზმარს დაუჭერებენ“.

„რომ არ გამეხადა, გამეხეოდა. აი, სულელო, სულ შენი ბრალია, ბაღის პატრონს რომ მავთულები გავუგლიჯეთ“.

„ახლა, პაპაჩემივით შენც სულ მე დამაბრალებ ყველაფერს“.

„სახლში გამახსენე, ამოვალ და გავაკეთებ“.

„აფსუს, რა გემრიელად ვიჭევი? მოდი, წადი, მზიურ ჩავიდეთ შინ, თუ მართლა რამის გაკეთება გინდა. მაგას გაზ-ჩაქუჩი და ეჭვისოდე ლურსმანიც დასჭირდება.“

„ქარგი, დაჭევი, რაში გენაღვლება ჩემი ზურგი?“

„შენ ეს სახლი რომ წამოგვიდო თავის აგრონომიანად, იმას წაიღებ და მე ვერ მატარებ?“.

„ჩუმად, სულელო, ბაღში არავინ იყოს, თორემ ვერც გავასწრებთ აქედან ცოცხლები“.

„შენ მიდი, გაუტეე, ნუ გეშინია, აქ არა ვარ?“

შავლეგო იცინოდა:

— საოცარია, მე აღარ მახსოვდა, შენ რამ დავამახსოვრა?

— და იმ სალამოთი შენ არ ამოსულხარ გაზ-ჩაქუჩითა და ლურსმნებით. ის მავთულები მეორე დღეს მე გავაკეთე. ახლა ხომ მიხვდი, რატომ გამეცინა, როცა მითხარ, ისეთივე ქუდს გიშოვი და მოგიტანო?

— და დღემდე შენს თვალში ვერ უპირო დავრჩი?

— არა, უპირო რატომ დავრჩებოდი?

11286



შენ ხომ არ იცოდი, რომ ყველაფერ ამას ვისმენდი?

— არა, ოღონდ ვნანობ, რომ იმ საღამოს არ ამოვედი. სამაგიეროდ, იცი, ახლა რა ქუდი ჩამოგიტანე? დიდი, სომბრეროს მსგავსი.

— მაშასადამე, სიტყვა არ გასტეხე..

— არა, ჯერ სიტყვა არ გამოიტეხია.

— როდისთვის აპირებ გატეხას?

— ვნახოთ, როგორც კი შემთხვევა მომიცემა.

— ოჰ, შე ჩხუბისთავეო, ჩხუბისთავეო! აბა, ახლა მითხარ: ისეთი რა საიდუმლოა, რომ ფლორასთან მისვლა ვერ მოახერხე?

— თბილისიდან ახლოს იყო და მაინც წავედი არმანსა და მცხეთაში.

— მერე, აღმოჩნდა რამე?

— მხოლოდ ირმებიანი ბრინჯაოს ბალთა. ყველაზე ადრეულ ბრინჯაოს ხანას განაკუთვნებენ.

— მაგისტანა ბალთები უამრავი ჩნდება ყველგან.

— მაშასადამე, გათხრები ჯერ არ გახურებულა.

— ალბათ. ახლა ყური მიგდებ: მართლა აღარ გტკივა?

— როცა ჩემთანა ხარ, ტკივილიც მაეიწყდება.

— ეშ იგი, კიდევ გტკივა.

— რა თქმა უნდა. ერთბაშად არ მორჩება. ახ, სად არი ახლა დონ-კიხოტის ბაღში!

— წყნარად იწევი, ჰკვიანად იყავ და მალე გაივლის.

— იწევიო? აქ რა გამაჩერებს? ანტიტეტანუსის მესამე დოზა მაკლია. აი, მოვა ქეთო და მერე წამოვხტები. მე თუ ამ ნაკაწრებს წაეუწევი, ჩემი ბიჭები გადაირევიან ჰყანტობში.

— შენ და შენი ჰყანტობი! რა დროს ჰყანტობია? ახლა წყნარად წოლა და მოვლა გპირდება. წაეიდეთ შენთან. თუ ნინოს არ ეცლება, მე მოვივლი. არაფერს მოგაკლებ. თუ გინდა ჩემთან მოდი. მთელ ღამეებს თვალს არ მოვხუჭავ. ასე ვიქნები დამოქილი შენს

საწოლთან. რასაც ინატრებ, სურვილი და შესრულება ერთი იქნება: *მეცაა*

— აჰ, არა, შენთან *მეცაა* მოგვადე, სოფელი რას იტყვის?

— სოფელი? სოფელს ვინ ჰკითხავს? რაც უნდა ის თქვას, თუნდაც მთელმა დედამიწამ იყაყანოს. ვის რა ესაქმება ჩემს ბედნიერებასთან?

— რა კარგი გოგო ხარ, რუსუდან... გადასარევი...

— მოიცა.. სული შემიგუბდა... უჰ... ახლა მითხარ: ქეთო ვინ არი?

— ქეთო? ჰო, ქეთო. ამათი ექთანია. მაგან გამოიკეთა ანტიტეტანუსი.

— წამოხვალ ჩემთან?

— თუნდ დედამიწის იქით, მაგრამ რა დამაწვევს? ახლა ექთანს ველოდები, თორემ ლოგინში რა გამაძლებინებს?

პალატაში ექთანი შემოვიდა. ლამაზი გოგო იყო, ქერათმიანი. ღიმილჩამდგარი თვალები ჰქონდა. დამორცხვებული ტუჩები ოდნავ გახსნოდა. რუსუდანი მიხვდა: ექთანი კარგა ხანს იღვა კარებთან, სანამ პალატაში შესვლას გადასწყვეტდა. ოდნავ ჩამავებულ უბეებში მაინც შეიცილობოდა ფარული წუხილი. ნიკელის კოლოფი ცალი ხელით პიწკად მოჰქონდა. კოლოფში გამოხარული ნემსი წკარუნობდა.

რუსუდანი წამოდგა. მისალმებაზე ოდნავი თავის ქნევით უპასუხა და ფანჯრისაკენ შებრუნდა.

4

— ხომ მაინც გიპოვე! დავიწყეთ: „გამოღმით მე ვარ, გაღმით — შენ?“ — ბიჭი საწისქვილე წყალს გაღმოველო და ნაპირზე მოადინა ტყაპანი. ცალი ფეხი მაინც ჩაუვარდა შიგ. შემკრთალმა გოგომ ახედა თავზე წამომდგარს და სახიდან წინწყლები მოიწმინდა.

— ფრთხილად ვერ გადმოხვედი? რატომ შემამინე?

— რა ყველაფერი შენ გაშინებს, თავით თუ არა გულით მაინც დამსგავსებოდი მამაშენს.

— ათასჯერ მიტყვამს შენთვის, მო-
ვმევი მამაჩემს-მეთქი.

— აღრე შეიძლება მოვშვებოდი, ახ-
ლა კი ჩვენი ხმლები გადაჯვარედინდა.
რატომ გამოიქვეცი ქალისპირიდან?
გგონია, ვერ მოგაგნებდი?

გოგო ზომაზე მეტად ფერმკრთალი
ჩანდა. თითქოს გამხდარიყო კიდევაც.
ჩაცვინილ თვალებში სევდა ჩასახლე-
ბოდა. იჭდა, ხელები მუხლებზე მოეხ-
ვივნა და დაღლილი მზერით მისჩერე-
ბოდა პირდაპირ მის ფეხებთან მიწაზე
მორთხმულს.

ბიჭი შეაფთოთა მისმა ცქერამ. უფ-
რო ახლოს მიჩოჩდა და ხელი ხელზე
დაადო.

— ყინულივით გაგზდომია ხელები.
რატომ ზიხარ აკაციის ქვეშ, ფშავე-
ლებს უკეთესი ადგილი არა აქვთ? მა-
ინც შემოღგომია, მზემ არ მოგატყუოს.

— უკვე მივეჩვიე მოტყუებას. ჯან-
მრთელობაზე კი აღარ ვზრუნავ. ახლა
თითქმის სულერთია ჩემთვის. საკუთარ
თავზე მაშინ უნდა იფიქროს კაცმა,
როცა სხვა საფიქრალი აღარ დარჩენია.

ბიჭმა უკან მიიხედა.

ლასტის კარი აპკროდა ღობეს. კა-
რიდან ბილიკი იწყებოდა, ვენახს გვერ-
დზე გასდევდა და ეზომდე უწევდა.
ეზო ცარიელი იყო. მხოლოდ სახლს
იქით მოჩანდა ორიოდღე ლედვის ხე და
ერთიც კაკალი.

— ეს არი მამიდაშენის სახლი?

— რატომ შეკითხები? რომ არა გცო-
დნოდა, განა აქ მომძებნიდი?

— არა, მგონია თავმჯდომარის დის
სახლი რაღაც სხვანაირი უნდა ყოფი-
ლიყო.

— მწარე ენა გაქვს, რევახ.

— ეს, ალბათ. იმიტომ, რომ ამ უკა-
ნასკნელ ხანს წიწკას მამქმევენ. მაინც
რამ დაგსვა ამ წყლის პირას ნესტანის
დამკარგავ ტარიელივით?

— იქნებ ტარიელის დამკარგავივით
ვზივარ?

რევახს უსიამოდ გაჰკრა გულში. წა-
მოდგა, თვითონაც ხეზე ჩამოჯდა და
ხელები მუხლებშუა მოიქცია. ნაძალა-

დები სიმხიარულე გაუქრა ხახიდან წარ-
ბები შეატყდა შუბლზე.

— შენც გჯერა, რომ ის გარაჟი მე
ავაფეთქე?

გოგომ შეხედა. გააოცა ხმის ნაუცბა-
დევმა ცვლილებამ. მერე ისევ მიბრუნ-
და და წყალს დააკვირდა.

წყალი სულ ოდნავ გასაგონად ქლურ-
ტულებდა. აკაციისა და მურყნის ფე-
სებში იბლანდებოდა; ნაპირზე აყრილ
მატიტელებში ქუეშალაობდა. ყუნწზე
გადმოკიდული ბატიფებსა ფოთლები
ყელგადაგდებით ელამუნებოდნენ რიგ-
რიგობით წამოსულ წვრილ ტალღებს.

ცურვით ჩაიარეს იხვებმა. მათმა უზ-
რუნველმა „ვახ-ვახმა“ რაღაც შურის
მაგვარი აღუძრა გოგოს.

— შენც გჯერა, რომ მე ავაფეთქე ის
გარაჟი?

გოგომ ბუკებზე მოგდებულნი შალი
დაკიმა და მხრები მოწურა.

— რატომ ხმას არ იღებ? თქვი, შენც
გჯერა, რომ მე ავაფეთქე?

გოგომ გამხდარი, გრძელი თითები
თვალებზე მიიფარა და თავი მუხლებზე
დადო.

— ის ძაღლი მაინც რას გიშლიდა,
ძაღლი მაინც რაღას გიშლიდა?—ძლივს
ჟონავდა თითებშუა ნაწყვეტ-ნაწყვე-
ტად. — ჩემი გაზრდილი იყო. სულ პა-
ტარა მოიყვანა მამაჩემმა. რძეში პურს
ვუღობობდი. ძვლებს ქვით ვუმტვრევდი.
სალაფავს თვითონ ვუკეთებდი... ჩემი
ქედანა, ჩემი კარგი ძაღლი...

— მაშასადამე, შენ გჯერა, რომ ქურ-
დი ვარ და რეციდივისტი?

— ქურდობა არასოდეს არ დამიჯე-
რებია. არასოდეს გავივლებ თავში, რომ
შეიძლება შენ მოიპარო. მაშინაც გი-
თხარი, მაგრამ ძაღლი რატომ მომიკალი,
ძაღლი, ჩემი ქედანა. მამაჩემმა თუ გა-
წყენინა, ძაღლი რაღა შუაში იყო?

რევახი იჭდა და სიბრალულით უც-
ქროდა ქვითინისაგან აცუკვებულ გამხ-
დარ მხრებს. ერთ-ორჯერ ბუკებზე ჩა-
მოცურებული შალი მოახურა, მერე კი
ხელები კვლავ მუხლებშუა შეატყუა.

— ლამის ვირწმუნო, რომ ის გარაჟი

მამაშენმა თითონ ააფეთქა, რათა მერე ბრალი ჩემთვის დაედო.

გოგომ თავი აიღო და ბიქს გაოცებით შეხედა.

— რატომ ნიხდი ასე ცუდად, რევან? თუ ჩემი სიყვდილი გაქვს გადაწყვეტილი, ერთი დინამიტი კიდევ იშოვე... მამაჩემი არ იყო, რომ მდივანს ჰქირა მოსკამა: ნუ დაეპატიმრებთ, ბრიგადირობიდან განთავისუფლებაც ეყოფათ?

— ბაღლობიდან ვიცნობ მამაშენს. რასაც ფიქრობდა, რაკი არ გამოუვიდა, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. იმდენი მაინც ქნა, ბრიგადირობიდან და გამკვობის წვერობიდან მომიშორა... მაგრამ მე ისევ ის თომა ვარ და ისევ ის ტყავი მაცვია. არ მინდა მაგისი ბრიგადირობა. ვენახი მაქვს გაპიროვნებული და იმას მოვეულო. არც სხვა საქმეს მოვერიდები. მაგრამ, მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მე მაგის ჭირითს ბოლო მოველო. არც ბიძაშენი დარჩება წილდაუდები. არც ის მწითური ტურა, მამაშენთან და რაიკოში ცალ-ცალკე რომ სწირავს. შენ კი მოეშვი უთავოლო ტირილს. არმად ნაშოვნი, არმადვე მიდის. ძალი, რა თქმა უნდა, მეც შენანება, მაგრამ მკვდარს რაღას უზამ? იმაზედაც გეთანხმები, რომ დიდი ვირობა ქნა, ვინც ეგ ჩაიღინა. მაგრამ მამაშენი უკეთეს გარაჟს ააშენებს და მანქანასაც ახალს მოიტანს. მამ რაღა რჩება სამწუხარო? — აღარაფერი. შენც ადექი და გაჩუმდი. საიდან სად სტუმრად მოვსულვარ, შენ კი სიხარულის მაგიერ, სტირი. ადექი, ერთხელ მაინც მიჩვენე, რომ გათხოვდები რა მასპინძლობა გეცოდინება.

გოგომ ტირილს უკლო, მერე კი სულ უჩაქმდა.

— როდის აპირებ სახლში დაბრუნებას?

— არ ვიცი.

— ჩემთვის აქ ჯობია. აქ უფრო იოლად გნახავ.

— შენ რომ ჩემი ნახვა გდომებოდა, იმასაც არ ჩაიღენდი.

— მე არა გამიკეთებია რა, ხოლო

ვინც გააკეთა, მარჯვენა შერჩეს, არმად ნაშოვნი იყო. არც ის იაღლი იყო, მაინცდამაინც დიდი დოვლათი ქალებსა და ბავშვებსაც კი გზაზე უფარდებოდა.

— მე ის დრო მახსოვს, ჩვენი წაბლის ტოტები რომ ოქროსი იყო და ზურმუხტს ისხამდა...

გოგოს ხელები აეფარებინა სახეზე და ვენახისაკენ მიდიოდა. მხრებიდან შალი ჩამოუცურდა და მწვანეზე დაეცა. რევანში მივიდა, დაიხარა და აიღო. თვალი ჰკიდა: ვენახის თავში დედაკაცი მორბოდა ბილიკზე, ნაბრიგადირალმა იცნო ვინც იყო. შალი ღობეზე გადაჰკიდა და უკან გაბრუნდა.

5

ეზოში არავინ ჩანდა.

შავლეგომ კიდევ ერთხელ დააკაკუნა და ბინდ-ბუნდში აივანს შეხედა.

ბალიდან ქალი გამოვიდა.

— რუსულდანი არ არის? — იკითხა, როდესაც ქალმა ჰიშკარი გამოაღო.

— არ ვახლავთ. შემობრძანდით.

შავლეგომ ზურგს უკან კილის ქელი უხერხულად შეატრიალა.

ქალმა ცალი ხელით გრძელი ხალათის საყელო წამოკრიფა და ცალითაც კარს მიაწეა.

— მობრძანდით, რუსულდანი მალე მოვა.

ქალს ხმა მკერდისმიერი, ხვევრდით რბილი ჰქონდა.

შავლეგო შეეოყმანდა.

— ცოტა უფრო გვიან შემოვივლი.

— თუ ჩემს საზოგადოებაში მოცდა მოსაწყენი გეჩვენებთ, როგორც გენებოთ.

ქალის ეშმაკური თვალების ჟუტვამ შავლეგოს გამბედაობა შემატა. თვითონაც გაიღიმა და ღია კარში შევიდა.

— სკამს მოგართმევთ. — უხარა

ქალმა, როცა ეზო გადაიარეს.

— გამდლობთ, თქვენ დაბრძანდით. ჩემი სკამი აი, ეს იქნება. — ბალის მესერთან დამხობილი გოდორი წააქცია.

— დავგზოცავს რუსულდანი.

— რატომ?

— ეგ ნერგს აფარია, ქათმებმა რომ ძირი არ გაუქეჭონ.

— არა უშავს ქათმები უკვე შებუღებულები არიან, დილამდე კი, ალბათ, რუსუდანიც მოვა.

— მშვენივრადა თქვით, ზოგჯერ შუალამემდე ვზივარ აივანზე ბუსავით და ველოდები. საოცარია, აქამდე როგორ არ მობეზრდა კოლმეურნეობა. ყოველდღე მინდვრები და ვენახები, მინდვრები და ვენახები! ერთხელ წამიყვანა რთველში და შუადღემდე უკვე ყელში ამოვიდა. ან, საერთოდ, სოფელში რა აჩერებს? — კინო აქ არ არი, თეატრი აქ არ არი, ვართობა აქ არ არი, სეირნობა აქ არ იქიან. საწყალი გლეხები, მოვლენ სათონიდან სახლში დაღლილ-დაქანცულები, ლობიოს ჭამას ძლივს მოასწრებენ, რომ ლოგინში ცვივდებიან. ანდა ვისთან გინდა გაერთო და დრო გაატარო? მთელი ზაფხული მწერდა, მებევებოდა, ჩამოდიო, მარტო ვარო, შენს მეტი არაეინა მყავსო. მეც ავდექი და წამოვედი. მეგობრები ვართ. მამამ დაგვაშეგობრა. ირეოდა რუსუდანიისთვის. ამისთანა სტუდენტი მთელს ფაქულტეტზე არა მყავსო, ჩემი მეორე ქალიშვილიაო. იქვე უნდოდა დატოვება ასპირანტად, მაგრამ რუსუდანმა არ ქნა, მე ჩემი საქმე მაქვს, ასპირანტური-სათვის სად მცალიაო. სულელი! მერე დაურეკეს „ზევიდან“ და მაგის მაგიერ ვილაც უტვინო შეაჩეჩეს ხელში. სულელი! თქვენ საიდან იცნობთ რუსუდანს, კორესპონდენტი ხომ არ ბრძანდებით? თბილისიდან ხართ? თელავიდან?

— აქაური ვარ.

— მართლა, მართლა, რაღაცას მეუბნებოდა კორესპონდენტზე.

— აქაური ვარ.

— არა მჭერა. მოდი, სინათლე ავანთოთ, უფრო კარგად შეგხედავთ.

— არ ვინდათ სინათლე. თუმცა, თქვენი ნებაა, ავანთოთ.

— თქვენ დაქვით, მე ავანთებ. რამხელა ხართ? შუბლი რატომ გაქვთ შეხვეული? დაიხურეთ, რატომ გიჭირავთ ხელში ქუდი? ლექტორი კი არა ვარ.

მართლა აქაური ხართ? ექიმი? სკოლის დირექტორი? მასწავლებელი? თავმჯდომარე? მოიცა, მოიცა, ვეტყვი, ვეტყვი აბა მაშ, ვინა ხართ?

— კოლმეურნე, აგრეთვე, გამგეობის წევრი.

— როგორ, ამხელა კაცი ფერმის გამგე მანაც არ უნდა იყოთ? თუმცა გამგეობის წევრობაც, ალბათ, რაღაცას ნიშნავს.

შველევო გაამხიარულა ქალის ტიკტიკმა. თვალი წაატანა, როგორი გულმოდგინებით ცდილობდა ხალათის საყელოთი ზომაზე მეტად მოღვლილი მკერდის დაფარვას. ზოგჯერ საყელო ჭიუტობდა, ზოგჯერაც ავიწყდებოდა და აივანქვევიდან წამოსული სინათლე მკრთალად ათოვდა თვალისმოპყრელ სითეთრეს.

საღღაც გაიფანტა უხერხულობა, ნაცნობობის პირველ წუთებში რომ ჩნდება ხოლმე. ბიჭი ხუმრობის ხასიათზე დადგა:

— ვინდათ გითხრათ, რა გქვიათ?

— რა დიდი გამოცნობა უნდა, რუსუდანი გეტყოდათ.

— არაფერი უთქვამს რუსუდანს.

— მაშ როგორ მეტყვით?

— მე ვარსკვლავთმრიცხველი ვარ. აი, შევხედავ თქვენს ვარსკვლავს, — ხედავთ, რა კარგად ჩანს თქვენი ვარსკვლავი? დავაკვირდები მათ ვადაადგილებას სამყაროში და ამოვიკითხავ თქვენს სახელს.

— აბა, რომელია ჩემი ვარსკვლავი?

— აი, ის, ზევით, რომელიც ყველაზე მეტად კაშკაშებს.

— სისულელეა, აბა, თუ მართლა გამოიცნობთ.

— გამოვიცნობ.

— ვერ გამოიცნობთ.

— დაენაძლევდეთ.

— რად ვინდათ სანაძლეო. ისე გამოიცანით.

— გამოვიცნობ. დაენაძლევდეთ.

— კარგი, როგორი სანაძლეო იყოს.

— ამერიკული.

— ოჰო! საინტერესოა, რომ წაავთ, რას იტყვი?

— არაფერს. რასაც მომთხოვთ შევასრულებ.

— მე რომ წაეგო?

— თუ წააგებთ, რვა მარტის კანონით მოგთხოვთ.

— კარგი. აბა, მაშ მითხარით.

შველევამ ცას კიდევ ერთხელ ახედა. მერე ქალსა და მის ხალათს დააკვირდა დაეინებთ.

— უკვე წავიკითხე.

— თქვენ უფრო ჰქონოთ უნდა იყოთ. აბა, მითხარით რა წაიკითხეთ.

— ფლორა.

ქალმა ვადაიკისკისა და ხალათზე დაინხდა.

— აქ რომ ყვავილ-ბალახის ნაცვლად ცხოველთა სამყარო ყოფილიყო, მაშინ ალბათ, ფაუნას იტყოდით. საინტერესოა, ვერაფერს ვიტყვი. მოიგეთ. ოღონდ ცუდი არაფერი მომთხოვთ. სანაძლეო რამდენჯერმე მქონია, მაგრამ ამერიკული არასოდეს. რა საინტერესოა! თქვენ მკითხაობა გეცოდინებთ.

— რა თქმა უნდა, ვიცი.

— აბა, მაშ მიმკითხავით.

— მომეცით ხელი.

ქალს ხელი რბილი, თბილი და საოცრად ნაზი ჰქონდა.

ბიჭმა ხელისგული გადმოაბრუნა და ვარდისფერ ნებში ჩამჯდარ უთანაბრო ხაზებს დააკვირდა.

ბალიდან ლეკვი გამოვიდა და მოსაუბრეთ მიუახლოვდა.

— ოჰოო, ეს კაი ვეფხვი გყოლიათ სახლში.

— კარგია, მაგრამ ძალიან ავია. ჭერაც კარგად ვერ შევიჩვიე. გაბედეთ და მოეფერეთ, ხელს მოგჭამთ.

შველევამ ლეკვს თავზე ხელი გადაუსვა, მერე იდლიის ძირებით ასწია და უკანა ფეხებზე დააყენა.

— ო, რა ტოტები აქვს, მეცხვარულია. ეტყობა, ბომბორა გაიზრდება. კავკასიურ ნაგავს ძალი ვერ ჯობია.

ლეკვი იდგა უკანა ფეხებზე და გულუბრყვილო თვალებით ქალს მიშტერებოდა.

— რუსუდანის გარდა არავის იკარებს ახლოს. თქვენ კი, ხმავე არ გაგაცათ.

— საერთოდ, ცხოველებთან უფრო ადვილია საერთო ენის გამოძებნა. — შველევო ჭიშკრისავე იყურებოდა.

ქალმა სკამი უფრო ახლოს მიაჩოჩა.

— რატომ დაგავიწყდათ, რომ უნდა მიმკითხაოთ?

— არ დამევიწყებია. რა ჰქვია ლეკვს?

— მურა. აი, ჩემი ხელი.

— შველევამ ლეკვი გაუშვა და ხელები გაიწმინდა.

— რატომ იგვიანებს რუსუდანი?

— არ ვიცი. ზოგჯერ მთელი საღამო ვზივარ აივანზე უსმელ-უქმელი და ველოდები, როგორც ერთგული ცოლი თავის ქმარს.

— არ გეშინიათ მარტოს?

— ძალიან. როგორც კი შებინდდება, აივანზე ავდივარ. ვავაჩირაღდნებ მთელ სახლსა და ეზოს. მერე ვზივარ და ვკითხულობ. ვკითხულობ და ველოდები. ეზოში ძალიან ბალი კი საშინელი. ზოგჯერ მთვარე ისე დააგრძელებს ხეთა ჩრდილებს, რომ მგონია იქიდან ბობლიები და ოჩოკოჩები მოიწევენ და შემზარავ სიჩუმეში ჩემკენ იწვდიან თავიანთ ჩონჩხადქცეულ ხელებს. გუშინ მთელ ღამეს ბუ კიოდა ცხვის ნანგრევიდან. მურა რამდენჯერმე შეუვარდა ბალში ვილაცას თუ რალაცას. საერთოდ, ღამე ცუდად მძინავს. უცნაური ხმები ისმის ირგვლივ, თითქოს ჭუნგლებს ფეხი აუღვამთ და მოდიანო. რა ნერვების პატრონია რუსუდანი, რამ მოაფიქრებინა ამ მივარდნილ ადგილას სახლის აშენება?

— გემოვნების ამბავია.

— რა გემოვნებაა, შენი ჭირიმე, თუ კი ყოველღამე გულის კანკალი შექნება?

— საშიში არაფერია, შეჩვევა უნდა. ერთ ქალს ვიცნობდი, პირდაპირ წინა ხაზიდან გამოჰყავდა დაჭრილები, — ცეცხლის შეწყვეტას არ უცდიდა. ერთხელ, მის ახლოს, როცა ტყვიამფრქვევის მეორე ნომერიც მოჰკლეს, თვითონ მიუწვა „მაქსიმკას“.

— მაქსიმკასთან მიწოლა ყველა ქალს შეუძლია, მხოლოდ, აი, ტყვიამფრქვევი, ალბათ, რაღაც საშინელებაა.

შავლეგოს გაეცინა.

ქალის თვალეზში ეშმაკები დახტოდნენ.

— რატომ გადაიფიქრეთ მკითხაობა? იცით, ერთხელ ბოშებს ვაჟი-თხვინეთ გოგოებმა, თითქმის სანახევროდ ამისრულდა.

— ბოშებმა რა იციან, ეგ უბრალო დამთხვევაა.

— თქვენ როგორ მიხვდით, რომ ფლორა მჭეია?

— მე ოდესღაც მოგვი ვიყავი ბაბილონში და უთანაფიშთი იყო ჩემი პირდაპირი წინაპარი. გაგიგიათ რამე სულთა გადასახლებაზე?

— არა, რა საინტერესოა, მაგას გამგეობაში ასწავლიან?

— თქვენ არა გჯერათ, რომ გამგეობის წევრი ვარ?

— მჯერა, როგორ არა მჯერა. მე ყველაფერი მჯერა თქვენი. აი, ხელი, მიმკითხავეთ.

— კარგი, რაკი ასე ძალიან გინდათ, ვიმკითხავებთ.

შავლეგომ ხელები ზევით აღაპყრო, ცას თვალი გაუშტერა და კარგა ხანს რაღაც გაუგებარს ბუტბუტებდა თავისთვის. მერე ქალს მოჰხედა, მისი ხელი კვლავ ხელში აიღო და ისევ ნებს დააკვირდა.

— შენი იღბალი, კარგი იღბალი. შენი ბირველი ქიმარი, ზალიან სუდი ქიმარი. შენ ადგეს, ზამოხვიდოს, არ გინდა ბირველი ქიმარი.

ბიკს მოეჩვენა, რომ ხელი შეერთა. ქალს შეხედა და შენიშნა, მოეუტული თვალეზიდან ეშმაკები გამჭრალიყვნენ, გრძელ წაწამებს იქით გაოცება დასახლებულიყო.

სწორი იყოს?

ქალმა თავი დაუქნია:

— სწორი იყოს?

— შენი მეორე ქიმარი, ზალიან კარგი ქიმარი. ოთხმოსი წელიწადი ზალიან გემრიელად ისხოვროს.

— ოთხმოცი? განა ბევრი არ არი? — ქალის თვალეზში ისევ გამჭრალიყვნენ ეშმაკები.

— შენ იმასთან ათი შული იყოს.

— ათი? ათი რა ამბავია, ორიც საკმარისია.

— საჭიროა, საჭირო. ყველგან საჭიროა. ერთი შული ზავიდეს — მოვიდეს, ზავიდეს — მოვიდეს, გიდევ ზავიდეს და გიდევ მოვიდეს და ბევრი ფული იყოს. თავისი ქოყანა სულ ფული გააქსოს.

— მეორე?

— მეორე შული ზალიან დიდი კასი იყოს. თუ ერთი ქოყანა მეორე ქოყანა ჩხუბი ქნას, იმან ზავი უყოს და შუდობა; მესამეს დიდი კასი იყოს; რას დედამიწაზე უდაბნო და ხრიოკი იყოს, იმან სულ ბალები ქნას.

— მეოთხე?

— მეოთხე სულ ყველაზე დიდი კასი იყოს. იმან წიგნები დაწეროს, მთელი დედამიწა ვერავინ დაწეროს.

— მეხუთე?

— მეხუთე ყაჩალი იყოს.

— ყაჩალი? განა ყაჩალიც — საჭიროა? — უყაჩალოდ ქოყანა არ იქნება. რას მდიდარი ხალხი ზედმეტი ქონება იყოს, ზაართოს და საზღალი ხალხი მისცეს.

— მეექვსე?

— მეექვსე ხელოსანი კასი იყოს. რას დედამიწაზე გარგი სახლები იყოს, სულ იმან გააკეთოს... მეშუდე ზალიან ღონიერი იყოს. რას ქოყანზე ავი კასი იყოს, იმან აილოს და ბაშინ ქიასარამ უყოს.

— ეგ რაღა არი?

მკითხავმა ხელით ანიშნა: თავი წააცალოსო.

— მერვე ქურდი იყოს.

— ნუთუ უქურდოდ მაინც არ შეიძლება:

— არ შეიძლება. რას ყაჩალი მდიდარი ხალხი ჰარამი ვერ წაართოს, ქურდი იპოვოს, მოიპაროს და საზღალი ხალხი მიუტანოს. მესხრე ქალი იყოს.

— მადლობა დმერთს, მე ვიფიქრე ქალი სულ გამორჩა-მეთქი.

— არ შეიძლება. უქალოდ არს ყაჩა-

ლი იქნება და არს ბრზენი. ოღონდ ზალიან ჭუქვიანი ქალი იყოს. იმასას ზალიან ბევრი შულები ქონდეს.

— საოცარია, რატომ გიყვართ კაცებს ბევრი შვილები? თუმცა რა გენაღვლებათ, ცხრა თვეს თქვენ არ დაგაქვთ ის სიმძიმე და მშობიარობის ტკივილს თქვენ არ განიცდით. მერე გაზრდა და ხელით ტარება. დღე და ღამის გასწორება და უძილობა.

— ძალიან ცდებით, თუ ასე ფიქრობთ, ქალბატონო ფლორა. — მკითხავმა ხელი უშვა ქალს და ფეხზე წამოდგა. — ნამდვილი დედის ყოველ ტკივილს მამაკაცი არანაყლებ განიცდის.

— კარგი ახლა, ნუ კი გამებუტებით. მითხარით, ვინ იქნება მეათე.

ბიჭი ჭიშკარს უტყეროდა და ჩალის ქუდს ხელში აწვალვებდა.

— იცით, რა, ფლორა, მოდი მე წავალ, ეტყობა, რუსულდანი კიდევ კარგა ხანს არ მოვა.

ქალს ტუჩები გაებუსხა და ქვევიდან ბალღური შიამიტობით შესცქეროდა.

— ნუთუ იმდენად უგულო აღმოჩნდებით, რომ უმწყო ქალს მარტოდმარტოს შიამტოვებთ ამ უღრანში?

შავლეგომ ქუდი გაუწოდა.

— რუსულდანს გადაეცით. უკეთესი თბილისს არ მოეპოვებოდათქო.

— მეათე შვილი? მკითხაობა ხომ არ დაგიმთავრებიათ.

— დანარჩენი შემდეგისთვის იყოს. ნახვამდის, ფლორა.

— მაშ მიღიხართ?

— საქმე მაქვს, უნდა წავიდე, ნახვამდის.

— ნახვამდის, მაგრამ სახელი არ გითქვამთ. ხვალ რომ შეგხვდეთ, რა დაგიძახოთ?

— თქვენ ხომ არ გითქვამთ ჩემთვის თქვენი სახელი? გამოიცანით.

— მეც ხომ მკითხავი არა ვარ.

— ისწავლეთ და გეცოდინებათ.

— თუ მასწავლით...

— ნახვამდის, ფლორა, ვფიქრობ, ჩემი სახელი უნდა იცოდეთ.

— თუ არ ვიცო?

— მაშინ შავლეგო დამიძახებთ.

— მოიცათ, ჭიშკარამდე მივაცივლებთ. ჭიშკართან შედგა ქალმა.

— მაინც რატომ არ მითხარით ბოლომდე ჩემი ბელი? მოიცათ, როდის მომთხოვთ სანაძლეოს შესრულებას?

— ძალიან გულით გინდათ მალე იყოს?

— მალე სჯობია, რადგან მალე ვაპირებ წასვლას. ოღონდ ცუდი რამე არ მითხოვით.

— ცუდიო? რას ამბობთ! სულელი ხომ არა ვარ, ცუდს რატომ მოგთხოვთ? თავისთავად ცხადია, კარგს ვარჩევ.

— როგორ თუ კარგს? რას გულისხმობთ კარგში?

— ხომ იცით, ამერიკული აუცილებლად უნდა შესრულდეს.

— ვიცი.

— ახლავე გინდათ იყოს?

— თუნდაც ახლავე. ოღონდ ცუდი არაფერი მითხრათ.

— ეგ უკვე ჩემი საქმეა.

— მაშ მითხარით. — ყოყმანით წაიჩურჩულა ქალმა.

— მაშ, გეტყვით. — ჩურჩულითვე უპასუხა ბიჭმა. — შემდეგ, როცა კაბის შეკერვას დააპირებთ, მკერდს ეგრე ნუ მოუფრიალებთ.

6

თავმჯდომარე დაიხარა და მანქანაში შეიხედა. უკან თეიშურაში იჯდა და პაპიროსს არხეინად ამოლებდა. ნიკო გაოცდა, როდის აქეთია, რაც მდივანი ამ ბოკვერთან ერთად დასეირნობს? ფრთხილად გამოაღო კარი და რბილ სავარძელში მძიმედ ჩაეშვა.

— თუ საპურმარილოდ მიგყვევართ, უკუღმა გამოგდით, ყური აქა მაქვსო, გადმოვიდეთ და, ხელდახელ გაეაზნალებინებ ყველაფერს.

— არც ეგ არი ურიგო. მხოლოდ ჭერ გავიარ-გამოვიაროთ, მგონი უმიზეზოდ არ უნდა იყოს თქვენი კომკავშირელების გაზეთში ზოგიერთი რამ.

თავმჯდომარემ ჩაიციანა.

— მაგითი მიმტყიცებენ, აბა, თუ ქა-
ლალს დინამიტზე ნაკლები ხმა აქვსო?
მდივანმა წაუყრუა. იცოდა, მილიციას
დღემდე ვერაფერი გაეგო იმ ამბისა.

თეიმურაზი შემოტრიალდა.

— რატომ ხეცურაული არ ჩამოიყვა-
ნე? გუშინწინ ისეთი საქმე გახსნა, ორ
წელს თბილისმაც რომ ვერა გააწყო რა.

— არაფერია, ზურგი მაგარი მაქვს,
ავიტან. მხოლოდ ეგ არი, ვილაცაა, ჰგო-
ნია რომ მე მომაყენა ზარალი. კოლ-
მეურნეობა დააგდო უმანქანოდ, პირა-
დი საქმისთვის ერთი დღე არ მიხმარია.

— ამ დღეებში ველოდებით და პირ-
ველ რიგში შენ მოგცემთ, შენი და კოლ-
მეურნეობისა რამ გაყო.

— რა ვიცი, ყვაა-ყვასავით იძახით
და ვერ კი გვალისვით.

— გელირსებათ. სილოსზე ყოჩაღ!
რაიონში ყველას გაასწარ, გარდა კისის-
ხევისა. მაგრამ ისე არ დაგემართოთ,
როგორც შარშან ველიანის კოლმეურ-
ნეობას.

— აბა, რას ამბობთ, ორმო ამოვთხა-
რო და ძეძვისთვის? საკუთარი თავის
მტერი ვარ?

— აკი რაიონის მოწინავეთა თათბირ-
ზე ბაჭიბუქობდი, სილოსისთვის კოშ-
კებს აეაშენებო? — თეიმურაზი გამომ-
წვევად ილიმებოდა.

— ჭამა ქონებაზე ჰკიღია. პირველ
რიგში საშრობი იყო საჭირო. წელს
ამინდმაც მილალატა და მოსავალმაც.
მეორე წლისთვის მინდა ახალი გომე-
რის აშენება. კოშკებსაც იქვე დავა-
ტან. ეხლა კი საშრობი იყო საჭირო.

— რა გეშველებოდათ, სკოლა რომ
არ გამარაგებდეთ ქვა-ქვიშით.

თავმჯდომარემ გაიოცა.

— მაგის მეტი საქმე არა გაქვს, რომ
კულში მე არა მდიო?

— ხელფასს მაგაში მაძლევენ, ძია ნი-
კო.

მანქანა ბერხველადან გავიდა და ზერე-
ბის თავზე საურამეს გაუყვა.

დაღვრემილიყვნენ მავთულებზე წა-
ჩოქილი ვახები. უღიმვამოდ იმზი-

რებოდა გამარცვული მწკრივები.
მწკრივთა შორის ვილაცის ცხენი უდაბ-
ლახობდა.

ზურგებს ნახნავეები წამოება და თითქ-
მის ქალამდე შიატანა. ნახნავის პირებ-
ზე ნამჯის ბულულები დაყუნტულიყო.
ალაგ-ალაგ საქონელს მიეფურტან-მოე-
ფურტანა, ფეხით გაეთელა. ზოგან კი
ურემსა და მანქანებს ზედ ევლოთ.

მდივანი მოიღუშა.

— რატომ აფუქებ საკვებს? მარტო
სილოსის ამარა დარჩენა შეიძლება? სი-
მინდიც ჯერ არ მოგიმტერეგია. ფუჩე-
ნი კი წელს არასახარბიელოა გვალვის
გამო. ზამთრის მიწურულში დაიწყებ
სირბილს, — არიქა, მიშველეთ, ეს ზამ-
თარი გამატანინეთო.

— მაგაში ვტყუივარ, ამხანაგო ლუარ-
საბ. მაგრამ ერთბაშად ვერ გაეწვდი.
მთავარი მზრალად ხენა იყო და მგო-
ნი გეგმასაც დროზე აღრე გადაეპარ-
ბე. საშრობსაც ყურადღება უნდოდა.
მერე რთველი და ათასი სხვა წვრილმა-
ნი. ვფიქრობდი: ჯერ მოსავალს დავა-
ბინავებ-მეთქი. ტრანსპორტი არ მეყო.
ურმები უნდა გამეკეთებინა. მეურმე
ავად გამიხდა. ხელნების თლის დროს
ცულოთ ფეხი გაიჩეხა. ეხლა არა უშავს,
გამოკეთდა და შეუდგა მუშაობას.

— ხეალვე დაიწყე ამათი გაზიდვა და
ძველ გომურთან დაზვიანა.

— ხეალ არა, დღესვე. როგორც კი
ქალიდან ამოვბრუნდებით, მაშინვე. ერთ
გზობას მაინც მოასწრებ დღეს.

თავმჯდომარემ თეიმურაზს არა უთხ-
რა რა და ნახნავს გაკიდებულ ტრაქ-
ტორს გააყოლა თვალი. ზოზონით მი-
ფუთფუთებდა ტრაქტორი და ოთხფრ-
თიანი გუთანი გიშერივით მზზინავ ოთხ
კვალს მიითრევდა უკან.

— ეს ერთი მუშაობს მარტო?

— ერთი მაყვლიანშია.

— მაყვლიანი აკი მოხნული გქონდა
აგვისტოს ბოლოს?

— მოხნული მქონდა. იქვე, იმის
გვერდზე, ამ ერთი კვირის წინ ერთი
იმოდენა ადგილი კიდევ გადაწვეს კომ-

კავშირებმა, გაწმინდეს და დღეს შეეუშვი სახნავად შიგა.

— რატომღაც მახსოვს, რომ შენს კომკავშირლებს ემდუროდ.

— ეხლაც ვემდურები. მე ის მონადირე არა ვარ, რომელიც მწვერლისაგან მარტო კურდღლის მობრუნებას სჯერდება.

— მესამე ტრაქტორი სადღაა?

— ზერებს გადაღმაა, პლანტაჟს აბრუნებს.

— რამდენი გაქვს წელს დაგეგმილი?

— ათი, მაგრამ ოცი პექტრის გაშენებას ვაპირებ.

— კარგია, მაგრამ ხორბალი მაინც მთავარია. ზევიდანაც ხორბალს აწვებიან, ჩვენთვისაც საჭიროა. ხომ ხედავ, მარცვლეული სავალდებულო ნიბარებისთვისაც ძლივს გვყოფნის. როდის მოათავებ შავი ანუ ლუბებისა და მზრალად ხენას?

— ბევრი აღარ დამრჩა.

— რა ქნა რუსუდანმა, სასუქები მოიტანა? მე უკვე გავეცი განკარგულება, პირველ რიგში მისთვის მიეცა სახმომარაგებას.

— მოიტანა.

— ახლა რას აკეთებს?

— ბრიგადებს ადრე წათეს ხორბალს ამარგვლინებს ფოსფორითა და კალიუმით გამოსაკვებად.

— როგორი პირი უჩანს დატოტვილს?

— თუ ამინდები დაუდგა, შარშანდელს აჯობებს.

— ფარდულები არა გაქვს მინდვრებში, ძია ნიკო, სასუქები ცის ქვეშ ყრია. ეთქვათ, ცუდი ამინდი დადგა, რა უნდა ქნა?

— მაგასაც გავაკეთებ. მაინც არ იტყვი, სად მივდივართ?

ნიკომ თეიმურაზს მიხედა, როდესაც ნახნავებსაც გასცდნენ და ჭალისკენ დაეშენენ.

— სადაც არ უნდა მივდიოდეთ, ჩვენთან სიარულზე ყაბულს არა ხარ?

— მე რომ თქვენი თავით მევლო, აქამდის კლდეზე გადავიჩხებოდ.

მდივანს არ უყვარდა თამაში ზალხი, მაგრამ ჭალისპირის თავმჯდომარეს ყველაფერი რატომღაც მტკავშირდებოდა, ვერაფერს ეტყოდი.

მანქანა ჭალაში შევიდა. გაიარა ფშა და ჭყანტობს მიადგა.

— ამას იქით ვეღარ წავალთ, ფეხით მოგვიხდება გავლა. — მიხვედრილმა ნიკომ შოფერს მანქანა გააჩერებინა.

მდივანმა აშამბებულ მინდორს გახედდა.

ოდნავ ირხეოდა ლელი. ზანტად იქნევენდენ თავებს წაბლისფერი ბუერები. აქა-იქ მწვანედ დამპალ წყალს ლეყები მოედგო. შიგდაშიგ მურყნები განმარტოებულ იყვნენ.

მდივანმა უწადინოდ გააღო კარი და ძირს ჩამოაბიჯა. ინანა, რატომ ავეყ თეიმურაზის ახირებასო.

ნიკომ შეატყო უგუნებობა. თავი შეუმჩნეველად გაიქნია და გაამხნევა.

— სხვა მხრიდან მისადგომი არ აქვს. ეს ბილიკი პირდაპირ სოფლის მაშენებლებთან მიგვიყვანს. ათიოდე ადგილას თუ შეგვხვდება სახტუნაეებელი, თორემ ფეხის დასველება მხოლოდ ორსამაგან მოგვიხდება.

მდივანმა შოფერს მიჰხედა, მერე წინ წასულ თეიმურაზს გააყოლა თვალი და უსიტყვოდ მიჰყვა უკან.

გადაიარეს ჭყანტობი და მინდორზე გავიდნენ.

— კიდევ შორს არი?

— აგერ თეიმურაზი თითქმის უკვე მივიდა.

— ეს მინდორი რატომღა დაგივლია მოუხნავი?

— ამას ამ ჭყანტის გულისთვის ვერა ვხნავთ. ვერსაიდან ვერ მივუდგე.

— კარგა ხანია, რაც მაგ არხს ათხრევიან, აქამდის ვერ მოათავე?

— თავიდან არაფერს გაეკარა, შეუძლებლად მიიჩნიეს, მერე შრომადღებში შეეპირიდი ორმაგად და ახალგაზრდობა შეეგავლიან.

— კარგი საქმე წამოიწყე. კარ თორმეტიოდე პექტარ ნოყიერ მიწას მოგცემს აქაურობა.

— თუ ამ მინდორსაც დაეუმატებთ, უფრო მეტი გამოვა. მთელი ეს კლდის პირი კარგა სიგრძეზე გამოუყენებულა.

მდივანი შედგა, შეუმჩნევლად დაიხედა ლაფში მოთხერილ ფეხსაცმელზე და ზიზღით დაიღრიჯა. შარვლის ტოტებიც ბარაქიანად მოსწუწოდა. თხელი წინდები ყელამდე დასველებოდა ცივ წყალში.

თავმჯდომარე მიხვდა შეჩერების მიზეზს და უკან არ მოუხედავს.

ბებერ ოფს იქით არხი გასდევდა. მთელი შემალღება გადაეკვეთათ და ალაზნამდე მიყვანათ. მომუშავენი არ ჩანდნენ. მხოლოდ აქ-იქ ამოდიოდა ზედაპირზე ნიჩბით ამოყრილი მიწა.

როდესაც არხის პირას მივიდნენ, თეიმურაზს უკვე საუბარი გაეჩაღებინა.

მდივანი გაოცდა: ბიჭების უმრავლესობა წელზევით გაშიშვლებულიყო. ფეხებს ტალახში დაურევდნენ და სახეზე ოფლი გადასდიოდათ.

არხი კაცის სიმაღლისა გაეთხარათ. ზედაპირზე განიერი, დაბლა ოდნავ ვიწროვდებოდა. შავ მიწას რუხი-ნაცრისფერი მოსდევდა, შემდეგ თიხნარი. არხის კედლებში წყალი ყონავდა. ბიჭებს ტანზე ტალახი მიხმობოდათ. შარვლები წელამდე დასკროდათ. სახე ქუქყიანი ნაწუნწკლით გაჩოფურავენოდათ.

— ხეცსურო, შუბლი ეგრე მალე მოგირჩა, რომ შეგიხსნია?

— არ მინდოდა ბანდი დამსვროდა, ამოვალ და ისევ შევიხვევ.

— ჰაი, შე ქაჯის ნატეხო, რაზე საფეთქელში მოგარტყამდნენ!

— ბრალი იმ ქვისა, თორემ საფეთქელი უფრო მაგარი მაქვს, მომხვდა თუ არა, შუაზე გადატყდა.

— ოპო-პო-პო-პო! აბაუქე ახლა ერთი ხეცსურულად. კიდევ კარგი, ალვანში ვიყავი და იქიდან ალავერღზე გამოვიარე. ძლივს დავაოკე ხეცსურები და ავიყოლიე. ბაყურაძეს უმადლე, იმან გიხსნა, თორემ ბრალს შენ დაგდებდი.

— ნამეტანს ნუ იბღინძები თანამდე-

ბობიანო ეშმაკო, რა ბრალის დამდები შენ გამომიხველ? კიდევ კარგი, ხმაზე გიციანი და იმ ცხენიდან არ ჩამოგიღვრას გაბოტილხარ მანდ მეწველ ძროხასავეთ? ჩამოდი და ხელი წამახმარე.

— ვინც არა?!

— ეგრე!

მხოლოდ მცირე ხნით შეეყოვნდა თეიმურაზი. მერე მდივანს მიჰხედა და გახდილი ლაბადა ბალახზე მიაგდო.

— ტანზე ნუ იხდი, ნიავმა არ დაგკარას. თუშებს თუ თექა არ აცვიათ, ადვილად ცივდებიან. მოდი, ჩამოგსვა. არ ჩამოხტე, თორემ მეორე ფეხსაც მოიტებს.

მდივანმა წარბი შეიკრა. უგემურად აბრიცა ტუჩი და, როდესაც თეიმურაზი ძირს ჩახტა, არხის პირს გაუყვა ჭყანტობისაკენ.

— ის მეორე ვილაა? — მოუბრუნებლად იკითხა.

— რომელი მეორე? — ფეხდაფეხ მიჰყვა თავმჯდომარე.

— მეორე, წერაქვს რომ უბაგუნებდა და სალამიც ძლივს გაიშტა.

— ჩვენებური ბიჭია. გეხსომებათ, ამ ზაფხულს მეორე ადგილი აიღო ჭიდაობაში.

— ვიცი, ვიცი. ეს მაგის გულისთვის გამოიღო თავი იმ ჭეილმა?

— მაგაზე ამბობენ. გაოცებასა ვარ, რამ მოიყვანა აქ სამუშაოდ? — ერთი ლოთი და უმაქნისია.

მდივანს ხმა აღარ ამოუღია.

როდესაც ჭყანტობს მიატანა, შედგა და თვალთერება დაუწყო.

— ძალიან ძნელი სამუშაოა. საკმაოდ აგრილდა. ისინი კი წყალში დგანან. რატომ ბულდოზერით არ გათხარე, სადაც მშრალი იყო?

— ბულდოზერი ვინ მომამაგა? ცოტა ხანს აღრუტუნებდნენ, ბერხევაში ხიდს რომ აკეთებდნენ, და მერე თვალისა და მამეკარგა. განა ახლა კი უარს ვიტყვი, თუ მომიცემ.

— უნდა გესარგებლა სანამ აქ იყო. ახლა გაღმა ზონაზე გაიტანეს. ჩემი კი არ არი, საგზაოსია. თუ არადა, ბულდო-

ზერები აქა გყოლია, მე რასა მთხოვ? უნდა კი გითხრა, რომ ეგ შენი ახალი კოლწვერი ძალიან ორიგინალობს. როგორ ათავსებს ერთმანეთთან შრომასა და დებოშს? ძალიან დაარხენებული ლაპარაკობდა წელან, თითქოს ალავერდში ბუზიც არ აუფრენია. ხომ არ ჰგონია ხელიდან დამიძვრა? მოვიცილი მაგისთვისაც... ახლა მარტონი ვართ და პირდაპირ მითხარი: სწორია, რაც იმ განეთში წავეიკითხე დღეს?

თავმჯდომარე თვალმოუშორებლად უცქეროდა ჰყანტობზე გაბნეულ შემოდგომის ფერებს.

— ქვეყანაზე ჭერ კაცს არ უხუმრია, რომელშიაც სიმართლის ნსახი არ ყოფილიყოს.

— ხომ იცი, თვალს ვერ დავხუტავ.

— ღმერთმა დაგიფაროთ თვალის დახუჭვისაგან. ჩემი მტერი დარჩა მაშინ თეიმურაზის ანაბარა.

შემდეგ აღარცერთს არ ამოუღია ხმა. იდგნენ და უსმენდნენ, როგორ ჩუჩუნებდნენ ბუერები, როგორ შრიალებდა ლული.

— ყური მიგდღე: კარგ საქმეს აკეთებენ ეგ ბიჭები და მიეხმარე. სულ ეს არი შენი აქტივი?

— აქტივს მანდ ფეხიც არ დაუდგამს. ერთი ორჯერ თუ ჩამოვიდნენ და წაიმკონარეს. ესენი ის დამთხვეულები არიან, კოლექტივში მუშაობაზე რომ წელი სწყდებათ.

მდივანმა ვერ გაიგო.

— ახლა რომ მიხვიდე და ჰკითხო, რას აკეთებთ, ბიჭებო, ყოველი მათგანი სათითაოდ გეტყვის, სტადიონს ვაკეთებთო.

— სტადიონსო? — მდივანი მოტრიალდა. — როგორ თუ სტადიონს? ისინი შეიშალნენ, მე მასულელებ, თუ შენ აღარა ხარ სრულ ჰკუაზე?

— ერთადერთ ამ ჰყანტობს თვლიან ჰალისპირში იმ ადგილად, რომელშიაც ვერ შევეცილები.

როდესაც უკან დაბრუნდნენ, თეიმურაზი ოფის ქვეშ იდგა და პირსახოცი

წელზევით ტანს იმშრალებდა. კანი დაწითლებოდა და ორთქლი სსდიოდა.

— მალე ჩაიცივი, შენ შართლს არ გაცივდე.

— უპ, ძია ნიკო, ართანაში საქმე არა მქონდეს, რას ვიბუღრანავებდი! ერთი გული მომაძღებინა, რამდენი ხანია, არ მიმუშავია.

— თუში და მიწის თხრა? შენ კომბალი უნდა გეჭიროს და ცხვარს მისძახოდე „ჩიიჰეს“.

— ვანა სტყუი, ძია ნიკო, მაგრამ არ მინდა კომბლით შეგაწუხოთ. თუმცა, როგორც ვატყობ, ზოგჯერ კომბალიც საჭიროა და „ჩიიჰეს“. — შემდეგ ტანსაცმელი გადაიცვა. თავმჯდომარეს ხელი მოჰკიდა და უფრო ახლოს მიიყვანა. — აი, მდივანთან გეუბნები: ხვალ დილითვე კაცი გაგზავნე თელავში და ხუთმეტოდე წყვილი რეზინის ჩექმა წამოიღე. ფულზე არა გამაგონო რა. ახლა არხი ჰყანტობში დაიწყებს დატოტვას, ცოდონი არიან ბიჭები. ბაზაში თუ უარი გითხრეს, რაიკოში მოდი და მიგიწერთ, რას იტყვი, პატივცემულ ლუარსაბ, არ ეყოფათ ხუთმეტი წყვილი?

მდივანს თეიმურაზისათვის არ შეუხედავს. ალაზნიდან ჰყანტობამდე გაავლო არხს თვალი და უგემურად გამოღეკა:

— ალბათ, ეყოფათ.

7

უღიმამო თვალით იცქირებოდნენ ციხის გარეშემონი. სიმწვანის ნატამალიც არ ეტყობოდა. აქა-იქ მხოლოდ ურობალაზა ვადამხმარიყო ჰუმ-ჰუმად და შრებდად შეეჩერებინა ფერდობებზე ქვიშანარევი მიწა.

საქონელს შრეების გასწვრივ ევლო. მათი ნაჩლიქარი წვრილ-წვრილი ბილიკები განივ ზოლებად გასდევდა მთელი სამხრეთის ფერდობს, სოფლის თავამდე.

ერთადერთი ხე ციხის ნანგრევზე ამოსულიყო. თავად ციხის შიგნით კვრინინი, მაველის ბარდები და შამბი ხარობ-

და. ვეება ლეშივით ნაგდები, ჩამოქცეული ჩრდილოეთის კედელი ანწლს წაეღეკა. თავქვე ირიბად დაშვებული შავ-შავი სათოფურები ხავსს ამოვესო. ქონ-გურების ნაწილი ქარ-წვიმას დაედნო, ნაწილი კი კვლავ შერჩენოდა ციხეს და მეჩხერი კბილებივით მიუყვებოდა ყბე-ბივით წაწვდილ გოდლებს.

ოდესღაც ეს ციხე დილოეთის კარს ეკტავდა. დაღესტნიდან დამრული მო-თარეშენი გადმოივლიდნენ ბუგორთის ყელს, ცოდვიან-გორზე გადმოვიდოდნენ და ბერხევას ზეობით კახეთში ეშვებოდ-ნენ. ციხე ქალისპირის თავში ხედებო-და დამშეთულ ჭრელ დუნდგლოს და თელავიდანა და გრემიდან შაშველი ლაშ-ქრის მოსვლამდე აკავებდა მას.

სათავის გორა ბუნების ნაკულღუტა-რი იყო. ბერხევას მხრიდან მიუვალს, დანარჩენი კალთები დამრეცი ჭქონ-და და აღმოსავლეთი მხარე წარაფების ძირამდე უწევდა.

ციხის ვადაღმა წმინდა ელიას სახე-ლობაზე აშენებული მცირე საყდარი და სასათულაოს რუხ-მომწვანო ლოდები კრთოდა. იმის იქით, შორს — სტორის ზეობა და ტახტიგორა. გორის ვადაღმა კი, თვალმისაწიერამდე ოქროვან ბუ-რუსში ლივლივებდა ალვანის ველი.

ჭერბოზე ჩამომჯდარ რუსუდანს გულ-აღმა გაშოტილი შავლეგოს თავი კალ-თაში ჩაედო და ხელს რუდღუნებით უს-ვამდა შეზღზე ირიბად გავლებულ ღოდ-ნოშოსფერ ნაჭრილობევს. ნაჭრილობე-ვი ოდნავ გადაბმულ წარბშესაყარს კვეთდა და გრძელი ცხვირის ფუქემდე უწევდა. წერილად გაწოლილი უღვაშე-ბი თხელი ტუჩების მკაცრ მოხაზულო-ბას არბილებდა. ორად გაყოფილი უხე-ში ნიკაპი გამომწვევად აჩენდა ქვედა ყბის ძალოვან კუნთებს... მხოლოდ თვა-ლები, ძლიერი, მომწუნხველი თვალები, უცნაურ მიმზიდველობასა და სინაზეს აფენდნენ ზედმეტად ვაჟკაცურ სახეს.

ბიჭს ჩამოშლილი თმის ერთი ნაწკე-ბი მიეტანა ტუჩებთან, იწვა გატრუნუ-ლი და ტკებებოდა მზრუნველობით მო-ჩურჩულე ქალის თბილი ხმით. მერე

მთელი თმის ბულული მიმოიშალა სა-ხეზე და ხარბად იყნოსაედა ალაზნის ველისეულ გამაბრუებელ სურნელს.

— ზვლიკებოვით მიუფუციხდით მზეს. არა გცხელა?

შავლეგომ თავი გაიქნია.

ბიჭი თმებს შუა უცქეროდა, როგორ იცინოდა მზე უსწორმასწოროდ გაფან-ტული წითელი კრამიტის სახურავებ-ზე. როგორ ლაპლაპებდა სოფელზე გა-მაეალი რუ და სოფლის ბოლოს ქალაში როგორ თვლემდა გალექებული მდინა-რე.

„საოცარია, — ფიქრობდა ბიჭი, — თითქოს მხოლოდ ტანი აუყრიაო. რო-გორ შემორჩა ბალობისდროინდელი სინორჩე და მიაპიტობა?“

— რუსუდან.

— რაო, შავლეგ.

— აკი, აყუდებულსა და კილობანში უნდა აესულიყავით ჩვენი ბალობის ნაკვალევზე?

— შენც ხომ იცი, როგორ მინდა, მაგრამ, რომ ვერ მოვიცალე?

— შენ მუდამ მოუცლელი ხარ. მე კი ბევრი რამ გავიგე უკვე.

— რა გიგე, შავლეგ?

— ის ადგილები თეთრწყლებისთვის გადაუციათ და ახლა ხევსურები აყუდე-ბულში კარტოფილს თესავენ.

— ის სათიბი გადახნულია?

— გადახნულია.

— მამ ადარც მყევალი იქნება, არც ანწლის ქობი.

— არა მგონია.

— კილობნის საძოვრები?

— ის ისევე იყალიოელებს აქვთ. ბი-ძაჩემის სიკვდილის შემდეგ პირი აღარ მიქნია იქით.

— მე ვიცი, რომ გოდერძი პაპას ერთი შვილი ჰყავდა, მამაშენი.

— დედის ძმა იყო, ზედსიმედ მისუ-ლი. უშვილიძიროდ გადაეგო საწყალი.

— ის ქობი მაინც იქნება, მეძროხე-ბისა.

— ის კი მგონი უნდა იყოს.

— გამოქვამული?

— გამოქვამულს რა დაანგრედა?

— წყალი ან მეწყერი.

— მეწყერი იქით არ იცის, წყალი კი ვერ მისწვდებოდა. ხომ გახსოვს, ჩემმა დამბაჩამაც კი კენჭი ვერ მოჰგლიჯა.

— როგორ შემეშინდა. მაინც რატომ გაგივარდა? ქამარში გქონდა გაყრილი.

— ამ წინებზეც ხომ ვიამბე?

— კიდევ მინდა. თავიდან მითხარ.

— მაინც მერამდენედ გინდა ვიამბო?

— მესაელ, მეთათსაელ, დაუსრულებლად. მითხარი, როგორ გაგივარდა.

— მაშინაც ვგრე გედო თავი ჩემს მუხლებზე და ტკბილად გეძინა. მარჯვენა ლოყის ქვეშ ხელები ტყუპად გქონდა ამოწყობილი. სახეზე ცეცხლის არილი დაგთამაშებდა. დროდადრო შეაცმაცუნებდი ტურებს და შემდეგ ისევ მშვიდად აფშვინდებოდი. გიკქეროდი და თვალს ვერ გაცილებდი... და მე საცოდავმა მძინარეს კოცნაც ვერ გაგიბედე.

რუსულანს ჩუმად, ტკბილად ჩაეცი-
ნა.

— ნუ ვიხარია, ერთი მაშინ ეს ჰკუა მქონოდა!

— მაშინ მეც ეს ჰკუა მექნებოდა.

— მე სხვა რამეს არც ვინატრებდი.

— ხომ გათევენე მთელი ღამე. მერე?

— არაფერიც არ მითევა. გათენები-
ნას მაინც ჩამეძინა.

— არა, არა, სანამ ჩაგეძინებოდა.

— ოჰ, რუსულან, როგორ გიყვარს ჩემი ყბელობა.

— არა, უნდა თქვა, სანამ ჩაგეძინებო-
და.

— სანამ ჩამეძინებოდა, ჩემი ნათქვა-
მი ზღაპარი მევე მივიღე სინამდვილედ. ახლა, თუ ძმა ხარ, ის ზღაპარი არ მო-
მეყოლინო.

— არა, ნუ გეშინია, ის ზღაპარი ზე-
პირად ვიცი.

— თითქოს ის კი არ იცოდე, რასაც
ახლა ვიამბობ.

— არა, უნდა ვიამბო. ეგ ადგილი მა-
ვიწყებდა ხოლმე.

— ჰოდა, ვაუკაცურად გავიძრე ქამ-
რიდან დამბაჩა, ფეხზე შევაყენე, კონ-
დახი ჩაებლუჯე და გადავწყვიტე დი-

ლამდე თვალმოუხუტავად მედარაჯნა
ჩემი მონაპოვარისათვის.

— ხანჯალი დაგვიწყდებოდა?
— ჰო, შიშველი ხანჯალი მარცხენაში
მეჭირა.

— მერე?

— მერე, გათენებისას მაინც ჩამეძი-
ნა.

— არა, სანამ ჩაგეძინებოდა.

— სანამ ჩამეძინებოდა, ვიყავი ეგრე
დაყუყუული ბუსავეთ და თვალს ვერ გა-
ცილებდი.

რუსულანი ჩუმად იცინოდა.

— მერე?

— მერე, ეტყობა, ჩამეძინა, დამბაჩა
ხელიდან გამივარდა. ცეცხლთან ახლო
დაეცა, ფისტონი გახურდა და იქექა.

— როგორ შემეშინდა!.. შენი ხბო კი
იმ ღამეს მგლებმა შეჭამეს.

— ეს ბუნების წესია. იმ ღამეს რაღა-
ცა უნდა შეეწირა: ან შენ უნდა ყოფი-
ლიყავი და ან ხბო. მადლობა ღმერთს,
ხბო შეიწირა!

რუსულანს გააყრეოდა.

— ესე იგი, ჩემს სიცოცხლეს შენ
უნდა ვიმადლოდე?

— მე არა, იმ დაკარგულ ხბოს.

— სამაგიეროდ, ქოსში მიტყეპას მე
გადავარჩინე.

— არა, ვაგლახად ვერც მაშინ გამო-
ბედავდნენ რამეს.

— მე რომ არ მიგეყვანე, მიგტყებლ-
ნენ.

— შენმა ნახვამ მომტეხა, თორემ არც
მაშინ ვიყავი უფრთო ანგელოზი.

— იცი, შავლეგ, როგორ ვიტყვებ, მა-
მამ რომ წამიყვანა?

— ვიცი, მაგრამ ის არ ვიცოდი თუ
მიზეზი მე ვიყავ.

— შინამდე გტეროდი. მერეც ვტი-
როდი, როცა იმ ღამეს ვიგონებდი ხო-
ლმე.

— მერე დაგვიწყდი.

— არ დამვიწყებინარ. იმ დღესაც გი-
თხარ, რომ არ დამვიწყებინარ-მეთქი.
ასე ადრე რატომ შეიხსენი ბანდი? აი,
ნაკერები ისევ გეტყობა.

— მერე რა არი, დღეს შევიხსენი.

— ბიჭებმა თქვეს: მუშაობის დროს იხსნის ხოლმეო.

— მოუტყუებიათ.

— ერთი უნდა მოვიდეს და მე თვითონ განაზო.

— რამდენი ხანია ეგრე იმუქრები და ველარ კი მოხველ.

— მაგ ჭყანტობს, შავლეგ, ჭერჭერობით ისე ვუყურებ, თითქოს მხოლოდ შენი საკუთარი სამფლობელო იყოს და იქ უტეზო ფეხის დაკარება ტაბუს დარღვევას უდრიდეს.

— მე თავადაც არ გირჩევ. ჩაიფლობი სადმე. როცა წვრილ-წვრილი არხები დაიტოტება და წყალი დაიწრიტება, მაშინ შეიძლება.

— კიდევ დიდი დრო დასჭირდება?

— ეგ ჩვენს ვაჟაკობაზეა დამოკიდებული. ბიჭები დაიქანცნენ. ალბათ, მოსწყინდათ კიდევ.

— მაგრამ მაინც ხატის ვერ გიტყვენ.

— თითქმის რალაც მაგდაგვარია. ახლა იციან, რომ იქ სტადიონს არ გაემართავთ.

— მე ვფიქრობ, მაგათ ადრეც იცოდნენ ეგა.

— ადრევე იცოდნენ. მაგრამ ერთად ყოფნისა და რალაც შეუძლებლის გაკეთების სურვილმა უბიძგათ. კიდევ იმან, რომ ძია ნიკო იმაზე ჭკვიანი გამოდგა, ვიდრე ვფიქრობდი; მაშინვე დამთანხმდა, როგორც კი ეუთხარა, რომ იქ მომუშავეთ შრომადღეები ორმაგად დასწეროდათ.

— ბიჭებმა იციან?

— იციან. თანაც რეზინის ჩექმები მოგვიტანეს.

— ეგ საიდანლა მოიფიქრა ძია ნიკომ?

— მაგას ძია ნიკოსად ვერ დავიჭერებ. მგონი ვხვდები, ვისი ოინიც არის. ტყუილად კი არ ჩამოდიოდა ხოლმე თეიმურაზი: თუ სულ ასეთი დღეები დაიჭირა, შუა ნოემბრამდე მოვათავებთ.

— თუ ამინდი გაუარესდა?

— ზამთრის პირამდე მაინც მოვრჩები. ბიჭებს შევპირდი, იქვე აღვნიშ-

ნოთ დამთავრება, თუნდაც ყინვა მიწას ხეთქავდეს.

— საწყლები, მგონი ^{არქივენილი} რეგულარულად მბიან.

— როგორც ვანკა მეორე ალავერდობას.

— ალავერდობას ნულარ გამახსენებ.

წელს არ მოხერხდება მაგისი მოხენა?

— რატომაც არა, თუკი გაშრება.

— თუ ასეთი დღეები წავიდა, გაშრება.

— უფალმა გისმინოს.

— ფლორა მყავს შეჩენილი. წავიდეთ, ვნახოთ, როგორ მუშაობსო.

— შენც წამოიყვანდი.

— აუცილებლად წამოიყვან და მოვალ.

— წამოიყვია. ალბათ, სოფელში ამის მეტად არა ყოფილა.

— სოფელში რა წაიყვანდა, კურორტი არ დარჩენილა მაგისი უნახავი.

— დღეს რალაც არ ჩანდა.

— თელავს წავიდა, თორემ ჩვენთან ყოფნის შემთხვევას არ გაუშვებდა.

— თელავს უშენოდ?

— მერე რა მოხდა, მამას დაურეკავს.

— ჭალისპირშიც ხომ გვაქვს ტელეფონი?

— ვითომ არ იცოდეს ჩვენი ტელეფონების ამბავი. თელავიდანაც კი ჭირს დარეკვა.

— აკი არ მოსწონდა აქაურობა?

— გაგისულულებია საწყალი გოგო. ადრე იცნობდი?

— აბა, საიდან უნდა მცნობოდა?

— მაშ რატომ თქვა. მგონია, მთელი საუკუნეა ვიცნობო.

— იმ დღეს ხომ შენ თვითონ მითხარ. შენზე ვწერდი ხოლმეო.

— თბილისში გაქცევას აპირებდა. ახლა გაგონებაც არ უნდა.

— მეტი რა გინდა? მარტობას უჩიოდი და ახლა მეგობარი გვერდით გეყოლება.

— შავლეგ.

— კიდევ რაო, რუსულან?

— ის წერილი მართლა ფოსტით გაგზავნე თუ შენ მიუტანე?

— რომელი წერილი?
 — მე რომ გვატანე მაშინ თბილისში.
 — აკი ვითხარი, ფლორა არ მინახავს-მეთქი?
 — საიდუმლოაო, რალაცას რომ ამბობდი?
 — ეხუმრე, შენთვის რა უნდა მჭონდეს საიდუმლო?
 — მაშ ვინ ვითხრა, რომ განათხოვარი იყო?
 — არავინ. მეც არ ვიცი, როგორ წამოძვდა. არაფერი ეტყობა გათხოვებისა.
 — არ ეტყობა. გათხოვების შემდეგ უფრო გაკეთდა კიდევ.
 — ზოგ ქალს, პირიქით, წაახდენს ხოლმე გათხოვება.
 — ზოგ ქალს წაახდენს, ფლორას კი მოუხდა. შენ რა მართლა რამე გეხმის ქირომანტიისა?
 — რა ქირომანტია, შენ გელოდებოდი და დროის გასათრევად ვიბურქავლე.
 — ეს ქუდი სულ წამართვა, თავიდან აღარ იშორებს. თელავში აღარ გავატანე. არ მიყვარს ჩემი რამე სხვის ტანზე. მითუმეტეს ეს ქუდი.
 — ქმარს რატომ დასცილდა?
 — ათას რამეს იმიზეზებს. მენანება საწყალი ბიჭი.
 — არა ჩანს დასანანი.
 — რატომ?
 — რომ ვარგებელიყო, არ გაუშვებდა.
 — ყველა შენსავით ხომ არ იქნება?.. მითხარ, ჩხუბისთავო, რამდენი ხნის შემდეგ მიცანი?
 — მერამდენედ მკითხავ მაგასაც?
 — ასმეერთედ. მითხარ: ქყანტომში შეხვედრის შემდეგ როდის მიცანი?
 — აკი ვითხარი, თითქმის ძია ნიკოსთან შეხვედრისთანავე.
 — სტყუი. მაშინ არ გიცვნივარ.
 — არა, ღმერთმანი, როგორც კი ძია ნიკომ რუსულდანი ახსენა, მაშინვე გულში გაეკრა.
 — მაშ რატომ გაიქცეი?
 — არ ვიცი, შინაგანი ალლოთი ვიგრ-

ძენ, რომ იმ წუთს უნდა წავსულიყავი.
 — მერე რატომღა გამიბრბოდი?
 — ძალიან მტრულად შემხედვი. თვითონაც კარგად არ ვიყავი დარწმუნებული, რომ არავინ არ გიყვარდა დღემდე.
 — მე შენ მიყვარდი. ყოველთვის მიყვარდი. იმ დამის შემდეგ ყოველთვის მიყვარდი: სკოლაშიც, ინსტიტუტშიც, აქაც. ყველგან, ყოველთვის. ნინო მეხუმრებოდა ხოლმე თავის მაზღზე. ვიცოდი, რომ ასპირანტი იყავ. მაგრამ არ ვიცოდი თუ შენ იყავ. მწყემსები სხვა სახელს გეძახდნენ მაშინ.
 — ეგ მე ვითხარი. მეტსახელი იყო.
 — არა, მე თვითონაც მახსოვდა. ყოველთვის მახსოვდა... მერე კი ვეღარსად გნახე.
 — ღმერთი, ალბათ, ქყანტომს ამზადებდა ჩვენს შესახვედრად. რამდენჯერმე კი ჩამოვედი ამ სამ წელიწადში.
 — მო, ნინო იტყოდა ხოლმე მერე.
 — ამ ზაფხულს რატომ აღარ მოდიოდი ჩვენსა?
 — მეგონა, რომ წაიტრახახე ქყანტომში მომხდარზე. არ დაგიმალავ, დიღხანს ვერ გიცან. ძალიანა ხარ გამოცვლილი.
 — ეტყობა, მართლა გამოვიცვალე.
 — თქვენებს მხოლოდ ომში გადაღებული სურათი აქვთ. ის სურათი ახლაც არა გგავს.
 — ბალობიდან მძულდა სურათების გადაღება. მეგონა ულამაზო ვიყავ. არც სკოლის სურათები მაქვს, არც უნივერსიტეტისა. მხოლოდ რამე საბუთისათვის თუ გადამიღია. ახლაც, მომკალი და ფოტოგრაფის წინ დამაყენე.
 — ჩვენცა გვყავდა ინსტიტუტში ერთი ასეთი. მაგრამ ის ძალიან ღრჭუ ვინმე იყო.
 — არც მე ვარ დიდი ანდამატი. ჩვენი ფაქულტეტის გოგოები გამომიტყდნენ: სანამ ახლოს გაგიცნობდით, შენი ძალიან გვეშინოდაო.
 — როდის დარწმუნდნენ შენს კაცობაში?
 — ერთ ზამთრის ღამეს ერთი გოგო წაველიჯე ზულიგნებს საბურთალოზე.

ხომ იცი, ჩვენი თბილისელების ამბავი, უყურებდნენ, როგორ მიათრევენ და კაცი არ მიშველებია. მერე როგორი საცოდავი ხმით ითხოვდა შველას... გვიან შევასწარ თვალი დანას. მარცხენა მაჯა-ავჯარი და გულს ავაცდინე. მაშინ კი გავმწარდი... სხვები გაიქცნენ, ის ერთი ველარ წავიდა. მერე გავიღე მხარზე და მილიციაში მივიტანე... მეორე დღით მივაჯიოთხე და — რა დაგიკარგავს, რას ეძებ? ვისაც ჩავაბარე, ვეუბნები: ხელიგანი იყო, ქალს შეურაცხყოფას აყენებდა. აი, ჭრილობა, მაჯაში დანა გამიყარა... გაგიგონია? აქეთ შემომიტია: ხელიგანი შენ თვითონ ყოფილხარ, ცემით მოგიკლავს ბიჭო... ეტყობა „გაპოხეს“ და გაუშვა. რა უნდა მეთქვა? გაგიხარია, გადმოვიღე იქიდან და ნაფუტქრალი დათვივით ვაღრიალე... კეცხოველმა მიშველა, თორემ ჩამაყუდებდნენ... უნივერსიტეტის სტუდენტი აღმოჩნდა ის გოგო.

— მაშასადამე, დადიხარ ქვეყნად და სიკეთეს თესავ დონ-კიხოტოვით.

— შენ ნურასოდეს ნუ დასცინებ დონ-კიხოტს. დასაბამიდან ყოველი დიდი საქმე დონ-კიხოტებს წამოუწყიათ... იქნებ ამასაც დონ-კიხოტობად თვლი, რისთვისაც ჩვენ დღეს აქ ამოვედით?

— არც ნაკლებია. ეს ადგილი ვაზისათვის უვარგისია.

— რატომ ვითომ? ვაზს ხომ სწორედ ეგეთი ადგილი უყვარს?

— ამ ფერდობებსა და ფლატეებზე ძნელია, შავლეგ, ტერასების გაკეთება.

— სიმწელისა არასოდეს არ შვინებია. როგორც კი ჭყანტობს მოვრჩები, ამ ადგილს მოვაყრი ჩემს ბიჭებს.

რუსულანს გაეცინა.

— ამ ფლატეზედაც სტადიონს ხომ არ მოიმიზეზებ?

— არც საჭიროა მომიზეზება. ამ შემოდგომასა და ზამთარს გავბღერტავთ აქაურობას.

— არ გეხუმრები, შავლეგ. ალაზნის ვაკის მარცხენა მხარის მიწები დიდად განსხვავდება მარჯვენა მხარის მიწებისაგან. აქ უფრო დანალექი, უკირო ნია-

დაგები სჭარბობს. ასეთ შემადღებულ ადგილებში კი მცირე სისქისა და ღორღიანია. შეიძლება ვაზის ჩაყრა მოხერხდეს, მაგრამ უმთავრესი შოულა და დაშუშაებაა. აბა, გაიხედე, პირუტყვის ნავალი ბილიკები კენჭებით არი მოფენილი. ნახე, ბალახებიდანაც მხოლოდ ურო-ბალახა ხარობს.

შავლეგომ წამოიწია და წამოჯდა. ფეხები გოდლის თავზე ჩაჰკიდა და ჩახრიალას ფლატესა და ციხის გორაკის ფერდობებს გაჰხედა. ერთხანს დაკვირვებით ათვალიერებდა. რაღაცაზე დაძაბულად ფიქრობდა.

— განა აუცილებელია ვაზი იყოს? ხეხილს დავრგავ. უფრო იოლიც არი და არც იმდენი მოვლა სჭირდება. მთებში მინახავს, კლდის ნახეთქებში რა ხეები დაზრდილა. ფესვს ბევრი კი არ უნდა, მცირე ნაპრალიც საკმარისია. აი, აკაკი სად არი ამოსული! არსად მიწის ნასახი, მხოლოდ ქვიტკირია. ამ ფერდობებზე წინათ დიდებული ტყე ყოფილა. პაპაჩემიც კი მოსწრებია ამ ციხის ახლო რამდენიმე მუხას.

რუსულანმა თავი გაიქნია.

— მუხამ და აკაკმა შეიძლება იხაროს. ვაშლი, მსხალი და ატამი კულტურული მცენარეებია. ძალიან გაუქირდებით უწყლოდ.

— ვინ ამბობს უწყლოდ დაეტოვოთ? მოფიქრება უნდა... შეიძლება ციხის გადასწვრივ ბერხევაში წყალსაქაჩიც დაიდგას. მაშინ მთელი სათავისგორა წარაფებ-ჩახრიალას ფლატეებიანად მოირწყვება. მერე ხომ ველარ მოიმიზეზებთ მიწის სიმცირეს.

— სიმცირეს აღარ. მაგრამ სიმწირეს კი აუცილებლად.

— უჰ, შე აგრონომო, თითქოს არ იცოდე სიმწირის წამალი.

— აბა, რას ამბობ, შავლეგ, სოფელს კლები ვერ აუშენებია და შენ გინდა აქ წყალსაქაჩი დადგა?

— ყველაფერი მონდომებაა... მოიცა, რუსულან, ის მიწები რა იქნა, რევანმა რომ ხალხს ზედმეტი აღმოუჩინა და ჩამოართვეს? ან აღრინდელ ჩამონაჭრებს

რას უშვრებით? რამდენადაც ვიცი, შამბ-კაქაშის ანაბარად არი მიტოვებული. აბა ერთად შეკრიბე, რამდენი იქნება? რატომ ხმას არ ამოიღებ? მე ყველა მათგანს კაცის მკვლელობას გავუტოლებ, ვინც გლუხს მიწას ჩამოაჭრის და მერე აღარც თითონ მოიხმარს და არც აღრინდელ პატრონს მოახმარს.

— ისე მიყურებ, თითქოს მაგაში დამნაშავე მხოლოდ მე ვიყო. მაგათი ერთად შეკრება შეუძლებელია და უბედურებაც სწორედ ეს არი. აღრინდელ პატრონებს დამუშავების უფლება არა აქვთ, კოლმეურნეობა კი საკარმიდამო ნაკვეთებშია მიმოფანტულობის გამო ვერ ამუშავენ. ხანდახან თუ მივუგდებთ ხოლმე რომელიმე ეფრემას მოწყალების ძვალავით. ამაზე მართლაც ღიჯს დაფიქრება.

— დაფიქრება კი არა, მოქმედებაა საჭირო. ჩვენ გამგეობის წევრები ვართ, დღესვე მივიღეთ ძია ნიკოსთან.

— ხომ არ დაგაფიქვდა დღეს რომ კვირაა?

— როგორც ვიცი, კვირაობითაც კანტორაშია სადამოობით. არადა, შინ მივალთ.

— მინდოდა რევაზიც წამოსულიყო... რევაზი კი შინ არ შემოვა.

— მართალია, არ შემოვა. და მგონი სიამაყის გარდა, კიდევ სხვა რაღაც უნდა აკავებდეს.

— თამარს გულისხმობ? კარგი გოგოა, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი აქვს: ყველა რატომღაც მტრად მიაჩნია, ვინც მაგის მამას სიტყვას უბრუნებს. მეც ამისათვის ამითვალწუნა.

— ოჰო! ეგ უფრო საშიში და ანგარიშგასაწევი მიზეზი ყოფილა.

— მებრძოლი ბიჭია. დიდხანს ვერ გაუძლებს.

— რა ეშმაკად მინდა რევაზი? მე უკვე ხელი ჩავიქნიე რევაზზე. გუშინ მთელი დღე მაგასთან ვიყავი და კედელს

ცერცვს ვაყრიდი. რაღაცნაირად გულჩათხრობილია. რაღაც ინერტული ვახდა. რაღაცას ბუღარაობს თავისთვის სახლში.

— იმ ამბავმა ძალიან იმოქმედა. არ მეგონა, თუ ეგრე მოსტეხდა. თავმოყვარეა და ამაყი. ვერ აიტანა ის საზიზღარი ბრალდება.

— ჭირსა შიგან გამაგრება... მე მოქმედების კაცი ვარ, — აბა, წამოხტი და ერთი ეს გორა-ფლატეები დამათვალიერებინე. როგორ შეიძლება, რომ აქ ტერასები არ გავეთდეს და ხეხილმა არ იხაროს. ხვალვე მივუხტები ძია თომას და მოველაპარაკები. გვალვის გამძლე ჭიშები უნდა შეიჩრჩეს. პანტისა და მაჟალოს ძირებზე დამყნობილი. აბა, წამოხტი!

— ხელი მომეცი და ავდგები. შავლეგო დაიხარა, კოხტა ცხვირის წვერზე აკოცა და ხელში აიტაცა.

— ქუდი, ქუდი, ქუდი? — დაიძახა ქალმა, როდესაც ბიჭმა მკერდზე აიხუტა და მერხოდან ქვევით დაუყვა. — სხვა ქუდის ყიდვას ხომ არ აპირებ კიდევ?

ბიჭი მობრუნდა, ქუდი აიღო და მერე ნანგრევიდან ნანგრევზე გადაბტა.

ქალმა მსუბუქად შეჰკივლა, ხელები კისერზე მოხვია და სახე მის მკერდში ჩამალა.

— ნელა, შავლეგ, ხელიდან არ გაგივარდე.

შავლეგო შედგა და გაიღიმა.

— რაც ბუნებურთა ტორებში მოქცეულა, იმას ეგრე ადვილად არ უშვებენ ხელიდან.

ქალმა თავი აიღო და თეთრი, მაგარი, წვეტიანი კბილები დაიხაზა. პირველად ხედავდა ასეთ ღიმილს ბიჭის სახეზე. მზერა ვედარ გაუმართა, თვალები დახუჭა, კიდევ უფრო მიეკრა მკერდზე და რატომღაც თავისთვის გაიფიქრა: „მეგული!“

. . .

თუგინდ ქვეყანა, სამყარო სრული
ნახო, დალაზო, გადაიარო,
მოგენატრება შენი ნააფი,
შენი ორღობის აყალოს სუნი.

მოგენატრება მტკვარი ფეხმარდი,
თბილისის თავზე მკრთალი ნათელი...

ასეა, რაც შორს წაფა ქართველი
სამშობლო უფრო ახლოს ეხატვის.

იქნებ ეს არის სურვილი ძველი...
ბავშვიც პატარა ჯერ უკუდგება,
რომ გამოიქცეს და მშობელ დედას
უფრო მსურვალედ მოხვიოს ხელი.

თუჩქეთის ქართველებთან თქმული

ძმებო ლაზებო, შავშნო, მესხებო,
აჭარელნო თუ არტანუჯელნო,
მოულოდნელად თქვენთან შეხვედრა
ლამის თვალუმსაც არ დაუჯერო.

შუბლზე გეტყობათ ოშკის ბზარებად
ნაიარევი ბედის, შავბედის.
დადუმებულხართ ტბეთის ზარივით,
დაღონებულხართ, როგორც შატბერდი.

აქ, ამ მიწაში სძინავთ წინაპრებს,
მათი ძვლებია აქ ჩამარხული,
ხოლო თვალები თავს დაგვბრწყინავენ,
როგორც სანთლები ძველი ხახულის.

გულში ქართული სისხლი გიღვლავთ,
ჭულშიც ქართველის მზე გაქვთ ჩაფანტული,
ნენემ ქართული ნანა გიმღერათ,
ნენემ გასწავლათ ენა ქართული...



კურთხეულ იყოს დედა ქართველი,
 თქვენ რომ ვძახით ნენეს ალერსით;
 მისი ჭაღარა თმების ნათელი
 ნამუსის შუქად გიდგათ თვალებში.

ძველ სალოცავებს თავს დასტრიალებთ —
 შერჩეთ ჩუქურთმა, შერჩეთ ნახატი.
 რას ვიფიქრებდით — მაკმადიანნი
 რომ ქრისტეს ტაძრებს შეგვინახავდით.

თუმცა რას ვამბობ... ძველი ამბავი
 ჩად გამახსენდა — გთხოვთ მომიტვეთ,
 ისე მცირეა ჩვენი მთა-ბარი
 ქრისტეც, მაკმადიც ვერ დაეტყვა?!


ჩვენ ღმერთი ბევრი გამოგვიცვლია,
 ღმერთი კეთილი, ღმერთი მრისხანე.
 ყველა მათგანი კრძალვის ღირსია,
 დაგვრჩა მათი მზის თითო მისხალიც,

მაგრამ სხვა არის სული ქართული,
 ის ყველა ღმერთზე უფრო მძლავრია.
 უკვდავ მირონით ხარ განათლული,
 თუ შუბლზე მისი შუქი გავლია.

მაშ, გვწამდეს ჩვენი ღმერთი საერთო,
 დედა-სამშობლო — ღმერთი უცვლელი.
 მის სამსხვერბლოზე ცეცხლად დაგენთოთ
 და დავიფერფლოთ მისთვის გულწრფელად.

მაშ, გაუმარჯოს ამ ჩვენს შეზგედრას,
 ერთმანეთი რომ აღარ გვეთმობა...
 ეს გაუმარჯოს ტანჯვით შენახულ,
 მალევით შენახულ თქვენს ქართველობას!

თურქეთი
 სოფელი მაჭახელა



სენტიმენტალური უემთხვევა

ჯონათანი სპროვინგი

ბრონემატარებელი, რომელზედაც ორიოდ თვის წინ მეთაურის მოადგილედ დანიშნეს, პაწია სადგურ სენიავინოსთან იდგა. მამაცი ბიჭებით დაკომპლექტებულ ჯაგანოს არაერთი გმირული საქმე მოემოქმედა და ამიტომ სახელიც შორსა ჰქონდა გავარდნილი.

სენიავინოს ოპერაციისას დროს ჩვენს ბრონემატარებელი დღეში რამდენჯერმე მოუხდა მოწინავე ხანაძე მისვლა და იჭიდან მტრის გამაგრებული პოზიციების არტილერიის ცეცხლით შემუსვრა.

შენიღებისათვის არც დრო იყო, არც საშუალება. ამიტომ ჩვენც საამჟამოზე ვმოქმედებდით. ბრონემატარებლისათვის კი ეს მეტად სახიფათოა, რადგან საემაბისია წინ, ან უკან, ლინდავი დაუხიანონ, რომ ჯაგანო გადაადგილების უნარს დაკარგავს და მტრისათვის, რომ იტყვიან, ხელის გულზე აღმოჩნდება. ასეთ შემთხვევაში კი მოწინააღმდეგის ავიაცია და არტილერია სულ ადვილად უმკლავდება ამ მრისხანე ძალას.

... თბილი, მზიანი სექტემბერი ჩვენთვის წარმოუდგენლად მძიმე აღმოჩნდა.

ისე დღე არ გავიდოდა, რომ გენერალ კირილიას ავიაციის ბომბდამშენებს ორსამაჟრ მიიღე არ ამოეღებ მისხანში. რაც შეეხება გერმანელთა არტილერიას, მისგან ზომ მოსვენება არა გვექონდა. არანაკლებ კარგად მუშაობდა მათი არტდამგვრავიც: გაუხსნიდით თუ არა ცეცხლს — მტრის რამდენიმე შორს-

მსროლელი ბატარეა მაშინვე საბასუხო დარტყმით გვიმასპინძლებოდა.

ერთ თვეში, არ დაგვრჩენია არც ერთი საბრძოლო პლატფორმა, რომ მასზე ქვეშეხი არ შეგვეცვალის. თვით პლატფორმები ზომ წარამარა შესაყებელი იყო. ვარდა ამისა, უთვალავჯერ დაგვიზიანეს შეჯავშნული ორთქლმავალი, ხოლო ე. წ. „შაეი“ (ანუ ჩვეულებრივი), ზარე სამაჟრ გამოგვიყვანეს მწყობრიდან.

მაგრამ ყველაზე მძიმე დღე მაინც აღამაინებს ადგა; ჯაგანოს შემადგენლობის ორ მესამედზე მეტი პოსპიტლებსა თუ მედსანბატეში იწვა, ხალხი თითქმის გაგვიჩაყვარდა.

ამ ყოფაში ვახლდით, როცა ბრონემატარებლის მეთაური მძიმედ დაიჭრა. მეთაურის შეცვლა მე მომიხდა.

მეთაურთან ერთად დაგვარგეთ გამოცდილი ექიმიც და ზურგში მისი ევაკუირების შემდეგ გამოუცდიელი ექთანის ამარაღა დავრჩით. ეს გარემოება ძალზე მაწუხებდა, რადგან პირველი დახმარების ზვირთან აღმოჩენა აღარაის შეეძლო.

ერთ დღეს, როცა ვახტანგული სროლა გვექონდა და მდინარე ეოლხოვის მარცხენა ნაპირზე ჩამწყვრივებულ მტრის ნაღმსატყორცებს ცეცხლს უშენდით, თანაც უორნებით შემოსეულ „მესერშიტეტს“ საზენიტო ტვიამფრტვევებით ეიგერიებდით, საკომანდო ხილურზე, ჩვენი ზემდეგის თანხლებით, ვილაც ბეჭვანიერი და კარგად ჩასკენილი ოფიცერი ამოვიღა.

ახლადმოსულს ვიწრო სამხრებზე შევხედვ და მაშინვე მივხელი, რომ ექიმი იყო. მისი ეინაობის შეტყობა მომიხდა, მაგრამ ვამოსალამარაკებლად დრო ვერ დავიხელეთ — ჩამარწყული ხით გაუვიროლი, თანაც ძალღონეს ვძაბავდი,

1 ლენინგრადასა და ეოლხოვის ფრონტების მიერ ჩატარებული ოპერაცია 1942 წლის სექტემბერში. მიზნად ისახავდა ლენინგრადის ბლოკადის გარღვევას. ეს ოპერაცია მარცხით დამთავრდა.

რათა ხმა ყველა პლატფორმაზე მიმეწვდინა. უზარმაზარი ზარბაზნების ბათქისაგან ჯავშანო აკანთით ირწოდა და უფრთხამენა აღარ იყო.

ქალბარაშვრთულმა ოფიცერმა დაინახა, რომ ახლა მისთვის არ მეცალა და განზე გადავა.

მოუცლელობის მიუხედავად, დრო და დრო წარბეჭევიდან გავხედავდი ზოლზე უცნობს: მსიამოვნებდა მისი სიღინჯე და უშიშარობა.

არაერთხელ მინახავს, როგორ მისდობდათ ფერ-ფერი რაიმე შემთხვევის წყალობით ზვენთან მოხვედრილ უცხო ოფიცერებს. საფრთხე და შეუზრველი გრუხენი გვარაინად „შეაჭინ-კყარებდა“ ზოლზე მათ. ეს კი ისე იქცეოდა, გუჯონებოდა ჩვენს ჯავშანოზე დაბადებულყო.

ახლადმოსული პლატფორმის კუთხეში ჩაცუცქდა, გაქონილი პილოტურა თვალზეთან მიიზრდილა და ცაში მოზუზუნე „მესერაშიტებს“ ბრძოლაში ნაწრთობი კაცის აუღეღეღობით თვალთვალს დაუწყო.

სწორედ ამ დროს მეოთხე პლატფორმასთან მძლავრი აფეთქების ხმა გაისმა. წამიც და შეგუბტყობინეს — ხალხი დაიქრა.

დავინახე, როგორ სწრაფად წამოიძარა უცნობი ოფიცერი, როგორ მსუბუქად ჩახტა ძირს, და რა დიდი სიშარდით გაიქცა ჯავშანოს ბოლოსაკენ.

მთელი ნახევარი საათი სიკვდილ-სიცოცხლის სახლვარზე ვიშყოფებოდი.

ოთხმა „იუნკერსმა“ ამ ტონაზე მეტი ფუგაური ბომბი დაგვყარა.

ღრუბლების ზემოდან ირაოდ მეყინათვმა ბომბდამშენებმა თხუთმეტამდე კაცი შეიწირეს და შეიღი დავეიქრეს, თვითონ კი უნებლად წავიფიქრენ.

აი, სწორედ ამ ცხარე წუთებში გამოიჩინა თავი ახლადმოსულმა, იგი ჩვენთან მოვლანე-ბული სამხედრო ექიმი აღმოჩნდა.

ჯერ კიდევ არ გამეცნო, რომ ჩემამდე უკვე მოაღწია მისმა ქებას. ვინც მეოთხე პლატფორ-მიდან მოვიღოდა, ყველა ერთხმად იმეორებდა — ახალი ექიმი საჰმის ჩინებული მცოდნე და მამიდა კაცი უოფილა.

შეწყდა თუ არა „იუნკერების“ ხამუშ-ხამუშში გუგუნი, მაშინვე მეოთხე პლატფორმისაკენ გავეშურე და დაჭრილთან ჩაბუქულ ექიმს თავზე წვაადექი. იგი ექთანთან ერთად, ჩემს საყვარელ სერჟანტს, მეოთხე ქვემების დამზი-ნებელს, ზოლბინს, მარჯვენა ფეხზე არტაშენებს ადებდა.

ზაფრანისფრად გავვითლებული ზოლბინი პლატფორმაზე გამოტოლი იწვა და მის გასისხ-ლიანებულ, შარვალშემოხებულ ბარძაყთან ორი

წყელი ხელი ფათურობდა, თავქვეშ დახ-ვეული შინელი შეედოთ.

საშინლად მეწყინა ამ სერჟანტი უფკაცის ასე მიმედ დაჭრა.

მომკრა თუ არა თვალი, სერჟანტი წამოი-წია, გალურჯებული ტუჩებით ნაძალადეოდ გა-მიღიმა და გაკვირვებით გამოსტკრა:

— დამათვრდა ჩემი შეგომრობა, აწი ველარ გამოვადგები...

დაჭრილთან ჩაბოქილმა ექიმმა, წამით ამო-ხედა, მერე ისევ საქმე განაგრძო, თან ვითომ სხეთაშორის, მკაცრად უთხრა ზოლბინს: — ახლა ბოდიშების დრო არ არის, წყნარად იწე-ქი, და ხელს ნუ გვიშლი...

დაჭრილს მივეხალგოდი, მის სასთუმალთან დავიხარე, წამოწეული სერჟანტი ფრთხილად უნარე მივაწვინე და რაც შეიძლება დამარ-წმუნებელი ზმით ვანუგეშე:

— ნუ წუხარ, ჩემო ზოლბინ, სულ მალე მორჩები.

— მორჩები კიდევ და იცვლებ კიდევ. — ისეთივე სიმკაცრით წარმოთქვა ექიმმა და ზე-ზე წამომდგარი წელში გაიძარა.

ახლად შევნიშნე, რომ ორი თავით ჩემზე მაღალი იყო.

დასველებული დოლბანდით ხელები აუჩქარებლად გადაიწმინდა, გაქონილი პილოტურა თავზე დინჯად შემოიღო და მოულოდნელად ზამბარასავით გაშლილმა, ფეხის-ფეხზე მკვეთრი შემორტყმით რიხბანად მიბატაკა:

— სამხედრო სამსახურის კამიტანი დიმიტ-რიევი, გამოგზავნილი ვარ თქვენს განკარგუ-ლებაში.

მადლიერებით ახეხედი მის დიდრონ, ხშირ-წამწამა თვალებს და ხელი მგარად ჩამოეარ-თვი.

— მამატიეო, აქამდე რომ ვერ წარმოგი-ღეით, ჯერ თქვენ არ გეცალათ, მერე კი მე-თავდაქერილად მომმართა მან და ბავშური უშუალოებით გამიღიმა.

პირველ შეხედვისთანავე მომეწონა მისი სათნო სახე, დაფუთა ქვერა თმებიდა და შევიდი ცისფერი თვალბოთი.

საომარ ვითარებაში აღამიანთა დაახლოება სასწაულებრივი სიჩქარით ხდებდა, როცა ექიმს გუცქერდი, ასე მეგონა უკვე დიღბნის ნაც-ნობები ვიყავით.

ალბათ ამიტომ, ხელი მოვხვიე, რათა თან გამეყოლებინა და მაშინვე, ვეგრძენი, რომ ამ ბრგე ვუყავს პირდაპირ გოლიათური მკლავები ქონდა, თანაც ისეთი განვითარებული კუნთუ-ბით, რომ ყველა სპორტსმენს შეშურდებოდა დაჭირებულს ჩამოეუარეთ. ჩემდა გასაკვირად ახალ ექიმს ყველას მიხედა მოეწყრო და პოს-პიტალი გასამგზავრებლად გავმზადებინა.

სათითოდ გამოველაპარაკე, რაც შემიძლო გავამხებდი, რამდენიმეს იქვე განუცხადე, რომ

ქოლდოზე ვარდგენ და მოთენთილ-გულდაძმა-
რებული ისევ ჩემი ხიდურისაკენ ვავემართე.

ზემოდან ვუთვალთვალე, როგორ ფრთხი-
ლად დაწვენიან ექიმმა დაქირებულნი მებრძო-
ლებს „გაზიკის“ ძარაზე და როგორ ვაგზავნა
ექიმის თანხლებით ზურგისაკენ.

მაგრამ თვითონ როდი გაჰყვა მათ, ჩვენთან
ღარა...

ესეც მომეწონა: მას შეეძლო მიმხედ დაქ-
ირებულის შოგლა მოეხიზნებინა და დროებით
შინც გასცლოდა სახიფათო ბრონემატარე-
ბელს.

შოგლი კვირა ნამდვილ ქოჭოხეთში ვიმყოფე-
ბოდით.

დღე-ღამეში ჭურვების რამდენიმე საბრძო-
ლო კომპლექტს ვხარჯავდით. ჭვემებთან ლი-
ნერებში ერთნაირად დაგვიცვდა და შარავშიც
აღარაფერი გვეონდა.

ჭარბისაკეცილი თოვლივით შემოგვადნენ ხელ-
ში: გათვლების შეთარებები, დამინუნებლებიც
იყვნენ და მსროლელებიც.

ამ გაჭირვებაში, ექიმში, როგორც იტყვიან
დღისწევლობასავით მოგვევლინა. იგი გა-
მოცდილი დასტაქარი გამოდგა და პირდაპირ
საწაულმოქმედებდა ხელი ჰქონდა. ვინ იცის,
რამდენ ადამიანს გადაურჩინა სიცოცხლე.

თავისი განუხრელი პირველი დახმარების წინ-
თით ხელში, ეს დაუღლელი უკუკაცი სწორედ
იქ განიღობოდა, სადაც საფრთხე უშუალოდ
მეტი იყო.

განუწყვეტელ განჯავებში ნახევარმა თვემ
დღე-ღამესავით გაიბრძინა.

ამ ხნის განმავლობაში ექიმს ხეირიანად არც
კი გამოვლამარაკებოვარ. ამიტომ თითქოს
ვიცნობდეს კიდევ, და არც ვიცნობდი.

ფრონტზე უველიზე მთავარი ღირსება სიმა-
მავე და მხნეობაა. ექიმში ორივე ამ თვისებით
უხეად იყო დაჭილდობებული და ამის გამო
უველას უყვარდა. თუმცაღა მისი ხასიათის სხვა
ნიშნები არაგინ უწყობდა. არც მისი წარსული
იცოდა ვინმემ. იგი კი, ორმოცდაათწელს გადა-
იკლუნებული იყო და, მაშასადამე, ცხოვრების
ნახევარზე მეტი, უკან ჰქონდა მოტოვებული...

შეუმჩნევლად წამოპარულმა ზამთარმა ჩრდი-
ლო რუსეთის ამ ლამაზ მხარეს თოვლის სუ-
დარა გადააფარა.

განუწყვეტელმა თოვამ და სუსხიანმა ჭარ-
ბქმმა მტრის ავიცოდა შებოჩკა. საომარი მოქმე-
დების შენელებაში კი დასვენებისა და გამოძი-
ნების საშუალება მოგვეცა.

შოგლი ზაფხული და შემოდგომა ფოლადით
შეჯავშნულ, პლატფორმებზე ეყვდებოდა. იქ გვი-
ძინა, იქ გველიძია, იქ გვიამდით, იქ ვღიზნობ-

დით. ახლა, როცა სიწყნარე ჩამოვარდა, ჩვენი
ბაზის მონახულების საშუალებაც მოგვეცა.

ეს მონატრებული „ბაზა“ წარმოადგენდა. სა-
ცხოვრებლად გადაკეთებულ ათობდგ საქვირ-
თო ვაგონს და ერთ სამგზავროს, ოფიცრებისა-
თვის, მისთვის რატომღაც „სალონვაგონი“ შე-
ერქვათ. ამავე „სალონში“ იყო მოთავსებული
„წითელი კუთხეც“, ყდებმოცლილი წინაყეებით
და პოლიტიბუროს წევრთა გაყვითლებული
სურათებით.

ნავიბარე თუ არა ბრონემატარებელი, ეს
გრძელი, უშინო, მინებ-ჩამტვრეული სამგზავრო
ვაგონი „რკინიგზის სამხედრო სასახურს“
ე. წ. „BOC“-ის გადავიცი, ოფიცრებს კი ორ
ჭკველ ვაგვივი და ორ პატარა ვაგონში და-
ვაბინავე.

პირველ ვაგონში მე ვუფროსობდი, მეორეში
ჯავშანოს კომისარია.

ჩვენს გარდა თითოეულში ოთხ-ოთხი ოფი-
ცერი დაბინავდა. ჩემს ვაგონში ცხოვრობდნენ:
მეორე საცეცხლე ოცეულის მეთაური, ლეი-
ტენანტი ჩერნიშოვი; მეტყუიამტრქვევეთა ოცეუ-
ლის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი პანოვი;
რკინიგზის ტექნიკოსი, უმცროსი ლეიტენანტი
პერესიპკინი და საპროექტორო ოცეულის მე-
თაური, ლეიტენანტი სენატოროვი. კომისარმა
ექიმში თავის ვაგონში დაასახლა.

ენაყვიმატმა მებრძოლებმა ჩვენი „სალონისა-
გან“ განსხვავებით კომისარის ვაგონს „კამბუ-
ზი“ უწოდეს. სტელდით კომისარია — კაცი უე-
მური, გოროზი და სიტყვაძენწი.

უნდა გამოვტყუდე, რომ კომისარია იაბლოკო-
ვი არც მე მიყვარდა, მისი უხეში, თავება და
ექვიანი ხასიათის გამო.

მებრძოლთა და ოფიცერთა ანტიპათიას თვით
იაბლოკოვიც გრძნობდა, ამიტომ თავი განმარ-
ტოვებით ეჭირა.

დამცინავე სახელწოდება „კაბუზიც“ იაბლო-
კოვის მიხებით განიდა: კომისარია ევებას გა-
ნავებდა და ყოველ დღით უხეშდგება და მზა-
რეულს თავისთან იხმობდა, რათა „მენიუ“ და-
ეგეგმა. იძებებდა მაშინაც, როცა დასაგეგმ
არაფერი იყო და საწყობში დაობებული ორ-
ცობილასა და მუხუდოს მეტი არა მოიპოვე-
ბოდა რა. იგი „მოვალეობის“ კაცად თვლიდა
თავს და საქმის ფორმალურ მხარეს დიდ ვე-
ოაღლებას აქცევდა.

ამინდის გაუთარსებელს სამიოდე დღეც არ
ყო გასული, როცა გვიბრძანეს დაუყოვნებლივ
გაემგზავრებულთაყვით რკინიგზის ბაწია სად-
გურ უსაზზე, რომელიც მოწინავე ზაზიდან
შოგლი ოთხმოცი კილომეტრით იყო დამოტე-
ბული.

ზარბაზნის ლელის შიგა ცვლადი ნაწილი,
დულაში სიგრძეზე ჩადებული, ხვეულბრილა,
გაცივების შემდეგ ახლით იყლებდა.

გაოცებისაგან დიდხანს ჯონზე ვერ მოვე-
დით!

უცდილობდით გამოგვეცნო, რა უნდა გვექე-
თებინა ასეთ „ღრმა ზურგში“, მაგრამ ვერა-
ფრით ვერ მივხვდით ჩვენი იქ გავსაუნის მი-
ზეხს.

კიდევ უფრო გაოცებულები დავრჩით, რო-
ცა აღვიღებ მივედით: არც ერთი ქოხი, არც
ერთი მცხოვრები, არც ერთი სულიერი! — არა-
ფერი, გარდა რაღაც საცოდავი ნანგრევებისა და
გზის ასაქვევი ორი დათოვლილი მონადევისა.

მაგრამ ბრძანება — ბრძანებაა და ჩვენც
ზუსტად მითითებულ ადგილზე გავჩერდით.
თანაც იმ გამოჩინებულ ვიშნოვლებთან თავს,
რომელიც, ეტყობა, საუკუნეებით ადრე შექმ-
ნოლა: უფროსები — უკეთ ზედაყენო, ალბათ,
ჩვენი უფროსები — ხედავდნენ რაიმეს, რო-
ცა ეს უაპრიელი კეთხე საღვთოდ მოგვი-
ჩინეს.

ირველივე ისეთი სინამედი სუფევდა, რომ
ფრთხილად ჯოჯობებურ ვრუხებს მიჩვეულნი,
თავს როგორღაც უცნაურად ეჭრნობდით. ხან-
დახან გვაუწყებდებოდა, კიდევ რომ ოპი კვლავ
გრძელდებოდა და ყოველივე საკუთარ ტყა-
ზე რომ არ გვექონოდა გამოცდილი, ალბათ
გავვიპირდებოდა ამის წარმოადგენა.

დავისვენეთ, დავნაყარდით, ახანო გავმართეთ
და თვეობით უბანელნი, ისეთი ნეტარებით
გვეუბნებოდნენ, რომ რუსულ კათედრებში, როგორც
ბევრებში.

ოცამდე კოლომბების დამორებით სსსრ-ის
თო საწყობი აღმოჩნდა და ჩვენც იქ ამოგვა-
მარეს. მოწყალე ინტელანტებმა სწორედ მი-
შინ გვაგვემეს ნებრადა, ნოყიერი ამერიკელი
კონსერვები. ეს იყო პირველი შემთხვევა, რო-
ცა საკუთარი კუჭით ვიგრძენი ამერიკელთა
დახმარება.

სამიოდე კვირე არ იყო გასული, რომ ბიჭები
შეღებულდნენ და ჩვენს მგვარმონებს მოსე-
ნება დაეკარგათ.

საკუთარი გამოცდილებით დაერწმუნდი, რომ
სიმშვიდეს შადა სცოდნია: თუშეა დღიური
ელუფა აღარაგის ყოფნიდა, ლოყები ყველას
ამოეცნო და ყველა უფრო გამართული და
უცდილობდელი ჩანდა. ამის მიზეზი ისიც
გახლდათ, რომ არმიის ჯავშან-სატანკო ჯარების
სარდალმა ჯიღოები დაგვირიგა და ჩვენს
გაბუნებულ სამხედრო ხალხებზე ახლამოქ-
რილი ორდენები და მედლები აბრუქვიდადნენ.

ზამთრის ვრძელმა დამეგებმა კიდევ უფრო
დაგვაახლოვა ერთმანეთს. ასე შეგონა, ყველა
ირველივემყოფს მთელი სიცოცხლე ვიცნობ-
მეთქი.

მაგრამ იყო კაცი, რომლის წარსულიც არა-
ვინ უწყობდა.

საქონელები

ამ გულბილ, მარად შემხმამარქველსადა
ადამიანს ყველა გულს უშლიდა, მაგრამ თვით
მას, თავის თავზე ვერას წამოადგენდი. თე-
თონ, ყველას ყველაფერი იცოდა, მისი კი —
არაფერს არაფერი.

ესეც ნიჭია თავისებური და ექიმი, მართ-
ლაც ნიჭიერი კაცი ჩანდა, მოთმინებაც გვა-
რიანი ჰქონდა. შეეშალ ყოველი საქმე დინ-
ჯად და მონდომებით ევეთებინა.

სხვა ღირსებთა გარდა, კიდევ ერთი ღირ-
სებაც ჰქონდა (რაც ჩვენ განსაკუთრებით გვა-
ხარებდა) — საუცხოოდ იცოდა ღუმელის
დანება!

როგორი ნობიო შეშაც არ უნდა გვექონოდა,
რაც არ უნდა ქარბუქი ყოფილიყო, შეშაში
მღვარ თუჯის რველ „პენურკას“ წიშში ისე
ავიზგიზებდა, რომ ტყვიებით დატვირთულ
თხელქვედა ვაგონს ერთბაშად სამოთხედ აქ-
ცევდა ხოლმე...

ახლაც თვალწინ მიდგას ღუმელთან ჩაცუც-
ქული ბრგე ექიმი, მესანგრეთა პაწია ცულით
ტელში. იგი აუჩქარებლად აპობს შეშას, ნა-
წილს ღუმელში ყრის, ვადახარჩევით კი ხე-
ხულას ავებს ნაფოტების გასაშრობად, თან
მიმდღობრი სხით რაღაცა მოგვითხრობს.

მოსაყოლი კი არაპოდეს გამოელოდა —
ცისა და ბრისა იცოდა. ევ არის სულ სხვაზე
ლაპარაკობდა, საკუთრივ მის შესახებ კი მხო-
ლოდ ის ვიცოდით, რომ სამწერ იყო მძიმედ
დატვირთი და სამწერვე ფრთხილს ისე დაუბრუნ-
და, ზეირიანად განუტრნებელი არც ერთხელ
არა ყოფილა.

აღლოთი ვერძნობდი, რომ მომწმებელი
ჭრილობები როდი იყო ექიმის მთავარი სატყი-
ვარი. მის თვალებში ჩაწოლილმა ჩუშმა სე-
დამ ადრევე მათქმებინა, რომ ეს მხნე და
გაბრძნებელი ადამიანი რაღაც ფარულ იარაგს ატა-
რებდა.

არა ექიარობდი მისი საიდუმლოს გაგებას.
ღარწმუნებელი ვიყავი, რომ ადრე თუ გვიან,
შეუბრძობელი არაფერი დამრჩებოდა. ასე იცის
ფრონტულმა შეგობრობამ — უფრო მისანდო-
სა და გულუბისა ხდის ადამიანებს.

ექიმს ღამე ეჯარებოდა.
იგი ყველაზე გვიან იძინებდა და ყველაზე
ადრე იღვიძებდა.

მართალია, მშფოთვარე ძილი ყველა ფრონ-
ტლის გარდევალი ზედრია, მაგრამ ექიმის
ზორგვა და კენესა მტრისმტერი იყო.

მეზობლები დამის განმჯვლობაში რამდენ-
ჯერმე აღვიძებდნენ მას და ხან გვერდის შე-

ნაცვლებას ურჩევდნენ, ხანაც ბრომის ან სპირტის დაღვევას.

ჩვეის მიცემაში განსაკუთრებით კომისარი იბლოკოვი აქტიურობდა. იბლოკოვის ისედაც პილიპონდა შინისაგან დამფრთხალი და ეჭმის დამეულმა კონცერტებმა ხომ მთლად გადა-
ჩია... ორ ცეცხლში იყო — ვერც ვიშის ელე-
ოდა, უნდოდა მარად გვერდში ჰყოლოდა — ეინ
იყის, როდის დამირიდებო, და ვერც მის
ბორკვას იტანდა, ბოლოს გზა გამოჩნდა: სადი-
ლის შემდეგ წაუბრებდა ჰოლმე, „ბალანის“
აღსადგენად.

იყოდა თავის მოვლა ჩვენმა კომისარმა...
სისხამ დილით წამოშობტარი ექიმი კი, რაც
არ უნდა დიდი ყინვა ყოფილიყო, წელს ზევით
გამიშვლდებოდა, ტანს თოვლით დაიხედა,
მერე გაწითლებულ-გახალისებული ოფიცერთა
ვაგონში შემოვადგინებოდა და ყვირილს მოპ-
ყვებოდა — ადეექს!... ძილის გულებო, ადეექს!
ვაშვავახიზებოდა, ავგავორაქებოდა და
ახლა სამზარეულოსაკენ გაეჭანებოდა, სინჯის
ასაღებდა.

„წყნარ საღვურზე“ დგომისას, ისე მივეჩ-
ვიეთ ექიმს ამ მადლიანარ რეიდებს, რომ ყო-
ველ დილით ნებსით, თუ უნებლიეთ ველოდით
ჩილის შემობრახუნდებოდა და აყვირდებო-
და ჩვენი მუეჭინი.

ჩვენ კეთილგანწყობილი შემწყნარებლობით
ვიტანდით; ანდა იუმორგარეული თვინიერებით
ფეჭვლავდებოდით ასეთ „დილისგამახნეველ“
ანოქოლებს, მაგრამ მტკუყვამფრქვევეთა ოც-
მეთაური, უფროსი ლეიტენანტი, პანოვი, სა-
შინლად ანახლობდა ექიმის ამ უცნაურ საქციელ-
ზე და ყოველ დილით საკმაოდ უდვირად „ამ-
კობდა“ მას.

ექიმი კი, გეგონება განზრახ, არავითარ ყუ-
რადლებს არ აქცევდა უფროსი ლეიტენანტის
გინებით შეზავებულ პრიტესტებს და მუდამ
გინიანიარად „პასუხობდა: — успокойся душ-
ка!..

„ღუშკა“ იმითმ შეარქვა, რომ პანოვის
საზრნიტო ტყვიამფრქვევები დეგტაროვ-შვა-
გინის სისტემისა იყვნენ და მათ შემოკლებით
„ღუშკა“-ს („ДУШКА“) უწოდებდნენ.

მალა, ბებქეში ოღანვე მობრილი პანოვის ყვე-
ლანე მტად არაყი და გინება უყვარდა. ეს
ფართებორისახიანი და ნაყვავილარი ოფიცერი
(იგი ომამდეც ჭარში მსახურობდა) ერთად-ერთი
კაცი იყო, რომელიც ექიმს აღმაყვრად უყურებ-
და და მუდამ ეკინკლავებოდა.

სამაგიეროდ ლეიტენანტი ჩერნიშისა და ექიმს
შორის თავიდანვე ისეთ მეგობრობა გაინასყვა,
რომ უერთმანეთოდ ვეღარ ძლებდნენ.

ღროს მოიხელთებდნენ თუ არა, ერთმანეთს
მონახუდნენ და ტპილ მასლაათს გააბამდნენ.
როცა პანოვი მოსაუბრე მეგობრებს თვალს,
მოკჩავდა, მაშინვე გადააბურჭვებდა (სეთით

ჩვეულება ჰქონდა) და ტუჩაბზუთით იტყვდა:
რა აქეთ ამ უნიფორმებს ამდენი სალომარაო?
მართლაც, გასაკვირი იყო: ჩერნიშისთანა
სიტყვაბუნწი მეორე არა გვყავდა.

ამ პრობათვალემა, ცოტა ზანტსა და ფლეგ-
მატურ, მაგრამ კეთილსა და გამოყდილ ოფი-
ცერს ცეკვა თვადიწყებამდე უყვარდა. მთე-
ლი საათობით შეეჭლო მთუნიკის აყოლებით ერთ
ადგილზე ეხანხალა და თუ გადად საცეკვაო
მოედანიც მოიძებნებოდა მაშინ, ხომ, იცოცხ-
ლე, დაუელიდა და დაუელიდა.

თავისუფალ წუთებში, როცა ჩვენი ბეერის-
მნახველი პატფონი ჰყვიტინს დაიწყებდა,
ჩერნიში მძინარეც რომ ყოფილიყო ზებე წა-
მობტებოდა, პატფონის მიუახლოვდებოდა და
ტაქტის აყოლებით ტანის რიტმულ რხევას
მოჰყვებოდა. მერე, როცა ეშხში შევიდოდა,
თვალეზის ეშვკურთ წყურვით გვეითხვდა —
გინდათ ვიცეკვოთ! პასუხს კი არ დაულოდებო-
და ცეკვას იწყებდა...

მერე კი მშვიდობით, ვერაფრით ვეღარ გა-
ანერტებო.

თუ ჩერნიშის „ქორეგრაფიული ორატო-
რია“ მეტისმეტად ვაგრძელდებოდა, (ეს კი
თითქმის ყოველთვის ასე იყო), მოთბინებინდ
გამოსული პანოვი ისტერიულ ყვირილს იწყებ-
და და ჩერნიშის გამოსაჯერებლად კომპოზი-
ტორსაც, მომღერალსაც და ფირფიტის გამოშე-
ვებსაც დედ-მამის სულს გაღმობურუნებდა.

მაშინ დარცხენილი ჩერნიში თავის სქელ
ტუჩებს გაბტრული ბავშვივით დაბერავდა, მძი-
მედ მქშინავი ლოკინზე ჩამოჭდებოდა და წამ-
წამების ჩვეულ ფახულს მოჰყვებოდა.

თუ პანოვი ვერ იტანდა ჩერნიშის „ჩარ-
დაშ“, სამაგიეროდ, ექიმი ყოველთვის მომლი-
მარი ადვენებდა თვალს მეგობრის ცეკვას და
ზანდაზან თვითონვე აყვებოდა ხოლმე. მართა-
ლია, ცეკვის მაგიერ დაფფრი ძენწული გა-
მოუდიოდა, მაგრამ ყოველთვე ამას ისეთი გა-
ზადრული სახით აკეთებდა, გეგონება ამაზე
სანეტარო არაფერი განუელიაო.

ექიმი ვერ ითმენდა პანოვის მეტი ჩერნიშის
ახლოიყვებას და თუ სადმე ახლო-მახლო იმყო-
ფებოდა აუტილებლად გამოეჭამაგებოდა. უფ-
რო მეტიც, ვაგონებდა თუ არა პატფონის
შმას და ჩერნიშის ჩეჭმების ბაკი-ბუქს მფარ-
ველი ანგელოზივით მაშინვე იქვე განდებოდა,
რათა პანოვი მისი მეგობარი არ გაეწიბლე-
ბინა.

— როგორ უღმერთოდ ამტვერებს ეს უნიკო
ბალერინა აქაურობას, ნეტავი ფეხში მაინც
დასჭრან, მსუბუქად, ჩვენც მოგვასვენებს თა-
ვის თავსაც — ბუხუნებდა პანოვი და როცა
ბოლმა მეტისმეტად მოაწებოდა, წამოტტებო-
და, კარებს მოაქანუნებდა და გარეთ ვარბოდა.
მგონი, ექიმის ჩერნიშთან მეგობრობა მას

შემდეგ დაწყო, როცა ექიმი პირველად გამო-
ესარჩლა ცეკვის მოყვარულ არტილისტს.

ექიმის გარდა კიდევ იყო ერთი აღამიანი,
რომელიც პანოვზე გამოკაფრებული, ჩერნიშის
ქორეოგრაფიულ გატაცებებს შხაის უჭერდა.
ეს ვახლადო რკინიგზელ-ტექნიკოსი, უმცროს-
ი ლეიტენანტი პერესიკინი, კაცი მუგუზალი-
ვით შავი, ვაუციზარი და უსიტყვო, მაგრამ
ყველა კეთილმოსურენი და გამარჯ, თუმცა საკ-
მაოდ მფრთხალი.

დიდი ტანის მიუხედავად (იგი მაღალი, გამ-
ხდარი კაცი იყო), ვადამოფფური გარეგნობის
პერესიკინი საოცრად ცოტას ჭამდა.

პანოვი და ჩერნიში კი პირიქით, რომ ჰჭო-
ნოლათ ერთ იქნაზე ერთ ცხვარს ვაათავებდ-
ნენ.

განსაკუთრებით პანოვი იყო ვაუმაძლარი —
არაფერი არა ყოფნიდა. არც ჩერნიში იყო ნაკ-
ლები, მაგრამ ბუნებით მორიდებულს, რაცე-
ნოლა საკუთარი სისუსტისა.

რადგან პერესიკინი თავის ულუფას ვერა-
სოდენ ვერ ვეროდა, ამიტომ ნაწილს თავი-
დანვე ჩერნიშს გადაულოცავდა ხოლმე.

ამის დამნახვი პანოვი ბოლმავ სკდებოდა,
მაგრამ ვერაფერი ვაუწყო. რა ხერხსაც არ ვი-
მართა პერესიკინის გადასამირებლად, რათა
მისი ულუფის ნაწილი შაინც მიეღო, ვერც
ერთმა ვერ ვაუქრა: პერესიკინი ჩერნიშის
ერთველი დარჩა.

აღმათ ამიტომ, პანოვი შემთხვევას არა ტო-
ვებდა, პერესიკინი არ ვაუკენწლა. ან „შარაშ-
კინა კანტორას“ უჭახდა (სხე უწოდებდნენ და-
ცინიეთ რკინიგზელებს), ანდა მის ოფიცრობას
ამახრებდა.

პერესიკინი, რომელსაც შხალებს, რელსე-
ბის და სარკინიგზო სიგნალიზაციის მეტი არა
ვაუგებოდა რა, მართლაც „ერზაც-ოფიცერი“
იყო; ჯარში არასოდეს ვესახებრა და სამხედ-
რო საღმის მიცემაც კი არ იცოდა ზეირიანად.

უსწავლულ პერესიკინთან შედარებით პა-
ნოვი საკმაოდ ნაკითხი და ვანათლებული კაცი
იყო.

როცა პანოვი განსაკუთრებით ვაბრახდებო-
და პერესიკინზე (რაც ფრიად ხშირი იყო),
რკინიგზელის ორ სასიგნალო დროშას, წითელ-
სა და მწვანეს, ზედიდან დააძრობდა, ერთს
წინიდან ათფარებდა სასირცხველ ადგილზე მე-
ორს უქნიდან და თეატრალურად ვაბდენილი
ვაგონში წინ და უქან სიარულს მოჰყვებოდა.

უმცროსი ლეიტენანტი პერესიკინის თავისი
დღე-შამის ვინება არ წყინდა ისე, როგორც
რკინიგზელთა აბუჩად ავლებს. სასიგნალო
დროშების ასეთი „არადანიშნულბისამებრ“
ვაყოყენება ხომ პირდაპირ ვიყად ხდიდა...
როცა პერესიკინი ვაკოფდებოდა, ბუნებით
ისედაც ბლუს, ენა კიდევ მეტად ვებოდა და
ვაყოლებით უფრო სასაცილო ხდებოდა.

ენცქერდი პანოვს, ჩერნიშს, ექიმს, პერესიკ-
ინს და მოცებდა შათი საქცილო, მოცებდა;
აღამიანის უქნაურობა — ამისავე კამტანობა
ომის დროს და ზავით, შტრან-შეკანტანან-სა-
ათებში.

ახლაც არ ვიცი, რა იყო ეს — ზოგადად-
მიანური თვისების გამოვლენა, თუ რაღაც
შემთხვევითი, შხოლოდ ამ ოთხეულისათვის
დაშახსათებელი რამ.

ექვობა, თითოეული მოვანის სისუსტენი,
რომელიც საომარი მოქმედების წვალობით
აქამდე უჩინარი იყო, მუდროო ცხოვრებას
საამჟაროზე ვაოტქონდა და ყველასათვის
საქნაურსა ხდიდა.

ენცქერდი ურთიერთამილი ჩერნიშა და
პანოვს და უნებლიედ მაგონებოდა ერთ-ერთა
ბრძოლა მდინარე ვოლხოზე ვადებულ პონ-
ტონურ ხიდათ...

იმ ბრძოლის დროს, ჩერნიშის ოთხ მცირე-
ყალიბიან ქვემებს მტრის ხუთი „ოქნკარსი“
დაესხა. ბომბდამშენებმა ბატარეის თავზე „კა-
რუსელი შერეს“ (ე. ი. წრიულად თავს დასტ-
რიალუბდნენ), რვიგობით ყვინთაუდნენ და
მალიდან ირაოდ წამოსულნი ბატარეას უქმ-
ბარებს აყრიდნენ.

ამის დამნახვემა პანოვმა (იგი მახლობლად
იყო დაბანაკებულთ), ყველა თავისი მსხვილყ-
ლიბიანი საბენიტო ტყვიამტრქვევიდან ცეცხ-
ლის ვახსნა ბრძანა და ამხანაგის დასახნელად
მტრის თვითმფრინავები თავისკენ მიიზიდა.

პანოვმა მამაკური ბრძოლა ვაუვიართა ვითა-
მამებულ „ოქნკარსებს“ და მტრის დარტყმაც
თავის თავზე მიიღო.

ახლა კი, იმავე ამხანაგისათვის, ვისთვისაც
უწინ თავი ვასწირა და მთელი ოცეულის ბე-
დიც სასწარზე შევადო, ერთი მათლთა წყა-
წყალა ბორში ვანებოდა...

რამდენჯერმე მეჩვენა, თითქოს ექიმი და
ჩერნიში პანოვის ვამოსაქაფრებლად უფრო
შეგობრობდნენ, ისეთი ვამომწვევი ელფერი
შეენიშენ მათ ამხანაგობას.

არაერთელ მიფიქრია, რომ ზოგჯერ აღა-
მიანთა დიდ ქვეყნებს შორის უფრო ნაკლები
სირთულე და დამახებლობა იქმნება, ვიდრე
ორეულებსა და სამეულებს შორის... არი ან
სამი აღამიანის ერთობლობა ისეთივე საკვირ-
ველებსა, როგორც ვულკანი, ზღვის დღევა, ან
მეწყერა...

ექიმმა ხმადალა ლაპარაკი იცოდა. სახეს
მოსაუბრესთან მიატანდა და წამწამდოფუფა-
ლებლად ღიმილით ეუბნებოდა სატქმელს. სო-
ცილიც ასეთივე ხმადაბალი ჰქონდა. ისე იცი-
ნოდა, ვეგონებოდა, ერდოზე ქედნები ღულუ-
ნებნო.

ჩერნიში კი კობტად მოწმილდული და ზე-
ვით ვაფრენილი წარბები ჰქონდა. როცა ვის-
მენდა, წარბები კიდევ უფრო ზევით მიტრბო-

და და ამიტომ მუდამ გაოცებულივით გამოიყურებოდა.

ჩერნიშისა და ექიმის შეგობობით გამოჩაგრებული პანოვი ხანდახან პატარა ევრაგობასაც მიმართავდა: იგი სწორად მანინ გამოაღებდა ვაკოას ქარებს, ჩიის ნარჩენის ვადასაქცევად. როცა ჩერნიში კიბეზე ამოდიოდა. დინჯი უკრაინელი, მუდამ კოჭტად გამოწყობილი და გაწვრილებული, გაკვირვებით ასხედავდა ხოლმე გრძელ პანოვს, რომელიც ყოველთვის ერთნაირად უხდიდა მას ბოდვის და თავისაკე ვალეშისლ უწმინწურ ორმუხლედს დაუზოგავად მიახლოდა.

პირველ ხანებში, აუღლეებელი ჩერნიშის მოთმინებიდან გამოყვანა ყველა ჩვენგანს შეუძლებლად მიიჩნდა. ეს პანოვმაც კი ვერ შექსლო, მიუხედავად იმისა, რომ მას ადამიანის გაბრაზების ისეთი იეზუიტური უნარი ჰქონდა, თეთი ბიბლიურ იობსაც, მოთმინებიდან გამოაყვანდა.

მაგრამ მალე გამოირკვა, რომ გაეშანოზე მაინც იყო ერთი ადამიანი, ვისაც ჩერნიშის აღუკვება შეეძლო. რამდენადაც ვასაკვირი არ არის, ეს ადამიანი ჩერნიშის გულითადი მეგობარი, ექიმი ვახლადი... სწორედ იგი ავიყვებდა ყველაზე მეტად ჩერნიშს, და ისიც იმ ზომამდე, რომ გაეშანოს მთელი შემადგენლობა სიცილით ივღებოდა.

ეს კომიკური ინციდენტი პირველად ასე მოხდა:

ერთ დღისა, როცა ის-ის იყო ვაკველიძე და გერ პირის დაშანვაც არ მოგვესწრო, ვაკონზე მოდგმულ ზის შევეულ კიბეზე ექიმი ამობრბოდა.

ისევე როგორც უოველთვის, ჩერნიშს ამჯერადაც ტყბილად ეძინა. შეგობრისაგან განსხვავებით იგი ყველაზე ადრე იბინებდა და ყველაზე გვიან იღვიძებდა.

ექიმმა ერთხელ შეუძახა მეგობარს, მეორედ, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: მშვიდმა უკრაინელმა გვირდი იცვალა და ძილი განაგრძო.

მანინ ექიმი ჩერნიშს ეხდუნა, საბანი ვადაბრო, ბაღლივით ხელში აიტაცა და ნახევრად მიხინარე, გერ კიდევ გონზე მოუსვლელი კიბეზე ჩაათრია...

ყველანი კარებს მიეცივედი.

ექიმმა თავისი ტვირთი ტომარასავით მხარზე შეიგდო, ღრმა თოვლში შეიპოტა და ტყისპირისაკენ გასწია.

ნახევრადმძინარე ჩერნიში, რომელიც ექიმს ბავშვივით ატატებელი მიაყავდა, ხან ჩვენ შემოგვცდებოდა, ხანაც გაოცებული იქით მიატრიალებდა თავს, საითყენაც მიათრევდნენ.

ექიმმა თხუთმეტი ნახიჯი გაიარა, ტყისპირას შედგა და ისე შემოგვხვდა, გუჯონება გვაფრთხილებდა, ახლა ნახეთ და მოხდენო. მერე ღონიერი ბეჭები მძლავრად მოიქნია და ნიფხავეპერანგისამარა ჩერნიში ტომარასავით თოვლში ვადაისროლა, თვითონ კი მგლური ძუნძულით უკან გამობრუნდა.

როცა დარეტიანებული და თოვლში ამოგანგლული ჩერნიში — რომელსაც ისედაც აპრებილი წარბები გაოცებისაგან კიდევ უფრო მალა გაქცეოდა — მოჩვენებასავით ზეზე წამოიმართა, ჩვენ ისეთი ზარბარი მოვრთეთ, რომ სიცილისაგან ცრემლები ღვარად ვვდიოდა.

საკვლებისამარა, ფეხშიშველა ჩერნიში, მუხლებამდე თოვლში მდგარი, კი იმის შავიერ, რომ ეავონებისაკენ გამოქცეულიყო ხან ერთ შეცავნულ ფეხს მოინაცვლებდა, ხან მჭორეს.

პოპერიული სიცილისაგან ირგვლივ ყველაფერი ზანზარებდა. სვირის რამდენიმე მოწმე, ცალფეხზე ყანჩასავით აყუდებული ჩერნიშის შემხედვარე, ზარბარისაგან ისე დაოსებულიყო, რომ ფეხზე ვეღარ იდგა და მუხლებზე ჩაუცქელი წერლი ხმით ვაპვიოდა.

— რეს უღვებარ, ჩქარა წამოდი, შე საწყალი — ყვიროდა სიცილისაგან გაპარხლებული პანოვი და უჩვეულოდ კმაყოფილი, ხვლებს შესუქებულ დუნდულაზე იბრტყამდა.

ჩერნიში ერთხანს ისევე იდგა, მერე კი დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო... მორთო, მაგრამ რა მორთო: არაფრით არ წარმომედგინა, რომ მას ასეთი უშვერი გინება შეეძლო. ოთხ და ხუთსართულიანი საოცრად უწმინური კურთხევა ვულკანურ ლავად მოსკდა სიცივისაგან დაღურჩებულ მის ტუჩებს.

ისეთი ხელოვნებით ვადატრიალა საწყალ ექიმს ცოცხალი და მკვდარი, შინაური და გარეული, ისეთი არტისტრზმით „დედლოკა“ დღე-მამის სული და ყველა კეთილები, რომ სიცილისაგან ერთმანეთს ვასკედობოდი.

საოცრად დისციპლინირებულმა და სიტყვაძუნწმა ჩერნიშმა პირველად დაარღვია დისციპლინა: მიუხედავად იმისა, რომ იმის პირველ თვესაგან განსხვავებით, ამ დროს ვინცა უკვე „აქრბალუა“ იყო, მან ვინების ნამდვილი კრეკრდი დაამყარა.

მანინ პირველად დაერწმუნდი ვინების მაგიურ ძალაში და ეიწამე, ის, რაც ახლაც მყვარა: მამაკაცებს რომ ვინება მოუტრედებლად შეეძლოთ, პიპერტონია და მოკარდი სულ თუ არა, ნახევრად მაინც შემეცირდებოდა.

ჩერნიში მხოლოდ მას შემდეგ დაიძრა ადგილიდან, როცა ვინების მთელი არსენალი ამო-

წერა, ამ დროის განმავლობაში მან ერთი ათწერ მიანიჭ მოინაცვლა ფეხი.

ვაგონისავე თავისებური, დიწი, მოქანავე სიარულით მოდიოდა, გვაგონებდა იხტობარს არ იტყვისო. მიდგმულ კიბეზედაც უფრო დიწად ამობობდა.

არ ვიცი, გინებამ დალაღა, სუსტმა გათოშა თუ რამ უქნა, მაგრამ ვაგონში ამოსული ერთბაშად ჩაქნა და რამდენიც არ ვეცადეთ ზნა ვერ ამოვადებინეთ.

ბევრი ჩვენგანი ისე ვეყავით ხარხარისაგან მილასალაპებული, რომ ვულის კოვზთან ჩხვლეტას ვგრძნობდით. დიღბანს ვერ დაეშოშმინდით. ხან ერთს ავკიტყვებოდა სიცილი. ზან მეორეს.

ექიმი კი არსად ჩანდა.

ბავშვივით ტუნებდამებრილი ჩერნიში თვალს არ გვისწორებდა. სანამ ვაგონში იყო, უხმოდ თმებს ივარცხნიდა, მერე ადგა და თავის ოცეულში წავიდა. ერთ ზანს შიშმა ავკიტანა — ფილტვების ანთება არ დაეწყოსთო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჯანინი მიჭი გამოდგა ჩვენი უკარანელი.

სადილობისას ექიმი შემოვიდა.

ისე შემოვიდა, გვაგონება, არაფერი მომზდარცის.

თავისებურად გაიარ-გამოიარა და ლოგინზე ნახევრადმიწოლილ ჩერნიშს გვერდით მიუქდა. ჩერნიში რაღაცას კითხულობდა. ექიმისთვის არც შეუხვდავს, ისე გიწოვა ვანზე.

ექიმი კი პირიქით, უფრო ახლო მიუჩოხდა. ასე გადაინაცვლეს კიდევ ორჯერ თუ სამჯერ. როცა ჩერნიშს ვანზე გასაწევი აღარ დარჩა, ექიმმა ხელი მოხვია და თავისევე მიიზიდა. ჩერნიში გუქმალანდა.

ჩანდა, როგორ დაეძვარა კისრის ძარღვები, მაგრამ დიღბანს ვერ გაუძლო რყინის მარწუხებს. ღონემ უმტყუნა და ექიმის ვეება მკერდს ისე მიეტკლიცა, როგორც ლავაში თონეს.

ექიმი მიანიჭ ვანგატობდა მის მიზიდვას და როცა ჩერნიშს საული შეუვებდა, მხოლოდ შიშინ იყარდა დაყვირება — გამიშვი; წყაულო, დამაბრნობა...

— აა, მაშ გცოდნიათ ლაბარაკი, ჩვენ კი მუნჯი გვეგონეთ — მხარულად თქვა ექიმმა და თავისებურად ჩაიხიბითა.

წამიც არ ვასულიყო, რომ ისინი ჩვეული გულთაღობით საუბრობდნენ.

მეორე დღით, რაღაც ბლდაქუნის ხმამ გამომაღვიძა.

ლოგინიდან წამოწეულმა დაგინახე, რომ ექიმს ჩერნიში კვლავ კრავივით მხარზე გადავგდო და კარებისავე მიათრევდა.

თავის ღონიერი ხელები ჩერნიშისათვის მუქლებს ქვემოთ შემოესალტნა. ამიტომ მეგობრის სხეული ზურგსეკან მოქცეოდა. ჩერნიში წველი ვერ იმართებოდა — ვაგონის დაბალი ქე-

რი უშლიდა და, მთელ თავს პოტრეტს იმით გამოხატავდა, რომ „გამბაცებელს“ ზურგსა და უკანაზე გამეტებით შემტყნს/უხრანაქუნებდა. კუნთმაგარ ექიმს ასეთმა „კრბენის“ საბაჭად მიანჩნდა და თავის ნადავლს ხითხითით მიათრევდა.

ჩაათრია თუ არა უშწოდ აფართხალბული ჩერნიში კიბეზე, უციხა ვაისმა.

კარში გამოფენილი ჩვენი მხედრობის ისეთი ზარიითა და ზათქით მიესალმა ჩერნიშის „გადასაყენებლად“ წყაყანას, გვაგონება, რაღაც პოპულარულ ადათს ასრულებენო (ექიმს ასე განუცხადებია სახელდასელო „პრესკონფერენციაზე“: „გადასაყენებლად“ უნდა ეატარო, რაღაც დღით შარღზე ვასვლა ავიწყდება და მეწინაა სასირცხლო არაფერი მოიწიოსო).

საშინელი გნაისი იდგა.

თვალში მეცა თეთრებში გამოწყობილი ჩვენი მხარეული შარაფუდისოვი. ვანიერყვრი-მალანის უხანელი თათარი. იგი მუცელზე ხელებს ირტყამდა და სიცილით გადაფინებულ იო უხმოდ კინაყლებდა...

ამ მხიარულ ზორბოცში ექიმმა ჩერნიში იმ ადგილამდე მიათრია, სადაც წინდლით გადააკოტრილა. მაგრამ, ამჭერად, მეგობარი გუშინდელივით თოვლში კი არ ისროლა, ფრთხილად ფეხზე დასვა და გამარჯვებული სახით ჩვენივე შემობრუნდა...

ჩვენდა ვასაკვირად, ჩერნიში ერთბაშად მოიშვილდა, მისგან მოულოდნელი სისხარტით ექიმს აფთარივით ზურგზე შეახტა, ხელები კისერზე შემოაქლო, ფეხები კი მუცელს ქვემოთ გადაუჭვარდინა.

ხმამალაი ზორბოცი ღრიალცელში გადავიდა.

ექიმი შედგა.

ლაეწის ძვალთან მხარში ჩასობილ ჩერნიშის ნიკაპს ახედა, მერე ბეჭები ერთბაშად მოიქნია და საცვლებსამარა ჩერნიში, რომელიც გტყობა ასეთ ვერაგობას აღარ მოელოდა, კუნთვით თოვლში გადაისროლა.

მძლავრმა უციხნამ ხელმოკრედ შესძრა უკაროელი ტყის მყურდრობა.

ჩერნიში ზანტად წამოდგა, კისერში ჩაცვინული თოვლი ამოიწმინდა (ღმერთო შემცოდე, მაგრამ იმ დროს მის მიმართ რაღაც სობრალული ვიგარენი), ნიფხავ-პერანჯი დაიბურტყა და ორივე დაძვარული მუშტის ქნევით თავიდან გაიმორა ვინების მთელი ის რუბერტური, რომლითაც წინა დღით წარმოგვიდგა, მაგრამ ამჭერად უფრო მეტი გზნებითა და ტემპერამენტით...

როცა გინება დამთავრა, ისეთივე აუჩქარებელი, მოქანავე სიარულით ვაგონისავე წამოვიდა და კიბეზე უხერხულად ამობობდა. ფეხშიშველა იყო და გტყობა რყინის საფეხურები ფეხისგულებს ტყენდნენ.

— ნეტავი რას ჩამაცედა, ეს კვდარძალი, სანამ არ გამაცეცებს, არ მომეშვება!.. ანდა, რა ზემოებაა, ტიტველი კაცი კარში გაათრიო და თოვლი ამოვანგლო? თუ ვეყავითა ენაც ბატონულეს და მამინ ვნახავთ ვინ მტახანს ვასძლებს ყინვამი...

ამდენი სიტყვა ერთად თქმული, ისიც, ასე დალაგებულად, ჩერნიშისაგან ჯერ არ გესმენოდა.

— მე მინდა აკლამატხაცია გავიკეთო, გაგაქანსალო, წარამარა რომ აცხიკვებ და იბუზები, კაცი ხარ თუ აბრისის ყუავილი? — შემოგვესმა ნანობი ხმა. „იტებლშეის“ ვიწრო ფანჯარაში ექიმს თავი შემოეყო და ეშმაკურად გვიღიმოდა.

— აკლამატხაცია ბებიაშენს გაუკეთე, იმისი ღედისა და მამის სულა — დაიდრიალა ვაცოფებულმა ჩერნიშიმა და თავისი სველი ნიფხავი სახეში თხლიშა.

ექიმმა თავი გვერდზე გადაიქნია, რათა ნასროლი აეღდინა, მაგრამ წონასწორობა დაკარგა (იგი გარედან მოკლე ანკურზე იყო შემდგარი) და თოვლში ჩაეარდა, სულ მიღად ჩაველო.

თავშეუკავებელი ხარხარი ცვლავ განმეორდა ყველზე ღმამალა ჩერნიში იცინოდა.

მესამე დღით, ჩვეულებრივზე ადრე გაგვეღვიძა.

ჩათუბებულნი უხმოდ ვიწვეით და ველოდით როდის შემომიბობდებოდა მარად შომლიმარი ექიმი.

არც ჩერნიშს ეძინა — იგი თავდასხმის ელოდა.

მომხდური ისე უჩუმრად შემოიბარა, არავის გაგვიგია.

იგი ქორივით დააცხრა საბანაფარებულ მეგობარს და ბალღივით აიტაცა, მაგრამ აძვრად ჩერნიშიმა დიდი ღონე და სისხარტე გამოიჩინა. იგი მოხერხებულად ჩააფრინდა საწოლს და ექიმმა დიდხანს იწვალა, სანამ რაფას ააღეჭა და

თელდაცვის შემდგომ პოზიციად ჩერნიშიმა კარები აბრჩია და იქ ისეთი მეღვარი წინააღმდეგობა გაუწია ბრგე ექიმს, ერთხანს ვიღვირეთ, აძვრად ვერ გაათრევს კარშითქო.

მაგრამ ექიმმაც ახალ ხერხს მიმართა: ჩერნიშს ხელები გაუკავა და ვაკონიდან ტერითიანად გადახტა.

დანარჩენი ყოველივე ისე მოხდა, როგორც წინა ორ დღეს...

ამ სამღლიანმა ხუმრობამ (რომელსაც ევრონეზეს ცნობილი სურათის, „ევროპის მოტაცების“, წაბადვით „ჩერნიშის მოტაცება“ ეწოდებოდა), გამაზნევებელი ვარჯიშითი გაგვახალისა

და უდაბურ ტყეში გადაყარულნი მხიარულუბას გვაზიარა.

როცა ჩერნიში დარწმუნდა, ექიმთან ღონით ვერას გაეწყობო, ეშმაკობით ინდრომა მისი გატრობაზედა.

მოთხვე დღეს, როცა ექიმმა ჩერნიში დილაადრიაან ხელში აიტაცა და ტყისკენ გააქანა, მეგობარს მისთვის არაერთი წინააღმდეგობა არ გაუწევია. ექიმმაც უფრო ნახად დაუშვა თავისი ტვირთი თოვლზე და მხოლოდღა მამინ შეენინა, რომ ჩერნიში... ჩამტული ყოფილა!

შემეგობარი ექიმი იქვე დარჩა, ხოლო გამაბრევებულმა ჩერნიშიმა მეცლამდე თოვლში ისეთი გოპაკი დაუარა, რომ თავისი თავიც და საქციელწამხდარი ექიმიც თოვლის კორიანტელში გაახვიდა.

მარცხმა ტრადიცია არ დაარღვევინა ექიმს: მგებოე დილითაც, ზუსტად დანიშნულ დროზე, მან ჩერნიში „გადასაყენებლად“ წაათრია.

ჩერნიშიმაც ცვლავ გოპაკი დაუარა.

ექიმი ჯერ ღიმილით შესტკვროდა მოცეკვავე მეგობარს, მეტე კი თვითონაც ისეთი გიჟური ბუქნა და სტვენა მოართო, რომ მოყიციენე მოწმებესაც ცეკვის მაღა აღეჭრათ და ორიოდე წუთის შემდეგ ჯაქშინოს ნახევარი ფერბულში ჩაება.

ეს იყო დაუფიწყარი სანახაობა, ლაგამაწყვეტილი, გიჟური როკვა, როცა ზღაფთგამოვილიშმა აღმიაინებმა თევობით ნახარდი ვარამი და დამახულობა გულიდან ვანდევნეს და წამიერ სიხარულს შეუოკებელი ვნებიაინობით აყვცნა.

უცხო მაყურებელი ფიქრებდა, ღენცაფა უქამიათ და დაგვიებულანო, მაგრამ თვით ჩვენ, ძალიან კარგად გვესმოდა ამ წუთების ცხადი აზრიც და უხანარი სარჩულიც.

უდაბურ ტყეში დგომის მეტეოე საღამოს, როცა საეახშილდ შეყვარლნი დილის ერთობლივ ცეკვის ეიხსენებდით და ხუმრობით ანსამბლის ჩამოყალიბებაც გადაუწყობეთ, მოულოდნელად არმიის შტაბიდან საგანგებო „მიფროკა“ მივიღეთ.

ცალკე ჩაეკებე და ტელეფონოგრაში გაეშიფრე.

გვიბრძანებდნენ დაუყოვნებელი „მდგომარეობა № 1-ზე“ გადასვლას.

მაშინვე ვანავში გამოვაცხადებინე და ჯაქშინო საბრძოლო მზადყოფნაში მოვიყვანეთ.

„საქმეს“ მოწუხებულმა ბიჭებმა, ორიოდე წამში ვახისტეს პლატფორმები, ბრეზენტის საფარებო მოაძრეს ქვემეცებს, საწყობიდან ორი საბრძოლო კომპლექტი ჰურვა მოხილეს, ზარბახანთა ორიენტრებმა შეამოწმეს და ნერვიულ მოლოდინს მიეცნენ.

ველოდით და გვიკვირდა, რა უნდა მომხ-

საიდუმლო კოდით დაშიფრული რადიოგრა-მა ან ტელეფონოგრაში.

დარბივთ ისეთი, რომ ღრმა ზურგში, ფრთხილ-
დან რვა ათეულ კილომეტრზე, საფრთხე გი-
ჩენილყო.

ვფიქრობდი და ვერ მივხვდარბივით.
გვების მტერმა ჩვენი პოზიციები გაარღვია
და ღრმად შემოიჭრა? ანდა დესანტი გადმო-
სხა?

ყოველ შემთხვევისათვის წრიული თავდაცვა
მოაწყვეთ, მზერათა პატარა ჭკუფები ყოველი
მიმართულებით დაეგზავნეთ და ე. წ. საყურებ-
ლები („სკერტები“) წინ წაეწიეთ, რათა საფ-
რთხე დროზე შეგვეტყუა.

გვიან დამით, როცა მორიგეობისაგან თავი-
სუფალნი დასასვენებლად ვაიტირებოდა, გადა-
წყვეტიტე ჯავშანოსათვის შემოიშველო და მწვე-
რავები შემოიშველბინა.

ბედად ყოველივე რაზეც აღმოჩნდა და მეც
კმაყოფილი ორთქლმავლისაგან გავეშურე, რა-
თა გათრევილი ხელფეხი ვაშეთობ.

სბილენისფერი მთვარე ჩვეულებრივზე აქ-
ლო მოჩანდა და მის შუქზე თოვლი ვერცხლის-
ფრად ბზინავდა.

ლიანდავიდან ოციოდე ნახიჯზე მდგარი ვე-
ებერთელა ნაქები, თოვლით მამიდ დატვირ-
თული, ისე მკვეთრად ისახებოდნენ ცის ტატ-
ნობზე, რომ ყალბით დახატულსა გავდენ.

მაგრამ ყველაზე ლამაზი ორთქლმავლის მი-
ლიდან ამოსული ბოლი იყო. სამფრად შეფე-
რილი მისა სქელი და ფაფუკი ბოლქვები, ხან
შედენდებოდნენ, ხან რუხ ელფერს მიიღებ-
დნენ, ხანაც თოვლივით თეთრდებოდნენ.

ირგვლივ სიჩუმე გამეფებულყო.

მატარებლის ორსავე მხარეს ორი გუშაგი
მიმოდნენ. მათ გარდა, ერთი ჯავშანოს თავში
იღვა, ერთადე ბოლოში.

როცა ორთქლმავალს მივუახლოვდი, დაინა-
ხე, რომ ჭურჭმოსხმული ეჭიმი საბერველს აპ-
კროდა და თუთუნს ეჭაჩებოდა. თუთუნის მწე-
ველი იგი ჯერ არ მენახა.

ჩაფიქრებულმა გვიან შემინიშნა და ვგონებ
კოტა თუბერხულა კიდეთ.

— მიუვარს აქ დრომა, სუფთა ჰაერიცაა და
თბილა კიდეთ — თითქოს მომიბოდიშა მან და
თავისებურად ჩაიხიბობო.

საბერველიდან წამოსული სიტბო მეც მომე-
ლამუნა.

ერთხანს ჩემად ვიდექით. ვფიქრობდი, რომ
ამ კაცის სრულიად არაფერი ვიცოდი და მი-
სი ვულთათობის მიღმა სიოცარი გულჩაბ-
რობილობა იმალუბოდა.

თითქოს ჩემი ფიქრების პასუხად, ეჭიმმა
ნირსეცვილი, ოღნავ აქანკალბებული ხმით
წარმოსთქვა:

— დღეს, ჩემი პაწია გოგონას წებითი მი-
ვიღე...

ჩემთვის ეს ახალი რომ იყო, არ ვიცოდი,
რომ თქავი ჰქონდა.

— ბავშვი გყავთ?
— მყავს, მარამ... — ისევ შეცბა — დე-
დასთანა.

— ეის დედასთან?
— თავის დედასთან, რა თქმა უნდა, თორემ
დედაჩემის, ალბათ, ძელებიეც აღარ არის...

— დედამისი რა, ცალეთ ცხოვრობს?
— ფრთხილად შეგაბარე მე.

ამ კითხვებზე ერთხანად არ უპასუხია. ორთქ-
ლმავალს მოსცილდა და ჩვენი, შეთანხმებუ-
ლებივით, ლიანდაგს გასწვრივ დაეუყვიეთ. ბევ-
რი ვიარეთ. ამ გახურებულ სიარულში იგი
ძუნწად, მარამ გულწრფელად და სინანულით
მომიხვია თავისი უბედური სიყვარულის ამ-
ბავს...

ბოლოს ისევე ორთქლმავალთან აღმოჩინ-
დით. აქ მან სამყაროდე ჭინბიდან სათუთად შე-
ნახული ფოტოსურათი ამოიღო. კადებზემე-
მუჭუნული სურათიდან, ფართოდ გახეილი დიდ-
რონი თვალბით, პაწია ქვერა გოგონა შემოგე-
კვეროდა. იგი სავარძელში იჭდა და თავისი
წენიკი, გამხდარი ხელები დედოფალსათვის
შემოეჭყო.

დღესანს ვუყურე გულზე უნებლიეთ მოწი-
ლილი სევდი... არ ვიცოდი, ვინ უფრო მეცო-
დებოდა, ეს უძლური, უმწეო საყოდავი ბავშ-
ვი, თუ ჭანდონით სავსე და საოცრად ძლიერი
მამამისი.

უჩრად ვიდექით თავ-თავის ფიქრებში წასუ-
ლები და სწორედ ამ დროს რალე შორეული
გუგუნე შემომესმა...

წამით ყური მივუგდე და მაშინვე შევიცანი
მძლავრი მოტორების ხმა. ცხადი იყო, რომ ან
ტანკები გვიახლოვდებოდნენ, ან ატორმანქა-
ნები.

სულმოუთქმელად გავიქეცი საკომანდო ხი-
დურისაგან და ვანჯაში გამოვაცხადე.

ის იყო ქვეშეშთან გათულებმა ტანკაწინაალ-
მდგომ ჭურვები და შრანელი მოიშხადეს, რომ
მეწინავე სადაზერკო ჯგუფმა შეგვეტყობინა —
გადახურული „ვილისი“ გვიახლოვდებო.

განკარგულმა გავეცი, რათა უცხო აერო-
მანქანა ტრახირებულ ტყეების გამაფრთხო-
ლებული ჭრით შეჩერებინათ.

წამის შემდეგ, ორიოდე კილომეტრის მო-
შორებით, ტყვიამფრქვევის კაცანი გაისმა და
უცბებე შეწყდა. არ ვასულა წუთიც, რომ იმა-
ვე ჯგუფმა შემატყობინა — ჩვენები არიან.
მეათურის ნახე სურათო.

...მანქანიდან მათობა გადმოვიდა. მისალმებ-
სა და მოკლე ურთიერთ გაცნობის შემდეგ მან
გადმომცა პაკეტი ბრძანებით, რომლის თანახ-
მადე გვარდიელ ტანკისტთა „ნ“ ბრიგადა
ჩვენს მეზობლად უნდა დაბანაკებულყო, ხო-
ლო ჩვენ მისი დაცვა უზრუნველგვეყო. ამ
ბრძანების თანახმად ჯავშანო ბრიგადის მეთაუ-
რის ობერატიულ მორჩილებამე გადადიოდა.

მალე, თეთრი, ჩრდილოური ღამის ბინდუნდში ტანები და ავტომანქანები გამოჩნდნენ. ბეგრნი იყვნენ, ბოლო არ უჩანდათ. აქამდე ჩემი ტყე რკინის ღრუბლის, მოტორების გუგუნის და ადამიანთა გნაისის ისეთი ხმებით ივისო, რომ უტრთაშენი დაგვეკარგა.

მინქანთა კოლონები გვერდზე ჩავვიღიდინენ და სწორედ იმ ადგილას, სადაც ექიმი ჩერნიშ თოვლში გადაისვროდა ხოლმე, ტყეში უხვევდნენ და სიღრმეში უჩინარდებოდნენ.

ბრიგადის შეურენობა ფრიალ დიდი აღმოჩნდა, მინქანების ნაკადი დილაზე არ შეწყვეტა. მინქანი ამ დროის განმავლობაში ჩვენ ზარბაზნებს არ მოვცილებულვართ და მარშზე მყოფ შენაერთს ფიზიკად ვდაჩაჯობდით.

როცა იხათლა, დაეინახეთ, რომ თოვლის თეთრი საფარი შივ ლადად ქვევლიყო და ტყისპირა ვხა ასე აღინათლიყო, როგორც დიდი ხნის დაუგველ-დაუშემენდილი გომჭირი.

აქამდე უკვერმა ტყემ ერთბაშად იცვალა იერი. აქა-იქ კამლის შავი ბოლქვები გამოჩნდნენ, ცელები ახმურდნენ, რაღაც ფარდულში წამოიზარდნენ. შუადღისათვის ასწლოვანი არყნარი ისე გაშენებდა, რომ გამოუცდელი ადამიანიც კი ადვილად შეამჩნევდა სამხედრო ნაწილის მასში დაბნაკებს.

ეოცოდი, რომ ტანისტყედი არაფრად დაგიღვედნენ შენდების წესების დაცვას, ამიტომ ბრიგადის სარდლობამ რამდენჯერმე ეთხოვე, მეტი უტრადლება მიექცია საპაერო თავდაცვისათვის. ერთხელ კომისარი საგანგებო დესპანდაც კი გვაგზავნენ, მაგრამ მეზობლებმა უზარუნველი დარდიმანობით თავისი გნაკებეს და სასაცილოდაც კი აგვიგდეს, — თქვენ არტილერისტები შორიდან ხართ ბრძოლას დაევეულებით.

სამუშაოდ, ჩვენი ვარაუდი სულ მალე გამოართდა. ბრიგადის დაბნაკებიდან, ორი დღეც არ იყო გასული, რომ საფრთხის უცილობელმა ნიშანმა თავი იჩინა: მტრის საღაჯვერეო თვითმფრინავმა, დაწყველილი „ფოკე-ველფი“ მოგვინახულა.

ეს იყო უტყუარი საბუთი იმისა, რომ გერმანელთა დახვერვამ მიავნო სატანკო ბრიგადის კვალს, შეშოთდა ჭარების გადაჭრუფებით და გამუღმებულ თვალთვალს დაეიწყო. „ფოკე-ველფი“ მთელი მეორე დღეც იგრვლოვ დაგეფრენდა და იქამდე არ მოგვეშორდა, სანამ მისმა შემეცლელმა არ ჩამოართვა „მორიგეობა“.

სროლა უმზინო იყო, რადგან „ჩარჩო“ (ასე უწოდებდნენ მას ფრანტზე) ისეთ სიმძლავრე ფრენდა, რომ ვერაფრით დახიანებდი. ვერც გამანადგურებლები გააწყობდნენ რამეს, რადგან სანამ ისინი აფრინდებოდნენ და საპირი სიმძლავრე აღწევდნენ, — „ჩარჩო“ უკვე შორს იქნებოდა.

ჯავანოზე ამსოლურად დარწმუნებუ-

ლი ვიყავით, რომ სულ მალე მტრის ბრძოლმშენები მოგვინახულებდნენ.

მოლოდინი მალე აგვიხდა... ტანისტყეების ჩვენთან დამეზობლების შესამედილოთ, ახალსაუზმებზე საპაერო დახვერვის საგუშავგებთა საგანგებო ცნობა გადმოგვეცეს — გერმანელთა რამდენიმე უსკადრილიამ ფრონტის ხაზი გადმოლახა და თქვენი ადგილსამყოფელი-საქენ მოემართება.

ექვი არ იყო, რომ „ფოკე-ველფს“ თავისი საქმე გაეკეთებინა და მტრის ავიაციამ ჩვენი სატანკო შენაერთის დასაბამხად მოეხიდა.

მტრის დასახვედრად ხეიარანად მომზადებაც ვერ მოვასწარი, რომ ცაში ერთმოტორიანი და ორმოტორიანი იუნკერსების მრავალრიცხოვანი ჯგუფი გამოჩნდა.

ისინი დიდ სიმძლავრეზე, საოცრად მწყობრად მოფრინავდნენ.

შოლოდ წამით მოვასწარი მათთვის თვალის შევლება...

ბრძანების გაცემა ძლივს მოვასწარი, ჩემი უკანასკნელი სიტყვა ჯოჯოხეთურმა ზმურმა ჩანთქა: ერთბაშად ჩამოყრილმა ასეულმა ყუმბარამ დედაშიწა ისე დაარწია, გვეგონება რაღაც საშინელი მონისქერა მოხლავ. მიწისქერა, რომელიც რამდენიმე წუთს უწყვეტად გრძელდებოდა.

მართალია, მტრის ბომბდამშენთა პირველმა შემოტევამ გვარიანად გაგვბრუა, მაგრამ მინივნივ გონს მოვედით და საარტილერიო ცეცხლი კიდევ უფრო გაეამძლავრეთ.

სროლა კი მეტრისმეტად ჭირდა, რადგან ირგვლოვ ენით აღწერელი ამბავი ხდებოდა... ცაც ბოლს დაებნელებინა.

პირველი იერაში მტრის ავიაციამ ტყეზე მიიტანა (ჩანს, გერმანელებს ოდნავადაც არ ეპევებოლათ სატანკო შენაერთის იქ ყოფნა). ჩვენს მხარმარჯვნივ თოვლისა და შავი ბოლის ისეთი კორიანტელი დადგა, — ქარბუქი გვეგონებოდათ.

ტონიან ყუმბარათა აფეთქებისაგან ასწლოვანი ნიქვები ფესვებიანად ითბრებოდა, მტოების ვეება ნალწები კი უოველი მხრით დაფრინავდნენ. დაფეთქებულ ტანისტყეში აქეთ-იქით აწუღებოდნენ, ცეცხლსა და კვამლში გახვეული ტანები, სათამაშობავით ყირავდებოდნენ.

საწვავით სავსე ორ ცისტერნას ალი მოსდებოდა და ზღაპრულ ჭიკოკონასავით კაშკაშებდა.

პაერში ატყორცნილი მიწის უზარმაზარი ბელტები, შავი, ფხვიერი ნიდავის შადრევენებთან ერთად, გიგანტურ სმერჩებს ჰგავდნენ.

„იუნკერსების“ ზუზუნი, მათი საყვირების ბლავილი, ყუმბარათა წივილი, შემზარზენი გრუზენი, ერთ საშინელ ზმად ერთანდებოდა და ადამიანს რაღაც განუყოფელი განცდის აღში ხვედა.

მეთოდურობის მოყვარულმა გერმანელებმა ჭერ ტუის დაბომბვა მოინდომეს, რათა ტანკები, ეს მოძრავი და ამდენად ძნელი სამიზნო, მოუღონდნელობის დასმარებელი, რაც შეიძლება მეტად დაეზარალებინათ, ხოლო შემდეგ მთელი ძალით ჩვენ გაგვესწორებოდნენ. მაგრამ ანგარაში მოტყუდდნენ: რახან პარველი ბათისის უწყობარები ჩვენ არ გვეცივოდა, ამიტომ ბიჭებს მეტი სიზუსტით შეეძლოთ ცეცხლის დამენა და, მართლაც, იხეთი ვამორტუებით და დაევირვებით ისროდნენ ქვეშევებს, გეგონება ეს ერთი ბრძოლა წვედრდა მთელი ომის ბედს.

მსხვილკალიბრიანი ქვეშევების და სახენიტო ტყვამფრქვევთა ცეცხლმა აჩვე-დარვეა შეიტანა მტრის საბრძოლო მწყობრში.

ბოშბდამშენთა მეორე ტალამ ვეღარ გაუძლია მის წინ აღმართულ ცეცხლოვან კედელს და გეზიდან გადაიხარა. ცოტაც, და „იუნკერსთა“ მწყობრი დაიარღვა, მჭრინავეებმა ცალცალკე, შეუთანხმებლად დაიწყეს მოქმედება, ამას კი უწყობარების უწყსრივო, უმინზო ჩამოყრა მოჰყვა.

მტრის რიგებში არეუდარვეა იმანაც შეიტანა, რომ მეწინავე „იუნკერსი“ ჩაყვინთვის (მიკირების) შემდეგ ვეღარ გასწორდა, აღმოდებელი ტყეში შეიჭრა და თავისსავე მომავდინებელ ტერიტზე აფეთქდა, მეორე კი, სახენიტო გრანიტით დაცხრილულ, მსუქნად აბოლდა და შავ კუდგამობბული დაბლა-დაბლა დაეშვა.

რაცა მტრის თვითმფრინავეებმა ვადამლობი ცეცხლის ძალა იგრძნეს, თანაც შექმნილი ვითარება შეაფასეს, შორიდან მოგვეიარეს, მწყობრი აღადგინეს და პირდაპირ ჩვენს ჯავშანოზე აღესკურსი...

აი, სწორედ მაშინ ვიკემეთ ნამდვილი სიმწარე.

თუ აქამდე უწყობარები ტყეს აცივოდა, ახლა თვით ჯავშანო მოხვდა „იუნკერსების“ სამიზნოში და მრავალი ჩვენთავანისათვის ეს მეორე იერიში საბედისწერა აღმოჩნდა.

მართლაც, ბოლომდე ვაქვაცურად ვებრძოლეთ მოშბდერთ და კიდევ ერთი „იუნკერსი“ ჩამოვადგეთ, მაგრამ გეარინადაც დაეზარალობით: ორი რონოდა 85 მილიმეტრიანი ქვეშევებით მწყობრიდან გამოგეყვანეს, ორტლმაელის ტენდერი თენქის კოლოფსავით დაგვიყვანეს. თერთმეტი კაცი მოგვეყუს, ჩვიდმეტი დაგვიჭრეს, აქედან უმეტესობა მშიბედ...

ამ მსხვერპლის მიუხედავად, უკვე მაშინ ვგრძნობდით, რომ ძალზე დიდი და ვეთილი საქმე მოვიპოქმედეთ: ჯავშანოს სიმამაცემ სატანკო შენაერთი განადგურებისაგან იხსნა, რითაც ფრონტის სარდლობას მრისხანე ძალა შეუნარჩუნა.

შეწყდა თუ არა სროლა და მიუქნდა თვითმ-

ფრინათა შემაზრენი ზუზენი, მანამდე დაშენებულმა ხალხმა ერთხმად ენა ამოიღვა და რამდენიმე ადგილას ერთდარქულად გაისმა აფორაქებული ხმა — ექიმო, ჩქარა, ექიმო... სადა ექიმო?...

ექიმი კი არსად ჩანდა. გულმა ცუდი მიგრძინო. თუმცა დაქრილ-დაღებულთა ვინაობა უკვე ვიცოდი და ამ გარემოებით გამოწვეული სიმძიმით თავბრე მქონდა დახვეული, ექიმის გაუჩინარებამ ერთიანად შემძრა.

საოცარი სიციხადით წარმომიდგა იგი თვალწინ; გამახსენდა როგორ დარბოდა სახელორეცხელი, განუყრელი ჩანთით ხელში, დაბომბვის ჯოჯობეთურ წუთებში ერთი პლატფორმიდან მეორეზე.

ხილდრიდან ჩამოვედი, მინდოდა მის ძებნაში მონაწილეობა მიმეღო.

სწორედ ამ დროს რამდენიმე აღელვებული ოფიცერი მომადგა, ვერც ერთი ვერ შევიცანი, უცხონი ჩანდნენ.

ერთ-ერთი მათგანი დაწინაურდა, თავის ღონერ მკლავებში მომოქცია, ვადამოცნა და თვალუბში ჩაშტერებით მითხრა — გმადლობთ, ძმებო, ხალხიკ თქვენა ყოფილხართ!...

ისე ვიყავი დაღლილი და გამოფიტული, ისე მინდოდა ექიმი უდნებელი მენახა, რომ ყოველივე დანარჩენს ბურანში მყოფითი აღვიქვამდი. სწორედ ასეთნაირად აღვიქვი ყოველივე ის, რაც შემდეგ მოხდა: როგორ შემომეჭო მოსულთაგან რაგრიგობით ჭერ ერთი, მეტე მეორე, მესამე, მეოთხე და მხოლოდ-და მაშინ გაეახარე, რომ ეს აღელვებული ადამიანები ჩვენი მზობრელი ტანკისტებმა იყვნენ.

პირველი მათგანი ბრიგადის მეთაური გამოდგა, სწორედ იგი, ვინც ამ სამაიოდ დღის წინ ასეთი დარდიმანდული დაუდევრობითა და ბრძენის თვითდაჯერებით იგდებდა აბუხად ჩვენს თხოვნას, შენიღბვის შესახებ. ვუყურებდი ამ დიდი, მომდღვლეული სხეულის მქონე ადამიანს, გენერლის ფრონტული საშტრელებით და გულზე ცეცხლი მკვადებოდა.

— მხანავო გენერალ-მეიორი, — მიემართე მას — გთხოვთ შევენი სანიტარული დანაყოფი დაგვახმაროთ, ბერი დაგვიჭრეს...

— ახლავ, ახლავე — დაფიცურდა იგი, მაშინვე ჯარისკაცი იხმო, რაღაც წაულაპარაკა და ტყისაკენ აფრინა.

შეტი აღაზაფერი მითქვამს, დაუშვნიდობებლად მოცილილი და ჩქარი ნაბიჯით ბოლო პლატფორმისაკენ წავედი. არ ვიცო, წინაგრძობა იყო, თუ სხვა რაღაც გამოუცნობი ინსტიტუტი, მაგრამ რატომღაც ველოდი, რომ ექიმს სწორედ იქ ენახავდი.

და ენახე კიდევ... რამდენიმე თაენაქინდრული მებრძოლი თოვლზე გამოტილ ვეება ვაქვაცს შემოხვეოდა.

მწილიარე ექიმის სხეული ლაჯანივით მოშვე-
ბული და უსიცოცხლოდ დაგდებული, კიდევ
უფრო ზორბა მოჩანდა.

საქინტუმენსილი მალაი მყვრდი საოცარი
სისწრაფით აუდიოლ-ჩამოუდიოდა. მარჯვენა
ფერდთან ვაგლეილი ტყვის მოკლე კურტაკი
უხვად დასასხლიანებოდა. იარიდან მომდინარე
სისხლს, რომელიც თოვლებ კიდევ უფრო
აღისფერი ჩანდა, ორთქლი ასლიოდა. რაც
მზერა მის სახეზე ვადავიტანე, ყელში რაღაც
მოშებენა და ჩემდა უნებურად ქვედა ყბა ამი-
თამაშდა.

მარად მომდინარი ექიმი, ამჯერად უნებულოდ
გაფითრებული, შუბლზე თმებამაყვარილი, ნა-
გვერდამილულული ღობრგადაკრული თვალე-
ბით, ენითთქმული კომპეტუველებით შემომ-
ყურებდა და რაღაცის თქმას ლამობდა...

მოგლი ნებისყოფა მოვყარაფე, რათა თავი
შემეკავებინა და არ აქვეთინებულყოფი. დი-
ვიხარე, შუბლზე ეაკოცე, ალბათ ჭირის ოჯ-
ლისისაგან მთლად სველი ხმები უკანვე გადაეშ-
ვიე.

— ჩემი პატარა გოგონა... — ამოაღულულდა
ექიმი და მტეი ველარ შესძლო, გაყურდა.

— თქვე, თქვი ჩემი დიამა — დაეუყვარე მე
და ცრემლები წამომკვიცვდა.

ექიმი თვალი ვაბილა. ვაღიშება სცადა, მაგ-
რამ ამ ნაძალადევმა დიდილმა ისეთი საცოდავი
იერი მისცა, რომ ახლაც არ ვიცი, როგორ
გაუქველი მის ყურებამ.

— ჩემი მაწია გოგონა... კვლავ დაიწყო მან,
მავრამ ამჯერადაც ვერ დამთავრა.

— აბა, მისცილდით დაჭირალი! მიგვიშვით,
მიგვიშვით... — თითქოს შორიდან შემომესმა,
ვიდაცის ხმა და ვიგრძენი როგორ წამავლეს
მკლავში ხელი, როგორ წამომამყენეს და ფრთხი-
ლად, მავრამ მტკიცედ უკან დამხიეს.

არ ვიცი რამდენი ხანი ვიდგეი ასე. ექიმთან
ორი უდინობი კაცი დახრალიყო, რაღაცას უკე-
თებდნენ.

— უსაშველოა, — თქვა ზეზე წამომდგარმა,
ტანკისტის ფორმიანმა კაბიტანმა.

— სადა გყავთ სხვა დაჭირლები? — მკითხა
მან, მავრამ როცა შემომხვდა პასუხისთვის
იღარ დაუცდია; იქითყენ გაემართა, სადაც
მებჭობლები მიწაზე მწილიარეთ შემოხვე-
ოდნენ.

ცხარე საბრძოლო ეამზე არა ნაკლები
მომიყა ის პირველი წუთები, როცა საფრთხე-
ვადატიანილი უცებ გონზე მოხვალ და სასიკე-
დილოდ განწირულ, ან უკვე უსულოდ ქვეულ
მეგობართა გამოტრალ სხეულებს დინახავ...

იმ უეღუმართ დღეს, თ მრავალი თანამებრ-
ძოლი მივაბარეთ დამხრალ მიწას.

კავშირთან ერთად სინანული გვეღრღინდა:
მტერთან პირისპირ შეხმისას რომ დაეზარალე-
ბულიყოფით, რაიმე ოპერატიული ამოცანისა-
თვის რომ გვებრძოლა კიდევ შო, მავრამ

ფრონტიდან მრავალ ათეულ კილომეტრზე
მტრის კერძად ქცევა, მართლაც საწყენი იყო.
ყველანი ამაზე ვჩიოდით, სანამ პანორამა თა-
ვის სადა ლოგოფითა და უამრავსა ტონით
არ გვანდებოდა:

— ამბობთ, საწყენია ამ მუდრო კუთხეში
სიკვდილით. ის კი ვაიწყებდებო, რომ სანამ
გერმანიას არ დავახოვებთ მუდრო კუთხეს
ვერსად იპოვნი. ვინც დაეკარგეთ ტუვილად
როდინ დადებულა — მათ ხომ სატანკო ბრიგა-
და იხსენს!... ახლა ეს ბრიგადა ჩვენსა და
იმით ქავის ერთი-ორად ამოიყარის.

თითქოსდა ამ სიტყვების დასამტკიცებლად,
ახლა შეხინდებულზე, სარკინიგზო დრეზინა
მოგვადგა.

გაქმელები შევეურებდით დრეზინიდან
ვაღმოსულ არმიის სამხედრო საბჭოს წევრს,
გენერალ მირონოვს, არტილერიის სარდალს,
გენერალ კოჩემასოვს და მათ თანმხლებ პი-
რებს.

მირონოვმა მე და კომისარი ცალკე ვაგეხმო
და იმათი ჭილდოზე წარდგენა მოგვთხოვა,
ვინც იმ დილით განსაკუთრებით გამოიჩინა
თავი.

პირველად ექიმი დავსახელებთ.

მირონოვმა ორდენები დაგვირიგა, ვაქკა-
ცობა შეგვიქო და გულთბილად დაგვემშვი-
ლობა.

ცალკე ყოფნა მომიწია.

იეთი ვაგევი, სადაც პატარა ბექობზე რამ-
დენიმე საათის წინ ჩვენი მეგობრები მიწის
მივაბარეთ.

ვაგანებელი ვიდგეი სამოსახლავის მიწა-
ყრილთან და ზეღში ორი პატარა კოლოფი
მეჭირა, ერთი ექიმისათვის განკუთვნილი სა-
მამელო ამის ორდენით და მეორე ჩემი, წი-
ოელი ვარსკვლავით.

სიხარულის მაგიერ მწვევე ტყვილსა და
სევდიან სინანულს ვგრძნობდი.

ძილის წინ ყველანი ერთად შევიყარეთ, რა-
თა ექიმის მახლობლებისათვის კოლექტიური
წერილი მივაწერა, უზედურება გვემცნო და
რამდენადღე შეიძლებოდა ვაგვეხმევენინა.
თქმეცადა, კარგად ვიყოფით, რომ ექიმის ყვე-
ლაზე მახლობელი ადამიანი, ხუჭუტუთმანი
პატარა გოგონა ჯერ კიდევ დიდხანს, დიდხანს
ვერ გაიგებდა მის თავზე დატრიალებული
უზედურების ნამდვილ მნიშვნელობას...

წერილს პირვე წერდა და უნდა ითქვას
კარგადღე დაწერა.

თითო-ორილა სიტყვა თითოეულმა ჩვენთა-
განამც ჩაურთო. როცა მავრჩით კვლავ სინი-
მე ჩამოვარდა.

— ეპ, ჩერნიშ, ჩერნიშ, — გაჭიანურებულად
და თავის ქნევით წარმოსთქვა პერესიკინმა
— ახლა ვინდა ავაფორიაქებ, ვინდა მოგია-
ლერესებს, ექიმი აღარა გყავს, ციე მიწაში

წევს იგი... სოფელში. დატირების ყაიდაზე წარმოსთვა რეინიგზის ტექნიკოსმა.

გაუჩუბებულმა ჩერნიშიმა სახე მოგვიარდა, მას უფროსი პიბილოტი გასწავთლებოდა, თვალზე ცრემლები ებრწყინებდა.

— მეჯავრება წუწუნა ადამიანები — როყოი სიმკაცრით წამოიურანტალა პანოვმა. ადგილიდან წამოხტა, გვერდზე მჭდარ პერესიკიანს განზრახ მუხლი გაკარა, თვალები დაუბრიალა და კარი გაიჯახუნა.

იმ ღამეს არც ერთ ჩვენგანს რული არ მიბკარებია. მხოლოდ გამთენიისას წაგვართვა ძილმა თავი. ისიც ალბად გადაქანკვის წყალობით.

ახალმოიარაგებზე ბლამუნის ნაცნობმა ხმამ გამოამაღლითა პანოვი ჩერნიშს ჩაფრენოდა და ხელში მის ატაცებას ღამობდა.

ჩერნიშიმე ჩერ მტკიცედ გაუძალიანდა მომხდურს, მაგრამ შემდეგ, თითქოს რაღაც მოაგონდაო, ერთბაშად მიწებდა ტანწოფილ პანოვს და მანვე სწორედ ისევე ჩაითრია იგი კიბეზე, სწორედ იმნაირადვე წაართია ტყისაკენ, როგორც ამას ეჭიმი ჩადიოდა.

— ჩვენი ექიმის მაგივრად იყოს — დაიყვირა პანოვმა და უცნაურად მიუჩუბებელი ჩერნიშიმე კენძივით თოვლში ისრაოდა.

ამ ნაცნობ სვირს ოცამდე კაცი უყურებდა, მაგრამ უწინდელისაგან განსხვავებით არც ერთ მათგანს არ ვასინებია. პირიქით, თითქოს უფრო ჩაინაგუნ კიდევ.

ჩერნიშიმე ჩვეულებრივზე ნელა წამოდგა, თოვლი ზანტად დაიბლურტა და იმის მაგიერ რომ გინებას მოჰყოლოდა, როგორც ამას ყოველთვის სჩადიოდა, თავისი ნელი, მოქანავე ნაბიჯით ქავშინასაკენ თავჩაქინდრული წამოვიდა.

როცა ჩერნიშიმე კიბეზე ამოდიოდა პერესიკიანი მისთვის უჩვეულო სისწრაფით ეცა მას, თავისი გამხდარი ხელებით იღლებში ჩააფრინდა და კიბეზე ამოსვლაში დაეხმარა. შემდეგ კი ისეთი სათუთი მზრუნველობით დაუწყო თოვლის ვაბერტყვა, გვერდებმა, ეს საქმე, ყველაზე საპატიო მოვალეობა ყოფილიყოს.

დილის სამხრობის დროს, მადადაკარგულმა პერესიკიანმა, თავისი ხელუხლებელი უღუფა ჩერნიშს მიაართვა.

ჩერნიშიმა უარის ნიშნად თავი ვაქინა და უღუფა პანოვს მიუტანა. მაგრამ პანოვმა არ მიიღო იგი და მრავალმეტყველად უთხრა ჩერნიშს — შენ გვეუთენიასო.

ჩერნიშიმა აღარ იუარა, თუმცადა ღუქმა ყელში არ ჩასდიოდა, მოწოდებული ჯამი მაინც გულდაგულ გამოაცარიელა, შერე იარაღი აიხსნა, ლოგინზე გაიშობა, თავზე ფარაჯა წახებრა და მიუყურა.

ჩამოვარდნილი სიჩუმე საყვირის განგამის-

მთუწყებულმა ხმამ გააფართა. როცა პლატფორმაზე ავეარდი, დაინახე, რომ „უღუნვერსები“ კვლავ მოფრინდნენ.

პირველმავე ბათქმა, სარკობად ერთბაშად და ზუსტად, დამარწმუნა, რომ ბიჭები „გუნებაზე იყვნენ“. მივხვდი, რომ ისინი ძვირად დაუსვამდნენ მტერს გუშინდელ მსხვერპლსაც და საჩვენებელ მეთოდურობასაც.

მაგრამ პირველი ბათქით გამოწვეული შეილი ჯერ კიდევ უფრებში მდგა, როცა უჩვეულო გაოცებამ შემოიპყრო: ჩვენი პირველ გასროლასთან ერთდროულად, „ტანკისტების ტუიდან“ კიდევ უფრო მეტი სიმძლავრის გრგვეინვა გამოხდა და მრავალი საზენიტო ჭვემების შვახე ხმამ საშინელი ექო გამოსცა.

თერმე სარდლობას, სატანკო პრიგადის დასაცავად, სასწრაფოდ გამოეყო მძლავრი საზენიტო დივიზიონი და ახლა კოლეგა-არტილერისტები დახმარებას გვიწვედნენ.

მთუხდავად იმისა, რომ თითოეული ჩვენი ქვემების გათვლას ორი, ზოგჯერ, სამი კაცი აქლდა, ჯამშიმ თეთობოლქვა შრანეისა და ტრასირებული ტყვიების ისეთი ცეცხლოვანი კედლი აღმართა, რომ მასობებულმა ცეცხლმა გერმანელი მფრინავები ბრინჯივით დაახნია. მათი საწინაშე მწყობრი მვისევე დაირღვა, „იუნვერსები“ უსისტემოდ იბრინენ და სასიკვდილო ტვირთი ფაცი-ფუციტ ჩამოყარეს.

ამჯვრად იღბლიანი გამოდევით — ქავშინოზე სულ ორი კაცი დაიჭრა. მაგრამ საყვირეული ის იყო, რომ ერთი ამ უხელოთაგანი სწორედ იგი აღმოჩნდა, ვინც ექიმისაგან ჩერნიშის ვადაყენების „ესტაფეთა“ მიიღო — უფროსი ლეიტენანტი პანოვი. ყუმბარის ნაფხურებს მისთვის ლავიწის ძვალი ვადაეტება.

როცა პანოვს პირველი დახმარება აღმოჩინეს და მარხილზე დააწინეს (მარხილში ორი მებრძოლი შეება), რათა ტანკისტების მელსანბატში წაეყვანათ, სისხლისდენისაგან ვაფითარებულმა, ტკივილებისაგან შეზღუქებულმა პანოვმა (იგი სიმწრით ტრენებს იკუნტდა) პერესიკიანი იხმო და ღიმილით (რომელსაც იმ წუთებში მისგან სულაც არ მოველოდით) რაღაც წასჩერტელა.

გამოცოცხლებულმა პერესიკიანმა თანხმობის ნიშნად თავი რამდენჯერმე დაუქინა და ხელი მაგრად ჩამოართვა.

— ნე გეშინიათ, ბიჭებო, ფრიცებს არაფერი შეარჩინოთ, შეც მალე დაებრუნდები — მხიარულად და რიხიანათ მოგვავიყრა პანოვმა და ბეწვიანი ქუდი თვალზე ჩამოიფხატა, აღზათ უნებლიე ცრემლების დასაშალად.

მარხილი დაიჭრა და მალე დაფოთლოლ ხეებს შორის გაუჩინარდა.

მეორე დილით, ახალგათენებულზე ვაგონში

პერესიპკინი შემობოძლდა. ეს მხრებაწერული და მეტრადეარდნილი გამხდარი კაცი ამქერად როგორღაც რიხინანდ გამოიყურებოდა.

იგი შემოსვლისთანავე უსიტყვოდ მივარდა ღუმელთან მდგარ ჩერნიშს, რომელიც ლოგინიდან ახლადწამომდგარი ცეცხლს ეფიცებოდა და მისი ხელში აყვანა სცადა, მაგრამ ვერ შესძლო. ძვალმსხვილა და ჩაფსკენილი ჩერნიშის ადგილიდან დაძვრა, არც ისე იოლი იყო.

ჩერნიში დინჯათ და თვალდაუხამხამებლად შესცქეროდა მის ირგვლივ მოფუსფუსე პერესიპკინს.

— პანოვმა შენი თავი მე გადმომიღოცა, ეჭიმისეულ ადგილზე უნდა წაგათრიო, მაგრამ რა შიშიმე ყოფილხარ, შე ობერო, მოდი ერთი ზურგზე მომიკიდე, თორემ ვერ აგწე — ქოშინით და სხაპასხელს ამბობდა რკინიგზის ოსტატი და თავის წერილ, გამხდარ ბეჭებს ჩერნიშს უშვებდა...

ჩერნიშმა აღაჩაფერი უპასუხა და ისე მოაქდა ახლადმოვლენილ რისინანტს, გვეგონება დიდ წყალბას უშვებდა.

უჩვეულო ტვირთქვეშ ორადმოკეცილი რკინიგზის ოსტატი ჩერნიშისავე დახმარებით (იგი კიბის სახელურებს მოეცადა, რათა პერესიპკინისთვის შეღავათი მიეცა) ძლივ-ძლივობით ჩაბოძდა ძირს და მოქანავე ნაბიჯით, იქით გასწია, საითაც ეჭიმი ჩერნიშს მიათრედა ზოლმე.

ქარში გამოფენილი მებრძოლები სვედიანი ლიმილით ელოდნენ ამ ტრაგიკომიკური აქტის დამთავრებას და სიბრალული შესცქეროდნენ მთვარეულის ტაბით მიმავალ რკინიგზელს.

მიღასლასდა თუ არა პერესიპკინი ნაცნობ ადგილამდე, მისი მხედარი თავისით ჩამოქვეითდა, გაწითლებული სახე თოვლით დაიბოხა და ჩვენ წაშოგვებდა. ეტყობა ყოყმანობდა, უყარვე წაშლიყო.

— ექიმი ცოცხალია, ცოცხალი — წერილი ხმით და ხელების საესავით შეპყვირა პერესიპკინმა.

— ცოცხალია! — ბოხი ხმით გაიმეორა ჩერნიშმა.

— ყოველ ჩვენგანს რაღაც გულს მოეფონა. ჩერნიში და პერესიპკინი კი ძმებოვით ხელი-ხელგადახვეულები, ვაგონისაკენ წაშოვიდნენ.

საში საათიდა რჩებოდა იმ დრომდე, როცა გერმანელ თითმფრინავებს უნდა მოეენახებლებინეთ.

მოულოდნელად, თითქოსდა რაღაც საერთო ნიშნის პასუხად, ტყეში ასეული მოტორი ერთდროულად აგზგუნდა.

რამდენიმე წამის შემდეგ ერთიმეორის კვალში მიმავალი ტანები ტყიდან გამოცურდ-

ნენ, გვერდით ჩაგვიარეს და ფრონტის მიმართულებით გაეშურნენ.

როცა ტანები გაემანოს გაუსწორდნენ, ტანკისტებმა საითათაოდ, ლუკა ახნადეს და თითქმის ხელსახოკის ქნევით დაგვემეოდნენ. ჩვენ კი ამ დროს პლატფორმაზე ვიდექით და ფრონტზე მიმავალთ ქედებს ვუქნევდით.

ორი საათის შემდეგ ბრავადის უხარმაზარი „მეთრენობა“ თავისი დამხმარე ძალებით ერთიანად გაიკრიბა. ყოველივე მიწყნარდა და შერუჭულ-გამეჩხერებული ტყე, ნაღმებით გადახურულ-დადგურბენილი, ისეთივე უყაროელი ვახდა, როგორც ტანკისტების მოსვლამდე იყო.

რაც უფრო ახლოვდებოდა „ოუნეკრსების“ მიფრენის დრო, ჩვენი მოლოდინიც უფრო დაძაბული ხდებოდა.

მეუ შორეული ზღუენი მოგვესმა. ზურგის მხრიდან მტრის თვითმფრინავთა დიდი გუნდი გამოჩნდა.

გასაოცარი ის იყო, რომ მათ უფრო მზარმარცხნივ, უფრო შორიდან მოგვიარეს და კერსი ტყისაკენ აიღეს.

წამის შემდეგ კი ისეთი რამ მოხდა, რის მოგონება ახლაც სიცხლა მგერის: „ოუნეკრსებმა“ ჩვენს სროლას არავითარი ყურადღება არ მოაქციეს და იმ ტყის საგულდაგულთ და ბომბვა იწყეს, სადაც რამდენიმე საათის წინ ტანკისტები იღვანენ.

მტრის შეცდომა ჩვენთვის ფრიად ხელსაყრელი იყო. ბუნა ზემარბა, ასეული ტონა ყუფშიარის ტყვილად დახარჯავ? ამიტომ განკარგულება გვეცეი სროლა შეეწყვიტათ და მტრისათვის ხელი არ შეეშალათ.

მშვიდი ღიმილით შეეყურებდით როგორი გაბოროტებით მოხდომებოთა და პუნქტულობით მომხადენენ „ოუნეკრსები“ სრულიად ცარიელ ადგილს. ამ შემთხვევამ ყველანი გაგამხიარულა და დადარღიანებული ბიჭები ცოტა უნათხე მოვიდნენ.

სალამოემის კიდევ უფრო გამოეცოცხლათ. ბრძანება მივიღეთ, მეორე დილითვე აფრებო აგვეშეა და კვლავ ფრონტზე გაემგზავრებულყოყავით.

უნდა გენახთ, რა მოხდომებოთა და სიფიცხით იწყო ყველამ მზადება.

თვით დინჯი პერესიპკინიც კი აფორიაქდა. ხან ერთ ორთქლმავალს მოაწუდებოდა, ხან მეორეს. ახალ დაბინდებულზე თავისი რკინიგზელები ხელით სამართავ დრეზინაზე შეშოსხა და ლინდავის დასათვალეობებლად გასწია. არც ღამე სძინებია, ორთქლმავლებთან ტრიალებდა, მემანქანებთან ერთად რაღაცას საქმიანობდა. ვაგონში მე და ჩერნიში-ლა დავრჩით.

დილით, გამომეღვიმა თუ არა, ჩერნიშს გაღაბებულ.

იგი თვალგახელილი გულაღმა იწვა და თითქოს რაღაცას ელოდა.

ჭერ გაეფიქრე — მოდი ახლა მე წვათრევე-მითქო, მაგრამ უფროსი ოფიცრის სიამაყემ დაამალა და მანინვე გადავიფიქრე. ჩემთვის, როგორც ჯავანოს მეთაურისათვის, ასეთი „სენტინელტალი“ საქციელი შეუფერებლად მივიჩნეო.

გარეთ კი უკვე ქრამული იღვა: გამოვლიე-ბული ბიჭები ხელბარს იბანდნენ.

დაეჩიყე თუ არა ჩაცმა, ჩერნიში ლოვინზე წამოვდა, ბანჯელიანი გული შოთხხანი და წარბეჭევიდან დადარაჯებულად შემომხედა. თუ იხე მოვაჩვენე გვეგონება სულ სხვა რამეზე ელიქობდი და აინუნშიაც არაფერი მქონდა. თანაც წინდებს ზემოდან თბილ ფეხსახვევებს გულდავულ ვიხვევდი.

ჩერნიშია ეტყობა რაღაც გადაწყვეტა.

თაროდან ხენვით ჩამობოლდა (შესაძლოა გაღავეულს, ენელა კიდევ მალაღი „კოაკი-დან“ თავისით ჩამოსვლა; მას ხომ მთელი კვარა სხეები „აყენებდნენ“) და ფეხშიშველა, საცვლების ამარა კარისაკენ გასწია.

უხერხულად ჩავიდა კიბეზე და მისივე მომტაცებლებისაგან გაკაღული ბილიკით დინჯად გაემართა იმ ადგილისაკენ, საითკენაც ექიმი შიათრედა ხოლმე. იქ ორიოდე წუთი მდუმარედ იდგა, მერე ხელბარი თოვლით დაიზილა და უკანვე გამობრუნდა.

ჩვენ მდუმარედ შევცქეროდით მას.

ღარწუნებულნი ვარ, რომ იმ წუთებში ყველა ჩვენგანს ექიმი ედგა თვალწინ.

ერთი-ორჯერ ჩემს მესხიერებაში პანთვის აწიწილი ფიგურაც ამოტივტივდა, მას ზღობინი მოჰყვა, მერე კი მრავალზე-მრავალი მგვობრისა და თანამებრძოლის სახე, მათი ვინც უკვე ჩვენთან იდარ იყო...

შზაღება ჭერ კიდევ წინაღამით დაეასრულეთ, დილაღრიან ხიდურზე შევდგექი.

საბრძოლო პლატფორმებზე სინამდვილად დასადგურებელიყო. მხოლოდ ორთქლშავლის მქლავრი ქონიანი არღვევა მყუდროებას.

ყველა მე მომჩრებოდა, ხელი ავწიე და მიკროფონში ხმააწევით ჩავაძებ:

— მთელი სისწრაფით წინ!

ჯავანოს ერთბაშად დააძრა და თანდათან სვლას უშატა.

ჩემს წინ პერესიკიანი აიტუხა. „ბიჭებს დავემშვიდობოთ, ისე ნუ მივატოვებთ, ისინიც ხომ არტილერიისტები იყვნენ“ — ხეწენით და-მღერიჯა იგი.

რამდენიმე ათეული თვალი მუდარით შემომცქეროდა. გვერდზე კომისარი შევფა, როცა პერესიკიანის სიტყვები გაიგონა, უფრო შოიყრდა და შორეული კუთხისაკენ გასწია. ამით მაგრძობინა, რომ იგივე თანახმა იყო. მგონი, პირველად ვიგრძენი რაღაც სითბო ამ უჩაითო კაცისადმი.

ჯანდაბას — გაეფიქრე მე, — ბიჭები მართლაც ლირდნენ რამდენიმე ქურვად და მთელა ხმით გაუძახე:

— ქვემეხები გასტენევე...

იმავე წუთში ათი ქვემეხის მეთაურმა შეწყო-ბილად დაკვივა:

— არიის...

— სამი ქურვი ზედიზედ, ცეცხლი-ი-ი!

— ცეცხლი — იღრიალეს მეთაურებმა და ზამთრის მკვლარული მუდროება საჩერე შესძრა ზარბაზნების მძლავრმა გრუხუნმა. შორს გაეარდა მათი ექო და ასე მეგონა ეს გამაყრუებელი გუგუნი ჩვენი მგაობრული სიყვარულის სეველიანი ძახილი იყო...

როცა იმ უორდანს გავესწორდით, სადაც მე-ვობრები მიწას მივსახრეთ. ბორტებთან გამწყრევიბულმა მებრძოლებმა ქულები ინიშვლეს.

მე კი შეუმჩნეველად ექიმის პაწია ვოგონას კიდევებულანძელი სურათი ამოვიღე. გულმა ვერ მომიითინა და ცვლავ დაეხეღე მას. გაბუნებულ ფოტოდან გამზდარი, ქერა ვოგონას სეველიანი თვალები შემომცქეროდნენ.

გული შემეკუმშა, როცა წარმოვიდგინე რამდენი ისეთი უდანამულა ბავშვი დააობლა და მიმოფანტა ომის მრისხანე ტალღამ. ვინ იცის, როგორ ბორგადდნენ ზამთრის უკუნეთ ღამეებში ეს უწყეო პაწია არსებანი, მშობერ-შწყურებანი, შეცივებულნი და აღერსმოყლებულნი... როგორ ძრწოდნენ მათი პაწია სხეულები შიშითა და ბავშვური წინათგრძობით...

ჯავანოს, მთელი სისწრაფით მიჰქროდა.

ხიდურზე მდგომს ცივი პაერი სახეში მცემდა, მაგრამ სუსხს ვერა ვგრძობდა, ვიცოდი, რომ ამ წუთებში ყველა ჩვენგანი ერთზე ფიქრობდა — სამაგიერო გვეზღა!

მართლაც, რა უკედავი და აღმაფრთოვანებელი ყოფილა საუკუნეთა ძახილი — სისხლი, სისხლისა წილი!!

რატომღაც ქანობდნენ პლატფორმები, შეწყობილად ირწყოდნენ უზარმაზარ ქვემეხთა ფოლადის ხორათუმები.

ჯავანოს საბრძოლო დაჯალგების შესასრულებლად მიჰქროდა...

ბარაკონა... ნიკორწმინდა...

მოდმას ტვირთი ვინ გაიყო, მტირალს ცრემლი ვინ მოწმინდა,
ქედმაღალი წინაპარი ვის ჰგვემდა და ვის ჰკოცნიდა —
ბარად ბრძანებს ბარაკონი, მთაში სხვა ვინ — ნიკორწმინდა!

იღბალო და გალაგანო, დედა ენავ გამართულო,
მეტი რაღა გაგალალო, აღგამალო, გაგართულო,
მწადს — ბალღივით გისიტყვაო, მსურს — ბრძენივით გაქართულო.

შენ გვაწოდებ ხელში საკრავს ულაროს თუ ლარებიანს,
სიმღერებით, ლექსით, ზღაპრით სიტყვა გაგამრავლებია,
რაც სიკეთე გაგაჩნია — ჩვენზე გაგივალებია.

შენ გვამძღაგრებ, როცა კარზე გვადგას მტერი ონაგარი,
შენი მადლით თვითეული შენი შვილი ლომა არი,
შენ გვასწავლე საქართველოს წარსული და მომავალი.

სხვაზე უკეთ ვინ ხნა, ვინ სხლა, ვინ ერთგულად ბარა, კონა,
შენით ამბობს ნიკორწმინდა, შენგან იცის ბარაკონმა,
შენგან არის რაც ქართველი ბანაკობს და ბანაკობდა.

შენ ანიჭებ ხელმეორე დღეგრძელობას სოფლებს დავსილს,
შენ ერთგული გვიდიადე, შენ ორგული მშრალზე დავსვი,
შენ ამრავლე, აამაღლე, ააზავეთ ჩვენი დასი!..



შ ა ვ ი ჯ მ ს ი

ჩემი სოფლის ეტოულებიდან

ჯოხები არ აკლდა ძია ილიკოსა, გული ერჩოდა, ხელი ეცმადუნებოდა, ჯანი აღარ მოსდევდა და, ცოტას წაიმუშავებდა თუ არა, მიჯდებოდა ჩრდილიანი-შია, თლიდა ჯოხებსა, თლიდა და თლიდა; თლიდა და აკლევდა, შემოწვავდა შამფურითა, ჯერებს დაასხავდა, მტევნებს ამოსახავდა, ვაშლსაცა, მსხალსაცა, შემოუვლიდა ხვეულ-ხვეულადა, ან უჭრებში ჩასვამდა, როგორც უნდოდა, როგორც მოენებებოდა, მზრძანებელი არაეინა ჰყავდა, არც დამწუნებელი თუ გამკილაევი, დრო გაჰყავდა, ისვენებდა, მერე ისევ მიუბრუნდებოდა საქმესა, ბაღისა თუ ვენახის, ბოსტანისა თუ ბაღის საქმესა. მაგრამ თანდათან ისე გამოდიოდა, ჯოხები უფრო მეტი უგროვდებოდა, ვიდრე ნამუშავარი. ესეც არაფერი, ძალას ვინ ატანდა, ვინა სთხოვდა პასუხსა, — მხოლოდ თვითონ ეთანაღრებოდა გული. მერე ამსაც მოერიო თანდათანობითა, თავმოწონება დაიწყო ჯოხებითა, ჯერ თვითონვე მოიწონა, თვითონვე აღმოხდა თუ ამოსცდა მოწონებისა თუ აღტაცების სიტყვანი, მერე სხვებმაც დასძინეს, იგივე დასძინეს, დასძინეს სიტყვანი აღტაცებისა და ჩაიარა გულთანაღრეანობამა თუ სინანულმა, ჩაიარა, წავიდა, გაჰქრა; თუმცა უკვა-

ლდაც ვერ ჩაიარა, იმან თუ ჩაიარა, ამოიარა სხვა სინანულმა, — ჩემი ხელობა ესა ყოფილა და რატომ ვერ მივხვდი აქამდისაო, ამისათვის დავბადებულვარ და სხვაგან რას გავფანტე ჯანი და ღონეო.

მართლა სინანულისადა თქმულიყო, ალალი სინანულისადა თუ ისე, უბრალოდა, გასახუმრებლადა, ამისი აბა რა მოგახსენოთ, ნურც ჩამაცივდებით, აქ ეს იმდენად საჭირო როდია, სხვა რამ არის საჭირო, სხვა რამეა მთავარი და მთავარიც ისაა, ჯოხები რომ არ აკლდა ძია ილიკოსა: ხარხა გავდგა აივანზედა, ზედ გაეწკიბა უამრავი ჯოხი, თავმოკავებული სხვადასხვანაირადა, მოხარატებული ნაირგვარადა, ამორჩეული იფნებიდანა თუ შინდებიდანა, ჯონჯლებიდანა, თხილებიდანა თუ ალუბლებიდანა, რისგან აღარა, მხოლოდ ისეთთაგანა, ურძანივით სწორად რომ აღიან, აიტყორცნებთან, ტანი მიაქვთ თანაბრად, თანდათანობითა; ჰო გაეწკიბა ზედა, გაეწკიბა და თავს იწონებდა, ერთხელ თუ იხმარდა, მერე აღარ დაეყრდნობოდა ერთხელ ნახმარსა, სხვას გამოთლიდა, სხვას მოაქდევდა, მოახარატებდა; მოახარატებდა სხვანაირადა და ჩივილი-და სოფელშია, ამაყად ჩივილიდა, ჩამო-

ჯდებოდა მალაზიის წინა, ჩამოჯდებოდა სათავითავე კუნძუზედა, ჯოხს წინ გამოდგამდა, წამოიჭიმებოდა, ისე დაეყრდნობოდა წამოდგმულ ჯოხსა, აპაა, დიხანხეთო, ახალიო, ახალთახალიო, როგორიო, როგორი ბიჭი ვარო. ბიჭობაც შენ ვეთქმისო, დასქენდნენ მყისვე, იქ ხალხი ყოველთვის იღვა, მიდიოდნენ, მოდიოდნენ, მიეშურებოდნენ, მიქაქანებდნენ, სულერთია, იქ მაინც შეკრულიყო ერთი გუნდი, დაუშლელი გუნდი, ის გუნდი დასქენდა მყისვე, იფ, იფ, ხმა დიდებული რამ არისო, ეს არის რაც არისო, ისიც კარგი იყო, ისიცაო, ისიცაო, მაგარაო ეს სულ სხვა რამ არისო, თავანაკარიო, გამორჩეულიო... ჰო სათავითავე კუნძუზე წამოჯდებოდა ძია ილიკო, ჩამოდგამდა კვერთხსა, გარს შემოუცუცქდებოდა ის დაუშლელი გუნდი, ის მოსიერე გუნდი, შემოუცუცქდებოდა და ერთობოდა, ქებითა, მოწონებითა. ერთობოდა ძია ილიკოცა, კარგად გაეგებოდა გუმანი მოსიერეთა, გაეგებოდა და ერთობოდა, მაგრამ სულს ცოდვილო, მაინც ეამოებოდა, ძალიან ყრულ იყო თუ როგორც იყო, ცოტათი მაინც დაიჭერებდა, კარგი რამ ჯოხი გამოიყვანია, კარგად მომიხარატებიაო, მაგრამ ეს იმდენი არაფერიო, დროზე რომ დამეწყო, ჩემი ბადალი აღარსად მოიძებნებოდაო, ნწ, არაო, აღარსადაო.

ვინ იცის, ვინ უწყის საბურავი წუთისოფლისა, ეგება მართლაც ვერ მოძებნილიყო იმისი ბადალი, მაგრამ მოდი ამასაც ნუ გამოვუდგებით, აქ სხვა რამეა გასახსენებელი, სახელდობრ ისა, ჯოხები რომ არ აკლდა ძია ილიკოსა. ან არ აკლდაო, რა სათქმელია, მომეტებული ჰქონდა, მაგრამ მაინც ეამა, პეტრე რომ ეწვია და ახალთახალი, შავად გალაქული ჯოხი მართვა სახსოვრადა, სახსოვრადა და გამოსაყენებლადაცა, ვითარცა აუცილებელი სამკაული სიბერისა. ჯოხიო, ასეც მოახსენა, დიდად გამოსადეგი რამ არის სიბერეშიო, თუმცა არაო, არაო, ჯერ შენთან სიბერეს რა უნდაო, მაგრამ მე უკვე დამჭირდაო, შენ ჩემზე იციოდე წლით უფროსი მეგულე-

ბი და ამან შემაციდინაო; მეგულეები და კიდევაც უნდა ბრძანდებოდეთო, ოღონდო ისე კარგად გამოიყურებინე ლამის მე გამოვდივარ შენზე უფროსიო, მა, მა, მა, ჰა, ჰაო, დიდიხანია არ მინახივხარ, რა კარგად შენახულხარ, რა ჯავარზე ხარ, იფ, იფ, აღამიანი ძალიან კეთილი უნდა იყოს, რომ არ შეშურდეს შენო. მე ვარ სწორედ ასე კეთილი, ძალიან კეთილი, გიყურებ და მიხარიაო, ო, რომ იცოდე, როგორ მიხარიაო. ეს თქვა და ისიც დასძინა, დროყამი მაინც დროყამია, უკვალოდ არ ჩაივლის, მაშინ მაინც სხვა იყავი, აი, მაშინაო..

სხვა ვიყავიო, თავს უკანტურებდა ილიკოცა, უკანტურებდა ისე, ვითომდა რაო, შენც ყურს გიგდებო, მაგრამ არ უღებდა ყურსა, ჯოხს ჩასცქეროდა, ჩასცქეროდა გულმოდგინედა და გამოცდილი ოსტატის თვალითა, ამაყი ოსტატის თვალითა, არაფერი რომ არ მოსწონს და მაინც უნდა, რაღაცა გადაილოს, რაღაც გააპაროს, მიუმატოს თავის ნახელავსა. რა გადაიღებოდა იქიდანა: შავი ლაქი წაესვათ თავიდან ბოლომდისა, წაესვათ დაუზოვავადა, გულმოდგინედა, ეს იყო და ესა. ამას ვერც გადაიღებდა, არც მოსწონდა, — მაშ რაო, თუ ვერ შესწვდენიხარ, დაწუნება მარგებელი ყოფილა, სიამაყეს დაიშოშმინებ. ჰოდა დაიწუნა, დაიწუნა და დაიშოშმინა სიამაყე ჯოხის ოსტატისა; ეს დაიწუნა, ოღონდ მოღუნული ხელჩასაკიდი რაღაც გამოსახულებით რომ ბოლოვდებოდა, იმას კარგახანს უტორილია. ჯერ ვერც გაარჩია თუ რა უნდა ყოფილიყო, ხან რას მიამგვანა, ხან რასა, ვერცერთი დაიჭერა, ბოლოს ძალღს მიამგვანა და დაიდასტურა, ძალღი უნდა იყოსო. დაიდასტურა და არ მოეწონა, ნწ, არაო, ძალღი არ ივარგებსო, მე თუ ამოვსახავ, ამოვსახავ ხარის თავსაო. თუმცა სოფელში გამწყვარიყო ხარის გასაგისი, გამქრალიყო მადღი ხარისა, მაგრამ მერე რაო, იმას მაინც კარგად ახსოვდა მოყვანილობაცა და მადღიცა ხარისა. ძალღი ყოველ ნაბიჯზე ეჩხირებოდა თვალებშია, მაინც არა, ნწ, არა,

ჯდებოდა მაღაზიის წინა, ჩამოჯდებოდა სათავითავე კუნძზედა, ჯოხს წინ გამოდგამდა, წამოიჭიმებოდა, ისე დაეყრდნობოდა წამოდგმულ ჯოხსა, აჰა, დაინახეთო, ახალიო, ახალთახალიო, როგორიო, როგორი ბიჭი ვარო. ბიჭობაც შენ გეტქმისო, დასქენდნენ მყისვე, იქ ხალხი ყოველთვის იდგა, მიდიოდნენ, მოდიოდნენ, მიეშურებოდნენ, მიჭაქანებდნენ, სულერთია, იქ მაინც შეკრულიყო ერთი გუნდი, დაუშლელი გუნდი, ის გუნდი დასქენდა მყისვე, იფ, იფ, ხმა დიდებული რამ არისო, ეს არის რაც არისო, ისიც კარგი იყო, ისიცაო, ისიცაო, მაგრამო ეს სულ სხვა რამ არისო, თავანკარიო, გამორჩეულიო... ჰო სათავითავე კუნძზე წამოჯდებოდა ძია ილიკო, ჩამოდგამდა კევრთხსა, ვარს შემოუცუქტდებოდა ის დაუშლელი გუნდი, ის მოსეირე გუნდი, შემოუცუქტდებოდა და ერთობოდა, ქებითა, მოწონებითა. ერთობოდა ძია ილიკოცა, კარგად გაეგებოდა გუმანი მოსეირეთა, გაეგებოდა და ერთობოდა, მაგრამ სულო ცოდვილო, მაინც ეამოებოდა, ძალიან ყრულ იყო თუ როგორც იყო, ცოტათი მაინც დაიჭერებდა, კარგი რამ ჯოხი გამომიყვანია, კარგად მომიხარატებიაო, მაგრამ ეს იმდენი არაფერიო, დროზე რომ დამეწყო, ჩემი ბადალი აღარსად მოიძებნებოდაო, ნწ, არაო, აღარსადაო.

ვინ იცის, ვინ უწყის საბურავი წუთისოფლისა, ეგება მართლაც ვერ მოძებნილიყო იმისი ბადალი, მაგრამ მოდი ამასაც ნუ გამოვუდგებით, აქ სხვა რამეა გასახსენებელი, სახელდობრ ისა, ჯოხები რომ არ აკლდა ძია ილიკოსა. ან არ აკლდაო, რა სათქმელია, მომეტებული ჰქონდა, მაგრამ მაინც ეამა, პეტრე რომ ეწვია და ახალთახალი, შავად გალაქული ჯოხი მიართვა სახსოვრად, სახსოვრად და გამოსაყენებლადაცა, ვითარცა აუცილებელი სამკაული სიბერისა. ჯოხიო, ასეც მოახსენა, დიდად გამოსადეგი რამ არის სიბერეშიო, თუმცა არაო, არაო, ჯერ შენთან სიბერეს რა უნდაო, მაგრამ მე უკვე დამჭირდაო, შენ ჩემზე იციოდე წლით უფროსი მეგულე-

ბი და ამან შემაცდინაო; მეგულეობა და კიდევაც უნდა ბრძანდებოდეთო, ოღონდო ისე კარგად გამოიყურებინო, კლამის მე გამოვდივარ შენზე უფროსიო, შა, შა, შა, შა, შაო, დიდხანია არ მინახიხვარ, რა კარგად შენახულხარ, რა ჯავარზე ხარ, იფ, იფ, ადამიანი ძალიან კეთილი უნდა იყოს, რომ არ შეშურდეს შენო. მე ვარ სწორედ ასე კეთილი, ძალიან კეთილი, გიყურებ და მიხარიაო, ო, რომ იცოდე, როგორ მიხარიაო. ეს თქვა და ისიც დასძინა, დროყამი მაინც დროყამია, უკვალოდ არ ჩაივლის, მაშინ მაინც სხვა იყავი, აი, მაშინაო.

სხვა ვიყავიო, თავს უკანტურებდა ილიკოცა, უკანტურებდა ისე, ვითომდა რაო, შენც ყურს გიგდებო, მაგრამ არ უგდებდა ყურსა, ჯოხს ჩასცქეროდა, ჩასცქეროდა გულმოდგინედა და გამოცდილი ოსტატის თვალითა, ამაყი ოსტატის თვალითა, არაფერი რომ არ მოსწონს და მაინც უნდა, რაღაცა გადაიღოს, რაღაც გააპაროს, მიუმატოს თავის ნახელავსა. რა გადაიღებოდა იქიდანა: შავი ლაქი წაესვათ თავიდან ბოლომდისა, წაესვათ დაუზოგავადა, გულმოდგინედა, ეს იყო და ესა. ამას ვერც გადაიღებდა, არც მოსწონდა, — მაშ რაო, თუ ვერ შესწვდენიხარ, დაწუნება მარგებელი ყოფილა, სიამაყეს დაიშოშმინებ. ჰოდა დაიწუნა, დაიწუნა და დაიშოშმინა სიამაყე ჯოხის ოსტატისა; ეს დაიწუნა, ოღონდ მოღუნული ხელჩასაკიდი რაღაც გამოსახულებით რომ ბოლოვდებოდა, იმას კარგახანს უტორღილა. ჯერ ვერც ვარჩია თუ რა უნდა ყოფილიყო, ხან რას მიამგვანა, ხან რასა, ვერცერთი დაიჭერა, ბოლოს ძაღლს მიამგვანა და დაიდასტურა, ძაღლი უნდა იყოსო. დაიდასტურა და არ მოეწონა, ნწ, არაო, ძაღლი არ ივარგებსო, მე თუ ამოვსახავ, ამოვსახავ ხარის თავსაო. თუმცა სოფელში გამწყვარიყო ხარის გასაგისი, გამქრალიყო მადლი ხარისა, მაგრამ მერე რაო, იმას მაინც კარგად ახსოვდა მოყვანილობაცა და მადლიცა ხარისა. ძაღლი ყოველ ნაბიჯზე ეჩხირებოდა თვალეშვია, მაინც არა, ნწ, არა,

არ გამოსახავდა ძალის თავსა. ამის გამკეთებელს როგორღა მოუვიდაო, თუმცაო კაცია და გუნებაო, ძალი ყოფილა იმის გუნებისადა, ხარი ჩემი გუნებისაო. ეს უკვე ხმამალა გამოთქვა და ჩამოვიდა ჭოხი ხარხაზედა, ესეცა ასეო, ახლა ქვევრი მოვხადოთო და...

— ო, არა არა!.. ხელები ვაატატანა სტუმარმა, — წვეთსაც ვერ გავკარებდი, ვერა, ვერა...

— ჰა?! — ნაბადის ქული ჩამოიფხატა ილიკომა, აჰხედა ქვეშეშეშადა, აჰხედა დაკვირვებულთ თვალითა. იმა თვალითა ჭოხს როგორადაც აკვირდებოდა: იმიტომაცაა შვილოსან ფერი რომ არ ვადევსო, ფიქრად მიადევნა თვალსა, თავპირი ზედ გასკდება, ლოყები დაგბერია, მაგრამ ფერი ვერ მოგდევს საიასალოო, — ალბათ პაპიროსიცა, ჰა? — ეს ხმამალა იკითხა, ხელიც გაიჭინა ზურგსუკანა.

— მამ არა და ბოლში ჩავიხრჩობი...
— მაშინ ბევრს ეწეოდი, აქეთ რო ბრძანდებოდი, ხელობაში იდექი...

— მაშინაცა, მერეცა...
— მერე აღარ ვიცია, დაწინაურდი, წახვედი, წახვედი... — თითები აათამაშა ზევზევითა, სიბერეს წელში მოეხარა, მაგრამ მაინც აჰყვა თითების თამაშსა, აჰყვა ოდნავა, მერე თვალი აადევნა, წელი ველარა, ველარ აადევნა.

— ეგრეცა, — პეტრემაც მიაყოლა თვალი ილიკოს თითებსა, მიაყოლა ამაცი თვალი, — როცა შეგიძლიან, დავალეებასაც მეტს მოგცემენ, ასეა პარტიამში. მეც თავი არ დამიზოვია, ვიდრე საპენსიო და საექიმო ვაგხდებოდი. არა, ისე მაინცდამაინც დიდად არაფერი მაწუხებებს, მაგრამ ჩემს ხანში ექიმების რჩევა უსარგებლო არ უნდა იყოს, შენ როგორ იტყვი? მე მაინც ასე მგონია, გაუგონებ კარგია, არ გაუგონებ და ინანებ.

— ცას ვერავინ შეაბერდება, — ნელნელა დაუშვა ხელი ილიკომა, — ერთი დღე მაინც უნდა იცოცხლო შენი ნებისადა, ერთი დღე რა არის, ერთი დღე

მაინც უნდა იცოცხლო... მოგხდნი ქვევრისა. — ვაიწია.

— არამეთქი, — არ გაუშვავ წუჩემი სიკეთისას მირჩევენ ექიმებმა დასაჩემი ნებისაც ეს არის. შენც გირჩევენ...

— ნწ, არა...
— ბელნიერებაა. არც გინდა. შენ სხვა ხარ, — თითქოს სინანულითაო, თითქოს მოწონებითაც დასძინა პეტრემა და აუფამფალდა გაფუებული ლოყები, — ჩემი საქმე სხვანაირად აეწყო, დიდი ჯალა დამადგა და, როგორც მოგეხსენება...

— ჰოოოო... — გააგრძელა ილიკომა, მომეხსენებო.

— შრომა და ღვაწლი, რაც უნდა იყოს, რამდენი სიამოვნებაც უნდა მოჰქონდეს, მაინცა მოქმედებს ადამიანზე.

— ჰოოოო... — ისევ მიადევნა ილიკომა, — ძალიანა მოქმედებს, ძალიანა, ზარის დილს რო თითს დააქერ, ოოო, ძალიანა მოქმედებს, ძალიანა!..

— ჰა?! — მოიღუშა პეტრეი, კბილებიც გამოაჩინა, თეთრი, თეთრი ჩაწიკწიკებული კბილები, ექიმების მიერ ჩაწიკწიკებული, ექიმების მიერ ასხმული რალა თქმა უნდა, ღრძილებიც გამოაჩინა ანუ მინამგვანი ღრძილებისა, ცოტა ბაცი ნამდვილ ღრძილებზედა, ავად გადაგრინა ტუჩები (ილიკომ იფიქრა, აჰაა და გამომეცხადა ძველი პეტრეო), მაგრამ მყისვე მოგვო გონსა, სასაცილოდ გაზიდა ავად გადაგრეხილი ტუჩები, ჰო სასაცილოდ გაზიდა და მოადევნა სიცილიცა, — რა უცნაური ხარ, უცნაური ხარ!.. მაშინაც ეგრე მოსწრებულთ სიტყვა გქონდა, გახსოვს... ო, რა იყავი, რო გამახსენდება!..

— შენი თქვი, — ცალი არ დაუგდო ილიკომა, — აქეთაც კი ქარი გიჭროდა, რო დაწინაურდი, მერე ალბათ...

— მე ძველს მოგახსენებ, — არ დაანება სტუმარმა, — ახლაც ასე გაუტეხავად რომ გამოიყურები, იმ ძველი ჯანისავან მოგდევს.

— ჰე, ჰე, ჰე...
— შენი მკლავისოდენა ღონეს ბევრი ვერ დაიტრახებდა.

— ჰე, ჰე, ჰე...

— მართალს გეუბნები, მახსოვს და გეუბნები.

— ჰე, ჰე, ჰე... — ნეტავი ასე რად მაქებსო.

— შენ რო ერთხელ მათრახი გადმომიშხულილე...

— ჰაჰ!

— ერთხელ მათრახი გადმომიშხულილე...

— ჰაჰ!

— მათრახი მეთქი, როგორ არ გახსოვს?! მაშინ რო გადმომაწანი, რო გამახსენდება, ახლაც ამეწვის ზურგი... აი, ამეწვა. — მხრები გაგრიბა პეტრემა, — აი, აჰა... როგორ არ გახსოვს, ჰაჰ!

— რა ვიცი, აბა, არ მახსოვს და ეს არის, შენ თუ გეწვის, აბა, რა მოგახსენო, მე არ მეწვის და არც რა მახსენდება.

— აბა, მაშინ შანდობლივ მოგახსენებ, — ღიმილად დაიღვარა პეტრე, ტკბილ ღიმილად, თბილ ღიმილად, — შენ მაშინ წითელ ცხენზედ იჯექი, ფეხკავშა იყო, შუბლი ნიკორა ჰქონდა; იჯექი და, მე რო მომიყვანეს ხელგაკრული, აიმართე უხანგებზედა, აიმართე და აიქნე მავის სისხო მათრახიცა. კომკავშირელი შენა გქვიანო, გადმომახე და გადმომიბრიალე თვალები. პეტრე მქვიანმეთქი, მოგახსენე. პეტრე რქმევიაო, მიუბრუნდი ჩემს მომყვანებსა და მათრახი დაუშვი. მერე რაო, კომკავშირელიაო, შემოგძახეს იმათა. მაშინ გვარია შენი კომკავშირელიო, ისეც გადმომიბრიალე თვალები და ისეც აიქნე მათრახი, მავის სისხო მათრახი. არამეთქი, არ შემშინებია, შიში რა სათქმელია, წარბიც არ მომიხრია, არამეთქი, შემოგძახე ამაყადა, გვარად კრაწაშვილი ვარმეთქი. კრაწაშვილი ყოფილაო, მიმართე ჩემს მომყვანებსა და ჩამოუშვი მათრახი. კრაწაშვილია თუ რაც არის, ეს არის რაც არისო, ეს ურევს სოფელსაო, ეს აჯანყებსო, გითხრეს და შენც გადმომიშხულილე მათრახი, გადმომიშხულილე და გადმომიშხულილე; ყამაყამა დამასკდა ხალათიცა და კანიცა. წარბი მა-

ინც არ მომიხრია, თავი არ დამიღვარა დაბლა, მხოლოდ ხალხს მივუბრუნდი, სოფელი მოგროვდა, მოგროვდა შევრი ხალხი, ნუ შეგვეშინდებამეთქი, შევძახე, მედგრად იყავით, ამათი დღეები დათვლილია, მოახლოვებულა ქამი ამათი აღსასრულისამეთქი, ასე მივმართე ხალხსა... არ იქნება, რომ არ გახსოვდეს.

— ნწ, არა!

— როგორ არა, წითელ ცხენზე იჯექი, ფეხკავშა იყო, შუბლი ნიკორა ჰქონდა...

— ნწ, არა!..

— კომკავშირელი შენა ხარო...

— რასა ბრძანებ, როდისაო, ვის დროსაო?

— როდისა და მენშევიკების დროსა.

— ჰაჰ!

— მენშევიკებისა!..

— ნწ, არა...

— ცხენი მაინც გაიხსენე!

— ნწ, არა!.. ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო, — შუბლზე დაიკაუნა თითი ილიკომა, დაიკაუნა და გააგამოაქანა ხელი. — წავალ, ქვევრს მოვხედი, ისა სჯობიან.

— არ ვინდამეთქი, ქვევრი რის მაქნისია, რასაც გეუბნები ის გამოიგონე, ან ცხენი გაიხსენე, ან მათრახი, ან ხელგაკრული პირტიტველა ბიჭი, თუ არ გახსენდება, მენდე, დამიჯერე, რაც გითხრა, დამიჯერე და გაიმეორე. გახსენებაც ესაა, ვანა მეტი რამეა, გაიმეორებ, გაიმეორებ და მოგაგონდება. ოღონდ დამიჯერე, დამიჯერე, რა!.. — შევედრა პეტრე, თითქოს მაცხოვარი გამოეცხადა ღმრთავმორწმუნესაო, ისე შევედრა, ხელებიც განიწოდა რაღა თქმა უნდა ის ფაფუკი, ფუნჩულა, გაფუყული ხელები, განიწოდა და მიაჩერდა სასოებითა, მიაჩერდა და აღუღუნდა, — გამოიგონე ჩემო ილიკო, კარგად გამოიგონე და კარგად დაუფიქრდი, რასაც ახლა გეტყვი: ამის გახსენება ვანა ისე მინდა, ისე, უბრალოდა, სალაპარაკოდა, არა, შენც არ მომიკვდე, მეც არა ამტეხია



რაი; თუმცა კაცმა რომ თქვას, სალაპარაკოდაც არა უჭირს რა, წარსული ამბავია, გასახუმრებლადა თუ გასართობადაც გამოდგება, მაგრამ ეს მერე, კიდევ ბევრჯერ მოვესწრებით ხუმრობასა, მერე იყოს, ხოლო ახლა გამოგიტყდები, შენ გულწრფელი კაცი ხარ, მეც გულწრფელად გამოგიტყდები, ამისი ვახსენება ძალიან, ძალიან, ძალზე ძალიან საჭიროა ჩემთვისა. ღვაწლი მეკარვება, გასაბჭოებამდელი ღვაწლი, ადვილია?! აბა, დაუკვირდი: ბევრს მივდექმოვდექი, მაგრამ ველარავის მივავენი, გასაბჭოებამდელი ღვაწლი რომ დამიდასტუროს, დრო წასულა, წასულა, გაიგე, წასულა ხალხიცა... კარგად დაუკვირდიმეთქი. მე ახლა პენსიაში ვარ, ჩვეულებრივ პენსიაში, ოღონდ ვინმე რომ გამოჩნდებოდეს და დამიდასტურებდეს გასაბჭოებამდელ ღვაწლსა, პერსონალურ პენსიას მიბოძებენ, თანაც განა აქაურსა, რესპუბლიკურსა? არა, აქაურს არ მაკმარებენ, მიბოძებენ საკავშირო ნიბრითა, აბა! მეკუთვნის და, მეკუთვნის და ვითომ რატომ არ მიბოძებენ?! მხოლოდ დადასტურება მინდა, გაიგე?

— რო ვერა?!
 — ჰო გაგახსენე?!
 — რო არ მახსენდება? არც მახსენდება, გაგონებითაც არცაღ გამოგონებისეთებს ამბობ, ვერ ეკარება ჩემ ფიქრებსა.

— როგორ თუ ვერა?!
 — რა ვიცი, აბა, ვერა და ვერა!..
 — მოიგონებ, როცა იქნება მოიგონებ და მიეკარება, ჯერ მხოლოდ დამიდასტურე, მეტი არაფერი მინდა შენგანა. ეს რა არის, ვითომ ისეთი რა გგონია?! ისეთიც არაფერია, მხოლოდ არ უნდა დაგეზაროს. ან დასაზარებელი რა არის, მანქანით წაგაბრძანებ და მოგაბრძანებ, შენი ხმალი და ჩემი კისერი, მიმსახურე, როგორც გენებოს. — სადღაც შორს გაიქტირებოდა ილიკოი, გაიქტირებოდა ღრუბლებს იქითა, თითქოს არც ესმოდა ან აღარ უნდოდა, გაეგონა პეტრეს ნათქვამი. მიუხვდა პეტრეი, — არ მეგონა!.. — ამოიძახა წყრომისადა, ჰო ამოაყოლა წყრომა და ღვარძლი, ველარ შეიკავა თავი.

— ჰოოოო... — წააგრძელა ილიკომა. გავიგე თუ გავიგეო.
 — შენზე უკეთესად ვილა დამიდასტურებს.
 — ჰოოოო...
 — ჰოდა ახლა შენ იცი, შენ იცი და შენმა კაი კაცობამა, მე რაც გაგახსენე. ჰო გაგახსენე, შენი მხრითაც შენი დაუმატე ან დამატებაც არ უნდა, რაც ვითხარი, ის დამიდასტურე და კმარა.
 — ნწ, არა!
 — არა!
 — არა...
 — როგორ გეკადრება, — შუბლი შეიკრა პეტრემა, — მე ამდენი გულწრფელობა გამოგიჩინე, ასე გავენდე, ამდენი რამ მოგიგონე და მოგაგონე, შენ მაინც ფეხს არ იცვლი ერთი ადგილიდანა, როგორ გეკადრება!..
 — ვერ ვიცვლი და...
 — მოიცვალე...

— ჰა?! — ზედ მიატანა ილიკომა, თითქოს წაასწროო.
 — არ მეგონამეთქი, — მოლბა პეტრეი.
 — არც მე...
 — არც დავიჯერებ.
 — არც მე...
 — მეც მანდა ვარ, ერთადა ვყოფილვართ.
 — ერთადა და არც ერთადა...
 — მაშ როგორაო?!
 — რა მოგახსენო...
 — რაც გინდოდეს, არ მეწყინება, ოღონდ გაიხსენე, მე ვითხარი, შენიც გაიხსენე, მოიგონე, მოიგონე, რა!
 — ჰო... მაგონდება...
 — ჰო! ჰო! ჰო!..
 — ჰოდა... ჰო! — დაჰკრა კვერი ძია ილიკომაცა, — მომაგონდება, მაშ არა და!.. რალა არ მომაგონდება, მაგრამა, მაგარიც ის არის, რაც უფრო მეტად მომაგონდება, წალმა რაც მეგონა, უკუღმა რა გამომივიდა, უკუღმა რაც მეგონა, წალმა რა მომექცა, თავი და ბო-

ლო ვერაფერს რო ვერ გაუფგე, აღმა რო გავწიე და ქვევით წამივიდა წუთისოფელი, ქვევით რო დავეშვი და თავზევით გადმომიპირქვედა ყველაფერი, მე რასაც ვეტანებოდი, ის რო გამიბოდა, გარს რაც მეხვია, მე რო ვიცილებდი, რაც არ მინდოდა, ხელთ რო არ მომდევნდა, რაც არ მინდოდა, რო არ მეხსნებოდა, რაღა არ მომაგონდება ასეთადა და ამდაგვარად, მაგრამ რად გინდა, რა ბედენაა შენთვისა?! არაფერი, არაფერი! არც ჩემი მოგონება გინდა, არც ჩემი მეხსიერებისა გედარდება, შენი გაწუხებს, აუტანიხარ შენს სურვილსა, ჩემი აყოლიება გინდა და, რახან ასე ძალიან გინდა, მეც აგყვები, აჰა, აგყვები, აჰა, აგყოლივარ, ვითომც ეგრე ყოფილა, ჰა? ვითომცაო და ვითომცა, ჰადაჰა!.. ოღონდა... მოიცა!.. ოღონდამეთქი... მოიცამეთქი... თუმცა ჯერ იმას გეტყვი: სიტყვა ქარია, ისე თუ ამბობ, არც საამისოდა, არც საიმისოდა, ქარია და მეტი არაფერი, მაგრამ ადგილზე ნათქვამი ქარი არა ყოფილა, განზრახ ნათქვამი ქარი არა ყოფილა, არა, არა ყოფილა ქარი, არცა ყოფილა, არც იქნება. ჰო ჯერ ამას გეტყვიმეთქი და აჰა, გითხარი. აგყოლივარმეთქი, ესეც გითხარი, გითხარი და აგყოლივარ, ოღონდ ახლა შენ ის მომახსენე, მერე რა იქნება, მერემეთქი, იქ რო წამოგყვები და დაგიდასტურებ, ასე და ასემეთქი, ასეთი და ასეთი კაცი იყომეთქი, მერე რა მოჰყვება ამ დადასტურებასა, შენ ეს მომახსენე და მეტიც აღარაფერი მინდა შენი.

— ჰა, ჰა, ჰა... — შესცინა დაიმედებულმა პეტრემ დაიმედებულმა და ვახარებულმა, განადლებულმა, გამარჯვებულმა, შესცინა და ხელიც გადასდო მხარზედა, ის ფაფუკი, ის ფუნჩულა, ის გაფუყული ხელი, — რა მოჰყვება და რაც გითხარი.

— იმას ჰო მივხვდი... სხვას გეკითხები, იმათსა გეკითხები: კეთილი და პატიოსანიო, ეს ვაგიგეთო, ეს რო ჩვენი საქმისათვის თავდადებული ყოფილა ახალგაზრდობაში, ვაგიგეთ და გერწმუნებითო, მაგრამაო შენ ვინდა იყავიო

ანუ ვინა ბრძანდებოდიო ეგრე ლეღის პირისაგან შეჩვენებულიო, ამას რო მეტყვიან, რაღა მიუფგო?.. *მარკუნული*

— შენგან არ მიკვირს... *მარკუნული* იყოს შეიფაკლა პეტრეი, ცოტა შეიფაკლა და ხელი უფრო მოუთბილა მხარზედა, ის ხელი, რბილი, რბილი თივთიკივითა, — მაგდენს ვილა გამოგეკიდება?! დამიდასტურებ, გამოსწევ, წამოხვალ... —

— გამოწევით ბარემ გამოწვევ, მაგრამა თუ წამოვალმეთქი, ცოტაც მოგვიტმინეთო, ასე რომ მითხრან, ასე თბილადა, თავაზიანადა?

— არ გეტყვიან.

— რო მითხრან? მაცოდინე, რა მიუფგო, ის რო დამასწავლე, დამასწავლე საამისო პასუხიკა.

— არ გეტყვიანმეთქი...

— რო მითხრანმეთქი...

— არამეთქი...

— როოოო?!

— აიხირა და აიხირა, სიტყვა ძირს აღარ დაუშვა ძია ილიკომა, ბევრს ეცადა პეტრეი, ამდაგვარადაც უთხრა, იმდაგვარადაცა, კაცთმოყვარეობაც გაახსენა, ბრალდებაც ჩააწვეთა სიავისა, ფრთხილად ჩააწვეთა, მორიდებითა, ნათესაობა თუ ნათელმძირონობაც გაუხსენა, კიდევაც დაამუნათა, ერთხელაო, მე რომ აქეთ თანამდებობები მეჭირა, რაღაცა მთხოვე, მაშინვე გაგიგონე, არც დავფიქრებულვარ, ისევე გაგიგონეო, მუქარაც გამოუღრია, კიდევაც შევხვდებითო, მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს ვერ ასცდებაო, ნათქვამიაო, პენსიაში რომ გავსულვარ, მერე რაო, ბევრი სიკეთე დამითესია, ყველა თუ არა, ზოგი მაინც გამოჩნდება პირიანი კაციო, შენ მე მთხოვე, მე იმასა და საქმეც გაიჩარხებო, სხვაც უთხრა, რაღა არ უთხრა, არ გამოვიდა არაფერი, სიტყვა ძირს აღარ დაუშვა ილიკომა, უნდა ვიცოდე თუ როგორ მიუფგო, ისე არაო, არ წამოგყვებიო. ჰო უნდა ვიცოდე და სწორედ ეს ვერ აცოდინა პეტრემ, ხოლო სხვა ნათქვამი ფუჭი ლაპარაკი გამოდიოდა, ფუჭზე ფუჭი, უსა-

რგებლო, გამოუსადეგარი. იმედი გადა-
 ეწურა პეტრესა, ჩაელია, ჩაეწრიტა,
 სულ მაინც არ გაუჭრა, ისეთი რამეა
 იმედი, მაინც გადარჩება ნაპერწყალივი-
 თა, რაც უნდა იყოს, მაინც გადარჩება,
 შემოიღებს დიდძალ ნაცარსა, ილივლა-
 ვებს, ილივლავებს, იქნება, იქნება; ჰო
 იმედი გადაეწურა პეტრესა, გადაეწურა
 თუ მაინც შერჩა ნაპერწყალივითა, რაც
 იყო თუ როგორც იყო, ბოლოს ხელი
 გაუწოდა გამოსამშვიდობებლად, მალე
 შევხვდებით, ამ სიტყვებით გაუწოდა
 ის ფაფუკი, ფუნჩულა ხელი, ოღონდ
 ისე გაუწოდა, მყისვე უნდა გამოერთმია,
 მყისვე გამოართვა, ილიკოსაც არ და-
 უყოვნებია, მაგრამ ხელის ჩამორთმევა
 მაინც ხელის ჩამორთმევაა, ცოტა
 გრძნობის მიყოლებაც უნდა და გრძნო-
 ბა მიაყოლა ილიკოსაც, მოუჭირა ხელი
 ხელზედა, მოუჭირა და ნუჯერ-კოყრებმა
 ორმოები ჩაიტანა იმ ფაფუკ ხელშია,
 სალუქ ხელშია, გაფუნჩულებულსა თუ
 გაფუყულ ხელშია იმან რომ ვაიტაცა,
 გამოჰკრა ამანაცა და ორმოები დაემგვა-
 ნა ჭაბურღილებსა, ხოლო გამონაკრავი
 — ჭაბურღილებიდან წამონადენ ღვარ-
 თქაფსა, წითელ ღვართქაფსა. ეგრე დაე-
 ზოლა ხელი. ეგრე გაუწითლდა, თითქოს
 მართლაც დადინდა სისხლი, ან აი, აჰა,
 დადინდებაო. შეშინდა პეტრეი, აჩქარდა,
 გაეშურა, რა თქმა უნდა, პირველყოფ-
 ლისა ექიმებისაკენ გაეშურა. ოღონდ
 ჯერ იმ პატარა შუკასაც არ გასცილე-
 ბოდა, ხმა რომ მოესმა ილიკოსი, ნოი-
 თმინეო, ცოტა მოითმინე თუ შეიძლე-
 ბოდესო, ისე მოესმა, თითქოს რაღაცა
 უნდა ახაროსო. შემობრუნდა პეტრეცა.

წამოენთო ნაპერწყალი იმედისა, წამო-
 ენთო და შემოატრიალა, შემოატრიალა
 და გამოაქანა, თითქოს ტრატემბი გამო-
 ესხაო.

— გაგახსენდება მეთქი, აკი გეუბნე-
 ბოდი, — მოვარდა ამ სიტყვებითა და
 თქაფათქუფითა, მოვარდა ისე, ექიმი
 თუ სიფრთხილე რომ აღარ ახსოვდა,
 ეგება კიდევაც გაებოლებინა ან აღარც
 ეუარხა ქვეყრის მოხდაი. — აკი...

— რა დამავიწყებდა!.. — მიეგება
 ილიკოსა, მიეგება სახსოვრად მიტანილი
 ჯოხითა, იმ შავი, კრიალა, გალაქული
 ჯოხითა, ძაღლის თავი რომ ამოსახული-
 ყო ზედა, — აჰა, წაილე, დაგენანება,
 არაფერი გამოვიდა და დაგენანება, სი-
 ნანული ცუდია, შწარეა, ყველაზედ
 შწარეა ამ ქვეყანაზედა, ხოლო იმ ქვეყ-
 ნისა ჯერ არაფერი ვიცი, წაილე, წაილე...

— რა საკადრისია!... — აღმოხდა ვაც-
 ბუნებულ პეტრესა.

აღმოხდა თუ დაიჩიფჩიფა სულერ-
 თია, ჯოხი მიაჩენა ძია ილიკოსა, მიაჩე-
 ჩა და არ მოეშვა, თან გაატანა. ასე
 ერჩივნა, როგორღაც უცხოდ გამოერჩა
 იმის ჯოხებშია, უცხოდ გამოერჩა და
 უცხოდვე დარჩებოდა. იმითი თავს ვერ-
 სად გამოიღებდა, ვერა, ის სხვა იყო,
 თვითონვე რომ თლიდა, თოხი რომ მოლ-
 ლიდა, ჩამოჭდებოდა ჩრდილიანშია,
 თლიდა და თლიდა, ახარატებდა, აჭლევ-
 და, ასხამდა სახეებსა, გამოჰყავდა თა-
 ვი ხარისა, ჯონქა ხარისა, თუმცა ხარი
 გამწყვდარიყო სოფელშია, გამჭრალიყო
 მადლი ხარისა, მაინც ახსოვდა, კარგა-
 დაც ახსოვდა, კარგადაც გამოჰყავდა,
 ის სხვა რამ იყო. სულ სხვა რამ იყო...

ი ნ დ ი ე ლ ი

ა მ თ ხ რ ო ბ ა

ბექობზე ბუნგალო იდგა. ბექობსა და ფართო მდინარეს შორის პატარა საცეკვაო. საცეკვაოზე ორმოციოდე კაცი ისე ხმაურობდა, რომ ყურთასმენა არ იყო. ერთი სულ განმარტოვებით იდგა. ყვირთელი ტყავის გრძელი შარვალი ეცვა, მუხლებთან ვიწრო, ქვევით განიერი. ბარძაყთან, შარვლის ჩანაკერში გრძელი თურქული ბებუთი ედო. ქუდი არ ეხურა, მარჯვენა ხელში ვინჩესტერი ეკავა.

— ჩინური ბაყაყი! — დაიძახა მან.

ბრბო ისევ ყაყანებდა. მისი ხმა არავის გაუგია.

— ჩინური ბაყაყი! — ისევ დაიღრიალა, მაგრამ კვლავ არავინ უსმენდა.

ზევით აიხედა და მაშინვე ვინჩესტერი გაისროლა. ბრბოს შუაგულში დიდი ყვირთელი მაკაო¹ დაეკარდა.

— ჩინური ბაყაყი! ჩინური ბაყაყი მიაგეთ წითელ ტურებს, — ტყავისშარვლიანმა კაცმა ვინჩესტერის ლულით ბრბო მისწომოსწია. შუაგულში ოთხ კაცს უკან ხელებგაკრული ჩუნჩოს ტომის ორი ინდიელი ჰყავდა გაკავებული. ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. ქვედა ტურში სარქვები ჰქონდათ გაყრილი, ყურებზე დიდი რგოლები. ისინი უშინრად იდგნენ, მხოლოდ გაკვირვება ჰქონდათ აღბეჭდილი შავ დიდრონ თვალებში.

ტყავისშარვლიანი კაცი ინდიელებთან მივიდა.

— ჩარჩო მოიტანეთ!

ოთხმა კაცმა ხის დიდი ჩარჩო მოიტანა. ჯერ ერთ ინდიელს შეუხსნეს ხელები და ჩარჩოზე მართლაც და ბაყაყით გააკრეს. მეორე იდგა და კიდევ ვერ გაერკვია რა ხდებოდა მის ირგვლივ. ტყავისშარვლიანი ჩარჩოზე გაკრულთან მივიდა, ვინჩესტერი მარცხენა ხელში გადაიტანა, მარჯვენით თურქული ბებუთი იშიშვლა. ბასრი დანის წვერი მარჯვენა თვალთან მიუტანა.

ინდიელს წარბიც არ შეუხსრია. მაშინ ტყავისშარვლიანი დაიხარა და მუცელზე უჩქმიტა დანით. კრილობიდან მაშინვე წამოვიდა სისხლი.

— გადაადდეთ! — დაიძახა ტყავისშარვლიანმა.

ოთხმა კაცმა ასწია ჩარჩო და მდინარისაკენ წაიღო. უკან ბრბოც მიჰყვა ყაყანიით. მერე ასწიეს მძიმე ტვირთი და მდინარეში მოისროლეს. როგორც კი ჩარჩო მდინარეში ჩაეშვა და კრიალა წყალში სისხლი ჩაიკლავნა, მაშინვე ჰიანჭველებივით გამოეფინა პირაია¹.

ასიათასობით პირაიამ დაფარა კაცი, მერე ხორციჰამია თევზის ჯგრო ღრუბელივით გაიფანტა და ჩარჩოზე მხო-

¹ მაკაო — თუთიყუნის ჯიშია სამხრეთ ამერიკაში.

¹ პირაია — ხორციჰამია თევზი. ცხოვრობს სამხრეთ ამერიკის მდინარეებში. როგორც სისხლს იუნოსავენ, მაშინვე მიესვენან ცოცხალ არსებს და გამოახვენ.

ლოდ ადამიანის თეთრი ჩონჩხილა დარჩა.

კმაყოფილი ბრბო ღრიალებდა, ხარხარებდა.

ერთბაშად ვილაცამ შეჰყვირა. მერე მდინარის პირად ის მეორე ტყვე გამოჩნდა. ორივე ფეხი მძლავრად დაჰკრა მიწას და წყალში ჩასრიალდა.

— არა უშავს პირაია გამოხრავს, — დაიძახა ვილაცამ.

— არა, კრილობა არა აქვს.

— მაშინ ანაკონდა გაგუდავს.

— ჰო, ეგ შეიძლება.

— შეხედეთ, როგორ თევზივით მიცურავს, ვადაჩხება. ჯონ, შავო ჯონ, ესროლე. ტყავისშარვლიანმა გაიცინა, ვინჩესტერიანი ხელი აღმართა.

— არა, არ ვესვრი, ანაკონდა გაგუდავს.

ხელბშეკრული ინდიელი რაღაც სასწაულით მაინც მიცურავდა. მიადწია მდინარის შუაგულს. წყალს ზემოთ მხოლოდ და მხოლოდ მისი გაკრული ხელები ჩანდა. ზანდაზან თავს ამოსწევდა, ჰაერს ხარბად ჩაისუნთქავდა და ისევ მძლავრად მიცურავდა.

— ნავი! — დაიძახა შავმა ჯონმა.

მაშინვე გამოაცურეს გრძელი, ფამფალა ნავი. ტყავისშარვლიანი კაცი ნავში ჩახტა და მენავეებს დაუცაცხანა.

— ჩქარა გაუტრეთ!

ნავი სწრაფად გაცურდა. რვა მენიჩბე მძლავრად უსვამდა ნიჩბებს, მანძილი ნავსა და ინდიელს შორის მცირდებოდა. შავმა ჯონმა ნელა აღმართა თოფი, მიზანში ამოიღო ინდიელის ბეჭები. იმავ დროს ნავის წინ ბაწარივით რაღაც გაიკლავნა. შემდეგ ანაკონდას სამკუთხა თავიც გამოჩნდა.

მენავეებმა შიშით შეჰყვირეს. ორი, ყველაზე უფრო დამფრთხალი წყალში გადახტა და ცურვით წავიდა ნაპირისაკენ. ერთს ალბათ ახალი განაკაწრი ჰქონდა ხელზე. რადგანაც პირაიებმა მაშინვე დახრეს, მეორე ჩქარა მიცურავდა.

— შემობარუნეთ! — დაიხრიალა შავ-

მა ჯონმა. ეს ბრძანება სრულიად ზედმეტი იყო, რადგანაც ეჭვსმს შენაჩხებმ კარგად იცოდა თავისი სწამე და რა გორც კი წყალზე სამკუთხა თავი დალანდეს, მაშინვე იწყის ნავის შემობარუნება.

მახრობელმა გველმა ჩაყვინთა. ზევით მხოლოდ მისი ბოლო ჩანდა. შავმა ჯონმა იცოდა, რასაც ნიშნავდა ეს დავინჩესტერის ლულა წყლისაკენ დაუშვა. იმავ დროს ნავთან სულ ახლოს ანაკონდას უზარმაზარი სამკუთხა თავი გამოჩნდა.

ვინჩესტერმა დაიქუხა. სამკუთხი თავი გასკდა და სისხლის შხეფებმა შავი ჯონის ყვითელი შარვალი წითლად მოჩითა. გველი სწრაფად დაიხვა, მისი ვინჩესტერი რგოლები წყლიდან ზამბარასავით ამოვარდა და ნავს ემგერა. ამ დაჯახებამ ფამფალა ნავი მთელი თხუთმეტი ფუტით გატყორცნა სწორედ ამან გადაარჩინა მენავეები. მათ უკან წყალი აქაფდა და ამ ქაფში დროდადრო უზარმაზარი მომაკვდინებელი რგოლები ჩნდებოდა.

შავმა ჯონმა შუბლზე ოფლი მოიწმინდა, სულიც მოითქვა. ახლა ყველაფერი დამთავრებული იყო და მზერა მდინარის მეორე ნაპირისკენ გააპარა, საიდანაც იწყებოდა ეჩოკას ტომის ინდიელთა გაუვალი ჭუნგლები. გაქცეული ინდიელი უკვე ნაპირთან იდგა და თეთრებს ჩუნჩოს ენაზე რაღაცას უყვიროდა. მერე შებრუნდა და ჭუნგლებისაკენ მოკურცხლა.

ნავი ნაპირს მიადგა.

ნაპირთან უკვე მოეცურა იმ დამფრთხალ მენავეს. სეირის მოყვარული ბრბო ხმელეთზე არ უშვებდა.

— პირაია, პირაია! — ყვიროდა ის დამფრთხალი კაცი. მაგრამ განწირულის ამ ძახილს ყურადღებას არავინ აქცევდა, თითქოსდა არცერთ იმათგანს თვალითაც არ ენახოს ავაზაკი პირაია.

ბოლოს იგი მაინც აათრევს ნაპირზე. შავი ჯონი ნავიდან გადახტა. ბუნგალოსაკენ ამავალ ვიწრო ვზას აპყვა.

ამ ნახევრად დამპალ ბუნგალოში ერთ

სირიელს გაეხსნა სასაუზმე თუ რაღაც ამის მაგვარი. სირიელი ჩია, კვერცხის-გულივით ყვითელი კაცი იყო. ამიტომ ყველა ხმელ ფოთოლს ეძახდა. აფრთხილებდნენ კიდევ, როცა სურუსუ უბერავს, გარეთ არ გამოხვიდნო, თორემ რიო-დელა პლატაში ჩაგიტანსო.

ყვითელი ფოთოლი ამ ხუმრობაზე იცინოდა და მთლად ჩაშავებულ დამპალ კბილებს აჩენდა.

ყვითელშარვლიანმა კაცმა ბუნგალოს კარი ფეხისკვრით შეაღო, ვინჩესტერი მარცხენა ხელში გადაიგდო და დახლზე გადაწვა.

— ერთი ლიტრა ბრენდი! — დაიყვირა მან.

სირიელი აჩრდილივით აღიმართა მის წინ.

— ბრენდი აღარ მაქვს, სერ.. თუ არ გამიჯავრდებით, ბოლივიურ ჩიჩის¹ მოგართმევთ. წუხელ ერთმა პაკაგუარემ² მომიტანა. დიდებული რამ არის.

— ჩიჩი იყოს, — მოწყალებით თქვა ყვითელშარვლიანმა.

სირიელმა ბაყაყივით გაბერილი ბოთლი მავიდაზე დადო. შავმა ჯონმა ბოთლს თავი კბილებით მოხადა და მოიყუდა.

— დიდი ანაკონდა კი იყო, სერ! სულ ცოტა 70 ფუტი მაინც იქნებოდა, — დაიწყო სირიელმა, — ძალიან კი იმარჯვებო.

— თავში მოვარტყი.

— თავში რომ ვერ მოვარტყათ, ცუდად იქნებოდა საქმე. ზუან ლასიორა ხომ გახსოვთ, მადიდში რომ ჰქონდა კაუჩუკის პლანტაციები. დილით უყვარდა პლანტაციების შემოვლა. ერთ მშვენიერ დილას ჩვეულებრივ გავიდა პლანტაციებში და უკან აღარ დაბრუნებულა. თორმეტი შეიარაღებული მეგობარი შეუდგა ძებნას და საღამოთი ბუჩქებზე გადაწოლილი უზარმაზარი ანაკონდა ნახეს. ამბობენ სულ ცოტა 80 ფუტი მაინც იქნებოდაო. თოფებით

ხერხემალი დაუმსხვრიეს. ეს არაფერი. წარმოიდგინეთ მეგობარან³ გაოცება, როცა გამწარებულმა გველმა⁴ სტან⁵ ლასიორა ამოარწყია.

შავმა ჯონმა ცარიელი ბოთლი დახლს უკან მოისროლა. ვინჩესტერი ისევ მარჯვენა ხელში გადაიგდო და ბუნგალოდან გამოვიდა.

ბრბო კიდევ არ დაშლილიყო. საცეკვაოზე წრე შეეკრათ. ცალთვალა ბელგიელს, რომელიც აქ ტეხასიდან მოვიდა, მუხლებზე თავისი დანჯღრეული აკორდეონი გაეშალა და უკრავდა. შვიდი წყვილი კი თავგამეტებით ცეკვავდა კაჩუჩას.¹

შავმა ჯონმა შეივინა. ვინჩესტერი მხარზე გაიდო და თავისი ბუნგალოსაკენ გასწია, სადაც გუარაიას ტომის ინდიელი ქალი ელოდებოდა.

X X X

ტუნგასუკი ჭუნგლებში შევიდა თუ არა, მაშინვე იმ უხილავ ბილიკს დაადგა, რომლის აღმოჩენაც მხოლოდ ინდიელის უტყუარ ალღოს შეეძლო. იგი ნელა მიდიოდა, რადგან იცოდა ენერგია უნდა დაეზოვა. ტუნგასუკს ოთხი დღე არაფერი ეჭამა. სწორედ ოთხი დღის წინათ შეიპყრეს ისა და მისი ძმა მონებზე მონადირე პლანტატორებმა. ინდიელისათვის ეს ოთხი დღე მთელი ცხოვრება იყო.

ტუნგასუკი ფრთხილად შიამიჭებდა. იცოდა, რომ ყოველ ბუჩქთან შეიძლება წასწყდომოდა სურუტუკუს², რომელსაც ბასრი, შხამიანი კბილები აქვს და სწრაფად მოძრაობს.

იგი ალღოთი გრძნობდა, სად შეიძლებოდა ყოფილიყო სურუტუკუ და ასეთ ბუჩქს შორს ტოვებდა. მაგრამ... ტუნგასუკი შედგა, წინ ერთადერთი გასაველელი იყო და ამ ვიწრო ბილიკზე, ინდიელიდან ოთხი ფუტის დაშორებით, ცოცხალი ყვითელი ბურთი მოძრაობდა. ცხრა სურუტუკუ ერთმანეთს

1 ჩიჩი — ინდიელთა არაყო.

2 პაკაგუარე — ტომია სამხრეთ ამერიკაში.

1 კაჩუჩა — ინდიელთა ცეკვა.

2 სურუტუკუ — შხამიანი გველი.

ჩახვეოდა და ზედ ბილიკზე იკლავნებოდნენ.

ტუნგასუკმა ჩაიმუხლა, უკან გაკრული ხელებით ხეს მიაწვა და ერთბაშად პირიდან საშინელი ბღღვინვა ამოუშვა. ასეთი ხმის გამოცემა გახელებულ გარეულ ხარს თუ შეეძლო. მერე ბილიკზე ხტუნვას მოჰყვა.

ის ყვირთელი ბურთი სწრაფად დაიშალა. ტუნგასუკმა საშიში ადგილი სულმოუთქმელად გაირბინა. მერე ისევ შეანელა ნაბიჯები, ბოლოს სულ შეჩერდა. სუსტი სურუსუ უბერავდა და ადამიანისაკენ მიჰქონდა კაა-ხე-ეჰის სურნელება.

ტუნგასუკს შუბლი გაეხსნა, უხილავი ბილიკიდან გადავიდა და კაცისიმილღე ხეს მიაღდა. კაა-ხე-ეჰს დიდრონი, მწვანე ფოთლები სწორედ ტუნგასუკის სიმაღლეზე გადმოეფინა. ინდიელი ფეხის თითებზე ამოღდა. როგორც აბრეშუმის ქია, ისე ხრავდა გემრიელ, სურნელოვან ფოთლებს. სიხარბე არ გამოუჩენია, მხოლოდ იმდენი შეჭამა, რამდენსაც შიშშილის დაოკება შეეძლო. მერე კმაყოფილებით ტუნები გააწყლატუნა და უფრო დარწმუნებით დაადგა უხილავ ბილიკს.

შის ჩახვლისას ტაკუარას ტყე გადაეღობა. შედგა. სხვა დროს ადვილად ვაივლიდა ეკლიანი ბამბუკის ტყეში, მაგრამ ახლა ხელები უკან ჰქონდა გაკრული და მიწაზე გველივით უნდა ეცოცა. ეს ძნელი საქმე იყო.

ტუნგასუკი მიწაზე დაჯდა, ცოტა შეისვენა. გასაძრომიც მაშინვე შეამჩნია, მაგრამ არც კი უფიქრია მიწაზე ეცოცა. მხოლოდ იმიტომ შეჩერდა, რომ უფრო კარგად მოეფიქრებინა ყველაფერი.

ჩუნჩო ამბობს, როცა გიჭირდეს, დაჯექი და ისე მოიფიქრეო.

ისიც ფიქრობდა.

ადგა და ტაკუარას² ვარშემოვლა იწყო.

1 კაა-ხე-ეჰ — მცენარე, რომლის ფოთლი სურნელოვანია და ტკბილი.

2 ტაკუარა — ეკლიანი ბამბუკი.

ამ საქმეს შუალამემდე მოუწინა. შუალამისას კი ჯაგნარში კვლავ იპოვნა უხილავი ბილიკი და ძუნძულიც.

შორიდან ბღღვინვა მოესმა. მიხვდა, რომ ჯუნგლების რისხვა — შავი იაგუარი იწყებდა ნადირობას.

ტუნგასუკი მიწაზე გაწვა და დაიძაბა.

შავი იაგუარის ხმა ჯუნგლების სიღრმეში იკარგებოდა.

ტუნგასუკმა გადაწყვიტა გამოეძინა. დასვენება ახლა მას ძალიან სჭირდებოდა. ჯაგნარში ყველაზე მაღალი ბორცვი აარჩია. ბორცვს იბრაგიუკინის¹ პატარა ხეც ამშვენებდა. ინდიელი იბრაგიუკინის ტანს გაკრული ხელებით მიაწვა, ჩაჯდა და მაშინვე ჩათვლიდა. თვლემდა, მაგრამ უტყუარი ინსტინქტით ჯუნგლების ყველა ძაფთან იყო შეერთებული.

რიკრატზე სულ ახლოს რაღაც გაფაჩუნდა. შავი იაგუარი ეგონა და დაიძაბა, მაგრამ მაშინვე წაეწვავი მოესმა და მიხვდა, მამალი თახვი ეძებდა თავის მეგობარს.

მერე გარეული ძაღლების მთელმა ხროვამ გაიარა წყლის ბილიკით. როგორც კი ძაღლებმა ჩაიარეს, იბრაგიუკინის ტოტზე რაღაც გაფაჩუნდა. ტუნგასუკი მაშინვე წამოვარდა. უზარმაზარი შავი, შხამიანი ობობა ეკიდა ტოტზე და ადამიანის ზურგზე დასაშვებად ემზადებოდა.

ტუნგასუკმა ხეს შემოუარა. ფეხის თითებზე ამოღდა და მლაშე ფოთლების ქამას შეუღდა. როცა შიშშილი დაიოკა, უხილავ ბილიკს დაადგა.

მაღე იბრაგიუკინმა თავისი გაიტანა. საშინლად მოსწყურდა. წყლის ძებნის დრო არ იყო, დაიხარა და ცოტა მიწა შეჭამა. მიწამ წყურვილი დროებით მოუქლა.

ახლა უკვე კარგად იყო ვათენებული. სურუსუ ოდნავადაც აღარ უბერავ-

1 იბრაგიუკინი — მცენარე, რომელსაც მლაშე ფოთლები აქვს. მას მარალის მაგივრად იყენებენ ინდიელები.

და, ირგვლივ ჭუნგლების საეჭვო დუმილი გამეფებულიყო.

ინდიელი გრძნობდა, რომ, თუ ოთხ დღეს გასძლებდა, ჩუნჩოს მიწამდე უეჭველად მიადევნებდა. ისიც ნელა, მაგრამ ფრთხილად მიდიოდა.

მერე ისევ მოსწყურდა და ისევ შეჭამა მიწა, ოღონდ — უფრო ცოტა. ყველა ჩუნჩომ კარვად ჩცის, ბევრი მიწა ადამიანს ჰკლავს...

ერთბაშად შედგა. მისმა მახვილმა სმენამ პეკარის ღრუტუნის დაიჭირა. პეკარი მარტო არ უნდა ყოფილიყო. არა, სადაღაც ახლოს დედალი პეკარი ამოვებდა გოჭებს.

ტუნგასუკი ჩაჯდა და ხმების მიხედვით გოჭებს ითვლიდა. ისიც უნდოდა შეეტყო, რა ხნისა იქნებოდნენ.

ფრთხილად გაეცოცა წინ. ჯავნარს იჭით-პატარა მინდორი ჩანდა. მინდორის ბოლოში დედა პეკარი ეჭვს ჩაკურატებულ ერთთვიან გოჭს დასტრიალებდა.

ინდიელი გულდაგულ შეინიღბა, მერე თვითონაც ისე დაიღრუტუნა, რიგორაც ის პატარა პეკარები ღრუტუნებდნენ.

დედამ ყურები ცქციტა. დედურმა ალღომ საფრთხე იყნოსა. პატარები კი სასაცილოდ აცუნდრუქდნენ და გულით ჯავნარისაკენ მოიწვიდნენ. დედა არ უშვებდა.

ინდიელმა ისევ დაიღრუტუნა. დედას უჭირდა გოჭების შეკავება და ინდიელი ნათლად გრძნობდა, რომ ღმერთმა მოწყალეების თვალთ გადასცხებდა. ის იყო მესამედ დაიღრუტუნა, რომ დედა პეკარის უკან სამკუთხა თავი აღიმართა. თვალისდახამამამებაში უზარმაზარი ანაკონდა პეკარს შემოეხვია. განწირულმა პეკარმა საზარლად დაიქვიცლა. შეშინებული გოჭები წამსვე გაუჩინარდნენ. დედამ კი ერთხელ და უკანასკნელად ისევ დაიქვიცლა და უზარმაზარ რგოლებში გაუჩინარდა. ცოტა ხნის შემდეგ გაგუდული პეკარი რგოლებში ისევ გამოჩნდა. პირიდან სისხლიანი ნაწლავები ჰქონდა გადმოყრილი. თვალებიც გადმოსცვენოდა.

გველმა დააღო უზარმაზარი პირობა. უშხამო, მაგრამ ბასრი, გრძელი კბილები თავში ჩაასო. პეკარი მწყობრად დასმრა გველის პირისაკენ. ანაკონდამ ახლა მთლად გაშალა რგოლები, პირიდან მყარ სითხეს გამოჰყოფდა, რომელიც პეკარის ტანს ალბობდა.

ტუნგასუკი უსიამოვნოდ უყურებდა, თუ როგორ შთანთქავდა ანაკონდა პეკარს. მერე გაპარვა გადაწყვიტა, მაგრამ მინდვრის ბოლოდან მაშინვე საშინელი ბღღვინვა მოისმა. ინდიელმა მინდვრის ბოლოში უზარმაზარი ვაცეცხლებული ხარი დაინახა. გველი მაშინვე ხარისკენ შებრუნდა და რგოლები შეყარა, ისე, რომ ნადავლისათვის პირის გაშვებას არც კი ცდილა. გამძვინვარებულმა ხარმა მიწას ტორები დაჰკრა, დაიქშინა.

გველი ყველაფერს მიხვდა. მისთვის ახლა ხართან ბრძოლა დაღუპვას ნიშნავდა, ჯავნარისაკენ წასრიალდა, თან უზარმაზარ ალაფს მიათრეცდა.

ხარი ქშინავდა, მაგრამ ვერც ის ბედავდა თავდასხმას. როცა გველის კუდიც გაუჩინარდა, მხოლოდ მაშინ ელვასავით გაიბრინა მინდორზე და შამბნარში ლაწა-ლუწი ატება.

ტუნგასუკი ცოტა ხანს კიდევ იწვა გასუდრული, მერე ისევ ატება ჰყვივლი. პასუხი არ იყო. ტუნგასუკმა ისევ და ისევ დაიქვიცლა და ბოლოს პასუხიც გაისმა. ეჭვსი შეშინებული გოჭი მინდორზე გამოჩნდა. ინდიელი სულ ახლოს და ახლოს იტყუებდა, როცა ზედ თავთან მივიდნენ, ინდიელი სწრაფად წამოვარდა. გოჭები გაიფანტნენ. ინდიელი მოწყვეტით დავარდა და მაშინვე იგრძნო მის მკერდს ქვემოთ პატარა ცოცხალმა არსებამ როგორ განუტევა სული.

ტუნგასუკმა გოჭს ჯერ თბილი სისხლი გამოსწოვა, მერე კბილებით დაფლითა. ჯავრიანად, ყველაფრიანად ქამდა. ძალზე შიოდა და თბილი ნაწლავებიც გადასანსლა. თვალისდახამამებაში მხოლოდ გოჭის ძვალი დადარდა.

ინდიელმა ისევ მომებნა უხილავი ბილიკი და გზას დაადგა. ახლა უკვე აღარ

აწუხებდა შიმშილი. მხოლოდ და მხოლოდ უკან გაკრული ხელები სტანჯავდა. შუადღემდე მიიწევდა. მერე როცა ხეთა ჩრდილები დაიკარგა, ერთი მალაღლი ხე იპოვნა. მის ჩრდილში თვალის მოსატყუებლად დაჯდა. მანამ იჯდა ჩრდილში, სანამ მზე დასაველეთისაკენ არ გადაიხარა. მაშინ კი ადგა და ისევ თავის ალღოს მიჰყვა. ალღოს კი, სულ ზევით და ზევით მიჰყავდა, სადაც მშობლიური ხალხი და მთები ელოდა.

შის ჩასვლის წინ ისევ იგრძნო წყურვილი, მაგრამ მიწა არ შეუტყამია. გრძნობდა, რომ ახლა მხოლოდ და მხოლოდ წყალი იყო საჭირო. წყლის ბილიკის ძებნა, სულ ცოტა, ერთი დღით მაინც გააგრძელებდა გზას, მაგრამ მეტი რა ჩარა იყო.

უხილავი ბილიკიდან გადავიდა, ტაფობში ჩაეშვა. ძალიან სურდა დაღამებამდე ეპოვნა წყალი და ჩქარა მიდიოდა. ბოლოს იპოვნა ცხოველთაგან გაჯეგელი ბილიკი და ახლა მას ჩაჰყვა. სწორედ ბინდის წინ მოესმა წყლის საამო ჩხრიალი. მის ხმას მიჰყვა, ყველაფერს გულდაგულ ზეერავდა, რომ სადმე ჩასაფრებულ ნიანგს არ წასწყდომოდა.

წყალთან მივიდა თუ არა, მაშინვე გადაწვა და ხარბად იწყო ხერება. ძალიან ბევრი დალია, სახეც გაიგრილა და ახლა ისევ ზევით აჰყვა ბილიკს. უკვე ბნელდებოდა. წყლის ბილიკით სიარული სახიფათო გახლდათ, მაგრამ ფიქრობდა, რომ მთვარის ამოხვლამდე თავის უხილავ ბილიკამდე აღწევდა.

მთვარე მაშინ ამოვიდა, როცა უხილავი ბილიკი იპოვნა. ახლა არაფრის დარღი აღარ ჰქონდა. თამამად, გულდაჭრებულ მიდიოდა. ერთბაშად მიხვდა, რომ რაღაც მოხდა. მოხდა კი არა, ალღომ აგრძნობინა, რომ მის ფეხებს შორის უზარმაზარი სურუტყუე იწვა. სანამ გველი კბენას მოასწრებდა, ბილიკიდან გადახტომა გადაწყვიტა. ხელები რომ არ ჰქონოდა შეკრული, ამას ადვილად შესძლებდა, მაგრამ ახლა ნახტომი არ გამოუვიდა. სურუტყუემ უკანასკნელ წამს

შესძლო შხამიანი კბილებით ბარძაყი ჩაეაწრა. თუმცა კბილები ვერ ჩაასო, მაგრამ მაინც ჩაეაწრა.

ტუნგასუკი მაშინვე ჩაჯდა და სწრაფად რაღაც მოიფიქრა. შორს არ წასულა, იქვე იპოვნა ტაყუარა. ყველაზე დიდი ბამბუკი აარჩია, გრძელი, ბასრი ეკლები რომ ჰქონდა. მთვარის შუქზე ეკალი გველის ნაკბილარს დაუპირისპირა და მერე ღრმად შეუშვა ბარძაყში. ეს არც თუ ისე იოლი საქმე გახლდათ, მაგრამ ტუნგასუკს წარბიცი არ შეუხრია. მერე მეთრე ნაკბილარში შეუშვა ეკალი, ოღონდ — ის ეკალი კი არა, — სხვა. არც ახლა შეუხრია წარბი.

სისხლმა იჩქეფა, ბარძაყზე გრძელ, წითელ ზოლად დაუყვა რაც უფრო მეტი სისხლი მოდიოდა, ტუნგასუკს მით უფრო ეხსნებოდა სახე. სისხლი რომ ჩქარა არ შედედებულყო, ფეხს განუწყვეტლივ ამოძრავებდა.

ამ ოპერაციის სრული იმედი არ ჰქონდა, მაგრამ ფიქრობდა, რომ შხამის დიდ ნაწილს სისხლი გამოიტანდა.

უხილავი ბილიკი ისევ იპოვნა და მიჰყვა. ახლა უფრო მეტი ყურადღებით აკვირდებოდა ბილიკს. გადაწყვიტა, რომ შუაღამემდე ევლო, მერე სადმე მყუდრო ადგილი ეპოვნა და გათენებამდე ეძინა. უეჭველად უნდა დაეძინა, რომ დაკარგული ენერგია აღედგინა.

სულ აღმართი იყო, ტუნგასუკი სწრაფად იღლებოდა. შეჩერება მაინც არ სურდა. ბოლოს ქოშინი აუტყდა და გადაწყვიტა შეესვენა. ცოტა შეისვენა. სურუსუმაც დაუბერა და ჭუნგლი სხვადასხვა ენაზე ააჩურჩულა. ძალიან ცივი სურუსუ იყო. ტუნგასუკს შესცივდა, გზის გაგრძელება ზედმეტად ჩათვალა. ბედზე ერთი უზარმაზარი ბებერი ხე შენიშნა. მიხვდა, რომ მას შესანიშნავი ფულუროც ექნებოდა. იქ სურუსუსაგან კარგად დაიკავდა თავს. ოღონდ მთავარი ის იყო, შიგ გველი არ ყოფილიყო. მერე იმ ბებერს ხეს მიაშურა, ძალიან გაუხარდა, როცა მართლაც და ღრმა ფულურო იპოვნა. ფეხით ფულუროზე მაგრად მიაბრახუნა. ჩამოიწვი

არ ისმოდა, მაგრამ მაინც არ ენდო იმ პირველ სიჩუმეს და სამჯერ გაიმეორა ბრახუნე.

ბოლოს დარწმუნდა, რომ ფულურო თავისუფალი იყო. ახლა შიგ ჩასვლა იყო საქმე. უკანგაერთი ხელები ძლიერ უშლიდა. ხეს მსხვილი კორძები ჰქონდა და ამ კორძებს აპყვა რის ვაივავალაბით. მერე ფულუროში ჩახტა. მარჯვენა გვერდი ნაპირს გაპკრა და გადაიყვლიდა, მაგრამ ამისთვის ყურადღებაც არ მიუტყვევია. როცა ფულუროს ფსევრზე დაეცუტა, იგრინო, რომ გვერდიდან სისხლი სდიოდა. ახლა მხოლოდ ძილი სურდა. გადაწვა და წამსვე ჩათვლიძა. ჩათვლიძა კი არა, მაგრად დაეძინა.

ინდიელს შინაც არ სძინავს ასე მაგრად, ამიტომ, როცა იაგუარის ღრიალმა გამოაღვიძა, ვერა და ვერ გაიგო, თუ საიდან ისმოდა ეს ხმა. პირველად აიტანა ასე ძლიერ შიშმა.

გარეთ მაგრად უბერავდა ცივი სურუსუ და მას მოჰქონდა შავი იაგუარის შემაზრზენი ხმა. თითქმის მთელი ორი წუთი ცდილობდა გაერკვია, საფრთხე იწყებოდა თუ უკვე გაეცლო. მერე მიხვდა, რომ შავი იაგუარი მისკენ მოდიოდა. ჭერ ის საკმაოდ შორს იყო და გეში არ ექნებოდა აღებული, მაგრამ რადგანაც აქეთ მოდიოდა, მაშასადამე, ცხოველი რაღაც საეჭვოს გრძნობდა.

ტუნგასუკი ოდნავ შეინძრა. მას სურდა ხსე მოწყობილიყო, რომ მიდამოს დაზვერვაც შესძლებოდა. მარჯვენა გვერდი ეტკინა. ეტკინა მარჯვენა ფეხიც, ის აღვილი. სადაც გველმა უჭებინა. „ალებით გასივდა“ გაიფიქრა. ძალიან უნდოდა ხელით შეემოწმებინა ამ სიტყვების სიმართლე, მაგრამ ეს ამაო საქმე იყო. მაინც შესძლო წამოდგომა და ფულუროს ბზარში გასაჭვრეტაც იპოვნა. აქედან ჩანდა ვიწრო ბილიკი, რომლითაც ადამიანი ხესთან მოვიდა. ბილიკს ახლა მთვარე აშუქებდა. ხანდახან სურუსუსაგან არეკილი ღრუბლები მთვარეს ეფარებოდნენ და მაშინ მიდამო ბნელდებოდა. მაგრამ ღრუბლები სწრაფად გარბოდნენ და ისევ მალე ნათდებოდა.

როდესაც ბილიკზე შავი იაგუარი გამოჩნდა, მაშინაც განათებული იყო. იაგუარი ბრდღვინვით პირდაპირ ფულუროსკენ მოდიოდა და ინდიელსაც უჭვი აღარ ეპარებოდა, რომ მან უკვე იყოსა ადამიანის სუნი. სულ რამდენიმე ნახტომი-ღა დარჩა იაგუარსა და ხეს შორის და.. იაგუარი შედგა, თავი ასწია და კარგად ისუნთქა სურუსუს მიერ მოტანილი რაღაც ახალი სუნი. ერთხანს ასე თავაწეული იდგა. გადაწყვეტილებას იღებდა. მერე მიწაზე გაწვა და ჩუმიად გაიციოდა.

ტუნგასუკმა თავი ხერელიდან გამოყო, მაგრად შეისუნთქა ცივი სურუსუ და მაშინვე მიხვდა, რომ სულ ახლოს ვარეული ხარი სძოვდა. იმავე დროს ხარის ფშვინვაც მოესმა. ალბათ იგი უკვე გრძნობდა მტრის მოახლოებას და დასახვედრად ემზადებოდა. შემდეგ ხარისა და იაგუარის ბრდღვინვა ერთმანეთში აირია. ტუნგასუკი ცდილობდა ბრძოლის შედეგი გაეგო, მაგრამ თავი ისე უბრუოდა, რომ ხმებს ველარ არჩევდა. როცა ხარმა გამწარებით დაიზმუვლა, იფიქრა, რომ მისი ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ შემდეგ იაგუარის ღნავილიც მოესმა. მაშინვე მიხვდა, რომ ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო იყო. მეტი აღარ შეეძლო და ისევ ჩაცუტა. თავი ძალიან უმძიმდა, დაეძინა.

შის სხივებმა ადამიანი ხის ფულუროშიც იპოვეს და მის ოფლიან სახეზე აციმციმდნენ. ტუნგასუკი შეინძრა, დამძიმებული ქუთუთოები ძლივს აზიდა. მთელი სხეული ტეხდა და ჟრუანტელი უვლიდა. ჩუნჩო მიხვდა, რომ გველის შხამი მოქმედებდა. ახლა საჭირო იყო ჩქარა დაეტოვებინა ფულურო. ჩუნჩოს უნდა გაესწრო სიკვდილისათვის. სამჯერ სცადა ფულუროდან გადმოვარდნა, მაგრამ სამჯერვე უკანვე ჩაგორდა. ყოველი ცდა აუტანელ ტკივილთან იყო დაკავშირებული, მაგრამ იტანდა.

ყელი მთლად გაუშრა და სწვავდა. ორჯერ შავი, შედედებული სისხლი ამოაფურთხა. მეოთხედ მთელი ძალა დაძაბა. იცოდა, რომ, თუ ახლაც უკან ჩა-

გორდებოდა, ყველაფერი დამთავრებული იყო. ფულუროში ახტა და მერე მუხლები სწრაფად გაჩახა. მუხლების საშუალებით მოახერხა თითქმის ზვრელის სიმაღლეზე გაჩერებულიყო. თავი გარეთ გაყო.

კრილა, მზიანი ცა დაჰყურებდა მიდამოს. ირგვლივ ათასფერი ყვავილი ბინებდა. სურუსუ აღარ უბერავდა და ბუნება ღუმდა.

ტუნგასუკმა ახლა მკერდიც გამოყო და ფულუროზე გადმოეკიდა. როცა ხის კოყრიან ფესვებზე დაენაცხა, გონება დაქარგა, მაგრამ ისევ მალე მოეგო გონს და წამოდგა. ბარძაყზე დაიხედა. გველის ნაკბენი გასიებულიყო, ლურჯად აჩნდა ნეკლარი.

ინდიელმა სული მოითქვა, გრძნობდა, რომ ახლა შხამის უქანასკნელი დოზები ებრძოდა. თუ მასაც დასძლევა, ააღწევდა ტაფობის ბოლომდე, სადაც მისი ტომის ხალხი ცხოვრობდა.

ისევ იბოვა, უხილავი ბილიკი და ჯიქურ დაადგა ოციოდე ფუტი გაიარა თუ არა, შედგა. მისგან მოშორებით, სწორედ ბილიკზე, მკვდარი შავი იაგუარი ეგდო.

ნელა წავიდა. როცა ახლოს გაუარა, იაგუარის ვადმოყრილი ნაწლავებიც შენიშნა. ნაწლავებში მსხვილი მატლები ფუთფუთებდნენ. არ შეჩერებულა, ბარბაცით მიდიოდა. შორიდან ვინმეს რომ დაენახა, იფიქრებდა ჩიჩით გამომთვრალაო. ასიოდე ფუტის იქით ყელგამოდარული ხარიც დაინახა: საოცარი ის იყო, რომ ხარიცა და იაგუარიც ჭერ ხელუხლებელი ეგდო.

სხვა დროს ტუნგასუკი ამ მსუქან ხარს ასე გულცივად ვერ ჩაუვლიდა, მაგრამ ახლა მისმა დანახვამაც კი გული აურია. თავი მიაბრუნა და ბლომად არწყია. მერე ისევ ბარბაცით გაჰყვა უხილავ ბილიკს.

ძალა თანდათან აკლდებოდა, წყურვილი კი... წყურვილი ჰკლავდა. ერთბაშად მარჯვენა ბეჭზე წვა იგრძნო, მერე საშინლად მოეფხანა. ახლა ორივე მკლავიცა და მუცელიც მოეფხანა. ისე მაგ-

რად მოეფხანა, რომ იძულებული გახდა ხეს მიჰყუდებოდა და ისე ეფხანა. არაფერი შეელოდა, რადგან ჭუნგლებს მატლი სუტუტუ ღრმად ჩამძვრალიყო კანში და ავიებდა. იმას ცდილობდა, გონება არ დაჰკარგოდა, ალღოს არ ეღალატა და უხილავი ბილიკიდან არ გადაეხვია.

შუადღის მზემ ჭუნგლი მოთენთა, მაგრამ ტუნგასუკი მაინც მიდიოდა. კარგი იყო, რომ სურუსუ არ უბერავდა, თორემ მაშინ ბილიკის მოძებნა გაუჭირდებოდა.

შვის ჩასვლისას, როცა ფეხი ისე გაუსივდა, რომ ძლივსღა მიათრევდა, ჩუნჩომ იგრძნო, ვიღაც უთვალთვალეზდა. კაცმა რომ თქვას, უფრო აღრეც იგრძნო მან ეს. მაგრამ მოჩვენება ეგონა. ახლა კი აშკარად გრძნობდა გარეშე თვალს. სადღაც ახლოს, სულ ახლოს გრძნობდა. ტუნგასუკი მსხვილ ხეს მიავწვა.

— ეჩოკა, ეს მე ვარ, შენი ძმა ჩუნჩო. სურუსუკუმ მიკბინა და შხამი მჭამს. ეჩოკა, მე ჩამქრალი ჩიბუნის შვილი ვარ. ჩემი ძმა მოკლა შავმა ჯონმა. მე გამოვექეცი. მოზიარე, ეჩოკა.

თუმცა ეჩოკასთან ჩუნჩოს დიდი ხანია ზავი ჰქონდა შეკრული, მაგრამ არც ერთ ჩუნჩოს არ უყვარდა ეჩოკა, რადგან მათთან ხშირად დადიოდნენ თეთრები. ხმები იმასაც ამბობდნენ, ეჩოკა თეთრებს ეხმარება სხვა ტომების დამორჩილებაში. ისე, ეჩოკასთან ტუნგასუკსაც ბევრჯერ უნახავს თეთრი მერკაჩიფლერო, მაგრამ ახლა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა. ტუნგასუკს ახლა შეეღა სჭირდებოდა. იგი ხის ძირში ჩაცუქდა და თვალები დახუჭა. როცა გაახილა, მის წინ მოხუცი ეჩოკა დაინახა. მას თმა ბეჭებამდე სცემდა და ხელში გრძელი შუბი ეკავა. ეს იყო და ეს, ჩუნჩომ თვალეზი დახუჭა.

1 მერკაჩიფლერო — წვრილი ვაჭარი, რომელიც ინდიელებთან ვაჭრობს წვრილმანათ.

მეშვიდე დღეს ჩუნჩომ ისევ გაახილა თვალი. ახლა იგი დიდ კარავში იწვა. თავზე ახალგაზრდა ეჩოკა ადგა. ეჩოკას ტუჩებში სარკები ჰქონდა გაყრილი. მკლავებზე და ბარძაყებზე ურუქუს წვეწვში ამოვლებული კაუჩუკის ბაფთები ჰქონდა დახვეული.

ეჩოკამ გაიღიმა.

— მიცანი? ტუნგასუკ, მე ტუპაკი ვარ.

— ჰო, გიცანი, ჩვენ ხომ ერთად ვინადირეთ ერთხელ?

— სწორია. მაშინ დიდი ტაპირი მოვკალით. უზარმაზარ ნიანგს კი თვალები დავთხარეთ. ტუნგასუკ, აქ შავი ჯონი იყო. ოცდაათი კაცი ახლდა. ჩუნჩოს დასარბევად წავიდა. არა მგონია იქამდე მიადწიოს, არეული ხალხი ჰყავდა. ორი აქვე დახვრიტა. ზოგს გაქცევაც უნდოდა. ოთხმა პაკაგუარემ. მითხრა, თუ ოქროს საბადოს გვასწავლით, შავ ჯონს მოვკლავთ. მე ვუთხარი, არცერთმა ეჩოკამ არ იცის ოქროს საბადო-მეთქი. შავ ჯონს მაინც მოჰკლავენ, სისხლიან ჯონს მოჰკლავენ. მჭერა, რომ მოჰკლავენ.

— არა, ჯონის მოკვლა ძნელია, მაგრამ მას ჩუნჩოსთან მისვლა გაუჭირდება. არა მგონია, გზა გაიგნოს. მე წავალ, მაინც გავაფრთხილებ.

— შენ ჯერ ვერ წახვალ, ჩამქრალი ჩიბუხის შვილო. შენ ჯერ ბევრი უნდა ჰკამო, ძალა უნდა ჩაიდგა. ამისათვის სამი დღე საკმარისია. ახლავე ტაპირის ხორცს მოგიტან.

ტუნგასუკმა ჰკამა შემწვარი ტაპირი. ძალიან ბევრი ჰკამა. მერე კოკას ფოთლების ლეჰვას მოჰყვა. გულდაგულ დეჰავდა და წვეწვს მაშინვე ჰყლაპავდა. კოკა ძალას აძლევდა, ტანში ცეცხლს უნთებდა.

მერე სამი პაკაგუარე დაბრუნდა. სამივე დაჭრილი იყო. ერთს მუცელი ჰქონდა გაფატრული და ნაწლავებს ხელით აკავებდა, მეორეს კისერი ჰქონდა გაგლეჯილი, მესამეს მხოლოდ მკლავი ჰქონდა დაზიანებული.

— შავი ჯონი დამარცხდა, — თქვა იმან, მკლავში რომ იყო დაჭრილი — „მისი ხალხი გაიფანტა. ჩუნჩომს გმწერთ. ში შეგვიტყუა და მოწამლული ისრებით და ნაჯახით ამოგვხოცა.

— ჯონი მოკვდა? — იკითხა ტუპაკმა.

— არ მინახავს, მაგრამ ვიცი, ჯონს ისარი არა ჰკლავს, ჯონი მხოლოდ თოფით შეიძლება მოჰკლა.

სამი დღის შემდეგ ტუნგასუკმა ტუპაკის დიდი მშვილდი, ასაკუს შხაშში ამოვლებული შვიდი ისარიც აიღო და გზას დაადგა.

ახლა აღარ გრძნობდა სისუსტეს. მით უმეტეს, სურუსუს მოჰქონდა მშობლიური ტყის სურნელება.

ტუნგასუკი მდინარის ეიწრო ხეობას მიჰყვებოდა. აქ უკვე ნიანგი არ იცის და საზიფათო სრულებითაც არ იყო. მთელი დღე მიდიოდა, მიდიოდა და მიდიოდა. საღამოთი, როცა მზე ჩასასვენებლად გადაიხარა, შვიდი გახრწნილ-გამოხრულ გვამი იპოვნა. ტუნგასუკმა გულდაგულ გასინჯა და დაასკვნა, რომ მათ შორის არცერთი ჩუნჩო არ ერია. სიხარულისაგან დაუსტვინა. მალე კიდევ იპოვნა ოთხი აქედან ორი თეთრი იყო და ორიც პაკაგუარე. კიდევ ცოტა აიარა და ღამისგასათევად მოხერხებული ხე შეარჩია. მაშინვე ზედ ავიდა და დაიძინა.

გათენებისას ისევ განაგრძო გზა. მერე ეიწრო ხევიც ვალია, პატარა ველზე გავიდა. ველს იქით ბანანის ხეები ჩანდა. ეს კარგი საუზმე გახლდათ და მაშინვე მისკენ გასწია.

როგორც კი ხელი ბანანის მოსაწყვეტად ასწია, ზურგსუკან მაშინვე მჭაყე ხმა მოესმა. ტუნგასუკი შემობრუნდა. მოშორებით შავი ჯონი დაინახა: ჯონს ყვითელი, ტყავის შარვალი შემოფლეთოდა. სახე სულ ჯაგრით ჰქონდა დაფატრული. ხელში კი, ხელში თავისი განუყრელი ვინჩესტერი ეკავა.

— ჩუნჩო, მიდი, ჰამე. მშიერი კაცის მოკვლა მე წესად არა მაქვს. მიდი, ჰამე, გაძეხი და მერე ჩავაძაღლებ. რას უცდი,

ტილიანო ინდიელო, მოწყვიტე, შენ წითელი ტურავ.

ჯონი იგინებოდა, თოფი ხელიდან ხელში გადაჰქონდა. ტუნგასუკმა გაიფიქრა, სანამ ჯონს თოფი გადაჰქონდა მშვილდი აღემაართა, მაგრამ წამის მეთედში ამას ვერ მოასწრებდა, ეს ამოიყურა.

— ჰამე, შე ძალის შვილო!

ჯონი რაღაცამ შეაკრთო. იგი ერთი თვალით მარცხნივ იყურებოდა, მეორეთი ჩუნჩოს ადევნებდა თვალყურს. ინდიელი მიხვდა, იქ მარცხნივ რაღაც ხდებოდა.

ჯონმა უკან დაიხია და მაშინვე ბუჩქების თავზე დიდი ანაკონდა გამოჩნდა.

ჯონი ახლა ინდიელს აღარ უყურებდა, თოფი ლულით დაიკავა და კონდახი თავში შემოჰკრა ანაკონდას. ანაკონდა

ერთი წამით დარტყანდა და ამ ერთ წამში ინდიელიც მიხვდა, რომ ჯონს ვინჩესტერში ტყვია აღარ ჰქონდა. ბანანის ხეს მიეყრდნო.

ანაკონდა ისევ აღიმართა და არაქათგამოცილი ჯონს ფეხებზე შემოეხვია. ჯონი ყვიროდა, ხრიალებდა. ანაკონდა კი ზამბარასავით ეხვეოდა და იმ წუთში, როცა გველის რგოლები გიგანტური ძალით უნდა შეეკუმშულიყვნენ, პაერში ტუნგასუკის ისარმა გაიზუზუნა. მან გველს თავში გაუარა და მინდვრის მეორე მხარეს ბანანის ხეში ჩაერჭო, ჩუნჩომ შეხედა, თუ როგორ იშლებოდა მომავლადვი გველის მსხვილი რგოლები, მშვილდი ასწია და თავის უხილავ ბილიც მიჰყვა.



მირან ხაკიაძე

მთაბის სიმღერა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

— დიდი სოფლის ბავშვებს ვინ ასწავლა სიმღერა? — იკითხა ბაუჩიმ.

უფროსი ძმები დუმდნენ, მარინეც არაფერი თქვა.

— ა, მარინე, ვინ ასწავლა სიმღერა? — გაიმეორა ბაუჩიმ. — აულაშების პაულე გარმონსაც უკრავს.

მარინემ უმწეოდ მიმოიხედა, აწრიალდა, თვალები დააფახულა, თავსაფრის ტოტები შემოიჭირა, ენის ბორძიკით წარმოთქვა:

— მამამ ასწავლა, სხვა ვინ ასწავლიდა...

— ჩვენ რატომ არ გვასწავლა მამამ? ბაღიამ მწყურალად გადახედა ბაუჩის:

— არაფერი იცი და გაჩუმდი...

— მართო ტყეში დაგყავართ ან აი-რაშის მთებზე. — არ ისვენებდა ბაუჩი.

— მერე რა, თქვენც გასწავლით მამა... აწი გასწავლით. — მარინე შებრუნდა. ერთი ღრმად ამოიოხრა და გარეთ გავარდა. ლაფაროდან მსხვილ-მსხვილად დაპობილი შეშა შემოიტანა. კერიასთან დაყარა, ბაუჩის გადახედა და თქვა:

— ახლა კვერებს გამოვაცხოზ...

არც ერთს არ შეეცვლია სახე... ბიჭებს სევდიანი და დაღვრემილი თვალები ჰქონდათ. მათ მზერაში სიხარულის ნატამალიც კი არ იყო. ნაჭახით გასწორებულ მუხის ფიცარზე ისხდნენ. ფიცარი

ჯორჯოებზე იფნის ჭვინთებით! იყო დამაგრებელი.

ხანდახან კერიიდან კვანლის ბოლქვე-ბი წამოიშლებოდა. მაშინ თვალებს ხუ-ქავდნენ, ხელების ქნევით ფანტავდნენ ბოლს. მარინე შეშას უმატებდა კერიას, შეუბერავდა, მერე ნაძალადევი სიცილით ამბობდა:

— კვამლო, ბუტიასთან წადი, ყველაზე დიდ ბუტიასთან...

კვამლი თითქოს მართლა ისმენდა მარინეს ნათქვამს. დაივრავნებოდა, ბაღიასთან გაჩნდებოდა. კულულებად დაეფინებოდა სახეზე. მარინე კვლავ იცინოდა. ბუქას და ბაუჩის უცინოდა, თითქოს სურდა აეყოლებინა ისინიც. მაგრამ ბუქა დაღვრემილი განავრძობდა დუმილს. ყველაზე პატარა ბაუჩი წუთით გაიღიმებდა, მერე უფროს ძმებს გადახედავდა და უცხად გაუკრთებოდა სახეზე ღიმილი.

ბაღიამ დას მწყურალად ვადმოჰხედა, თვალებზე ხელები აიფარა, უხმოდ წამოდგა. საიდანღაც ცხენის ძუა შემოიტანა. საშაშვე მახისათვის თვლების გრეხას შეუდგა. მარინემ სახელოები დაიკაპიწა. გრძელი ნახეჩებით ნაღვერდები გამოჩხრიკა, კვერის ჩასაკრავი აღვილი გაასუფთავა და ისევ განავრძობ:

1. ჭვინთი (სუ.) — ხის ღერსმანი.

II

—კვამლო, მატყუარასთან წადი, მატყუარასთან...

კვამლის ბოლქვები ღრუბელივით წამოვიდა, მთლიანად დაფარა მარინე.

ბაუჩიმ თავი ველარ შეიკავა, სიცილი წასკდა; დიდხანს იცინოდა. ბადიამ ერთი წუთით თავი ანება თვლების გრეხას, ბაუჩის გადმოხედა.

ბუჭაც დუმილით შესცქეროდა ცისფერ კვამლში გახვეულ მარინეს. შემდეგ ბაუჩის მუჯლუგუნი უთავაზა, — გაჩუმიდით. უმცროსმა ძმამ წუთით შეწყვიტა სიცილი, მაგრამ თავი ველარ შეიკავა და ხმამაღლა უთხრა დას:

— შენ თვითონ ყოფილხარ მატყუარა... მატყუარა...

მარინე არაფერს ამბობდა. სახელოებით იმშრალეზდა თვალებს. მან შენიშნა, როგორ წაჰკრა მუჯლუგუნი ბუჭამ უმცროს ძმას, — რას იცინიო. გული დასწყდა: „არც თვითონ იცინიან, ბაუჩისაც უშლიან. ასეა ყოველდღე“. — შეეცოდა ძმები, ბუჭასთან მივიდა, ხელი გადაუსვა სახეზე. მერე ბადიასაც მოუთათუნა და ბაუჩისაც.

„კი მაგრამ, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? ხომ ყველაფერს აქვს დასასრული... ენგურიც კი მთავრდება სადღაც...“

მაღე ილარიოც მოვიდა. მგლის ტყავის გუდა მოიხსნა, ფალანგზე ჩამოჰკიდა. შვილებს მოავლო მხერა. გაუბარსავი იყო. ვაცვეთილ ჯაბრალებიდან¹. ფეხის თითები მოუჩანდა. მატყლის დახეული შარვალი ეცვა და ხარის ტყავისაგან გამოქნილი ქამარი ერთყა. თვალები აუწყლიანდა. ნიკაბი და ქვემო ტუჩი აუტოკდა. მძიმედ გავიდა გარეთ. კარი გაიჭახუნა. უზოს გალავნიდან დიდ სოფელსა და მის საბღისაყენ ამომავალ ერთადერთ ბილიკს გადახედა. გაუნძრევლად იდგა და ხავსმოკიდებულ გონდოლს წააგავდა. თავი ჩაჰკიდა ილარიომ, ფიქრებს მიეცა:

მიწურში შეუძღვნენ. თოფი მარინეს: თოფს პირველად ხედავდა. ნაჯახივით ჩაბლუჯა, თითქოს უნდა მოექნია და თავში ეთხლიშა ვილაციასათვის. მკაცრი გამომეტყველების სახენაიარევი კაცი რალაცას უხსნიდა. მაგრამ გაგებით მხოლოდ რამდენიმე სიტყვა გაიგო:

—დესანტი... გადასავალი... თვითმფრინავი...

მერე თვითმფრინავების გუგუნმა წაილო ყურთანმენა. ნაიარევიმა კაცმა შესწყვიტა საუბარი. ხელი ჩამოართვა, გაუღიმა და მხარზე მოუთათუნა. გარეთ რომ გავიდა, თეთრად შეფერადებულ მთებს და პირდაფრენილ მყინვარებს გადახედა. ყველაფერი ნაცნობი და ახლობელი იყო, გარდა ფერდობებზე შეფენილი თავშესაფარი თხრილებისა და ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანებისა.

ენგურის ნაპირებზე ჩამოქდომა და მისი აღრეული ხმაურის ყურისგდება უყვარდა ბავშვობაში. ვაზაფხულის დამდეგს ციკაბოებიდან მომწყდარი ზევის ღმუილი და ლეწვა-ნგრევის ხმაც ნაცნობია მისთვის. მაგრამ ამ თვითმფრინავების გუგუნი და ბომბების ბლავილი სულ სხვა იყო. ტანში შემზარავად აერიალებდა და სისხლი ეყინებოდა.

ვიდრე აქ მოვიდოდა, სულ იმისი ეშინოდა, სახურავზე არ ჩამოეგდოთ ყუმბარა, ახლად დაწყებული სიცოცხლე არ ჩაექროთ...

— ახლოს ცვივიან, მგონი მაგრად მოიწევენ, — უთხრა ერთხელ ცოლს.

ბაბილოს ცრემლები წასკდა. მაღე სლუკუნიც დაიწყო. მისი გამხდარი, სუსტი სხეული ცახცახმა იტანა, ციებიანივით ცახცახებდა. ილარიო მოეფერა, სხვა არაფერი შეეძლო და მოეფერა.

— რა უნდათ აქ?!

III

ერთი თვითმფრინავი სულ დაბლა დაეშვა. ისე დაბლა, ილარიომ თოფი აღმართა და სროლა რომ სცოდნოდა,

¹ ჯაბრალები (სვ) — ტყავისაგან გამოქნილი ფეხსაცმელები.

აუცილებლად ჩამოაგდებდა. მერე სროლაც ასწავლეს. ხოლო კლდე-ღრეებში ძუნძული ყოველთვის ემარჯვებოდა.

თანასოფლელებთან ერთად დადიოდა დავალებების შესასრულებლად, ყველაფერი კარგად გამოსდიოდა. შეეჩვია ჯარისკაცურ ცხოვრებას. ბაბილო, ნაჯახი და ცელი შორეული და სანატრელი გახდა. შვილიც ხომ უნდა ჰყოლოდა უკვე. სახელი წინდაწინ შეარჩიეს მან და ბაბილომ. გოგოს მარინეს დაარქმევდნენ, ბიჭს კი ბადიას, — მათ წინაპრების სახელებს. ილარიომ კი არ იცოდა, რომელი დაიბადა, ბადია თუ მარინე. გული წყდებოდა.

რაც აქ წამოვიდა, წელში გამართულს არ უვლია. ითმენდა, ითმენდა. ხოხვა, ცოცვა, და ბლოტვა — ეს სამი რამ შეითვისა და შეისისხლხორცა. წელში მოიხარა კიდეც, მაგრამ ეს სულ არ ადარდებდა.

ყველაზე საშინელი უკანდახევა იყო. ხშირად თვითმფრინავებიდან გადმოსხმულ ღესანტს ყაბარდოდან გადმოსული მტრის ნაწილები შეველოდა, ზოგჯერ შეტაკება უკანდახევით მთავრდებოდა. ამ დროს ნაბიჯებს ითვლიდა ილარიო:

— ერთი... ორი... სამი... — სახლამდე და ცოლშვილამდე დიდი-დიდი სამიათასამდე ნაბიჯილა იქნებოდა. მანძილის შემცირება აღაგზნებდა, თავს დამნაშავედ გრძნობდა რატომღაც და თვლებიდან შურისძიების ნაპერწყვლებს ჰყრიდა...

* * *

ილარიომ ლაფაროში გამოსულ მარინეს დაუძახა.

მარინემ ბავშვები გამოიყვანა გარეთ. ყველანი მამას მიაჩერდნენ.

ილარიო ბადიასთან მივიდა. ბეჭზე დაადო მარჯვენა ხელი, მარცხენა ქვევით გაიშვირა. რაღაცა თავისებურად აუხსნა.

ქვევით, დიდი კაკლისხის ძირში,

სოფლის ბავშვები ლახტს თამაშობდნენ.

— ტყეში ახლავე გავიქცევი, ოღონდ იქ არა, მამა, — თავი გააქნია ბადიამ. ილარიო ახლა ბუჭას წაეტანა. მერე ბაუჩისთან მივიდა. მანაც უფროს ძმებს მიხამა.

ქვევით, სოფელში ბავშვებს თამაში შეეწყვიტათ. აქეთკენ იხედებოდნენ. ბოლოს ილარიომ ორივე ხელი დაუქნია. მათ ერთმანეთს გადახედეს, ქამრები შემოირტყეს და სირბილით ამოუყვენენ ბილიცს.

ილარიოს ღიმილმა გაუბადრა სახე. ბაუჩიმ ხელი გაიშვირა მამისაკენ:

— შეხეთ, იცინის მამა...

ბადიამ და ბუჭამაც შეხედეს ილარიოს.

მართლა იცინოდა.

სოფლის ბავშვები ეზოში შემოცვივდნენ.

ილარიო მიეგება. სათითაოდ მოეფერა. შუაგულ ეზოში ფართო წრე შემოხაზა. ქამარი შემოიხსნა, ბადიას მიაჩეხა ხელში. მერე ორად გაიყვნენ, კენჭი ყარეს, ვინ უნდა დამდგარიყო პირველი.

მაგრამ ბადიას და მის ძმებს თავები ჩაეჭინდათ.

ადგილიდან არ იძვროდნენ. გაცვეთილ შარვლის ტოტებს დასცქეროდნენ და ფეხის თითებს ათამაშებდნენ.

ბადიამ ბუჭას ვადასცა ქამარი.

ბუჭამ ბაუჩის მიაწოდა.

ბაუჩიმ ხელში შეათვალიერა და ისევ ილარიოს დაუბრუნა.

მამინ ილარიო თვითონ ჩადგა წრეში.

ბავშვებს უხაროდათ მასთან თამაში. შეღამებამდე ითამაშეს. რომ დაილაღნენ, სიმღერა წამოიწყეს.

ილარიო ხედავდა მათ მხიარულ სახეებს. მათი ტუჩების მოძრაობას თავისივე შეუწყო. ხელებიც მოიშველია, ხან გაშლიდა, ხან დაუშვებდა.

შვილებისაკენ გაიხედა. გვერდზე გამდგარიყვნენ. დუმდნენ. მათ არ ეთამაშათ ლახტი და სიმღერასაც არ იყ-



ნენ დაჩეულები. რცხვენოდით სოფლის ბავშვებისა.

სახე შეეკმუხნა ილარიოს.

ახლა უაზროდ იქნედა ხელებს. მერე უცბად მოკვეთილივით დაუშვა. ბავშვები რატომღაც გაჩუმდნენ და ყურები ცქციტეს. მოსწყინდათ თამაში, კარში გააცივდნენ და ყვირით დაუყვნენ ქვევითკენ.

ილარიოს კი როგორ უნდოდა, დილა მდე ყოფილიყვნენ მის ეზოში, თუნდაც დილა მდე... დიდხანს ყოფილიყვნენ. მათ კი უცბად შესწყვიტეს სიმღერა და აულაშების ეზოში ჩაირბინეს. იქ შეკრებილ ხალხს შეუერთდნენ. ხალხი გრძელ სკამებზე ჩამომსხდარიყო. ყველანი პაულეს მისჩერებოდნენ. პაულე გარმოსნ უკრავდა, თან მღეროდა. ორი თვეა, რაც ზანიდან გარმონი ჩამოუტანეს პაულეს. იგი ყოველ საღამოს უკრავდა ხოლმე. დაღლილ ხალხს სიამოვნებდა გარმონის ხმა და პაულეს ეზოში იყრიდა თავს.

ამალმაც ასე იყო.

ვერა ვინ ამჩნევდა სოფლის განაპირა სახლის ეზოდან გადმომდგარ ილარიოს. პაულე უკრავდა და იმას უსმენდნენ. ილარიო კი... დიდხანს იდგა ასე. ლილიას მხრიდან წამოსული ნიავი თმას უწეწავდა, სველ თვლებს უშრობდა...

• • •

...ისხდნენ სანგრებში და მზევრავების დაბრუნებას ელოდნენ.

ლოდინში მოსალამოვდა. მზევრავები არ ჩანდნენ.

ირიყრაყა.

მყინვარებთან ახლოს საღამომობით საშინლად ყინავდა.

ისევე ელოდნენ.

კარგად ინათა.

ილარიოს გუნება წაუხდა:

„როდემდის შეიძლება ელოდო, რა ამბავია?“

მეთაური ნერგულად იყვინტდა ტუჩებს.

ილარიომ ველარ მოითმინა, წამოი-

წია და ახლოს მიჩოჩა.

— გავივლი მეც...

— შენც?..

გადასასვლელამდე უნდა ასულიყო. გაეგო, დამხმარე ძალები ხომ არ გადმოვიდნენ ამ დღეებში ჩრდილოეთიდან, ან ხომ არ გადმოდდიოდნენ.

კლდიან ფერდობს აუყვა. ხმაურს ერიდებოდა. უცბად მარცხნივ ტყვიამფრქვევის კაკანი ატყდა, კაკანებდა და კაკანებდა. მთელი საათი არ შეუწყვეტია.

ზევიდან ისროდნენ.

„ჩვენები შორს არიან, ვის უნდა ესროდნენ?“ — ფიქრობდა ილარიო.

— წუო... წუო... წუო... — გაჰქონდათ კლდეებზე ასხლეტილ ტყვიებს.

„იქნებ ის მზევრავები არიან, შენიშნეს და გზას უკეტავენ...“

კლდეებს ჩაეკიდა. დაბლა ჩაუყვა. მხარმარჯვნივ მიიხედა. ისინი აღმოჩნდნენ მზევრავები. მუხლებამდე თოვლში იდგნენ, ერთმანეთისთვის ხელები ჩაეკიდათ და პირისახით მტრისკენ მიქცეულიყვნენ. ტანსაცმელი შემოფლეთოდით. დაუნდობლად ცხრილავდნენ ტყვიები.

„მთებდა ქცეული ადამიანები...“

გაიფიქრა ილარიომ. თითქოს მშობლებმა კი არა, ამ მთებმა და მიწამ შობა ისინი, ისე შერწყმოდნენ და დამსგავსებოდნენ თოვლით შესუდრულ ქიმებსა და ჭიუხებს.

თვალთ დაუბნელდა. შეტორტმანდა. კლდეს მიახალა თავი. თბილმა სისხლმა მოუთხუხუნა სახე: მზევრავები გაყინული იდგნენ. თავით ფეხებამდე გაყინულნი და უმოძრაონი. მათ უშბისა და ჩათინის კალთებიდან ჩამოშვებული ღამე გზაში დასწეოდა და გაეყინა.

დიდხანს იდგა თვალებზე ხელებაფარებული.

— წუო... წუო... წუო... — გაჰკიოდნენ ისევე კლდეებზე ასხლეტილი ტყვიები. მთელი ამ ხნის განმავლობაში წუთით არ შეწყვეტილა სროლა.

„ჰო, გაიყინენ, მაგრამ დიდი საქმე კი გაუჩინეს მტერს“ — უნდოდა თავი და-

ემშვიდებინა ილარიოს, მაგრამ არ გამოსდიოდა. არაფრით არ გამოსდიოდა. უკან დაბრუნებისას კვლავ გაემტა თვალი იმ ადგილისაკენ და კვლავ აიფარა სახეზე ხელი.

ტყვიებს ხორცისა და ძვლების ნაფლუთები მყინვარის ნამსხვრევებივით მოეპნია. ირგვლივ ჩვეულებრივი ზამთრისეული სიციარელე მეფობდა.

მათ არც სახე ჰქონდათ იმ მამაცი მზვერავებისა, ერთი დღის წინათ საბერველივით რომ უქშინავდათ ფილტვები, არც ხორცი ემოსათ მათი და არც არაფერი.

აფორიაქებული გაცალა იქაურობას. წელში გამართული მიდიოდა.

აღარაფერი ახსოვდა, იმ საშინელი სურათის მეტი აღარაფერი ახსოვდა.

რამდენჯერმე ტყვიამჭრქვევის ცაცხელი დააყარეს, არა, არ მოხრილა წელში, არ დაცემულა და არც გაწოლილა ღვთისმოსავივით. მიდიოდა. მთებად ქცეულმა ადამიანებმა ომის კანონები გადააიწყა.

მერე საიდანღაც თვითმფრინავების გუგუნე შემოიჭრა. გუგუნე მალე ბლავილად იქცა. ეს თითქოს თვითმფრინავები კი არა, მთები ბლავდნენ, მთები დასტიროდნენ ღამე გაყინულ ადამიანებს. ამ ბლავილს მერე უშბა და ჩათინიც იმეორებდნენ. უშბა და ჩათინი ბოხი და შემზარავი ხმით ბლავდნენ. მაგრამ ბლარიოსთვის სულერთი იყო ყველაფერი. ამ წუთში სულერთი იყო, არაფრის თავი არ ჰქონდა.

იქვე, რამდენიმე ნაბიჯზეც გასკდა ყუმბარა... ერთიმეორის მიყოლებით დაიღრიალეს მთებმა, უშბამ და ჩათინმა. დაიღრიალეს და ყველაფერი დატრიალდა ილარიოს თვალწინ... კლდის ნაშალი, თოვლისა და მყინვარის ნატეხები, ღრუბლები და ცა... თვითონაც დატრიალდა...

• • •

...ბაუჩი მამამისთან მივიდა და ხელი მოჰკიდა. ილარიო ფიქრებიდან გა-

მოერკვა, ბაღია და ბუჭაც იქვე იდგნენ. ისინიც აულაშების ეზოსაკენ იხედებოდნენ. მერე ყველანი ერთად შევიდნენ ოთახში.

იმ ღამეს უცნაური სიზმარი ნახა:

თიბავდა. შუადღისას ძალიან ჩამოცხა და მოსაჩრდილებლად ტყეში შევიდა. ყველაზე მალალ არყისხეს მიაშურა. იგი ყოველთვის კარგ და გრილ ჩრდილს ჰყენდა. შეჩვეული იყო მის ძირში წამოწოლას. მაგრამ ის არყისხე მებს გაეჩეხა შუაზე, ხოლო ფესვებიდან ამოხეთქილი კვირტები უწყლობისაგან სულს დაფავდნენ. ეწყინა ილარიოს. ის შეჩვეული იყო ამ ზეს, ვერ წარმოედგინა, როგორ მოსვენებდა სხვაგან.

„ყველა დიდი მდინარე ნაკადულით იწყება, შენი ბულა ხარებიც თავიდანვე ამხელუბი როდი დაიბადნენ. ეს შტოებიც, ნამეხარის ფესვებზე რომ ამოსულან, გაიზრდებიან და ამაყად გაიმართებიან წელში, ოღონდ დარწყულება, მოვლა-პატრონობა სჭირდებათ“ — იძახოდა ვიღაცა უხილავი ბოხი ხმით. ილარიო არ ხედავდა მას, უკვირდა, ვის უნდა ჰქონოდა ასეთი ბოხი ხმა.

მიდამო მოათვალიერა ილარიომ. ვერსად წყლისმაგვარი ვერ შენიშნა. თვითონ რომ სვამდა ხოლმე, ის წყაროც ამოეშრო გვალვას. შორს, ძალიან შორს, ცხრა მთას იქით, ზღვის ცისფრად მოკამკამე ტალღები შეამჩნია. ძალიან კი დაიღალა დღეს, მაგრამ... ოღონდ ეშველოთ იმ კვირტებს, ოღონდ ეშველოთ და ილარიო წავა... მზადაა ილარიო... იგი ახლავე წავა და მოიტანს ზღვის წყალს... მოიტანს და დაასხურებს, რომ მათაც სხვა ხეებივით იბიბინონ, ღია თვალებით შეხედონ ზეცას და გრილი ჩრდილები დააყენონ მათი წინაპრებივით...

• • •

...მიწურში თვალი რომ გაახილა, პირველად სახენაირვეი კაცი დაინახა. იგი რაღაცას ეკითხებოდა. ტუჩებს აცმა-

ცუნებდა. ილარიოს არაფერი ესმოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკეთ ვახდა. ისევ გაახილა თვალი. ყური მიუგდო იმ კაცს, ხვდებოდა, რაც აინტერესებდა, მაგრამ... ენა ვერა და ვერ დასძრა. მერე ენაც დასძრა, ოღონდ ხმა ვერ ამოიღო. ხრიალია აღმოხდა. რაღაც ველური ხრიალი. რამდენჯერაც ეცადა, იმდენჯერ დაიხრიალა.

...და ყველამ გაიგო, რომ ილარიო ხრიალებდა...

როცა რაღაცის თქმა ეწადა, ხრიალებდა...

• • •

შინ რომ დაბრუნდა, ცოლს უსიტყვოდ გადაეხვია.

ბაბილომ მაშინათვე აკვანთან მიიყვანა და პატარა მარინე დაანახა.

ილარიომ თავი ჩაჰკიდა, რაღაცა გაურკვეველად ჩაილულლულა. მწარედ ჩაილულლულა და თვალები აუწყლიანდა: ვერასოდეს ვერ დაუძახებდა სახელს თავის გოგონას. ვერ მოუთხრობდა იმ მთადქვეულ ადამიანებზე, ყოველივე იმაზე, რაც გარდახდა. ამის გაფიქრებამ მუშტისოდენა ცრემლები ჩამოუგორა დაწვებზე.

ბაბილოს მზიარულება დაიჩრდილა.

ბაბილოც ტირიდა.

ილარიო ზედავდა, როგორ ცახცახებდა მისი სუსტი სხეული, მაგრამ შველა არ შეეძლო, აღარაფერი არ შეეძლო.

• • •

ერთ საღამოს მარინემ სიმინდიანი პურები დააცხო.

ილარიო პურებს მგლის ტყავის გუდაში ალაგებდა სათითაოდ. ბოლოს გუდას რბილი თასმით პირი მოუკრა და სამხრეები შეუმოწმა. მერე კუთხეში მდგარი სკივრიდან ჩოხა-ახალოხი გამოიღო. ბაბილოს სიკვდილის შემდეგ არ ჩაეცვა ესენი.

ერთხანს ფიქრობდა.

— სოფელში სინათლეები ქრება... — თქვა მარინემ.

ილარიომ რაღაცა კვლავ აუხსნა გოგოს, დაარიგა. გადაკოცნა. სხვებაც გადაკოცნა და ღამის წყვედიდან წაშორდა.

სოფელში გავლისას, აულაშების ეზოში შეიჭყიტა. ძალი გამოქანდა მისკენ და ერთი ამბავი ასტეხა. გაუხარდა ილარიოს, სახე გაეზადრა; შორეული მგზავრობის წინ ძალღთან შეხვედრა კარგად ჰქონდა დაცდილი.

ორღობეებს რომ გასცდა, თავის სახლს აჰხედა კიდევ ერთხელ და ზანი-საკენ მიმავალ ბილიკს გაუყვია. ზოგჯერ ეჩვენებოდა, თითქოს უკან მოჰყვებოდნენ ვიღაცეები, ისინი მოკლე-მოკლე ნაბიჯებს ადგამდნენ და ხელში პატარა ნაჯახები ეჭირათ. ამ დროს ნაბიჯებს შეანელებდა ილარიო. უკან მიიხედავდა. ამოიოხრებდა და თვალებში ცრემლი აუკიაფდებოდა.

• • •

მერე სხვა შვილებიც ეყოლათ.

ვერც იმათ დაუძახა სახელი ილარიომ. ერთ დღეს კი კვლავ დააწყებინა ცახცახი ბაბილოს. მთელი დღე ცახცახებდა.

სალამოს უეცრად შესწყვიტა სუნთქვა. ილარიო ანჭლრევდა, — ჩემსავით ხომ არ დამუნჯდა ესეცო. მალე ხელებში სიცივე იგრძნო, მკვდარი სხეულის სიცივე. ის მზვერაგები გაახსენა ამ სიცივემ. სხეულში ჟრუანტელივით დაუარა რაღაცამ, თმები ყალყზე დაუდგა, თვალთ დაუბნელდა. აღრიალდა, შემზარავად აღრიალდა. ბავშვები შეშინებულნი მოცივიდნენ.

ყველაზე უმცროსი — ბაუჩი დედას მიეპრა და გვერდით მიუწვია. ილარიომ ღრიალს უმატა.

— რა მოუვიდა მამას? — ეკითხებოდა დედას ბაუჩი.

დედა პასუხს არ აძლევდა.

— მითხარი, რა მოუვიდა...

■ ■ ■

ლაშარიობის დღესასწაულს ზარ-ზეითა და ცეკვა-თამაშით ეგებებოდნენ.

მთელ სოფელს ერთად მოეყარა თავი. აულაშების ეზოში, პირდაპირ ღია ცის ქვეშ გაეშალათ სუფრა. თამადა სარდიონი იყო. სარდიონი ლხინს ჩვეულებრივ სიღინჯით განაგებდა. ხელის დაქნევით ანიშნებდა ხოლმე პაულეს, როდის უნდა დაეკრა გარმონი.

პაულე თვალეზში მისჩერებოდა ბიძამისს.

მზე ლაილას ქედზე გადაიხარა. აგრილდა. მეტი შნო და ლაზათი მიეცა საღამოს. დიდი და პატარა, ყველა ცეკვავდა.

უცბათ ხმა დაირხა, ამოჩქოლდნენ. პაულეს შეაწყვეტინეს გარმონის დაკვრა.

— ილარიო მოდის, ილარიო...

— რაო, რაო? — არ სჯეროდა ზოგს. მაშინ კიდევ იმეორებდნენ:

— მართლა დაუნახავთ დევეთს და კაეის.

გზაზე გაცვივდნენ.

მოსახვევს მიაჩერდნენ. აქ უნდა ამოველო ილარიოს. მოუთმენლად ელოდნენ მის გამოჩენას.

— მხარზე შეეტყავგადაკრული ყუთი შეედგა, ისე მოდიოდა თურმე.

— ყუთიო, რა ყუთი, კაცო?..

— არ ვიცი, ყუთი კი იყო და... არსად მინახავს ასეთი რამე...

ქალებიც მოვიდნენ. ელოდნენ ისინიც.

გოგოშების სიდონიამ ჩაილაპარაკა:

— მარინესათვის მზითოვეი მოაქვს ალბათ... ხა... ხა...

არავინ იყო ხუმრობის გუნებაზე. მწყრალად გადახედეს.

...მაგრამ არ ჩანდა ილარიო.

— აბა, სადაა ილარიო?

— იქნებ საცალფეხო ბილიკით ავიდა.

— ზომ არ შეგეშალათ, დევეთ. იქნებ სხვა იყო ვინმე?

— ლამარიას მადლმა, საკუთარი თვალით ვნახეთ მე და კაკიმ — დაიფიცა დევეთმა — დახეული ვოსარი¹ და გაც-

ვეთილი ჯაბრალები ეცვა. შორიდან წამგზავრს ჰგავდა.

შუკა ხალხით გაიტენა. ბავშვები ვაშლის ხეებზე ასულნიყვნენ, იქიდან გასცქეროდნენ შარას. მათ ხმაურზე უფროსები ზევით იხედებოდნენ. — ზომ არ მოდისო.

— სად იყო გადაკარგული ამდენ ხანს?

— შეეტყავგადაკრული ყუთი რა უნდა იყოს?

უკვირდით.

ვერაფერი გაეგოთ.

რამდენი არ ეცადნენ. ვერ ათქმევინეს (ვერ დააცდევინეს) მის შვილებს, სად წავიდა ილარიო.

— არ ვიცი... — ამბობდა ყველაზე უმცროსი ბაუჩი.

— არ ვიცი... — ამბობდა ბუჭა.

— არ ვიცი... — მხრებს იჩეჩავდა ბაღია.

— არ ვიცი... — ჩურჩულით იმეორებდა მარინე.

ახლა კი... უცბად გამოჩნდა ილარიო.

რაც დრო გადიოდა, ჩოჩქოლი და გუკები მატულობდა. ბოლოს სარდიონმა უღვაშებზე გადაისვა ხელი და პაულეს უხმო:

— შვილო, დაუკარი გარმონი. ილარიო მაინც არ მოდის. ტყუილად ვიცადეთ ამდენი ხანი.

— კარგი, ბუბა, დავუკრავ...

ხალხი ისევ შემოუხსნდა სუფრას.

— დაუკარი, პაულე, დაუკარი... — სთხოვეს პაულეს სხვებმაც.

— „ლილეო“ დაუკარი, ან „მირანგულა“.

— „ლილეო“ ძნელია. „მირანგულას“ დავუკრავ.

— აბა „მირანგულა“ დაუკარი მაშინ... „მირანგულა“.

უცბათ... უფრო ძლიერმა და არეულმა აკორდებმა დაფარა პაულეს გარმონის წრიბინა ხმა.

ისევ შეირხა ხალხი...

ზევით აიხედეს.

ერთხანს ენაჩავარდნილებივით დუმდნენ.

¹ ვოსარი (სკ.) — ჩოხა.



სიონი აკვირებ

ლენინი საზღვარგარეთულ დემოკრატიულ ღმრთობრივულ პოეზიაში

თანამედროვე საზღვარგარეთულ დემოკრატიულ პოეზიაში დიდი ლენინის სახე შარვანდელით არის მოსილი. მოწინავე უცხოელი პოეტები გატაცებით უმღერიან ლენინს.

რუმინელი პოეტი მიხაი ბენიუცი ერთ-ერთ ლექსში წერს: „ლენინი არის ზვენი პლანეტის სიამაყე, ის არის სიტყვა-დილა, სიტყვა-სინათლე, შემოქმედი უკვდავი იდეებისა“. მეორე ლექსში „დადგება დღე“ იგი გამოთქვამს რწმენას, რომ ლენინის იდეა ყველგან გაიმარჯვებს, ყველგან მოაქვს თავის ჩაქრობელ სინათლეს:

დადგება დღე და სხვადასხვა ხალხებს,
მთელ თვალწინდელ ქვეყნიერებას,
ლენინის სიტყვა, აზრი და საქმე
მოუტანს მარად ბედნიერებას
(თარგმანი ნ. გურუშიძისა)

ამ რწმენით, დაუცხრომელი ოპტიმიზმით სულდგმულობს ახლა მოწინავე კაცობრიობა. ვ. ი. ლენინმა ხორცშესხმულ რეალობად აქცია მშრომელთა საუკუნეობრივი ნატურა და ოცნება. ამიტომ მის სახელს, როგორც ყოველთვის, ახლაც მოყრდნობით, პატივისცემითა და სიყვარულით ახსენებენ ყველგან, მსოფლიოს ყველა კუთხეში.

გერმანელი პოეტი ი. ბეხერი ლენინს ახასიათებს, როგორც სახალხო გმირს, რომელიც მარად უძლეველია, იგი ამბობს: „ლენინი მოგვაგონებს ძველი დროის გმირს ანთოსს. როგორც ანთოსი თავის ძალას მიწასთან აკვშირში იღებდა, ვერავინ სძლევდა, ასევე იყო ლენინი უძლეველი, რადგან თავისი ხალხის ნდობით სარგებლობდა; რევოლუციური კლასი წაიჭა მისი გზით, პარტიის მიერ ნაჩვენებ გზით; ნამდვილად უკვდავია ის, ვინც

ხალხთა მილიონებთან ერთად ცხოვრობდა, ვისაც მილიონები უყვარდა. ი. ბეხერი იხსენებს ვ. მაიაკოვსკის ლექსის სტრიქონებს:

ლენინი ცოცხლობდა,
ლენინი ცოცხლობს,
ლენინი იცოცხლებს მარად.

ი. ბეხერი აღნიშნავს, რომ ლენინმა „მსოფლიო ძილისგან გამოაღვიძა“. აქ ლაბარაკია ლენინის სიტყვის ძალაზე, იმაზე, თუ როგორ ეუფლებოდა მისი ბრძნული აზრები მილიონიან მასებს. ი. ბეხერი დიდ ლენინს სხვა რამდენიმე ლექსიც მიუძღვნა („ათასწლოვანი ლენინი“, „ლენინი მიუხეხნი“, „ლენინის საფლავთან“ და სხვ.). აღსანიშნავია პოეტური ნეკროლოგი „ლენინის საფლავთან“, რომელშიც გადმოცემულია მშრომელი ხალხის უსაზღვრო მწუხარება ლენინის გარდაცვალების გამო. პოეტს სწამს, რომ ლენინის სახელი შერჩება მარადისობას, იგი უკვდავი და მარადიულია, ასეთია იდეური ქარგა ლექსისა — „ათასწლოვანი ლენინი“, რომელიც დაწერილია 1929 წელს. ამ ლექსში პოეტი ამბობს: „გაივლის ემი, თომას თომას შესცვლის, ბერი რამ დაეწეებს მიყვება, განთქმულ სახელებს გადაფარავს ბურუსი მქისე და მათი ხსოვნა სამუდამოდ ჩაეხვეწება“, მაგრამ აღამიანთა ხსოვნაში არ წაიშლება ლენინის სახელი. მას ვერაფერს დააქლებს დროთა სელა. დიდი ლენინს სახელით, როგორც ძლევაშიონილი დროშით, კაცობრიობა მუდამ წინ გასწევს გამარჯვების გზით.

ყველას სწამდა ლენინის ქალაქის უძლეველობა, მტერზე მისი გარდუვალი გამარჯვება, მათ შთაგონებდა დიდი ლენინის გენია, მისი უკვდავი სული. „ეს ქალაქი იცოცხლებს.

მის ხალხს, რომელიც თავისუფალი და გაბედულია, უყვარს სიყოცხლე, უყვარს თავისუფლება, გახაფხული და შემოქმედება, როგორც ცხრასახეიდეტეში სმოლინი იქცა ბრძოლის შტაბად და ლენინმა იხსნა ქვეყანა, ასე მოხდება ახლაც: „პეტრი ვერ დაძლევა ლენინგრადის გრანიტის საფუძველს“ ასე აღიღებს ლენინის ქალაქს გერმანელი პოეტის სტეფანე პერმლინის ლექსი „ლენინგრადის გრანითა“. პერმლინივე დაწერა რამდენიმე ბალადა და ლექსი, რომლებიც საბჭოთა კავშირისადმი სიყვარულის გრანობით არის გამსჭვალული.

ლენინის ცხოვრების თემაზე პერმლინის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის „ავრორა“, „ოქტომბერმა მოგვცა ჩვენ სამშობლო“ და „ლენინის ძველი მანსფელდში“. ეს უკანასკნელი მონრდილი ფრაგმენტი პერმლინის პოემა „მანსფელდის ორატორისა“, რომელსაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული პრემია მიენიჭა. ავტორი მოგვიხატობს ერთ ამბულევებელ ამბავს, რომელიც მისივე თქმით, მანსფელდში ყველა იცის.

მშვიდობიანი ცხოვრების წლებში უკრაინის ქალაქ კრივოი როგიდან გამოგზავნეს ვარდამეალი წითელი დროშა. უკრაინელმა მუშებმა ეს დროშა ჩააბარეს თავიანთ მანსფელდელ მეგობრებს. ისინი თვალსიჩინოვით უფრო თხილდებოდნენ და ინახავდნენ ამ ძვირფას განსს, მაგრამ 1933 წელს ფაშისტებმა ბრძანეს, მიეცათ მათთვის დროშა დასაწყევად. მშრომელებმა სისტკეი უარი უთხრეს. ამისათვის ისინი ვესტპოსს ჟურნალებში ჩაყარეს. რამდენიმე წლის შემდეგ ფაშისტები ბარბაროსები თავს დაესხნენ რუსეთს და მრავალ სხვა პორტომოქმედებასთან ერთად...

მათ მოიპარეს ლენინის ძველი — ქურდი სოწინდეს ასე ეხებას და ჩაიტანეს, რომ გადაედნოთ ხელუშმარებად და ქვეშეხებოდ.

მაგრამ შორეულ მანსფელდში იყვნენ ლენინელები — „ქვეყნის სინდისი და პატრიონეზა“, საკონცენტრაციო ბანაკში მათ იცოდნენ, რომ საბჭოთა რუსეთი გერმანელი ხალხის საუკეთესო მეგობარი იყო, რადგან „დიდა ლენინმა ხალხთა გულბო შეადლდაბა ფოლადის ნებით“, და როცა საბჭოთა არმიამ გერმანელი ხალხი იხსნა ფაშისტური ტირანისაგან, მანსფელდის მოედანზე ილირი შეხედა თანამემამულეებს: მანსფელდელებმა გაღანახელი ლენინის ბიუსტი მოედანზე აღმართეს.

მანსფელდს გასცქერის ლენინის ძველი, ხალხების მშობის გამოშახველი, ბროსოვსკიმ იგი მეტრდით დაიცვა —

ყველა იცოდეს მისი სახელი! კვლავ მოველინა მანსფელდს ქვეყნის კრივოიროველ ძმთა შარქვენი, ეს მიდიოდა რვალის ნიბიქში ლენინის ქვეყნის ვაღსარჩენად. (თარგმანი ა. გულოვინისა).

ანტიფაშისტური მოძრაობის აქტიური მონაწილე, პოეტი და დრამატურგი ბერტოლდ ბრეტკე გულმოდგინედ სწავლობდა ლენინიზმს — დიდ მოძღვრებას, რომელიც „იზილდედა აღამიანთა მასებს“. „უძლველ წარწერაში“ მან ჰიმნი უმღერა ლენინის უკვდავ სახელს, ლექსში — „სიძღერა წითელ დროშაზე“ — ბრეტკე იგონებს ვარდასულ დროს, როცა ცხოვრებით განაწამები ხალხი კაპიტლის უღელქვეშ გმინავდა, მაგრამ წითელი დროშის აფრიალებით ბოლო მოეღო შეზნულ დროს სხვადასხვა ქვეყანაში. საბჭოთა ქვეყნის მაგალითზე იქ ახლა ნამდვილად აღამიანურ ცხოვრებას აშენებენ, შრომა და ბედნიერება აღამიანის მუდმივი თანამგზავრი გახდა და ასეთ დროს გასაყვრი არ არის, თუ უძლვან, როგორც ცოცხალს ცოცხალთა შორის, ეხედებოდეთ პარლეტარიატის დიდ ბელადს — ლენინს.

პოეტი მაქს ციმერინგი ამაყობს, რომ მას მრავალჯერ უნახავს ლენინი, მაგრამ კრემლში კი არა, სადაც იგი მშვიდად ისვენებს, არამედ ყველგან: თავისუფალი ცხოვრების შესახებ ვლუხებთან მოსაუბრე, თოვანწირულ პარტიზანებთან ბრძოლაში, საწვრტებში სტალინგრადთან, სადაც საბჭოთა არმია მეტრდით იცავდა მშობლიურ მიწა-წყას.

ლენინის სახელი მდინეობა ცხოვრებისა და მშვიდობის სიმბოლთა. იგი ნამდვილი სახალხთა გმირია, რომელიც მასებს ბრძოლას ასწავლდა, მისი ნათელი სახელი ახლაც მშვიდობასა და ძმობას ქადაგებს. სწორედ ასეა დახატული ლენინის სახე ერიო ვაინერტის პოეტურ ქმნილებაში — „ოქტომბრის გამარჯვება“. მასში კერძოდ, ერთი დეტალი იპყრობს ყურადღებას: პოეტი წერის იღებს მამისაგან, რომელიც მანამდე ინდოფენეტრულად უყურებდა საერთაშორისო მუშათა მოძრაობას. ლენინური იდეების გამარჯვებამ მას მოშველის რწმენა ჩაუნერგა გულში, მამა წერდა კომუნისტ შეილს — პოეტ ერიო ვაინერტს: „ახლა მე მთლიანად მწამს, რომ მსოფლიო ისტორიის მეოცე ნაწილი ლენინის გამარჯვებით დაიწყება. დღეს მე ვარ კომუნისტი, შენი ამხანაგი და მამა“.

საბჭოთა კავშირის მეგობარმა პოეტებმა ეუბამ და ფიურნებრგმა ერთად შექმნეს „მსოფლიო ჰიმნი“ — პოემა დიდ ოქტომბერზე, უკვდავ ლენინზე, საბჭოთა ქვეყნის ძლევა-მოსილებაზე. პოემაში ლენინი დახატულია, როგორც დიდესლოვანი, უბრალო და გენითა.



სი პიროვნება, ყველა საუკუნის ჰუმანისტებზე უფრო დიდი ჰუმანისტი, ხალხთა ბედნიერი ცხოვრებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

საუკუნეების მანძილზე მეფეები და მათი მოხელეები მშრომელთა ექსპლუატაციის ეწეოდნენ, მაგრამ მოვიდა ლენინი, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციით გარდაქმნა ქვეყნიერება, მოიტანა ნანატრი თავისუფლება; მან მშვიდობა, პერი და მიწა უბოძა ხალხებს. ის უზრალოდ, ადამიანურად ელამარაკებოდა ყველა მშრომელს, ისინი ამხანაგებდ, ახალი ცხოვრებისათვის თანამებრძოლებად მიიჩნედა. იგი იყო ბელადი, პროლეტარიატის წინამძღოლი, რომლის უყვადვი სახე კაცობრიობის მტყანეში სამარადისოდ არის აღბეჭდილი. ასეთია ამ გერმანული ეპიკური ქმნილების დედაბარი.

ახალგაზრდა გერმანელი პოეტი ბერნჰარდ ზევერი საბჭოთა ქვეყანას უწოდებს „შეგობრობის სახლს“, სადაც ძლიერადაა დღობის ძმობის სიმფონია. ამ მტკაც და ერთიანი ოქახის ყველა წიერი გულდასმით სწავლობს ლენინის მოძღვრებას, მის უყვადვი შრომებს. მეგობრობის სახლში ფრთხილად და მორიდებით შედის პოეტი,

რადგან ბუხართან მამისდარნი
ლენინს სწავლობენ გლეხები.

კუბამ დაწერა „პოემა ადამიანზე“, რომელშიც დამაჯერებლად არის ნაჩვენებ მ. ი. ლენინის გენის ძალა და მნიშვნელობა რევოლუციისათვის, მთელი კაცობრიობისათვის.

ვანსაქობრებით საინტერესოა პოეტის ერთი თავი („ლენინის სიცილი“), სადაც ზელმსახებდად იგონება იმ დიდი ბრძოლების სიმკაცრე და საშინელება, რაც თავს ვადახდა ლენინს, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის:

„ძირს მფეფ, ძალაუფლება საბჭოებს, —
ლენინის ეს მოწოდება მძღვარ მატრიალიურ ძალად იქცა და დაეუფლა მასებს. ამ დროს ვაისმა სიტყვა მშვიდობა, როგორც ყუშბარის ხმა.

მ. ი. ლენინმა დაამარცხა მრავალი ჯერის მტერი, ღმერთიც მის წინააღმდეგ იბრძოდა, ანტირაცე გზავნდა ჯარებს, მაგრამ მათ ვერ გაუძლეს ბოლშევიკურ დარტყმებს. პოეტი კუბა იგონებს, რომ დასავლეთელი მტრები წინასწარმეტყველებდნენ საბჭოების რესპუბლიკის დაღუბვას, მაგრამ ამოდ... ლენინი ამაზე იცინოდა, ახალგაზრდა რუსეთი მტრეც და უძღველი იყო. ამგვარად, ლენინმა სძლია მრავალიცხოვან მტერს და მისმა თანამებრძოლებმა ქვეყანა გამარჯვების გზით წაიყვანეს. და რაცა უკანასკნელად დამსტრეტი ვერმანა თავს დაესხა აღმოსავ-

ლეთს, ხალხს წინ გაუძღვა ლენინი, როგორც საბრძოლო დროსა...



სახალხო დემოკრატიის ხალხთა პოეზიაში ლენინი უძღვირეს ადამიანად, ნათელ მოაზროვნედ არის დახატული. მის პიროვნებაში პოეტებმა დაინახეს მარქსისტული თეორიისა და პრაქტიკის ორგანული ერთიანობა, სინთეზი. ეს ნაკადი იმდენად ძლიერი და ყუვლისმემძლე აღმოჩნდა, რომ შორს ვასვდა თვალუწვდენი რუსეთის საზღვრებს და ღრმად შეიჭრა იმ ხალხთა სამყაროში, რომლებიც საუკუნეთა წყვილადში მოელოდნენ მ. ი. ლენინს, როგორც კაცობრიობის მსხენლსა და მებრძოლს.

დიდ სამაშულო ომში ლენინის იდეები წინ მიუძღოდა და გზას უნათებდა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც შესძლეს ამ ქვეყნების ფაშისტური რეალიდან გამოყვანა და წარმატებით დაამთავრეს ბრძოლა.

ამგვარად, ლენინური მოძღვრების ნაბერწყლობად აღი იონთა და ვეგანტური ოქტომბრის ხანძრის სახით ვავრცელდა მთელ ევროპაში. იგი წითელ ვანთიადად მოველინა მანამდე დამონებულ პატარა ქვეყნებს.

რუმინელი პოეტის მარია ბანუშის ლექსში „სოფელ ბერგანში“ — ვაღმომცემლია ლენინის იდეების ძალა. ლენინის ნაშრომთა შესწავლამ რუმინელი ხალხი ვამოაღვიძა. მათ ლენინის ნაშრომებში ამოკითხეს, რომ „მიწა გლეხების საუკთრებაა“, „ვინც შრომობს, მიწა მისია“.

საინტერესოა პოეტური ქმნილება „ლენინი, ჯარისკაცი და ვრატის მეუღლე“, რომლის აეტორია ვამოჩენილი რუმინელი პოეტი ვერონიკა პარუმბაკუ. ოქტომბრის ჯარიშხლიან დღებში, როდესაც წითელგვარდიელებმა იერში მიიტანეს ზამთრის სასახლეზე, ლენინმა ბრძინება ვასცა, დავცათ ზელოვნების ნაწარმოებებში. მ. ი. ლენინი, რომელიც წინ უძღოდა მშრომელთა ირმისათვის თავისუფლებისათვის ბრძოლაში, იმისთვისაც ზრუნავდა, რომ შემთხვევით არავის დაეზიანებინა უძვირფასესი ქანდაკებები, ხელოვნების ძეგლები.

ლენინი ნამდვილად იყო დიდი მზრუნველი და მოამაგე იმ ძვირფასი კულტურული მემკვიდრეობისა, რომელიც მოწინავე კაცობრიობის კუთვნილება იყო. იგი ამავე დროს დაუცხრომლად იბრძოდა იმისათვის, რომ „მანთით ამოეწვა წარსულის კვალი“, ხალხისათვის მოეტანა მშვიდობა და ბედნიერება, მუდამ ნანატრი თავისუფლება. ლენინმა რევოლუციის ანუქა თვალი უფრო მდიდარი

და შორსმჭვრეტელია, ყველაზე ადრე და ადვილად შესწავლია სწორად წყვეიბა ისტორიის მისწრაფი წიგნი და წყვეილად იგი გმირული ყოველდღიურობითა და ყოველდღიური გმირობით, შემოქმედებითი შრომის სიხარულითა და მასების ენათუხარებით.

ვერსონია პარკუბაყუ ლირიკულ საჯარო-ბელს უძღვნის ამ ყველაზე დიდებულსა და უბრალო ადამიანს, რომელსაც:

არ უცხოვრია სტაერა-ფარჩებით,
და გეოციებდა საყვირველებით,
უყვარდა ჭიფერ ტყე და ბავშვები
და თეთრი ნისლი მწვანე ველებს.
მას უწოდებდნენ უბრალოდ ლენინს,
შეაკავშირა მრავალი ტალღა,
მან აღმაღლა დიდება ჩვენი
და საესე დღენი ასწია მაღლა.
მზედ მოგვევლინა ლენინი ბაქენი,
მისე გენის შუქში ეიზრდებით,
ის სიციხელე და გულია ჩვენი,
წინ გვიძღვის მისი დიდი მიზნები.

(თარგმანი ვ. ჩარკვიანისა).

ბელგარულ პოეზიაში მაღალმხატვრულად არის ასახული ლენინის ლეგენდარული გმირობა, მისი ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები. პოლიანოვა შესანიშნავი ლექსი უძღვნა ვ. ი. ლენინის სხივებს. ლენინმა გააფორმებულ ბრძოლებში. დაამარცხა მტერი. ის ცოცხალია დღეს და ცოცხალი იქნება ზედაც, ის „გასხივოსნებული ვოლანთია“ — წერდა პოეტი.

ლექსში — „საბჭოთა რუსეთი“ — დ. პოლიანოვი აღტაცებას გამოთქვამს ჩვენი ქვეყნის აღორძინებით, ტექნიკური პროგრესით, ხალხის შრომითი პერსონით.

ბელგარული პოეტების ლექსებში ვ. ი. ლენინი დახასიათებულია, როგორც სიმართლისა და თავისუფლების განსახიერება, მშვიდობისათვის ბრძოლის ძირს დაუხრელი დროსა.

ილიჩის მოღვაწეობიდან მათ მხოლოდ გმირული მომენტები კი არ აინტერესებთ, რითაც ესოდენ აღსაცხე იყო მისი ცხოვრება, არამედ ბელადის უბრალოება და კეთილშობილება, შინაგანი სიმართლე და პიროვნების პარმონიული მთლიანობა. ლენინის სახით თვითონ ცხოვრების სიმართლე დადებდა, იგი იყო „უბრალო, როგორც სიმართლე“ (მ. ვორო) და მისი ფიქრები, განცდები და აზრები დაკავშირებული იყო ხალხთა მასების ფიქრებთან, განცდებთან და იმედებთან. მართლაც, ვ. ი. ლენინი, როგორც ხორცშესხმული სიმართლე, შეურთიგებლად ებრძოდა რუტინისა და ყოველივე იმას, რაც ეწინააღმდეგება ცხოვრების სიმართლეს. ერთი ბელგარული მწერლის თქმით, ვ. ი. ლენინზე შეიძლება გავიმეოროთ ლ. ტოლსტოის სიტყვები, რომლებიც მან გამოთქვა თავისი „სევასტოპოლის მოთხრობებში“: „ჩემი მოთხრობის გმირი, რომელიც მთელ ჩემი არ-

სებით მიყვარს, რომლის ასახვასაც მე ვცდილობდი მთელ მის მშვენიერებაში და რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება მშვენიერი, — სიმართლე“.

ისტორიის ეს უძველესი გმირი — ადამიანი-სიმართლე ნამდვილად ვ. ი. ლენინი იყო და საკვრეველი როდია, თუ მისი სახელი ესოდენ საყვარელი და მშობლიურია ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხისათვის.

როგორც ლენინი და პარტია, ასევე განუყოფელია ლენინის სახელი ხალხისაგან, რომელიც ყოველთვის იყო, არის და იქნება ისტორიის დაუმარცხებელი გმირი, საზოგადოების მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა შემქმნელი, საბრძანის დაუმრეტელ საუნჯეთა მფლობელი და დამფასებელი. ვისაც თავის არსებაში ორგანულად აქვს ჩაქსოვილი ხალხის ფიქრები და ზრახვები, ვინც ხალხს ცხოვრების ახალ-ახალ გზებს უნათებს, ის უკვდავყოფილი იქნება მარად უკვდავი ხალხის ველსა და სხივანში. ასე იქნება გმირისა და ხალხის მონოლოთური ერთიანობა. ლენინი განსახიერება ნამდვილი სახალხო გმირისა და მასზე სიმღერა ყველგან მარადიულ პანგად გაისმის და ბტკობს მონობისაგან თავდასწილ ადამიანებს. პოლონელი პოეტი ანკეი მანდალიანი ერთ-ერთ ლექსში — „დიდი სიმღერა“ — ამბობს: „ლენინი როგორც დიდი სიმღერა მძლე მოარღვევდა ღრუბლებს თალხიანს. ის არის შუქის მომტანი ქვეყნად, იგი მზე არის, იგი ხალხია“.

ზიგმუნდ კროველსკის წარმოდგენით ლენინი „დაიბადა ქვეყნად იმათთვის, ვისაც საძლიად ჰური არ ჰქონდა... ჰქონდა სიმტკიცე, ჰქონდა სინათლე და არწივიეთი ცაში დაპტროდა. ის მოველინა ჩაგრულს მნათობად — ყველა ამისათვის ლენინს მაღლობა. თეთრკანიანი, შვეკნიანი დააბლოვა, დაამოზილა, სიციხელე მისცა ადამიანებს, თავის სინათლე ხალხებს მოჰქვია, ხალხს შეაღია თავის კაცობა, ყველა იმისთვის ლენინს მაღლობა“ (თარგმანი ზ. კუხიანიძისა).

ვ. ი. ლენინმა ბევრი რამ გააკეთა სხვადასხვა ერისა და რასის ადამიანთა ურთიერთდაბლოებისა და შეკავშირებისათვის. ლენინურმა ერთგულმა პოლიტიკამ, რომელიც საბჭოთა კავშირში ხორცშესხმულ სინამდვილედ იქცა, გააცემტვერა ერთა ურთიერთობის შესახებ ყველა მანამდე არსებული თეორია და იქადაგა ხალხთა ძმობა, თანასწორობა და სოლიდარობა ჩვენი პლანეტის გარდაქმნისათვის საერთო ბრძოლაში.

როგორც ენობილია, პირველმა მსოფლიო ომმა ლენინს პოლონეთის ტატრების მაღალმთიან სოფელ პარტონიოში მოუსწრო. იმ დროს რუსეთში შექმნილი ვითარება ლენინს აიძულებდა საზღვარგარეთ წასულიყო და იქ გაეჩაღებინა არალეგალური რევოლუციური

მეშობა, პოლონეთსა და შვეიცარიაში ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემაზე, პირველ ყოვლისა, შესანიშნავ ლექსებს ჰქმნიან სახალხო პოლონეთის პოეტები.

პოლონელები სამართლიანად ამაყობენ იმით, რომ მათს სამშობლოში ერთხანს ცხოვრობდა და რევოლუციისათვის ზრუნავდა დიდი ლენინი. ამ დიდი ადამიანის ცხოვრება და ბრძოლა, როგორც ერთი მწერალი ამბობს, ასწავლის მათ იცხოვრონ და გაიმარჯვონ სოციალიზმის აწელებისათვის ბრძოლაში. გამოჩენილი პოლონელი პოეტი ილიან ტუვილი ყველას, როგორც თანამემამულეებს, ისე უცხოეთიდან ჩამოსულ ადამიანებს მოუწოდებს ყვავილებით მოართონ და შეამკონ „ის წმინდა ადგილი, სადაც ხალხისათვის ცხოვრობდა ვლადიმერ ილიჩი ლენინი — ჩვენი მეგობარი და მასწავლებელი“.

სახლმწარმოებელი ლენინის ნამდვილ მეგობრობას უწყვეტა რევოლუციონერი, თავისი ცხოვრების თანამგზავრი ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუჰსკაია; იგი პორონიჩოშიც თან ახლდა ლენინს და აზიარებდა მის ფიქრებსა და საზრუნავს რევოლუციის საქმისათვის. ილიჩის ცხოვრების ამ მღელვარე მომენტებს, ფრიად საგულისხმო ეპიზოდებს, ასახავენ ლექსებში პოლონელი პოეტები: იან კობროუსკი („დილით“), კონსტანტინე გალიჩინსკი („ლენინის მუხებში პორონიჩოში“), მეჩისლავ ისტრუნი („ლენინი პორონიჩოში“) და სხვები. მათი ლექსები თემის ორიგინალით გააზრებთ, მკვეთრი პოეტური სახეობითა და ემოციური ზემოქმედების სალით გამოირჩევა; მასალა მახვილი პოეტური თვალით არის დანახული, კარგად მაგნებელი დეტალებით დახასიათებულია ლენინის პიროვნება, მისი რევოლუციური სული და მიზანსწრაფვა.

ოქტომბრის რევოლუციამ, დიდმა ლენინმა აღმოსავლეთის ხალხებს შეუქმნა საუკეთესო გზა ნატურათა განხორციელების რეალური შესაძლებლობა. „თითქმის ოქტომბრის რევოლუციასთან ერთად, რომელსაც დიდი ლენინი ხელმძღვანელობდა, დაიწყო ჩვენ ინდოეთში ახალი ფაზა თავისუფლებისათვის ჩვენი ბრძოლისა“ (ნერ). ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე დიდმა კაცობრიობის ახალი განთავადი და ლენინის უკვდავი სახე აღსდგა ლეგენდებიდან, რომლებიც შექმნეს კოლონიური აღმოსავლეთისა და აფრიკის ხალხებმა. ლენინის უკვდავი მოძღვრებით ახლა აზიისა და აფრიკის ჩაგრული ერები გაბედულად მიიკვლევენ გზას, იბრძვიან თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოსაპოვებლად. ამ ხალხებისათვის სიტყვები — ლენინი და თავისუფლება, მოსკოვი და მშვიდობა — სინონიმებად იქცა. ეს კარგად გამოხატა გამოჩენილმა ინდოელმა პოეტმა ფირაკიმ, როდესაც თქვა: „მთელი მსოფლიოს ადამიანები ნათლად ხედავენ როგორ ბრწყინავს მოსკოვის

თავე ახალი განთავადი, ახალი განახლებული კაცობრიობისა“. აღმოსავლეთში აქედან წარმატებით მიმდინარეობს იმპერიალიზმის ყოველნიური სისტემის დაშლა, კეთილდღეობა და დიდი პროცესი იმ ხალხთა აღორძინებისა, რომლებსაც ასეული წლების განმავლობაში კოლონიზატორები დამორჩილებლად განეთავაზურებდნენ...

დადგა ვ. ი. ლენინის მიერ ნაწინასწარმეტყველებული ახალი პერიოდი: „მხოლოდ მაშინ, — ამბობდა ლენინი, — როდესაც ინდოელი, ჩინელი, კორეელი, იაპონელი, სპარსელი, თურქი მუშა და გლეხი ერთმანეთს ხელს გაეწყვიდნენ და ერთად წავლენ განთავისუფლების საერთო საქმისათვის, მხოლოდ მაშინ არის უზრუნველყოფილი გადამწყვეტი გამარჯვება ექსპლოატაციანზე. გუეშარაჟის თავისუფალი აზიას“. ახლა აღმოსავლეთის ხალხთა ერთი ნაწილი უკვე თავისუფალია ექსპლოატაციის ზნდებისაგან, ხოლო დარჩენილი გადამწყვეტ ბრძოლას ეწევიან კოლონიზატორთა უღლისაგან განთავისუფლებისათვის და აქტიურად მონაწილეობენ მთელი მსოფლიოს ისტორიული ბედის გადამწყვეტში.

ინდოეთის მოწინავე პოეტები სოლიდარობას უცხადებენ თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანებს, რწმენითა და იმედის თვალთ შეპყრებენ საბჭოთა კავშირს, რომელიც მტკიცედ უდგას სათავეში მშვიდობისა და სოციალიზმის უძლეველ ბანაკს. ჩვენს ურთცხე ბანაკს დამარცხება არ უწყობია; ყველა ჩვენგანში დღეს ლენინი სუტუნდა ამაყად — ამბობს ინდოელი პოეტი ზატარაია.

საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობა და აქ მიღებული შთაბეჭდილებები ინდოელი პოეტების — ელათმოლისა და ჩატოპატაიის შემოქმედებითი შთაგონების წყარო გახდა. სამშობლოში დაბრუნებისას ელათმოლმა გამოაქვეყნა ლექსების ციკლი, რომელიც იხსნება ლექსით: „ლენინის მეგობრულეში“. ეს დიდი ბედისადაც მიმდინილი გულწრფელი ღირსი ქული ჰმინია. ვ. ი. ლენინი წინ შეუძღოდა რუსეთის ხალხებს „ბედნიერების გამოსაქვლად“ და გზებს უკავიადა აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერებს, რომ უახლოეს მომავალში იმათაც ეგრძნოთ ახალი ცხოვრების სიდიადე. მომხიბვლელობა, თავი დაეხსნათ ბნელეთის ძალების ტყვეობისაგან:

დაახე ლენინს
მიჰყავდა ხალხი,
ბედნიერების გამოსაქვლად;
ის რელიგიის სიბნელეს გლუქდა,
რათა ქვეყანას
კარგად ენახა მღვდელთა ფლიდობა,
კაცობრიობის ყველა წყლული,
უამინდობა,
(თარგმანი რ. ბერძინისა)

საქართველოსადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში ვალათილი გამოთქვამს თავის პოეტურ აღტაცებას, მადლობის გრძნობით აღსავსე სტრიქონებით ამკობს ჩვენს რესპუბლიკას, რომელიც „საამაყოა მთელი კავშირის“ და ისევე ლენინს სახეს უბრუნდება:

და შენა წმეიდი მყუდროების
მარჯი მცველი,
უკვდავი ბრძენი,
ვინც ჩაგვირისგან იხსნა ერები,
დადგა ლენინი
ზაქსისკენ გაწვდილი ხელით,
როგორც სიმბოლო
ხალხთა დიდი ბედნიერების.

(თარგმანი ე. ბეწუკელისა)

ე. ი. ლენინზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია აგრეთვე ჩანდრა გოშის „მისი სახელი საუკუნეებში ბრწყინავს“ და რამანა რედიმის პოემა „ლენინი“.

აღმოსავლეთის ხალხთა ახალი ლიტერატურა უკნობი დიდებით მოსაეს ოქტომბრის რევოლუციის ბელადს, ბრძენსა და მასწავლებელს ე. ი. ლენინს.

თავისუფალი მონღოლეთის, კორეის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა რევოლუციების მოყვარე ხალხებისათვის ლენინის სახელი უმბოლოა ხსნისა და ლენინს, ის ძღვეამოსილ დროშია ბრწყინავს ნუგეშისმცემი“.

კორეელი პოეტი ციო ღე სუნი ლექსში — „ლენინი ჩემი კორეის გულშია“ სიამაყით მღერის:

ის ჩვენთან იბრძვის,
სიმბოლოა ხსნისა და ლენინს,
ახალ კორეის გულში ღვიძავს
ვლადიმერ ლენინს!“

(თარგმანი გ. სამხარაძისა)

გ. ა. ლენინი ცოცხლობს ყველგან, სადაც არიან რევოლუციონერები, იგი ცოცხლობს და უკვდავყოფილია ხალხთა გულებში, მათს საქმეებში, კომუნისტური მომავლისათვის მათს შრომასა და ბრძოლაში.

ე. ი. ლენინი ხალხთა საბრძოლო დროშაა, მათი იმედი და სიხარულია, ხვალისდელი ნათელი დღის გათენებაა.

ლენინი მთელი ჩვენი პლანეტის სიამაყეა.



3. 0. ლენინის მხედველბანი ენათმეცნიერების ზოგიერთ საკითხზე

შოთგლო პრატეტარიატის გენიალური ბე-
ლადი და მსწაელებელი ვ. 0. ლენინი, ა. ე.
ლუნაჩარსკის სიტყვით, უდიდეს მნიშვნელო-
ბას ანიჭებდა ენათმეცნიერებას. „დიდი ბელადი
აფასებდა ენათმეცნიერებას, როგორც დასაყ-
რდენს კომუნისტის ერთგული პოლიტიკის გა-
სატარებლად“, — წერდა ა. ლუნაჩარსკი პრაოდ.
რ. თ. შორის შრომის წინსიტყვაობაში.

საბჭოთა ენათმეცნიერების ამოცანები არა-
სდროს არ ყოფილა ისე დიდი, რთული და
პასუხსაგებო, როგორც ამჟამად. საბჭოთა ლინგ-
ვისტიკა ყველაზე მოწინავეა მთელ მსოფლიოში.
ეს კი დიდი სახელმწიფოებრივი და კულტუ-
რული მნიშვნელობის ფაქტია. ჩვენი ენათ-
მეცნიერების წმინდათა-წმინდა ვალია, იყვენ
დირსეული მოწაფეები ვ. 0. ლენინისა, რომ-
ელმაც საბჭოთა ენათმეცნიერება ახალ საფე-
ხურზე აიყვანა და დაუსახა შემდგომი განვი-
თარების გზები.

ჩვენს ქვეყანაში ენობრივი პრობლემების
გადაწყვეტა ხდება ლენინური ეროვნული პო-
ლიტიკის მყარ საფუძველზე — სსრ კავშირის
ხალხებისა და ენების სრული თანასწორფლ-
ეიანობის საფუძველზე.

საბჭოთა კულტურა მზარსით სოციალისტუ-
რია, ფორმით — ეროვნული. ეროვნული ფორ-
მის მთავარი ელემენტი კი ენაა. ენაში, სიტყა-
ში აისახება სული მისი შემქმნელი ხალხისა.
„ადამიანი კვდება, მაგრამ მის მიერ შექმნილი
სიტყვა რჩება“ (ჯ. უმინსკი). ენას კი სწავლობს
ენათმეცნიერება, რომელსაც განსაკუთრებული
იდგილი უჭირავს საზოგადოებრივ მე-
ცნიერებათა შორის, რამდენადაც იგი იცვლეს
ადამიანის უდიდეს შემოქმედებას — ენას. მეტ-
ყველებს განუზომელი მნიშვნელობით აიხსნე-
ბა, რომ ენის ძირითადი საკითხები კაცობრიო-
ბას ყოველთვის აინტერესებდა. თუმცა ენათ-
მეცნიერება თვალაზირად განვითარდა, ვ. 0.

ლენინის მოღვაწეობამდე გადაჭრილი არ იყო
ენის შესახებ მეცნიერების ბევრი საკვანძო
პრობლემა. ენათმეცნიერების საკვანძო პრო-
ბლემების შესახებ ვლადიმერ ილიას ძის მო-
საზრებები შემოქმედებითი მარქსიზმის ოქროს
ფონდს აშვენებს. მას უდიდესი მნიშვნელობა
აქვს მარქსისტული ენათმეცნიერების განვითარ-
ებისათვის.

მართალია, ვ. 0. ლენინი არ იყო სპეციალო-
ბით ენათმეცნიერი, მაგრამ რუსული ენის გრა-
მატიკული სტრუქტურის, რუსული ენის ლექ-
სიკის სიმდიდრისა, სტილისტური შესაძლებ-
ლობისა, დაღმტვიერი ნაირსახეობისა, ტერ-
მინოლოგიური მრავალფეროვნებისა და სალი-
ტერატურო ენის სიმინდის დაცვის შესახებ
მისი აზრები საბჭოთა ენათმეცნიერების თეო-
რიული საფუძველია. ფართო თეორიული განა-
თლება, პროგრესული ენათმეცნიერული მიზარ-
თულების წარმომადგენელთა ძირითადი შრო-
მების საფუძვლიანი ცოდნა და ქეროვანი გამო-
ყენება ჩანს ვ. 0. ლენინის როგორც ფილოსო-
ფიური, ეკონომიური და ისტორიული ხასია-
თის შრომებში, ისე ცალკეულ სტატებებსა და
კერძო წერილებში, რომლებიც ლინგვისტიკის
აქტუალურ და საინტერესო საკითხებს ეხება:

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რუსული
ლინგვისტური მეცნიერების საერთო ფონზე ვ.
0. ლენინის ლინგვისტურმა შეხედულებებმა
დიდი შემოქმედება აქონია ენათმეცნიერების
განვითარებასა და სკოლაში დედაენის სწავლე-
ბასზე.

ვ. 0. ლენინის პრაქტიკული მოღვაწეობა მარ-
ტო ასპარეზი როდი იყო ეროვნულ საფუძველ-
ზე რუსული ლიტერატურული ენის შექმნისა,
იგი ცხოვრების ცოცხალი სკოლაც იყო, რომ-
ელმაც საბოლოოდ გააფორმა დიდი ბელადის
დამოუკიდებელი თეორიული შეხედულებებ-
ენის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის,

შესახებ. ვ. ი. ლენინის ლინგვისტური შეხედულებები, მთლიანად აღებული, დღესაც ინარჩუნებს უდიდეს მენიერულ და პრაქტიკულ ღირებულებას.

რუსული და უცხოური ენების საფუძვლიანი ცოდნა, აგრეთვე, საენათმეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გამოყენება, სწორი ალღო და რრულ ენობრივ მოვლენებში გარკვევის გასაოცარი უნარი ჩანს ვ. ი. ლენინის ზოგად ენათმეცნიერულ გამოათქმამებში. ყველაფერი ეს სწორი და უცვლელად მისაღებია მთელ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეცნიერების — საბჭოთა ლინგვისტიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე. მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა. ვ. ი. ლენინის ენათმეცნიერულ შეხედულებებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, თანამედროვე რეაქციულ ბურჟუაზიული ფსიქოლოგიური მიმდინარეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან, როგორც პარტია გვასწავლის, ჩვენ ორი საპყრობის — სოციალიზმისა და კომუნალიზმის მწვედვ იდეოლოგიური ბრძოლის ერთობაში უცხოყობობა, სხვადასხვაგვარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფოების თანაარსებობა ოდნავადაც არ ნიშნავს კაპიტალიზმისა და კომუნალიზმის იდეოლოგიის მშვიდობიან თანაარსებობას. პირიქით, სწორედ ეს თანაარსებობა მოითხოვს მუდმივ და მუდგარ თანმიმდევრულ ბრძოლას ბურჟუაზიულ იდეოლოგიას წინააღმდეგ, რა ფორმითაც არ უნდა გამოვლინდეს იგი.

შეიძლება დაბეჭიბებით ითქვას, რომ სწორედ ვ. ი. ლენინის მოღვაწეობით იწყება ახალი ეპოქა საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარებაში. საბჭოთა ენათმეცნიერები მნიშვნელოვან თანამედროვე აქტუალურ ლინგვისტურ პრობლემებს ამუშავებენ ვ. ი. ლენინის ენათმეცნიერულ მოძღვრებაზე დაყრდნობით და მის მიერ შექმნილ პრინციპების მომარყვებით.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ანარჩული ტექნიკა გავლენის სფეროს უნაქვს აგრკელებს. ეს გავლენა ნათლად ეტყობა განსაკუთრებით ლექსიკო-ფრაზეოლოგიას; ენის გეფონიურსა და რიტმულ, ექსპრესიულსა და ესთეტიკურ მხარეს.

საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვან ეტაპად უნდა ვღაბაროთ დიდი თეორიული და გამოყენებითი მნიშვნელობის ახალ მიმართულებათა გამოჩენა, რომლებიც წარმოიქმნა სხვადასხვა მეცნიერებათა (ენათმეცნიერების, ლატერატურისმცოდნეობის, მათემატიკის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ისტორიის და ა. შ.) გზაჯვარედინზე. მათ მიეკუთვნება: სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკა, რომელიც დაკავშირებულია კომპარატივის პრობლემებით (ენის მათემატიკური და სტატისტიკური შესწავლა, მინქანის თარგმნა, ენის სტრუქტურული ანალიზის მეთოდე-

ბი); ენების სტრუქტურულ-ტაბოლოგიური შესწავლა (ენების ურთიერთმოქმედება, მათი შედარებით-ტაბოლოგიური შესწავლა და ა. შ.); ყველა ამ მიმდინარეობამ, რომლებიც ახასიათებს მსოფლიო მეცნიერებას ენის შესახებ, თავი იჩინა ჩვენს ენათმეცნიერებაშიც. ჩვენი ლინგვისტიკური აზრის საუკეთესო წარმომადგენლები არა თუ არ ჰყარგავდნენ კავშირს მსოფლიო მეცნიერებასთან, არამედ სერაობულ გავლენასაც ახდენდნენ ამ მეცნიერების საერთო მსვლელობაზე. საეპარისია გავიხსენოთ, რა ზეგავლენას ახდენდა წარსულში მსოფლიო ენათმეცნიერებაზე ზოდუნ დე კურტენე-შნერბას სკოლისა და მისგან 20-იანი წლებში განვითარებული ლინგვისტური აზრის მიმართულება, რომელიც განსაკუთრებით რელიეფურად იჩინა თავი პრალის ლინგვისტიკის წრის (განსაკუთრებით პროფ. ნ. ტრუბეცკოის) თეორიების მეშვეობით, იმ მიმართულების, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ენათმეცნიერების ერთ-ერთ უდიდეს მიმდინარეობას დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში; საემპირისია გავიხსენოთ ჩვენი მარქსისტული ლინგვისტური აზრის გავლენა უკანასკნელ ათეულ წლებში, განსაკუთრებით ეროვნული ენის შესწავლაზე, ენის ისტორიისა და საზოგადოების ისტორიის ურთიერთკავშირზე, ენის აგებაზე...

ამ უკანასკნელ წლებში ენათმეცნიერებაში წარმოქმნილი ახალი მიმართულებიდან ყველაზე მერტი პოპულარობა ჩვენში მოიპოვა სტრუქტურულმა ლინგვისტიკამ, რომელიც, კი არ აქმეებს ტრადიციულ ენათმეცნიერებას, არამედ მასში იდეების ახალი კომპლექსი შეაქვს და აუცილებელს ხდის გადაისინქოს მისი პოზიტიური შედეგები ახალ, სტრუქტურულ ასექტებში.

ვ. ი. ლენინის ფილოსოფიურ შრომებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს თეორიული ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემების გადასაწყვეტად. საბჭოთა ლინგვისტიკა ენათმეცნიერულ პრობლემებში დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან უნდა გადაიჭრან, სახელდობრ, ამ პოზიციებიდან უნდა მივედგეთ დასავლეთის თანამედროვე ენათმეცნიერულ მიმდინარეობებსაც; მაგ., ამეამდ დესკრიფციული ენათმეცნიერება აშშ-ში სტრუქტურალიზმის ნაირსახეობაა. თეორიული მზრით იგი მიმკვითრობის მექანიკური კონცეპციის პრადპირი გაღმორტანა ლინგვისტურ ცნებაზე. დესკრიფციული ლინგვისტიკის კონცეპციის ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ ვ. ი. ლენინის კრიტიკა მექანიკური მატერიალიზმისა და ამის საფუძველზე მრეახდინოთ საკითხის გადაჭრა.

ვ. ი. ლენინის ნაშრომებში გაშუქებულია თეორიული ენათმეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა — ენისა და აზროვნების ურთიერთობის პრობლემა. ენა აზრის უშუალო

სინამდვილეა. სახელდობრ, ამ პოზიციიდან უნდა მივუდგეთ დესკრიფციულს, რომლებიც ენას სწვევებენ აზროვნებას და მას დასაშულ სისტემად განიხილავენ. ეს დესკრიფციულების ძირითადი იდეოლოგიური შეცდომაა, რომელსაც იდეალიზმისაკენ მივყავართ.

ვ. ი. ლენინი ენის ისტორიას ცოდნის ერთ-ერთ დაზავად მიიჩნევს, რომლისგანაც იქმნება შეშვებების თეორია და დიალექტიკა სწორედ ენაში აისახება ადამიანთა შემეცნებითი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მოვლენები. ამ ჰუმანიტების წინააღმდეგ, დესკრიფციულებს ენა დასაშულ წმინდა ბიოლოგიურ პროცესად, უარყოფენ ენა საზოგადოებრივ ხასიათს. დესკრიფციული ენათმეცნიერების წარმომადგენლებს ენის საკომუნიკაციო ფუნქცია მექანიკურად ესმით, ისანი მას ბიოლოგიურ აქტად მიიჩნევენ.

ენისა და აზროვნების პრობლემას უკავშირდება ფორმისა და შინაარსის საკითხებიც. ვ. ი. ლენინი ფორმას და შინაარსს ერთიანობაში განიხილავს. არ არსებობს ფორმა უშინაარსოდ და პირიქით. დესკრიფციული ლინგვისტიკის წარმომადგენლები სავსებით წვევები სიტყვის ფორმას მისი შინაარსისაგან, ისინი ფიქრობენ, სიტყვის მნიშვნელობის შესწავლა არ შედის ენათმეცნიერების კომპეტენციაში.

ასეთი მსჯელობა ფორმალისტური და იდეალისტურია. ფორმისა და შინაარსის ლენინური პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ: „ენის არსი, ესე იგი შინაარსი, ფორმაში ელინდება. ენის არსის გამოვლინება მისი შინაარსის გამოვლანებას ნიშნავს. უფრომთ საეფოოდ არაფერია. ყველაფერი, რაც არსებობს — ასე თუ ისე, ვაფორმებული მატერიაა. ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ ენას“ (В. И. Ленин и марксистское языкознание. РЯШ, 1954, № 1, стр. 6). მაგრამ მართო ამით არ ამოიწურება ფორმისა და შინაარსის შესახებ ვ. ი. ლენინის მოძღვრების მნიშვნელობა. ენაში ფორმისა და შინაარსის სწორად გაგება გვეხმარება ღრმად ჩაეწვდეთ მწერლის ენის თავისებურებებს, უფრო ნათლად გაეფოოდ, აესხნათ და დავსაბუთოთ მხატვრული ნაწარმოების სტილისტური სხვაობა.

რაც უფრო ღრმა და სიძარითლის შემცველია შინაარსი, მით უფრო სრულყოფილია ფორმა. რაც უფრო ცხოველყოფილია შინაარსი, მით უფრო ნათელია ფორმა.

როგორც აღნიშნეთ, ვ. ი. ლენინის ენათმეცნიერულ შეხედულებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიული ფილოსოფიის მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორად შენიშნავს ერთი მკვლევარი (დემოკრატიული ბანაყის წარმომადგენელი): „რასისტო ენათმეცნიერებე

გერმანიაში, განსაკუთრებით კი პიტეკრელები, ბოროტად იყენებდნენ ენათმეცნიერებას და ცდილობდნენ იგი თავიანთი რასისტული თეორიებისათვის გამოეყენებინათ“ (Ирещи, Владимир Георгиев. О некоторых вопросах языкознания. София, 1950, стр. 24).

ერთა და ენათა ასიმილაციის პოლიტიკა მკიდროდ უკავშირდება იმპერიალისტური ბურჟუაზიის რეაქციულ კოსმოპოლიტურ იდეოლოგიას, რომლის წინააღმდეგაც, ვ. ი. ლენინის ლინგვიტიკის შეხედულებებით მონარქებულნი, თანმიმდევრულად იბრძვიან გამოჩენილი საბჭოთა ენათმეცნიერები. ბურჟუაზიული ენათმეცნიერები, კოლონიზატორთა შეევეთებს რომ ასრულებენ, ყალბ თეორიებს ქნიან რასობრივი დისკრიმინაციის მიზნით: **მით ენაშიც შეიქმნა რასობრივი თეორია.** ენათმეცნიერთათვის, როგორც ყველა საბჭოთა მეცნიერისათვის, ანდერძი უნდა გახდეს ვ. ი. ლენინის მოსაზრებები ენის რაობის შესახებ.

ვ. ი. ლენინის დებულება, რომ „ენა ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი იარაღია“, უდიდესი მნიშვნელობისაა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი მსოფლიოს მოწინავე ადამიანებს რასმავს, რათა მთელი სისტრული გამოიყენონ ენა, როგორც ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი იარაღი, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ყველა მომხრეთა ერთიან მშლავრ ბანაკედ შედუღაბების უმშლავრესი ბერკეტი.

ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად განავითარა და გაამდიდრა ენის შესახებ მატერიალისტური მოძღვრება. კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მიითხრათა უზუსტესი დაცვით, ვლადიმერ ილიას-ქემ განსაზღვრა ენის რაობა და მითითებდა ენისა და აზროვნების განუყრელ კავშირზე. აქედან ვ. ი. ლენინს გამოჰქონდა დასკვნა: აზრის სიციხადე ყოველითვის დაკავშირებულია გამოთქმის სიციხადესთან და პირიქით; ვლადიმერ ილიას ძეს ენა მასების შესაკავშირებელ მშლავრ იარაღად, მათ შორის რევოლუციური თეორიის პროპაგანდის მნიშვნელოვან საშუალებად მიანდა.

თანამედროვე ინგლისელი ფილოსოფოსი, ლოგიკური პოზიტივიზმის წარმომადგენელი ბერტრან რასელი ენას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. იმომშებს საზარების სიტყვებს: „პირველითფან იყო სიტყვა“ (იანე). ენის დანიშნულებად რასელს ემოციების გამოხატვა მიანია, ან ის, რომ სხვის ყოფაქცევაზე ვიმოქმედოთ: „ენის აქვს ორი პირველი ფუნქცია: გამოხატვის ფუნქცია და კომუნიკაციის ფუნქცია“. შემდეგ ატრორი ახსენებებს ენის ორ ფორმას — ზებრისა და წერილობით ფორმებს. რასელი წერს: „ზოგჯერ ფიქრობენ, რომ შეუძლებელია აზრი

უენოდ. მაგრამ მე არ შემიძლია ამის დავე-
თანხმო. ზემო აზრით, შეიძლება თვით მცდე-
რი და ჭეშმარიტი აზრით კი გვეჭონდეს უენოდ.
მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების თანახ-
მად, აზრი სიტყვების საშუალებით ყალიბდებ-
და აზროვნება, საერთოდ, და მით უმეტეს
განუვებელი აზროვნება შეუძლებელია, თუ
მეტყველება არ არსებობს.

ამერიკელი ნეოპოზიტივისტის ხაიაკვანს
ტყმით, მოქმედებისას ადამიანები აზრებით კი არ
ხელშეწყობენ, არამედ მხოლოდ სიტყვებით
რომლებსაც თვითნებურ აზრებს ანიჭებენ.
ამით მას იმის თქმა უნდა, რომ ადამიანებს
სრული თავისუფლება აქვთ შექმნან სიტყვე-
ბი და ამით გამოხატონ ყოველგვარი ფაქტი.
ამგვარად, ენა იქცევა სიტყვათა რაღაც კომ-
პლექსად, რომელიც მოკლებულია რაიმე
აზრს. სიტყვა მხოლოდ თვითნებურად ამო-
ჩეული ნიშანია, რომელსაც კონკრეტული ში-
ნაარსი არ გააჩნია, შევდარი, უცვლელი, განუ-
ვითარებელი სიმბოლოა. ამ აბლაუბდას საე-
რთოდ ანა აქვს რა ენაა და აზროვნების
ურთიერთობის ლენინურ პრინციპთან, მარ-
ქსისტული ენათმეცნიერების ამ ერთ-ერთ
ამოსავალ პუნქტთან.

ვ. ი. ლენინის ენათმეცნიერული კონცეპ-
ცია მძლავრი იარაღია, რათა კრიტიკის ქარ-
ცხელში გაეჭარბოთ თანამედროვე ბურჟუა-
ზული რეაქციული იდეოლოგიის ყველა და-
შვკელი. ვლადიმერ ილიას-ქემ დამაჩერებლად
გვიჩვენა, რომ „ენა ადამიანთა ურთიერთობის
უმნიშვნელოვანესი იარაღია“. ენა უშუალოდ
უკავშირდება აზროვნებას. სწორად ამის გა-
შობა, რომ ენა სიტყვებით და წინადადებებში
სიტყვათა შეკავშირებით აღწერს და აღბე-
ჭდავს აზროვნების მუშაობის შედეგს, ადამი-
ანის შეშეცნებითი მუშაობის წარმატებებს
და, ამრიგად, შესაძლებელს ხდის აზრთა გა-
ცეხა ადამიანთა საზოგადოებაში. „ენა აზრის
უშუალო სინამდვილეა“ (მარქსი). ამგვარად
სიტყვები: „შევიღობა“, „ომი“ და სხვ. ცარიე-
ლი ბეგრები როდია. ამ სიტყვებს სრულიად
განსაზღვრული ობიექტური შინაარსი და მნიშ-
ვნელობა აქვს აბსოლუტურად დამოუკიდებელი
იმ ვაგებისაგან, რომელსაც თავზე ახვევენ თანა-
მედროვე კაპიტალისტური მსოფლიოს მოფი-
ლოსოფოსო ბნელეთის მოიჭურვლები.

ენის რაობის შესახებ ვ. ი. ლენინის შეხე-
დულება ააშკარავებს რასელის, უაიტხედის,
აივრის, ზეხის, კარნაპისა და სხვათა მუხბე-
ტურ-იდეალისტურ თეორიას. მათი აზრით,
ენა ცნობიერების სუბექტური შინაარსის გა-
მოხატულებაა და მას არ შეუძლია ვადმოსცეს
შეცნიერების, მეცნიერული ცნებების ობი-
ექტური მონაცემები.

ვ. ი. ლენინმა პრაგმატიზმის ნამდვილი სა-

ხე მისი აღმოცენების დღიდანვე გვიჩვენა:
„უახლოესი ამერიკული ფილოსოფიის უკე-
ნასკნელი მოდა პრაგმატიზმის წევრნი ლენი-
ნი, თხზულებანი, ტ. 12, გვ. 436-437“ (მარქსი-
სტულად Pragma — საქმე — მოქმედება; მოქმე-
დების ფილოსოფია).

პრაგმატიზმი დღეს ერთ-ერთი გავრცელებუ-
ლი ფილოსოფიური მიმართულებაა ბურჟუაზი-
ულ ჰეგეზებში, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ
შტატებში, თუმცა ის თავისებური ფორმით მე-
19 საუკუნის უკანასკნელ მესამედში შეიქმნა.

პრაგმატიზმს, როგორც აშშ ბურჟუაზიული
ფილოსოფიის ყველაზე რეაქციულ სახეს, აკრი-
ტიკებდა ვ. ი. ლენინი „ფილოსოფიურ რვეუ-
ლებში“. აქ ვლადიმერ ილიას ძეს წარმოდგენი-
ლი აქვს ფრანგი ფილოსოფოსის აბელ რეისი
(1873-1940) ნაშრომის „თანამედროვე ფილო-
სოფიის“ კონსპექტკი კი (გვ. 423-493). ეს ნაშ-
რომი აჭრელებულია შენაშენებით, მინაწერე-
ბით. ზოგან ვ. ი. ლენინს მიუწერია ვაკვირე-
ბის ნიშნად: „ჰაი, ჰაი“ (ვ. ი. ლენინი, თხზუ-
ლებანი, ტ. 38, გვ. 489).

ვ. ი. ლენინმა პრაგმატიზმის კრიტიკის საქ-
მეში ა. რეის პოზიციას „მორცხვი მატერიალის-
ტი“ უწოდა (ვ. ი. ლენინი თხზულებანი, ტ. 38,
გვ. 481-484), ხოლო ცდის პრაგმატიკულ გა-
გებას — „სისულულე, ენათმეცნიერება“ (იქვე, გვ.
486). „მოლაგებ“ (იქვე, გვ. 479).

ვლადიმერ ილიას ძემ პრაგმატიზმის კრიტი-
კისას უკრადღება მიაქცია ტერმინოლოგიის
საკითხსაც. ა. რეის წიგნში, იქ, სადაც წარმოდ-
გენილია ზოგადი დისკუსიები (6 1), ეკითხუ-
ლობთ: „ამ დისკუსიებში იფიქრებენ, რომ თერმინო-
ლოგიის მეორე პრინციპს შეიძლება უწოდოს
ვიოლუციის ან შემევიდგომობის პრინციპი“. ამ
წინადადებას ვ. ი. ლენინი ასეთ საინტერესო
ენობრივი ხასიათის ახსნა-განმარტებას აძლევს
სქოლიოში: „კლავიუსმა ამას ენობრიობის პრი-
ციპი უწოდა, რაც ზუსტად შეესაბამება სიტ-
ყვებს „მეშვიდრეობა“, მაგრამ ნასესხება არა-
დალოინურად, ახამედ ბერძნულიდან“ (ვ. ი.
ლენინი, თხზულებანი, ტ. 38, გვ. 460).

ვ. ი. ლენინმა დამატკიცა, რომ პრაგმატიზმი
ისეთი ფილოსოფიური მიმართულებაა, რომე-
ლიც პრეტენზიას აცხადებს მატერიალიზმისა
და იდეალიზმის საშუალო ადგილზე. სინამდვი-
ლეში კი არის ხეულობის მოსამსახურე: „ყდა-
ორი ძირითადი ფილოსოფიური მიმართულები-
დან ამოხტომისა არაფერს შეიცავს, ვარდა
„შეშრივებლური შარლატანობისა“ (ვ. ი. ლე-
ნინი, თხზ. ტ. 14, გვ. 434).

პრაგმატიზმისადმი დამოკიდებულების თვალ-
საზრისით მეტად საყრდენი ვ. ი. ლენინის
წიგნი 6. ე. ვილონოვისადმი, დათარიღებული
1910 წლის 7 აპრილით. აქ, სხვათა შორის,
ეკითხულობთ: „ძალიან მოხარული ვარ, რომ
პრაგმატიზმის გაენობამ მახიზნებ გული აგაყ-

რეინათ. ახლა რუსეთში გაძლიერებით თარგმნიან ყველა ამ „უხალეს“ ფილოსოფოსს არამზადებს... ეს კარგია: როცა რუსი საზოგადოება, და განსაკუთრებით რუსი მეშები, ნატურაში ნახავენ ჩვენი ბოგდანოვისა და კამპანიის მასწავლებლებს — ისინი მალე შეაქცევენ ზურგს მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც“ (ე. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 34, გვ. 479-480).

ცნობილია, რომ ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე საზოგადოებრივი ცხოვრების შამოძრავებელი ძალების რაობა სხვადასხვაგვარად ესმით. საზოგადოების განვითარებაზე გულწრფელი შეხედულება ჰქონდათ ძველ ბერძნებს. ისინი ფიქრობდნენ, რომ სიტყვა, მეტყველება, ენა „დამიანთა საქმეებში“ ასრულებს განმსაზღვრელ როლს. ორატორის სიტყვა, მეტყველება საზოგადოებაზე ზემოქმედების მთავარ საშუალებად, ელაღის საგარეო და საშინაო საკითხების მოგვარების მნიშვნელოვან იარაღად ითვლებოდა. ცნობილი ათინელი ორატორი ისოკრატე ამტკიცებდა: „მეტყველებას ისეთი თვისება აქვს, რომ დაბალი ამადლოს და მაღალი დამადლოს“, ხოლო სოფისტი გორგი ამბობდა: „სიტყვა დიდი ზელისფულია, რომელსაც შეუძლია მოახდინოს სასწაულები“. მშვერ-მეტყველური გამოსვლები, რიტორიული ბერძენები ძველ საბერძნეთში ხშირად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებს წყვეტდა. ამის გამო იყო, რომ სიტყვას, მეტყველებას ასე დიდ როლს აკისრებდნენ. შესაძლებელია ახლა არ გავიხსენებინა ძველი ელინების შეხედულებები სიტყვის, ენის, მეტყველების შესახებ, რომ სემანტიკური ფილოსოფიის წარმომადგენლებს ახალი ფორმით არ აედოტრინებინათ ეს გულწრფელი მოსაზრება, შეხედულება.

ინგლისში ამჟამად გავრცელებულია ე. წ. სემანტიკური ფილოსოფია, რომელიც ფილოსოფიის ერთადერთ მეთოდად ლინგვისტურ „ანალიზს“ აღიარებს. ბერძენულ ფილოსოფოს-სემანტიკოსებისათვის მეტყველების წყობის როგორც განსაზღვრავს, ხოლო ფილოსოფიის ყველა საიდუმლოება ადვილად წყდება სიტყვისა და წინადადების ანალიზის საშუალებით.

ამჟამად და ინგლისში ფაშიზმის ბერძენი თანამედროვე დამცველი თავის არგუმენტებს სემანტიკიდან იღებს. ისინი გვარწმუნებენ, მა-

გალითად, რომ ტერმინი „ფაშიზმი“ ცარიელი სიტყვააო, ე. ი. არავითარი ფაშისტური არსებობის. „რა არის კაპიტალიზმი? — სემანტიკოსების ბერძენული სემანტიკოსი და ასეთ პასუხს იძლევა: „მე ასეთი მხეცი არ მინახავსო“.

სემანტიკოსები იბრძვიან ენის აბსტრაქტული ბუნების წინააღმდეგ. ისინი ენის კანონების კონკრეტულ გამოხატულებამდე დაყვანას მოითხოვენ. შამინ, როდესაც ენის ლენინური კლასიკური განსაზღვრება გვესწავლის, რომ „ენა არის აღმართა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი იარაღი“ სემანტიკოსები გვეუბნებიან, ყოველგვარი გაუგებრობისა და კატასტროფების წყარო ენააო.

სემანტიკოსები ილაშქრებენ ყოველგვარი ზოგადი, აბსტრაქტული ცნებების წინააღმდეგ, მოკლენების შეგნებულ ანალიზის წინააღმდეგ. ისინი განსაკუთრებით იღწვიან დამატკიცონ სრული უაზრობა, უმინაარსობა და არარეალობა ისეთი ტერმინებისა: სამშობლო, ეროვნება, კონსტიტუცია, კანონი, პროგრესი, კომუნიზმი, თავისუფლება, შრომა, კაპიტალი, მასები და სხვა.

მეტყველებას უმკველად აქვს ობიექტური მნიშვნელობა. მისი საშუალებით აღმართა ახასიათებენ ობიექტურ სინამდვილეს, გამოხატავენ საგანთა აზრს. ენა თვითნებური გამოინაგონი კი არ არის, არამედ ხანგრძლივი განვითარების სავსებით კანონზომიერი პროდუქტია, რომელიც ასახავს საზოგადოების, ხალხის ისტორიას.

ე. ი. ლენინის ენობრივი კონცეპცია ქვაზე ქვას არ სტოვებს, აცამტვერებს ბერძენულ ფილოსოფოს-ლინგვისტთა იდეალისტურ-მეტაფიზიკურ ფინტაზიას. სემანტიკოსები ეფარებიან რელიგიას, ღმერთს, რომელიც „სულიერი მათრობელს მიგვარი რამ არის, რომელშიც აღრჩობეს კაპიტალის მონები თავიანთ აღმართა ნურ სახეს, აღმართის რამოდენადმე ღირსი ცხოვრების მოთხოვნებს“ (ე. ი. ლენინი, თხზ. ტ. 10, გვ. 84). „ლოგიკურ-სემანტიკურ ანალიზს“, რასაც ბერძენული სემანტიკოსები იყენებენ, უმკველად მიჯყავართ მისტიკისაყენ, რელიგიისაყენ.

ე. ი. ლენინის ენათმეცნიერულ შეხედულებებს დღესაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეალური იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პრესის თავისუფლების პრობლემისათვის

პრესის თავისუფლება მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. ამ პრობლემის წარმოშობა კლასობრივ საზოგადოებაში გამოწვეულია იმ აუცილებლობით, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მოკლებულია პოლიტიკურ თავისუფლებას, წამოცილებულია სახელმწიფოს მართვას. ასე მაგალითად, როდესაც ფეოდალიზმის რღვევის ეპოქაში ბურჟუაზია თავისი ძალაუფლების დამყარებისათვის იბრძოდა, პრესის თავისუფლების მოთხოვნა მის ერთ-ერთ ძირეულ მისწრაფებას გამოხატავდა. და ამ ლოზუნგს, რომელსაც მაშინ პროგრესული ბურჟუაზია აყენებდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან თავისუფალი ბეჭდვითი სიტყვა ფეოდალიზმის მოწინააღმდეგეებს აძლევდა იმის საშუალებას, რომ დაერბოთ მესამე წოდება აბსოლუტიზმის დამხობისა და ბურჟუაზიული რესპუბლიკის დამყარებისათვის. ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისათვის მებრძოლი დასავლეთ ევროპის აბსოლუტიზმის ბურჟუაზია ამ ლოზუნგს აყენებდა როგორც მთელი ხალხის მოთხოვნას. მაგრამ ისტორიამ მალე გამოამჟღავნა ამ მნიშვნელოვანი დემოკრატიული ინსტიტუტის შინაგანი წინააღმდეგობრივობა, ნათელი მისი კლასობრივი, პარტერულ-ბურჟუაზიული ხასიათი.

ბელსუფლებების სათავეში რომ მოექცა, ბურჟუაზიამ თავისი კანონები, მთელი თავისი იდეოლოგიური საშუალებანი, მათ შორის პრესა, მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ მიმართა, თუმცა მათი სახელით აყენებდა ცნობილ ლოზუნგებს თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის შესახებ. ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ბურჟუაზიულ სახელ-

მწიფოში მდიდართა დედამ და ღარიბთა დედინაცვლად იქცა.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების ლოზუნგმა ნამდვილი დემოკრატიული შინაარსი მიიღო, როცა ის ხალხის კემპარიტმა წარმომადგენლებმა დააყენეს, მისი სწორი განმარტება კი მოგვეცეს მხოლოდ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებმა.

ქარლ მარქსს პრესის კემპარიტი თავისუფლება ესმოდა როგორც ხალხის „საარსებო მოთხოვნილება“. მაგრამ ეს მოთხოვნილება რეალურ სინამდვილედ რომ იქცეს, უნდა შეიცნოს ხალხმა, ვინაიდან თავისუფლება შეინიბილი აუცილებლობაა, რომელიც მასების თავგანწირული რევოლუციური ბრძოლით ხორციელდება.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების პრობლემა ორგანულად დაკავშირებულია ხალხის და უწინარეს ყოვლისა, მუშათა კლასის მისწრაფებასთან თავისუფლად გამოსოქვას თავისი ფიქრები და მისწრაფებები. მარქსი შემთხვევით როდი თვლიდა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას საერთოდ თავისუფლების აუცილებელ ატრიბუტად. ვინაიდან სადაც ჩავრული კლასების თავისუფალი ბეჭდვითი სიტყვა არ არის, იქ ხალხისთვის საერთოდ არავითარი თავისუფლება არ არის.

მაგრამ საზოგადოებაში, სადაც კაპიტალისტები ბატონობენ, ბეჭდვითი სიტყვის თანმიმდევრული თავისუფლება, როგორც ხალხის ნამდვილი ინტერესების გამოვლინება, განუხორციელებელია. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ რევოლუციური ბრძოლის საშუალებით პროლეტარიატი ზოგჯერ აღწევს იმას, რომ შექმნას თავისი ლეგალური ვაზეთები და

ქურნალები. ასე იყო რუსეთში პირველი რევოლუციის წლებში, ახალი რევოლუციური იმპერიატორის პერიოდში 1910-1914 წლებში, აგრეთვე 1917 წლის მარტიდან ნოემბრამდე. ასეთი ფაქტები იყო და არის მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. მაგრამ პროლეტარულ ლეგალურ გამოცემათა არსებობა აქ უოველთვის დაკავშირებულია სხვადასხვაგვარ რეპრესებთან და შედამ იყო და არის არსაღვის საფრთხის წინაშე.

1905 წლის ოქტომბერში რუსეთის პროლეტარიატმა საუოველთაო პოლიტიკური გაფიცებით ცარიზმს გამოკლგა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, შექმნა თავისი რამდენიმე ლეგალური „გაზეთი“ („ნოვოაა ვინა“, „ქოლნა“, „პერიოდი“, „ეხთ“, „ნოვი ლუნი“, „რამონაია მოლვა“, „ნაშე ეხო“ და სხვ. უფრო მოგვიანებით: „ნეზნაა“ და „პრავდა“). მაგრამ თითოეული მათგანის არსებობა მეტად ხანმოკლე იყო. მეფის ხელისუფლება განუწყვეტლვ ახორციელებდა რეპრესიებს მათ მიმართ და თვითნებურად ზურავდა. რაც შეეხება ბოლშევიკური განხეთქის რედაქტორებსა და ქურნალებს, მათ სასამართლო ორგანოების განაჩენით ამწყვედვდნენ სამყრობილებში და აგზავნიდნენ კატორაში. მაგალითად, 1906 წლის ზოგბულში გაზეთ „ვეერიოდის“ რედაქტორს მიუსაქეს 2 წლის პატიმრობა, ასეთივე სასჯელი მიუზღეს 1907 წლის თებერვალში ბოლშევიკური გაზეთის „ნოვი ლუნი“ რედაქტორ-გამომცემელს.

ბოლშევიკურ ლეგალურ განხეთქის დევნაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მეფის მთავრობამ 1912-1914 წლებში შეყრ დახურა გაზეთი „პრავდა“. გაზეთის გამოსული 645 ნომრიდან 190-ს თავს დაატყდა სხვადასხვა სახის რეპრესია — დაატმირება, ვარიზა, კონფისკაცია. „პრავდის“ ოფიციალური რედაქტორები საყრობილში 114 თვეზე მეტ ხანს იჯდნენ, — გაზეთის გამოცემის თითო წელზე მოდიოდა საყრობილში ჯდომის 2, 4, 5 წელი! ასეთი იყო მეშათა ბეჭდვითი სიტყვის „თავისუფლება“ მეფის რუსეთში.

მეფის მთავრობა თუ ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის პირდაპირი ჩახშობას ცდილობდა. რადგან ის რევოლუციურ იდეებს ახორციელებდა, ისეთ განხეთქებზე, როგორიც სუვოროინის „ნოვოე ვრეშაა“ იყო, ზემოქმედებდა მოსუფლეთი, რასაც ზმირად, საზოგადოებრობის თვალის ახვევის მიზნით, შემცდლური პირების მეშვეობით ახდენდა. 1916 წელს ნიკოლოზ II-ის პირდაპირი მითითებით ფინანსთა სამინისტრომ 880 ათასი მანეთი გამოჰყო სუვოროინის გაზეთ „ნოვოე ვრეშაას“ 160 პაის შესაძენად. როგორც მეფის მთავრობისათვის ფინანსთა მინისტრის საიდუმლო მოხსენებებში იყო აღნიშნული, ეს გაკეთდა „ამ

ფართოდ გავრცელებული პრესის ორგანოს მიმართულებზე საჭირო ვაჟუენის მზნებით“. ასეთი ჭრათის მეშვეობით კავშირდებოდა და „მთავრობის ვაჟუენისთვის გაზეთის დამორჩილების“ საკითხი. ამ მოსყიდვის შესანიშნავად მ. სუვოროინს ფული გადაეცა ბაქოს ნავთობის საექციონერო საზოგადოების მეშვეობით.

1917 წელს, ბურჟუაზიის დროებითი ბატონობის პერიოდში, რუსეთი გაავსო სხვადასხვა სახის შეარჩამული და ბურჟუაზიული გამოცემებით, რომელთა მოსყიდვასაც განცხადებებისათვის ვულუხეა საფასურის გაღების სახით — კაპიტალისტები დაუფარავად და აშკარად ეწეოდნენ. „აიღეთ „რუსსკოე სლოვო“, „ნოვოე ვრეშაა“, „ბირჟევა“, „რეჩი“ და სხვ. წერდა ვ. ი. ლენინი, — თქვენ დანახავთ უმარე კრძო განცხადებას, რომლებიც უდიდეს, თითქმის ძირითად შემოსავალს ოღვეენ ამ განხეთქის გამომცემელ კაპიტალისტებს. ასე პარპაშობს, ასე მდიდრდება, ასე ვაჭრობს ხალხის საწამლავით ყველა ბურჟუაზიული განხეთი მთელ მსოფლიოში“.

ასეთივე ხასიათისა იყვნენ წვირილებურეზიული განხეთქებიც. სწორედ ამიტომ სარგებლობდნენ ისინი, დანარჩენ კონტრრევოლუციურ პრესასთან ერთად, ბეჭდვითი სიტყვის ბურჟუაზიული თავისუფლების სიყვითი.

მეშათა კლასის პრესას ვი, რადგან იგი რევოლუციის შემდგომი განვითარებისათვის, ქვეყნად ნამდვილი ხალხის/ ძალუფლების დამყარებისათვის იბრძოდა. ბურჟუაზიული ხელისუფალი ყოველ ნიმიზე სხვადასხვაგვარ დამრკოლებებს უქმნიდნენ. აქ საჭარბისაი გაიხსენოთ ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურ ორგანოს — გაზეთ „პრავდის“ დენა დროებითი მთავრობის მიერ.

თავისუფლებით სარგებლობდა მხოლოდ ბურჟუაზიული პრესა, რომელიც ყოველნორად ლანძღავდა მეშათა კლასს, ბოლშევიკურ პარტიას და რევოლუციის ბელადს ვ. ი. ლენინს.

ჩვენს ქვეყანაში ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებით სარგებლობს ყოველი საბჭოთა ადამიანი და ეს რეალურად არის გარანტირებული. ხოლო რაც შეეხება ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების ბურჟუაზიულ გაგებას, ეს იგივეს ნიშნავს და იგივეა, რაც ვაჭრობის თავისუფლება. ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება მით ესმით როგორც მყოფელთა მოტყუების თავისუფლება. ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებით ვაჭრული ვაგება კაპიტალისტურ ქვეყნებში თავის დღს ასეაშს ბურჟუაზიული განხეთქებისა და ქურნალების ხასიათს. სენსაციუბითა და რეკლამებით გატაცება ზიმათლის საზიანოდ — ეს ზომ ვაჭრული ბუნების

გამოვლინება, პირწაგარდნილი ვაჭრული ზნე-ჩვეულება, და სწორედ ეს ზნე-ჩვეულებანი ყველაზე უფრო დამახასიათებელია ბურჟუაზიული ქვეყნების რეაქციული პრესისათვის. ფინანსური კაპიტალის მავნალები თავის მონოპოლიას პრესაზე უზარუნელყოფენ ამ პრივილეგიებით, რასაც მათ ანიჭებს ფულის ქისა, ბურჟუაზიული სახელმწიფო და მისი იძულების აპარატი, და ისინი პრესაზე ამ თავის მონოპოლიას უსიტყვილოდ „პრესის თავისუფლებას“ უწოდებენ. ვ. ი. ლენინი შესანიშნავად მიუთითებდა, რომ „ბუკდევითი სიტყვის თავისუფლება მთელ მსოფლიოში, სადაც არსებობენ კაპიტალისტები, არის თავისუფლება — იყიდონ გაზეთები, იყიდონ მწერლები, მოისყიდონ და იყიდონ და შეიხიან „საზოგადოებრივი აზრი“ ბურჟუაზიის სასარგებლოდ.“¹ ვ. ი. ლენინი ხას უსვამდა, რომ „ბურჟუაზიული საზოგადოების „პრესის თავისუფლება“ მდგომარეობს მდიდრების თავისუფლებაში — სისტემატურად, განუხრელად, ყოველდღიურად მილიონობით ეგზემპლარების საშუალებით ატყუონ, გაბრწყინდონ, გააბრწყინდონ ხალხს ექსპლოატრებული და ჩაგრული მასები, ღარიბნი.“²

ლენინის ეს დებულებები ადასტურებენ სოციალურ სინამდვილეს. ნაწილობრივ ამ სინამდვილეს აღიარებენ თავით ბურჟუაზიული პოლიტიკოსები და პუბლიცისტები.

ასე, მაგალითად, ეკონომისტ რევილი ნიუ-სისი ყოფილმა გამოცემულმა ლოველ მონტემ ერთხელ კატეგორიულად განაცხადა: „ვინ სარგებლობს პრესის თავისუფლებით? გაზეთების მფლობელები და მათი მსგავსნი. პრესის თავისუფლება — ეს საყუთრებაა.“

ყოველი ბურჟუაზიული საზოგადოების ისტორია თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ კაპიტალიზმის პირობებში საერთოდ შეუძლებელია ნამდვილად თავისუფალი პრესა, რომელიც არ განიცდიდეს გამატონიებული კლასის მხრივ დაწოლას და ზავებას. თავისუფალი არც ბურჟუაზიული ბუკდევითი სიტყვაა, თუმცა იმპერიალისტური იდეოლოგიის დამკვიდრებში უოკუდშირავ ცდილობენ გაათავონ ეს შავი ყორანი. ისინი ამტკიცებენ, რომ დასავლეთის ქვეყნებში თითქოს პრესის ნამდვილი თავისუფლებაა, რომ თითოეული ეურნალისტი წერს იმაზე და იმას, რაზეც და რასაც სინიღისი უყარნახებს. მაგრამ პრესის ამგვარი თავისუფლება საკმაოდ ნათლად დაბახიათა ვ. ი. ლენინმა, რომელმაც სუფთოდ იცოდა ბურჟუაზიული მეცნიერებისა და პუბლიცისტების

ლაცობის ფასი. ბურჟუაზიულ ქვეყნებში ნაქები თავისუფლება ის არის, რომ იმ ბუკდევითი სიტყვის მთავარი ორგანოები, რეაქციული კაპიტალისტების მიერ და 99 პროცენტით სავსეა მოკრძალებულ მკლანელთა სტატეებით.¹ ბურჟუაზია პრესის თავისუფლების ლოზუნგს თეორიად იყენებს, რათა მიჭმალოს და დამალოს კაპიტალისტური პრესისა და მისი ეურნალისტების გამყიდველური ხასიათი, გაამართლოს იმპერიალისტური რეაქცია, რათა ამ ლოზუნგს ამოფარებულმა ბურჟუაზიული ბუკდევითი სიტყვის ორგანოებმა ფართო გზა გაუხსნან დემოკრატია და ცილისწამებას, ებრძოლონ ყოველივე პროგრესულს.

ვ. ი. ლენინი როცა იმპერიალიზმის პირობებში ბუკდევითი სიტყვის მოზენებობის თავისუფლებას ახასიათებდა, ხანგასმით აღნიშნავდა, რომ კაპიტალის ბატონობა პრესაზე „მთი უფრო მკაფიოდ, მთი უფრო მკვეთრად, მთი უფრო ცინიკურად იჩენს თავს მთელ მსოფლიოში, რაც უფრო განვითარებულია დემოკრატიზმი და რესპუბლიკური წყობილება, როგორც, მაგალითად ამერიკაში.“² ეს ცინიზმი იმით გამოიხატება, რომ ხმაურს ბუკდევითი სიტყვის თავისუფლების, სახელმწიფოებრივი წყობილების დემოკრატიულობის შესახებ იქ თან სდევს, ერთი მხრივ, ბურჟუაზიული პრესის, რადიოს და ტელევიზიის, ინფორმაციის ორგანოების, სავაჭრო ქალაქის წარმოების მონოპოლიზაცია, მეორე მხრივ სხვაგვარად მონოპოლიზებული პრესის — მუშათა პრესის, მისი პუბლიცისტების აშკარად დევნა და ამავე დროს რასობრივი დისკრიმინაციის, ომის გამჩალებელი კანიზალისტური იდეების მქადაგებულ სხვადასხვაგვარი ფაშისტური და ნეო-ფაშისტური ბინძური ფურცლების გაერყელების აშკარად, დემონსტრაციული წაჭეება.

ბურჟუაზიული იდეოლოგებს ხშირად უყვართ ხოლმე იმის შესახებ ყუბელობა, რომ თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების ყოველ მოქალაქეს, თუცა მოიწადინებს, შეუძლია თავისი განხეთი გამოსცეს. ეს ერთი შეხედვით შეიძლება სწორად მოგვეჩვენოს, მაგრამ ამასთან ისინი შეგუბულად დუმან ასეთ „წერლობანზე“. იმას, ვისაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველდღიური გაზეთის გამოცემა სურს, საჭმის დაწყებისას უნდა ჰქონდეს 7 მილიონი დოლარი. დაახლოებით ასეთივე თანხა უნდა ჰქონდეს იმას, ვინც ყოველდღიური გაზეთის გამოცემას ინგლისში მოიწადინებს. შეიძლება თუ არა, რომ რომელიმე მუშას ჰქონდეს ასეთი კაპიტალი თავისი გაზეთის „თავისუფალი“ გამოცემისათვის? ამ კითხვაზე

¹ ვ. ი. ლენინი ბუკდევითი სიტყვის შესახებ, თბ. 1962; გვ. 791.

² იქვე, გვ. 712.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 194.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 581.

პასუხი თავისთავად ცხადია და იგი დაზუსტებას არ საჭიროებს.

საინფორმაციო-საგამომცემლო ინდუსტრიის კონცენტრაციისა და მონოპოლიზაციის ტიპური მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც ასამდე გაერთიანებას ხელში უკავია ამერიკის გაზეთების ტირაჟის ნახევარი, ხოლო მათ შორის ზეითი ყველაზე მსხვილი მონოპოლია კონტროლს უწევს მთელი ტირაჟის მეოთხედს. ეს საგამომცემლო კონცენტრაცია. ჰერსტის, მაკორმიკ-პატერსონის, სკოპს-პოჯარდის, ნიუპაუზის, ნაიტისა.

ჰერსტის საგამომცემლო იმპერია ათეულობით გაზეთებსა და ჟურნალებს სცემს. ტრესტ „სკრიპს-პოჯარდთან“ ერთად ფლობს ამერიკის ერთ-ერთ უდიდეს საინფორმაციო სააგენტოს „იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლს“, რომელიც ორი სააგენტოს: „იუნაიტედ პრესის“ და „ინტერნეიშლ ნიუ-სერვისის“ შერწყმის ნადავზე აღმოცენდა. ჰერსტის სამფლობელოში შედის არა მარტო გაზეთები, ჟურნალები, პრეს-სინდიკატები, რადიო და სატელევიზიო სადგურები, წიგნის გამომცემლობები, ჰერსტის ბიზნესის საზღვრები ვრცელდება სხვა მრავალ საწარმოზე: კინოწარმოების გამოშვებზე, ინგლისში ჟურნალების გამოცემაზე, ლექსიკონების გამოშვებზე და სხვ. ჰერსტის გამომცემლობაშია კიდევ ორი ათეული კომპანია და ფილიალები, რომლებსაც ეკუთვნის ტყის მდიდარი მასივები და მიწები კალიფორნიაში, ელექტროსადგურები და ქაღალდის კომბინატები კანადაში, მენის, აბი-ზონასა და ალაბამას შტატებში. ჰერსტი ფლობს აგრეთვე მექსიკის ოქროსა და ვერცხლის მღარაობის მნიშვნელოვანი რაოდენობის აქციებს.

ჰერსტის ისტორია მეტად კოლორიტული და მრავალსმეტყველია. იგი იყო და რჩება ამერიკულ რეაქციის ფეტიში, ჰერსტის შიერ შექმნილი „ყვითელი ჟურნალისტის“ ეტიკონება, განსტერული, „რევილვერული“ პრესის ნიშნებმა ღრმა კვლი დასტურებს თანამედროვე ამერიკული და, საერთოდ, ყველა კაპიტალისტური ქვეყნის გამოცემებზე. მართლაც დიდია ჰერსტის წვლილი რეაქციული ბურჟუაზიული პრესის განვითარებაში. ჰერსტის საგზეთო იმპერია იყო და არის ამერიკის მსხვილი ბურჟუაზიის ყველაზე უფრო რეაქციული, კაპიტალისტური, შოვინისტური და იმპერიალისტური ელემენტების პოლიტიკური არენა.

და შემთხვევითი როდია, რომ ამერიკის პროგრესული აღმავლები და უპირველეს ყოვლისა, მშრომლები ჰერსტს ხალხის მტერს, № 1 მტერს უწოდებენ. ისინი ათასჯერ მართალი არიან, რადგან როგორც ამ საგზეთო კონცენტრაციის დამაარსებელი ჩანდოლფ ჰერსტი

— უფროსი (გარდაიცვალა 1951 წელს) ისე მისი შემკვიდრე ჩანდოლფ ჰერსტი — უმცროსი და მისი ძმები წარმადგენენ ყოველგვარი პროგრესისა და დემოკრატიის მოწინააღმდეგეებს, მუშათა კლასის, სოციალიზმის, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების უბოროტეს მტრებს.

მეორე დიდი მონოპოლიური გაერთიანება მაკორმიკ-პატერსონის საგზეთო ტრესტი, რომელიც ამერიკის ორ დიდ გაზეთს უშვებს „დეილი ნიუსს“ ნიუ-იორკში და „ჩიკაგო ტრიბუნს“ ჩიკაგოში.

ნიუ-იორკში 42-ე ქუჩისა და მე-2 ავენიუს კუთხეში 37 სართულიანი ცათამბეჭნია, რომელიც „დეილი ნიუსს“ ეკუთვნის. ფართო ვესტიბულში ვეებერთელა მბრუნავ გლობუსთან რეკლამა გვეუწყებს: „დაადგუთ თითი დედამიწის რომელიც გნებავთ წერტილს — „დეილი ნიუსი“ მასზე წერს“. რეკლამა თავმომწონედ იყვებნის: „ბევრი შრომაა საჭირო, რამ იყო ორჯერ მეტი ამერიკის ნებისმიერ გაზეთთან შედარებით“. მართლაც ამერიკის შეერთებული შტატების არც ერთი გაზეთი არ შეადარება „დეილი ნიუსის“ ტირაჟს (2,5 მილიონს — ჩვეულებრივ დღეებში, 3,5 მილიონს — კვირაობით). გაზეთს სხვა რეკორდებზე აქვს ამერიკის მასშტაბით: ბუმდავს ყველაზე მეტ რეკლამას, წელიწადში ხარჯავს ყველაზე მეტ ქაღალდს (250 ათას ტონას) და მიულანს (6 ათას ტონას). გაზეთის შტატში 5.000 თანამშრომელია, ჰყავს 50-ზე მეტი ფოტორეპორტიორი, გააჩნია საკუთარი თვითმფრინავები, სატილევზიო სადგურები და სხვა.

ბაჰიაობაში „დეილი ნიუსს“ არც „ჩიკაგო ტრიბუნს“ სამორჩება, რომლის სათაურში მრავალი ათეული წლების მანძილზე ასეთი წარწერაა მოთავსებული: „ამერიკის უდიდესი გაზეთი“. ორივე გაზეთის ასეთ ამბიციას გარკვეული საფუძველი აქვს მაკორმიკ-პატერსონის დინასტია — კოლოსალური კომერციული კონცერნია, რომელიც მკიდრად არის დაკავშირებული შუა დასაჯღოთის — ჩიკაგოს და კლდედენის სამრეწველო რაიონების მონოპოლისტურ ჯგუფთან. ამ კონცერნის სიმდიდრეზე მეტყველებს ის, რომ იგი მფლობელია ამერიკის უდიდესი სსოფლო-სამეურნეო მანქანების გამომშენებელი კომპანიის „ინტერნეიშლ პარვესტერისა“, — საკმაოდ დიდი რაოდენობით აქვს მონაგანის მერტალურგული მონოპოლისი — „იუნაიტედ სტიელს სტილ კორპორეიშნის“, პენსილვანიის რკინიგზის კომპანიის თამბაქოს მონოპოლისი — „ამერიკენ ტობაკო კომპანიის“ — აქციები. გარდა ამისა მას გააჩნია რამდენიმე ათეული კომპანია და ფილიალი — საგამომცემლო, ქაღალდის მწარმოებელი, სატრანსპორტო, საშენებლო, სადაზღვევო და ა. შ. მაკორმიკ-პატერსონის

კონცერნის ბატონობა ამერიკის ფარგლებსაც სცილდება — იგი მებატონეა ორი უდიდესი ქალაქის ფაბრიკისა ევროპისა და ონტარიოში. ამასთან კანადაში იგი ფლობს ტყის უდიდეს მასივებს. დამახასიათებელია, რომ მას საკუთარი ფლოტიც კი აქვს თავისი პროდუქციის გადამსაზიდად. ეს სია სრული არ იქნება თუ არ დავასახელებთ აგრეთვე მის მსხვილ პრეს-სინდიკატს — „ნიკაგო ტრანზენ-ნიუ-იორკ დელი ნიუს სინდიკეიტ“, ამას უნდა დავუმატოთ მისი შვეკა ტელეგრაფისა, რადიოსა და ტელევიზიისა.

აქედან საკვებით ვასაგებია, რომ მკორნო-პატერსონის გაზეთები და ინფორმაციის სხვა საშუალებები მთლიანად და საკვებით მონობოლისტური წრეების ინტერესებს გამოხატავენ და რომ ისინი აღვირახსნალებ რეაქციისა და იმპერიალისტური პოლიტიკის სამსახურში იმყოფებიან.

უმსხვილესი საგაზეთო მონობოლია ვაერთიანება სკრაიპს-ჰოვარდი. ის უშვებს 20 ყოველდღიურ გაზეთს, რომელთა საერთო ტირაჟი 3,5 მილიონ ეგზემპლარს შეადგენს, ფლობს ორ პრეს-სინდიკატს, კონტროლს უწევს ერთ-ერთ უდიდეს სააგენტოს — „იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლს“, რომელიც ინფორმაციით ამზადებს ამერიკის შერთებულ შტატების დაახლოებით 6 ათას გაზეთს და ეურნალს, რადიოს და ტელევიზიას. მის საკუთარებს შეადგენს საინფორმაციო სააგენტო „სკრაიპს-ჰოვარდ ნიუსპეიპერს-ელასინგ“. საგაზეთო გაერთიანება სკრაიპს-ჰოვარდი უდარესად მჭიდრო კავშირშია ქვეყნის მთელ რიგ უმსხვილეს ბანკებთან და საწარმოო ფირმებთან, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მჭიდრო ურთიერთობა მორგანის ფინანსურ ჯგუფთან. სკრაიპს-ჰოვარდის ექთონილი პრესის ორგანოები ისევე გულმოდგინედ ასახავენ წყალს რეაქციის წისქვილს, როგორც პერსტისა და მკორნო-პატერსონისა.

ამ საგაზეთო ზეივნებს არაფერი არ ჩამოუვარდება ისეთი მავნატები, როგორც არიან ნიუპაუზი და ნაიტი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ თუ წინა სამი კონცერნის მოღვაწეობას ხანგრძლივი ისტორია აქვს, ეს ორი შედარებით ახალგაზრდა საგაზეთო შეფუბები არიან. ნიუპაუზისათვის დამახასიათებელია, რომ იგი ეკუთვნის „სულაბეს“ სხვადასხვა გამოცემებს. ასე, მაგალითად, 1955 წელს 6,5 მილიონ დოლარად მან შეიძინა „სენტ-ლუის გლობ დემოკრატ“, რომელიც ერთ დროს პროგრესულ გამოცემად ითვლებოდა. განსაკუთრებით აქტიურობს ეს კონცერნი პროვინციული პრესის, რადიოაქტიურობისა და ტელევიზიის ხელში ჩასაგდებად. პროფესორ ბაზლ სპირუს თავის წიგნში „მომწამელები“, მოკაყვს ნიუპაუზის

საქმიანობის ერთი მეტად დამახასიათებელი მომენტი.

დღეისი (ნიუპაუზის მკლერჩხ) ტენდენციით: სემ, ანკესზე ერთი მასსარგებლობა საქმე შეიძლება წამოვიგოთ. მე შემიძლია გიყვილო შენ „ოკეგონინი“.

ნიუპაუზი: რა ღირს?

დღეისი: ეფირობ, რაღაც 5 მილიონამდე? ნიუპაუზი: მილი, აყიდე!

დღეისი: მოიცა, ნუთუ შენ არ გაინტერესებს რას წარმოადგენს ეს გაზეთი?

ნიუპაუზი: არა! (კვიდებს ყურმილს) — არც ნიუპაუზს და არც ნაიტს, რომელიც პირველს არ ჩამორჩება პრესის ორგანოების „გადამსახელობა“, არ ინტერესებს რას ყიდულობენ, მთავარა მოგება, ფული, ხოლო რაც შეეხება მათ მიმართულებას, ამაზე ისინი არ წუხან, რადგან კარგად იციან, რომ ყველა მათგანს ისინი იმპერიალიზმისა და რეაქციის სამსახურში ჩააყენებენ.

ისეთი საგაზეთო მონობოლისტური გაერთიანებანი, როგორც ზემოთ ითქვა, ამერიკის შერთებულ შტატებში ასამდე. მათ მტკიცედ უჭირავთ ხელში არა მარტო დედაქალაქის, არამედ მთელი პროვინციული პრესაც. მათ ხელშივეა ქვეყნის ყველა უმნიშვნელოვანესი საინფორმაციო სააგენტო, რადიოაქტიურობა და ტელევიზია. მონობოლისტები ისე მართავენ პრესას, როგორც სასარგებლო იქნება იმპერიალისტური ბურჟუაზიისათვის, თავიანთი პრეს-სინდიკატების მეშვეობით, რომელთაც გამყიდველი მიმომხილველებისა და კომენტატორების ვებერთელა შტატები აქვთ, ისინი გაზეთებსა და ეურნალებს, რადიოს და ტელევიზიას ავსებენ რეაქციული შინაარსის პროპაგანდისტული მასალით.

ნაკლებ შემაძრწუნებელი როდია ინგლისის ბურჟუაზიული პრესის გამყიდველობისა და მკერთამეობის სურათი. საგმარისა, მიგუთითოთ კანადელი ბონსენკენის რთი ტომსონის ფიგურაზე, რომელიც არც თუ ისე დიდ ხანია გამოჩნდა ლანდონში და ფლიტ-სტრიტზე მთელი ორომტრიალი მოახდინა. 100 მილიონი დოლარის აქტივების მქონე, 160 გაზეთის, 150 ეურნალის, 15 რადიო და სატელევიზიო სადგურის, ტურიზმის ორი სააგენტოს, რამდენიმე წიგნის გამომცემლობის, ავიანაზის ბატონი — აი, ვან არს რთი ტომსონი. მისმა იმპერიამ ერთმანეთს მიყოლებინა „გადაყლაბა“, „სანდი ტაიში“, „სკოტსმენი“, „უსტერნი

1 ბ. სპირუ, მოწამელები, მოსკოვი, 1962 წ., გვ. 76. რუს.

2 ფლიტ-სტრიტი — ქუჩა ლონდონში. სადაც თავმოყრილია ლონდონის გაზეთებისა და ეურნალების რედაქციები, გამომცემლობები, სააგენტოები და სხვ.

შეილი“ და პრესის მრავალი სხვა ორგანო, დაბოლოს მისი მსხვერპლი ლონდონის „ტაიმსი“ კი შეიქმნა. რამაც დიდი ალიაქათი გამოიწვია პრეტენდიის ენძმტულებზე.

ინგლისის რამდენიმე გამოცემის მებატრონებში ლორდმა არანმა 1967 წლის იანვარში ლორდთა პალატის სხდომაზე რაი ტომსონის გაუშამღრობით აღწვითებულმა დასვა რიტორული კითხვა: ხომ არ აპირებს ლორდი ტომსონი შეიძინოს შვედი ინგლისის პრესა. „ტაიმსის“ მებატრონეთა შველას მან „უფლი ბიზნესი“ უწოდა.

— ეს დაახლოებით, იმას ნიშნავს, — პათეტურად განაცხადა მან, — რომ ჩვენი სამხედრო-სახელგაო ფლოტი ონსისის ხელში გადასულიყო.

ონსისი, როგორც ცნობილია, ბერძენი მილიონერია, კაპიტალისტური სამყაროს ერთერთი მსხვილი გემომფლობელია. ამას წინათ მან ცოლად შეირთო პრეზიდენტ ჯონ კენედის ქვრივი ძევილი კენედი, რამაც დასავლეთში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

მაგრამ პრესის ლორდების აღმფითებელ ხანმოკლე გამოდგა, რომ ტომსონის მილიონები თავის საქმეს აკეთებს, ავი მას ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა: მე ვიყოლი იმდენს, რამდენიც შემიძლია.

ინგლისის სხვა ბერეუაზიული გაზეთები წარმოადგენენ საგამომცემლო მენაგების ლორდების როტერშირის, ბივერბრუკის, კემროზის, ბერის და სხვათა საკუთრებას.

ცალკე უნდა გამოვყოთ ინგლისის პრესის ერთერთი მეფე სესილ კინგი, რომელიც გიგანტური კარპორაციის „დეილი მირორის“ პრეზიდენტი იყო, კარპორაციისა, რომელიც რამდენიმე წამყვან გაზეთსა და ორასზე მეტ ეურნალს აერთიანებდა. სიანტერესსა ის ფაქტი, რომ ამ ყოვლისშემძლე საგაზეთო მეფემ გასულ წელს დატოვა კომპანიის პრეზიდენტის პოსტი. 67 წლის სესილ კინგის ადგილი დაიკავა 54 წლის პიუ კაღლიშმა. ისეთები, როგორც სესილ კინგი, უბრალო მიზეზის გამო არ მიდიან სუენიდან. როდესაც ტელევიზიაში რეპორტიორის კითხვაზე პასუხობდა თუ რატომ გადადგა იგი, სესილ კინგმა თავი ეერ შეკვა: „ოქვენ ჯერ კიდევ არ იცით რა არის ფლოტ-სტრატეგია — წამოსცა მას, — ეს ხომ ნამდვილი ქენჭებია“-1. ვინ, თუ არა ხან, რომელიც ორმოცი წელი ფლოტ-სტრატეგის ცენტრში ტრიალებდა, უნდა ვანსაგოს თუ რა კანონები მოქმედებენ იქ?

პრესის კონცენტრაცია სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც სწრაფი ნაბიჯებით მიდის წინ. დასავლეთ გერმანიაში უდიდესი კონცერნი,

რომელიც კონტროლს უწევს იქ გამოშავალი გაზეთების 37 პროცენტს, აქველ შპრინგერის საკუთრებაა, ასევე მსხვილი კონცენტრებია საფრანგეთის ისეთი ნაგაზუთს გერმანელები, როგორცაა ამოკის, პრეტოს, ბუსკაის ქვეყნები და ა. შ.

ამერიკის შვერთებულ შტატებში ისევე როგორც ინგლისში, საფრანგეთში, დასავლეთ გერმანიაში, იტალიაში და სხვაგან თითქმის ყველა ბერეუაზიული გაზეთი და ეურნალი კაპიტალისტური მონოპოლების ხარჯზე იმყოფება და მათს კონტროლსა და პოლიტიკურ გავლენაში იმყოფება. ხოლო ვინც გამოცემას აფინანსებს, მისი ბატონ-პატრონიც ის არის. ასეთია კაპიტალისტური საზოგადოების კანონი. ბერეუაზიული ეურნალისტის ინდივიდუალობა, ფართოდ რეკლამირებული მისი თავისუფლება მხოლოდ იმით ვლინდება, რომ მას შეუძლია აირჩიოს ყველაზე მდიდარი და მოწყალეების უხვად გამღები გამოცემელი — მონოპოლისტი.

როგორც ხედავთ, ლაპარაკი ბერეუაზიული ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე უსაფუძველია. ბეჭდვითი სიტყვას თავისუფლება აერიკის შვერთებულ შტატებში, ინგლისსა და მონოპოლისტური კაპიტალის სხვა ქვეყნებში მხოლოდ იმის თავისუფლებაა, რომ კაპიტალისტებმა შეიძინონ გაზეთები, შეიპყრონ ეურნალისტები და მათი ხელით მოახდინონ აშბებისა და ფაქტების ფალსიფიკაცია, დამახინჩება, რათა ამით იმპერიალისტებს და მათ კაცებს მთავრობის აპარატი.

ბერეუაზიული პრესის თავისუფლების არსი კარგად გამოხატა სამბერგელმა პუბლიცისტმა პაულ ზეტემ დასავლეთგერმანულ ეურნალ „შპიგელში“ გაგზავნილ წერილში: „პრესის თავისუფლება — ეს არის თავისუფლება ორი ასეული მდიდარი ადამიანისა, გააერცელონ თავიანთი აზრები. თავისუფალია ის, ვინც მდიდარია“.

რატაველ ბერეუაზიულ ბეჭდვითი სიტყვას და მის გამუდვულ ეურნალისტებს აქვთ მხოლოდ ერთი ნამდვილი, ყოველ შეუხედველი თავისუფლება — სოციალისტური ბანკის ქვეყნებისათვის ცილისწამების, კომუნისტებისა და მოსახლეობის პროგრესულად განწყობილ ყველა ფენის დენის თავისუფლება.

და ამას ისინი მით უფრო დიდი ხალხით აკეთებენ, რაც უფრო მეტ საფასურს აძლევენ ამ ბინძურ სამუშაოში. ამ სახლეთის ერთერთი ფორმაა ძვირადღირებული რეკლამა. ამერიკულ გაზეთებს, ისევე როგორც ინდოელებს, ჰყავთ თავიანთი „წმინდა პრობები“, „წმინდა პრობები“ — ეს ის საწარმოები და ორგანიზაციებია, რომლებზეც, ისე როგორც გარდაცვლილებზე, მიღებული არ არის ცუდის თქმა — მხოლოდ კარგის. მათ მიეკუთვნება

ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, რკინიგზები, უნივერსიტეტები და ა. შ. ანუ ძირითადად კონცერნები, რომლებიც ყველაზე მეტ განცხადებებს აქვეყნებენ და თანაც მუდმივად. „წმინდა ძროხები“ ასეულ მილიონობით დოლარს ხარკავენ განცხადებებისა და რეკლამისათვის პრესაში.

მეტად დამახასიათებელია შემდეგი ფაქტი. მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების სადაზღვეო პალიტიკის თავმჯდომარე ჯონსონთან ერთად ჩამოვიდა ევროპის სტრატეგის დიდი ჯგუფი, რომელთა შორის იყო ვილამ არაშხადა კალამგირი უილიამ უიტი. ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნების შემდეგ მან დაწერა და მსხვილ კერძო გამოცემლობაში გამოაქვეყნა ცილისმწამებლური წიგნი საბჭოთა კავშირის შესახებ. ეს წიგნი რომ გამოვიდა, 16-მა გამოჩენილმა ამერიკელმა ევროპელმა, რომლებიც უიტითან ერთად იყვნენ სსრ კავშირში, გადაწყვიტა ემხილებინა მისი ცილისმწამებლური შინაითხანი. მათ დაწერეს ღია წერილი, რომელშიც დამაყრებლად ცხადვეს, რომ უიტი საზოგადოებრივ მატუხად და პროპაგანდისტად, გამოდის პიტლურულ გერმანიასთან ომში ჩვენი მოკავშირის წინააღმდეგო. წერილი გაავრცელეს „ნიუ-იორკ ტაიმსისა“ და მთელი რიგ სხვა ამერიკულ გაზეთებში. მაგრამ გამოცემლობა, რომელმაც გამოაქვეყნა ასაკილი საბჭოთა ხალხზე დეკავშირდა „ნიუ-იორკ ტაიმსს“ და სხვა გაზეთებს, რომლებიც ურველკვირულად ამ გამოცემლობისაგან იღებენ დიდ თანხას გამოქვეყნებულ ლიტერატურას რეკლამისათვის, — და შედეგშიც არ დაყოვნა: 16 ამერიკელი ევროპელის სიმატოლისმადღებელი წერილი არც ერთ გაზეთში არ დაიბეჭდა.

ამერიკის პრესის ცილისმწამებლური საქმიანობის ეს და სხვა მრავალი მსგავსი ფაქტი საკმარისად დამაყრებლად განამტკიცებს ამ დამახასიათებელს, რომელიც ამერიკის ბურჟუაზიულ ევროპელისტებს მისცა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ ყოფილმა რედაქტორმა ჯონ სტენტონმა. ერთხელ, პირველი მსოფლიო ომის დასასრულს პრესის ნიუ-იორკის ასოციაციაში თავისი კოლეგების წინაშე გამოსვლისას, მან განაცხადა:

„ამერიკაში არ არის დამოუკიდებელი პრესა... თქვენ ეს ისევე კარგად იცით, როგორც მე.

თქვენს შორის არ არის არც ერთი, ვინც გახედავდა პატროსნად დაეწერა იმის შესახებ, რასაც იგი ფიქრობს, რადგან თქვენ წინასწარ შესანიშნავად იცით, რომ ასეთი რამ არასოდეს არ დაიბეჭდება და არ გამოქვეყნდება.

შე კერაში 150 დოლარს მიძღვევენ იმისათვის, რომ საკუთარი აზრი არ გამოვთქვა

ჩემს მიერ რედაქტირებულ გაზეთს გვერდებზე. ყველა თქვენ დაახლოებით ყმდენსვე იღებთ ამისათვის, მე რომ ჩემს... გვერდში წება დაერთო გამოქვეყნდეს პატროსანი აზრები... 24 საათში დაეკარგავდი სამუშაოს...

ჩვენ ჩრდილში მყოფი მდიდრების იარაღი და ვასალები ვართ.

ჩვენ ინტელექტუალური შეძევები ვართ! ამ სიტყვების წარმოთქმვიდან 50 წელზე მეტი გავიდა, მაგრამ დღევანდელი კაპიტალისტური პრესის მსაზურნი ამ „სასახელო“ ტრადიციას განაგრძობენ. ბურჟუაზიული ევროპელისტების ინტელექტუალური შეძევობა კაპიტალიზმის ისეთივე აუცილებელი თანამგზავრია, როგორც ჩვეულებრივი პროსტიტუცია.

კაპიტალისტურ ბევრებში ბურჟუაზიული ევროპელისტებიც კი, თუ შეეცდებიან სიმართლედ წერონ, ობიექტურად უმასხიონ საკითხებს, რომლებიც ხალხს აღწევს, სამუშაოს კარგავენ, ბრალდებულთა სკამზე ხედებიან.

რა თქმა უნდა, ბურჟუაზიულ ევროპელისტებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც არ ურავდებიან ბევრდროს სიტყვის ორგანოების რეაქციულ მიმართულებას, სადაც თვითონ მუშაობენ. მაგრამ ისინი უძღურნი არიან იმისათვის, რომ შეცვალონ მდგომარეობა, ვინაიდან გაზეთის პოლიტიკას განსაზღვრავს გამოცემელი, ის ევროპელისტებისაგან მოითხოვს ყოველთვის მოიქცნენ ისე, როგორც მას სურს. ბურჟუაზიული გამოცემლის ეს „კრედი“ გულსდილად ჩამოაყალიბა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ პირველმა მფლობელმა და პირველმა რედაქტორმა ჯეიმს გორდონ ბენეტმა. პირველსავე სარედაქციო შეკრებებზე მან გაზეთის თანამშრომლებს განუცხადა:

„მე მსურს, რომ თქვენ, ბიჭებო, დამახასიათებლო, რომ მე ამ გაზეთის ერთადერთი მკითხველი ვარ. მე ვარ ერთადერთი ადამიანი, რომლის ინტერესებზე უნდა დამაყოფილდეს. თუ მოვიინტერესებ, რომ გაზეთი თავდაყარა შემტრუნდეს, საჭირო იქნება, რომ ის შეამბრუნოთ თავდაყარა. მე მსურს, რომ ყოველდღიურად გამოქვეყნდეს თითო ნარკვევი. თუ მე მოვიწყვინე, რომ ნარკვევი უნდა იყოს შავ კალიაზე, ნარკვევი სწორედ მის შესახებ იქნება“.

ბენეტის განცხადების შემდეგ 80 წელმა გაწერს. კაცობრიობა ამ ხნის განმავლობაში შორის წავიდა პროგრესისა და დემოკრატიზაციის გზაზე. ამის თვალაზრით მაგალითია სოციალისტური თანამგობრობის წარმოშობა და წარმატებითი განვითარება, ამასთან წარმო-

1 ჯორჯ სელდჯი. პრესის თავისუფლება, 1937, გვ. 261. რუს.

შობა და განვითარება მათი ნამდვილად სახალხო ბექდევითი სიტყვისა, რომელიც გამოხატავს არა რომელიმე გამომცემლის არამედ თვით მშრომელი მასების ინტერესებს. მაგრამ იმპერიალისტური ქვეყნების ბურჟუაზიულ, კერძო-მეწარმეობის განხეთქილი ყველაფერი ისევე ხდება, როგორც ეს სურს კაპიტალისტ-გამომცემელს ან საჯარო ტრესტის, სინდიკატის ბატონ-პატრონებს.

თუ რა არის თავისუფალი ბექდევითი სიტყვის ნამდვილი ფასი კაპიტალისტურ ქვეყნებში, ჩანს აგრეთვე იმ მდგომარეობიდან, რომელშიც იქ ჩაყენებულია კომუნისტური და მუშათა პარტია. მხოლოდ ცინიკებს შეუძლიათ ამტკიცონ ამერიკის შეერთებულ შტატებში ბექდევითი სიტყვის თავისუფლების არსებობა, მაშინ როცა იქ უსიტყვილოდ დევნიან მუშათა გაზეთ „უორკერს“, საურობილევში პარტიან მის რედაქტორებს და ევრნალისტებს მხოლოდ იმტომ, რომ მათ აქვთ თავიანთი შეხედულება საგნებზე, თავიანთი პრინციპულად განსხვავებული დამოკიდებულება თანამედროვეობის საშინაო და საგარეო პრობლემებზე, და ამ საზოგადოებრივ განაღმსწორების სხვაგვარად მზარხონე ბექდევითი სიტყვისა და მისი ევრნალისტებისადმი ბექდევითი სიტყვის თავისუფლებად ასაღებენ.

გამოუკლებლვ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში მუშათა, კომუნისტური ბექდევითი სიტყვის დევნა სახელმწიფო პოლიტიკის დამახასიათებელი ნიშან-თვისება გახდა. მუღვივ დევნისა და საცენზურო ჩარევის შიშვეშ არსებობენ „იუმინტი“ საფრანგეთში, „უნიტა“ და სხვა პროლეტარული გაზეთები იტალიაში, ხოლო თუ ფედერაციულ გერმანიაში, ესპანეთს და პორტუგალიას გადავხედვთ, იქ საერთოდ აკრძალულია კომუნისტური გამოცემები.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ბექდევითი სიტყვის თავისუფლების ილუზიურობის, მოჩვენებითობის დამახასიათებელი ილუსტრაციაა ჰამბურგის ყოველკვირეული „შვიგელს“ გახმურებული ისტორია. ეს ტიპური ბურჟუაზიული გამოცემა, გამოირჩევა თავისი მტრულ დამოკიდებულებით სოციალისტური ქვეყნებისადმი, განსაუთრებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი. „შვიგელს“ თავგამოდებით იცავს კაპიტალისტურ წყობილებას, ის უკმაყოფილოა მხოლოდ იმ იქციებით, რომლებიც სახელს უტეხენ ცხოვრების ბურჟუაზიულ წესს. ის წინააღმდეგობას ბონის პოლიტიკის უკიდურესობის, ვმოს კორუპციის სახელმწიფო აპარატში, ერახულ ამ ობოზაციურმა ყოველკვირეულმა გამოაქვეყნა ბონის შთაფრობის საშუალო მინისტრ შტრაუსზე მამხილებელი სტატია. და ეს საქმარისი გახდა იმისათვის, რომ მას თავს დასტეხობდა დასავლეთ გერმანიის ხელისუფალთა რისხვა

ევრნალის გამომცემელი მთავარი რედაქტორი და მისი მოადგილე საპრობილევუ ქვეყნადიეს, ხოლო რედაქციის დასტამბურ მენეჯერ დალუქეს.

მიუხედავად ამისა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელი მოღვაწენი ძალბის დაუზგველად ეწვეიან ყალბ დეკლამაციას, დასავლეთ გერმანიაში დემოკრატიული წყობილება და ბექდევითი სიტყვის სრული თავისუფლებააო.

როგორც ვხედავთ, იმპერიალისტური ბურჟუაზიის ლოზუნგი ბექდევითი სიტყვის თავისუფლების შესახებ კრუ, პირფერული და ოდიობრია.

* * *

ბექდევითი სიტყვის თავისუფლების განხორციელების გზების მარქსისტული გაცემა შესანიშნავად არის გამოქვებული ე. ი. ლენინის ნაწარმოებებში. სანამ საზოგადოებას კაპიტალისტები მბრძანებლობენ, ბექდევითი სიტყვის თავისუფლებას, ისევე როგორც ყველა სხვა დემოკრატიულ უფლებასა და თავისუფლებას, კლასობრივი ხასიათი აქვთ. სანამ საზოგადოებაში ფედის ძალაფლება, მონობლისტების ძალაფლებაა გაბატონებული, პრესის თავისუფლება უფროდ იქნება მოჩვენებითი, ყალბი, ეს იქნება თავისუფლება ბურჟუაზიისა და მისი მზანწალბობისათვის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ.

ბექდევითი სიტყვის თავისუფლება მოჩვენებითი კი არა, არამედ ნამდვილი რომ იყოს, კაპიტალისტებს უნდა წაერთახ ძალაუფლება პრესაზე, ხალხს ვადევიან ყველა სტამბა, ქალღლის ფაბრიკები და ქალღლის მარაგი, წაერთახს ბურჟუაზიის გაზეთებისა და ევრნალისტების ყიდვისა და მოსუიღვის შესაძლებლობა. ამისათვის კი უწინარეს ყოვლისა „უკილბეგლია კაპიტალის უღლის დამხობა, ექსპლოატატორების დამხობა, მათი წინააღმდეგობის დათრგუნვა“¹. შემდეგ, ამისთვის მთელი ქვეყნის ცხოვრება უნდა გარდაქმნათ სოციალისტურ საწყისებზე, არა სიტყვით, არამედ საქმით უზრუნველყოთ ხალხისათვის დემოკრატიული უფლებები და თავისუფლება.

ნამდვილი თავისუფლება და თანასწორობა იქნება ისეთი წესწყობილება, — წერდა ე. ი. ლენინი, — რომელსაც კომუნისტები აშენებენ და რომელშიც არ იქნება სხვის ხარჭზე გამდიდრების შესაძლებლობა, არ იქნება ობიექტური შესაძლებლობა, რომ არც პირდაპირ, არც არაპირდაპირ დაუმორჩილონ პარტია ფულის ბატონობას. ხელი არ შეეშლება იმას, რომ ყოველ მშრომელს (ან მშრომელთა ჯგუფს, დამოკიდებლად მისი რიცხობრივი

¹ ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 581.

შემაღვენლობისა) ჰქონდეს თანასწორი უფლება საზოგადოებრივი სტამბებითა და საზოგადოებრივი ქალაქით სარგებლობის მხრივ და რომ იგი ამ უფლებას ახორციელებდეს¹.

ასეთი წყობილება ზეინს ქვეყანაში დამყარდა დღი იუტორმბარის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად. თავისი არსებობის პირველივე დღეებში საბჭოთა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ის უუფადებს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების ბურჟუაზიულ გაგებას და აცხადებს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას მუშებისა და გლეხებისათვის, ე. ი. ხალხის უმრავლესობისათვის, ამ მიზნით მოხდა ყველა ვერძო სტამბის კონფისკაცია და ისინი გადაეცა საზოგადოებრივი ორგანიზაციების — პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციების გამგებლობაში; კონფისკაციამქონდა და შრომელთა განკარგულებაში გადაეცემულ იქნა ქალაქის მარაგი; შეიქმნა რეალური პირობები მუშათა და გლეხთა გაზეთების, როგორც შრომელთა აღზრდისა და ორგანიზაციის, სახალხო ხელისუფლების განმტკიცებისა და ახალი ცხოვრების, უმეცამუღლებოდ და უკაპიტალისტურად ცხოვრების შესწავლისათვის უმნიშვნელოვანესი საშუალების, შექმნისა და თავისუფალი არსებობისათვის.

ნამდვილი მუშურ-გლეხური ბეჭდვითი სიტყვის შექმნასთან ერთად, მიმდინარეობდა ბურჟუაზიული პრესის თავისუფლების შეზღუდვა. საბჭოთა მთავრობამ დახურა 10 ყველაზე რეპუტაციული გაზეთი — „ბოჩევეი ვედომოსტი“, „ნოვოე ვრეშია“, „რუსკოე სლოვო“, „ნოვოე სლოვო“, „რეჩი“, „რუსკაია ვოლია“, „დენ“ და სხვ. 1917 წლის 10 ნოემბერს გამოქვეყნდა ე. ა. ლენინის ხელმოწერილი დეკრეტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. ის მიმართული იყო უწინარეს ყოვლისა, იმის წინააღმდეგ, რომ კაპიტალისტებს არ გამოეყენებინათ ბურჟუაზიული ბეჭდვითი სიტყვა ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად.

„ყველამ იცის, — ნათქვამია დეკრეტში, — რომ ბურჟუაზიული პრესა ბურჟუაზიის ერთ-ერთი უძლიერესი იარაღია. განსაკუთრებით კრიტიკულ მომენტში, როცა ახალი ხელისუფლება, მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, მხოლოდ მტკიცდება, შეუძლებელი იყო მთლიანად დაცვეტილებინა ეს იარაღი მტრის ხელში, მაშინ როცა იგი არანაკლებ საშიშია ასეთ წუთებში, ვიდრე ბომბები და ტყვიამფრქვევები. ამ სწორედ ამიტომ იქნა მიღებული ღრობებით და სიგანეგებო ზომები ამ სიბინძურისა და ცილისწამების ნიაღვრის აღსაქველად, რომელშიაც ხალხით დაახრჩობდა

ხალხის ახალ მოპოვებულ გამარჯვებას ყვეოელი და შევანე პრესა“¹.

გარკვეული

დეკრეტით დადგენილი იქნა ქალაქისუფლები და არა ყველა ბურჟუაზიული და წერილობურუფაზიული გაზეთი, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც, ვერ ერთი, მოუწოდებდნენ აშკარა წინააღმდეგობისა ან დაუმორჩილებლობისაკენ მუშურ-გლეხური მთავრობის მიმართ, მეორე, იწვევდნენ შფოთსა და არეულობას ფაქტების აშკარად ცილისწამებულური დამახინჯებით და, მესამე, მოუწოდებდნენ აშკარად დამნაშავეობების, სისხლის სამართლით მსჯავრდასადები მოქმედებისაკენ. დეკრეტში ხაზგასმით იყო აღნიშნული რომ „როგორც კი ახალი წესრიგი განმტკიცდება, ყოველგვარი ადმინისტრაციული ზემოქმედება ბეჭდვითი სიტყვის მიმართ შეწყდება, მისთვის დაწესდება სრული თავისუფლება სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობის ფარგლებში.“²

ბურჟუაზიული გაზეთების გამოცემობისათვის მოგების ძირითადი წყაროს მოსასპობად საბჭოთა მთავრობამ გამოცა დეკრეტი განცხადებებზე სახელმწიფო მონოპოლიის შეზღუდვის შესახებ. ამ დეკრეტის თანახმად, ბურჟუაზიული ბეჭდვითი სიტყვას წყაროთა ვერძო ვანცხადებების გამოქვეყნების უფლება, მათი დაბეჭდვა შეეძლოთ მხოლოდ საბჭოთა გაზეთებს, რომლებსაც უშვებდნენ სახელმწიფო, პარტიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მაგრამ ბურჟუაზიული გაზეთების გამომცემლებმა საჭიროდ არ ჩათვალეს ანგარიში გაეწევა საბჭოთა ხელისუფლების კანონებისათვის. მათ აშკარა ომი გამოაცხადეს სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა წინააღმდეგ, პირდაპირ გადავიდნენ თეთრგვარდიელების, კონტრრევოლუციის მხარეზე. ამან აიძულა საბჭოთა მთავრობა თანდათანობით, გასული სამოქალაქო ომთან დაკავშირებით, დაეხურა ყველა ბურჟუაზიული და წერილობურუფაზიული გამოცემანი.

როცა ესერებმა და მენშევიკებმა ყველა ვზაჯვარდინზე ატეხეს ყვირილი, საბჭოთა ხელისუფლება ფეხით თელავს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების იდეალებსო, ე. ი. ლენინმა მათ უპასუხა:

„ჩვენ ბურჟუაზიას ვერ მივცემთ საშუალებას ცილისწამება აგრეცლოს ჩვენზე... როგორი თავისუფლება უნდათ ამ გაზეთებს? ბევრი ქალაქის ყოღვის და მრავალი მკლანძლის დაქირავების თავისუფლება ხომ არა? ჩვენ უნდა განვმორღეთ კაპიტალისაგან დამოკიდებული პრესის ამ თავისუფლებას... ჩვენ თუ

¹ ე. ი. ლენინი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, თბ., 1962; გვ. 847.

² იქვე.

სოციალური რევოლუციისაგან შევდევართ, ჩვენ არ შეგვიძლია კალენდრის უწყობარებს სიტყვის უწყობარები დავუმატოთ.¹

ბურჟუაზიულმა ბეჭდვითმა სიტყვამ თავისი ანტისამბუთო საქმიანობით თვითონვე დააყენა თავისი თავი სამბუთო საზოგადოების ვარჯთ. სამოქალაქო ომის შემდეგ კი, რადგან ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პრესა განავრცობდა კონტრრევოლუციის სამსახურს, ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიული ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე ლაპარაკი გამოარბეული იყო.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების პრობლემის სწორად გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ სოციალისტური საზოგადოების პირობებში. მაგრამ აქაც, როგორც ვხედავთ, არ შეიძლება, რომ მას ვანყენებელი, აბსტრაქტული ზასათი ჰქონდეს. როცა ვინმე დაიწყებდა ლაპარაკს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების გაფართოების შესახებ, ვ. ი. ლენინი ყოველთვის ეკითხებოდა: „ბეჭდვითი სიტყვის რა თავისუფლება? ე ის თავის? რომელი კლასისათვის?“² ლენინის ამ კითხვებში ღრმად პოლიტიკური აზრია. ცნობილია, რომ სოციალისტური სახელმწიფო, როგორც ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფო, შრომელებს აძლევს ყველაზე ფართო უფლებებსა და თავისუფლებას, მათ შორის ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას, პრესაში ყოველმხრივი თანამშრომლობის თავისუფლებას. ამ თავისუფლების განსახორციელებლად ჩვენს ქვეყანაში სამბუთო ზელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე შეიქმნა ყველა საჭირო პირობა: ნაციონალიზებულ და მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვრცობაში გადაცემულ იქნა სტამბები, მოისალი კერძო საკუთრება ქალაქის ფაბრიკებზე, ლიკენდირებულ იქნა მიწეზები, რომლებიც წარმოშობდნენ კერძო პერიოდულ გამოცემებს და განაპირობებდნენ მათს გამოყენებას სამბუთო სახელმწიფოს საზინაოდ, იმპერიალისტური ბურჟუაზიის ინტერესებისათვის. სამბუთო კონსტიტუციამ არა მარტო აღწესა ჩვენს ქვეყნის მშრომელებისათვის მოსოფეული ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, არამედ ის სოციალისტური წყობილების განმტკიცებისათვის აქტიურად შეზამოლ თითოეულ მოქალაქეს მისი პრაქტიკულად განხორციელების გარანტიასაც აძლევს. თითოეულ სამბუთო ადამიანს შეუძლია აშკარად თანამშრომლობის პრაქტიკულ-სამბუთო ბეჭდვითი სიტყვაში, გაბედულად გამოთქვას თავისი აზრი, ვაკრიტიკოს ნაკლი, გააშუქოს თავისი საწარმოს დადებითი გამოცდილება და ა. შ. სად, რომელ კაპიტა-

ლისტურ ქვეყანაშია მუშავლებართა ისეთი ვეებერთელა არმია, როგორც სამბუთო... ვე-შირშია? სამბუთო ბეჭდვითი სიტყვა ითვლის მილიონობით მოზალისე საზალხო კორესპონდენტს, რომლებიც რეველარულად გამოდიან ჩვენს ვახუებისა და ეტრნალების ფერკლებზე, რადიოსა და ტელევიზიაში.

სამბუთო ბეჭდვითი სიტყვა ნამდვილად საზალხო, ნამდვილად თავისუფალი ტრიბუნაა შრომის ადამიანებისა, იმათი, ვინც კაპიტალიზმის პირობებში იმის ფერქრსაც ვერ ვახუებავს, რომ აშკარად გამოთქვას ბურჟუაზიულ პრესაში თავისი საწუვარი ფერქრები და მისწრაფებები. მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ ილაპარაკონ და წერონ, რომ თითქმის ჩვენს ქვეყანაში არ არის ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, ვისაც არ სურს დანახოს რეალური ფერქრები, ვისაც სურს სამბუთო კეშორი.

სამბუთო მთავრობამ, კომუნისტურმა პარტიამ მრავალჯერს აშკარად ვანაცხადა, რომ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ჩვენს ქვეყანაში არსებობს მხოლოდ მუშებისა და გლეხებისათვის, მშრომელების პოლიტიკური ორბინისა და ორგანიზაციისათვის, სამბუთო წყობილების ვანმტკიცებისათვის, სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების ავენებისათვის. სოციალიზმის ქვეყნებში არ არის და არც შეიძლება იყოს ბეჭდვითი სიტყვის რაიმე თავისუფლება ბურჟუაზიასა და მისი იდეოლოგიური დამწამებისათვის. ამ ქვეყნებში მათთვის ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების მიცემა ნიშნავს — ოფიციალურად დავრთოს ნება იმპერიალისტურ ბურჟუაზიას შექმნას ზალხისადმი მტრულად ვანწყობილი პოლიტიკური ორგანიზაციები. ბურჟუაზია მსოფლიოში ვერ კილევ ქლიერია. ის დვარქლიანობს და იარლად აელარუნებს სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ, ეწევა ვაფთრებულ ანტიკომუნისტურ პროპაგანდას, ცდილობს მიავნოს ამ ქვეყნებში ბახას ამ პროპაგანდის ვასაფართოებლად.

„მისთვის კილევ ისეთი იარალის მიცემა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — როგორცაა პოლიტიკური ორგანიზაციის თავისუფლება (ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, ვინაიდან ბეჭდვითი სიტყვა პოლიტიკური ორგანიზაციის ცენტრი და საფუძველია), იმის ნიშნავს, რომ ვაუადვილო მტერს საქმე, დავემარო კლასობრივ მტერს.“

ჩვენ არ ვგვსურს თვითკელულობა ჩავიდინოთ და ამიტომ ამას არ ვიზამთ!¹

არა მარტო სამბუთო კეშორში, არამედ სხვა სოციალისტურ ქვეყნებშიც ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება უფრო სრული და რეალურია, ვიდრე რომელიმე, თუნდაც ყველაზე დემოკ-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 332.


2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 644.

1 იქვე, გვ. 645.

რატომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ვინ სარგებლობს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებით კაპიტალისტურ ქვეყნებში? მოსახლეობის უმცირესობა, ყველაზე მდიდარი ბურჟუაზია, მოხელეები, ბურჟუაზიული ინტელიგენცია. ხალხის უდიდეს უმრავლესობას კი — მუშებსა და გლეხებს არათუ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება არა აქვთ, მათ არც სხვა უფლებები და თავისუფლება აქვთ.

სრულიად საწინააღმდეგო სურათია სოციალისტურ ქვეყნებში, აქ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებით სარგებლობს მშრომელი მასები. თვით ხალხს, რომელმაც კაპიტალიზმის უღელი მოიშორა და თავისუფალი განვითარების უდიდესი ბედნიერება იკვამა, არ სურს თავის ცხოვრების სიხარულს მწუხარება მიაცუნოს რეაქციული ბურჟუაზიისათვის ანტი-ხალხური პრესის შექმნის თავისუფლების მიცემით.

საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა, აგრეთვე სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების ბეჭდვითი სიტყვა იბრძვის სოციალური პროგრესისათვის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, თერმოატორი ომის თავიდან აცილებისათვის, ამასთან ფხიზლად დგას კომუნისმის ინტერესების საღაარაოზე, იბრძვის და კვლავაც იბრძოდებს ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. ცხოვრებით წარმოშობილი, თანამედროვე ეპოქის ძირითადი კანონზომიერებებით ნაკარნახევი კანონი ჩვენი პრესისა არის შეუნელებელი, ლენინური პრინციპულობით ბრძოლა სოციალიზმის და კომუნისმის მშენებელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, ყოველი მშრომელის შეიარაღებისათვის იმის უდრეკი რწმენით, რომ ვარდუვალა მარტისიზმ-ლენინისმის იდეალების გამარჯვება.



მინი პაროსანიძე

კრიტიკა — მებრძოლი, შთამბავონებელი, დამამკვიდრებელი

ქართული ლიტერატურული კრიტიკა თანდათან თავისუფლდება აზრობრივი სქემებისა და შტამებისაგან, თავისუფლდება იმ ხელოვნური წარჩობებისაგან, რაც კრიტიკულ აზროვნებას უზღუდავდა ფართო სარბიელს, შემდგომი გაღრმავებისა და განვითარების საშუალებას. მნიშვნელოვნად გაიზარდა კრიტიკის ინტერესების სფერო, გაცხოველდა მისწრაფება ლიტერატურულ პროცესში უფრო ღრმად წვდომისა, ამ პროცესების ახსნისა, ლიტერატურული ცხოვრების ძირითად მიმართულებათა გამოკვლევისა და განმარტებისა. თუ წარსულში ლიტერატურული კრიტიკა ხშირ შემთხვევაში კმაყოფილდებოდა მხატვრული ფაქტის, მხატვრული მოვლენის იდეურ-შინაარსობრივი ახსნის ინტერპრეტაციით, დღეს კრიტიკა ამას აღარ ჯერდება. თანამედროვე კრიტიკული აზროვნების საუკეთესო ნიმუშებში გახსნილია მხატვრული მოვლენის არა მხოლოდ იდეურ-შინაარსობრივი სამყარო, არამედ აგრეთვე განმარტებულია და შეფასებულია მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება. დღეს კრიტიკას აწუხებს არა მხოლოდ ის, რას ამბობს მხატვრული ფაქტი, რისკენ მოუწოდებს, რას ამკვიდრებს და რას უარყოფს, არამედ ისიც, თუ როგორ ამბობს, რა მხატვრულ ხერხებსა და საშუალებებს მიმართავს მწერალი იდეის გახსნისა და გადმოცემისათვის. დღეს კრიტიკის წინაშე თვალთახედვის უფრო ფართო პარიზონტია გადაშლილი; დღეს კრიტიკა უფრო თავისუფლად სუნთქავს.

კრიტიკოსთა რიგებს შეემატა ნიჟერი ახალგაზრდობა, რომელმაც თან მოიტანა დროის სუნთქვა, ეპოქის მაჩისცემა; თან მოიტანა არა მხოლოდ ახალგაზრდული ენერჯია და გულწრფელობა, არა მხოლოდ მაძიებელი სული, არამედ მას იმის უნარიც მოჰყვა, რომ გაბედულად მიიღოს ესტაფეტა უფროსი თაობისაგან. ახალგაზრდობის გამოჩენა კრიტიკული აზროვნების

სარბიელზე, ისევე როგორც ლიტერატურული მოღვაწეობის ყველა სხვა უბანზე, სრულად კანონზომიერია, ნაკარნახევია ცხოვრების დიალექტიკით და მას უნდა მიეცეს ალმთ.

კრიტიკის — სიტყვაცაზმული მწერლობის ამ მებრძოლი დარგის ყველა თაობის წარმომადგენელთა და ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობის დიდი დამსახურებია ლიტერატურაში ღრმად-ფესვგადგმული აუკონფლიქტობის თეორიის დაძლევა, ხოლო შემდეგ შეზღუდვა იმ არაჯანსაღი პროცესისა, როცა ცალკეული მწერლების ნაწარმოებებში ცალმხრივად მახვილდებოდა ყურადღება ჩვენი ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებზე, როცა ეჭვის ქვეშ დგებოდა ლიტერატურაში დადებითი გვირის არსებობის კანონზომიერებაც კი.

და, ცხადია, ეს მხოლოდ ნაწილია იმ წარმატებებისა, რაც ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკას გააჩნია დღეს. მაგრამ ეს წარმატებები, კრიტიკის ეს მიღწევები არ გვაძლევს თვითდამშვიდებისა და კმაყოფილების საფუძველს. უფრო მეტიც, მიღწევების მიუხედავად, ქართული ლიტერატურული კრიტიკის დღევანდელი დონე ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად. კრიტიკა ჯერ კიდევ ვერ ახდენს გადამწყვეტ გავლენას ლიტერატურულ პროცესებზე, იგი ჯერ კიდევ არ გამხდარა მწერლობის განვითარების წინამძღოლ ძალად. კრიტიკის ხმას მეტწილად ეჭო არა აქვს და იგი მოკლებულია სიტყვაცაზმულ მწერლობაზე საჭირო ზემოქმედებას. არა იშვიათად ლიტერატურული კრიტიკა ვატყობთ მხატვრული ფაქტის, მოვლენის მხატვრულ-ესთეტიკური განჭიქვით, წერილმანი და ხელოვნური ესთეტიკური შეკრიტიკებით, ან პირიქით: ცალმხრივად მახვილდება ყურადღება მხატვრული მოვლენის იდეურ-შინაარსობრივ მხარეზე. ხშირად კრიტიკული წერილები ატარებენ ეროვნულ-ქრესტო-

მათივე, ლიტერატურის მკოდნობით ხასიათს; ამ წერილებში თითქოს უკვლავური რიგზეა, ისინი სადად და გასაგებადაა დაწერილი და გარკვეული სარგებლობის მომტანი, მეტწილად მათთვის, ვისაც სურს მარტივად გაეცნოს მწერლობას. მაგრამ ეს წერილები არ აღელვებენ მკითხველს, არ აფიქრებენ, არ შთააგონებენ; მათში ვერ იპოვებ ახალ, ცოცხალ, შთაბეჭდილ აზრს; ისინი არაფერს არ ებრძვიან და არაფერს არ ამკიდებენ. საერთოდ, ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას აქვია მებრძოლი შემართება, აქვია აზრის სიღრმე და სიფართოვე, მასშტაბურობა, აქვია პრობლემატურობა. კრიტიკა ჯერ კიდევ ვერ ანოვავდებს ლიტერატურული ცხოვრების კონკრეტულ ფაქტებს და მოვლენებს, ვერ იძლევა თანამედროვე მწერლობის ფართო, ცოცხალ და მართალ სურათს.

თუ დღეს კრიტიკის ხმას ყურს არიდებენ, თუ კრიტიკის მხველი უმეტესად ბლავდია, ეს იმიტომ რომ კრიტიკას არ ყოფნის გულწრფელობა, აქვია სიმართლე და პირდაპირობა. მიუკერძოებელი, ობიექტური, ღრმა და საფუძვლიანი განხილვის ნაცვლად, ხშირად კრიტიკა მიაბრუნებია, უფხო და ზედპირული. სწორედ ამ ღრმად უფსვავადმული და ფართოდ განტოტეილი მამებლობის შედეგია, რომ დღეს მართალ, პირუთენელ კრიტიკას ამოწვდილი მხველით ხედებიან, რომ გაკრიტიკება ამჟამად საქმიად უმადური და სარისკო საქმეა. ლიტერატურულ ცხოვრებაზე კრიტიკის სუსტი ზეგავლენა იმიტად არის გამოწვეული, რომ კრიტიკაში მომრავლა აზრობრივი, თეორიული და მეთოდოლოგიური შეცდომები, ულოგიკობა და წინააღმდეგობრიობა. ბევრი კრიტიკელი წერაილის ენა მისმია, ბუნდოვანი, ზოგჯერ პირდაპირ გაუგებარია. ხშირად არ იგრძნობა ოფტომოდენლი შრომა შინაარსისათვის, სტილისათვის, კომპოზიციისათვის.

დღეს ქართული კრიტიკელი აზროვნების სარბიელზე მოღეწეობს არაერთი ჭეშმარიტ შემოქმედი, არა ერთი ოსტატი მხატვრული-კრიტიკული სიტყვისა, ქართულ კრიტიკულ აზროვნებას ამდიარებს არა ერთი ნაწარმოები. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, საერთოდ, თანამედროვე ქართული კრიტიკელი აზროვნება ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულა ხელოვნების დონემდე.

კრიტიკა, სამწუხაროდ, ბევრის მიერ მინეული ლიტერატურის ერთგვარ დამხმარე ეანრად, მეორეხარისხოვან ხელოვნებად. ჩვენ ხშირად ვიფიქვებთ, რომ ლიტერატურის მკოდნობა სხვა არის, კრიტიკა კი — სხვა, მიუხედავად მთ შორის ორგანული კავშირისა. ლიტერატურის მკოდნობა შეცნეირება, კრიტიკა კი — ხელოვნება. სწორია დემნე შენეღლითა, როცა ამბობს: „ჩემთვის მთავარია, როგორ გაიგო მან (კრიტიკოსმა, ვ. ე.) და არა ის, რა გაი-

გო მან. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ არა კრიტიკას, არამედ ლიტერატურათმკოდნობითი შინაარსის ნაწარმს, რაცეა რა თქმა უნდა, სასარგებლოა, მაგრამ: „წინმოქმედე ბისაგან შორს არის“. კრიტიკოსი თანამგზავრი არ არის; არ არის ჩამქრალი პლანეტა, რომელიც სხვისგან იღებს შუქს. კრიტიკოსს აქვს თავისი დიდი სიცოცხლე, თავისი სამყარო, თავისი სითბო და სინათლე, რომელსაც გამოსცემს, გამოამუქებს. ჭეშმარიტი კრიტიკოსისათვის სხვა სამყაროსთან შეხება საბაბია, საშუალებაა საკეთარი სამყაროს გამოსამქვანებლად, თვითმყოფი ხელოვნების დემონსტრირებისათვის.

როგორ გამოიყურება მალაღი მოთხოვნების შექმე ჟურნალ „მნათობში“ 1968 წელს გამოქვეყნებული ცალკეული კრიტიკული ნამუშეები? წერილში „გალაკტიონ ტაბაიძის პოეზიის ვარ-შეშო“ თამაზ ჩხენკელი ცდილობს გააკყოს გალაკტიონის როლი და ადგილი ქართულ პოეზიაში, გააანალიზოს დიდი ლირიკოსის მხატვრულ-ესთეტიკური სამყარო, ცხადყოს მისი დიდი დამსახურება ქართული პოეტური კულტურის განვითარების საქმეში, და ამ გზაზე იგი, ბუნებრივია, საქმიად გედინეჩად მიმოიხილავს XIX საუკუნის მნიშვნელოვან ლიტერატურულ პრაქსებს; აკეთებს არსებითი ხასიათის დასკვნებს, რისთვისაც ფართოდ იშველიებს ილია ჭავჭავაძის, პავლე ინგოროყვის, პარის ჰატიტინაის, სიმონ ჩიქოვანის, ტაციან ტაბაიძის, გალაკტიონ ტაბაიძის და სხვების ლიტერატურულ მოსაზრებებსა და გამოათქვამებს. სქემა სურათისა, რომელსაც კრიტიკოსი გვთავაზობს ასეთთა: XIX საუკუნის პირველ ნახევარში თანამონობით გზას იყვლება და ისახება ახალი ეპოქის შესაბამისი ქართული ლიტერატურა. საფუძველი ახალი ქართული მწერლობისა არის „ვერობეზიში“, ხოლო პირველი მწერალი, რომელიც მტკიცედ და საბოლოოდ ამკიდრებს ახალ ერას ქართულ ლიტერატურაში, არის ნიკოლოზ ბარათაშვილი. ბარათაშვილი იყო ის პირველი ევროპელი პოეტი, რომელმაც დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში ახალი იდეების სამყარო. ბარათაშვილმა გამოიყვანა XIX საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობა ვიწრო პრაგინციულობის რკალიდან, მისცა ქართულ პოეზიას ფართო დიამონი, აიყვანა იგი თანამედროვე ევროპული პოეზიის სიმღელზე. მაგრამ ბარათაშვილის პოეზიიდან, ვიდრე სამოციანელებამდე მოვიდოდეთ, ამ პერიოდში შემოქმედება მოგვაგონებს ჭურში ჩამქდარი აღამაინის სიმღერას. მთელი ტრაგიაში ქართული პოეზიის ის არის, რომ ევროპის რადულის გვერდს უფლის თიხლისს. და ამ სამოქმედო ასპარეზზე გამოდიან დიდი სამოციანელები. ილიას და აკაკის ტიტანური ბრძოლის საგანი

ქართული შემოქმედების ამ პერიოდან ამოყვანა. მაგრამ მათი მოღვაწეობა, ქართული ხალხის თანდათანობითი კონსოლიდაციის კვალდაკვალ, მიმართული იყო ეთნოგრაფიზმის დაძლევის, ერთიანი სალიტერატურო ენის ახალი სინთეზისა და ერთიანი ეროვნული ფსიქიკის შექმნის გეზით, ამ გეზით მათი დაქინებული მიზანსწრაფვის გამო, რაც გარდღევალი აქტიულობით იყო ნაყარანხები, მათი ურდადობის ორბიტაზე არ მოქცეულა იმის ინტერესი, რომ სინქრონულად მიჰყოლოდნენ სიღრმისეული პოეტური ცდებისა და ლექსის ესთეტიკური სურსათის გზას. ილია და აკაკი ფაქტურად იყვნენ საქართველოს ტომობრივად დაქსაქსული სხეულის გამთლიანების პირველი იდეოლოგები, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ფუძემდებლები... სწორედ ამის გამო, მათ პოეზიაში ეროვნულ, სოციალურ და საზოგადოებრივ მიზნებს დაქვემდებარა პოეტური შემოქმედების ყველა სხვა ასპექტი. და XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან თავს იჩენს ერთგვარი ლიტერატურული კრიზისი, რომელსაც, ცხადია, ეტყობა ესთეტიკური კულტურის უკმარაობა და იდეური ძიებების უნიათობა.

ახლათი კრიტიკოსის მიერ დახატული სურათი XIX საუკუნის ქართული პოეზიისა, რამდენიმეგვარაა XX საუკუნეში? პოეტუნის დასაწყისში თითქმის ერთბაშად თვალსაჩინო გახდა ქართული ლიტერატურის შინაგანი განახლებისა და ახალი დროის შესატყვისი პოეტური კულტურის შექმნის საჭიროება. მაგრამ XX საუკუნის პოეტების ლექსებს ათინა წლებამდე გასული საუკუნის პოეზიის ინტერესის ბეჭედი ახის. მხოლოდ 1915-16 წლებში, გალაციონის და „ცისფერყანწელების“ პირველი შედევრებით იყვითება სპეციალურად ახალი მსოფლგანცდა და მოდერნისტული სტილი, რომელიც არსებითად უპირისპირდება, ერთი მხრივ XIX საუკუნის პოეტებს და რაციონალისტურ აზროვნებას, ხოლო, მეორე მხრივ XX საუკუნის დასაწყისის დიფუზიურ პოეზიასა და ეპიგონების „ესთეტიკურ ბარბაროსობას“. XX საუკუნის ათიანი წლებიდან დაწვებული, დაახლოებით, ოცი წლის განმავლობაში ქართული „პოეტური რენესანსი“ ხანაა. ამ ხანისათვის ზოგადად ნიშანდობლივია ქართული ლექსის ევრისფერკაცული რესტრუქცია, რაც განუყოფლად იყო დაკავშირებული ქართული პოეზიის საერთო მოდერნიზაციასთან, მის განახლებასთან აზრობრივ და ფორმალური ძიებების ყველა ასპექტში. უკვე ოციანი წლების დასაწყისში ქართულმა მწერლობამ დააღწია თავი ვიწრო პროვინციულობას და ისევე დააღვა ევროპეიზაციის გზას.

შეიძლება თუ არა ყოველივე ეს მივიღოთ იმ სახით, როგორც მას თამაზ ჩხენკელი, და არა მხოლოდ იგი, ვეთავაზობს? ჩვენი აზრით, არ შეიძლება, და აი რატომ. პირველყოფისა,

„ევროპეიზმის“ შესახებ. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ არ მიგვიჩნია საჭიროდ დაინტერესებული თემოწოდება ევროპეიზმის „ევროპეიზმით“, კონკრეტულად „ევროპეიზმით“, და არა მარტო საჭიროდ არ მიგვიჩნია, არამედ საერთოდ კონცეპტია „ევროპეიზმი“ იმ გაგებით, როგორც იგი ბევრს ესმოდა და ესმის, ჩვენი ფიქრით, მიუღებელია. აქრძოდ, „ევროპეიზმი“ როგორც პერიოდან ამოსვლას, როგორც ცარიელ ნადავლზე აღმოცენებას, როგორც თავის დაღწევას ვიწრო პროვინციულობისაგან, საფუძველი არა აქვს. თვით ილია ჭავჭავაძისათვის, რომელმაც შემოიტანა „ევროპეიზმის“ ცნება, „ევროპეიზმი“, სიმონ ჩიქოვანის განმარტებით (ეს განმარტება მოტანილია თამაზ ჩხენკელის წერილში), „...იყო არა უბრალოდ დასავლეთ ევროპის ლიტერატურული მემდიანობათა გაუღენის ან მათთან სიახლოვის მიმანიშნებელი ტერმინი... ილია ჭავჭავაძის „ევროპეიზმი“ ეროვნულ საშერლო კულტურაში იგივე პოეტური კულტურის უნივერსალობის ცნებაა“. ე. ი. „ევროპეიზმი“ ნიშნავს არა უბრალოდ ევროპის კულტურის გაუღენას ან მასთან სიახლოვეს, არა სათავის აღებას ევროპის კულტურიდან, და მით უფრო, არა პერიოდან ამოსვლას, არა ვიწრო პროვინციულობისათვის თავის დაღწევას, არამედ პოეტური კულტურის უნივერსალობას, მის ახალ მაღალ საფეხურზე აყენას, მისი პორიზონტის ახალ გაფართოებას. თვით ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და თვით ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია, ბარათაშვილის, რომელიც პირველ ევროპელ პოეტად არის აღიარებული ჩვენში, (ეგებ შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილიც მოხედრილიყვენ ევროპის რადიუსში) არის არა პერიოდან ამოსვლა, არა პროვინციულობისათვის თავის დაღწევა, არა ევროპული პოეტური კულტურის გადმოღერება, არამედ ახალი მძლავრი გამოყვანა ქართული ეროვნული პოეტური სულისა, ახალი პორიზონტების აღმოჩენა ქართული პოეტური სულის დიდ ცაზე. ილიას „ევროპეიზმი“ გაიზნული იყო რუსეთის თვითმპყრობლობის მხრივ ჩაგვირის პირობებში ეროვნული ნერვის გაცხოველებისათვის, ეროვნული თვითმყვარობის აცრისათვის.

„ევროპეიზმით“ განსაუფლებით იწონებდნენ თავს მოდერნისტი მწერლები, რომლებსაც თავი მიანდათ ევროპული კულტურის წარმომადგენლებად პროვინციულ საქართველოში. მაგრამ ისტორიამ დაამტკიცა, რომ სწორედ ასე იყო პროვინციული, ვინც „ევროპეიზმით“ კობტობდა; მოდერნისტებმა გააღვივეს და დაამკვიდრეს ის აზრი, რასაც ახლა დაბეჭივთბაო იმეორებს თამაზ ჩხენკელი, და არა მხოლოდ იგი, რომ, თითქმის, ილიას და აკაკის „...პოეზი-

ამი ეროვნულ, სოციალურ და საზოგადოებრივ მიზნებს დაქვემდებარა პოეტური შექმნის უფლება სხვა ასპექტის, და რომ თითქმის „...მათი ყურადღების ორიბიტაზე არ მოქცეულა იმის ინტერესი, რომ სინქრონულად მიპყრობდნენ სიღრმისეული პოეტური ცდებისა და ლექსის ესთეტიკური სრულყოფის ევროპულ გზას...“ ჯერ ერთი, ილია და აკაკი, ისევე როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი, უნდა მიპყრობდნენ და მიჰყვნენ კიდევ ლექსის ესთეტიკური სრულყოფის არა ევროპულ, არამედ ქართულ გზას და ამ ერთადერთი სწორი გზით ახალ საფეხურზე აიყვანეს ქართული პოეტური კულტურა. ილიას და აკაკის მიმართ იმის თქმა, რომ ისინი უყურადღებობას, ზერელეობას იჩენდნენ მხატვრული ფორმისადმი, რომ მათ თითქმის ვერ მოიცადეს ეზრუნათ ლექსის ესთეტიკური სრულყოფისათვის, შეუფასებლობაა ქართული პოეტური კულტურის ამ ორი უდიდესი წარმომადგენლის ლექსების, მათი დამახებრებისა ქართული პოეზიის წინაშე. სწორედ იმ გარემოებამ, რომ ილია და აკაკი იყვნენ გამოშვებული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქართული ეროვნული ინტერესებისა, საზოგადოებრივად უადრესად ახსებითი მოქალაქეობრივი სულიკეთებისა, იმის გამო, რომ მათ ერის ტყვეობა საყოფარ ტყველად მიანიდათ და მისი ზეალინდელი დღისათვის ბრძოლა თავის უპირველეს ამოცანად, სწორედ ამის გამო შეიძინა მათმა პოეზიამ უდიდესი ძალა, მასშტაბი და, თუ გნებავთ, ევროპის რადიუსი. სწორედ ამ დიდ იდეურ მიზანსწრაფვას, ეროვნულ სულის ამ დიდ პროგრესულ ლტოლვას შეეძლო ემეა მალე მხატვრული ფორმა, ახალი პორზონტებისათვის ეზიარებინა ქართული პოეტური კულტურა, რაც არსებითად ნიშანდობლივია ილიასა და აკაკის პოეზიისათვის და სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, — დიდი შინაარსი, დიდი სულიერი ლტოლვა ადებს შესაბამის ფორმას, გამოითქმის შესაფერი ფორმით. მოდერნიზმის, დეკადანის არსი, სწორედ, სათქმელის უქონლობაა. მოდერნიზმის ტრავმული სწორედ ის იყო, რომ მათი პოეზია არ იყო შთავონებელი დიდი ეროვნული და საზოგადოებრივი ინტერესებით, მათ არ გაანდათ რეალური სინამდვილი ნაკარნახევი პროგრესული იდეალი და ამიტომ მთელ ძალას უნიდავო, ფორმალისტურ ძიებებს აბმარდნენ.

დღეს ვერ დავაკმაყოფილებს თამაზ ჩხეცილის, და არა მხოლოდ მისი, თვალსაზრისი, რომ თითქმის „გალაკტიონ ტაბიის მსოფლგანცდა სიმბოლოზმის ფილოსოფიურ და მხატვრულ ბრძმედში გამოიჩინათ“, რომ „...თქმვა მისმა შთავონებამ გავლენების ბევრი სხვა შედარებით მცირე მნიშვნელობის, ქურამიკ ვაიარა, სიმბოლოზმი იყო ის უნივერსალური მოდელი, რომლის შეშეშებითაც ვალაკტიონმა

მეოცე საუკუნის პოეტური სიტყვა თანდაროულობის ბეჭდით დაბეჭდა“; რომ „მან დანერგა ქართულ პოეზიაში მრავალმხრივ დახვეწილი ევროპული თანამედროვე პოეტური მხროვნების სტილი და ფართო დინამიკი შემოუშვა ქართულ ლექსში სიღრმისეული მნიშვნელობით აღბეჭდილი ინდივიდუალური განცდა“. ჯერ ერთი, ვამოდის, ვალაკტიონმდე ქართული ლექსი დაკლილი ყოფილა დრმა განცდისაგან, და რაც მთავარია, თუ ვალაკტიონმა შეძლო დეკადანის პერიოდშიც დიდ პოეზიას ზიარებოდა, არა ფორმალისტური ძიებებით, არა ევროპული და რუსული დეკადენტური პოეზიის ვიდმოდებებით, არა სიმბოლოზმის ბრძმედში გამოწრთობით, და არა იმით, რომ მან დანერგა ქართულ პოეზიაში ევროპული პოეტური აზროვნების სტილი, არამედ ორგანული კავშირით ქართულ პოეტურ ტრადიციასთან, მისწრაფებით ამ ტრადიციის გაღრმავებისა და განვითარებისაკენ; ვალაკტიონი ნოვატორია არა იმ ლექსებში, რომლებშიც იგი უარყოფს პოეტურ ტრადიციას, არამედ იმ ლექსებში, რომლებშიც მტკიცე პოეტური ტრადიციის საბრკველებზე აშენებს ვპოქის მოთხოვნების, განვითარების აუცილებლობით ნაკარნახევ ახალ პოეტურ საშააროს. უცილო შევცომად მიგვაჩნია მოდერნიზტულ მიმდინარეობათა „პოეტურ რენესანსად“ გამოცხადება. ვიმეორებ, ქართული პოეტური კულტურის გამდიდრება-განახლება ყოველთვის ხდება და ეროვნულ საფუძველზე, მდიდარი ტრადიციის გამოყენებით და მისზე დაყრდნობით, და არა მისი უარყოფით. თეით თანამედროვე პოეტური კულტურა ვითარდება, მდიდრდება, ახალ საფეხურზე აღიოდა. და, ცხადია, განვითარება-გამდიდრების პროცესში შეიწოვდა, ეროვნულ სულში შეითვისებდა საკაცობრიო პოეტური აზროვნების მიღწევებსაც.

ბოლო წლებში ქართული ლიტერატურული კრიტიკის საბრზელზე აქტიურად მოღვეწეობს ახალგაზრდა ლიტერატორი ფილიპე ბერიძე. მისი ლიტერატურის მცოდნეობითი და კრიტიკული ძიებების არე მოიცავს თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვან პროცესებს და კონკრეტულ მხატვრულ ფაქტებსა და მოვლენებს. ფილიპე ბერიძის კრიტიკული აზროვნებისათვის დამახასიეთებელია გამხვილებული ყურადღება მხატვრული-ესთეტიკური კატეგორიებისადმი, მისწრაფება იმისაკენ, რომ ღრმად ჩაწვდეს მხატვრული მოვლენის ესთეტიკურ არსში, მიაკვლიოს მხატვრული აზ-

როგორც მხელად შესაძინევ ნიუანსებსაც კი და ამ გზით გამოავლინოს ლიტერატურული ფაქტის კონკრეტული მხატვრული სახე, ცხად-ყოფის მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობა და თავისებურება. მაგრამ ამასთანავე კრიტიკოსი ზოგჯერ ცალმხრივ დაინტერესებას იჩენს მხატვრული ფორმისადმი, ზედმეტ შეკრებილობას ამტკიცებს და უპირისუპირად ეხმარება ანალიზის პროცესში ხშირად ახუნდოვანებს აზრს, ამძიმებს და არა იშვიათად მკითხველისათვის ძნელად მისაწვდომს ხდის თავის სიტყვებს. ზოგჯერ კრიტიკოსის მსჯელობა ფორმალისტური ხასიათის ატარებს, ხოლო არა იშვიათად იგი მეტად იოლად აცეთებს მნიშვნელოვან დასკვნებს.

წერილში „ფრთხილი, ფრთხილი გვიანდა“ ეკითხულობთ: „შეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის ერთერთი თვალსაჩინო ფიგურა უილიამ ფოლკნერი ქარაგმულად ამბობს: „დაიწყეთ ისეთი რამ, რაც შენ შესაძლებლობას აღემატება... მოსინჯეთ და მარცხი განიცადო, შემდგომ კვლავ ზედახდა სცადო, — აი, რა არის ზემოთის წარმატება“. ნუ დაგვეუწყებთ, რომ ფოლკნერმა ეს სიტყვები თქვა ჰემინგუეზე (ბუგელისხმება, რომ ჰემინგუეი ვერ გასცდა ბუნებრივ მხატვრულ შესაძლებლობას და შესაძლებელ ფარგლებში ჩაიკეტა), რომლის მხატვრული გაქანებაც სამართლიანად იქცა ჩვენი საუკუნის მწერლობის იდეალად“. მეტი რომ არა ვთქვათ, კრიტიკოსი, ფოლკნერის მომხრეობით, წარმატების უცნაურ გზას სახავს. ვერაფერი ლოკაცია, რომ დაიწყო ისეთი რამ, რაც შენ შესაძლებლობას აღემატება და უშედეგად დამარცხდეს, რომ შემდეგ გაიმარჯვოს. ეს ფორმალისტური მსჯელობაა და არ ასახავს ბუნებრივ შემოქმედებით პროცესს. ვინ შესაძლებელია შემოქმედებით ტვირთს, გარღვევად მარცხში წინასწარ დაწმენიებული? თუ ჰემინგუეი ვერ გასცდა ბუნებრივ მხატვრულ შესაძლებლობას, როგორღა იქცა მისი მხატვრული გაქანება ჩვენი საუკუნის მწერლობის იდეალად?

კრიტიკოსი განავრძობს: „დღევანდელ ქართულ პოეზიაში სწორედ „ასეთი“ უდრტინველი შესაძლებლობის დომინანტობა იგრძნობა, რის გამოც მხატვრული დონე, ხარისხი გათანაბრებულია. თითქმის არავინ არ უქანვდება თავის „სტანდარტულ“ შესაძლებლობას და ადამიანური იდეალის, დიდი ვნებათა ღელვის დონემდე ვერ ამდლუბს მხატვრულ პრობლემას. არავინ არ ცდილობს ამოგარდეს საერთო კალამოტიდან და ახლებურად შესძარს მკითხველის სულერი სამყარო“. ამიტომ „ავის მუწყებულად შემოიბარა ერთფეროვანი მხატვრული დონე და ხანდახან ორი თუ რამდენიმე პოეტის ერთმანეთისაგან განსხვავება, თუნდაც ნიუანსური, (მათი შევანებით თუ შეუვანებელი იდენტურობის გამო) საკმაოდ ქირს. პოეტური

(მხატვრული) მრავალფეროვნება, ერთ ლიტერატურული სიმდიდრის ერთადერთი პირობა, უკანა პლანზე დგას“.

კრიტიკოსის ესმის, რომ მრავალფეროვნებას ხატავს, უნდა ახსნა კიდევ იგი; როცა ასეთ საუკუნურს გამოთქვამს, უნდა დაასაბუთო კიდევ. და კრიტიკოსი ძალუწებურად აყენებს კითხვას: „იქნებ ცხოვრებას უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ახალი რანგის პოეზიისათვის მასალას არ იძლევა; როგორც მიხილი ჭვავიმიხილი იტყვოდა: „თემები, საკითხები ყრია;...“ უფრო მეტიც: „დღევანდელი ადამიანის ფსიქიკა ისე დაიძაბა, ვალრბავდა და განშტოვდა, იმდენი ახალი და განსაფიქრებელი ინფორმაცია შეიძლება დიდი მხატვრული ქმნილების დაგვირგვინების მიზეზი გახდეს“. „...მაშ რა გეაქვია? ლოგოვრად შეღავნდება, რომ ყველაფერი დამოკიდებულია შემოქმედ სუბიექტზე, მისი წარმოსახვაზე, ფანტაზიის მასშტაბზე და უნარზე“.

ე. ი. მხატვრულ ნიშნებზე.

ძნელია ვაიზიროთ ასე იოლად გამოთქმული პრინციპულად მნიშვნელოვანი ნეგატიური აზრი თანამედროვე ქართულ პოეზიაზე. რას გულისხმობს კრიტიკოსი თანამედროვე ქართულ პოეზიაში? განა თანამედროვე ქართული პოეზიის ბავს უკვე შეიშრა გალაკტიონის, იოსებ გრიშაშვილის, ვიარაგ ლეონიძის, სიმონ ჩაჭავაძის პოეზიის მადლი? განა დღეს ქართულ პოეზიას არ ამდიდრებს სანდრო შანშიაშვილის, ალიო მირცხულავას, კარლო კალაძის, არაქლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, რევაზ მარგინის, იოსებ ნონეშვილის და მომდევნო თაობათა ბევრი სხვა ნიჭიერი წარმომადგენლის შემოქმედება? თუ დღევანდელ პოეზიად რამდენიმე დამწყები პოეტის ლიტერატურული ვარჯიში უნდა მივიჩნიოთ? ფილიპე ბერიძე სხუებთან ერთად მიმოიხილავს ალიო მირცხულავას, კარლო კალაძის, დავით ვაჭიშვილის ლექსებსაც, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი მხოლოდ ახალფორმებით, მხოლოდ ახლებუდებით არ შემოფარგლავს დღევანდელ ქართულ პოეზიას და ამით ჩვენი ვის კიდევ უფრო მიუღებელს ხდის თავის ზოგად დასკვნებს. კრიტიკოსი ვერ ახერხებს დონე და მტკიცე არგუმენტაცია გამოჩახოს მაშინაც კი, როცა იგი შედარებით კონკრეტულ აზრს გამოთქვამს. იგი წერს: „ახალგაზრდა თაობის ზოგიერთი წარმომადგენელი ვერცთქმედებულ რთული, „ინტელექტუალური“ პოეზიის ნიღაბს ამოფარა და ხელოვნური ძიებებით გაერთო“. ხოლო უფროსი პოეტური თაობის ზოგიერთი წარმომადგენელი ხანდახან უშუალოდ, სისადავის სახლებზე დაბლა ეშვება და პრიმიტიულ, ბანალურ „პოეტურ“ სქემებს ქმნის“.

ხოლო კრიტიკოსის მიერ მოყვანილი კონკრეტული საილუსტრაციო მასალა უმეტესად ვერ ასახულებს ზოგად დებულებას თუ მო-

საზრუნავს და კრიტიკოსი იძულებულია ოპოზიციონში ჩაუდგეს თავის თავს. „ოთარ ჭილაძის ლექსები, — წერს ფილიპ ბერიძე, — ერთხელ კიდევ მოწმობდა პოეტის ყოველ და პრინციპულ სწრაფვას ინდივიდუალური მხატვრული მანერის, საკეთარი პოეტური ხედვის ერთგულებისაკენ. იგი თამამად უსწორებს თავს სამშაროს იდეალს, ფართულ მოვლენებს, უხილავს აქცეს ხილვად, ღრმად იჭრება მკითხველის სულში და მოძრაობაში მოჰყავს მისი ჭრბით დაღუბებული და სხვისგან აუშორებელი სფეროები“; შემდეგ: „ოთარ ჭილაძის ლექსი ახლებური ემოციით მუხტავს მკითხველს და უჩვეულოდ განაწყოებს მის გრძნობასა და გონებას. მისი ფანტაზია გაბედულად შორდება ობიექტური სამყაროს ემპირიულ სახეს და შორეული ხილვებით იტაცებს მკითხველის ოცნებას“. „მოულოდნელი პოეტური გადასვლის, სახის, ასოციაციის თუ ხილვის მოლოდანი მკითხველს შიშული არსებით ძაბავს და იპყრობს. ეს მოულოდნელობა ისეთ კანონზომიერ და მყარ სახეს იღებს, რომ უიშისოდ წარმოუდგენელია ოთარ ჭილაძის რომელიმე ლექსი“. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ სადა არის აქ „ინტელექტუალური“ პოეზიის ნიღაბი ამოფარება და ხელოვნური ძიებებით გაერთობა? თუ პოეტი ატრბებს ჰქონდეს ინდივიდუალური მხატვრული მანერა, ღრმად შეიჭრას მკითხველის სულში, ატლებური ემოციით დაძუტოს და უჩვეულოდ განაწყოებს მისი გრძნობა და გონება, განა სამართლიანი იქნება ასეთ პოეტზე ვთქვათ, რომ იგი ხელოვნური ძიებით გაერთო?

შემდეგ კრიტიკოსი ეხება ანზორ სალუქვაძის პოეზიას და აცხადებს: „ანზორ სალუქვაძის პოეზია ყურადღებას იქცევს განწყობილობების უშუალოებით, მკვეთრი ინტონაციით, ფრაზის ლაღდ მიმოქცევითა და ემოციური სიმძაფრით“. „...მისი ლექსის უზრავესობას გამსჭვალავს მხატვრული სიციხად, წყრფელი პათოსი, რაც ნათელს ჰქვინს პოეტის ჩანაფიქრს“. ზოლო ნელი გაბრიჩიძის პოეზია კრიტიკოსის აზრით გამოირჩევა „...მხატვრული ხედვის თავისებურებით, ქალისათვის თითქმის უჩვეულო მძლავრი განწყობილებებითა და პოეტური შემათებით“. „მხოლოდ, მუდამ მათივით პოეტური თვალს აქვს ტარიელ ქანტერიას. იგი ზშირად, ერთი შეხედვით, უბრალო, უშინაშენლო საგანს, ფაქტს თუ შემთხვევას ჩაუდგამს ხოლმე მღელვარე პოეტურ სულს და დამაყრებლად განაზოგადებს მხატვრულ განცდას“. ამ გამოინათვეაბებიდან შეიძლება თუ არა დავასკვნათ, რომ ახალგაზრდა თაობის ზოგიერთი, წარმომადგენელი „ინტელექტუალური“ პოეზიის ნიღაბს ამოფარა და ხელოვნური ძიებებით გაერთო? ჩვენი აზრით, ასეთი დასკვნა უსაფუძვლოა. ვიმეორებთ, კრიტიკოსის ზოგად დებულებას უმეტესად არ შეესაბამება

კონკრეტული ანალიზის დროს გამოთქმულა თვალსაზრისი და საილუსტრაციო მასალა, და ამ სურათს ვერ ცვლის ზოგიერთი შენიშვნა, ზოგად დებულებას რომ უნასუხებდს. ასეთ შენიშვნაშია მათან გვაქვს საქმე ძირითადად მკითხვარს, როცა კრიტიკოსი განიხილავს უფროსი თაობის წარმომადგენელთა პოეზიას.

თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკაში, როგორც ზეითაუ ვთქვით, არა იშვიათად გვხვდება ქრესტომათიული, ლიტერატურის-მცოდნეობითი თხზულებანი. ასეთი ხასიათის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია მწერლის შემოქმედების ან ცალკეული მხატვრული ქმნილების ძირითად ქრესტომათიული, ლიტერატურის-მცოდნეობითი გადმოცემა, ე. ი. როცა კრიტიკოსი მკითხველს ეხმარება გაეცნოს ლიტერატურულ მოვლენას თუ ფაქტს. აწუღის გარკვეულ ცოდნას; როცა კრიტიკოსი მკითხველს ერთგვარად აზიარებს ლიტერატურულ ცხოვრებას. საჭიროა თუ არა ასეთი კრიტიკა? რა თქმა უნდა, საჭიროა. მაგრამ ჩვენ არ ვიქნებით სწორი, თუ ლიტერატურულ კრიტიკას არ წიგუეყნებთ უფრო დიდ, პრინციპულად მნიშვნელოვან მოთხოვნებს. ლიტერატურული კრიტიკა ვერ დასყრდნობა ლიტერატურის-მცოდნეობით ძიებებს, ვერ დასყრდნობა იმას, რომ იგი იყოფს შეამავალი, იყოფს ხიდი მწერალსა და მკითხველს შორის. კრიტიკული აზროვნება — მხატვრული აზროვნებაა, ხელოვნებაა და მისი ძალი, როგორც ყოველი ხელოვნებისა, სწორედ მხატვრული თვითმოყოფობით, სიღრმითა და მისწრაფობით განიზომება.

გოთარგი კალანდაძის და ალექსანდრე სანადორაძის წერილებში („მნათობი“ № 4, № 3, № 12) ყველაფერი თავის ადგილზეა. წერილები ხასიათდება ნათელი, სადა ენით, დახვეწილი და გამწვორვალე სტილით. ავტორები კარგად იცნობენ საგანს, მასალას, რის შესახებაც მოუთხრობენ მკითხველს. ერთი შეხედვით, კრიტიკოსებთან სადაო არაფერია. მაგრამ ასეთ კრიტიკას ვერ დავყვრდებით. კრიტიკა უპირველესად გულისხმობს ცოცხალ, ახალ, თვითმოყოფ აზრს; კრიტიკულ აზროვნებას ისევე სჭირდება ღრამბარში, როგორც ხელოვნების ყოველ დარგს. და კრიტიკული აზროვნების ყოველმხრივი მის სისრულეში, სიახლეში, სიღრმესა და შემათებაში მდგომარეობს. ღრამბარში კრიტიკაში ნიშნავს არა მხოლოდ სწორი იდეურ-თეორიული პოზიციიდან ბრძოლას, არამედ ახალი პოზიციონტების აღმოჩენას, ახალი მიწებისაკენ სწრაფვას. კრიტიკოსს თავის სათქმელი უნდა ჰქონდეს, თავის სამყარო განიხილოს, თავის თვალთ ხედავდეს და თავი გულთ გრძნობდეს. სადაც ეს არ არის, იქ არც ხელოვნებაა. შინაარსის გადმოცემა, თუნდაც ძალიან კარგად, დალაგებული თხრობა, ინფორმირება და კომენტირება, განმანათლებ-

ლობა — მხატვრობა არ არის, უამისოდ კი არ არის ჰუმანიტი კრიტიკა.

1968 წელს „მნათობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ნატარონი ელენტის, სერჯი ჭილაის, გიორგი მარკოზიანიძის, გიორგი ხუბაშვილის, აკაკი ბაქრაძის, ნოდარ ჩხეიძის, ლადო ავალიანის, აკაკი თოფურიას, არჩილ ჩაჩიბაიას, დიმიტრი თუხარელის და სხვების კრიტიკული და ლიტერატურისმცოდნეობითი წერილები, რომლებიც მეტაყვლება ღირსებებით ხასიათდებიან.

ბესარიონ ელენტის წერილი „გმირული ცხოვრების ეპოპეა“ მიძღვნილია გამოჩენილი რუსი რომანისტი ჭალის ანა ანტონოვსკაიას ეპოპეის „დიდი მოურავის“ განხილვა-შეფასებისადმი და საერთოდ მწერლის შემოქმედებითი მოვარაფის წარმოსახვისადმი. კრიტიკოსი სითბოთი და მადლიერების გრძნობით ლაპარაკობს ანა ანტონოვსკაიაზე, რომელმაც თავის თვითმყოფი მხატვრული ნიჭი, თითქმის მთელი თავისი შემოქმედება უანგაროდ მიუძღვნა ქართული ერის ცხოვრების ჩაოღო და მნიშვნელოვანი პერიოდების ასახვას, ქართული ეროვნული სულის მხატვრული დაბასიანობას. წერილი ნათელ წარმოდგენას უქმნის მკითხველს არა მხოლოდ რომან-ეპოპეის „დიდი მოურავის“ და არა მხოლოდ ანა ანტონოვსკაიას შემოქმედებითი გზის ირგვლივ, არამედ ქართული ხალხის იმ ავებედილ და ამასთანავე გმირული ცხოვრების ისტორიაზე, რომელსაც რომანი აშუქებს. წერილში გამოთქმულია საყურადღებო მოსაზრებანი „დიდი მოურავის“ იდეურ-მხატვრული არსისა და თავისებურების შესახებ და გიორგი საყაძის დროის საქართველოს ისტორიულ-საზოგადოებრივ ვითარებაზე.

ძნელია არ დავეთანხმოთ კრიტიკოსს, რომ „დიდი მოურავის“... „უბარველესი ღირსებაა მისი ნამდვილი ხალხობრობა...“ „...ხალხი არის „დიდი მოურავის“ მთავარი გმირი“. და აქვე წამოაყენებელია სიარულურსო დებულება, რომ „რომანში არა მარტო უშუალოდ გამოდის საკუთრივ ხალხი — გლეხობა, აზნაურები, ხელოსნები, მკვეთრად გამოკვეთილ სახეთა მდიდარ გალერეაში პერსონაჟიკირებულნი, ეპოპეის ცენტრალური სახე — თეთი გიორგი საყაძე, თავისი დიდებული შესახედაობით, თავისი საქმეებით, მისწრაფებებით და სული-კეთებით არის ხალხის ზასიათის საუცუთესო და ამდღევებული თვისებების ცოცხალი განსახიერება“. მართლაც, ვანა ცხადი არ არის, რომ საკითხს, რომელი სოციალური წრის ინტერესებს გამოხატავს პიროვნება, მხატვრულ ნაწარმოებში კი — პერსონაჟი, წყვეტს არა მისი სოციალური მდგომარეობა, არამედ კონკრეტული საქმეები, გრძნობა-განწყობილებები და მისწრაფებები. და ასეთი ვაგება, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად აფართოებს პერსონაჟში,

გმირში ხალხის გამოხატვის ტრადიციულ თვალსაზრისს.

მთავარი ბესარიონ ელენტის წერილში მანინის არის, რომ იგი, როგორც უსჭვით, ვამსპვალეოა რუსი ავტორისადმი კეთილშობილურ-ნოებით, მადლიერებითა და ღრმა პატივისცემით ქართველი ხალხისადმი იმ დიდი, უანგარო საყვარელისა და ჰუმანიზმით მთავანებული კეთილშობილური გრძნობებისათვის, რაც ასაზრდოებს ანა ანტონოვსკაიას მთელ შემოქმედებას. ჩვენ გვმართებს მეტ ყურადღებას ვიჩინეთ მის მიმართ, ვისაც ყურადღება არ დაუკლია ჩვენთვის. უანგარო პატივისცემასა და კეთილშობილებას, პასუხს უნდა ვცემოდეთ პატივისცემითა და კეთილშობილებით. რუსულ მწერლობას აქვს ქართველი ხალხის ცხოვრებაზე, ქართულ თემზე, ქართულ პრობლემებზე უფრო აღდგინების გამახვილების კარგი ტრადიცია, რომელიც დღეს წარმატებით გრძელდება. მაგრამ ამ ტრადიციის კიდევ უფრო გაღრმავებისა და განვითარების უადრესად საჭირო საქმისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს მეტ ინტერესს, მეტ გულისხმიანობასა და მშრომობას ვიჩინდეთ ამ ტრადიციის შესწავლის და დადგენისადმი. ეს იქნებოდა კარგი წელიწადი არა მარტო ლიტერატურათა დაახლოების, არამედ ხალხთა მეგობრობის დიდ საქმეში.

გამოცდილი ლიტერატორების პროფესიონალებრი დონე გამოსწავლის სერჯი ჭილაისა და აკაკი თოფურიას წერილებში: „კონსტანტინე გამსახურდას რვატომეული“ და „დიდი მხატვრული ტალანტი“ („მიხეილ ჯავახიშვილის რჩეულ თხზულებათა ექვსტომეულის გამოცემის გამო“). კრიტიკის საგანი, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, სათურადადნეც ცხადია და უადრესად მნიშვნელოვანია. და ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ კრიტიკოსებმა ძირითადად სწორ შეფასებას აძლევენ მეოცე საუკუნის ქართული პროზის ამ ორ დიდ მესვეურს. მაგრამ სერჯი ჭილაის და აკაკი თოფურიას ერთგვარად ზღვდებიან, გარკვეულ წარჩოში აყენებს და ღრმა, დივი ანალიზის საშუალებას ნაწილობრივ უსპობს პათეტიკური ტონი, ამდღებელი განწყობილება. ამით უნდა აფხანთ, რომ კრიტიკოსებმა ზოგჯერ ერთგვარ ხელოვნურობას, ვახვიადებას ამქლავნებენ. სერჯი ჭილაის თვისს, რომ კონსტანტინე გამსახურდა — ეს იგივეა მეოცე საუკუნის ქართულ პროზაში, რაც გალაკტიონი — პოეზიაში, ზოლო აკაკი თოფურიას პროზის გალაკტიონად მიხეილ ჯავახიშვილი მიაზნია. „მე-20 საუკუნის ქართულ პროზას ამშვენებს ლ. ლორთქიფანიძის, შ. ჯავახიშვილის, ლ. ქიქელიძის, შ. დადიანის ბრწყინვალე სახელები“. — წერს სერჯი ჭილაია. — „მაგრამ ჩვენი აზრით, უახლესი პროზის დიდი განმახლებელი და ნოვატორი უთუოდ კ. გამსახურდაა“. „...რაც კ. ტაბიძემ გააკეთა ქართულ პოეზიაში, იგივე მი-

სია შეასრულა ქართულ პროზაში კ. გამსახურ-
დიამ...“ აქაც თოფერია კი ამტკიცებს: „...მი-
ხროლი წაგზიშვილი ისეთად დიდი მნათობელი
შეჭრა მე-20 საუკუნის ქართული პროზისა,
როგორც ვალაკიონ ტაბიძე იმავე საუკუნის
ქართულ პოეზიაში“.

და არა ვართ დაზღვეული, რომ რომელიმე
შესამემ პროზის ვალაკიონად არ გამოაცხა-
დოს ნიკო ლორთქიფანიძე, ხელოვნობები —
ლუი ქიანელი. ჭერ ერთი, ასეთი ანალოგიები,
ჩვენს აზრით, ძალიან ხელოვნურია და არავის
არაფერს არ მატებს. მეორეც, — ჩვენ არ
ეფიქრობთ სამართლიანი იყოს, რომ მე-20 სა-
უკუნეში ქართული ლექსის განახლება, ნოვა-
ტორობა, ქართული პოეზიის ახალ საფეხურზე
აყვანა ერთი კაცის დამსახურებად მივიჩნიოთ,
თუნდაც ისეთი დიდი პოეტისა, როგორც ვა-
ლაკიონია. ისევე როგორც ყველა დროში,
ყოველი ერის ლიტერატურაში, მე-20 საუკუნე-
ში ქართული პოეზიის, ქართული პროზის
დაწინაურებაში, განახლებაში, ახალ საფე-
ხურზე აყვანაში წილი უდევს მთელ თაობას
და ამასთანავე, არა მხოლოდ ერთ თაობას. და
საუკუნის ეს განახლება, ნოვატორობა შეუძ-
ლებელია ავტონომიური და საკაცობრიო
ტრადიციისაგან მოწყვეტილად, მის გაუთვ-
ალისინებლად. არ არსებობს ნოვატორობა,
განახლება, რომელიც ღრმად არ იყოს დაკე-
შირებული მშალაკი ფესვებით ტრადიციასთან.

ნაწილობრივ სიმკაცრის შთაბეჭდილებას
სტოვებს აქაც ბაქრაძის წერილი „პოეტის ახ-
ლი წიგნი“, რომელშიც ყურადღება მახვილ-
დება იოსებ ნონეშვილის პოეზიის ჩრდილოვან
მხარეებზე. ეს შთაბეჭდილება შეიძლება იმი-
თაც იყოს გამოწვეული, რომ ჩვენ გადავიჩ-
ვიეთ მწვავე კრიტიკულ შენიშვნებს, მით უფ-
რო იმ ავტორების მიმართ, რომლებმაც მეთო-
ბების საერთო აღიარება მოიპოვეს და მწერ-
ლობაში საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს. სწო-
რედ ასეთ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის იოსებ
ნონეშვილი, რომლის პოეზია გამოირჩევა თე-
მის აქტუალობით, განწყობილებების უშუალო-
ბით და სიტყვის არტისტული განცდობა. იოსებ
ნონეშვილისათვის ტიპური არ არის მიმბე-
ღუნე და ბუნდოვანი სტრაქონი. მისი პოეტუ-
რი მეტაფორა ნათელია, სახე — გამჭვირვალე,
ფრაზა — მსუბუქი და დამახული. ნათელი,
დადებითი იდეალი, დამამკვიდრებელი პათოსი,
ეთილიზმობილია განწყობილება და ამალე-
ნებელი, სწრაფი მიმართებითი ინტონაცია მის
პოეზიას საუნიშო ელფერს ანიჭებს.

ყოველზე ეს კი, ცხადია, არ ნიშნავს, რომ
იოსებ ნონეშვილის პოეზია უნაკლოა. ასეთი პო-
ეზია საერთოდ არ არსებობს; თვით ვალაკიონ-
ონიც არ გრის თანაბრად ძლიერი ყველა ლექს-
ში და მის პოეზიაშიც კი ცოტა არ არის და-
საწყენი და მიუღებელი. მაგრამ ამ ლექსების
მიმართ ყურადღებას თუ არ ვამახვილებთ, ეს

კიდევ არ ნიშნავს, ისინი არ არსებობენ, და არც
იმას ნიშნავს, ამით ეთილიზმობილურ, პატრიო-
ტულ საქმეს ვაკეთებთ. უფრო, ეგრე ავსაძლ-
ლებთ პოეტს, თუ მის სუსტ ლექსებს დემოკრა-
ტიული გვერდს. კარგის და ცუდის გარჩევა,
მიღწევისა და ჩაყარვის გამოხატულება, შე-
დგენისა და ჩვეულებრივისათვის თავთავის
ადგილის მიჩენა აუცილებელია არა მხოლოდ
ზუსტად, დახვეწილი კრიტიკიულების გამოი-
შვებისათვის, არა მხოლოდ მეთაველის გე-
მონების ორიენტირებისათვის, არამედ, უბრა-
ლოდ, სიმართლისა და კემწიარობისათვის.
არცერთ მოწიფებელ, კულტურულ ერს არ
შეშინებია თვალი გაეხრობინა თუნდაც ერ-
ოვნული გენიის შემოქმედების წარუმატებელი
მხარეებისათვის. ამას არც ჩვენ უნდა ვეშინ-
დებოდეთ, ეს არ უნდა აღიზიანებდეს და შე-
ურაცხყოფდეს ჩვენს ეროვნულ თავმოყვარე-
ობას. მხატვრული ტალანტის ჩრდილოვანი
მხარეების გაუქმება ჩვეულებრივ, კანონზომი-
ერ, საკირო საქმედ უნდა მივიჩნიოთ. და ამ
მხრე მხარდაჭერის ღირსია აქაც ბაქრაძის
პრინციპში სწორი პოეზია.

გიორგი ნატროშვილის წერილი „ცხოვრების
შეაგულში“ არ არის განსაკუთრებით გამო-
სარჩევი მის კრიტიკულ შემოქმედებაში; გი-
ორგი ნატროშვილი ავტორთა თვალსაწიან ოს-
ტატობით აღბეჭდილი, თვითმყოფი კრიტიკული
თხრობებშია. მაგრამ ეს წერილი იძლევა
სამუალებას აღვნიშნოთ მისი კრიტიკისათვის
დამახასიათებელი ზოგიერთი არსებითი ნიშან-
თვისება. გიორგი ნატროშვილი დღეს ერთი
იმთავიანია, ვისაც უნარი შესწევს მოუხიროს
სადად, ნათლად, საინტერესოდ და მიმხიდე-
ლად. კრიტიკოსი გაუბრის ვახვიადებს, ვა-
დაპარბებს და ხელოვნრობას. მისი კრიტი-
კული აზროვნება ბუნებრივ კალამტში მი-
ედინება ძალადაუტანებლად, თვითღინებით.
მას არ აინტერესებს აზრი — აზრისათვის, ფრა-
ზა — ფრაზისათვის. კრიტიკოსის გამოანთქვა-
მები უღრესად ცხოვრებისეულია, სინამდვი-
ლის შემოქმედებითი გააზრება და თვით ცხოვ-
რებას, სინამდვილეს ემსახურება.

გიორგი ნატროშვილის კრიტიკას მოქალაქე-
ობრივი პათოსით მოსახს და საბძოლო სულს
უდგამს მძაფრი პუბლიცისტრობა, იდეური
შეშართება და ნათელი მიზანსწრაფვა. კრიტი-
კოსი უბრალოდ განმმარტებელი, ინტერპრეტა-
ტორი თუ კომენტატორი კი არ არის ავტორისა.
არამედ აესებს ამიდგრებს, უერთდება მას და
ამ გზით ქმნის თვითმყოფ მხატვრულ-კრიტი-
კულ ქმნილებას. იგი არა მხოლოდ მოგვითხ-
რობს სტვის მოთხრობას, არამედ თავად გვე-
ლინება თხრობის ოსტატად. კრიტიკოსი ვერ
ჭერდება სხვის მიერ შეთხულის ირავლევი სა-
უბარს, რადგან თვით აქვს სათქმელი. გიორგი
ნატროშვილის კრიტიკული ქმნილების გაცნო-
ბით ჩვენ ვეცნობით არა მხოლოდ იმ საწყა-

როს, რომელსაც კრიტიკა ეხება, არამედ კრიტიკის სახით აღმოვაჩინეთ ჩვეთვის ახალ, თვითმყოფ, დამოუკიდებელ სამყაროს და სწორედ ეს არის ჭეშმარიტი შემოქმედება, ეს არის ხელოვნების არსი. წერილით „ცხოვრების მუცელში“ მეთხველი სათლად წარმოადგებს არა მხოლოდ სერგო კლდიაშვილს — შწერალ-ბელეტრისტს, არამედ ასევე გამოკვეთილად დაუდგება მას თვალწინ გიორგი ნატროშვილი, როგორც ხელოვანი.

„მნათობის“ ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ალექსანდრე ბეგაშვილის წერილი „როგორ ვუშველით ქართულ ენას?“, რომელიც მასზე-ხია ეფრნელ „ციცკარში“ 1966 წლის მეთოთხე ნომერში ამავე სახელწოდებით გამოქვეყნებული წერილისა, რომლის ავტორია ა. თაყაიშვილი. სქოლიოში მინაწერთი „მნათობის“ რედაქცია იუწყება, რომ ალექსანდრე ბეგაშვილის წერილი იბეჭდება აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის, პროფ. დიმიტრი ბენავილიის, პროფ. გიორგი შალაშვილის, შწერლების ალექსანდრე ქუთათელისა და სანდრო შანშიაშვილის რეკომენდაციით. ეს მინაწერი და საკმაო ხანი, რომელიც გავიდა ა. თაყაიშვილის წერილის „ციცკარში“ გამოქვეყნებიდან, რომლის მასსუბზე არის, როგორც ვთქვით, ა. ბეგაშვილის წერილი, ცხადყოფს, რომ რედაქცია დიდხანს ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა წერილის დაბეჭდვა. იმაღება კითხვა: რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ჩვენში, რატომღაც, მიღებული არა არის პრესაში კამათი? თუ ერთხელ აზრი გამოითქვა, გამოასუსტება დიდხანს საქმე-ლი საქმედ არის მიჩნეული. ან იქნებ არ ღირს, იქნებ საჭირო არ არის ენის საკითხებზე შეკვ-ლობა, დავა, კამათი? ჩვენი აზრით, ასეთი მიდ-გომა საზიანოა. ენა, როგორც ენობრივი ორ-განიზმი, განვითარებადი, საზოგადოებრივი, სოციალური, მეცნიერულ-ტექნიკური პროგ-რესის კვალობაზე ენა მდიდრდება, ელფერს იცვლის, ახალი სიტყვებით შეივსება და ნაწი-ლობრივ გადაახლისდება. ენა განიცდის უცხო ენების ზეგავლენას, მით უფრო ჩვენი ქვეყნის პირობებში, სადაც ერების ფართო ურთიერ-ობა და მტკიცე კავშირი მთელი სამშობლო სა-ზოგადოების არსებითი ნიშანია.

და ენის ეს განვითარება-გამდიდრების პრო-ცესი მუდმივად წამოჭრის ბევრ საჭირობო-ტო საკითხს. და ამ საკითხებს კი არ უნდა ეჭმალავდეთ, კი არ უნდა წაუფაროთ, არამედ უნდა ეწყვეტილეთ მთელი საზოგადოების, მთე-ლი ერის ძალეებით. ჩვენ კი რა მდგომარეობა: გვაქვს? ემიდან-ემას გამოჩნდება ვინმე გულ-შემატყუარი და მას არა თუ მხარს დაუჭერენ, თავს დაესხიან. ჩვენი ღრმა რწმენით ენის სა-კითხებზე უნდა ეწერდეთ არა კანტორენტი, არა შემთხვევიანად შემთხვევამდე. ენის სწი-მინისათვის უნდა გიბრძოლოთ არა ემიზო-დენტად, არამედ ფართო ურონტით, ვიე-

ორებთ, მთელი ეროვნული ძალებს მონაწილე-ობით და განუწყვეტლავ შექმნაქმნაქმნაქყო-რომ შეცხრამებე საუკუნესი უპროგრესულესი-თავისუფლებელი მოძრაობის ბელადებს ენის სწმინდის დაცვა თავიანთი ბრძოლის ერთერთ მთავარ მიზანბულად მიიჩნდათ. მათთვის ენა ურს ნიშნავდა, მათთვის ენა იყო ეროვნე-ლის წინადა-წინადა გამოხატულება. და ჩვენ არ გემართებს დაევიწყოთ ჩვენი წინაპრებს ეს დიდი ტრადიცია. ენის სწმინდისათვის ბრძოლა კინელაობად კი არ უნდა იქცეს, არამედ ეროვნული საქმედ. არ კმარა ენა იცოდე, ენას უნდა გრძობდე, განიცდიდე. ვიბრძო-ლინდასაგან მოგვისმინება: სიტყვას ვერდავო, სი-ტყვის გამოს ვგრძნობ და სენი შეცმსო. ენა-ში აისახება ეროვნული სული და ბრძოლა ენის სწმინდისათვის, ენის გამდიდრება-განვითარე-ბისათვის ნიშნავს ბრძოლას ეროვნული პროგ-რესისათვის, ეროვნული თვითმყოფობისათვის.

ბოლოს, დაეუბრუნდეთ ჩვენი სათქმელის არსებით საგანს. ქართული ლიტერატურული კრიტიკის შედარებით არაღამაყაყოფილებელ დონე მნიშვნელოვნად გაპარბებულა იმის, რომ ჩვენში არ არის კრიტიკის კრიტიკა. რატომღაც კრიტიკა იგნორირებს უკეთეს თე-ორიკებს. ახა რთი, თუ არა კრიტიკის შეუფ-სებლობით, კრიტიკის ეგვლებელყოფით, კრი-ტიკისადმი ზურელ დამოკიდებულებით, უნდა აიხსნას, რომ 1966-67-68 წლებში ეფრნელში „მნათობში“ და „ციცკარში“, თუ მხედველო-ბაში არ მივიღებთ ერთ რეცენზიას, ერთ წე-რილს და ინტერვუს მწერლებთან კრიტიკის საკითხებზე, არ დაბეჭდილა არაფერი, სამ წე-ლიწადში, ეს მთელი ეპოქაა. ჩვენ არა თუ ვწუდებით კრიტიკული აზროვნების სიღრმე-ებში, არა თუ შრის სინათლეზე გამოგვაქვს კრიტიკის მიღწევები და ხარკვებები, არა თუ დავიკრებებით ვუჭრებთ კრიტიკოსის ხელოვნე-ბის საიდუმლოებას, პროფესიულად განვიბო-ლავთ კრიტიკული ოსტატობის ზერხებსა და საშუალებებს, არა თუ ვახდენთ კრიტიკოსის თვითმყოფი ხელოვნების ანალიზს, არამედ სა-ერთოდ დღემოდ ვუვლით გვერდს კრიტიკას, მას ვერ ვაშჩენვთ.

რატომ? ნუთუ კრიტიკის მიმართ არაფერი გვაქვს სათქმელი? ნუთუ ის ისე მცირეა, რომ ჩვენი მხედველობის არეში ვერ ზეფება? ან იქნებ კრიტიკის უფლება აქვს აკრიტიკებდეს, ხოლო თვითონ კრიტიკის ვარეშე დღეს? ნუთუ კრიტიკოსებს, მწერლობას, პრესას ავმა-ყოფილებს კრიტიკაში არსებული მდგომარე-ობა, კრიტიკის დონე? ნუთუ არაფერი გვაქვს სადღო, საკამათო, მოსაწინი და დასაწინი? ნუ-თუ კრიტიკოსს არ ჰქონდება რჩევა, კრიტიკულ ნაშრომს — შეფასება, კრიტიკულ აზრს — განხილვა-განჭიჭება? რას ნიშნავს ეს სამარო-სებური დღემილი? არ ცოდნას, არ ცნობას თუ იმას, რომ გვირჩევენა გვერდი ავუაროთ კრი-

ტიკას, არ შევნიშნით იგი, არ შევხვით მას! მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ როგორც სიტყვაყაზმული მწერლობის ვერცერთი ქანრი ვერ განვითარდება უკრიტიკოდ, ასევე კრიტიკა ვერ ამაღლდება, ვერ დაიხვეწება, ვერ დაი-ტრატდება უკრიტიკოდ. კრიტიკის კრიტიკა პირ-ველხარისხოვანი საქმეა, და არა მხოლოდ კრი-ტიკის განვითარებისათვის, არა მხოლოდ კრი-ტიკული აზროვნების ვალრმაეება-გამდიდრები-სათვის. არამედ მთელი მხატვრული ლიტერა-ტურის ახალ საფეხურზე აყვანისათვის. და ამ საქმეში ერთერთი პირველი სიტყვა ეკუთვნის ყურნალ „მნათობს“.

კრიტიკა — ღრმა, მასშტაბური და პრობ-ლემური, მეცნიერულად ზუსტი და ობიექტუ-რი; კრიტიკა — შემტვეი და პრინციპული, პი-რუთენელი, გზის გამკვალავი, ახლის, მზარდი-სა და მოწინავეს დამამკვიდრებელი; ძველის, დრომოკმეღლისა და დახავსებულის მიმართ შე-უთრეგებელი; კრიტიკა, რომელიც მხარში ამო-უდგება ავტორსა და მკითხველს; რომელიც ჩაგვაფაჩრებს, აზრს გაგვიცხოველებს, სულსა და გულს აგვივზნებს, სამოკმედოდ განგვაწი-ყობს; კრიტიკა, რომელიც განიცდის, რომე-

ლიც იწეის, რომელიც ყველაფერს მისსლობით წონის ჳეშმარტების სასწორზე; კრიტიკა — მაძიებელი, დასაბუთებელი, მათულად მარტა-რესული, ჳემანურობით გამსკვალული და კე-თილგონიერი, კეთილშობილური; კრიტიკა, რომელსაც თავისი დიდი წელილი შეაქვს არა მხოლოდ ლიტერატურის განვითარებაში, არამედ მკითხველის აღზრდაში, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში; კრიტიკა — საზოგე-დოებრივი, სახალხო, ერთენელი ინტერესებით შთაგონებელი; კრიტიკა, რომელიც აყეთებს ლიტერატურული პროცესის ანალიზს, აფასებს მხატვრულ ფაქტს, მოუღენას, ახდენს დასვენებს და განზოგადებებს; კრიტიკა, რომელიც ვა-დამწუვეტ ზეგავლენას ახდენს ლიტერატურულ ცხოვრებაზე. წარმართავს მას. კრიტიკა — მა-ღალიღეური და მაღალმხატვრული. და როცა ყოველივე ამით შემკულია კრიტიკა, იგი საზო-გებლობს არა მხოლოდ ლიტერატურული სა-ზოგადოებრიობის, არამედ მკითხველის, მთელი საზოგადოების, ხალხის აღიარებითა და პატი-ვისცემით, და ასეთი კრიტიკისათვის ოფლმო-დენილი შრომა სიტყვაყაზმული მწერლობის თითოეული გუთნისდენის, ყოველი ლიტერატო-რის კეთილშობილური და პატრიოტული მოყა-ლეობაა.

თანმიმდევრული

კრიტიკა თუ?..

კაცი რომ რაიმე საქმეს მოაკიდებს ხელს, ღრმად დაწვინებული თუ არ არის, რომ ამ საქმეს მოერევა, სჯობს უფრო იოლად გასაყვთებული რამ გამოკვინოს.

ერთი კრიტიკოსის ამბავი მაკვირვებს. იგი იმ ბერიკაცს მაგონებს, უზარმაზარი ტვირთი რომ წამოუკიდინა ზურგზე, აღმატის შესდგომია, ზენეშით, გაბირებებით, ძლიერდევრებით მიდის, არც არავის სთხოვს შეეღას და ვერც ის ტვირთი ატანია მალა.

ამ ცოტა ხნის წინათ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა გ. გვერდწითელის წერილი, რომელშიც გათხულობა:

„კ. ლორთქიფანიძის მოთხრობები იმის ნიმუშია, თუ როგორ უნდა იწერებოდეს მოთხრობები დიდი სამამულო ომის თემაზე. სამწუხაროდ ჩვენ იმის ნიმუშებიცა გვაქვს, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს. ვ. ურჯუელაშვილის მოთხრობას „ცივი სარკველი“ („მნათობი“ № 5) ვეჭვობ, დიდად მონდომებულმა კაცმა კი, აბაძე თუ ღირსება, რაიმე გამართლება მაინც გამოუძებნოს. აზრობრივად და მხატვრულად ამ ყალბი მოთხრობის ანალიზი საგაზეთო წერილში შეუძლებელიცაა და უსარგებლო. ასეთ მწარე სიტყვებს, მერწმუნოს მკითხველი, მართკმ წყარალი კი არა, მასთან ერთად თვით კრიტიკოსიც მწვავედ განიცდის, მაგრამ რაილა ყველა ჩვენთაგანის უბირველესი საზრუნავი თანამედროვე კართული მწერლობის წარმატებაა, ეს მძიმე განცდებიც უნდა ვიტვირთოთ, რომ წარმატების საწინდარი, მართლის თქმა, არ მოგვეშალოს.“

კონსტანტინე ლორთქიფანიძე რომ სიტყვის შესანიშნავი ოსტატია და წინებული მოთხრობები გამოაქვეყნა, სადღეო არავის არა აქვს რა. მის მოთხრობებზე — „სიკვდილი ცოტას მოიცადის“ — წერილიც კი დავწერე, რომელიც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭ-

და. შეძლებს დაგვიარად იღვინე ის, რაც მომეწონა. ვ. გვერდწითელს კი გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში ერთი სიტყვაც არ დასცდენია იმაზე, რატომ არის კონსტანტინე ლორთქიფანიძის უტყუარი მოთხრობები — „სიკვდილი ცოტას მოიცადის“ — იმის ნიმუში, თუ როგორ უნდა იწერებოდეს მოთხრობები იმის თემაზე, ავტორმა რა ხერხებით, რა საშუალებებით დაგვიანხვა ის, რაც სხვამ ვერ შენიშნა, მაგრამ მწერლის მახვილ თვალს არ გამოეპარა, რითაც, მართლაცდა, სინიმუშო გახდა მისი ნაწარმოებები.

როცა კრიტიკოსი მწარე სიტყვებით გამოხატება და დაუსაბუთებლად აცხადებს „ამ ყალბი მოთხრობების ანალიზი საგაზეთო წერილში შეუძლებელიცაა და უსარგებლოცა“, ეს არც კრიტიკაა და არც სერიოზული განცხადება.

უსარგებლო! რატომ ჰგონია, რომ უსარგებლო იყოს? აი, სწორედ ის არის უსარგებლო, რაც ვ. გვერდწითელმა წარმოადგინა. რატომ არ მხატვარწმუნა თავისი აზრის სისწორეში. რატომ არის მოთხრობა „ცივი სარკველი“ სუსტი, აზრობრივად და მხატვრულად ყალბი?

დასახებრეტად განწირულ კაცს სიკვდილის წინ ერთხელ კიდევ მოაგონებენ დანაშაულს — თუ რისთვის ისჯება. კრიტიკოსი მწერალს გულში დაუნდობელ ტყვიასავით ახლის, აზრობრივად და მხატვრულად ყალბი მოთხრობა დავწერიაო და იმას კი არ ეტანება, რით გამოიხატება სიყალბე. კრიტიკოსი მწერლის გულის მიმცემი, თანაშემწე და დამხმარე უნდა იყოს. გვერდწითელი კი თავს იმით იზღვევს, ეს საგაზეთო წერილია და აქ ანალიზი შეუძლებელია და უსარგებლოა. კაცს თავში რომ ჩაართვა და მიზეზი არც კი უთხრა, სწორედ ისეა!

როცა მდინარეში ტივი უნდა ჩაუშვან, მეტყვევებმა უკვე იციან რამდენ მორთან ტივს წაიღებს წყალი. ასევე კრიტიკოსებმაც თავის წე-

რიღში ისე უნდა განაწილოს მასალა, იმდენი ნაწარმოები უნდა შეკრას „ტივად“, რამდენსაც საფუძვლიანად მოერგება.

გვერდწითელმა კარგად იცოდა, რომ საგაზეთო წერილობა ვერ ჩამტვევდა მთელი წლის ლიტერატურულ მოსავალს. ხალამბარში, სადაც ერთი ტონა შარკალია ეტევა, ხუთ ტონას აბა როგორ მოათავსებდა!

მაშ, ამ ბერკეტისა არ იყოს, ერთბაშად ამდენი ტვირთი რად მოიკიდა ზურგზე?

„მერწმუნოს მკითხველი, ასეთ მწარე სიტყვებს მარტო მწერალი კი არა, მასთან ერთად კრიტიკოსიც მწვავედ განიცდისო.“ — ვითომ სინანულით, გულსტიკივლით აცხადებს გვერდწითელი. მერტვია, რა ძალა ადგას, რად იშლის ძარღვებს?! ნახეთ, ისე შემტკივია გული ქართული ლიტერატურის განვითარებაზე, რომ ასეთ მწარე განცდებსაც არ ვერადგობს.

ვაშა და ბარაქა, რომ თავი ლიტერატურის საშხვერპლოზე ასე ეფეკტურად გამოტანია. ამდენს თავის თავზე და თავის მოვალეობაზე ბელისკაც კი ვერ ილაპარაკებდა. დიდი გამბედაობაა, მე და ჩემმა ლმერთმა!

ვანო ურჭუმეღაშვილის მოთხოვნა „ცივი სარეცელა“ არ იმსახურებს იმ უსამართლო ბრალდებას, რასაც კრიტიკოსი ასე ხელაღებით უყენებს. უპირველესად ყოველსა, იმიტომ არ იმსახურებს, რომ ნაწარმოები იდამიანური სიბოროთისა საესე, რომ მასში მთელი სიმძაღრით არის ნაწეწები ომის საშინელება, სულით მდიდარი იდამიანობის ბრძოლის ერთი მამაცური ეპიზოდი.

ქალი ეუბნება მამაკაცს:

„— იქნებ სჯობდეს მტრის ზურგში დაერჩეთ?! აქედან არც ისე შორს დედაჩემის მოხუცი მშობლები ცხოვრობენ... ახლა მაინც ვარგეშოცეაში ვართ. ვერმანელებსაც რომ ვადავურჩეთ, ყინვა მოგვიდებდა ბოლოს. რა დასაძვდება, თუ ცოტადღენი ხნით მოხუცებს შევაფარებთ თავს?“

— ეს ხომ ფარმალოს დაყარა?!

— სხვა გამოსავალი რომ არ არის! ჩვენც უნდა ვიზრუნოთ ჩვენს ბედზე, რადგან ახლა თავად ვართ ჩვენი თავის მეთაური.

— ჩვენი მეთაური ჩვენი სინდისია. ჩვენ უნდა ნამუსიანად შევკარტულოთ ჯარისკაცის მოვალეობა.“

ყრუ უნდა იყოს კაცი, რომ ეს ვერ გაიგოს, ჩვენი მეთაური ჩვენი სინდისია და ჩვენ ნამუსიანად უნდა შევკარტულოთ ჯარისკაცის მოვალეობაო.

სინდისიანად და ნამუსიანად ეწირებოდნენ სამშობლოს ასიათასობით ეფეკტები. ერთ მითვანს „ცივი სარეცელშიც“ ეხედავთ და გვჭერა მისი ნამუსიანობა.

ქალმა თითქოს მოძებნა გაჭირვებიდან გამოსვლის საშუალება, ხუტორში თავს შეაფარებდნენ მოხუცებს, მაგრამ მებრძოლი ეფეკტი არ ეთანხმებდა, რადგან ეს ბრძოლიდან უკანდახევას ნიშნავდა.

ნაც; უკან კი არცერთ მის ამხანაგს არ დაუბეგვია, ყველამ თავი დადო სამშობლოსათვის, და თუ ეს ერთი მეომარი სასწრაფოებრც ვადაჩრია, არც ეს დაიბეგვს უკან და კვლავ ბრძოლაში შეებება.

ქალს აღარ ძალუქს სიარული. ეფეკტი ყოველნიორად ცდილობს მის გამხნეებას, ამით თავის თავსაც ამხნეებს. უშენოდ ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამო, ეფეკტება ქალს. ან კი როგორ მიიტრეებს! არა მგონია კარგა ხნის ახლობელ და მინანებსაც კი ეგარწნოთ ტრფიბის ასეთი ცეცხლი. თავისთავად ცხადია, ისინი განსაცდელმა დააახლოვა, სიცოცხლის უტკების წუთების გამწარებამ დააახლოვა. სტიქიას ებრძვიან და შეუპოვრად მიდიან. ვაელებს კი სამშვიდობოს? მიღწევენ კი თავიანთ ნაწილს? და თუ ეწევალით, ისინი ერთმანეთს აღარ დასთმობენ. მწელ დასაფეყებელია მათი შეხვედრის მრისხანე. განსაცდელით საეყ წუთები. მაგრამ საგულალოდ, ორვენი ტრაგიკულად იღუპებიან. ვერ შევედრებებით ავტორს ფინალის სიყალბეში. ომი მშვიდნარებდა, საშინელი ომი. ბევრი მიწურის გული ჩაფერტლილა ასე.

ავტორსნათ ბრძოლის შემდგომი სურათი ამ მოთხრობიდან:

„ორგვლივ ნაეუმბარევი ორმოები მოჩანდა. სისხლით შეღებილ თოვლებს საბჭოთა და გერმანელ მეომართა გვაშები ეყარა. სანამ სული ედგათ, სასიკვდილოდ არ ზოგავდნენ, ახლა კი მშვიდად იწვენ ერთმანეთის გვერდით, თითქოს ერთი დედამისი შვილები ყოფილიყვნენ. მოთარეშე ქარს თავისი ფიფქები მოჭმონდა და ამ მწუხარე ალაგს თეთრი სუღარით მოსაედა.“

მხატვრულობა აკლია? იგრძნობა სიყალბე?

ყალბი, ყალბი, ყალბი! — ორღესტლივით იქნევს კრიტიკოსი ამ სიტყვას და, რომელი ნაწარმოებიც არ მოეწონება, უმალ ამ იარღიყს მიაკურებს.

ნაწარმოებს ნოველის დამახასიათებელი, მოულოდნელი, მოკვეთილი და მამაფი ფინალი აქვს. ქალ-ვაჟმა მთელი გზა გაჭირვებით გალია, ძლივს მიადღწია საბჭელს, სადაც ერთი ბეწო სითბო ჰპოვეს, ძლივს ეღიგნათ ერთი ნეტარი წამი და ყველაფერი ცეცხლმა და ომის დაუნდობლობამ დალაზრა და შთანთქმა.

„განა სიყვარულით დამთვრალი გული ქვეყანაზე რამეს შეუშინდება?“ აი ის ნათელი ზოლო, რომელიც მთელ ნაწარმოებს გასდევს.

მაშ რაღა დარჩა ამ პატარა მოთხრობაში ყალბი და გაუმართლებელი? იქნებ თოვლი? იქნებ საშინელი ყინვა? იქნებ ის, რომ საბჭელში შეშა აწყვიტა? ჰო, მართლა! აი, ეს კი დაგვაფეყვდა. საბჭელში შეშას რა უნდა, — მზე უნდა ეყაროს.

იქნებ ის მომენტი მიამინა ყალბად, გერმანელი ფაშისტები თავიანთ დახოცილ და ყინვისგან გახევებულ მეომარებს საბჭელში რომ ჰყრიან,

ციცხლს რომ უკიდებენ და სწვავენ? გაყინულ მიწაში იმ უამრავ დახოცილთ რა დამარხავდა! ამიტომ გერმანელები თავიანთი და მოწინააღმდეგის დახოცილი ჯარისკაცების გვაშბებს სწორედ ასე იცოდებოდნენ. ეს ყველაფერი უნახავს ენო ურჯუმელაშვილს. მას აქ არაფერი არ ეშლება. სწორედ ეს მომენტი მოაზრო თავისი ნაწარმოების ფინალს, რომ კელმინაციურ წერტილში აყვანა ომის მთელი შემზარავი, საზიზღარი სურათი.

იმავე წერტილში გვერდწითელი ამბობს:

„გასულ წელს ქართულ მოთხრობებს ყველაზე გულდა მასპინძლობა ეტრნაღმა „ციცხარმა“ გაუწია. იმ ახალი მოთხრობების უმეტესობა, მხატვრული და შინაარსობრივი ღირსებებით რომ გამოირჩევიან, სწორედ „ციცხარის“ ფურცლებზე დაიბეჭდა.“

შემდეგ ზოგიერთ მთავანს ვაკერით მიმოიხილავს:

„ასე, მაგალითად, დასაწინაა, რომ კ. კობერძის პროფესიულად კარგად დაწერილ მოთხრობას „იბოღრომის ხედი“ („ციცხარი“, №2) რაიმე მნიშვნელოვანი სათქმელი არ მიაჩვენს მკითხველად.“

თუკი მოთხრობაში, რაც მთავარია, სათქმელი, არ მიაჩვენს მწერალს მკითხველად, მამ როგორღა ყოფილა იგი პროფესიულად კარგად დაწერილი?

„აკაკი ვასაძის მოთხრობას „ნახტომი“ („ციცხარი“, № 1) ამასთანავე ის ნაკლებ სდევს თან, რომ ამჟამად ხელოვნურად შეფხვული ამბის გამო გმირის განცდებისადმი გულგრილნი ვრჩებით.“

ასე დღეს საშუალო სკოლის მოწაფეები ადარ წერენ. თა თუ მოწაფეს აღმოაჩნდება ზემოთ მოყვანილი ციტატის მაგვარი რამ, დარწმუნებული ვარ, მასწავლებელი სრულიად გულგრილია გადაუყვამს წითელ ფანქარს და ნაწერის ქვემოთ გულმოდგინედ, კობხად გამოიფხვან ორი-ანს.

„ეს საგაზეთო წერილიაო!“ — გაიმეორებს გულმოსული კრიტიკოსი. ეეთანხმებით: საგაზეთოა!

აკაკი ვასაძის მოთხრობა „ნახტომზე“ ვერ არავის სიტყვა არ დაუძრავს. პირველი სიტყვა გვერდწითელმა აიღო და ვასაძეს ეუბნება: თ, მე შევდარებ შენს მოთხრობას სერგო კლდიაშვილის მოთხრობა „სირინოზს“, თუშეცა ეს მოთხრობაზე, ასე ვთქვათ „კამერული ხანაპოისა“ და დავანახებ, რომ: „სირინოზი“ „ნახტომთან“ შედარებით მარტო იმიტომ კი არ ახდენს მკითხველზე შთაბეჭდილებას, რომ მშვენიერად არის დაწერილი, არამედ, რაც მთავარია, აქ მართალი განცდა მიგნებული და მხატვრულად გახსნილია.“

რა ვთავს ახალგაზრდა ავტორმა ასეთი „შედარებით“? ვთქვათ, ჩაფიქრდა ა. ვასაძე და გა-

დაწყვიტა „მართებული“ კრიტიკის მორეცხვლში გატარებული თავისი მოთხრობა გადაამუშავოს, მოაშროს მას „რეული განცდის“ (რეული-არის „მართალი განცდა“, აღბათი-ჩვეულება) სტატუსი განცდას). როგორ მოიტყვის? როგორ გაითვალისწინოს თავისი შეცდომა და რა არის მართალი განცდა, რასაც მთავრო სერგო კლდიაშვილმა და ვერ აღმოაჩინა აკაკი ვასაძემ?

ლიტერატურისმცოდნეობა ზუსტი მეცნიერება არ არის, მაგრამ კრიტიკოსს აუცილებლად მართებს დაახუტის და ხალას ვახადოს თავისი ნააზრევი.

როდესაც კრიტიკოსი რაიმე ნაწარმოებს ჰკიდებს ხელს, ცივი გონებით (გვერდწითელის არსენალიდან გახლავთ) ის კი არ უნდა წეროს, რაც უკებ მოავგონდება, არამედ, ახლის წადილი თუ არა, პასუხისმგებლობის გრძობა მიინე უნდა ქონდეს, რომ თავისი კრიტიკული წერილი ერთგვარად შეუფარდოს ლიტერატურულ დონეს.

ამ რამდენიმე წლის წინათ მიხვილ მრველიშვილის მოთხრობა „ხარატანთ კერაზე“ გ. გვერდწითელი მთელი ხმით ამბობდა: „იგი დაშვებულად მოგვითხრობს თავისი გმირის რთულსა და განცდებით სავეს თავგადასავალს“. ერთერთ გმირზე, ნატოზე, ამბობს: „იგი თავისთავად საინტერესო, ფსიქოლოგიურად ღრმად გახსნილი მაღალმხატვრული სახეა.“ „უთუოდ საინტერესო გამოთვლიდა მწერალს სრულე პანტიანის კოლმურნობის თავმდომარის აკაკი ზეცურაულის სახე.“ „მიხვილ მრველიშვილმა ნატო ხარატელთა და აკაკი ზეცურაულით მეტად საინტერესო, მაღალმხატვრული სახეები შესძინა ქართული პროზის დადებით გმირების გაღერებას.“ და სხვა და სხვა. მაგრამ, როცა ცოტა მოვივინებთ კრიტიკოსს გ. ციციშვილმა იგივე მოთხრობის ინსცენირება შეაქო, გურამ გვერდწითელი გადმოდგა, დააიწყდა თავისი ადრე ნათქვამი და შეუტია გ. ციციშვილს: „მაგრამ ასე უკრიტიკოდ მათი (მ. მრველიშვილის პიესები და მათ შორის „ხარატანთ კერა“, თ. გ.) მიიღება დღეს (და ადრეც) ეფექტობ, არ უნდა იყოს სწორი.“

მართალია, ადრე გ. გვერდწითელი მ. მრველიშვილის მოთხრობას ეხებოდა, მაგრამ ინსცენირებაშიც ხომ იგივე „გმირების რთული და განცდებით სავეს თავგადასავალი“ გადმოვიდა? პიესაშიც ხომ იგივე ნატო, იგივე აკაკი მოქმედებენ? ნუთუ დაიკარგა ის მაღალმხატვრული სახისა, რაც ადრე ასე ძალიან მოსწონდა მოთხრობაში? მართალია, ინსცენირებული მოთხრობა ბევრ რამეს ჰკარგავს, მაგრამ მკითხველისათვის ხომ უნდა იყოს ვასაძეები, რა იყო, რა დაიკარგა, რა იყო და როგორ გვეტრეკრთა? გვერდწითელი ამჟამად მ. მრველიშვილთან კი არა, გ. ციციშვილთან აქვს სადაო, რად მოსწონს მას მ. მრველიშვილის პიესები, რომლებსაც

„ჩვენი თეატრები ასეთი რეპერტუარული შიმშილის დროსაც კი ვერ უზრუნველბან“.

გ. ციციშვილი, მცენიერი და კრიტიკოსია. გვერდწითელიც ასეთთა რიგებს ეკუთვნის. რაზან ასეა, მამ პროფესორი, ღრმამზაროვანი, დასაბუთებული და მცენიერული კამათიც უნდა წამოიწყო ციციშვილთან სადაო საკითხებზე. მაგრამ ამის ნაცვლად გვერდწითელმა ისევ დიდაკური მეთოდით არჩია კამათისა, სადაც დინჯი კილო და საბუთები უზღვევბედაყოფილია.

აქვია ხუცურაულზე ამბობდა გ. გვერდწითელი:

„აქვია ხუცურაული აშკარად გამობრძევა იმ დაშტამბული ხერხით შექმნილ კოლმეურნეობის თავმჯდომარეებისაგან, რომლებიც ასე მომზავლდნენ 50-იანი წლების საბჭოთა ლიტერატურაში... მწერალს არ ღალატობს არც ზომიერების გრძობა და არც ცხოვრებისეული სიმართლის ერთგულება, ამიტომაც მისი გმირი არ ემსგავსება იმ ერთფეროვანსა და ერთგვაროვან თავმჯდომარეებს, რომლებიც სინამდვილეში დიდი ჭაფისა, დასაბუთობისა, მწვევე ბრძოლისა და შრომითი თავგანწირვის შედეგად იყო მოპოვებული.“

ამა კარგად დააკვირდით, რას ამბობს გ. გვერდწითელი: თურმე მ. პრეკლიშვილის გმირი არ ემსგავსება იმ ერთფეროვან და ერთგვაროვან თავმჯდომარეებს, რომლებიც მოპოვებული ყოფილა (კი არ ყოფილან!) დიდი ჭაფისა, დასაბუთობისა, მწვევე ბრძოლისა და შრომითი თავგანწირვის შედეგად.

გაიგეთ რა მოხდა? ერთფეროვანი თავმჯდომარეები თურმე მოპოვებული ყოფილა დიდი ჭაფისა და შრომითი თავგანწირვის შედეგად!

შსაგეს კომპეტერ რამეს დიდად ნიჭიერი იუმორისტიც ვერ მოიფიქრებდა.

მურმან ლებანიძისათვის მთავარი პოეტური ფრაზა კი არ არის, არამედ ის ძირითადი სათქმელი, რომლის გამოხატვასაც ზოგჯერ დაუხვეწავი, ე. წ. ხორკლიანი ფრაზა უფრო უხდება, ვიდრე საგულდაგულად დაწურულ-დაუთოებელი, მაგრამ სწორედ თავისი ზედმეწვენილი ელვანტრობით — კარბი ესთეტიკით დაღდასმული პოეტური ფერი. ამიტომაც, ზოგჯერ გაურანდავი რითმა სწორედ თავისი ასონანსურობითაა ბუნებრივი და ყურადღებისმიმწვევი.



უვაილების მდინარეს
ეტუბ ცისკენ მიჰქონდა:
იწვა გალაკტიონი
და თავისას ფიქრობდა.

ეს გამოცხადებასავეთ ზუსტი და ფერწერულ-
ლი სისასებით გამოქარაფილი სურათი, გამაგრებულ
ბულია ასეთი შთამბეჭდავი პოეტური ნიუანსით:

ღირსი თვით იყო!
რაც მოხდა და გათავდა,
და რაც ახლა ხდება —
მისი ენი მართავდა...

თითქოს ყველაფერი უკვე ითქვა, თითქოს
ალარფერი სჭირდება გალაკტიონის დასაფლავების
ბეგრწერით ენოკლარს, მაგრამ მერმან
ღებანიძე სრულად ორიგინალური და შთამბეჭდავი
შტრიხებით ამთავრებს ლექსს:

რადაც პათეტური
მას სიკვდილშიც დაკრავდა,
იწვა, როგორც ყოველთვის
ახლაც არვის არ ჰგავდა...
ერთი-ორი სხვაც ჰყავდა,
ვინც მშობლისთვის იღწვოდა,
მაგრამ ვისაც მარხავდა
საქართველომ იცოდა.

ეს ხაზგასმული „საქართველომ იცოდა“
დრამატოზით ამდიდრებს ლექსს და მკითხველს
წინაშე უფრო ხელშესახებად წარმოაჩენს
გალაკტიონის ბუმბერაზ პიროვნულ და პოეტურ
ფიგურას.

ე. წ. მიძღვნილი ლექსების გვერდით („სო-
სო იორამაშვილის ხსოვნას“, „ოთარ ჰელიძის“
„მოხუცი“ კერსაქართველოს ტყეებს უფრო-
ხილდება“) ერთნაღში დაბეჭდილია ჩვენი ეპოქის
აზრისა და პარალელმატიკის კვლევით დაინტერესებული
პოეტის აქტუალური და სადღეისო ლექსები. თუ მიძღვნილი
ლექსებში მერმან ღებანიძე ადამიანებთან თავის პირად
ურთიერთობას ანალიზებს და მკითხველს მოყვასისად-
მი კაცურ სიყვარულს უქადაგებს, სხვა ლექსებში
იგი გვევლინება საკმაოდ რთულად მოაზროვნე და
ცხოვრების წინაშე პასუხისმგებლობის გრძობით
შეპყრობილ, სამყაროს ნერვიული ხმების პოეტად
(„წველი ქართული ანდაზა...“, „წარწერა რემპარის
წიგნზე“). მერმან ღებანიძის პოეტური ექსპრესია
შორსაა პოეტი — რეზონანსის პოლიტიკური ცალმხრივობის ან
ცივი გონების ოპტიმიზმისაგან:

ოცი წელია
საწვიდილობ გრიალებს ომი,

ოცი წელია,
ხნულში დგახარ ხმლითა და გუთნით,
გასივდა ტენი,
მშობლიური ამდენი ფიქრით,
გასივდა გული,
საყვარელო, ამდენი ზრუნვით.

შოთა ნიშნიანძის პოეტური გრადაცია დღით
დღე შესამჩნევია. სასიამოვნო მოვალეობად
მიგვიჩინა აღნიშვნა იმისა, რომ ეს გრადაცია
ახალი მწვერვალებსაკენ, მკითხველის თვალ-
წინ ხდება დროულად და კანონზომიერად.
ფრაზის დეკორატიულობა და სიტყვის არტი-
სტიკა, თემატური სიღრმე და გაფაქიზებული
პოეტური მგრძობელობა, ქანსალი ისტორიზ-
მით დაპურებული პატრიოტული აღტირება და
ნათიფი ლირიზმი — შოთა ნიშნიანძის პოე-
ზიის ეს ხაზგასასმელი აქსენტური აქცენტს
მას ჩვენს ლიტერატურაში ორიგინალური ხმის და
საინტერესო მხატვრული საშუალოს პოეტად.
მისი, როგორც შემოქმედის, შესანიშნავი თე-
მატიკა მხატვრული ნააზრების ფიქსირებისადმი
მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ლექსი-
კურსი მასალისადმი კეთილსინდისიერი დამოკი-
დებულება. შოთა ნიშნიანძე მკითხველს არა-
სოდეს არ შესთავაზებს პოეტურ ნახევარფა-
ბრიკატს, მის ლექსს გამოკვეთილი აზრისა და
გასივრცელებული მასალის მტკიცე ლოგიკური
ბეჭედი აზის. გაეთე ამბობდა: — „ორიგინა-
ლობა მაინცდამაინც ის კი არ არის, რაიმე ახ-
ლი თქვა, არამედ თქვა ისე, თითქოს ახალს,
და მანამდე გაუგონარს ამბობ“. შოთა ნიშნიან-
ძის ლექსის მხატვრული და აზრობრივი ნაჭე-
დობის საილუსტრაციოდ მოგვეყვას „ფუტყარი“:

შენ ღეთის ფიქრი ხარ,
ფუსფუსა ფიქრი,
მაიბეველი ფიქრი კირკიტა.
გაბრუნებული სისიაკენ მიჰქრა,
რომ დაიბადოს აზრი ფიქრიდან.
თუ ჩემი სიტყვა
შერს ხედდარს გაიყოფს,
მართლაც მჭონია ქვეყნად სათქმელი:
იმპუე დიდი რა უნდა იყოს
კაცს თაფლი მისცე.
ღმერთს კი — სანთელი.

„ციხისკარი“ დაბეჭდილია ერთმა ლექსმა —
„მატარებლები და პოეტები“, შ. ნიშნიანძის
მუხის ახალი თვისება დაგვიანება; შეფარულა,
ნახევრადირონიული პოეტური პოლემიკობა
და ზოგჯერ აშკარა სატირელობაც:

მატარებლები და პოეტები?!
ეს შედარება რით გაეამართლოთ?
არის თავთავის შემოქმედებით

ზოგი სახალხო,
 ზოგიც საბარგო.
 ზოგი დიდ გზებზე გადის გრილით,
 ზოგი ჩინშია და ბეჭისის ელის.
 ზოგმა მსოფლიო შემოიარა,
 არც ავის არის,
 არც კარვის მოქმელი.
 ზოგი სინდისის წინაშე სცოდაეს —
 ბევრი უბია
 და შიამქს ცოტა.

ფრიდონ ხალვაშის ლექსები (№ 5) ვიეტნამში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზეა შექმნილი. ამ არის პოეტის ჟანსალი ტენდენციაც და თემატური აქტუალობაც. არის საღვთისო პრაბლემებიც და პოლიტიკური აქტივობაც — მაგრამ შედარებით მოისუსტებს ის, რასაც უბრალოდ პოეტურობა ქვედა. ერთი სიტყვით, ფრიდონ ხალვაშის სხვა კარგ ლექსებს გაცნობილ მკითხველს უფლება აქვს მეტი მოითხოვოს მისგან.

საერთო ჩინა და დახვეწილობაზე უფრო ლიტერატურული პროფილის მქონე პოეტების სახეებით იზიარებია „ციკლის“ ფურცლებადან ნაბი კლასიკისა და მეღვა კახაძე, ზურ ბოლქვაძე და მიხეილ ქვლივიძე. ხეტა გავა, ჟანსულ ნიქაძე და გივი მნელაძე. მათს მენტალებს პოეტურ ნიჭიერებას ასევე მენტალებს პროფესიონალური გამოცდილება დამატება და მკითხველს აბარებს მათი პოეტური გულწრფელობაც და თავიდანვე არჩეული შემოქმედებითი პრინციპებისადმი ჭიურთ ერთგულებაც.

საინტერესო მხატვრული მიგნებებით ხანათდება ლადო სულავერძის „ჩრდილოეთის ცალი“. ამ ციკლის ლექსებს ახალი სიო შეაქვს პოეტის თვითმყოფად შემოქმედებაში. „ნაფორზე“ დაწერილი ლექსის ადვილმისახვედრი აღგორიულობა მხატვრული განზოგადების საშუალებას იძლევა. ხოლო რაც შეეხება პოეტის მხატვრულ ხელწერას, მისი სახეები ეკლავ ასეთი ნათელი და ფერწერულია: — „და ამიფრინდა ცეცხლი, როგორც წითელი მამალი“.

ეკლავ ახალგაზრდული ტემპერამენტით და მგზნებარებით, თანამედროვე პოეტური სტანდარტებისთვის ფეხაწყობის სურვილითაა აღზევდილი ნეოლოზ ჩაჩავის ლექსები (ადამიანი, „გაფრთხილება“ — № 8).

არა მოგზაურული ილტაცებით, ან თვითმინური ეგზოტიკურებით, არამედ დაფიქრებელი მხატვრის დამაყრებელი პოეტური არგუმენტრებით ხასიათდება თეიმურაზ ჟანგულაშვილის ყარაჯალბაყეთის შთაბეჭდილებებით შექმნილი ლექსების ციკლი — „ქვონი“. ასევე ინტერესით წაიკითხავს მკითხველი შალვა ამისრულაშვილის და ზურაბ ლორთქიფანიძის ლექსებს.

ეკლავ უნდა გამოეყოთ ოთარ კელიძის ბალადა — „ორი მარაბდელი“. ისტორიული რომანტიკით შექმნილ ამ ბალადას ოთარ კელიძის ორიგინალური პოეტური ხელწერის და წარუღლის დიდებისადმი ავტორისეული მოწიწებით დამოკიდებულების ნათელი ევალი ანია. პოეტმა ორი სახელოვანი მარაბდელი — ნიკოლოზ ბარათაშვილი და არსენა ოძელაშვილი შემთხვევით შეახვედრა ერთმანეთს და მათს უსიტყვო თანაგრძობაში მათსავე მუხთალი ბედის მსგავსებას და უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებული „ყანაღისა“ და პოეტის სულიერ ნათესაობას გაუსვა ხაზი.

მორის ფოცხიშვილის „საბუბილეო კანტატა“ ახალგაზრდობისადმი, მისი მღვლარე ცხოვრებისა და შესანიშნავი მომავლისადმი მიმართული პოეტური ჰიმნია. ლექსის მკვეთრად გამოხატულ სამოქალაქო ელერადობასა და კანტატისებურ ექსპრესიაში გამეღაწეებულა პოეტის სუბიექტური დამოკიდებულება იმ თაობისადმი, რომელიც მორის, რომელსაც თუმცა თავისი მოქალაქობრივი სახე ჯერ მთლიანად გამოკვეთილი არა აქვს, მაგრამ უფელს წინაშე ერთი დიდი უპირატესობა გააჩნია — იგი მომავლია. მორის ფოცხიშვილი მამების მიერ განვილია დიდი და მძიმე ცხოვრების მხატვრული დეტალიზაციით მომავლის კაცს ცხოვრების სიმართლეში გაარკვევის ერთ საინტერესო გაკვეთილს აძლევს:

... და ეცნებობდი,
 ეზარზარებდი,
 დავრბოდი, ვხტოდი,
 ვმშვილობდი და შინითაც ვთროდი,
 ვთროდი, როდესაც ჟამბაზივით
 მიკრიალებდი
 ყოფნა-არყოფნის მაედურ მათულზე...
 და ბევრგზის მოეწყდი
 მე ამ მათულს,
 მაგრამ არ ვტირი,
 და სული სულ არ მინამცეცდება,
 ცას შევადუღდი კოსმონავტივით
 და გაეფანტე
 შვის ნაპერწყლებად.

კანტატის ლირიული გმირი მოსიყვარულე გულთ და ახალგაზრდობისადმი რწმენით აღჭურვილი პოეტია:

შენ მომავალი თაობაც დიდო,
 დიდი მიზნების ძეო და მკვიდრო,
 შენ უნდა ახსნა,
 შენ უნდა ზიოდო.
 ყველა იგავი, ყველა ზღაპარი,
 სხვა ჩანჩქერის ხარ,
 სხვა ნიაღვარი,
 სხვა ვენებით გასჭრი
 სულ სხვა კალაპოტს,

ოლონდ, ვახსოვდეს, —
სინათლედ ქვევის
ღეთისნიერ კანონს არ უღალატო!

ასეთია პოეტის მოწოდება და დაეღებაც იმ
თაობისადმი, რომელმაც ხეალ თნ ზეგ პლანეტ-
ტის ბედზე პასუხისმგებლობა უნდა იკისროს.

ვახტანგ ჭავჭავაძის „ცინკარის“ № 5-ში გამოქ-
ვეყნებული ლექსებით მის მიერ წლების გან-
მავლობაში დაკავებული და დამტკიცებული
„პოეტური საფლოს“ ერთგული რჩება. იგი
ნელა, აუტყარებლად, თავის შესაძლებლობათა
შეცნობითა და გათვალისწინებით ამკვიდრებს
პოეზიაში ვახტანგ ჭავჭავაძისეულ სახეთა გაღ-
რეს და თემატურურ სამყაროს, პოეტის ლექსის
თვალშისაცემი ნიშანი სათქმელის კონკრეტუ-
ლობა და ფილოსოფიური მასშტაბურობა.
ე. ჭავჭავაძის ლირიული გეროდი განწყობილ-
ებს ჩანახატის ფრაგმენტი კი არ არის, არამედ
ერთი დამთავრებული ამბავი, რომელსაც ადა-
მიანის ბედის, მისი არსებობის მიზეზისა და
მიზნის შეცნობით გატაცებული ხელოვანის
ფიჭრის კვალი ატყვია. მისი ლექსები მარტო
მხატვრული კი არა, სოფეტური მიგნებებითაც
არის საინტერესო. ლექსის კონკრეტულ აზრობ-
რივ ქსოვილში აბსტრაგირებულა ზოგადკა-
ცობრიული პრობლემა და იგი სრულიად ჩვეუ-
ლებრივ, მაგრამ შთაბეჭდვად მხატვრულ მასა-
ლაშია განსხეულებული, მაგალითად:

აღამიანი წარსულსა და მომავალს შორის
ცხოვრობს და ზუსტად დათვლილია მისა

დღეები:

მხოლოდ იმდენი დღე აკლდება კაცის მომავალს,
რამდენიც წარსულს ემატება. ბოლოს მომავლის
დღე უთავდება აღამიანს, მხოლოდ წარსულის
დღეები რჩება...

ჩვენ ამ მომენტს ვეძახით სიკვდილს.

მხოლოდ ასეთივე პოეტურ კონტექსტში, მხო-
ლოდ ასეთ მხატვრულ ფილოსოფიურ მიმარ-
თებაში რეალურსა და ირეალურ სამყაროსთან,
შეიძლება სრულიად ბუნებრივად მოგვეჩვენოს
პოეტის მიერ მკითხველისათვის ფიქსიარობის
გარეშე, პირში ნათქვამი მწარე სიმართლე:

ვინც ცხოვრობს მხოლოდ თავის თავისთვის,
იგი თავის თავს უყვდება მხოლოდ.

აქვე შევნიშნავთ, რომ ე. ჭავჭავაძის სრულიად
სწორი სურვილია საგანთა და მოვლენათა ჩვეუ-
ლებრივ მიმართებაში არაჩვეულებრივის, ამაღ-
ლებულის, პოეტურის პოვნისა, ზოგჯერ მასა-
ლის ერთსახოვან რელიეფში თვითმიზნურ
ჩხირკედელაობასა და წერილთშეიანობაში გა-
დადის. მაგალითად თავისთავად საინტერესო

პოეტური რაციონია ჩადებული საათებზე დაწე-
რილი ლექსის ექსპოზიციამტკიცებულში
შეკლავილია

...პეჭრეფერ დათვალე — სამოცი
თუ სამოცდაათი —
მაჯის და ჭიბის, მაგიდის და კედლის საათი,
სღუმდნენ ისინი, მალღებოდა მიწა ზეცამდა
შე მათ ვეძახი მკვდარ საათებს, დღხანს
ვეძახდა...

ხოლო ამავე ლექსის ფინალი გულუბრყვი-
ლო და პრიმიტიულად მარტივია:

ერთ ზაფხულს ზღვაზე წამიყვანეს
ზღვიდან ძალათა
ამომათრიეს, გადაამცვეს ხამის ხალათი,
გამოშცხადეს შუადლისას მკვდარი საათი
და ჩემი მკვდარი საათები უცებ გაიოცლდნენ.

ასევე ხელოვნურად და მოფამგალებულ-
პოეტური საყრდენების მქონედ, გვეჩვენება
თვითმიზნური ქარგა ლექსისა, რომელიც ამ
სტრიქონებით თავდება:

იმ დღეს
როდესაც შენ დაიბადე,
გარდაიცვალა აინტეინი.

ემზარ კვიტიშვილის ლექსი — „კიდევ მრა-
ვალჯერ“ (№ 8) ანტიციკლური აქტუალობით
გამოირჩევა. დღევანდელ მსოფლიოზე დაფიჭ-
რებულ პოეტს სურვილი აქვს პასუხი ვასცუპ
თანამედროვე ახალგაზრდა კაცის წინაშე წა-
მოჭრდეს უმარე კოხხვას. სურვილი აქვს ახსნა
მოუძებნის მილონთა ბედნიერებას თუ უბე-
დურებას. პრობლემათა სიმწვავე და მასშტა-
ბურობა ამ ლექსის ყველაზე დიდი ღირსება.
ავტორი ჭეშმარიტი პოეტურობით ახერხებს
ჩვენი ეპოქის ტაიფური მხატვრული სახეების
თუ სიტუაციების შექმნას; მაგ.

ახლან იყო — ტელევიზორის
ეკრანს მღუმარედ მიგჩერებოდიოთ:
გულღამა იწეა ახალი მსხვერპლი,
თვალს ვერ ახელდა და მისი მაჯა,
გამქრალი მაჯა ეჭირა ეჭიმს...

ან კიდევ

...ცარიელ ქოხთან
ღვას ფურ-კამეჩი და შიშით უმზერს,
ლიანებს როგორ მარტლევს ტანკა...
მაგრამ აქვე უნდა შევნიშნათ, რომ „კიდევ
მრავალჯერ“ თავიდან ბოლომდე ემზარ კვიტი-
შვილის სხვა ლექსებისათვის დამახასიათებელ
ერთნაირი მხატვრული სიმღვირით როდი იყი-
თება.

რაც შეეხება სხვა ლექსებს, უნდა ითქვას, რომ ე. ვიტკოვილი კვლავ წარმოსდგება ჩვენს წინაშე თავისი მძაფრი პოეტური ალღოთი და ორიგინალური მხატვრის მარადეამს მძივებელი თვალთ.

— უკვე დრო არის, მოგვებნო უნდა და მოგვიტანო წითელი ვარდი
შენ ჩემი სიყვარულის სიზმრებში მუდამ პირველი თოვლის სინათლეს ჰკავდი...

ანზორ აბულაშვილის ეს სტრაქონები მისი ლექსების ციკლის („აბასთუმანი. შუე და თოკლი“) დასასასიათებლადაც კი გამოდგება. ასეთი სადა და გულწრფელი ახალგაზრდა პოეტის მუხა, ასეთი ბუნებრივი და უშულოა მისი ხასიათის პოეტური ინტერპრეტაცია. ანზორ აბულაშვილი კარგა ხანია გაიქცა ჩვენმა მკითხველმა და კარგა ხანია შეიმუშავა მის ლექსებზე დიდებითი აზრი. მისი ლექსების გარეგნულ სილამაზესა და განწყობილების მოჩვენებით სიმშვიდეს, დიდი მოთმუნის გვერდით ჩადებულა ის დუოკებელი სწრაფვა სიახლესაკენ და რუტინის მიშართ ზოგჯერ მრისხანე აფეთქებაც, რომელსაც ა. აბულაშვილი გარეგნულად ასეთი მშვიდი ფერებით ხატავს:

ჩვენ რასაც ცდივთ გონება ჯგერის...
გული იმ მაცდურ ბილიკებს მისდევს;
და სიამაყე, შინში თუ სისხლი
იბხოვდა მსხვერპლს და მიჰქონდა კიდევ.

ცალკე უნდა გამოვეყოთ ეურნალის მეთერთმეტე ნომერში დაბეჭდილი ტარიელ ჰანტიანის ლექსი „სტუმარი“. მე ვფიქრობ, იგი გასული წლის „ცისკრის“ პოეტური მოსაჯლის ერთერთი პირველხარისხიანი ნიმუშია და პოეტის შემოქმედებითი ზრდის ფრიალ სასიამოვნო დასატურთ.

ეს ლექსი გამოირჩევა უაღრესად აქტუალური პრობლემატიკით, რაც ლექსის ჰერტიკული ასე ხატოვანდა ჩადებული, თემატური აღმოჩენით, მასშტაბურობით. „მსოფლიო უსმენს უცხო ცივილიზაციის სიგნალებს“ — ეს ეპიგრაფი „სტუმრის“ ლირიული მონოლოგის მხატვრულ ვასალებს წარმოადგენს. სტუმარი, რომელიც ამ უცხო სიგნალებს უნდა მოჰყვეს, შესანიშნავი სიმბოლოა იმ ახალი კოორდინისა, რაც ადამიანთა სპეციალ სულის ეკთილმბა ნება ილდესმე მაინც უნდა მოიტანოს და დაამკვიდროს. ჩანალი ფსიქოლოგიზმით, თანამედროვეობის მკვეთრი ფერებითაა დასასიათებელი ჩვენი პლანეტა:

„და დედამიწა, — ვეება ტირი — სადაც გასროლა არა ღირს ძვირი, ვიდაცას ელს, ვილა-

ცას ეძებს, რადაცას ამბობს, რადაცას ეჭირს... უაღრესად საინტერესო მხატვრული სახეა!

„და ჰკავს მეოცე საუკუნე მონაწილეს ტრემელიც გულგრილად ამსხვრემს...“

დედამიწის ქაოტურ ვენებათა დედამიწის ფსიქიკის ლაბირინთულ სირთულესა და „შემოღობილი საშობლოების“ ჩიუტ სინამდვილეში ტარიელ ჰანტიანის შემოკავებს სხვა პლანეტიდან მოსული სტუმარი და მას ასეთ მრავალწახანგოვან კითხვას იძლევა: „იქნება მიხედვ, რით ანსხვავებენ მეომრისა და მგისრის ქულებს. რით განსხვავდება საკანი, კუბე, სასახლე, ციხე, კუბო და ყუთი; რით განსხვავდება საწყალ ძლოკვისგან ასპიტი, კობრა და ქაარაკი; რით განსხვავდება შხამა-სოკო არყისძირასგან; რით განირჩევა სოფლის საძვალე და საწინებოროდ მორთული კარდილი...“

ამ კითხვაში პოეტის მიერ პოტენციურად ჩადებული პასუხი ჩვენი ეპოქის საჭირბოროტო კითხვების მრავალ საინტერესო ახსნას იძლევა. ამ პასუხშივეა ზოგიერთ მტკივნეულ პრობლემზე მითითებაც („შენ რით გაარჩევ ჩემსას და სხვისას! შენ რას გიკვებ — რა არის ვიზა! შენთვის ერთია ქვეყანა მთელი: სინათლე მზისა, სიმალე ცისა!...“).

ლექსი იმედიანი პერსპექტიულობით და უაღრესად ხატოვანი სიმბოლური სურათით მთავრდება: „და დედამიწის მოძრაობის საპირისპიროდ შენს შესახვედრად გამოჩნდის ბავშვი“.

გვაქვს შენიშვნაც: ტარიელ ჰანტიანის ზოგჯერ ახასიათებს მხატვრული ფრანის ზედმეტად თამამი და სერუბულოზური გაშეშელება (მაგ. „შიადე სივრცეს მუცელზე ყური — დედის საშოში ნაუოფი იძრა“) რაც, სხვა არა იყოს რა, ყურს ეხამეშება.

ამვე ერთ საკითხსაც უნდა შევეხოთ.

უშეტესობა ჩვენი ახალგაზრდა პოეტებისათვის ათმარცვლიანი ლექსით წერის, ლექსის ეს ზომა, როგორც ეტუობა, ლირიული განწყობის, მინორული რაციონის შემცველი მელოდიის გამოხატვის ყველაზე მომგებიანი ზომა, მაგრამ ჩვეთვის სრულიად გაუგებარია სხვა გარემოები; რატომ იცა ათმარცვლიანი შიორი ახალგაზრდა პოეტთა უშეტესობისათვის თითქმის ერთადერთ ფორმალურ საშუალებად? პასუხი ერთია: ბუნებრივი, ათმარცვლიანი ლექსი სხვადასხვა პოეტური ტემპერამენტის, ხასიათის, ფსიქიკის შემოქმედათვის ერთნაირად ორგანული არ არის და ზოგჯერ შედეგად ვლბულობით სტანდარტულ ყალიბში ძალად ჩატენილ სრულიად სხვა „პოეტურ“ მასალას.

ყური დაუვადლოთ ვალკატონის:

როგორც ნისლის ნამჭერი, ჩამავალ მშობი ნაფერი,
ელვარება ნაპირი სამუდამო მხარეში.

არ ჩანდა შენაბარი, ვერ ენახე ვერაფერი
კაც და მიუსაფარი მღვმარების გარეშე.

ამ სტრატეგიების კაცაფონიურად წყაობხეა არ
ხერხდება. აქ არის საოცრად მუსიკალური ში-
ნაგანი რიტმი და იგი სიმფონიური მელოდიუ-
რობით ენიეთება ლექსის საერთო განწყობი-
ლებას. ჩონჩხებისა და ჭიმერების სამუდამო
მხარეში მიიღინება მთელი სამყარო თავისი
ტივილებით და სიხარულით, თავისი სიყვარუ-
ლით და სიძულელით და დროის ამ მსახერა-
ვით ბრუნვის ჯადოსნურ წიაღს აკომპანიმენტი-
ვით მიჰყვება გალაკტიონის ეს დიდებული
ლექსი. იგი არის და არ არღვევს ამ მარადიულ
მღვმარებას; არის და არ იტრება ბგერათა პირ-
ველყოფილ პარპონიში მანერული დეტონაცია.
მაგრამ როცა ლექსის ხასიათი სრულად განს-
ხვავებულ მუსიკას ითხოვს, გალაკტიონი მარ-
შისებრად წერს:

მხარი მხარს, მხარი, მხარს
კალექტრავო მხარი მხარს!

და ორსავე შემთხვევაში „ეპოქის“ და „კა-
ციფონის“ ავტორი შეუდარებელი პოეტი —
კომპოზიტორია. მისი ლექსის პოლიფონია არ-
სად არ შორდება ლექსის რაციონალურ დატ-
ვირთულობას, არსად არ უარყოფს და არსად
არ არღვევს მას.

ახლავარდულ ქართულ ლექსს სწორედ ეს
რიტმის მონაცვლეობა აკლავ. ჩვენი პოეტები
ყოველგვარ მუხას ჩამოაკვამენ თავზე ეთმარც-
ვლიანი ზომის სახელდახელო ტერქს და სრუ-
ლადაც არ აწუხებთ ის გარემოება, რომ აღტ-
ყება და სინანული, მოწოდება და ყვედრება,
რიტორიკა და მედიტაცია ერთი პოეტური ლექ-
სიკით, ერთი ზომით და რიტმით არ გამოიხა-
ტება. ფორმის სტანდარტიზაცია 1968 წლის
„ციცკარის“ პოეზიის ყველაზე თვალსაჩინო სე-
ნია გვხვდება გამოჩაყლისავე ტარულ კანტე-
რის „პელაგუბი“ ამის ერთი სასამაწუნო მაგა-
ლითია. ლექსი დაწერილია საქართველოს ეთ-
ნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ უძველეს საო-
მარ ეტლზე. პოეტის ლირიკული ხედვა შორ-
დება ჩვენი წარსულის ძვირფასი რელიქვიების
პატრიოტულ აღქმას და საომარი ეტლის ბორბ-
ლების მაგიტორი ბრუნვიდან იგი სამყაროს
„ქელაქებურ“ უსასრულობაშიღვ აღის:

რამზისის ეტლი — წყვილი ბორბალი;
მზისა, მთვარისა — წყვილი ბორბალი
დღისა, ღამისა — წყვილი ბორბალი;
ეტლი ეამისა — წყვილი ბორბალი

ყოველ სტრატეგიაში გამოვრებული „წყვილი
ბორბალი“ თავისთავად ქმნის წრებრუნვისა და
მსვლელობის მუსიკალურ რიტმს და სწორედ

მაშინ, როცა სიმბოლური ეტლის დიდებული
ტრიალი ერთფეროვანი ტონალობის ძველთა-
ძველ მელოდიაში უნდა ჩაეჭრებინა ლექსში
უცერად აქვრებდება მისი დედამზისს მატობი-
ლი ხმა:

ცა კი — ხეთური და ურბარტული —
რა უცნაურად არის ქართული
მთა კი — ქართული და მშვენიერი —
რა გასაოცრად არის ძლიერი;
როგორი დენჭი;
ელეგანტური;
ასე მალალი ასე ქართული.

და შერე ისევ დროთა მეფეების სიმბოლური
ეტლის ბორბლების ტრიალი:

დაშლილი ეტლი — წყვილი ბორბალი;
მზისა, მთვარისა — წყვილი ბორბალი;
დღისა, ღამისა — წყვილი ბორბალი;
ეტლი ეამისა — წყვილი ბორბალი.

როგორც ვხედავთ, მარცვალთა რაოდენობისა
და რიტმის დროული მონაცვლეობით ლექსის
ავტორი საკმაოდ ოსტატურად გამოხატავს პოე-
ტურ ჩანაფიქრსაც და სათანადო მუსიკალურ
ეფექტსაც აღწევს.

ჩვენს ახლავარდულ პოეზიას, უპირველეს
ყოფლისა, ძიების კვალ უნდა აჩნდეს. ძიება
ერთნაირი ინტენსივობით უნდა იგრძნობოდეს
ლექსის ყველა კომპონენტში (თემა, პრობლე-
მატიკა, ფორმა). ზედმეტად მიგვიჩნია იმის შეხ-
სენება, რომ ტოლსტოის მხოლოდ მძიებელი
მხატვარი სწამდა; — თუ ხელოვნება ყველაფე-
რი იმთავ, ყველაფერი იცის და ახლა დამდგარა
და სხვებს ასწავლის — იგი მხოლოდ ერთობა,
იგი არ მოქმედებს და ამდენად საინტერესოც
აღარ არისო. — წერდა „მაქი მურატის“ აე-
ტორი.

• • •

1968 წლის „ციცკარში“ ორი პოემა დაიბეჭ-
და: გივი გუგუქორის „მეთხუთმეტე პალატა“
(№ 1) და რეზო ამაშუელის „მახილი“ (№ 6).

თანამედროვე პოემის ეანობობივი სახეცვლი-
ლება, მისი, როგორც ეპიკური ეანობის ლიტერა-
ტურული ეანობები ჩვენს ლიტერატურათმცოდ-
ნეობაში საკმაოდ პარადოქსული ეანობის საკა-
ნია და ამიტომ წინამდებარე სტატიაში ამ პოე-
მებს მოკლედ შევეხებით. იმ იმედით, რომ აღ-
ბათ სხვა დროს მოგვეცემა უფრო დიდი დრო
(და ადგილი) პოემის საკითხებზე ჩვენი მოკრ-
ძალეული შეხედულების გამოსათქმელად. აღე-
ნიშნავთ მხოლოდ ერთს — უკანასკნელი წლე-
ბის ლიტერატურულმა პრაქტიკამ დაადასტურა,
რომ პოემაში ლირიკის და ეპიკურის ხელოვ-

ნური გაერთიანება სასურველ შედეგს ვერ იძლევა, ხოლო მეოცე საუკუნეში შექმნილი მრავალი პოემის მხატვრულმა ანალიზმა ცხადყო, რომ პოემის გაგება როგორც ლექსად დაწერილი რომანისა, რამდენადაც მოქველდა, რომ პოემა, უპირველეს ყოვლისა, პოეტური ეპოსია და მის შინაგან დრამატიკულს (რომელიც ამავე დროს სიუჟეტი) უმთავრესად ლირიული მოტივები უნდა ასაზრდოებდნენ.

გვიგეგმვით პოემის სიუჟეტი ასეთია: ათასგვარი წვრილმანი და საზრუნავით, ხელოვნური წინააღმდეგობებით და ცხოვრების მძიმე წებობებით, ეგოიზმით და კროსვორდებით დაღლილი ლირიული გმირი პოემისა, მძიმედ დაავადდა. მისი ავადმყოფობის „ეპილოგის დამე“ დღეების გრძელდება. ოთხშენი სიყვდილის შავი ლანდები დაფარვებენ და სწორედ მაშინ, როდესაც ავადმყოფი „მანჭველიანი ღამის თათებზე“ იწევა და ღამე ძვალავით ღრღინდა, მასთან მოვიდა დიდი სიცოცხლე, რომელმაც სიყვდილის შავი ფარდა გადასწია. სიცოცხლე მოვიდა მოსიყვარულე შრომლების ცრემლიანი თვალებით, სასთუმალთან ჩამომვდარი ცილით, რომელსაც ავადმყოფის მაქა უჭირავს, მეგობრებით რომელთა მოჩვენებითი უღარდებობა რწმენას მატებდა... და კაცი გადარჩა. იგი დაუბრუნდა ცხოვრებას. ეს, ჩემს მიერ საკმაოდ შრომად გადმოცემული სიუჟეტი, პოეტის მიერ მაღალი ინტელექტით, მგრძობიარე ფერებითა და შესანიშნავი მხატვრული სახეებითა ხორცშესხმული. პოემა თავიდან ბოლომდე სულმოთქმული დამახებლობით იკითხება. თქვენ დაინახავთ ავადმყოფის დაბინდული გონების, მისი ხილვებისა და ქიშკრების შემზარავ სურათებს, დაინახავთ სიცივესამდგარი თვალების უაზრო სევდას და სინათლისკენ გაწვილ დაკრუნხულ ხელებს, დაინახავთ ერთგულსა და სათნო თანამეცხედრებს:

შენ ისევ იქვე, იქვე და ქსოვდა...
შენ მპირდებოდი წამალს უეპარს,
და ჩემი სულის გამოტყუებას
ღლის სინათლეზე დიდხანს ცდილობდი.

დაინახავთ უდიდეს მეგობრულ სიბოძს, რომელსაც ავადმყოფი ტკივილების „ბნელი გვირგვინიდან“ გამოჰყავს. ეს პოემა სიცოცხლის უკვდავების პიშია, იგი ქეშმარიტი პოეტური სახეებით ნათქვამი სამადლობელი სიტყვაა იმთ მიმართ, ვინც ჩვენს ცხოვრებას ილაშაუბს თავისი ყოფნით და ჩვენდამი ასეთი გულითადი დამოკიდებულებით. სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილი ათქმევენებს პოემის ლირიულ გმირს:

რა გველოდება? რა არის იქით,
სადაც მივდივართ და რას გვეწყობს უკვე
მე არ მსურს ახლა ამაზე ფიქრად...
რადგან ჩვენ მინც მივალთ იქამდის...

სიცოცხლის უკვდავება აძლევს პოეტს რწმენას ასე ომხანად დაამთავროს პოემა:

ისევ ჩამხედავს სულში ტყემალი
და წამოვდგები ქარის ხმაურზე,
გზებზე დაავით ეს ხერხემალი
მატარებლების ბარბალებს გაუძლებს...

გვიგეგმვით ამ პოემაში არის რამდენიმე ეპილოგიური და რამდენიმე აშკარად გაუგებარი პოეტური სახე (მაგალითად „ან მრავლობითი რიცხვის უინულზე უცხად ფეხი თუ კი დამისხლტა“, ან კიდევ „და სადგურების ფერმკრთალი შებნით განათებული შერ მომღვინდე“) მაგრამ ეს ყოველგვარი აბრბობიცი თუ სტილითი უხერხულობანი „მეოხუთმეტი პალატის“ მხატვრული ღირსებების ზღვაში — წვეთია.

ერთხელ უკვე გვქონდა შემთხვევა ჩვენი აზრი გამოვხატოქვა რეზო ამაშუელის პოემის „მახილი“ შესახებ, რომელსაც ამას წინათ, დამსახურებულად მიეკუთვნა საქართველოს ლენინური კომპარტიის პრეზია.

„მახილი“ ლირიულ-პუბლიცისტური პოემაა. მის სინტაქსის მხატვრულ ქსოვილში ფაქტის პოეტური მგრძობილობით და ზომიერებით ჩამოთვლილია თითქმის ბევრი ის ისტორიული პრობლემა და მოვლენა, რომელმაც ჩვენი თანამედროვეის სულერი წრთობისას გადამწყვეტი როლი ითამაშა. პოემა, მიუხედავად თავისი სამოქალაქო პრობლემათა თემატური მასშტაბობისა, შორსა დგას პანეგირიული თხრობის პლაკატური სიყალბისაგან. აქ რეალისტური კეთილსინდისიერებითა დახატული ის დიდებულ და მწიერ სინამდვილეს, რაც ჩვენს ცხოვრებას ახასიათებდა:

...დაერებულ და გამონაცვალ
ზამთრის ტანსაცმელს,
ამხანაგისგან მოწოდებულ
მცირე საუზმეს,
უძილო ღამეს
და ქალაქა ბავშვობას ჩვენსას,
უველა ჩვენგანმა
უნდა ვალი გადაუხადოს!

„მახილი“ ადამიანის უძლეველობის, რწმენის განმტკიცების ჟანალი პათოსით სუნთქავს:

მე ახლა ვდგავარ
მილიონ და
მილიარდ კაცში,

დამსახურე სამელამოდ ზემო სახელი!
რადგან შექმელი
მოპეტანა რწმენა შენამდე,
როგორც ნახსენები გარდვიგარდმო
გადახსნილ მკერდზე,
რადგან შექმელი
შემნახა დრომად ქვეული
ქვეშაობითა,
მოხევილი მამათა სისხლით!”

რაც შეეხება „ძახილის“ რამდენიმე უმნიშვნელო ნაკლოვანებას (ალაგ-ალაგ მხატვრულ კონკრეტულობას მოკლებული ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები, ალაგ-ალაგ სტილური შეუსაბამობანი, — მაგ. „და ცრემლიანმა გარდისახა მკერდზე შირყვარა“, ან „შევიდგი მხრებზე მრგვალი ლოდის გლევი სხეული...“) მათი გამოსწორება პოემის წიგნად გამოცემის დროს არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

* * *

ქართული ახალგაზრდული პოეზიის უახლეს ნაჯდში არის რამდენიმე გვარი, რომელთა შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ისინი საკუთარი ხმისა და სათქმელის თანმიმდევრული გამოკვეთით უკვე საიმედოდ დაადგინეს ქვეშაობითი პოეზიის წაგისტრალურ ხაზს. თუ ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენთვის მხოლოდ გამოუცნობი დაპირება იყო ლიტერატურაში ამ ახალგაზრდების გამოჩენა, დღეს ჩვენი თარგებზე აწევია მათი თითო-ორილა წიგნი, „ციკარის“ პერიოდულად სიახლოვებით უთმობს თავის ფურცლებს და მათი თანმიმდევრული მეცადინეობით თანდათანობით იყვეთება სახე იმ ახალ ლიტერატურული თაობისა, რომელმაც ზვენი პოეზიაში უნდა დაამკვიდროს რაღაც მისეული, — ხოლო ეს „რაღაც“ სხვა არა იქნება რა, თუ არა თავისებური აღქმა ჩვენი ეპოქისა, ორიგინალური პოეტური ფერების შეტანა ჩვენი თანამედროვის სულიერ ცხოვრებაში. გასულ წელს კი „ციკარის“ ფურცლებიდან გამოსული მათი პოეტური მოსაზრე ორიველი სიტყვივით ასე შეიძლება დახასიათდეს: თეთრ ლექსში სრულიად ორიგინალურად შეპირილი ფშური ინტონაციები და მაღალ პოეტურ კულტურასთან შენეოთული პირველყოფილი უშეალობა — ზეესი ხარანდელი (ფშური შვის ნაბიჯები).
ომახიან პოეტურ ხმასთან მჭიდროდ დაკავშირებული ლირიკოსის მგრძობიარე გლევი და მხვილი, პოლიტიკური აღღო — რეზო ამაშუყელი (პოემა — „ძახილი“) ქალაქური მოტივების ნათელი პოეტური სიმბოლიკა და ჯანსაღი ესთეტიზმი — ბაჰინა მინდუაძე (ციკლოდი „მამინე, მდინარე როცა ვიყავი“), სამოქალაქო პრობლემების ახლებური პოეტური ინტერპრეტაცია და შინაგანი ექსპრესიულობით აღბეჭ-

დილი რიტმი — დილაშ-ეუარდაა (სრული სიმღერა „მამის მოლანდებია“), თანმიმდევრობის მძაფრი განცდა და წარმართულ-მრეტურ ფერებში გამელანებულმა გარემოებების ძალის შქონე მხატვრული აზროვნება — ლია სტურუა (ეპიგრამა, 1968“), ლექსის აზრობითი სიღრმისაღმი მოჩვენებითი, ემპირიული უღარდებობა და საინტერესო პოეტური მგრძობილობა — ლია ჭავჭავაძე („ბესარიონ ნიკარაძის საფლავი უშვარდში“), გამჭვირვალე პოეტური თემატიკა, სავრძნობი ლექსიკური ლაკონიზმი — ტავე შეპურიშვილი („ცინც იუხილა თვალი ბუნებას“, „მრავალ მდინარეს შეეხარება“), ლექსის შთაშვებდავი სიუჟეტრობა და ამ სიუჟეტის მხატვრული პერსექტივისადმი ექთონისინდისიერ პოეტური დამოკიდებულება — იორამ ქვერტელიძე („ცხენი“, „მართლაც კარგია წყნარი დამე“), მკვეთრად გამოხატული სამოქალაქო — კომუნიკური პრიზმატიკა და ნათელი პოეტური ხილვები — ნოდარ ჯალაღონია („გვირის შშობელი“, „მომართვა დედებს“, „ძახილი“), მედიაციური ბასთან შენეოთული ერთეული ინტონაციები — თამარ ერისთავი („შეადლე თეძამე“).

გოგი ჩარკვიანის ლექსი იშვიათად გამოჩნდება ჩვენი პრესის ფურცლებზე, ამიტომაც მეთხველს საშუალება არა აქვს სისტემატურად აღევენოს თვალი მის პოეტურ ფორმირებას (რას სიჯიტიტობაც არ უნდა დაგვაშვიდობო რედაქტორებმა — ნ. ბარათაშვილი დაბეჭდილი არცერთი თავისი ლექსი არ უნახავსო, ჩვენ მიანც ჯიტირად ედგევართ იმ აზრზე, რომ ახალგაზრდა შემოქმედისთვის თანმიმდევრული პეზიოკაცია იყვეე აუცილებელია როგორც კოსმონავტიკის კოსმიური სივრცე — სადაც ამ უკანასკნელმა შშობილოერი ორბიტის მიღმა უნდა გომოსცადოს თავისი მოშაბდება, შეშართება, ცოდნა თუ ნერვების სიმარგე...) რაც შეეხება „ციკარის“ (№ 5) გამოქვეყნებულ გოგი ჩარკვიანის სამ ლექსს, ჩვენი ყურადღებას განსაკუთრებით აყარობს „ომი“. საინტერესო და მოსაწონია ის გარემოება, რომ ამ ლექსის ლირიკულ ემირს, რომელსაც ომის ბატალური სურათები უშეალოდ, თავისი თვალით არ უნახავს, როდი მიუშართავს სისხლისღვრისა დე „კატეშების“ გრილის ელბი წარმოსახვიდან გამოსაშობად. პოეტს მიანწია რომ მტრთან გზაზე ჩაელილი მწყურვალი ჯარისკაცის რაზმი უკვე თავისთავად არის ომი.

გზა იყო შორი, როგორც სიმშვიდე, ბავშვობა, სახლი, აღზრის შშობლის, და იყო ძნელი, როგორც შიშხილი, და გაჯღენილი სისხლით და ოფლით
ამას მოსდევს ჯარისკაცული ცხოვრებისთვის ზედმიწევნით რეალური ფრაზა:

და თან მღეროდნენ ჭარისკაცები
აღმათ სიმღერით ებრძოდნენ დაღლას...

ერთნაღმა კვლავ გავგახარა მის ფერცლებზე ჩვენი ახალგაზრდა მეგობრების გამოსვლით. თუ გვიო ალხაზიშვილის საინტერესო ციკლს — „ქარისკაცები“ გულწრფელი ლირიული ხატოვანების და მუსიკალობის კვალი ატყვია („გოგოს გვირა ალბლის ტოტი, თითქოს აპრილი ეკირა ხელში“), ალი გუგუციას ლექსები პატრიოტულ-პებლიცისტური პათოსით გამოირჩევა („შენს სიყვარულში ისე შეტბოვდნენ, რა-გვარც ადებულ ციხის კედლებში...“). ასევე დაამახოვრდება მკითხველს მერმან ჭვებერაძის, გრიგორ ჭვლებიძის, შალვა ჩიტიშვილის, ომარ დოხნაძის, ჭვამალ ინჯიას და გიორგი გიგაურის პირველი ლიტერატურული ნაბიჯები.

ახალგაზრდა პოეტი თედო ბექიშვილი თავისი ლიტერატურული დებიუტით კარგ იმედებს იძლევა. მისი ლექსების გაყნობით ერთნაღმა შეამჩნევთ ლირიკოსს შეგვებედრა. თედო ბექიშვილის ლექსი გამოირჩევა სრულიად ჩვეულებრივი ხილვების ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციისა და მკითხველის დამაფიქრებელი ალგორითების შექმნის სურვილით. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნათ, რომ თედო ბექიშვილიც ვერ აყდა მისი თაობის ზოგიერთი წარმომადგენლის საერთო ნაკლს: ეს გახლავთ განწყობილების ფრაგმენტულობა, რომელიც თანდათან თემატურ ამორფულობაშიც გადადის, ეს გახლავთ პოეტური ვაბედულების ნაკლებობა და ვიწროპირადული განცდების მხატვრულგანზოგადობას მოკლებული, ზედმეტადმოკრძალებული პოეტური დასურათება, ზოგჯერ თვითმიზნური ბუნდოვანება („...ისე ბუნდოვნად გრძნობდა სხეული დაეკვებულ იმხერის შეხებას“) და ზოგჯერ, პირიქით, პრიმიტიული სიციხადე („ამუკვირბა შიში თუ ეკვი, რომ არ ფიქრობდნენ მთები არაფერს“) აღარაფერის ვაპბობთ იმაზე, რომ ამ ნიშნური ახალგაზრდა პოეტის ლექსის რიტმულ-მუსიკალურ არქიტექტონიკას ემიგონეროს სუნე ასდის.

იღბლიანი დებიუტია „ციცკრის“ ფერცლებზე („ქაშნიკის“ რუბრიკით) დამწყები პოეტების — ბლათერ არაბულის და ვანო ჩხიკვაძის გამოსვლა. მათი სტრიქონების სინდლეს უშუალოდის და გულწრფელობის კვალი ატყვია. თუ ერთგან ბლათერ არაბული დაგაღონებთ ლიტერატურული რემინისციენციით შექმნილი ასეაი სტრიქონებით: „თუ რამეს შლიდი, თუ რამეს წერდი, მამულისათვის წერდი და შლიდი“... (იხ. ირაკლი აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა!“), სამაგიეროდ, სხვა ადგილას ჩვენი ახალგაზრდა პოეტი გავახარებთ ფორმის უბრალოებით და სიტუაციის ბუნებრიობით. მაგ. „მთაწმინდაზე ყვავიან ალუჩები“,

იგივე შეიძლება ითქვას ვანო ჩხიკვაძის შე-

სახედაც. მას, პოეტური ნიჭით უთოულ მომადლებულ ახალგაზრდას, ზოგჯერ გადასძლევს ჩვენს პოეზიაში უკვე დამკვიდრებულ კლასიკულ ეთქვი, მოდელ ქვეული რ. მ.) სტილისა და განწყობილების ცდუნება და ძალუნებურად ასეთ ემიგონერად განათებულ სტრიქონებს დაწერივნებს:

„...და უჩვეულო ხმაურის მერე
გადაათოტრებს დაღერემილ სახლებს.
და მერე ისევე წამოვა თოვა,
ერთდღის ნაბიჯით გაიბრძნს ბილიკს...“

„ამოკველავედით საევე ხეობებს
და კვირტებივით სედებოდა თოვლი...“
„...და ჩვენ ეიკოლით
ვილაყა მოვა
გულთან და მაინც იქნება შორი...“

ხოლო იქ, სადაც ვანო ჩხიკვაძის მუზა პოეტის სუბიექტური ხილვებისა და განცდების ამარა რჩება, როცა მის ლირიულ „მეს“ სათქმელი უნდნება და ის სათქმელი შესაბამისი რიტმისკენ უბიჯებს, ახალგაზრდა პოეტს ასეთი აუმღერეველი და სასიამოვნოდ მოსასმენი ლექსი გამოისდის:

წყალს მისდგომია ნაბირთან
შეყვარებული შეგლი.
აღმათ სიყვარულს დაპირდა
მოუსვენარი მთვარე.
ჩემს მხარზე ღამეს გაათევს
პებლა — შენი ხელი,
მერე ცისკარი აანთებს.
ზევის უღურჯეს თელებს.
მოიქცევიან წვიმები,
მოიქცევიან წყლები
და მერე თავდავიწყება —
გაღარეული წლების.
ჭერ კი მზე მღერის ალუიდან,
მზე მზე აბის და მზობბს,
აპრილით საევე ბალიდან
სიით წახვედი, თეო!

„ციცკრის“ ფერცლებზე თავისთავად პოეტური ქალური კდემით და ორიგინალური მხატვრული საღებავებით გამოჩნდნენ ჩვენი ახალგაზრდა პოეტი ქალები: მარი გველისაინი, იზა ორჯონიკიძე, თამარ ერისთავი, ნუნუ კერესელიძე, რუსუდან მკერველიშვილი, ბელა შალვაშვილი და ლალი ჭაფარაშვილი.

• • •

მე დიდხანს, ძალიან დიდხანს ეფიქრობდი იმის შესახებ, თუ რა უნდა შეთქვა ჩემი სტრიქონი იმ ნაწილში, რაც აღმათ, უფრო, საინტე-

არსო იქნებოდა, როგორც თვით ცისკრის ავტორთათვის, ისე ჩემთვის — კრიტიკოსისთვის. „ცისკრის“ პოეზიის ნეგატიურ მხარეზე მოგახსენებდი, და სიმართლე გითხრათ სწორედ ამ გამიჭირდა ყველაზე უფრო.

1968 წლის „ცისკრის“ პოეზიაში მე ვერ ვნახე ახალგაზრდული სითამამის, გამოუდგელობის, ზორკლიანობის კვალი. ისინი კი, ვისი გვარიც პირველად გავიგონე, საოცრად წესიერი, დაეარცხნენ და სალონის მანერებით დამშვენებულნი ჩანან პოეტურა „ცისკრის“ ფურცლებიდან.

„ახალგაზრდა ნიჭში არის რაღაც გულუბრყვილობა და სითამამე, რაც მოგვაგონებს ბავშვობის სიღამაზეს და მის ბედნიერ გულგრილობას იმ პირობითობათა მიმართ, მომწიფებულ ახალგაზრდას ადამიანებს ტვირთად რომ აწევს.“ — უთქვამს ე. დელაკრუას.

„სითამამის გარეშე ნიჭი წარმოუდგენელია“ — წერდა გოეთე (ეს ციტატები მე სადღაც წაკითხულიდან კი არ გამახსენებია, მე სპეციალურად ვეძებე ისინი, ახრისა და სიტყვის ტიტანებს თუ აქვთ მეტი რამე ნათქვამი ლიტერატურულ სითამამეზე).

და „ცისკრის“ ფურცლებზე მე ვერ ვნახე, ან უფრო სწორად ძალიან მკრთალად ვნახე, ის ახალგაზრდული სითამამე და სინედლე, რაც აუცილებლად უნდა მოეტანა ლიტერატურულ ეჭრნაღში ახალგაზრდა მუშების მოსვლას.

ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს რამდენიმე ახალგაზრდა პოეტი მოეროდა პოეზიის ტანარში თავისი ქალამნებით და ტყაუტუთი შესვლა, ახალი, „მოღერი“ ლიტერატურული სამოსი მოიზგო და ფიჭობს ასე უცუთესად გამოიუფრება.

ზოგიერთს მხრებზე კი, ბუკებზე და სახელოებზე საკმაოდ გაეყუთილა, ნახოვარი თუ გამოჩაყვალა ლიტერატურული მუდმივი შევნიშნე და ამან კიდევ უფრო შემაწეხა.

როცა კიდევ ერთხელ გადავიკითხე ეჭრნაღი, კვლავ დამეფულა ეს უქმარობის და დაუწყაუთფილებლობის გრძნობა, კვლავ უგუნებოდ გამოჩაყვალა ემაგონური სტრიქონების მტრთაღმა სიმორტემ, თითქოს ისევე იმ ნაღებზე მელოდის უკრავდნენ, სხვადასხვა ტონალობასა და ვარიაციებში. მაგრამ როცა საქმემ საქმე მოითხოვა, მე გამიჭირდა „ცისკარში“ შეპოვნა, დაღულარქნილი, აშკარად სუსტი, ზედმეტად ბუნდოვანი, უსივლოდ მომპეჭერი და უსაშველოდ ერთფეროვანი სტრიქონები.

სწორედ ამიტომ ჩემი ეს პატარა საყვედური მარტო თვით ავტორთა მიმართ კი არა, იქნებ თვით რედაქციის პოეზიის განყოფილების მუშაკთა მისამართითაც იყოს თქმული:

— „ცისკარი“ ახალგაზრდული ეჭრნაღია და ნუ აკეთებთ ისე, რომ მისი ყველა სტრიქონი კანონიერი ჩარჩოების უზუსტესი დაცვით, რა-

ღაცისა თუ ელდაის წინაშე ქარბი მოკრძალებით — ასე წესიერად და ერთნაირად იყოს დაეარცხნო და გალამაზებულ!

ახლა კი მინდა „ცისკრის“ № 2-ში დამბეჭდვლი ერთი კარგი ლექსი გავახსენოთ:

შემოდიოდნენ სახლში ტყეები
და ჯანკალბედი და გემპოდი...
დამეც კიოდა შიშით და ზაფრით
არაფინ იყო შუქის ამნთები...
დაბაზაბეზდნენ სახლში დათვები
და იღვა სუნი ვეღური თაფლის.
მერე გარბოდნენ სადღაც ტყეები
და ვიციწიოდი და გემპოდი.

...
გარეთ კი თოვდა და ის ოთახი
პავდა გალიას, ჩიტებით საეცეს.

მე მგონი არ შევედი, როცა ეს ლექსი კარგ ლექსად გავასაღე. არის აქ საინტერესო ჩანაფიქრი — ადამიანის სწრაფვა მარტობიდან და ოთახის სიმუქდროვიდან ტყეებისა და ვეღური თაფლისაკენ. არის აქ სულში ჩაბუდებულ ენის და სწრაფვა მოძრაობისკენ და სიცოცხლისკენ. არის აქ ლექსის პოეტური დრამატიზმი — მიზეზის გამო გალიის მსგავს ოთახს მიჯაჭვული კაცისა. მხატვრულ ქსოვილსაც ვერ დაუწუნებ, მაგრამ მე ამაჟამად ამ ლექსის სხვა მხარე მაინტერესებს; მე ვეკითხები მკითხველს, რომელსაც თვალი გაუღვენებია უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ქართულ ლიტერატურაში მოსული პოეტური ახალგაზრდობისათვის. როგორ ფიქრობთ, ვინ იქნება ამ ლექსის ავტორი? ოთარ ჭილაძე? ჯანსუღ ჩარკვიანი? ტარიელ ქანტურია? გივი გვეგუქორი? არც პირველი, არც მეორე, არც მესამე და არც მეოთხე. ამ ლექსის ავტორია ახალგაზრდა პოეტი ნოდარ ადუნიშვილი. მამ რატომ ჩაგვეცანის უფრო ასე უსაშველოდ ზემოთმამოთღვლილი ოთახი პოეტის ნაცნობი მელოდები? ზომ არ არის აქ ის რაღაც, რომელსაც ჩემზე უფრო მკაცრი კრიტიკოსი უბრალოდ ემაგონობას დაარქმევდა? არ ვიცი, იმ მკაცრ კრიტიკოსს ღმერთმა შეუნდოს, მე კი ეს „რაღაც“ ძალიან მაღიქვრებს და მაშინებს.

დაიბ, თუ არსებობს ლიტერატურული პრიორიტეტი, თუ არსებობს ორიგინალური ლიტერატურული სტილი და მანერა, მაშინ მე სრულიად არ ვამბობ რაიმეს უცნაურსა და პარადოქსალურს.

ჩვენს გულიანტყობას კიდევ უფრო ამაფრებს ის გარემოება, რომ ამ შენიშვნას, უმნიშვნელო გამოჩაყვლის გარდა, 1968 წელს „ცისკარში“ დამბეჭდილი ყველა ახალგაზრდა პოეტი გაიზიარებს.

№ 2-ში გამოქვეყნებულ მიხეილ ქვლივიძის სხვა კარგი ლექსების გვერდით (არც ერთი წუ-

თითა, „რეპორტაჟი რუსთაველის პროსპექტი-დან...“) უსუსურად მოიხანს „უკანასკნელი“:

წაიღა მამა.

მოკლე და სწრაფი

გამოთხოვება ჰქონდა შეილებთან

წაიღა დედა

და გაწყდა ძაფი

მშობელ სახლთან რომ მაკავშირებდა.

მერე სხვა გზებით წაიღენდნ სხვები

და მათი კვალი ქარმა წახვეტა...

და ბოლოს იმ გზით,

შენ რომ წახვედი,

ჩემთან მოვიდა სასოწარკვეთა...

ჩემთვის გასაგებია ყოველგვარი სევდა და სასოწარკვეთა, თუ იგი აღამიანური და თავისი ადამიანურებით ჩვეულებრივი. სევდაში თავისთავად არის პოეზია — წერდა ვეა-ფშაველა და ბუნებრივია ჩვენც მ. ქედივიძის ამ ლექსის ფილოსოფიურ გაზარებასთან არაფერი გვექნებოდა სადავო, რომ იქ სასოწარკვეთა პოეტის რაციონალური ან ემოციური ხილვებით იყოს მოტივირებული. ლექსით დახატულმა განწყობილებამ ჩემზეც (მკითხველზე) უნდა იმოქმედოს მიზნობრივად მიიწივ იმ ძალით, რა ძალითაც ვთარა მან პოეტის მხატვრულ აზროვნებაში. მეც უნდა დამაფიქროს, დამაეჭვოს, გამაზსენოს. „უკანასკნელის“ პესიმიზმი კი წმინდა სუბიექტური, თვითმიზნური პესიმიზმი, რომელსაც მკითხველის მსოფლგაგებასთან ცოტა რა აქვს საერთო. „წაიღა დედა და გაწყდა ძაფი, მშობელ სახლთან რომ მაკავშირებდა“ — სრულიად ჩვეულებრივი მკითხველი სულ სხვაგვარად ფიქრობს. მას ეჩვენება, რომ „მშობელ სახლთან“ დამაკავშირებელი ძაფი მშობლების ამ ქვეყნიდან წასულით კი არ უნდა გამწყდარიყო, პირიქით... მას, ეჩვენება აგრეთვე რომ სტრიქონები:

და ბოლოს იმ გზით,

შენ რომ წახვედი

ჩემთან მოვიდა სასოწარკვეთა...

ხელოვნურად დამძიმებული, დამაბნელებლად მეტი და რებუსურია.

ისეც დამწყები პოეტების თემას დაუბრუნდეთ.

რალაქ დაუჭარბებელი განსჯისება ხდება ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტის ხასიათსა და მისი პოეზიის ხასიათს შორის. მე თითქმის ყველა მათგანს ვიცი: გესაუბრება ქართულ დიდებულ აკოსოფეროში გაზრდილი ჯანმრთელი ბიჭი. ვესაუბრება ოქცენტრი, მაგრამ სრულიად ბუნებრივი აღქმებით, ხალასი და უშუალო ინტონაციებით. საუბარში ხშირად გაუჩვენებს ხალხურ ფრთხიან გამოთქმებს, აქა-იქ ხალხურ ლექსებსაც მოიშველავს მათი გენიალობის ხაზ-

გასამწვლად. მერე წაგაიხიბებს საკუთარ ლექსებს და დარცხენილ განზე გადავდება. მას ლექსებში ვერ აღმოაჩენ იმ სიტხლს, ვეუ წინედლეს, რომელსაც ასე კარგად ამჟღავნებს იგი. სხვა მიმართებაში და რომელიც მისი ბუნების უტყუარი ნიშანია. სამაგიეროდ ინებეთ საოცრად ნივლირებული წყება აზრთა და გრძნობათა, მოსაწყენად ერთნაირი განწყობილება, ვამალოზიანებლად ერთფეროვანი ლექსიკა, სააბურში გამოყვანილივით უფერული კონცლომერატი მხატვრული სახეებისა, რომელთაც ძალიან ცოტა კავშირი აქვთ იმ უზომოდადესსა და უმთავრესთან, რაც უნდა ასაზრდოებდეს უოველი ჩვენთავანის პოეტურ ფორმირებას — ქართული სინამდვილე. ჩვენი უბაღლო ხალხური პოეზია, ქართული კლასიკური ლექსის გრანტიცებური კანონიკურობა. ყველა ყველა და საქმეში ჩახედულმა მკითხველმა ზომ იღოს, რომ ჩვენი ახალგაზრდა პოეტები სინამდვილესი ასე არ აზროვნებენ, რომ ის სტრიქონები თუ სახეები (მე ძალიან მიჭირს მათი ასეთად მონათლარ. მ.) მხოლოდ ლიტერატურული რემინისცენციება და სხვა არაფერი: კითხულობ და გამოკანებებით დაბურდული სტრიქონიდან ასე წარმოიღვენ მის ატროს: ეს გახლავთ საყვლოაწული, თამაშვებული ესთერი, რომელსაც ზორბისსფერი მზის და თვის ბუღელის სენიკი არ ასდის, არამედ შემაბანდში აზიზად გაზრდილს, ყვრიმალეზზე ყველაზე წერალი ძარღვიც კი უჩანს და ხელში რომელიღაც უღრამაგრძნობიარე სენტიმენტალისტის სევდანი და დაბინდული ცისფერი წიგნი უჭირავს. სინამდვილესი კი ამ „თეთრი ქარების“, „თეთრი სიზმრების“ და „თეთრი სადამოების“ მიღმა დგას სინამდვილე — სრულიად ნორმალური და ჩვეულებრივი შენი თანატოლი.

„ცისკარი“ ჩვენი ახალგაზრდული ლექსათვის დამახასიათებელი ე. წ. ინტელექტუალური“, რთულსაბოვანი და ღრმადღირიული ლექსების წყაროთა (რომელთაც ხშირად სტრიქონებშუა წაიხიბავ ენდა), ზოგჯერ აშკარად პრიმიტიული, ყალბ და გულუბრყვილო ლექსებსაც ვხვდებით. ამის მშვენიერი მაგალითია გურამ კლდიაშვილის „ჩემი ყრმობის ალავო“. „რაკი აღტაცება თვითონ ხანმოკლეა, იგი დიდსა და მუდმივს ვერაფერს შექმნისო“ — ფიქრობდა ბუშკინი და სწორედ თავისი მშობლიური ქალაქით მხატვრულ სარჩულს მოკლებული აღტაცება ამ ლექსის რაციონალური ქარგა, სხვა დანარჩენი მასში მხატვრულ კონკრეტულობას მოკლებული და გაუცეოილია მავ,

„ასე ხშირად რომ დავდივარ, როგორ ფიქრობ, დარდი მაქვს?! არა... მხოლოდ იმიტომ რომ მეტყობს შენი მიღამო,

მინდა შევამ შენთან ვიყო
შევამ შენთან ვიღაფო,
ჩემი ყრმობის ალაგო და
ჩემო კობა მიღამო...“ და ა. შ.

ამ „პოეტურ“ ფრაზას მგონი კომენტარები არ
ჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი პირ-
ველ პირში ლამარკობს, მისი დამოკიდებულებ-
ბა მშობლიური ქალაქისადმი და ამ დამოკიდე-
ბულებით გაპირობებული მხატვრის სუბიექტურ-
რი მსოფლგანცდა უღმობლად შეუჭამია ხელ-
მოკარგული სახალხო მთქმელის სტრიქონებით
აჩვენებდა და მთქმარების მომგვრელ
შაბლონს. „მეტკობს შენი მიღამო“ — ამის
ერთი სანიმუშო მაგალითია, ხოლო „მიღამოს“
ხართით დაზადებული აზრსმოკლებული მო-
ღვენი სტრიქონი „შევამ შენთან ვიღაფო“
(ხოში ცნობილია, რომ მიღამოსთან არ დავა-
ბენ რ. შ.)—მეორე სანიმუშო მაგალითი; ფრაზის
დასასრულს უმწეოდ გამეორებული „ჩემო კობ-
ტა მიღამო“ კი პოეტური უსუაურობის შესაძე
სანიმუშო მაგალითია, რადგანაც ავტორის მიერ
ამ ლექსში მრავალჯერ გამეორებული „მიღამო“
— იმდენად ზოგადი და აბსტრაქტული საგანია,
რომ მკითხველის მხატვრულ ასოციაციაში იგი
მხოლოდ ამოუხსნელი რეზუსის კვალს თუ და-
ტკვეს.

იმა ორჯონიკიძემ ჟურნალში მხოლოდ მკე-
ნისოდ ლექსი გამოაქვეყნა ჩვენი ლიტერატურ-
რული უფრანდების ფერკლებზე, ჟურნალშით,
რა თქმა უნდა, ნადრევია ლაბარაკი, მის პოე-
ტურ მესა თუ ორიგინალურ ხელწერაზე, მაგ-
რამ ერთი რამ მაინც შეიმჩნევა, განსხვავებით
სხვა ჩვენი პოეტი ქალებისაგან, იმა ორჯონი-
კიძის პოეტურ აზროვნებას კარბმესამჩნევი ქა-
ლკის კდემისა და ნახეარკონური ინტოა-
ციისაგან განათვისუფლები ტენდენცია ეტყუ-
ბა. ეს პოეტური სითამავე ზოგჯერ სასურველ
შედგეს იძლევა (მაგ. „დამიხასოვრე, ხეალ ასე-
თი აღარ შეგხვდები, ხეალ თამამ სხივებს ჩემს
თითებზე მოკდრეკ ბემდებალ) ზოგჯერ კი აშ-
კარა ერთკველ სიმბოლიკასა და ნაზი ლირი-
კისათვის მიუღებულ, გამიშვლებულ სახეობ-
რობაში ვადადის. ალბათ მკითხველს უხერხუ-
ლობის მერტს ვერაფერს განადევიერებს „დაბა-
დების“ ლირიკული გმირის (ქალწულის რ. შ.)
პირიდან ამოსული ასეთი სტრიქონები:

დათვლილ წამებს გააქუო ჩრჩიალი,
კაკლის გულვით თეთრია და სუფთა საფენი,
ზალახს რძე უფლის,
და უკრეფი ბალი წრიალებს...
და წიღოშისათვის კარდახსნილი
ჩანს ყველაფერი...

თუ ვინა კვლადიას „ნუ დამანახებ“ საინ-
ტერესო ლექსია თავისი თემატური ღერძით და
მხატვრული კონსტრუქციით, სამაგიეროდ შეო-

რე ლექსი („უნდა გაბრწყინდე“) შესანიშნავი
ნიმუშია იმისა, თუ როგორ არ უნდა აზრო-
ვნებდეს ახალგაზრდა პოეტიკი ჩრჩმელსავე. გან-
ნია თავისი ნათვქრისა და ნახაზრეკის მშვეტერ
ღორმამი გადმოცემის საკმაოდ კეთილშობილუ-
რი სურვილი და სათანადო უნარიც, მთლიანად
მოვიტანოთ ეს ლექსი:

უნდა გაბრწყინდე, უნდა გაბრწყინდე,
და გაღმომხედო, ცაო, მაღალო.
ასე უეცრად არსად წაივდე,
და გაანათე კვლავ ეს საღამო.

უნდა გაბრწყინდე, უნდა გაბრწყინდე,
და გამიხსენო ამ თეთრ ღამეში...
ასე უეცრად არსად წაივდე,
უნდა ჩაგხედო ისევ თვალეში.

რა თავისატეხური ჩახლართვია რაციონალუ-
რი სიბრტყეებისა, რა უმწეო გამოხმობაა ემო-
ციებისა ნაძალადევი პოეტური არსენალის
ცხრაკლიტულიდან. რა განუცდელი, გულსმოუ-
კარებელი განწყობილებაა, რა უსარგებლო წა-
ხირია სიტყვებისა, რომლებიც ამ ლექსში მკე-
ლით ჩატენილს ჰგვანან. დიახ ეს „ლექსი“ თავ-
ვისი „ფსევდონიტელექტუალური“ წოდებითე-
ბით და უმიზნო მრავალწერტილებით უფრო
გამაღიზიანებელია, ვიდრე სხვა დამწყები პოე-
ტის პრიმიტიული და თავისი პრიმიტიულობით
უპირეტენსით სტრიქონი.

ეფრნალის მეშვიდე ნომერში დაბეჭდილია
თენგიზ კაცუშაძის ლექსები. თენგიზ კაცუშაძემ
ჩვენს ლიტერატურულ პერიოდიკაში რამდენი-
მე საინტერესო ლექსი გამოაქვეყნა, მაგრამ
— მთები რომლებსაც ბინდი ევლვაბა შემ-
რადლებას იპყრობს თავისი პრეტენზიულობით.
მოვიტანოთ იგი მთლიანად.

მთები, რომელსაც ბინდი ევლება,
და თეთრ კიბებს კი შენი ვერხვები,
აჩქარებული მატარებლიდან
მიტოვებული ფქრით გეგები.
ბნელი, რომელიც შექმით გაიპო,
სინათლე თითქოს ნაცნობ ბაქნების.
და ღამე ნელა როცა წაილო,
მოშხიბლაობა უცნობ საგნების.
ეჭრება დიდი სიწმის ჩქერი,
იღვრება, როგორც ნიავის ტალღა,
ფუსფუსებს ყველა ბალახის ღერო
და უძირო ცა ცამციმებს მაღლა.
დიდო სიწმევე შენს დიად ლოდინს
გინახავ ისე, ვით მარცვალს ხეღლი,
ბუნლას წასულამდე ნათელი მთდის
და შეუშინველად იღვრება სულში.
და თითქოს ქარი ხერავს დარაბებს,
ისე მოვიდა მთების ხმაური,

ვერცხვების შრიალს ხსოვნა ალაგებს, გამთენიისას შენ რომ ჩაუღელი.

ეს ლექია სუსტია. ერთმანეთთან დაუკავშირებელი სტრიქონების ექსტენსიური ზრდა საქმეს ვერ შევლის ამ „ღვექსის“ დაუსრულებლად გაგრძელება შეიძლებოდა. ხელთ გვრჩება მხოლოდ ფრაზების აბრაკადაბრა და უბრალოდ ის, რასაც ბელისკი ლიტერატურულ „ჩაღის კიბეა“ ეძახდა.

გარდა ამისა, „ცისკარში“ აქა-იქ გვხვდება ელემენტარულ პოეტურ ნათებას მოკლებული და თავისი თვალშისაცემი ხელოვნებით პროვინციული ფრაზები; როცა სტრიქონებს სხვა არაფერი აქვთ საერთო, გარდა უერთიფორმეული და არც თუ სახარბიელო რითმებისა:

უცებ აღელდა პატარა ოცხე,
მზე გავემეფდა ამ უცხო კონცხე,
ფრთა გაუშლიათ ქვემოთ გუგულებს,
აქ კი — ზეკართან ეს ტყე გუგუნებს...

(ანზორ აბულაშვილი „აბასთუმანი, მზე და თოვლი“).

აქა-იქ გვხვდება ასეთი გაურანდავი სტრიქონებიც:

და მზე აღსაელის კარებს რომ აღებს,
გულდინჯად ხატავს მიწის აკვარელს.
(დიდარ ივარდავა — „სიმღერა მამულზე“, № 2)

მშრალმშობრიული, ემოციებისაგან დაცლილი ჩამოთვლა:

ბალახმრავალი და ბალახრბიანი,
ნადირმრავალი და მტავვეწყლიანი,
მთამრავალი და თეთროიღმანი,
მიწათ ყიხემრავალი.

(ილია ჭავჭავაძე — „ბალახმრავალი და ბალახრბიანი“, № 12). ძალიან შორეული და ამიტომ ხელოვნური შედარებები:

იღმა შეუღლის მცხუნვარება პერის ყანაში
ძველ ეგვიპტიდან ჩამოსული ოზარისივით“
(თამარ ერისთავი — „შუადღე თვისმზე“, № 3).

• • •

„შეიძლება იყო ძალიან ჰეივანი კაცი და არ გესმოდეს პოეზია. მიგანდეს იგი სისულელედ. რითმების ელარუნა ღინჯილად“. ამ სიტყვებით ბელისკიმ მთელი თაობები გააფრთხილა იმის შესახებ, თუ რაოდენი მოყრბალება სჭირდება მკითხველს პოეტურ ქმნილებებზე საუბრისას და კრიტიკოსთა უფრადლება მიაქცია იმასაც, რომ ყველაზე პროფესიონალური ლიტერატურული კამათიც კი სრულად ვერ გამოხატავს პოეტის ნაზრევის რთულ ნიუანსებს.

და მაინც, გაგზედავთ და ზოგიერთ ჩვენს ახალგაზრდა პოეტს ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვებს შეეახსენებთ: „ღროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭაა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მომვიდღესო; ღროა ჩაეიდღეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მღებარე აზრი თავის ცხოველ სურათები-სათვის“.



გასათვალისწინებელი უნიუზნები

„ჩვენ ყველანი ქართულ ენის ხმარებაში ცოდვილი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებასა არ იქნება მომატებული“.

ილია ჭავჭავაძე

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენს პრესაში რამდენიმე წერილი გამოქვეყნდა ქართული ენის სიწმინდის საკითხებზე. მშობლიური ენის შემდგომი განვითარებისა და დახვეწის საკითხებისადმი მწერალთა, მეცნიერთა და, საერთოდ, უოველი მოქალაქის ინტერესის ასეთი ზრდა იმის შედეგია, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ენის კულტურისათვის ზრუნვა სახელმწიფოებრივ საქმედ იქცა. სულ უფრო ფართოვდება ღრმა და მრავალმხრივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რომელსაც ენათმეცნიერების ინსტიტუტი და უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრები ეწევიან მშობლიური ენის ისტორიისა და სტრუქტურის, მისი ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის, სტილისტიკის პრობლემათა გადასაწყვეტად, სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიის შესაქმნელად, დიალექტოლოგიური მასალების შესაკრებად, სალიტერატურო ენის ნორმათა დასადგენად, მწერლის ენის თავისებურებათა შესასწავლად. ცნობილი ქართველი ენათმეცნიერების — გ. აბულდიანის, ვ. თოფჩიას, ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას ფუნდამენტურმა შრომებმა და ძველი თუ ახალი თაობის სხვა სპეციალისტთა გამოკვლევებმა, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ქართულმა მწერლობამ მტკიცე საფუძველი შექმნა ჩვენი ენის წინსვლისათვის. ამ ხუთი წლის წინათ წარმატებით დაგვირგვინდა დიდი ეროვნული საქმე — დასრულდა არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით შედგენილი რეატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემა, მეთხუთმეტი ახლახან მიიღეს ვ. თოფჩიასა და ი. გვიგინიშვილის საკმაოდ მოზრდი-

ლი „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ და სხვა.

და მაინც ენაში არსებობს კრულ-კრული ფორმები. ზოგი საკითხი ჭკრაც მოუგვარებელია. მათ შესახებ პრესაში ქვეყნდება წერილები. ასეთი წერილების გამოქვეყნება უთუოდ მხსნასაღებელია, რადგან მათში ბევრა ისეთი საკითხია დასმული, რომლებიც მწერალთა და ენათმეცნიერთა შეერთებულ ძალდონით უნდა გადაწყდეს.

ამჯერად მხედველობაში გვაქვს ქვრ. „მნათობის“ ზარშანდელ მე-11 ნომერში დაბეჭდილი პოლემიკური სტატია პატიცემული მწერლის ალექსანდრე ბეგაშვილისა. რედაქციის შენიშვნა გვაუწყებს, რომ ამ სტატიას დასაბუთებად მეც მივეცი რეკომენდაცია. ეს მართალია: **სტატიაში ბევრი სწორი მოსაზრებაა გამოთქმული და ამიტომ მისი გამოქვეყნება საჭირო იყო.** ეს სადავოდ არ მიგვიჩნია და არც მიზნად დავგვისაზრეს ვიკისროთ მსაჯულის როლი პატიცემულ მოკამათთა დავის გადაჭრაში, გვინდა მხოლოდ, მკითხველს თვალნათლედ დაეანახოთ, თუ რა აზრისა ვართ იმ ას შენიშვნაზე, რომლებიც ა. თაუაშვილის „ესიკარში“ გამოქვეყნებული წერილის ენას შეეხება. ამ სტრატეგიების ავტორი ამ ასი შენიშვნებიდან ზოგიერთ შენიშვნას არ იზიარებს. ამიტომ საჭიროდ მივიჩნით მკითხველს გავუზიაროთ ჩვენი მოსაზრებანი რამდენიმე საკითხის შესახებ.

უწინარეს ყოვლისა განვიხილოთ ქვემდებარისა და შემსამენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი. მოვიგონოთ ზოგი რამ წარსულიდან.

ძველ ქართულში ნარიან მრავლობითი დასმული ქვემდებარე შემსამენელს ყოველთვის ითაინებებდა რიცხვში, ებიან მრავლობითი დასმუ-

ლა ქვემდებარე კი ჩვეულებრივ არ ითანხმებდა. ცნობილია, რომ ძველ ქართულში სწორედ წართმეობითი მარცხით იყო გაბატონებული და მრავლობით რიცხვში დასმულ ქვემდებარესთან შემსახველოდ ამავე რიცხვში იდგა. უბიან მრავლობითი დასმულ ქვემდებარესთან კი შემასმენლის შეთანხმება „იწყება იმ შემთხვევებიდან, სადაც სახელობითი რეალურ სუბიექტად გვევლინება, მასთან უველაზე აქტიურ სუბიექტს, ადამიანს აღნიშნავს, შემდეგ კი ვრცელდება ისეთ მაგალითებზე, სადაც რეალური სუბიექტი ადამიანი არაა, მაგრამ ზნა მოქმედებითი გვარისაა; აქ ჯერ კიდევ გვაქვს რყევა, თუმცა განუყოფლობის ტენდენცია ნათელია“... (არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების მირითადაც ტენდენციები ქართულში: საქართველოს სსრ მეცნი. აკად. მოამბე, ტ. II, № 2, 1941, გვ. 253).

ა. შანიძისა და ლ. კვაჭავაძის ქართული ენის გრამატიკის მეორე ნაწილში (თბილისი, 1964) ნათქვამია, რომ „როცა უსულა (არაყოცხალი) საგნის სახელს ქვემდებარეა და მრავლობით რიცხვში დგას, შემასმენელი შეიძლება შეთანხმდეს მას რიცხვში და შეიძლება არა“.

ა) შეთანხმება რიცხვში უმეტესად მაშინ ხდება, როცა ზნა მოქმედებითი ან საშუალო გვარისაა, ან კიდევ მაშინ, როცა უსულა არსება გაპიროვნებულია და მას სულიერო (ყოცხალივით) მოქმედება მიეწერება...
ბ) როცა ზნა ენებითი გვარისაა, მაშინ შემასმენელი უმეტესად არ ეთანხმება მრავლობით რიცხვში დასმულ ქვემდებარეს, არამედ მხოლოდ ერთ რიცხვში ფორმით ეწყობა მას... ასეთ შემთხვევაში, მრავლობით რიცხვში შეწყობა იშვიათია“ (გვ. 23).

საკუთარი თითქოს ნათელია, მაგრამ ვასათელისწინებელია ერთი შეტად მნიშვნელოვანი გარემოება: „ნათარგმნი ლიტერატურა აძლიერებს სახელობითთან ზნის შეთანხმების ტენდენციას: მეცნიერული თუ მხატვრული ლიტერატურა ითარგმნება ისეთი ენებითად, სადაც სახელობითი ქვემდებარეა და ზნა მას ეთანხმება უცილობლად“... (არნ. ჩიქობავა, დასახელებული შრომა, გვ. 201). ეს ტენდენცია დღევანდელ ქართულში შეტად ძლიერია და სალიტერატურო ენაში ქვემდებარე-შემასმენლის რიცხვში შეთანხმების წესების დარღვევის უმატარესი მიზეზიც არის.

აქ ჩვენ „წესები“ ვახსენეთ. იქნებ ზედმეტი არ იყოს, შეითხველს შეეახსენოთ ეს წესები:

1. უბიან მრავლობითი დასმულ სულიერი საგნის აღნიშვნელ ქვემდებარეს შემასმენელი მრავლობით რიცხვში შეეწყობა: ბავშვები თამაშობენ; ხარები მიდიან; ჩიტები გალობენ; ბუზები ბუზიან; ჰიანსველები ფუსფუსებენ...

2. უბიან მრავლობითი დასმულ უსულა საგნის აღნიშვნელ ქვემდებარეს შემასმენელი

მხოლოდით რიცხვში შეეწყობა: სახლები ფვას; ავტომობილები მიტრის; მდინარეები აღიღდა; ფოთლები ირხვებ; ზეაგები ჩამოწვიან.

3. პერსონიფიკაციის შემთხვევაში დასახელება უსულა საგნის აღნიშვნელ ქვემდებარეს შემასმენელი მრავლობით რიცხვში შეეწყობა: ახველებიან ხეები; ყვავილები სიცილით იხოცებოდნენ; მაგალითები მოწმობენ...

4. წარიან მრავლობითი დასმული ქვემდებარე შემასმენელს მუდამ ითანხმებს რიცხვში: წალნი წაველენ და წამოვლენ, ქვიშიანი ღარხებიანო; კლდენი ბანს ეუბნებიან; შორანი მნათობნი მოკამკამენი იმ მწუხარ ღამეს მზიარელობდნენ... (უფრო დაწვრთვებით იხ. ჩვენი „ქართული მართლწერა“, 1965, გვ. 121-124).

შეითხველი თუ ამ თვალსაზრისით მიუდგება ალ. ბეგაშვილის მიერ ა. თაყაიშვილის წერილიდან (იხ. „ციცკარი“ № 4, 1966 წ.) მოყვანილ მაგალითებსა და შენიშვნებს (სულ ისი შენიშვნა), თეთონვე მიხვდება, როგორ უნდა დაიწეროს: მაგალითები გვიჩვენებენ თუ გვიჩვენებს (22-ე შენიშვნა; იხ. კიდევ 78-ე შენიშვნა), ფორმები ივლენენ გზას თუ ივლენს 32-ე შენიშვნა), ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თუ განსხვავდება (48-ე შენიშვნა); შესიტყვებანი გადმოსცემენ თუ გადმოსცემს, ერთეულები აძლიერებენ თუ აძლიერებს (მე-100 შენიშვნა) და სხვ.

ახლა განვიხილოთ წინადადებაში შემასმენლის ადგილის საკითხი. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხი ამომწურავად შესწავლილი არ არის. გამოკვლევებში, რომლებიც შემასმენლის და, საერთოდ, წინადადების დანარჩენ წევრთა ადგილს ეხება, განაალიზებულია ან ერთი რომელიმე მწერლის, ან მისი რამდენიმე ნაწარმოების, ან სხვადასხვა ავტორის რამდენიმე თხზულების ენა, ამასთან უველა სახის (მარტივი, შერწყმული, რთული ქვეწყობილი, თანწყობილი) წინადადება როდია ყოველმხრივ გამოკვლეული. მაგრამ მოპოვებული მასალაც და მიღებული დასკვნებიც იმის საფუძველს იძლევა, რომ საველდებულოდ ამ მიზნით უველა შემთხვევაში შემასმენლის უკანასკნელ ადგილზე დასმა. შემასმენლის ადგილს სხვა მომენტებთან ერთად წინადადების ემოციურ-სტილისტიკური ელფერი განსაზღვრავს ალ. ბეგაშვილის ზოგ შენიშვნაში, რომლებიც ა. თაყაიშვილის იმავე წერილის ენას ეხება, ურთადადება სწორედ შემასმენლის ადგილზეა გამახვილებული; ავტორი მართებულად მიიჩნევს დაიწეროს „მაშინაც ცდება“ და არა „ცდება მაშინაც“ (მე-9 შენიშვნა), „აქადმიერთი ტონი იქიდანაც ჩანს“ და არა „ჩანს იქიდანაც“ (მე-19 შენიშვნა) და ა. შ. (იხ. კიდევ მე-15, 31-ე, 33-ე, 61-ე, 62-ე, 63-ე, 64-ე, 65-ე და 66-ე შენიშვნები). ამ წინადადებებში ავტორის შემასმენელი ბოლო ადგილზე გადააქვს, რაც არ არის სავალ-

დებულო, აუცილებელი. დასახელებულ მაგალითებში შემსამენელი შეიძლება იქაც იყოს, სადაც ა. თაყაიშვილს უწერია, და იქაც, სადაც ალ. ბეგაშვილი ვადაქვს.

რამდენიმე შენიშვნა მე-6, მე-20, 53-ე, 87-ე, 96-ე) ეტება წინადადების სხვა წევრთა (პირმომართი დამატების, უბრალო დამატების, გარემოების...) აღვილს. მაგალითად, წინადადებას — „...აღწერითი ფორმების გაჩენა ენებში დღესაც ჩვეულებრივი პროცესია“ — ალ. ბეგაშვილი ასე ასწორებს: „ენებში აღწერითი ფორმების გაჩენა დღესაც ჩვეულებრივი პროცესია“ (მე-6 შენიშვნა). შეიძლება წინადადების წევრებას სხვაგვარადაც დაველოკებინა, ვთქვათ, ასე: „დღესაც ჩვეულებრივი პროცესია აღწერითი ფორმების გაჩენა ენებში“, ან ასე: „დღესაც ჩვეულებრივი პროცესია ენებში აღწერითი ფორმების გაჩენა“, ან ასე: „ენებში აღწერითი ფორმების გაჩენა ჩვეულებრივი პროცესია დღესაც“, ან ასე: „აღწერითი ფორმების გაჩენა ენებში ჩვეულებრივი პროცესია დღესაც“ და სხვა.

და წინადადებათა სინტაქსური ანალიზი დაგვიჩვენებს, რომ ყველა შემთხვევაში ჭერ ან ქვემდებარე და მისი ამხსნელი სიტყვებია, რომელთაც შემსამენელი და მისი ამხსნელი სიტყვები მოსდევს, ან — პირიქით. ჩვენთვის საინტერესოა წინადადებაში ქვემდებარეა გაჩენა, მისი ამხსნელებაა ფორმების და ენებში, ხოლო სიტყვა ფორმების ხსენა აღწერითი. ამგვარად, მივიღებთ სინტაგმებს: ფორმების გაჩენა, ენებში გაჩენა (ან გაჩენა ენებში; შეიძლება ენებში ჩნდება და ჩნდება ენებში), აღწერითი ფორმების. შედგენილ შემსამენელთან დაკავშირებულია ორი სიტყვა: ჩვეულებრივი და დღესაც. ამის შესაბამისად გვაქვს ორი სინტაგმა: ჩვეულებრივი პროცესია და დღესაც პროცესია (ან პროცესია დღესაც). ასე რომ, ზემო ჩამოთვლილ წინადადებათაგან გრამატიკულად არც ერთი არ არის შედარად და რომელს აირჩევს, ეს ავტორის საქმეა, ე. ი. სუბიექტური სტილის საკითხია, საერთოდ, „სიტყვათა თავისუფალი თუ სავალდებულო წყობა... სტილისტიკის საკანია“ (ან. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 317). ენობილია ისიც, რომ „ართუ ორი მწერლის სტილი არ არის ერთი და იგივე, ორი მათემატიკოსის „ენაც განსხვავებულია ხოლმე“ (იქვე). მაშ, რად უსაყვედუროს ერთმა მეორეს: მაინც და მაინც ასე უნდა დალაგო წინადადების წევრები და არა ისე, რომ გარკვეულ დაგილაგებიათ?

ის, რაც ამ შენიშვნის შესახებ ვთქვით, შეიძლება გავიშვროთ მე-20 53-ე, 87-ე და 96-ე შენიშვნების მიმართ (87-ე შენიშვნა იგივეა, რაც 96-ე. გაუგებარია რატომ არის გამოტოვებული). მაგალითად, წინადადება — „ასეთი პარალელური წარმოება ყველა ენის უძველეს

ეტაზე ფაქტია“ — გასწორებულია ასე: „უძველეს ენის უძველეს ეტაზე ასეთი პარალელური წარმოება ფაქტია“ (მე-20 შენიშვნა); „რატომ? ერთიც შეიძლება ითქვას და შორიკც... ამით არაფერი დამაშვდება. ან კიდევ რატომ უნდა დაწეროთ მაინც და მაინც: „იგი დაუნდობლად ებრძვის დედაენაში ყოველივე უცხოურის შემოტანას“ და არა „იგი დაუნდობლად ებრძვის ყოველივე უცხოურის შემოტანას მშობლიურ ენაში“ (53-ე, შენიშვნა). გამოთქმა „მშობლიური ენის“ ხმარება არავის აუტყობია, იგი ფაქტობრივია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც“ (იხ. ტ. V); ეს — ერთი, ხოლო თუ წინადადებაში სიტყვა „დედაენის“ წინ გადავსვით, მაშინ ხომ შეიძლება ასეთი წინადადება იმავე მიზნით დაეწერათ, რითაც დაწუნებული იყო „ენებში არის პროცესი“ (იხ. მე-6 შენიშვნა). მაგრამ საქმე ის არის, რომ „მშობლიურ ენაში“ იქაც შეიძლება იყოს, სადაც ა. თაყაიშვილს უწერია, და იქაც, სადაც ა. ბეგაშვილი მის ნაცვლად „დედაენას“ მიუჩენს აღვილს.

ან კიდევ წინადადება — „შემსამენლის ადგილი წინადადებაში არ იყო მკვიდრი და ამჟამად მისი სავალდებულო ხმარება წინადადების ბოლოს ისტორიულად გაუმართლებელია“ — ასეა შესწორებული: „წინადადებაში შემსამენლის ადგილი არ იყო მკვიდრი და ამდენად წინადადების ბოლოს მისი სავალდებულო ხმარება ისტორიულად გაუმართლებელია“ (87-ე შენიშვნა). როგორც ვხედავთ, წინ არის გადასმული სიტყვები „წინადადებაში“ და „წინადადების ბოლოს“, მაგრამ ორივე წინადადება სწორია და, მასწავლებელს, სადავოც არაფერია.

რამდენიმე შენიშვნა ცალკეულ გამოთქმების შესახებ.

მე-7 და 54-ე შენიშვნებში დაწუნებულია წინადადებები, რომლებშიც გამოყენებულია სიტყვები „არა მარტო“. არის კი დასაწენი? ანალოგიური წინადადებები „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ პირველ ტომში „არამედ“ სიტყვის მნიშვნელობის საილუსტრაციოდ ილას და ვეას ნაწერებიდან არის დამოწმებული ის ადგილები, სადაც „არა მარტოც“ არის გამოყენებული: „ვეფხისტყაოსანი“ თუ არის უკუდავი, არა მარტო თავისი ფორმით, არამედ თავისი შინაგანი ლირსებებით“ (ილია). „ზომიერს ცხოვრებას ჰპაა არა მარტო პატარებისთვის ნდომობს, არამედ — დიდებისთვისაც“ (ვაჟა). ახლა მოვლევთ და მათაც ვუსაყვედუროთ, „ამ კონსტრუქციის ნაცვლად „ეი არა“ რატომ არ გიწერიათ? აკი ვთქვით: როცა ენაში პარალელური (სინონიმური) ფორმები არსებობს, მწერლის საქმეა, რომელს აირჩევს ის.

მე-10 და 34-ე შენიშვნებში შეცდომად არის ჩათვლილი ზედსართავი სახელი „არასწორი“

და მისი ვითარებითი ბრუნვის ფორმა „არასწორად“, ეს სიტყვა სალიტერატურო ქართულში არსებობს; მოიპოვება „არა“ - უარყოფით-ნაწილაკიანი სხვა სიტყვებით: არაგულწრფელი, არადადამავყოფილებელი არათანაბარი, არაიშვიათი, არასაკადრისი და ბევრი სხვა. შათ ენიდან ვერ განვლევნით. „არასწორი დასკვნა გამოაქვს“ და „მცდარი დასკვნა გამოაქვს“ ან „სწორი დასკვნა არ გამოაქვს“ არსებითად ერთსა და იმავეს ნიშნავს და არჩევანი დამწერზეა. უარს ვერ ვიტყვით აგრეთვე გამოთქმაზე „მიუხედავად იმისა“ ან „იმისდა მიუხედავად“ (მე-12 შენიშვნა). ქართულში ეს გამოთქმაც არსებობს (იხ. „ქართული ენის განმარტ. ლექსიკონი“, „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“), თუმცა მისი შეცვლა ზოგჯერ ისედაც შეიძლება, როგორც ალ. ბეგაშვილი გვთავაზობს.

„დასამალავს“ და „დასამალს“ (მე-11 შენიშვნა) თანაბარ ფორმებზე მიიჩნევს ორთოგრაფიული ლექსიკონი.

არსებობს ორივე გამოთქმა — „გეზი აიღო“ და „კურსი აიღო“ (მე-40 შენიშვნა). თავ-თავის ადგილზე ორივე სწორია (იხ. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სიტყვები: გეზი, კურსი).

ასეთია ჩვენი შენიშვნები.

შეიძლება აქ წერტილი დაგვესვა, მაგრამ

ძნელია დუმილით აეუაროთ გვირგვინი კამათია ტონს, ხომ შეიძლება მეცნიერულ საკითხებზე წესიერად ვიმსჯელოთ, საქმე ისაა, რომ დეიონი და იქამდე არ გავართულოთ, რომ ერთმანეთა გავექირდეთ, შეუტაცხვეთ? ბოლოს და ბოლოს, ორივე ავტორს ხომ დედაენის სიყვარული აღაპარაკებს? რა კარგად უთქვამს ილია ჭავჭავაძეს: „ჩვენს ყველანი ქართულ ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება?“ (იხ. სრული კრებული, ტ. 3, 1953 წ., გვ. 26). მაგრამ ამ ცოდვების ჩვენებისას არ უნდა დაგვაიწყყდეს ერთმანეთის პატივისცემა. მართალია, ოთარა-ანთ ქვრივი ამბობდა: „სიტყვა სამრეველი ხომ არ არის, — მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აჭეთ მისწიოს, ან იჭითო“, მაგრამ ეს ჩანგალი ისე მძლავრად კი არ უნდა მოეიჭნოთ, რომ გული საგულიდან ამოგლიჯოს, ან ეგრე დაეკოდოს, მისი გამთელება ველარ მოხერხდეს.

ენათმეცნიერები და მწერლები ხელიხელ-ჩაკიდებული უნდა იღვანენ შშობლურ ენის სიწმინდის სადარაჯოზე. მათი მეგობრობა და ამ დარგში ერთობლივი საქმიანობა დედაენის შემდგომი დახვეწის, გამდიდრებისა და სრულყოფის ერთ-ერთი დიდშინიშნელოვანი პირობაა.



პაპი წერეთელი თარგმანის შესახებ

XIX საუკუნის 60-იან წლებში ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ წინ წამოსწია თარგმანის საზოგადოებრივი ფუნქციის და მისი შესრულების პრინციპთა საკითხი. ი. ჭავჭავაძეს, რომელმაც გაბედულად გაილაშქრა ძველი თაობის უიდეო თარგმანთა წინააღმდეგ, გვერდში ამოუდგინა ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი და სხვ.

ა. წერეთელმა თავის კრიტიკულ წერილებში განსაზღვრა არა მარტო თარგმანის საზოგადოებრივი ფუნქცია, არამედ ჩამოაყალიბა მეტად მნიშვნელოვანი მეთოდოლოგია თავის თანამედროვე მთარგმნელებისათვის.

თარგმანი აკაკის მიანდა მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში მონაწილე მნიშვნელოვან მოვლენად. ამ გარემოებაზე მიგვიჩივებს მისი ერთ-ერთი პუბლიცისტური წერილი, რომელშიაც მკვეთრადაა ხაზგასმული თარგმანის როლი ორიგინალური მწერლობის განვითარების საქმეში: „თუმცა იმათი (ძველი თაობის, ქ. ბ.) ელა იყო მიებაძნათ განათლების საქმეში სხვა ხალხების მოწინავე პირებისათვის — წერს აკაკი — და ეხზარათ... ის საშუალება, რომელსაც ისინი ხმარობდნ თავიანთ ჭვეუნებში და ხალხებში სწავლისა და განათლების გასაერეველებად, ეს იგი, ეწერათ და ეთარგმნათ საჭირო წიგნები“¹.

აკაკი მოითხოვს „საჭირო წიგნების“ თარგმანს. ე. ი. დედნის შერჩევას თანამედროვეობის აქტუალური მიზნების მიხედვით და თავის წერილებში ამ თვალსაზრისით აფასებს ყოველ ახალ თარგმანს. ამ მხრივ საინტერესოა მისი რეცენზიები დ. ერისთავის, გ. აბაშიძის, გ. ვეზაგას, გრ. აბაშიძის და სხვა მწერალთა თარგმანების შესახებ. მიმოიხილავს რა ბერანეს ლექ-

სების გ. ვეზაგასეულ თარგმანს, აკაკი ქართული ხალხური ანდანიით დასძენს: „არაობას კარაობა სკობიო“, რადგან ბერანეს თარგმანს „სახარებასა და ჭეარსავეთ საჭირო“ მოვლენად მიანდა თავის თანამედროვე ქართველთა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

თავის ერთ-ერთ წერილში აკაკი წერეთელი მიმართავს ქართველ მწერლებს: „რაც ვეაქლა და საჭირო კი არის, მისი გადმოყვანა და გადმონერგვა აუცილებელია, მაგრამ ამ შრომასაც თავისი შესაფერი წესრიგი და კანონი აქვს: ჭერ ნიადაგი უნდა მოვეუმზადოთ, თორემ უამისოდ წერგი ვერ იხარება“¹.

აკაკის აზრით, თარგმანი მის თანამედროვე ორიგინალურ მწერლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეესისტლობრცება და გახდება ხალხისათვის მისაღები, თუ გამოხატავს იმას, რაც ესაჭიროება ხალხს. თარგმანისაღმის ასეთი დამოკიდებულებით შეიძლება აიხსნას ის თავისუფალი თარგმანები, გადმოკეთებები და მიზაძვანი, რომელიც აკაკის მთარგმნელობით პრაქტიკას ახასიათებთ.

საზოგადოებრივ ფუნქციას ანიჭებდა თარგმანს ი. ჭავჭავაძე, როდესაც წერდა: „უაზრო სტატია, თუ ვინდ ჩინებულადაც იყვეს გადმოთარგმნილი, მიინც არ ექნება ღირსება და ვერაფერს შეკმატებს ლიტერატურასა, ევრაფერს შესძენს იმისათვის, რომა წამოთხვევლებს აუცრუებს გულსა“². ამავე აზრს აწვითარებდა გ. წერეთელი თავის წერილში „ცისკარში“ იდეოლოგიური მუშაობის შესახებ და ამ ეურინალის მთარგმნელთა საყურადღებოდ დასაქნდა: „ცისკარს“ თუ თავისი სიკვდილი არ უნდა, უსათუოდ უნდა დასტოვოს ის გზა, რომელზედაც აქამდე მიდიოდა, ვაგდოს მიშურა, ვარევაან

¹ ა. წერეთელი, პუბლიცისტური წერილები, ტ. XI, 1960 წ. გვ. 164.

² აკაკის თეიური კრებული, 1863 წ. № 7.
² „საქართველოს მოამბე“, 1863 წ. № 7.

სობრიალუ და ჩაღრმადეს სიცოცხლის მორცე-
ში მარგალიტის მოსაპოვად¹. აქვე შეუძლებუ-
ლია არ გაევიხსნოთ ნ. ნიკოლაის მიმართა
მწერლებისა და მთარგმნელებისადმი: „საიოთხე-
ვი წიგნების მიზანია, რომ საზოგადოების სა-
გებლობა მოუტანოს, ხალხის სიყვითე ეძიოს, ღო-
ნისდაგვარად დაეხმაროს. საზოგადოების გონე-
ბის გახსნას და მღვდმარების გაუწიოხებებს.
ეს დედა-აზრი მუდამ თან უნდა იქონდეს მწე-
რალს და მთარგმნელს, როცა ის მწერლობის
საყვადს სჯის და არჩევს².

ა. წერეთელი თავისი თანამედროვე საზოგა-
დოების წინაშე ერთ-ერთ მთავარ საზრუნავ
საიოთხად მთარგმნის მღვდლ იდეურობას, მის
საზოგადოებრივ ფუნქციას აყენებს: ყურნა-
ლი „ჩველის“ მთარგმნელობითი მუშაობის
შეფასებისას იგი გულწაყვლილად შენიშნავს,
რომ ამ ქურნალის არც ერთი თარგმანი არ
პასუხობს ეპოქის საჭიროებებს საიოთხებს:
„დღევანდელ ქართველობას, — წერს იგი —
არც წარსული აქვს გამოკვლეული და არც
აწმყო ისე შესწავლილი, რომ თავის ნაწარ-
მოებებს შესაფერის ფერ-ხორცი მისცეს, ამავე
მხრებით უცხოეთიდანაც ვეღარ ახერხებენ
გადმოყვანას და გამოდის რაღაც კარკაძე-
რამა როგორც ჩანს, აკაკი უდიდეს მნიშვნე-
ლობას ანიჭებს აქტუალური თხზულების
თარგმნას და მასთან ერთად მის შესაბამებას
საქართველოს სინამდვილესთან. თარგმნის სა-
ზოგადოებრივ ფუნქციას კიდევ უფრო
შეკეთრად უსვამს ხაზს „აკაკის თეიერი კრე-
ბულის“ ერთი წერილი, რომელსაც „ერთ-
ერთი მთავარი საზრუნავი“ ეწოდება. თუმცა
ეს წერილი პირადად აკაკის არ ეკუთვნის,
მაგრამ მასში გატარებულია ყველა ის მოსაზ-
რება თარგმნის შესახებ, რომელიც აკაკის
კრიტიკულ წერილებს, ახასიათებს. აკაკის
„კრებულის“ ამ სტატიაში წინა რიგში დგას
ქართული მწერლობის უცხოეთში პროპა-
განდის საიოთხი და აგრეთვე უცხოეთიდან
სიყვითე „საგულისხმო“ თხზულებების გადმო-
ღვდის აუცილებლობა, რომლებიც გამაღი-
რებენ ჩვენს მწერლობას³.

გარდა დედნის შერჩევისა, აკაკი წერეთე-
ლი დიდ ყურადღებას აქცევს ისეთ საიოთხსაც,
როგორცაა ენების ცოდნა მთარგმნელისა-
თვის. „მთარგმნელმა ზედმიწევნით უნდა
იყოღეს ის ენა, — წერს იგი — სადღანაც
თარგმნის ასე, რომ წერილმანიც არ უნდა
გამოეპაროს. თავისს საკუთარ ენაში, რომელ-
ზედაც გადააქვს უცხოლან, რაღა თქმა უნდა.

დახელოვნებული უნდა იყოს⁴. მაგრამ ენების
ცოდნა ნიშნავს იმას, რომ მთარგმნელმა გად-
მოსცეს დედნის სული და არა მისი სიტყვი-
რი მასალა, რადგან „სიტყვა-სიტყვითა
თარგმანი ცოცხალი მოკვლა და მერე გედნის
ღვდარებით გადართევა იქნება“². ე. ი. აკაკი
მოითხოვს, რომ მთარგმნელმა ახალ ენაზე
გადმოიტანოს მწერლის ჩანაფიქრი, თხზუ-
ლის „სული“ რათა თარგმანი მთარგმნელის
ერის საკეთილბეა შეიქნეს.

ვინაიდან თარგმანი აკაკისათვის მშობლიუ-
რი ლიტერატურის განვითარების ერთ-ერთი
საშუალება და მისი განუყოფელი კომპონენტი
იყო, ამიტომ იგი თარგმანისაგან მოითხოვდა
ენობრივ სიწმინდეს. ამ მხრივ აღსანიშნავია
მისი წერილი გრ. აბაშიძის მიერ თარგმნილ
ლერმონტოვის „მწირობე“. გრ. აბაშიძის ეს
თარგმანი აკაკის ყველაზე ადვილად თარგმა-
ნად მიანია ლერმონტოვის თხზულებათა სხვა
ქართულ თარგმანებთან შედარებით, მაგრამ
ხაზგასმით მიუთითებს მის ენობრივ შეცდო-
მებზე და საერთოდ მთარგმნელთა საყურად-
ღებოდ აცხადებს: ქართულ ენას დიდი სიტყ-
ვის კონაც აქვს, მისი ლექსიკონი ისე გრ-
ძელია, რომ ზოგჯერ მთელი აზრი ერთ სიტყვაში
მოთავსდება ხოლმე და, რასაკვირველია, ვისაც
შესწავლილი აქვს ეს ენა, — იმას თარგმანი
არ გაუჭირდება³ აკაკის აზრით, თარგმანის
ენას უნდა ახასიათებდეს ხალხურობა. პოეტის
სასტიკად ილაშქრებს ქართულ ენაში ვაზიტო-
ნებულო არაბიზმების, ირანზიზმების და რუსი-
ციზმების წინააღმდეგ. ამას აშკარად მოწმობს
მისი წერილი ივ. მაკაეარაიანის მიერ თარგმნი-
ლი „ივლიის“ შესახებ. მიუხედავად იმისა,
რომ აკაკი ივ. მაკაეარაიანს საუკეთესო მთარგმ-
ნელად თვლის, დიდი სისასტიკით აკრიტიკებს
მის ზოგიერთ გამოქვეყნებას და არაქართული
წარმოშობის სიტყვებს⁴. იგი მოითხოვს ისე-
თი ქართული ხალხური სიტყვების დამკვიდ-
რებას თარგმანის საშუალებით, რომელიც
ზუსტად გადმოსცემს საგნის შინაარსს. აგრეთ-
ვე იგი მიუთითებს ძველ ქართული სასუ-
ლიერო წიგნებისა და თარგმანების ენაზე,
როგორც წინადა ქართულ ენაზე. ხალხური და
ძველი ქართული მწერლობის ენა აკაკის წმინ-
და ქართული ენის აღდგენის უძლიერეს სა-
შუალებად მიანდა. ამიტომ მოუწოდებდა
მთარგმნელებსა და მწერლებს ამ ენების შეს-
წავლისაკენ.

აკაკის აზრით, მხოლოდ იმ შემთხვევაში
შეიძლება დედნის იდეის და მწერლის ჩანა-

1 „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 4.

2 „კრებულო“, 1872 წ., № 10.

3 „ჩვეილი“, 1899 წ., № 12.

4 აკაკის თეიერი კრებული, 1899 წ., № 2.

1 აკაკის თეიერი კრებული, 1899 წ., № 2.

2 იქვე.

3 „კვალი“, 1893 წ., № 9.

4 აკაკის თეიერი კრებული 1899 წ., № 2.
(ივლისი).

ფიჭვის ზუსტად გადმოღება, თუ მთარგმნელმა კარგად იცის მშობლიური ენა, მისი უკველი ნიუანსი. ე. ი. მთარგმნელმა ახალი ენობრივი მასალის გამოყენებით უნდა შექმნას დედნის მხატვრული ორეული. ახალ ენაზე უნდა გადმოიტანოს დედნის პოეტური კომპონენტები, მისი მხატვრული სახეები და არ უნდა დაარღვიოს დედნის იდეურ-მხატვრული მთლიანობა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ „ზუსტი“ თარგმანი.

თარგმანის ენის სიწმინდეს და მის ხალხურობას მოითხოვდნენ: ბელისკი, ჩერნიშევსკი, გერცენი, ნეკრასოვი, ი. ჰავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მუსხი და სხვა სამოციანელები, რაც გამომდინარეობდა მათი საყოველთაოდ ცნობილი დევიზიდან — ხელოვნებისა და ლიტერატურის ხალხურობის შესახებ.

ა. წერეთელმა საინტერესო წერილები უძღვნა თავის თანამედროვე თარგმნებს და გადმოკეთებულ თხზულებებს, რომლებშიაც აშკარად მოჩანს მისი შეხედულება მთარგმნელისა და გადმოკეთებლის მოვალეობაზე, მათი შემოახლის პრინციპებზე. ამ შტაბე საინტერესოა მისი წერილი დ. ერისთავისაგან გადმოკეთებულ სარდეს „სამშობლოს“ შესახებ. აკაკის აზრით, ასეთი პატრიოტული შინაარსის თხზულება მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიხარებს ახალ ნიადაგზე, თუ მას ამისათვის სათანადო კლიმატი დახვდება, რადგან ეს კლიმატი ხელს შეუწყობს მის შესასხლხორის ახალ ნიადაგს და გაამდიდროს ორიგინალური მწერლობა. „თუ (ასეთი თხზულება, ქ. ბ) უცხო მხრიდან არის მოტანილი, ნერგებით უნდა შესაფერი შტო აურჩიონ და მარჯვედ, მოხდენილად დამყანან, რომ შეეზარდოს, შეეხაროს, შეეთვისოს და ერთად იმ ხესთან, რომელზედაც დაუმყნიათ, იზაროს, თორემ უამისოდ ხანგრძლივობას ვერ ელირსება და გაბმება“¹.

ე. ი. აკაკი გაჩვენებით მიუთითებს გადმოკეთებული თხზულების ე. წ. აკლიმატიზაციაზე, მის ახალ ნიადაგთან შეგუებაზე, რაც თვით ჩვენი პოეტის მთარგმნელობითი პრაქტიციკისათვის ძირითადი დამახასიათებელი იყო. „უცხო ქვეყნიდან გადმოკეთებულ თხზულებასაც — წერს იგი სწორედ შესაფერი დრო და ადგილი უნდა აურჩიოს მწერალმა, რომ უცხოობა აღარ ეტყობოდეს, თორემ ტყეილი დროს დაკარგვა იქნება“². აკაკი გადმოკეთებლისაგან გაჩვენებით მოითხოვს: 1) დედნის შერჩევას, 2) თარგმანის აკლიმატიზაციას ახალ სამშობლოს გამოცემების, ენის, ტრადიციების მიხედვით.

სხვაგვარი გადმოკეთება მას არ მოეწონია „ტრუა-ლურ მოკლენად და ამაოდ თვლის იმ მწერალთა შრომას, რომლებიც თავიანთ მთარგმნელობით პრაქტიკას აღნიშნულ პრინციპებს არ უპყვემდებარებენ“.

ცნობილია, რომ აკაკი წერეთელი ქართული თეატრის რეჟისორი, ხელმძღვანელი და დიდი მოამაგე იყო, თეატრის ხალხის ეროვნული და სოციალური თვითშეგნების გამოფხიზლების უძლიერეს საშუალებად თვლიდა, ამიტომ მოითხოვდა მისთვის რეპერტუარის მკაცრ შერჩევას და თარგმნილი პიესების გაქართულებას: „აიღებენ რომელსავე თხზულებას უცხო ენაზე დაწერილს, — წერდა ის, — მოქმედ პირებს სახელებს გამოუცვლიან: სუსანინს დაეთო აღმაშენებელს დაარქმევენ, ავლიონას — თამარ დედოფალს... შევაღამო გუგუშარქოს საქართველოს“ ჩაურთავენ და ისტორიულ დრამას არქმევენ. არც ისტორია, არც ხასიათი, არც რაიმე ქართული ნიშან-წყალი“¹. ე. ი. აკაკი თეატრალური რეპერტუარისათვის განკუთვნილი თხზულებებში მოითხოვს მთელი მოქმედების სიტუაციის აკლიმატიზაციას ისე, როგორც ეს დ. ერისთავის „სამშობლოსა“ წარმოდგენილი, უკეთ რომ ეთქვას, იგი მოუწოდებს გადმოკეთებლებს თავიანთი თანამედროვეობისათვის შესაფერისი თხზულებების შექმნას (გადმოკეთებას). აკაკის ასეთი შეხედულება გადმოკეთებასა და გადმოკეთებელზე უდავოდ თერგდალულთა საერთო უტილიტარული მიზნებით იყო ნაკარნახევი.

ა. წერეთელმა საინტერესო მოსაზრება წამოაყენა აგრეთვე მთარგმნელისა და მის მიერ არჩეული დედნის ავტორის იდეური სიახლოვის შესახებ. მისი აზრით, მთარგმნელმა სათარგმნელად ისეთი თხზულება უნდა აირჩიოს, რომელიც მის სულიერ კრედოს შესაბამეა. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი ზუსტად აღიქვამს დედნის, რადგან მისი იდეა „გულს მოხვდა“, ხოლო თარგმანი იმდენად კარგი გამოვა, რომ იგი „ქვეშარბი შენაქნენ იქნება ჩვენი ღარიბი მწერლობისათვის“. ამ მოსაზრებიდან გამომდინარეობს იგი, როდესაც წერს, რომ რუს მწერალთაგან უველაზე კარგად ჩვენში ლერმონტოვი ითარგმნათ: „ლერმონტოვი, როგორც აკაკისის ბუნებისა და აკაკისიელთა ზნე-ჩვეულებების მწერალი, უფრო ხედავს ქართველის გულს და ჩვენი მწერლებიც ხშირად მიმართავენ“².

მეტად საინტერესოა აკაკის შეხედულება თარგმანის და დედნის ურთიერთ მიმართების შესახებ, რაც კარგად მოჩანს ბერანეცს ლექსების ქართული თარგმანისადმი მიძღვნილ

¹ ა. წერეთელი, პუბლიცისტური წერილები, ტ. XII, 1960 წ. გვ. 136.

² იქვე.

¹ „კვალი“, 1893 წ. № 3.

² „კვალი“, 1893 წ. № 9.

მის წერილში. აქ აკაკი დობროლუბოვის მსგავსად მიუთითებს, რომ ბერანეცს პოეზიაში უდიდესი როლი შეასრულა ფრანგი ხალხის სოციალური და დემოკრატიული თვითშეგნების გამოფხიზლების საქმეში და ახალ ენაზე თარგმნილი მისი პოეზია ამავე სახით უნდა გადავიდეს. ნ. დობროლუბოვი ბერანეცს მთარგმნელ ვ. კუროჩინს უსაყვედურებდა, რომ მან თავის თარგმანში შეარბილა ბერანეცს ბევრი მკვებე გამოთქმა საკუთარი მხატვრული სახეებისა და გამოთქმების ჩიატებით. ხოლო ბ. ბელინსკი ამბობდა, რომ ბერანეცს მთარგმნელმა შეარბილეს მისი პოეზია და ამით დაამახინჯეს ის აზრები, რაც პოეტმა თავის თხზულებებში ზღუნერგაო. ბერანეცს აზრების შერბილებას აკაკი ქართული თარგმანის უდიდეს ნაკლად თვლის და წერს, რომ ბერანეცს მსგავს თხზულებათა „გადმოღება თითქმის მოუხერხებელია და ვერაფერს დაიხვეჭებს, რომ ბერანეცე სამაგალითოდ გვაქვს ვადმოღებულო“. იგი ასახალებს კუროჩინს, რომელმაც მხოლოდ „დაახლოვებით“ გადმოსცა დიდი ფრანგი პოეტის იდეები, მიუთითებს ბერანეცს ქართულ მთარგმნელებზე, დაწვებული გ. მუხრან-მატიანი თვით აკაკი წერეთელამდე, რომელთაც ასევე დააკოტლეს ბერანეცს „მეხისებური სიტყვა“. იმის მიზეზად, რომ ბერანეცს ლექსთა თარგმანები არ არიან დედნის ადევკატურნი ა. წერეთელი მიიჩნევს დედნის „სულს“ გავებზობას მთარგმნელის მიერ. მისი აზრით, რაც არ უნდა ნიჭიერი იყოს მთარგმნელი და ზედმიწევნით ფლობდეს ენებს, „მინც კიდევ გამოუპარება ის წერილმანობა, რაც შეადგენს თვითველი ხალხის განსაკუთრების საიდუმლო სულის მოძრაობას და რომელიც მხოლოდ ავტორს შეეძლო დედნის რძესთან ერთად შევისისხლორკებინა, რომ პოეტური ნაწარმოები მოეჭარბა და ვაესხიფონებინა“.¹

ა. წერეთელი მომხრეა ვ. წ. შემოქმედებითი თარგმანისა ე. ი. ისეთი თარგმანისა, რომელიც საეხებით ვადმოსცემს დედნის იდეას და მის ყველა შემადგენელ მხატვრულ კომპონენტს, მაგრამ არა სიტყვა-სიტყვით, არამედ მთარგმნელის ენობრივი ნორმებით, პოეტი დასძენს, რომ მთარგმნელი „ნიჭითაც თანაბარი უნდა იყოს დედნის დამწერის, რომ ვაუსწორდეს“. ჩვენი აზრით აკაკის ამ გამოთქმაში იგულისხმება მთარგმნელისა და დედნის ავტორის იდეურ-პოეტური ნათესაობა, მათ მიერ ამა თუ იმ მოვლენისა და ფაქტის ერთნაირი აღქმა და ვადმოცემა (ცხადია, სხვადასხვა ენობრივი მასალით).

თავის მეორე წერილში „ფეხისიტყაოსნის“ თარგმანის გამო, აკაკი ხაზგასმით გვეუბნება,

რომ ამ პოემის თარგმანა ძნელია იმ წერილი ნუამსების ვაში, რომელიც მას უმკვლევ სახეს¹ ანიჭებს და რომელიც სხვა ენაზე შეიძლება ისეთივე სიძლიერით არ გადავიდეს, ამიტომ მთარგმნელმა პოემის თარგმანში შეიძლება თავისი ქვეყნისათვის დამახასიათებელი პოეტური ელემენტები შეიტანოს, მაგრამ ეს ელემენტები იმავე სიძლიერისადა უნდა იყვნენ, რაც თვით დედნის ახასიათებს. ასეთ შემთხვევაში თარგმანი ადევკატური გამოვა, ხოლო მთარგმნელი — უბრალო თარგმნელ კი არა, შემოქმედელ მოვევლინება.

აკაკის შეხედულება თარგმანის, როგორც შემოქმედებითი პროცესის შესახებ, მისი საერთო რეალისტური კონცეფციიდან მომდინარეობს.

როგორ წარმოუდგენია აკაკის ასახვის პროცესი? ვერ კიდევ თავისი მსოფლმხედველობის ფორმირების პერიოდში იგი წერდა:

„როდესაც მწერალი შეუდგება ხოლმე საგნის ხელოვნებით გამოხატვას, მაშინ მისი ვინაობა ექვემდებარება ხოლმე მხოლოდ იმ ერთს მხატვრობის საგანს, არის მისგან ვატაცებული და იმ დროს პოეტის ფიქრები სხვა რამეებზე ზვეულაბრივად აღარ ვადადიან... თითქმის უნებურ-გრანობით ვასქვალული პოეტი, მხოლოდ თავის მხატვრობაში, თავის ქმნილებაში ჰვადეს თავის ვაოქოხთსაც და თავის სასუფეველსაც და, თუ უკეთეს ვინააღმდეგ ამისა, მის გულში იმ დროს სხვა ვაარეუ პასუხებსაცა აქვთ ბინა, ვავალითაღ: ვინაღვე ვანზარახულ რაიმე მდგომარეობას ანუ დევნას, მაშინ არ შეიძლება, რომ რა ვინდ მშვენიერი მხატვარიც იყოს პოეტი, თითო ორ-ორი ხაზი მრუდელ არ ვაეკრას“.²

იგივე შეიძლება ითქვას მთარგმნელის შესახებ. ე. ი. მთარგმნელი უნდა ვინამსჯვალის დედნის იდეით, უნდა სრული სისასით აღიქვას ორიგინალი, მაგრამ ანგარიში უნდა ვაუწიოს ვარემოსაც და ამის შესაბამისად ვარუდგინოს მკითხველს თავისი ნაწარმოები. უმთარგმნი კი, რასაც ვიწვევლია, არის ის, რომ თარგმანი, ისე როგორც ორიგინალური მწერლობა, პასუხს უნდა აძლევდეს თანამედროვეობის ამაღლებებელ საკითხებს თავისი შეინარსით.

აკაკი ზაზვასმით მიუთითებს, რომ საგნისა და მოვლენის რეალისტური ასახვა შემოქმედებითი პროცესისა და არა სტენოგრაფია ან ფოტოგრაფია. „ზოგიერთნი საერთოდ იმ აზრისა არიან, — წერს პოეტი, — რომ რეალურში მოითხოვს მწერლობაში პროტოკოლურ აღწერილობას უმეტეს-ნაკლებოდ ისე, როგორც ზედაეს და ესმის მწერალს. ისე რომ იქ თავი-

¹ იქვე.

² „ცისკარი“, 1869 წ. № 5.

სი არ უნდა გუროის რაო... ეს რომ ასე იყოს, მაშინ ფორტოგრაფიულ სურათებს უბი-რატესობა ექნებოდათ ხელოვნებით მხატვრობაზე და უბრალო ფორტოგრაფი ემკობინებოდა გამოჩინილ მხატვარ რაფაელს... მართალია, ფორტოგრაფია, სწორად აღწერს, ერთ ფორმასაც არ დააკლებს, მაგრამ მაგიერად განმაცხოველებელ სულს ვერ ჩაუდგამს — იმას, რასაც მიზანძვით უახლოვდება და ხელო-ვანი მხატვარი კი იმისათნა რამ დამახასიათებელ ნიშანს აიღებს, შეურატევს მისთანა წაის გრანობა-გონების გამოჩეკულებებისას, რომ სულს ჩაუდგამს და განახორციელებს ნახატს. ამისა მისი შემოქმედების საიდუმლო ძალა, რომელსაც... უსულო ფორტოგრაფი ვერ მისწე-დება. ასევე უნდა ეთქვას მწერლებზედაც. ნი-ქიერმა მწერალმა სტენოგრაფიულად კი არ უნდა გადაიღოს ყველაფერი, რაც გაგონას და ნახას... არა, ასისა ათასისა სიტყვა-ფრაზისაგან უნდა აირჩიოს მასალები, რომელნიც უკეთ დახასიათებენ მისგან აღებულ სავანს, რა-საკვირველია, შემოქმედებითი ძალით.¹ (ნაზი ჩვენია, ქ. ბ).

სწორედ რეალისტური ძახვისადმი ასეთი დამოკიდებულებით შეიძლება ახსნას ის მთარგმნელობითი პრინციპები, რომელიც განსაკუთრებით ცხადლივ გამოვლინდა აკაის შიერ თარგმნილ კრილოვის იგავ-არაკებსა და საბავშვო ლექსებში. ამ თხზულებების „შე-მოქმედებითი ძალით“ გადმოვლელმა დე-დანიმა აკაის პოეტურ ბრძმედში თავისებური გადამუშავება პპოვა და კიდევ უფრო მძლავ-რი იდეითა და სიტყვით გამოზრწყინდა ახალ ნიადაგზე.

ყოველივე ზემოთ თქმულისა და თვით აკა-ის მთარგმნელობითი პრაქტიკის გათვალის-წინების საფუძველზე შეიძლება დავაცვენთ შემდეგი: თარგმანმა უნდა გადმოსცეს სინამ-დელივ, ხოლო ის, რაც დედნიდან დიდი სი-ზუსტით ვადმოტანისას დაარღვევს თარგმანის იდეას და პოეტურ სახეს თვით მთარგმნელმა უნდა შექმნას ახალ ენაზე, ამ ენის ნორმებისა და პოეტური სახეების შესაბამისი გამოყენე-ბით, მხოლოდ ისე, რომ ზუსტად ვადმოიღოს მწერლის ჩანაფიქრი, იდეა და თხზულების „სულის“ ძლიერება. ამ შემთხვევაში მთარგ-მნილი რეალისტია, იგი მხატვრული სინამდეი-ლით აღიქვამს მას, რაც წინ უდევს და ქმნის დედნის ადეკვატურ ნაწარმოებს.

აკაის მთარგმნელობითი პრაქტიკა თარგმა-ნის ორ ძირითად სახეს გვაძლევს: რეალის-

ტრის და თავისუფალს. ორივე ამ სახის არსე-ბობა მწერლის თანამედროვე საზოგადოებრი-ვი ცხოვრების ვითარებით ვრის შემვირობე-ბული. თუ აკაის კრილოვის იგავ-არაკები თავისუფალი თარგმანით ვადმოაქვს, ამის მი-ზეზია ის, რომ პოეტს სურს უფრო ახლოს მიიტანოს მათი იდეა ხალხებს, რის გამოც ახალბურებს, აქართულებს და სავსებით გა-სავებს ხდის ქართული მკითხველისათვის. ამავე პრინციპით თარგმნის აკაი საბავშვო თხზულებებსაც და ამ შემთხვევაშიც მის სურს ჩვენი საუმაწვილო ლიტერატურის გამო-დიდრება ქართულ ნიადაგზე „გადმოწერვი-ლი“, „გაქართულებული“ ნაწარმოებებით, რომლებიც სწორედ ამიტომ, ადვილი ასათვი-სებელი იქნებიან პატარა მკითხველებისათვის. აღსანიშნავია, რომ აკაის ეს თარგმანები არა მარტო მისი შემოქმედების, არამედ მთელი ჩვენი ქართული მწერლობის არსებითი და განუყოფელი ნაწილი შეიქნა. მისი არაკები იმ-დენად ქართულია, რომ მათ „აკაის არაკებს“ უწოდებენ.

როგორც დავინახეთ, აკაი წერეთელმა თარგმანის დანიშნულება განსაზღვრა მისი სოციალური და მხატვრული ღირებულების ყველა პოზიტიური მხარის მიხედვით. საერ-თოდ ლიტერატურა მისთვის არსებული სი-ნამდვილის მხატვრული შემეცნება იყო და იმავე სინამდვილის ვარდაქმნის ერთ-ერთი მძლავრი იარაღი. ამიტომ ლიტერატურა მთე-ლი თავისი დამახასიათებელი თვისებებით და კომპონენტებით (ამ კონკონენტებში იგუ-ლისხმებოდა თარგმანიც) მხოლოდ ამ შემთხ-ვევაში წარმოადგენდა კემპარტი ღირებუ-ლების მოკლენას, თუ იგი ვასავები, ნათელი და მისაღები იქნებოდა თავისი შინაარსით, სადა-მხატვრული თვალსაზრისით და უარე-სად ხალხური თავისი ენით.

აკაი წერეთლის შეხედულება თარგმანზე და მის პრინციპებზე თვით მისი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ნიადაგზე აღ-მოცენდა და ამ საზოგადოების მოწინავე ინ-ტელიგენციის ინტერესებს გამოხატავდა. ამავე დროს იგი წარმოადგენდა იმ ტრადიციის ვაგრძელებასაც, რომელსაც საფუძველი წინა ეპოქების ქართული მთარგმნელობითი პრაქ-ტიკისათვის დამახასიათებელმა თავისებურე-ბებმა მოუზადეს. აკაის მთარგმნელობითი პრინციპებისა და მეთოდის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა აგრეთვე რუსეთის რევოლუციონერ — დემოკრატი მსოფლ-მხედველობამ.

¹ აკაის თვითრი კრებული, 1898 წ. № 9.



გალაქტიონი შემოქმედისა და შემოქმედების შესახებ

ნურასდროს წუ დაშვადდები,
რომ შექმნა რამე დადი.

გალაქტიონი.

გალაქტიონ ტაბიძე იმ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც მთელი თავიანთი არსებით, სისხლბორცველად არიან დაკავშირებული პოეზიასა და ხელოვნებასთან. ამიტომ სავესტები ბუნებრივ ფაქტად მიგვაჩინა მისი დიდი მომთხვენილობა და პრინციპულობა იმათ მიმართ, ვისაც კი რაიმე პრეტენზია აქვს ხელოვნებაში. წერტილის მიზანია, პოეტის არქივში დატული ჩანაწერების მიხედვით გააცნოს მკითხველს გალაქტიონის მოსაზრებანი შემოქმედისა და შემოქმედებაზე, რაც, ვფიქრობთ, ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს.

ველა შემოქმედისათვის დამახასიათებელი ნიჭიერება. მხოლოდ ამ ნიჭს მოვლამატრონობა სჭირდება; თავისებური განვითარება და გარემოება უნდა, რაც მხოლოდ და მხოლოდ დიდი შრომის შედეგად ხდება. „შემოქმედება, ე. ი. უნარი მხატვრული შემოქმედებისა, იგივე ნიჭია, როგორც, მაგალითად, სილამაზე სახისა... ან ძლიერი ხმა, როგორც ხმა ავთანდილისა ან სარაფიშვილისა.“¹ — წერს პოეტი.

ყოველგვარი შემოქმედება ნიჭთანაა დაკავშირებული. ეს უკანასკნელი კი ადამიანის იშვიათი ჭილდოა. ვისაც თანდაყოლილი შემოქმედებითი ნიჭი არა აქვს, მისი შეტენა ვერას-გზით ვერ მოხერხდება, ეს ნიჭი შეიძლება და უნდა განვითარდეს, — წერს გალაქტიონი, — მაგრამ მისი მოპოვება არავითარი ხერხით, არავითარი სწავლით არ შეიძლება. ვინც პოეტად არ დაბადებულა, იგი ვერასდროს ვერ გახდება პოეტი, რანაირადაც არ უნდა ეცადოს, რანაირი შრომაც არ უნდა დახარჯოს. შეიძლება მიერვიო ლექსის ან პოემის წერას, მიაღწიო იმასაც, რომ ზოგი ლექსი ლამაზი იყოს, ხმოვა-

ნად ეღერდეს, მაგრამ ასეთი ლექსები ყოველთვის პოეზია როდია. ნიჭი პოეტისა, პოეზიის ნამდვილი ოქრო შეიძლება გამოსჭვიოდეს ხშირად მოუქნელ წყობაშიც“¹.

გალაქტიონმა თავიდანვე იწამა პოეტური ნიჭის სილამაზე და მას „პოეზიის ნამდვილი ოქრო“ უწოდა. ნიჭი პოეტური შემოქმედების მთავარი მამოძრავებელი ძალაა, მაგრამ პოეტობის ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი მაინც არ არის. და, აი, აქ გალაქტიონი იწყებს იმ ნიშანდობლივ თვისებათა განსაზღვრებას, რაც აუცილებლად უნდა გააჩნდეს ნამდვილ შემოქმედს.

რომ შექმნა რამე დადი, მარტო ნიჭი არ არის საკმარისი. დიდი ხელოვანი დიდი გრანობების მატარებელიც უნდა იყოს. ნიჭთან ერთად, მას უნდა ჰქონდეს შემეცნებისა და გამოთვნიბლობის უნარი.

შემოქმედება მოითხოვს დახვეწილ გემოვნებას, ორიგინლობას, მუსიკალობასა და არტიტიზმს. ყოველივე ამას კი, გალაქტიონის თქმით, შემოქმედი იძენს „მხოლოდ შეურყეველი, შეუღვევლი, შეუპოვარი, გულდადებული მუშაობის შედეგად“.

პოეტურ ზეშთაფრენებასაც გალაქტიონი დიდი შრომის შედეგად მიღებულ კომპონენტად თვლის. „ზეშთაფრენება — ეს არის აბრეწულუბრივი ალტკინება შემოქმედებითი ძალეების. ეს არის შედეგი — შრომის ხანგრძლივი პროცესისა“². — ამბობს იგი.

მაგრამ შემოქმედის ყოველივე ეს თვისება უსიკოცხლო და ფერმკრთალია, თუ იგი მუსიკალობასაა მოკლებული ან შინაგანი ტემპერამენტით არ არის სავსე. აქ იმალება სწორედ ხელოვანის მომხიბვლელი სიღრმეობა. გა-

1. გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმ. ლიტერატურული მუზეუმი, გ. ტაბიძის არქივი, — 021371-7.

1 იქვე, 021371-32.
2 იქვე, 02137-1.

ლაკტიონისათვის ზომ საერთოდ არ არსებობს პოეზია, ხელოვნება, მუსიკის გარეშე. ამ ცნებაში იგი ძლიერ ფართო და ღრმა აზრს ათავსებს. „არის პოეზიაში მუსიკა არა ქვეების... არა არტიკულების... არამედ სხვა ნივის, ნივის და კიდევ ნივის... სიტყვა არც რომანსია, არც სუიტა, არც ოპერა — ამათ პყავთ თავიანთი კომპოზიტორები. სიტყვა გამოაძილია მხოლოდ სხვა, დიდი მუსიკის, რომლის სახელიც უნდა მოინახოს.“¹ — წერს პოეტი.

იგივე შეიძლება ითქვას ტემპერამენტზე. თუ ხელოვანი შენაგანი წვა, ტემპერამენტი არა აქვს, მისი შემოქმედების ნაყოფი უსულო და აღუწია. იგი აღარ გვარუფიქვებს, აღარ გვიტყუებს და არავითარ ესთეტიკურ სიამოვნებას არ გვანიჭებს, უინტერესო ხდება. ამიტომ, გალაკტიონის სიტყვით, „ტემპერამენტის დაკარგვასთან ერთად, უნდა გაქრეს ზეგარდმო ნივით და უნდა იტყოს უნარიც. სამუდამოდ მოისპობა აღმადრნა, აღტაცება და აღტყინება. აქ ივეთება გალაკტიონის, როგორც პოეტისა და ხელოვანის, დამახასიათებელი თვისება, რაც მის შემოქმედებაში ასე თვალსაჩინოა.

მაგრამ ყველა ამ თვისების მიუხედავად, შემოქმედელ მონღ ვერ აღწევს სრულყოფილებას, თუ იგი ხელოვნების ტექნიკურ მხარეს არ არის დაუფლებული, ე. ი. „როდესაც მას აქვს ისეთი ფორმები და გამოთქმები, რომლებსაც მკითხველები იმასხორებენ ძალაუფლებურად და სამუდამოდ“.²

ხელოვანმა მიზნად უნდა დაისახოს შექმნას სახეები, ხმები, სიტყვები, „რომლებსაც ვაგივებით ეწაფება სიხალეს მოწყურებელი ახალგაზრდობა“. გალაკტიონი საესეზიო იზიარებს ხელოვნებაში და, კერძოდ, პოეზიაში დამკვიდრებულ აზრს მისი ტექნიკის შესახებ და ამბობს: თუ არსებობს ტექნიკა მუსიკის, ტექნიკა მხატვრობის, ტექნიკა მანდაკების, ტექნიკა ხელოვნობადგრების, მაშინადაც, არსებობს პოეზიის ტექნიკაც. მაგრამ მას უნდა სერიოზული შესწავლა, და ესეც შემოქმედის დიდ შრომას მოითხოვს. პოეტი თავის ერთ-ერთ ჩანაწერში აღნიშნავს: „ნამდვილი მიღწევები დიდი პოეტების, გენიალური პოეტების ტექნიკური ისტატობისა — ხანგრძლივი, გულმოდგინე, თავდადებული მუშაობის ნაყოფია. დიდა ეს მიღწევები, მაგრამ შესწავლილი არ არიან. ქართული მეოცე საუკუნის პოეზია მოვიდა და დამკვიდრდა სრულიად ახალი რითმებითა და ასონანსებით; ახალი ლექსთა წყობით, ახალი ხმოვანებით; შემოტანილ იქნა ახალი ფორმები

(ზალადა, სონეტი, ოქტავი, ტრიოლეტები, რანდო, სექსტინა და სხვა) და ქვეყნულადი ვართ — ვიკოდეთ კანონები გვედაქვეყნებენ კანონები, რომლებიც უბრალოდ არ დამკვიდრებულან. ჩვენი პოეზიის ტექნიკას ათასწლოვანი ისტორია აქვს. ჩვენ უნდა ვიკოდეთ ყველაფერი და, როდესაც ჩვენ კარგად შევისწავლით ხალხურ შემოქმედებასაც, ჩვენ შესაძლებლობა გვექნება ახალი ფორმების აღმოჩენისა. მიგებაში განმეორება სხვათა მიერ შემოტანილი სიბხლისა საესეზით დასაშვებია. ცდების წარმოება — აი, ამოცანა თანამედროვე პოეტისა“.³

გალაკტიონი ხელოვანის გადაუდებელ ამოცანად თვლის — გაშუქებულ იქნას „ჩვენი ხელოვნების სრულიად მივიწყებული ორი მხარე: შემოქმედებითი და ტექნიკური“. ამასთან დაკავშირებით, იგი განუზომლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შემოქმედის ერთიერთკავშირს ხალხთან, მასთან. შემოქმედმა უნდა თქვას სწორედ ის სიტყვა, რასაც ხალხი მოითხოვს, იგი ხალხის ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს. მის შემოქმედებაში სრული ასახვა უნდა პპოვოს ხალხმა, რადგანაც ეს უკანასკნელი პირდაპირი წყაროა ხელოვანისათვის.

„ო, სიხარული უზარმაზარი ცხოვრების შენ შედიხარ წიგნში. წიგნი ეს არის აღმავანი — დაწერილი მისივე საკუთარი ხელით... მეორეთა სო მეგობრებო და ახალგაზრდა ჩემო მკითხველებო! ჩვენ უნდა ვიშრომით თანმობით, რომ კარგად და ბედნიერად ვიკხოვროთ ჩვენს მშვენიერ ქვეყანაში“.⁴

შემოქმედმა ხალხს უნდა მისცეს ყველაფერი კეთილშობილური და ესთეტიკური. ხალხის თვისებაა შეიწოვოს, შეისისხლობოს ყველაფერი გონიერული. იგი მზადაა შემოქმედს დაუშორჩილოს თავისი გული, თუ ეს უკანასკნელი ამის საშუალებას მისცემს. გალაკტიონის აზრით, როდესაც მწერალს სურს გამოეხმაუროს მკითხველს, აუცილებლად უნდა შეეძლოს „თავისი აზრების ხმათა შეხამების ერთგვარ წესრიგში მოყვანა, რათა ცოცხალ სიტყვაში ჩანდეს ძალა მსმენელის (მკითხველის) განაღვიებელი, გამაყოცხლებელი, დამამშვიდებელი, ემოციების გამოწვევი“. თანამად შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონი ერთ-ერთი აქტიური პროპაგანდისტია ამ თვალსაზრისისა. მისი ლოზუნგია — ხალხი, ხალხი და ხალხი, განსაკუთრებით კი მისი ყველაზე მკარძობიარე ნაწილი — ახალგაზრდობა. ხალხი აძლევს შემოქმედს იმ ძვირფას მასალას რომელსაც მწერალი, ლიტერატორულ საშისელში ვახვეულს, ისეც ხალხს უბრუნებს. ამიტომ არის, რომ გალაკტიონი, მაგალითად, ლექსის კულტურის დაფუძნება-განვითარებაში მართებულად ამახვილებს ყუ-

¹ ვ. ლენინის სახ. საქართველოს სახ. ლიტერატურული მუზეუმი, ვ. ტაბიძის არქივი, დღიური 540, გვ. 6-18.

² იქვე, 021371-39.

³ იქვე, 021371-37.

1. იქვე, 021371-7.

2. იქვე, 021371-38.

რადღვას ხალხურ პოეზიაზე და მას ერთ-ერთ მთავარ როლს აეთვინებს ამ საქმეში: „აქ ძალიან ბევრს, მეტისმეტად ბევრს მოგვეყვამს ხალხური პოეზია, რომელიც განიხრევა სიმსუბუქით, უზარალოებით, მუსიკალობით. ხალხური პოეზია შეგნებულად გაურბის ყოველგვარ მძიმე გამოთქმებს. იგი ბუნებრივია. იგი კრისტალურად წმინდაა.“¹

ყველა დროში და ყველა ქვეყანაში ხელოვნება იყო და არის ხალხთა სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი, ამიტომ, გალაკტიონის თქმით, იგი ხალხური სიმღერებიდან წარმოშობილი მოვლენაა — გამოსახული სხვადასხვა ფორმით. პოეტს სწამს, რომ ხელოვნება ხალხისათვის უნდა არსებობდეს, ხალხს უნდა ემსახურებოდეს, იგი ცხოვრებისაგან არ უნდა იყოს გამოყოფილი, რადგან.

ხალხის გენია, ხალხის ნიჭი
და ძლიერება
ცხოვრების ზღვაზე მიმავალი
ცოდნის გეზია.

როცა გალაკტიონი ქართულ ხელოვნებაზე ლაპარაკობს, პირველად ხალხის, მხედველობაში აქვს მისი სინთეტიზირება: „ჩვენ გვინდა ჩვენნი ენა შევფერთოთ ჩვენი მშობლიურ გულისთქმას, და ამანარად ქართული ხელოვნება სინთეტიკური მოვლენაა“², წერს იგი.

ხელოვნება რომ ხალხისათვისაა შექმნილი, სწორედ ამიტომ არის საჭირო შემოქმედის მიერ ხელოვნების ტექნიკის სრულყოფილად დაუფლება. ამაში ერთ-ერთი ვადამწყვეტ როლს თამაშობს ენის გრამატიკული კანონებისა და ენის პარამონიის კანონების მაქსიმალური ცოდნა. მათ გარეშე რომ „არ არსებობს ნამდვილი პოეზია“. ამ კანონების არცოდნა, თუნდაც ნაკლებად ცოდნა „ისევე არღვევს სიტყვის სისწორეს, როგორც უაზრი ხმა არღვევს მუსიკალური პრედელის ან სონატის შესრულებას“³. გალაკტიონი კატეგორიულად უარყოფს კიდე-შანტაჟების პოეზიას.

ნუ, ნუ გათვლავთ ფეხტყემ შევნებას,
ნუ შეურაცხყოფთ დიდების ტაძარს!
მიმართავს იგი დაფუძისანი პოეზიის შემქმნელებს. პოეზია უნდა იყოს იდეური, ამჟამინდელი, ხელოვნების უმაღლესი მწვერვალების დამპყრობი. მას უნდა ჰქონდეს მოქმედების ფართო ასპარეზი და, ამავე დროს, უნდა იყოს თავისუფალი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ნამდვილი ხელოვნება, ნამდვილი პოეზია უმაღლესი თავისუფლებაა, რომლისთვისაც „...არ

უნდა არსებობდეს არავითარი დამმონებელი ძალაუფლება, არავითარი ავტორიტეტი, არავითარი ანტიხელოვნებითი ძალა. ხელოვნებას ამ შემთხვევაში შეუძლია უფრო მშალავად გამოხატოს ფორმა“⁴.

გალაკტიონის მთელი თავისი პოეტური არსებით უყვარს ხელოვნება. „ხელოვნება — ეს ოქროა, მიწის გულში დამარხული“, რომელშიც პოეტი ზედაეს მხოლოდ ყველაფერს კარგსა და კეთილგონიერს. „როცა წაგნს კითხულობს ადამიანი, თეატრში ზის, სურათს ათვალიერებს ან მუსიკას ისმენს, იგი შორდება ყოველდღიური ცხოვრების ზრუნვებს, დაეიდარაბებს... ხელოვნება უნდა იყოს ყოველის მომცველი, უნდა უკარავდეს ყველა სიმზე“⁵. ეკითხულობთ ერთ-ერთ ჩანაწერს.

იზიარებს რა მქმსმ ვორკის გამოთქმას — „ოცა რამაა ამქვეყნად კარგი! ყველაზე კარგი ხელოვნებაა. ხელოვნებაში კი ყველაზე კეთილშობილი არის — ხელოვნება კარგის გამოგონებისა,“ — გალაკტიონი აღტაცებით წერს: „ასე ამბობდა 32 წლის წინათ ვორკი. 32 წლის შემდეგაც, ეხლა მე სიამოვნებით მოვწერებ ხელს ამ სიტყვებს. ეს აზრი არაა პანორამა შორეული კოლონადოსი, არც ხელოვნება ჩაცმა-დახურვისა. მაგრამ ამ სიტყვებში არის პაეა, რომელიც დაღუპავს თუნდაც კობის ჯიუტ ბაიკებს“⁶.

გალაკტიონისათვის ხელოვნებისა და პოეზიის გარეშე აზრი ეკარგება ყველაფერს. პოეზიაში ზედაეს იგი სიხარულის დიდი წყურვილის დაკმაყოფილებას. ამიტომ მეტად გულწრფელია, როცა ამბობს: „...სიკეთილამდის შექმნება მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება: პოეზია — უზირველეს ყოვლისა“. გალაკტიონი ნამდვილი ხელოვნება და ამიტომ მისთვის „...სხვას რას აქვს ფასი ქვეყნად, რომ არ იყოს ხელოვნება“. ხელოვნება ისეთი განძია, რომელსაც კარგი მიმგნები და აღმომჩენი სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავის ნამდვილ სახეს დაკარგავს. ამიტომ პოეტი ხელოვნებას ზღვაში დამალულ მარგალიტსაც ადარებს, რომელიც თუმცა ძნელად მისაგნებია, მაგრამ მაინც შეიძლება მისი პოვნა:

ხელოვნება მარგალიტს ჰგავს, მის ზღვა
ჰფარავს შეუცვლელი,
რას იშვიათ თუ მისწვდება კაცის გული,
კაცის ხელი,
(„ხელოვნება“)

ამ მარგალიტს უნდა ეძებდეს შემოქმედო, რომ შექმნას რამე ღიადი“, ასე სწამს გალაკტიონს.

თავისი სიწმინდითა და სისპეტაკით ხელოვნება

¹ გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, გ. ტაბიძის არქივი, 021371-30

² იქვე, 021371-12.

³ იქვე, გვ. 3762.

⁴ იქვე, დღიური 464, გვ. 4.

⁵ იქვე, 021371-85.

ნება ხელშეუხებელია — გალაკტიონისათვის ეს ისეთი დღეებია, რომლისგან ოდნავ ვალბ-ვევაც კი მისთვის დაუშვებელია. პარისში ყოფნის დროს, სადაც გალაკტიონი რევოლუციურ მწერალთა საერთაშორისო კონგრესზე საქართველოს წარმომადგენლად იყო წარგზავნილი, მან დაათვალიერა იტალიური გამოცემა და აღშფოთდა: ძვირფასი შედეგების გვერდით გამოცემილი იყო მუსოლინის სურათები, იქვე იყიდებოდა მუსოლინის და მუსოლინზე დაწერილი წიგნები. „აქ არის რაფაელი, ლეონარდო და ეინი და მიქელანჯელო; აქ არის ჯორჯონე, ტინტორეტო, კორეჯიო, კაელიო, მურლიო, ვერონეზე... სულ ორი ათას ხუთასამდე ძვირფასი განიძ... რა საერთო უნდა იყოს დღე-ნება და ბოტინიელს შორის?!“ — წერს იგი.

გალაკტიონს თავიდანვე სწამდა, რომ ნამდვილი შემოქმედი მეტად მკაცრი და მომთხოვნი უნდა იყოს თავისი თავისადმი. საქმარისია, ხელოვანი სწორ გზას ასცდეს, რომ იგი დაქარავეს თავის სახეს. ევრც ერთი შემოქმედი, რაც არ უნდა დიდი ტალანტი იყოს, იოლად ვერ გაივლის ამ ძნელ გზაზე. ამიტომ ადვილად მოპოვებულ სახელს, ადვილადვე დაქარავეს იგი. ეს თვალსაზრისი გალაკტიონმა მშვენივრად გამოხატა 1948 წლის ჩანაწერში — „ხელოვანის ტრაგედია“, რომელშიც პოეტი გვიჩვენებს იმ კრიზისს, რასაც ე. წ. გზასაცდენილი ხელოვანი განიცდის. „ხელოვანი, რომელიც ლაბორატორიულ შემოთბობას მოსწყდება, თავს ასე ინუგეშებს: დაეუშვებ ამ შეცდომას, რომელიც სხვადასხვა მიზეზებითაა გამოწვეული, გადაეუმბნე გზას მხოლოდ ეხლა, მხოლოდ ერთხელ... რა დიდი ამბავია თავისთავის წინააღმდეგ წაიღე და ისიც მხოლოდ ერთხელ... განა ჩემი მომავალი ჩემს ხელში არ არის? განა ხელზე არ შეუდგები ჩემს სწორი გზით სიარულს, იმ გზით, რომელიც მოყვარს, ელმერტებ“... მაგრამ ხელოვანს იმედები არ გაუმართლდა. იგი ერთხელ მოსწყდა რა თავის კერას, წაიღია თავისი გზით — გაიკლავათ უფრო იოლად და სასიამოვნოთი. იაფი ტანისცემის გზით, იაფი უკეთულებით, იაფი რეკლამით. და როდესაც ხელოვანმა მოისურვა თავის წინანდელ გზას დაბრუნებოდა, იგი ვეღარ იპოვა. დაქარავეა სწორი გზი, შემოკლება ყალბი დიდების შარავანდელიც. იგი მოსწყინდათ, იოლი და სასიამოვნო გზაც გაქმრა, ტანს აღარავინ უკრავს, იაფი უკეთულებიც დასქვენდა. ხელოვანი მარტო დამარტოა და აქ იწყება მისი ტრაგედია. დაკარგვებული სულით ბრუნდება დიდი ხნის შემდეგ თავის ლაბორატორიაში...

დიდი კრიალით, მაგრამ შიანი მიდიოდა ურემი. ბოლოს იგი გადაბრუნდა; ურემი გადაბრუნდა და გზაც მერე გამოჩნდა: ნამდვილი

ხელოვნების გზა, მშვენივრზე მშვენიერი გზა. მაგრამ... რა ახლოა და როგორ შორსაა იგი... ხელოვანი უკვე ქალაქმწერელი კაცია! ემ, ურემი საბოლოოდ გადაბრუნდა.

ემ ჩანაწერიდან ნათელია გალაკტიონის აზრი: შემოქმედმა არ უნდა უღალატოს თავის თავს, არ უნდა უღალატოს ხელოვნებას. ყალბ გზაზე დამდგარი ხელოვანი კი იგივე მოღალატეა ხელოვნებისა. პოეტი ურჩევს გზასაცდენილ ხელოვანს:

არის საღეთო ბილიები ამ სიერცისკენ მიმავალი, აირჩიე მათგან ერთი, აირჩიე ერთი კვალი. („ხელოვნება“)

აქ გვერდს ვერ ავუხვევთ გალაკტიონის კიდევ ერთ შესანიშნავ წერილს — „მწერლობისა და სიტყვისათვის“, რომელიც მის არქივში ვნახეთ. ამ წერილში ავტორმა განსაზღვრა როგორც თავისი, ისე ზოგადად შემოქმედის როლი მწერლობაში. მან მთელი ხელოვნების მიმართ წამოაყენა მკაცრი მოთხოვნა, რომლის პირველი დამცველიც თვითონ გალაკტიონი იყო.

„მე მინდა ეწეო მხოლოდ საგანზე და საგნის გამო, და მე არ მინდა ეწეო მხოლოდ იმიტომ, რომ ეწეო. მე მაქვს აზრები და დაკვირვებანი, რომლებიც სხვისთვის ვაზიარების ღირსი მგონია... მე არ ეფიქრობ წერისთვის. მე არ მინდა გამიყნოს იმით, რომ რაც შეიძლება დაუსრულებლად გავაგრძელო ჩემი მოსაზრებანი და ვაერცელო არასწორი (ყალბი, დაკვირვებით და მერყევი) აზრები, ვსწავდი ისეთად, როგორც ჩემს დღეში არ ეყოფილვარ და დღესაც არა ვარ. არ მიყვარს ნახევრადბნელი გამოთქმები, რომ ჩემს ნაწერებს აკლდეს სრული სინათლე და გაურკვეველობა: მე არ ეწერ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი ქალაქი დაესწერო... ბოლოს და ბოლოს მე შეეცდამაში არ უნდა შემეყავდეს მკითხველი, არასოდეს არ დავიწყებ წერას იმის გამო, რომ ქალაქები ვაყის“.

წერილში გალაკტიონი გამოყოფს მწერალთა სამ სხვადასხვა ტიპს და ასე ახასიათებს მათ:

პირველი-რომლებიც წერენ ფიქრის გარეშე, ხსოვნით, მოგონებებით ან უშუალოდ სხვისი წიგნებიდან.

მეორენი ისეთები არიან, რომლებიც წერის დროს ფიქრობენ და ფიქრობენ მხოლოდ იმიტომ, რომ წერონ. ასეთი მწერალი, „რომელიც დაფიქრებას გადასდებს წერის დრომდე, ემსგავსება ალა ბედზე მიმავალ მონადირეს: საიქცოა, რომ იგი დიდი ნაწადირევით დაბრუნდეს შინ“.

გალაკტიონი ნამდვილ შემოქმედად მხოლოდ

1. იქვე, 02137-23.
2. იქვე, 021371-25.

მესამეს — ისეთ მწერალს მიიჩნევს, რომელიც წერს იმტომ, რომ ფიქრობს. ის ფიქრობს, სანამ წერას დაიწყებს. წერა ასეთი შემოქმედისათვის განგრძობილი ფიქრის, აზროვნების შედეგია. გალაკტიონი მას ამხივებს მონადირეს, „რომელიც დგას სწორედ მყოვლოში, სადაც ნადირი შემწყვდეული და ჩაეტილია... იგი ვერ გაიქცევა მონადირეს, რომელსაც დარჩენია მხოლოდ დაუმოხონს და ესროლოს“.

გალაკტიონს ხელოვნება წარმოუდგენია არა მხოლოდ შემოქმედის სიამოვნება და ნეტარების წყაროდ, მისთვის იგი ერთ-ერთი მძლავრი იარაღია სიკეთისა და მშვიდობისათვის საბრძოლველად. ყველა ხელოვანი თავისი პოლიტიკური შეხედულება უნდა ჰქონდეს. უამისოდ მისი შემოქმედება უიდეოა. შემოქმედმა უნდა იცოდეს, ვისთვის ან რისთვის იბრძვის, რა იდეას ემსახურება, და უნდა სწვრივდეს თავისი თავის. გალაკტიონი პარიზში ყოფნის დროს გაკეთებულ თავის ჩანაწერებში — „მსოფლიო ლიტერატურის კოლექტიური ჰმა“ — განსაკუთრებულად აღნიშნავს, რომ ევროპის ბევრი მწერალი შეგნებულად არიდებს თავს პოლიტიკას, რადგანაც მისი ეშინია. „ნაწილს ევროპის მწერლობისა... პოლიტიკა გამოუყოფელი აქვს ცალკე, რაღაც ფრჩხილებში ჩასამხელ ამბად. პოლიტიკას ისინი უცქერიან რაღაც უცხო და მიუღებელ მოვლენად მხატვრულ შემოქმედებაში. იგი ორგანულად მოკლებული მიაჩნიათ მწერლობისათვის, იგი მიუღებლად მიაჩნიათ მხატვრისათვის. იქ ბევრ მწერალს ეშინია პოლიტიკის“.¹

გალაკტიონისათვის პოლიტიკისადმი ასეთი დამოკიდებულება, ისევე როგორც საერთოდ საბჭოთა მწერლისათვის, უცხოა. გალაკტიონი ერთ-ერთი პირველი ქართველი პოეტი იყო, რომელიც ომანიანი შემახილი შეეგება განახლებულ საქართველოს და ვაკაცურად მოუწოდა ყველა ქართველ პოეტს რევოლუციისათვის, თავისუფლებისათვის თავდადებისაკენ:

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ გრიალებს ვსწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოს!

ახალი ეპოქა ახლებურად მოითხოვს ხელოვნებაში ცხოვრების ასახვას. ახალმა ხელოვნებამ უნდა ჩამოიცილოს ყველაფერი ძველი, დროშა-ქმული და ახალი ამოცანები დაუსახოს თავის-

თავს. გალაკტიონმა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების დღიდანვე სწრაფად შექმნილი ხელოვნების განახლებას უკმაყოფილებად წამოაყენა დევიზი — განახლება ან სიკვდილი. პოეტისათვის მესამე — საშუალო, კომპრომისული გზა არ არსებობდა ხელოვნებაში. არც იყო ამის დრო. ახალი ცხოვრება გვიანტური ნაბიჯებით მიდიოდა წინ, ამსხვრევდა ყველაფერს ძველს, სწრაფი ტემპებით ქმნიდა ახალს, არნახულს, და ხელოვნებაც ხომ ამ დიდ ძვრებში ამსახველი უნდა ყოფილიყო. განახლება ან სიკვდილი — ეს ისეთი მოწოდება იყო ხელოვნებაში, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მოითხოვდა ძველის დამარცხებისა და ახლის გამარჯვებისათვის. პოეტი მოუწოდებს ყველა ხელოვანს — დადგეს თანადროულობის შესაფერისი სიმაღლეზე, მთელი არსებით განიცადოს თანამედროვეობა, როგორც გალაკტიონი ამბობს, ამ დროს ხელოვანი უნდა იყოს „ბრძველი და ქმედი, ყოველნაირთა გაკვეთა დამწყვეტი“. მისი მებრძოლი, ძლიერი ჰმა მთელ მსოფლიოში უნდა ჰგავდეს „უმეორებელ ქარტიხის“. ასეთი რწმენით შეგება გალაკტიონი ახალ ცხოვრებას და ასეთივე რწმენით მოუწოდა მან ყველა ქართველ ხელოვანს:

„პოეტებო, მხატვრებო, არტისტებო, მწერლებო! შესძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე ეს ისე, როგორც მოითხოვს თანამედროვეობა? გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენს ეპოქას უნდა ანათეოდეს მისი შესაფერისი ხელოვნება... უღიღებუდეს რითმებში ესლა უნდა ისმოდეს პლანეტათა შეგახება, ომები ეარსკველავთის რაზმისა, გააფთრებული მშენების მიერ უეცრად ანთებული ცეცხლის ღრუბელი. ქართული ჰმა უნდა ისმოდეს ამ ფანტასტიურ დროს...“

ამიერიდან ქართული ხელოვნების დევიზია — განახლება ან სიკვდილი! მე გეძახით თქვენ, გმირებო, შემოქმედებებს, ცეცხლით სავსე ახალ-გაზრდობავ, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ჰმა. განახლება ან სიკვდილი! ძირს ყოველგვარი რუტინა, ძირს დროშოქმული და შემოქმედების უნარმოკლებული ელემენტები... საქართველოს წინაშე ჩვენ წარსდგებით ამაყნი იმით, რომ ამ პლანეტის კიბოში და ქვეყანათ მსხვრევის გრიალში ჩვენი ძახილია — სიკვდილი ან გამარჯვება!“¹

1. „გალაკტიონ ტაბიძის ეტრნალი“, 1922 წ., № 1 (ხელნაწერი დატულია არქივში — 021371-27).

1. იქვე, 02371-3.

ჯორჯის აღზინდელი შემოქმედება

1941 წლის ზამთარში, ციურიხის საავადმყოფოში გარდაიცვალა ჩვენი დროის ერთ-ერთი საინტერესო მწერალი-განის, ვის სახელოვანე ბევრი გახმაურებული და სენსაციური შემთხვევა დაკავშირებული. მით უფრო, ჩემი და უპირეტუნით იყო მისი დაკრძალვა. მისი სახელია ჩემს ქოისი, იგი შეტად თვითმყოფადი მოვლენაა ჩვენი საუკუნის დასაქვლეთის ლიტერატურულ ცხოვრებაში და, თავისი გვარის მნიშვნელობისაგან განსხვავებით, ტრაგიკული იყო ცხოვრება შემოქმედისა, რომელიც შეებრძოლა იმდროინდელ წარმოდგენებს ადამიანზე, მის შინაგან ცხოვრებაზე. მაგრამ ქოისის უკიდურესი გულახდილობის, თითქმის მოტრიდეზლობამდე მისული დოკუმენტურობის მიზანი არასოდეს ყოფილა პორნოგრაფია, როგორც ამის დამტკიცებას სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირები ცდილობდნენ.² ერთი რამ ახლანდოდ უკვე აღარაგის მიანიშნა, არც ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში და არც დასავლეთში: ქოისმა ისეთი ღრმა კვალი დაამჩნია ევროპის ლიტერატურას, რომ დასავლეთის ლიტერატურათან დაკავშირებული ბევრი საკითხის კვლევისა და გარკვევისას მისი როლის სათანადოდ შეუფასებლობა წარმოუდგენლად მიგვაჩნია.

მეტიერტ უელსმა ქოისის შემოქმედებას სარკე უწოდა, რომელსაც ავტორი თანამედროვეებს სთავაზობდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ

1. ქოისი ინგლისურ ენაზე „სიხარულს“ ნიშნავს. თვით მწერალი სწორად ხუმრობდა ამის თაობაზე.

2. მხედველობაში გვაქვს ამერიკის შეერთებული შტატებში გამართული სასამართლოს პროცესი, რომლის დროსაც ბრალდებულის სკამზე ქოისის დიდტანიანი რომანი „ულისი“ იქცა.

ნარკისივით თავდაუწყებამდე მოხიბლულიყვენ საკუთარი სიმშვენიერით. პირიქით, იმდენად უნდა შეზინდებოდათ თავი, რომ გარედან შელამაზებისა კი არა, ძირეულად გარდაქმნის სურვილი დაბადებოდათ.

ქოისის შემოქმედების ობიექტი ირლანდია იყო. „ირლანდია ჩემი პაციენტი“—ამბობდა იგი, და ექიმი ხომ სწორად იმუღებელია მწერე წამლები გამოუწეროს ავადმყოფს მისსავე სასაკეთოდ. ქოისისათვის ირლანდია ის დაუშრეტელი წყარო იყო, რომელიც სასიკოცლო წვენიით ჰკვებავდა მის შემოქმედებას. მითითი ანთესისა არ იყოს, მშობლიურ ნიადაგს მოწინვეტილი, ძალასა და აზრს ჰკარგავდა ქოისის მოქმედი სიტყვა და ლამაზ, მაგრამ ცარიელ ფორმად ქცეული ვეღარაგის აძლევდა სულიერ საზრდოს. სწორედ ასედაც დაემართა შემოქმედების დასასრულს ამ დიდად ნიჭიერსა და საინტერესო მწერალს.

ჩვენი მიზანია მოკლედ მიმოვიხილოთ ქოისის შემოქმედების ის პერიოდი, როდესაც მწერალი მხოლოდ ფორმათა ძიებით როდი იყო გართული.

ერთერთ კერძო სიუბარში ქოისმა განაცხადა: „შე ყოველთვის ვწერ დუბლინის შესახებ, იმიტომ, რომ, თუ დუბლინს ჩაქწელი, მსოფლიოს ყველა ქალაქს ვაუღებ, კერძოში ხომ ზოგადი შესანიშნავად მოჩანს.“ ამრიგად ქოისის მიზანი იმდენად ის კი არ არის, რომ მარტო დუბლინელებს ვაუგოს, არამედ — ადამიანს საერთოდ. პიროვნებაში იგი კაცობრიობის ისტორიის ნაწილად ხედავს, ისტორიის განზოგადებულ ფონზე პიროვნების ეს მეტად თავისებური ხედავს საინტერესო სურათს ქმნის. ქოისი, კინემატოგრაფიის ტერმინოლოგიით რომ ველამარაკოთ, ორ კადრს ერთმანეთზე აფენს, რომელთაგან ერთი უსაზღვროდ ზოგადია, მეორე კი უკიდურესობამდე ინტიმური.

ჯეიმს ჯოისი დაიბადა ირლანდიაში, ქალაქ დუბლინში 1862 წლის 2 თებერვალს, ღრმად მორწმუნე კათოლიკე ქალისა და პოლიტიკით გატაცებული, ენამახვილი და დღენიადაც ვალუ-ბში ჩაფლული ირლანდიელი პატრიოტის ოჯახში. ექვსი წლისა რომ შესრულდა, ბელადე-რას კოლეჯში მიიბარეს. ფიზიკურად სუსტი ბა-ეშვი იყო და არაფრით არ გამოირჩეოდა თავი-სი ამხანაგებისაგან, თუ მხედველობაში არ მი-ვიღებთ კოლეჯის ინგლისური ენისა და ლი-ტერატურის მასწავლებლის ნათქვამს, რომელ-მაც რექტორს განუცხადა:—ამ ყმაწვილს თავი იდევებით აქვს გამოტენილიო“. რა იდეებს გუ-ლისხმობდა მასწავლებელი, ეს ახლა ძნელი გა-მოსაცნობია. მომავალი მწერლის სულეც ცხო-ვრებასა და განწყობილებებზე ამ პერიოდში მიახლოებით წარმოდგენას მოგაცემდა მისი პო-რეული ლექსების კრებული, მაგრამ არცერთი ამ მწარმოებელიდან არ შემონახულა.

კოლეჯში სწავლის წლებს უქმად არ ჩაუვლია ჯოისისათვის. აქ მან ბრწყინვალედ შეისწავლა ინგლისური ლიტერატურა და სამი უცხო ენა. კოლეჯის შემდეგ ჯოისი სწავლას აგრძელებს დუბლინის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტში სწავლის უკანასკნელ წელს იგი უნივერსიტე-ტის ლიტერატურული და ისტორიული საზო-გადოების წინაშე კითხულობს მოხსენებას: „ღრამა და ცხოვრება“. ამ მოხსენებაში ჯოისი განიხილავდა ბერძნულ ღრამის საკითხს და ამ-ტყობდა, რომ ბერძნული ღრამი მოყვდა, რომ შექსპირის ღრამამაც მოჰყვა თავისი ღრამი, რომ კალდერონი, მეტასტაზიო, კორნელი დიდი ყუ-რადღებეს ღირსი არ არიან. შეიძლება ჯოისის მოსაზრებები მეტად კატეგორიული და საფუძ-ველს მოკლებული მოგვეჩვენოს, მაგრამ ჩვენ-თვის ჯოისის ეს მოხსენება იმით აიის საინ-ტერესო, რომ აქ მან პირველად ჩამოაყალიბა თავისი ლიტერატურული შეხედულებები ერ-თიანი სისტემის სახით.

ოცი წლის ჯოისი ეცნობა დუბლინის ლიტე-რატურულ წრებს. ნიჭიერმა ახალგაზრდამ მათ ყურადღება თავიდანვე მიიპყრო, მაგრამ მის ოდნავ უნდობლად შეხედნენ. გამოჩენილი ირლანდიელი პოეტი იტის წერდა ჯოისის შე-სახება: „შევიცადოთ, სანამ გაირკვეოდეს, იგი შადრევანია თუ დაგროვილი წყლის გუბურაო“. ჯოისის შთელი შემოქმედება იმის საწინდარია, რომ მისი ნიჭი მხოლოდ ერთხელ ამოხეთქილი და უმაღლე ჩამქალი შადრევანი არ ყოფილა.

1902 წელს ჯოისი ამთავრებს უნივერსიტეტს და საფრანგეთში მიემგზავრება. პარიზი დუბ-ლინის კონტრასტი იყო. აქ ჯოისი ბევრს კით-ხულობს, მეცადინეობს. ამ დროს ჯეიმს ჯოისი გატაცებულია თომას აქვინელის ფილოსოფიით, რომელიც შემდეგ „თომასმის“ ნაჯადის სახით არის ჩაწული მის შემოქმედებაში.

ეს წლები ჯოისისათვის კვლავ სწავლით გაღ-რმავებისა და შთაბეჭდილებებით გამოდრების წლებია. იგი სწავლობს ნიქშეს ფილოსოფიას და, უნდა ეთიქიტათ, რომ რამდენიმე წახსამ კეთილებით პირველ ხანებში, მის ვაგლენსაც განიცდის.

ჯოისი უკვე ოცდაორი წლისაა. ამ ხანებში იგი ყურნალ „დენსსათვის“ (მიწის ქალღმერ-თის ირლანდიური სახელია) წერს ავტობიოგრა-ფიულ მოთხრობას, რომელშიც თავის თავს ირონიკურული აღტაცებით აღწერს. ეს მოთხ-რობა მან ერთ დღეში დაწერა და „შემოქმედის პორტრეტი“ უწოდა. ეს ჯოისის სერიოზული შემოქმედების დასაწყისი იყო. შემდგომში მან ეს მოთხრობა გადააყეთა, განაგრეთ და საბო-ლოლო ვარიანტში „ახალგაზრდა შემოქმედის პორტრეტი“ დააბეჭდა.

სამწუხაროდ, ჯოისის თანამედროვეებმა ვერ გაიგეს და სათანადოდ ვერ შეაფასეს ეს ნაწა-რმოები. ტუვილად ეს არ ამბობს ნაწარმოების გმირი სტეფანი-ჯოისი: „ნემი აუდიტორია იმა-თგან შედგება, ვინც ქერ არ დაბადებულა“. სო-ინტერესოა ერთი ჩანაწერი მწერლის მისს— სტანისლავ ჯოისის დღიურიდან, რომელიც „ახ-ალგაზრდა შემოქმედის პორტრეტს“ ეხება: — „ჯიმი (ჯოისის შინაურები ასე ეძახდნენ) შეღ-პარაკება თავის თითქმის ავტობიოგრაფიულ და, რამდენადაც მის კალამს ეუფთვნის, რასაკერა-ვლია სატირულ მოთხრობაზე“. ჰვენჯონის საყუ-რადღებოა ფრანზის ბოლო ნაწილი: ჯოისის ბუ-ნებისაგან განუყოფელი იყო სარკაზმი, იგი ბევრ რამეს დასცილოდა და უწინააღმდეგე-სად თავს. ამიტომაც თავის გმირთან ავტორის დამოკიდებულებას მეტად რთული ხასიათი აქვს. სტეფანის პიროვნებაში ჯოისმა გააერთი-ანა თავისი კონფლიქტი ევლენსისათან, თავისი ზედმეტი გატაცება სექსუალური თავგადასა-ვლებით, გატაცება პარნელით (ირლანდიის ბუ-რეფუზიული ინტელექციონის ლიდერია), ბაი-რონიით, იბსენით, ფლობერით. სტეფანი-ჯოისი ზედმეტად უნდოა, მას ზწირად არ ჰყოფნის გა-მოცდილება და ზწირად ედებდა, მაგრამ ყოველ-თვის თვალში საყვამა მისი უდიდესი შინაჯანი სისპეტაკე, კეთილშობილება და უსაზღვრო-სურვილი სამყაროს მთლიანი იქმნისა და ყვე-ლა მოკლენის გაგებისა, სტეფანი-ჯოისი ღმერთს განუდგა და ახალი ღმერთი იქამა—ხელოვნებაა მისი ღვთება. იგი ხელოვნებას ყველაფერს ანაკლებებს. ხელოვნებამ მას სიკაცხლის სიმ-შვენიერე განაცდევინა, „ის სიმშვენიერე, რასაც მეფე და მოღვდელი ცხრაკლიტულში უბატა-დნენ“.

ჯოისისათვის არ არსებობდა წერილმანი, ყველაფერს თავისი ფუნქცია აქვს. „ახალგაზრ-და შემოქმედის გმირს“ სტეფან — დედალსო ჰქვია. ძალუენებრად ვაქცეთ ყურადღებას ამ სახელში ქრისტიანული და წარმართული სა-

ხელის საოცარ, ერთი შეხედვით, გაუგებარ შერწყმას. სტეფანი როგორც ვიცი, კრისტიანობის ყველაზე დიდი პირველი და მნიშვნელოვანი წმინდანი, ხოლო დედამისი წარმართული სამყაროს ყველაზე მნიშვნელოვანი გამოგონებელი. ამ ორი სახელის შერწყმით ჯოისის სურს შემოქმედის ბუნებაში წმინდანის სულიერი სიძლიერე, სისხეტაკე, მორალური სიმტკიცე და წარმართი გამოგონებლის დიდი გონებრივი პოზიტივიზმი, დიდი ინტელექტი და გაბედურობა შეერწყას ერთმანეთს. შემოქმედის არ არის უბრალო პიროვნება, იგი ტიტანური სულიერი და გონებრივი ძალების მქონეა. ამიტომაც მას შეუძლია, უფრო მეტიც, იგი მოვალეა ამაღლდეს გარშემო მყოფებზე შთაგონების ფორმით და უბრალო მოკვდავთა ვაჟი უჩვენოს კვამარტობისაკენ, თუნდაც ეს, მამაც დედამისეობით, სიცოცხლის ფასად დაეჯდეს.

„სტეფან-გმირზე“ შემოთხრობის პარალელურად ჯოისს შეუძლია „დებლინელებზე“. მას განზრახული ჰქონდა „დებლინელების“ შემდგენ და ეწერა გაგრძელება: „პროვინციელები“, მაგრამ ეს ჩანაფიქრი აღარ განუხორციელებია.

1907 წელს გამოდის ჯეიმს ჯოისის ლექსების კრებული „კამერული მუსიკა“. ამ ლექსების ავტორის სახელი მათი გამოქვეყნების შემდგენსა პაუნდისა და ელიოტის სახელების გვერდით იხსენიება. ამ კრებულში ოცდამეექვსეტი ლექსი შედის და ისინი იმდენად მკვლევარია, რომ ყველა მათგანზე მუსიკა შეიძლება დაიწეროს. ჯოისის განზრახვაც სწორედ ეს იყო: ეწერა ლექსები, რომლებსაც იმდენრებდნენ, რამდენად მიაღწია პოეტმა მინებას, ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ ჯოისის სასიძღვროდ გადაღებული ლექსების რაოდენობის მიხედვით. ასეთები კი საკმაოდ ბევრია.

1914 წელს ჯოისის სამწერლო კარიერაში საგრძნობი წინსვლის წელია. თანდათანობით სცნობენ მის ტალანტს. თითქოს მოგვარდა ურთიერთობა გამოქვეყნებთან: გამოიქცა „დებლინელები“, დაახლოებით ამ პერიოდისა და მოკვლეული ჯოისის შემოქმედებაში შემოიწვევა დეკლარირებული ელემენტების მოძალდება. ყველაზე მეტად „ულისში“ და „ფინაგენის გამოღვივებაში“. თვით შერწალი ამ ბოლო ორ ნაწარმოებს თანდათან შემოქმედების გვირგვინად მიიჩნევა. მისი შემოქმედების ობიექტური შემფასებლებისათვის ჯოისის აზრი საკუთარი შემოქმედების ღირებულებაზე ყველაზე ნაკლებ არის ეურადსაღებო. მეორე მხრივ „ულისი“ მართლაც მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, მაგრამ სულ სხვა ასპექტში: მნიშვნელოვანია, როგორც დასავლეთ ევროპული დეკადენსის მკაფიო გამოხატულება.

1920 წელს ჯოისი პარიზში ჩადის საცხოვრებლად.

იგი უკვე საკმაოდ ცნობილი მწერალია. მას დიდი ინტერესით ხედელობა. ელერი ლარბო, ცნობილი ფრანგი კრიტიკოსი, *„ხედელობაზე“* ედვარდ როგორც ფოლსტაფი — წერდა ვ. ლარბო. „ულისი“ ითარგმნა გერმანულად, ფრანგულადაც. ამ ნაწარმოების პოპულარობა იზრდება, იზრდება მისი ავტორის პოპულარობაც. მაგრამ ეს არ უნდა გავაგიჟოთ ჯოისის შემოქმედების მნიშვნელობის ზრდასთან. პირიქით ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რეალისტური მიმდინარეობის თვალსაზრისით, ჯოისმა სწორედ მაშინ შექმნა როდესაც სრულიად უცნობი იყო ფართო საზოგადოებისათვის. რაც შეეხება „ფინაგენის გამოღვივებას“ ეს ჯოისის ბოლო ნაწარმოებია. ერთ-ერთ მშვენიერათმან „საუბარში მან განაცხადა, რომ „ფინაგენის გამოღვივება“. მას ფინ მაკკამპალის (ლევანდარული ირლანდიელი გმირი და ბრძენი) ოცნებად ჰქონდა ჩაფიქრებული, ამ მაკკამპალისა, რომელიც ცნობილი მდიდრი წყნის მდიდარი ლიდის (საოცოცხლის მდიდარი) ნაპირს. მის თვალწინ უნდა ჩაიაროს ამ მდიდრის ტალღებზე დაწერილი ირლანდიისა და საერთოდ მსოფლიოს ისტორიამ, და მართო ისტორიამ ეს არა, — მომავალმაც, ჯოისის აზრით, რომელიც ისტორიაზე იტალიელი ისტორიკოსის ვიკოსი შეხედულებებს იხიარებდა, არაფერი ახალი არ არის და არც შეიძლება იყოს. ყველაფერი მეორედია, მაგრამ სპირალის სახით მიიწევს ზევით. სულ მეტი და მეტი ხარისხით.

პარიზში ცხოვრება ჯოისისათვის ატანელი ხდება. საერთაშორისო სარბაღზე მოყვანება სწრაფად ვითარდება. გერმანია ზედმედ ეკავებს ნორვეგიას, ბელგიას და, ბოლოს 1940 წლის მასში, საფრანგეთსაც. ჯოისი იძულებულია ოჯახით შევიდეს ირლანდიაში. ციურბში იგი ავად ხდება. 1941 წელს თერმეტ იანვარს ქ. ჯოისი საავადმყოფოში გარდაიცვალა. რამდენადღაც დიდი ხანური სდევდა თან მას სიცოცხლეში, იმდენად ზემო და უპრეტენზიო იყო მისი დაჩაბდება. ამემაღლდ მხოლოდ უბრალო ქვაბი მივითვებ მის საუკუნო სამყოფელს ციურბის სასაფლაოზე.

ჯოისის შემოქმედების პირველი პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებების, ნოველების კრებულს „დებლინელების“ განხილვის დაწყებამდე, საჭიროდ მგვაჩნია მე-20 საუკუნის ინგლისური ნოველის წინამძღვრები მოკლე მიმოვიხილოთ და გავარკვიოთ რით არის ჯოისის ნოველსა და ელემენტული წინამორბედთაგან.

ინგლისური ნოველის ისტორია ძალზე მოკლეა. იგი მხოლოდ მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა ინგლისში, როგორც დამოუკიდებელი ენა. მე-19 საუკუნის ინგლისელი მწერლები (ფრედერიკ უელსონი, ჰენრი ჰარდენი და სხვა) ნოველისადმი დიდ ინტერესს

რეს იხედნენ. ინგლისელი კრიტიკოსები მწერლების იმ ჯგუფს, რომლებმაც ყურადღება მიაქციეს მოთხრობის ენას, მე-19 საუკუნის მიწურულში მოპასანოს ჯგუფს უწოდებენ. მე-20 საუკუნის 10-იან—20-იან წლებში, როდესაც ჩეხოვი ცნობილი გახდა ინგლისეთათვის, ნოველისადმი ინტერესი უფრო გაძლიერდა. ინგლისელი კრიტიკოსები ს. გორდონი და ა. ტეიტი ჩეხოვის ერთ-ერთი მოთხრობის კომენტარებში წერენ: „ჩეხოვის უდიდესი მოსწავლეა ვიქტორია, მისი მოთხრობა „შეძრება“ შეიძლება მოვიყვანოთ იმის შესანიშნავ მაგალითად, თუ რა შეუძლია მოგვეცეს ჩეხოვის მეთოდში იმ შემოქმედის ხელში, ვისაც უნარი აქვს გამოიყვანოს ამ მეთოდის ძირითადი შესაძლებლობები“.

ჯოისის „დუბლინელებზე“ ჩეხოვის გავლენა სრულიად აშკარაა, თუმცა თვით ჯოისი არასოდეს სცნობდა რაიმე, თუნდაც სულ უმნიშვნელო გავლენის არსებობას თავის შემოქმედებაზე.

ჯოისის ნოველების კრებული „დუბლინელები“ პირველად 1907 წელს გამოიცა. მაგრამ მოხდა უცნაური შემთხვევა: ვილი უინტონმა მთელი გამოცემა შეისყიდა და დაწვა, მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ, 1914 წელს მოხერხდა ამ კრებულის დღის სინათლეზე გამოტანა. ჩვენთვის გუგუბარია პირველი გამოცემისადმი ასეთი დამოკიდებულების მიზეზები.

„დუბლინელებს“ სამოქმედო ასპარეზი დუბლინის რუხი, უსიცოცხლო ქუჩები და ძველი, ჩაშვებული სახლებია. იქ სევდიანი, ცხოვრებისაგან გატეხილი ადამიანები ცხოვრობენ: წერალი მოხელე, ბედმა რომ არ გავლიდა და ნათუნებარი ფერად მოგონებად შემორჩენია. მრეცხავი ქალი, მუშა, დუბლინის ქუჩის მაწანწალები; დიდი სიმართლით არის გაშლილი უზარალო ადამიანის თემა, მისი უღიმგამო ცხოვრების შემპარწუნებელი სურათები, მათი არსებობის მონოტონური რიტმი, მდგომარეობიდან გამოუსვლელი შვარცნება („ვევლინა“), ნაღვლიანი ტრეშენა იმისა, რომ ჯიან არის, არაფრის შეცვლა აღარ შეიძლება („ღრუბლის ქვია“), რომ ცხოვრებაში უხასხები, იარაობიანი იმარჯვებენ, რომელნიც ჩენდღერებსა და მის მსგავსთ „მზის ქვეშ“ ადგილს აღარ უტოვებენ. ვველაფერი ეს მდგომარეობიდან თავდაუღწეველობის პირქვე განწყობილებას ქნის.

„დუბლინელებში“ ჯოისი ასეაქვს ის უყურბეს, თითქოს ის ცოცხალი ძალები იყოს. მოთხრობების მთელი ციკლიც ასე აქვს წარმოდგენილი. თვით ჯოისი „დუბლინელების“ შესახებ წერდა: „პირველი სამი მოთხრობა—„ღები“, „მოულოდნელი შეხვედრა“, „არაბეთი“—ჩემი ბავშვობის მოგონებით სუნთქავენ, შემდეგი სამი — „პანსიონი“, „მოტარბოლის შემდეგ“, „ვევლინა“, — სიკაბუციის დროინდელი მოთხ-

რობებია. „ფერფლი“, „შემაღვანელი ნაწილევი“, „უბედური შემთხვევა“—სიმწიფის კერითღს ეკუთვნის. ბოლო სამი მოთხრობა—„პლემის დღე კომიტეტის თაბში“, „ღედა“ და „შეადრება“ — სოციალური ცხოვრების სურათებია“.

რა აერთიანებს „დუბლინელებში“ შემავალ მოთხრობებს? ამ მრავალ წახნაგოვან კრისტალში სხვადასხვანაირად გადატყდება სხვი ერთი თემისა—დუბლინის მოქალაქეთა ცხოვრების უპარობის, დამბლადაცემლობის, უმოქმედობის შესახებ. ავადმყოფობას მოუტყდა დუბლინელთა ცხოვრების მორალური, ინტელექტუალური და სულიერი სფეროები. ჯოისს უნდა ამ დაავადების მკურნალი იყოს. მისი აზრით, საჭიროა ადამიანებმა შეიცნონ თავიანთი თავი, სხვისი თვალთ შეხედონ თავიანთ ცხოვრებას, ჯოისის დუბლინი, ერთი მხრივ, მორალური და სულიერი ცხოვრების „სანაგვეა“. მწერალს სძულს „სანაგვე“, მავრამ უყვარს და ეცოდება იქ მცხოვრებნი, რომლებიც ხშირად ვერ გრძნობენ, რა ჭაბოში უხდებთ ცხოვრება. დუბლინელებს ჯოისის მოთხრობებში ბევრი ნაკლი ახასიათებდა, მაგრამ ისინი თანაგრძნობის აღვებირავენ. ჯოისის „დუბლინელების“ კითხვისას გვატყვევებს ადამიანურობა, თვისება, რომელიც ჯოისის შემოქმედების ამ ეტაპისათვის არის დამახასიათებელი.

ჯოისის—ქუმანისტს სძულს ისეთი საზოგადოება, რომელსაც პოლიციისათვის მიუხდევია მორალზე, ხოლო ანტირეპრეზინაციისთვის ხელსენებაზე ზრუნვა.

„დუბლინელებს“ ჯოისის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და მცირე ფორმის მიუხედავად მთის მდინარის სათავეს მოვავაგონებს, რომელიც ვიწრო ქალაქობში ჩაკედილი დიდ ენერჯის ინახავს. რა მიზანი ისახავდა მწერალი „დუბლინელების“ შექმნით? „ჩემი მიზანი იყო დამეწერა ერთი თავი ჩემი ხალხის მორალური ისტორიისა და შემოქმედების ადგილად დუბლინი ავირჩიე, იმიტომ, რომ ეს ქალაქი დამბლის ცენტრია. ვედილობად გვლვართლი საზოგადოებისათვის წარმედგინა იგი ერთი ასპექტში: ადამიანი ბავშვობისას, ჭაბუკობისას, ჭარმაგ ასაკში, ავრთვე ამ ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრება. ამ თანმიმდევრობით არის მოთხრობები დალაგებული“.

ჯოისის მკითხველი საერთოდ და, კერძოდ, „დუბლინელების“ მკითხველი, მომზადდებულა უნდა იყოს ქვეტექსტების წასაკითხავად, რადგანაც „დუბლინელებს“ ახასიათებს ფორმის სიმცირე, რომელშიც დიდი შინაარსი იმალება¹. ქვეტექსტის საშუალებით მწერალი ახერხებს მკითხველს სასურველი ემოცია აღუძრას. სწო-

¹ Жаитиена — Джеймс Джойс — Москва, 1967, стр. 18.

რედ ეს არის ჭეიშ ჭოისის ზემოქმედების დიდი ფსიქოლოგიური ძალა. მოთხრობების ეს კრებული არასოდეს არ იყო დიდად პოპულარული დასავლეთში. ეს ადელი ვასაგებია. ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელიც ფარისევლობას რეალობისაგან დასაცავ ფარად ხმარობს, ვერ ურიგდებოდა თავისთვის დამახასიათებელ მანიერებთან ასეთ მოურიდებელ და მათერ მხილებას.

აზრთა დიდი სხვადასხვაობაა ჭოისის „ღუმლინელებს“ სტილის ვარკვევისას. კრიტიკოსების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ჭოისის „ღუმლინელებს“ სტილი ნატურალისტურია. მეორენი ფიქრობენ, რომ მოთხრობები მთლიანად სიმბოლისტურია. არსებობს კომპრომისული მოსაზრებაც: მათში ნატურალიზმისათვის დამახასიათებელ ნიშნებსაც ხედავენ და სიმბოლისმისათვის დამახასიათებელ თვისებებსაც აღმოაჩენენ ხოლმე. ზვენი აზრით, ჭოისის ეს მოთხრობები ძირითადად რეალისტურ სკოლას მიეკუთვნება, რაც არ ამათილებს იმ აზრს, რომ ნატურალისტური ხერხებიც არის გამოყენებული, მაგრამ მათში ბევრ რამეს ვხვდებით სიმბოლისმიდანაც.

კრებული მოთხრობა „ღუმით“ იწყება, თვით მოთხრობა კი ლამის, დამბლისა და სიყვდილის ჩვენობით. თხრობა პატარა ბიჭის პირით მიმდინარეობს. იგი თვით ჭოისის პატარაობისას. ბავშვი მეტად მგრძობიარეა და ბევრ რამეს ღრმად, მტკივნეულად განიცდის. მკითხველს თითქოს ბუნდოვანების, გაურკვევლობისა და, აქედან გამომდინარე, შიშის გრძობა ეუფლება. ეს მოთხრობა თავისებური გამოცანაა. ბიჭი, რომლის სახელს ვერ იქნა და ვერ გებულობს მკითხველი, რაღაცით არის გაოცებული, რაღაც აწყობს. შერჩარს სურს არასრულყოფილების აღმოსაფერო შექმნას და აღწევს კიდევ მიზანს. ამას იმით ახერხებს, რომ სიტყვას „გნომონს“ ხმარობს (რაც არასრულყოფილ გეომეტრიულ ფიგურას ნიშნავს). გეომეტრიის ცოდნა ინტელექტზე მეტყველებს, მაგრამ რადგანაც „გნომონი“ არასრულყოფილი გეომეტრიული ფიგურაა, მკითხველი ძალაუნებურად ფიქრობს არასრულყოფილ ინტელექტზე. სიტყვა „გნომონის“ გვერდით ვხვდებით მეორე, არანაკლებ უცნაურ სიტყვასაც: „სიმონია“. ეს სიტყვა ვალესიურ შეცოდებას აღნიშნავს. ამ ორი სიტყვის ურთიერთშეკავშირებით ჭოისი სულეერ და ინტელექტუალურ არასრულყოფილებაზე ელაპარაკება მკითხველს, მოთხრობის გმირი, პატარა, მგრძობიარე ბიჭი სულეერ და ინტელექტუალურ არასრულყოფილების აღმოსაფეროში ცხოვრობს, იზრდება და, რა ვასაკვირია, რომ იგი უპბუცხობისას „ორი თაყვანისმცემლის“ უხამს

ახალგაზრდად გადაიქცეს. მოხუცი ჭეიშს ფლანი კი, მოხუცი მოძღვარი, უკვე არის მახვერბლი ამ არასრულყოფილებისა. შენობელები ზედაქს, რომ ბიჭიც პოტენციური მსხვერპლად ახერხებდაც ცდილება არ მოხდა, თუ ატმოსფერო არ გაქანსადა.

ამ მოთხრობაში ჭოისს თავისი ოცდაორი ეპიფანიდან გამოყენებული აქვს ორი ეპიფანი. აქ ოდნავი ვადახვევა მოგვხვდება და ეპიფანის ჭოისისიერლ განმარტებას მოკლედ მოვალეთ. ეპიფანს ჭოისი მკითხე ფორმის ისეთ ნაწარმოებს უწოდებდა, რომელშიც ამა თუ იმ მოკლენის არსი მოულოდნელად გამოვლინდება ხოლმე: ვულგარული შეტყუება, რაღაც მოულოდნელი ჟესტი ან ფრაზა, რომელიც შემთხვევით შეიძლება დასცდეს გმირის, არის ის სხევი, რომელშიც ერთი წამით გამოიანათა ამა თუ იმ პიროვნების ბუნების სიღრმეიდან. ჩვეულებრივ ეს „რაღაც“ უკუნეთშია ჩაფლული ვარშემოშეყოფათვის და ხშირად ეპიფანის ავტორისათვისაც. ჭოისის აზრით, ასეთი ეპიფანების აღრიცხვა მწერლის პირდაპირი მოვალეობაა.

დაუბრტუნდეთ „ღუმში“ გამოყენებულ ორ ეპიფანს. ერთია სიზმარი, რომელსაც დამოლოება არა აქვს. „არ მახსენდება სიზმრის ბოლი“ — ამბობს, ბავშვი, ყველაფერი ბინდში ჩაიძირება. ერთადერთი რაშიც შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, ის არის, რომ მოძღვარი ფლანი გარდაიცვალა, რომ იგი მსხვერპლია ღუმლინისა. მეორე ეპიფანია გაურკვეველი ფრაზა: „შამინ მიხედნენ, რომ რაღაც დამართნოდა მას (ფლანს), მწერალი მხოლოდ ანიშნავს მკითხველს, რომ რაღაც უსიამოვნო, რაღაც შემთხვევითებულ ემართებათ მის გმირებს. იქნებ ეს „რაღაც“ ის გამოუთქმელი პროტესტია, რაზედაც ფლანის მიერ შემთხვევით ვატეხილი საკურთხეველი მიუთითებს. რატომ უნდა ვასტეხოს მოძღვარს ღეთისსახურების მთავარი ინსტრუმენტი? ეცლესისათან, რელიგიანად დამოკიდებულებაში რაღაც ბზარის გაჩენას ხომ არ ვცლისხმობს მწერალი? გადაჭრით არაფრის მტკიცება არ შეგვიძლია. „რაღაც“ დავამართა ფლანს, შექმნილია პოლოდინის ატმოსფერო.

კრებულის მეორე მოთხრობა „შეხვედრა“ თითქოს „ღუმის“ ვაერძელებაა დროში. თხრობა აქაც იმავე ბიჭის პირით ხდება. იგი წამოზრდილია და ბელვედერის კოლეჯის მოსწავლეა (ჭოისიც ხომ ამავე სკოლაში სწავლობდა). ეს ბავშვი, რომლის სახელს აქაც ვანგებ არ ამბობს მწერალი, და მისი მეგობარი მეგობანი ჭაღაჭარეთ წასლას გააწყვეტენ, რათა „მტრების სახლი“ მოინახულონ. ასე ეწოდება ელექტროსადგურს, რომელიც ღუმლინს სინათლეს აწვდიდა. ჭოისის დასავლეთელი მკვლევარები, რომლებიც ზედმეტად არიან ვატყუებულნი ჭოისის ნაწერებში რელიგიურის მიეებით, ამტკიცებენ, რომ ელექტროსადგური

ღმერთზე მანიშნებს, ხოლო უცნაური კაცი, რომელიც ბიჭებს გზაში ხვდება, ირლანდიის ეკლესიას განსახიერებს. ჩვენი აზრით კი, ამ მოთხრობაში მწერალს სურდა გადმოეთქვა იმედგაცირების ის მდგომარეობა, რომელსაც ზნეირად განიცდის ენობისმოყვარე, გულბრყვილო, წმინდა პაროვნება ცხოვრების უარყოფითი მხარეების აღმოჩენისას.

ძირითადად ამ მოთხრობის არსი ის არის, რომ მისმა გმირმა თავისი თავი კიდევ ერთ ასპექტში შეიცვალა ერთი საფეხურით მიუახლოვდა ტექნოლოგიებს თავისი თავის შესახებ. ბიჭი მიხვდა, რომ სიამაყით სცოვდავს. მკითხველი დაწვრილებულია: რაღა დანაშაული შეცნობილია, მას მეორე საფეხურზე უნდა მოჰყვას. ამ შეთხვევაში სულიერი გაცეთილშობილება. მაგრამ ამის შესახებ ჯოხის უკვე აღარ ამბობს. იგი თავის მიზანს მიღწევულად სთვლიდა. მწერალმა გმირს წინ გადაუშალა მისივე ბუნება, ჩაახვდა ის თავის გულში და განაჩენი გამოატანინა საკეთარი თავისათვის. მწერალმა გმირის სულიერი მანქანებები დანახვა და მიატოვა. მიატოვა იმ იმედით, რომ ამ აღმოჩენას რაღაც უნდა მოჰყვას. თბრობა შეწყდა, მაგრამ მას გაფრთხილება, უფრო სწორად, დასასრული უნდა ჰქონდეს მკითხველს ფანტაზიაში.

„ბაზრობა“. ამ მოთხრობის თემა ისევ და ისევ ირლანდია. მის ყოველ წინადადებას ყურადღებით უნდა წაითხვებ. მოთხრობის გმირი ისევ ის ბიჭია, რომელიც წინა ორ მოთხრობაში გვხვდება. იგი ურე ქუჩაზე ცხოვრობს, ეს განსაზღვრა გამოუვალობის განწყობას ქმნის. ამ ნოველში მწერალი ხშირად ხმარობს განსაზღვრებებს: ყვითელი და ყაყისფერი. ჯოხისათვის ეს ფერები დაშლისა და გახრწნის ფერებია. ამიტომაც არის, რომ მოძღვარი „ყაყისფერი სახლის უკანასკნელ ოთახში მოკვდა“ და რომ იმ „ყაყისფერ სახლში ცხოვრობს“ მანგანის და (მანგანი ბიჭის ამხანაგს ჰქვია, ამავე დროს მანგანი ირლანდიელი პოეტის გვარიც არის, ამ პოეტისათვის ყველაზე ცნობილი პოემა „შავგვრემანი როზალინი“ რომ მიუძღვნა ირლანდიას. ვ. ი. გამოთქმა „მანგანის და“ ჯოხისათვის ირლანდიის სინონიმია).

მოთხრობის სახელწოდება, ერთი შეხედვით, უცნაურია: „ბაზრობა“. პატარა ბიჭისათვის „ბაზრობა“ აღმოსავლური საიდუმლოებებით აღსავსე ცხოვრებას, მის ოცნებას განასახიერებს. ის, რომ ბიჭს ბაზრობაზე უგვაინდება, სიმბოლურ მნიშვნელობას როგორც მოკლებული. სადაც არ უნდა წაიღეს ბიჭი თავის „უკრე ქუჩიდან“, მისთვის ყველა კარი დაკეტული აღმოჩნდება. ბავშვი ოცნებობდა, რომ ბაზარში „მანგანის დას“ საშუაარს უყიდა, მაგრამ საოცნებო ადგილი დაკეტული დაუხვდა. ის განყოფილებები კი, რომლებიც ჯერ არ დაუკვებავთ, გამოცარიელებული და უსულგულო გამყიდველი

ქალისაგან ბიჭი მხოლოდ სიცივეს გრძნობს. ამ მოთხრობის ბოლო ეპიზოდში ჯოხის იყენებს თავის ერთ-ერთ ეპითეტაგანს. ეს არის გამყიდველი ქალისა და ორ ვაჭრელქმენის საუბარში, რომელშიც მოსაუბროთა სულიერი სიღატაკე „გამაანათებს“. მოთხრობა იმით მთავრდება, რომ პატარა ბიჭის ოცნებები იმსხვრევა. „სიბნეულს შევუყურებდი და ჩემს თავს ვხედავდი. ამაოება გზას მარცხენებდა და თან დამცინოდა“ — ამბობს ბიჭი... მან იგზნაო რაღაც უფსკრულის არსებობა და შეპირწუნდა. მკითხველი ხვდება, რომ ეს უცნობი საშინელება, სადაც უსამართლობა და უსულგულობა მეფობს, ცხოვრება და ეცოდება პატარა, უმწერო ბიჭი მისი წმინდა გულბრყვილო ოცნებებით, რომელსაც ცხოვრების ბნელში შთანთქმა მოკვლის.

„ვეტრობა“ — „ღუბლიანობა“ — მეოთხე მოთხრობაა. ერთი შეხედვით უმნიშვნელო და პატარა გეგმევენება ეს მოთხრობა, მაგრამ იგი კრებულის ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილია; ის, რომ ეველინა ვერ აიძულებს საკეთარ თავს ირლანდიის დატოვოს, სამშობლოსთან მისი დიდი სულიერი ერთიანობის მარცხელებია. ირლანდიაში ქალი უბედურია და ერთადერთი გზა ეველინასათვის ირლანდიის დატოვებაა. ფრენკს რომ გაჰყვას ცოლად საზღვარგარეთ, ხსენა იქნება მისთვის, მაგრამ უკანასკნელ წუთებში ისე მაკრად მიაგებო ქალი რაღაც უცნაურმა ძალამ ირლანდიის მიწას, რომ ფეხი ვერ მოსწყვიტა მას და გემზე ვერ აყუვა თავის კეთილშობილსა და მოსიყვარულე საქმროს. ჯოხისათვისაც ასეთივე უძლიერესი საყვარელის გრძნობა იყო დამახასიათებელი სამშობლოსადმი, თუმცა ეველინასაგეთ მანაც ყველაზე უკეთ იცოდა თავისი ქვეყნის აჯარე. ამ მოთხრობაში შესანიშნავად იჩინა თავი დამონებელი ირლანდიისათვის ჯოხის დიდმა, ტყვიანარეგმა საყვარელმა. მოთხრობაში გამოკვეთილია, თუმცა სულ ორიოდ ფრაზით, ეველინას/მამის სახეც.

იგი ისეთივე უღირსი მამა ქალისათვის, როგორც უღირსი სამშობლოც გამოდგა მისთვის ირლანდია. მაგრამ ეველინას არც ერთისა და არც მეორის დატოვება არ შეუძლია.

„ვეტრობის შემდეგ“ მოთხრობაა საშუალო კლასის წარმომადგენელ ირლანდიელ ახალგაზრდაზე, რომელსაც ყველაფერი კონტინენტური ურჩევნია ირლანდიურს, ბოლოს იგი დიდ თანხას წააგებს თავის კონტინენტურ მეგობრებთან. მეორე დღით ახალგაზრდის სულში შემოანათებს მზე და იგი ხვდება (ან თითქოს ხვდება) თავის დანაშაულს სამშობლოსადმი. მოთხრობის ბოლო ფრაზას ჯოხის ყოველთვის დიდ მნიშვნელობას და აზრობრივ დატვირთვას ანიჭებდა. „განთიადლი, ქვეტლმუნებო“ — ამბობს ბანქოს ერთ-ერთი მოთამაშეთაგანი და მწერალი, მასთან ერთად მკითხველიც, იმედოვნებს რომ განთიადლი დილის (ირლანდიელი ახალგაზრდა) სულში უნდა ჩასახლდეს, მან ირლან-

დია უნდა დაინახოს მთელი სიღაღით და სამშობლის სიყვარულით უნდა გათბეს გული.
 „ორი თავყანისმცემელი“. ეს ორი დღებლინელი ახალგაზრდის ერთი საღამოს თავგადასავალია, კორლი და ლენქანი, რომლებიც შემდეგ „ულისში“ შეგვხვდებიან, დღებლინში სეირნობენ. ისევ და ისევ ირლანდიაა შწერლის ყურადღების სფეროში, თუმცა შეფარვით ნახსენებნიანგულისხმევი.

გამცემლობის თემა ჯოისის ერთ-ერთი სავარელი თემაა. ეს მოტივი ლიტერატურაში ძალზე დიდი ხნისა და კიდევ უფრო ძველი და ნაცნობია ცხოვრების პრაქტიკიდან. ჯოისის ნაწარმოებებში ხშირად გვხვდება სახელები: აბელი, კენი, იაკობი, ესაი. გამცემლობის ეს თემა სათავეს რელიგიიდან იღებს. სწორედ გამცემლობისა და ლატინი ჩადენისათვის სჯის ჯოისი ამ მოთხრობის გმირებს. ამ ეტაპი შემთხვევაში ეს გამცემლობა კორლის მიერ სატრფოს მიმართ ჩადენილი უხამსობით მელანდებია. ჯოისს ამ მოთხრობაში რთული სიმბოლიკა აქვს გამოყენებული. კორლი სატრფოსაგან ოქროს იღებს და გამარჯვებულის სახით უჩვენებს მას თავის მეგობარს, ლენქანს. ლენქანი კორლის ხეშრობით „სულმბადალ გამცემელს“ უწოდებს. ვის მიმართ მოხდა გამცემლობა? რა თქმა უნდა, მარტო კორლის სატრფოს მიმართ არ მომხდარა, ვაკეზული ირლანდია, შებღალულია სოქონდე, ადამიანობა, სიყვარული.

„პანსიონი“. ამ მოთხრობაში მთელი თავისი ბრწყინვალეობით იჩინა თავი ჯოისის იშვიათმა ნიქმა — შეფარული იუმორით გამაოგნებს ხასიათებით, მოთხრობის სიუჟეტი საყვარელი უბრალო და ყოფითია. მისტერ დარანი იძულებულია შეერთოს იმ პანსიონის დიასახლისის ქალიშვილი, სადაც ის ცხოვრობს. დარანი „ვააბებს“. ამას თვით გმირიც ბუნდოვნად ხვდება და მკათხველისათვის კი აშკარა ორი ქალის (პანსიონის დიასახლისისა და მისი ქალიშვილის) „თამაშის“ მთელი ქარგა. მკათხველს ღიმილს ჰგვრის მისტერ დარანის აშკარა უსუსურობა ქალების წინაშე. ჯოისს ხშირად აშბობდა, ჩემი მოხანია ადამიანებს ცხოვრება სასაცილო კუთხიდან დავანახო და ეს პატარა მოთხრობა სწორედ ამ მიზანს ისახავს. იგი ადამიანთა ურთიერთობის შესანიშნავი ფსიქოლოგიური ჩანახატია.

„პანსიონი“, სადაც მკათხველმა თითქმის მცირედ შეისვენა სიმბოლიკისა და დადებითობისაგან, მოჰყვება შესანიშნავად შეკრული, გამჭვირვალე სტილითა და ჭეწად, მაგრამ გამომხატველად დაწერილი მოთხრობა „ღრუბლის ქულა“. მოთხრობის სათაური ბიბლიურ ასოციაციებს აღჩარს. ბიბლიიდან ცნობილია, რომ ელიო (ცეპა-ქუხილის დმრთი) წვიმის მოიყვანს, რომ სუღიერი და მორალური გვალვა-გადატანილი უდაბნო გააოხიეროს. წვიმის პირველი მკაცრებელი კი ხელოსულისოდენი ღრუბლის ნაგლეჯია. ამიტომ მკათხველის გულ-

ში თავიდანვე რალაც მოლოდინი ისაგვეტებს. მაგრამ ისმის კითხვა: რა კავშირი შეიძლება დამყაროს მკათხველმა ღრუბლის ქულასა და ჩინდლერს შორის? რას მომსწვევს ჩინდლერისათვის ეს ღრუბელი, მსხნელ, შხაბუნა წვიმას თუ ცის კაბადონის უფრო ჩაქუფრვას? ამ კითხვაზე პასუხი არ გვეძლევა. ჩინდლერის მეგობარი, ვალახერი, ირლანდიაში ჩამოდის და თავისი წარმატებებით ტრაბახობს. ჩინდლერი გრძნობს ვალახერის გულგარულობას, მაგრამ მასზე შიანი ახდენს ველუნის ვალახერის თითოდაქვრებულობა და გამარჯვებული იერი. არ უნდა დავაეიფუდეს, რომ ჯოისი ძალზე ხშირად დასცინის ყველს და ყველაფერს, უწინარესად კი თავის თავს. პაროდია მისი სიყვარული ხერხია. ამ მოთხრობაში ჯოისი თითქმის ვალახერიც არის და ჩინდლერიც. ამ ორი გიგანოვნების სახით შწერალი თავის თავს დასცინის: თუ ერთ შემთხვევაში, ვალახერის მსგავსად, კონტინენტზე წავიდოდა და ეტრანლისტობას მოჰკიდებდა ხელს, ხოლო მეორე შემთხვევაში, ჩინდლერის მსგავსად ირლანდიაში დაჩნებოდა და თავის ნიქს ოჯახური, წერილშიანი კინლაზობით დააშრობდა.

„ღუბლინელების“ შემდეგი მოთხრობაა „შემადგენელი ნაწილები“. აქ შწერალი ეხება პირიქებისა და საზოგადოების ურთიერთობის საკითხს, იმას, თუ როგორ მოქმედებს საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი ასპექტი ადამიანის უველდოვრ ცხოვრებაზე. შწერალი გვიხატავს დღებლინელ ხანკის მოსამსახურის დაწესებულებებში ყოფნის ერთ დღეს, გმირის გაბოროტებას იმის გამო, რომ მისმა უფროსმა არაადამიანური გულცივობით და ცინიზმით შელახა მისი ღირსება. ამას მოჰყვება ქაქუტერაქუტეკია, როდესაც თავისი თავითა და ცხოვრებით უკმაყოფილო ფარინგტონი გაბოროტების პატარა, საკოდვ ბიჭზე ანთხებს, რომელიც არაფერში არ არის დამანაშავე. შემარწუნებელია გოლიათი, ნასჯამი შამაყაის ტორებში სენტი ბავშვის სხეულის წარმოადგენა. გელისმოძველად ვლერს მოთხრობის ბოლო ფრაზაა: „ნუ, ნუ მეც, მამიკო... ნუ და მე... მე... ვილოცებ შენთვის, ვილოცებ შენთვის, მამიკო. თუ არ მეც, ვილოცებ“. განა უშველის ფარინგტონს ბიჭის ლოცვა? ძალუწებურად, გვბადება აზრი, რომ ირლანდიის საზოგადოებრივი ცხოვრების უსამართლობას ლოცვა ვერაფერს უშველის.

„მტერი“. ამ მოთხრობაში ყველაფერი უბრალოდ ხდება. მართა სტუმრად მიდის იმ ოჯახში, სადაც ოდესღაც ბავშვების აღზრდელად მუშაობდა. მისი ხანმოკლე მზგაერობის ძაფზე მძივით აირს ასხმული სიმბოლოების მთელი ასხმა, რომელთაგანაც არცერთი თვალმისაცემი და უადგილო არ არის. დავიწყით თუნდაც იქიდან, რომ მართა, მოთხრობის მოქმედი პირი, თვით ირლანდიაა, რამ შეიძლება ასეთი ანალო-

გია დაინახოს მკითხველს? მოთხრობის მიხედვით, მარია პროტესტანტების მსახურია (ირლანდია და ინგლისის პროტესტანტული ეკლესია); ტრამვაიში ინგლისელი პოლიციანიკი ადგილს უთმობს მარიას და ამით ნასიამოვნები და ოდნავ დაბნეული მარია ძღვნად მისატან ორცხობილს ჰკარგავს (ირლანდია, სიუჟეტების მანძილზე ჰკარგავდა თავის „ნამძებარს“, დამონებული ინგლისელი პოლიციანიკებთან და ვენერლებით). ამ მოთხრობაში მინიშნება უველგან არის მიმოხვეული. სტუმრად მისულსა და საერთო თამაშში ჩაბმულ მარიას პირველად მტვერი ერგება წილად, მერე კი ლოცვანი. ის, რომ მარია — ირლანდიას ეს ორი არასახარბილო რამ ერთ თამაშში, სრულიად ვითარდება ჯოისის წერმოდგენებს, თავის ღვთისმოსავსა და დაბეჭდვებულ ქვეყანაზე. ჯოისის, როგორც მხატვრის უდავო გამარჯვებაა ის, რომ მარია ირლანდიის მხოლოდ შიარული სიმბოლო როდია. იგი სრულიად კონკრეტული პიროვნებაა, თავის პირადი ბედისა და, უფრო სწორად, უბედობით. იგი უღამაზო შინაბერაა, რომელსაც პირად ცხოვრებაში არ ვაფართლა. სტუმრად მყოფი მარია მღერის ოპერის ერთ-ერთ არიას და, შეგნებლად თუ შეუგნებლად, ვაპროტკვებს იმ ტავს, სადაც ლაპარაკია სიყვარულსა და „თყუანისმცემლებს“. ჯო (მარიას გაზრდილი) მიუხედავად მარიას დამადულ ტყვილს და ღვინოს მრითხოვს, რომ ბუტუსში ჩაბროს ფიჭრი თავის გამარცხულ ქვეყანაზეც და თავის შინაბერა გადიხეც. მაგრამ ღვინოც ვერ ატობოს შიარულ სინამდვილეს.

„ღუბლიწილენის“ მეთერთმეტე მოთხრობაში, რომელსაც „სამწუხარი შემთხვევა“ ეწოდება, ჯოისი აყენებს პარამონიული პიროვნების პრობლემას და ქვიშს დაფის მაგალითზე გვიჩვენებს, რომ შორალერად და სულიერად არასრულდეს სოვან ქვეყანაში მხოლოდ სულიერი ხეობრები შეიძლება იზრდებოდნენ. მისტერ დაფის სიყვარული არ შეუძლია. სულიერი სიბოძს მოკლებული აღამიანის შინაგანი სამყარო უდაბნოა, სადაც ყველაფერი დასაღუბადად არის განწირული. მისტერ დაფი უშეგობროა, რწმენა დაკარგული აქვს. იგი მისის სინიკოს სიყვარულის ობიექტი ჰდენა მაგრამ ვერც კი ჰვდენა ან ბუნდლოვად ხვდება ამას და შეშინებულა გაბრის თავის ემოციებს მოკლებულ სამყაროში, ამიტომაც მისის სინიკოს სიყვდილი კი არ არის „სამწუხარი შემთხვევა“, არამედ მისტერ დაფის აღამიანი გაინდვებისა და სიბოძს მოკლებული სიციცხლე. ჯოისის სხვა მოთხრობების მსგავსად აქაც ცალკეულ სიტყვებსა და განმარტებებზე დიდი შინაარსობრივი დატვირთვა (კვიტამსტი) მოდის. შემთხვევითი როდია, რომ დაფი ცხოვრობს მიტოვებული ღვინის ქარხნის გვერდით, რომ მისი სახლი მდინარის ამომწარალ კალაპოტს გადაჰყურებს. მკითხველი გონების თვა-

ლით მისტერ დაფის ადარებს დამწარალ მდინარეს.

მისის სინიკოს სიყვდილის „ამბეჭუნ ჯომ შეიტკობს, მისტერ დაფს რატომღაც სტუდენტს ჰქვლისკენ გაუწევს გული. ჯოისი გვაფიჭრებინებს, რომ შესაძლოა სდინქსი მისტერ დაფის სულიერ განახლებას მოასწავებდეს.

„პლუმის დღე კომიტეტის ოთახში“. ამ მოთხრობაში ჯოისის პატრიოტულმა გრამობებმა გამოხატულების მაქსიმუმს მიაღწია. პარადოქსალურად ეღერს, მაგრამ ყველაზე მეტად სწორედ ამ მოთხრობაში დასტინის იგი დუბლინელებს. ნაწარმოების გმირებს არ შესწევთ უნარი თავიანთი ქვეყნის პრემიტი პატრიოტები იყვნენ და მხოლოდ ჰერმარის გასწვნიებით და უშედეგო მსჯელობებით კმაყოფილდებიან. დუბლინის მოქალაქეებს პრინციპულობა და რეალობის გრამობა დაკარგვიათ. მათი სამყარო რწმენას, იმედსა და კეთილშობილებას მოკლებული სამყაროა. ჯოისის ებრალება თავისი ქვეყანა, რომლის პატრიონიც ეს ვაი-პატრიოტები არიან.

ექვსი ოქტომბერი დუბლინში პარნელის მოსაგონარ დღედ ითვლება. ამის ნიშნად პლუმის ხის პატარა რტოს იკეთებენ კოსტუმის საღიწეში. ჯოისის თაობის ირლანდიელთათვის პარნელი ეროვნული გმირი იყო ოთახში თავმოყრილი დუბლინელთათვისაც პარნელი გმირია, მაგრამ ისინი მხოლოდ მისი მოგონებით კმაყოფილდებიან. მათი საუბრის შინაარსით ჯოისი გამომწვეურებს ირლანდიელებს, როგორც ბრძოლის უნარს მოკლებულ ერს. ბრძოლის უნარისა და, ამდენად, სიცოცხლის უნარს მოკლებული დუბლინელები ჯოისის სატირის საგნად იქცევიან. ჯოისისათვის დამახასიათებელ მინიშნებებს აქაც ყველგან ვხვდებით: მოხუცო ქვეყისა და მისი ურჩი ვაჟიშვილის ურთიერთობა მოგვაგონებს პარნელისა და მისი მომხრეების ურთიერთობას; ბუნარის ცეცხლი ბერტავს ჯოეი ამაოდ ცდილობს მის ანთებას და დუბლინის ინტელექტუალური და სულიერი ცეცხლი იფერფლება თითქოს ჩვენს თვალწინ. კიდევ ერთი დეტალი: პლუმის ხე, საერთოდ, სიციცხლის სიმბოლოა, რომელსაც ბახუსთან აკავშირებენ. ბახუსი კი სდინქსის მსგავსად აღსდგა. იქნებ სათაურით იმის თქმა სერს ჯოისს, რომ დუბლინიც აღორძინდება.

„ღედა“. დუბლინელ მსახიობთა კონცერტი ინტერესებს ამჭერად ჯოისს. ამ „მდარე მსახიობთა“ კონცერტი შესაფერის კულტურულ აღმოსდეროს ქმნის წინა მოთხრობისათვის, „პოლიტიკოსებისათვის“. მსახიობებს დღეი პრეტენზიები აქვთ ხელოვნების სფეროში, ასევე როგორც პარნელის მომხრეებს პოლიტიკაში, მაგრამ პრაქტიკულად არც ერთნი და არც მეორენი არ არიან მოზადებულნი იმ რტლის შესასრულებლად, რომელთა შესრულებას მოითხოვს მათგან ირლანდია. ამ ორი მოთხრობით ჯოისი

გეიზეინებს ირლანდიის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ზედამხედველობას.

„მიტევა“¹. თომას კერნანის, დუბლინის მოქალაქის შეცოდებისა და მიტევების ამბავს ჯონის იუმორის გრძნობით, სითბოთი გამსჭვალული დაყინვით ჰყვება.

ამერიკელი მკვლევარი ტინდალი აღნიშნავს, რომ ამ მოთხრობაში თავი იჩინა ჯონის სიყვარულმა პაროდებისადმი. აგებულია ეს მოთხრობა დანტეს სქემას, ტრიალას ჰეავეს; ჯოჯოხეთი, საღვინებელი და სამოთხე, პაროდია და პარალელი აქ კომიკურ მიზნებს ემსახურება. „ცოდვილი“ კერნანი, მისი მეგობრების, ჰემზარატი დუბლინელების, ზრუნვის სავანი ხდებოდა. მსატერ კუნიანგემი, ეკოი და პაუერი დუბლინელები არიან. მათი საუბარი, კერნანის „პრობლემისადმი“ დამოკიდებულება ამჟღავნებს მათს ლევისმოსაობას, კეთილ გულსა და უმეცრებას.

ჯონის შემდგომ შემოქმედებას თავისებურ შესავალს უყუთებს ამ ციკლის ბოლო მოთხრობა „მეცდრები“. ამ ნოველაში მეტად საინტერესო პრობლემებია წამოჭრილი. ჯონის აინტერესებს რა კავშირი არსებობს ცოცხლებსა და გარდაცვალებულთა შორის. ახლენ თუ არა ისინი გაღვინას ჩვენს ცხოვრებაზე და თუ ახლენ, როგორ? ჯონის ფიქრობს, რომ ცოცხლებისა და მეცდრების კავშირი არასოდეს არ წყდება. ისინი არსებობის ერთი წრის რგოლებია და არ შეიძლება მათი უერთმანეთოდ წარმოღვევა. თითოეული პიროვნება ამ ორი მოვლენის კომპლექსია, ამბობს ჯონი. „ყოველი ადამიანი რომია, რომელშიც წარსული საუკუნეები ნაშთების საბით დარჩენილან“—ამტყიცებდა ჯონი.

ჯონის მხატვრული მეთოდისათვის ეს ნოველა მეტად დამახასიათებელია. ზნირად ჯონის

შემოქმედებაში განწყობას ისეთი მოვლენა ან პიროვნება ქმნის, რომელიც შეიძლება არც კი გამოჩნდეს თვით ნაწარმოებში. „მეცდრებში“ განწყობა შექმნილია გაბრიელის (შუტლეს) პირველი სატრფოს მოგონებით, რომელიც თურმე დიდი ხნის წინათ გარდაცვილია. გაბრიელს ეჩვენება, რომ ვიღაც ჩამდგარა მასა და გრეტას შორის და მთელი მოთხრობა, განსაკუთრებით სასტუმროს სცენა ამ განწყობის აკომპანიმენტით მიმდინარეობს.

საინტერესოა, ამ ნოველის ძალზე რთული სიმბოლიკა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერთი შეხედვით თითქოს გაუგებარ ფრაზას: „დადგა ღარი გაბრიელის დასავლეთისაკენ მოგზაურობისა“. გრეტა გაბრიელს მეუღლე, ირლანდიის დასავლეთიდან არის. დასავლეთი აქ უბრალოდ როდია ნახსენები, ირლანდიის დასავლეთი რაიონები პრიმიტიულობის სიმბოლოდ ითვლებოდა. ამავე ღარს, მართალია, დასავლეთი პრიმიტიულია, მაგრამ ეს ის დასავლეთია, სადაც, ადამიანები სისხლსაცხე სიცოცხლით ცხოვრობენ. დასავლეთი, ამდენად, ირლანდიის ფესვებია, მარადიული სიცოცხლისა და განახლების წყარო.

„თოვლი მოტორტმანობდა და ეფინებოდა სამყაროს. და ვერწყმოდა უსასრულობას. ერთნაირად ეფინებოდა მეცდარსა და ცოცხალს“—ამთავრებს ჯონი ნოველას და ეს თვითი საშინელება გაუფრებებისა და სოკედლის შემზარავ სურათს ქმნის. ჯონის გმირი „პოს“ ამბობს ყველაფერზე, რაც სიცოცხლესა და სიკვდილს შეუძლია შესთავაზოს ადამიანს.

ამ ნოველით მთავრდება „დუბლინელები“, ხოლო „დუბლინელებით“ იხურება ჯონის შემოქმედების პირველი პერიოდი, მისი შემოქმედების ადრინდელი პერიოდი, სადაც იგი ძირითადად რეალისტად წარმოგვიდგება.



საკანელი ქალიშვილი

შემოდგომიდანვე შეუდგა კლავდია ჩაის ბლანტაციების გასუფთავებას, შებარვას, გასხვლას, შეწამვლასა და ნიადაგის განოყიერებას. გულდაგულ და განსაკუთრებულ ყურადღებით არჩევდა მინერალურ სასუქებს.

ჩაის ბუჩქს ფესვებს უფხვიერებდა, კარგ ნიადაგმცოდნესავეთ ზედებოდა, რა სჭირდებოდა. თითქოს მიწის ძაბილი ესმოდა: მშინა, მწყურია, მაქამე, მასვი და მერე შენე გაჭმევ და გასმევა. გვალვის დროს, დახეთქილ მიწას რომ შეხედავდა, ალბათ, სწყურია და ხახამიტომ დაუღიაო, იტყოდა. ძველი, შრომაში დაბრძენებული გლეხაკების სიტყვები აგონდებოდა — მიწაც ადამიანით სუნთქავს. სწუხს და იცინისო. მიწასაც ესმოდა მისი, მიწაც გრძნობდა მის ღაღ სიყვარულს, და ისიც ადარ იშურებდა მადლსა და ბარაქას. იგი აკვირდებოდა განოყიერებულ მიწას, გაფხვიერებულ ნიადაგს, ვახვდავდა მის ახლოს ტოტებავალილ, ნაყოფით დახუნძლულ ხეხილს, მერე თხმელისა და თუთის ზეგებზე გასულ ადვისს ვაზებს შევალეზებდა თვალს. იჭიდან ფერობებზე გადაიტანდა მზერას, მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულით დატყვევებული გოგონა ისევ ფიქრებში ჩაეფლობოდა.

მისთვის მთავარი, მომავალი წლისათვის მზადება იყო. კიდევაც ისე მოეშინა და მოიკრიბა ძალ-ლოხე, რომ იმ წელს ხუთი ტონა ჩაის ფოთლი მოკრიფა, მისი რგოლის წვერებიც, მის კვალს გაჰყენენ.

კლავდიამ კარგად იცოდა ჩაის კრეფა ადვილი საქმე რომ არ ვახლდით, მაგრამ თუ ასე რთული იყო და ასეთი დამბული, თავადუღებ-

ლი შრომა სჭირდებოდა, ეს კი არ ეგონა; ახლა, როდესაც წინ ათასნაირი დაბრკოლება გადაეღობა, ამაში დარწმუნდა, თუმცა როდი შეკრთა, პირიქით, გაათქეცა ენერჯია. ცუდ ამინდს თავს არ უღებდა, სპეცტანსაცმელში გამოწყობილი თავის მზარუნველ ხელს არ აკლებდა ჩაის ბუჩქებს, თავისი სიციხეში კი ჭილის დიდ ქედს იხურავდა და, თუმცა ძალიან უჭირდა, სხლავდა ბლანტაციებს, მრგვალ ფორმას აძლევდა ბუჩქს, ბარავდა მიწას, შეპქონდა სასუქები და თოხნიდა.

კლავდიამ იცოდა დიდი სიყვარული მეგობრისადმი, გაანდა ადამიანის გავების უნარი ზოგიერთი თვისისათვის არ წამოსწევდა წინ. იგი ამ თვისებებს განსაკუთრებით კოლექტიური შრომის დროს ავლენდა. თავის რგოლის წევრ გოგონებთან ხელისხელსაქმიანობის შეშობდა.

ამიტომ ისინი დაღლას არ გრძნობდნენ, მათი შრომაც მუდამ ხალისიანი და ბარაქიანი იყო.

კლავდიამ კარგად იცოდა სიტყვის ძალა და მუდამ სიტყბოს, სიამოვნებასა და სიყვარულს აფრქვევდა ამხანაგებში. იცოდა, რომ ენით შეიძლება ადამიანი მოკლა და მოშაკვდავი მოარჩინო. გულში სიკეთის წყარო უჩქედდა: ასკანელ გოგონას. ეს კეთილი გული მიუძღოდა წინ მეგზურებით, სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიმავალ წარჩინებულ მეჩაიეს.

მაშინ მან პირველად ნახა მოსკოვი. იმ გამოფენაზე, სადაც ყველა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საუკეთესო ნიმუშები იყო წარმოდგენილი, ქართული ადამიანის მადლიანი მარჯვენის ნახვდავმა კიდევ უფრო აღაფრთოვანა კლავდია. ხარბად უყურებდა გამოფენ-

ნის თითოეულ ნიშნს და, როგორც საყუთარ თავს სარკეში, ისე ხედავდა მიწასთან შებმულ საბჭოთა ადამიანების შრომის ბარაკსა და ზევის. ასევე ხარბად ათვალერებდა იგი მოსკოვის ღირსშესანიშნაობებს.

კლავდია მოიხიბლა კრემლის, მავზოლეუმის, თეატრის, კულტურისა და ზელოვნების მრავალი ძეგლის ნახვით.

შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდა სოფელში და უამბო რგოლის წევრებს ნახულსა და ვანცილიწუ.

მოსკოვში მოგზაურობამ კიდევ უფრო გაზარდა მასში შრომის სიყვარული. ამას კვლავ ახალი სიხარული ღებოთო, კლავდია ნაცვალაძის პარტიო კომუნისტერი შრომის რგოლის საპატრიო წოდება მიენიჭა.

— ამხანაგებო, — მიმართა კლავდიამ შესვენებისას რგოლის წევრებს, — ჩვენ კომუნისტერი შრომის რგოლის წოდება მოგვანიჭეს და გარდამაველი დროში გადმოვიცეს. მე ელვალედი და მაშინ ყველაფერი ვერ ვიქვი, ახლა, აგერ, ჩის ბუქითან რომ ვტრიალებ, მინდა ვითხარა, რომ ეს კიდევ უფრო მეტ მასუხისმგებლობას გვაქირებს. ჩვენ ხომ ერთმანეთს შევფიცეთ, ყოველდღიურად ვზარდოთ შრომის ბარაკი, ვავახაროთ დედა-სამშობლო, ამით ჩვენს გულელებს სიხარულით ავაჯებთ! — მყარდევ დირიჯეა ხელი და ამხანაგებს გახედდა. კიდევ რაღაც უნდოდა ვთქვა, მაგრამ ციოდა ნაცვალაქემ აღარ დააცალა.

— მეც შენსავით აღელვებული ვიყავი, ჩემო კლავდია, შენი არ იყოს, ყველაფერი ვერც მე ვთქვი, ვდარც ახლა ვახერხებ, შილი დანარჩენი ჩვენმა ხელეებმა, ჩვენმა საქემ თქვას, — ციოლამ ტრში შემოქცია.

რგოლის წევრებს უხაროდათ, რომ ისინი ძველი მეჩაიეების, თეკლე ჩავლეიშვილის, ვარდო ნაცვალაძის, ვერა ნინიძის, ელენე დოლიძის, მარო ქუთათელაძის, ნადია მეღუას, თამარ ჰაველიძის და სხვათა შრომითს ტრადიციებს სასახელოდ აგრძელებდნენ. მათთან ერთად ხარობდა კომკავშირის კომიტეტის მდივანი, მადონა ნინიძე, თავად მეხუთე ბროგადის მერგოლერს, ეამაყებოდა, რომ კომკავშირში ასეთი გოგონები ჰყავდა. თითოეულს ნახევარი ჰექტარი ფართობი ჰქონდა გამოყოფილი. კლავდიამ გეგმით გათვალისწინებული სამნახევარი ტონის მაგიერ ოთხ ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, მისი რგოლის წევრებმავე ბევრად გადააჭარბეს გეგმებს, მაგრამ კლავდიას ვერ დაეწივნენ.

კლავდია მინც უქმაყოფილო იყო: კიდევ უფრო მეტი შემოძლია, მოწინავე მეჩაიეების ნაკვალევს ჯერ კიდევ ვერ მიხსდევ შესაფერისად. გახეთქებში თავის ქება-დიდებას რომ ათხროლობდა, ზედმეტად მაქებენო, იტყოდა, მათ ხ იციან, ჯერ კიდევ ბევრი მავ-

ლია, ვიდრე ჰემმარტიად სახელოვანი მეჩაიე ვაებლებიო.

ამიტომ გადაწყვიტა, ახლოს ვაცხორობოდა და გულდაგულ შეესწავლა ის შეთოდება, რომლითაც ცნობილი ვახდნენ ვურთის, იმერეთის, სამეგრელოს, აჭარისა და აფხაზეთის მოწინავე მეჩაიეები. მიდიოდა მათთან, ნახულობდა მათ ნაკვეთებს, სწავლობდა თუ რა საშუალებებით იღებდნენ ჩაის ფოთლის უხე მოსავალს.

თუკი რომელიმე მეჩაიეზე ვახეთში დიბეჭდებოდა წერილი ან ნარკვევი, სადაც მათ მიღწევებსა და ოსტატობაზე იყო ლაპარაკი, ისე დაეკრებებულად წაეთიბავდა და სწავლობდა, როგორც ერთ დროს გაყვითილს სკოლაში. მერე თავის რგოლის წევრებსაც წაეთიბავდა და იარჯის შეათვისებინებდა. კითხვა ხშირად პლანტაციოში ხდებოდა და ნამდვილ პრაქტიკულ მეცადინეობას ჰგავდა. კლავდია შემდეგ იმ წერილებს თუ ნარკვევებს ვახეთებოდა ან ოპორიდა და ჩაის ტექნოლოგიის სახელმძღვანელოში ჩადებდა. თავის მეგობარ ახალგაზრდა მეჩაიეებს, ლეილა მალღურაიას, ქეთო გოგობიძეს, ეინარი სხუღუხისა, დალი წიფვიჭაძეს და სხვებს ხშირად მოინახულებდა და მათ გამოცდილებას ეცნობოდა.

ჩაილიდა ანახეულში და იქ ჩაის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ შემსაებს ესაუბრებოდა ჩაის ტექნოლოგიისა და შალოლი მოსავლის მიღების მეთოდებზე. მეცნიერ მეშაეებიც გულთბილად ღებულობდნენ.

კლავდია მარტო ამით როდი ემაყოფილდებოდა, რომ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას იღებდა, შრომის პრაქტისში ჩაის კრფის ოსტატი ხდებოდა, არა, იგი ძალიან ხშირად უყვებოდა თავის რგოლის წევრებს ჩაის კულტურის ისტორიას, თუ როდის ვაჩნდა იგი ინდოეთში, იაპონიაში, ჩინეთში, ცილიონზე, საქართველოში. შესვენებისას კი ჩაის ისტორიისა და მისი ტექნოლოგიის სახელმძღვანელოს უეთობად და აცნობდა ყველაფერს, როგორც მასწავლებლები მოწაყვებს. სფეროდა, როცა სხვას ასწავლიდა, იმავე დროს შენც სწავლობ, შენც იქნე ცოდნას, სხვისი მასწავლებელი, თვითონ უნდა იყოს ვანსწავლელიო.

სულ მუდამ შრომაში, სულ ახლის ძიებაში მყოფი, ფართო პორიზონტი ჰქონდა წინ გადაშობლი. აბა, ასე რომ არ ყოფილიყო, როგორ მოკრიფა მან სამოცდასამ წელს შეიდი ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო მთელმა რგოლმა ოცდაექვსი ტონა?

— გოგო, შენც კოსმონაეტი ხარ, სულ ზევით-ზევით რომ მიფრინავ! — უთხრა გიორგი ვასაქემ ერთ დღეს.

კლავდიას ამ სიტყვებზე ვალენტინა ტერემკოვას კოსმოსში გაფრენა მოალონდა.

იმ დღეიწყარ დღეს ჩაის ვახურებულ კრე-

ფაში იყო მისი რგოლი, როცა რადიომ მთელ მსოფლიოს ამცნო ეს სასიხარულო ამბავი. კლავდიამ რგოლის წევრები შეკრიბა. გადაწყვიტეს, დაბრუნდებოდა თუ არა ტერეშკოვა დედამიწაზე, რგოლის საპატიო წევრად აერჩიათ. ასევე მოხდა. მის შემდეგ ვალენტინას სახელზე რგოლის თითოეული წევრი ყოველდღიურად სამოთხე კილოგრამ „მწვანე ოქროს“ კრფს.

ასე გახდა ვალენტინა ტერეშკოვა კლავდია ნაცვალაძის რგოლის საპატიო წევრი, როდესაც მსოფლიოში ერთადერთმა კოსმონავტიმა ქალმა — ვალენტინა ტერეშკოვამ შეიტყო ეს ამბავი, „თავის შერგოლტრს“, კლავდია ნაცვალაძეს გამოუგზავნა მოლოცვა:

„ჭვირფასო კლავდია!

მე, ომეგრე კოლმეტევის საპატიო წევრს, დიდ კმაყოფილებას მგერის ვაზთ „სოფლის ცხოვრების“ საშუალებით მივეულოცო დიდი შრომითი გამარჯვება „ჩვენს რგოლს“ და საქართველოს ყველა მეჩაეს, იმ შესანიშნავი ფოტოლების მოყვანის ოსტატებს, რომლებიც სასარგებლო და არომბრუნელ სასმელს გვაძლევენ.

კოსმოსურია საღმით
ვ. ტერეშკოვა“.

ამ წერილმა აღაფრთოვანა რგოლის წევრები. პირიბა დადეს, მომავალ წელს, თითოეულს ორ-ორი ტონით მეტი ჩაის ფოთოლი მოეკრიფა. რგოლის ყველა წევრი სანიმუშოდ შეშაობს, მათ შორის, ვალენტინა ტერეშკოვაც, მის ინგარიშში სამი ტონა ჩაის ფოთოლი უკვე მოკრეფილია. ვალენტინამ შარშან ითხი ტონა მოკრიფა, წელს კი ხუთ ტონას მოკრიფესო. ვალენტინას გოგო რომ შეეძინა, გადაწყვიტეს, პატარა აღიონუას სახელზეც დამატებით მოკრიფონ ერთი ტონა ჩაის ფოთოლი.

ივლისის ამ თაყარა დღეს კლავდიას რგოლის წევრებმა, თავის ხელმძღვანელთან ერთად, შუაღლისას, რომ უფრო ჩამოცხა, იქვე, ფარდულთან, ხევის პირას, დიდი ცახების ქვეშ ჩაიშებლეს, სული მოითქვეს, ამ დროს ფოსტალიონი გამოჩნდა, ვაზუის მოაფრიალებდა. სიციხისაგან და სირბილისაგან აქოშინებულმა მიქმა ვაზუთი კლავდიას მიანჩაჩა.

— მისთანა რა წერია, მიჭო? ამ ვაჯანია სიციხეში მაგის კითხვის თავი ვის აქვს?

— წაიკითხე, წაიკითხე, და მერე მოთხარი, გაქვს თუ არა წაიკითხვის თავი.

— აბა, შენ წაიკითხე, სულიყო! — კლავდიამ სულიკის ვაუწოდა ვაზუთი, ფოსტალიონი იქვე ჩამოყდა და ყურთ მიუგდო: „ასკანა ერთი უძველესი სოფელია გურიაში... 1905 წლის ქაიშხლიან დღეებში ამ სოფლის მკვიდრი დათიყო შევარდნაზე თავს ესპვიოდა მეფის სატრაპებს, საკოლმერნეო წუობილების გარიერაზე ასკანელებმა პირველად დაქრეს ვა-

მოუსადეგარ და მოუსავლიან მიწას ბარა და ჩაის პლანტაციები გააშენეს... კლავდია ნაცვალაძემ, რესპუბლიკის გარეთაც, გაიჭრა სახელე... ვერ ჩაის ბუჩქის სიწმინდეს არც იყო, რომ ეს პატარა გოგონა ჩაის საკრეფელ ვასულ ქალებს გვერდში ამოუდგებოდა ხოლმე, ვასიოცარი სისწრაფით კრეფდა ჩაის ფოთოლს...

— ეს გოგონა ჩინებული მეჩაე დადგება, — ამბობდნენ კოლმურნეები. 1958 წლის გაზაფხულზე სკოლის მერხიდან პირდაპირ ჩაის პლანტაციას მიაშურა. ყველას უცვირდა ახალბედა მეჩაის წარმატება. იგი აგრძელებს ვეტერანთა შენაჩეების, სოციალისტური შრომის ვებრების — ტატიანა ჩხაიძის, დარეჯან ტაყიძის, ვალინა მგაჯანაძის, ელპიტე მგელაძის, ზინა ბაჭელიძისა და სხვათა და სხვათა გამოკლებებს. გუშინდელ დღესავე მასსოეს, დაიწყო კლავდიამ, — ჩაის ბუჩქებს რომ ვერ ვწვდებოდი, მაშინ მიკვირდა კიდევ, როგორ კრეფდნენ დიდოსტატები ექვს-შვიდ ტონა ჩაის ფოთოლს. ერთ დღეს დავეთაუე და ორიათასსუთასა პირველი ხარისხის დუყი დასჭირდა კილოგრამს. აბა, წარმოიდგინეთ, რამდენი უნდა მოსწყვიტო სეზონში, შვიდი ტონა ნედლეულის მოსაკრეფად, მაგრამ ეს „მიში“ მალე გაქრა. ახლა ზემთვის საიდუმლოების არ წარმოადგენს უხვი მოსავლის მიღების ხერხები და მეთოდები, არ ვეთანხმები ზოგიერთ აგრონომს, რომელიც მოითხოვს ჩაის პლანტაციის მხოლოდ ორჯერ გათხონას, პლანტაცია იმდენჯერ უნდა გაითხონოს, რამდენჯერაც საჭიროა საკრეფელს მთლიანად მოსასპობად და ნიადაგის გასაფხვიერებლად.

კლავდიამ ბევრი რამ საყურადღებო გვიამბო შრომის ორგანიზაციის ყოველდღიური კრეფის, ნედლეულის ხარისხის გაუმჯობესებისა და პლანტაციის საშემოდგომო-საზამთრო თუ საგაზაფხულო საშემოების აგროტექნიკურ ვადებში შესრულების დიდი უპირატესობის შესახებ...

ამ წერილის სათაური იყო: „პატარა გოგონა — დიდი მეჩაე“.

— აბა, ახლა წამოდი, გოგონებო, ჩაი ვკრიფოთ! — მიმართა ამხანაგებს ერთ დროს პატარა გოგონამ, ახლა კი დიდი მეჩაემ, და ქაღალეებს წინ გაუძღვა.

კლავდიას რგოლს ოცი სექტემბრისათვის აღებული ვალდებულებები უკვე შესრულებული ჰქონდა. პირადად მან ამ დროისათვის უკვე რვაჯანევიარი ტონა ჩაი მოკრიფა, მაშინ როცა ვალდებულება მხოლოდ ოთხ ტონას და ცხრაას კილოგრამს გულისხმობდა, გეგმა კი ოთხ ტონასა და შვიდას კილოგრამს, ეს წელი და ეს თვე კიდევ იმითაც იყო მნიშვნელოვანი კლავდიის ცხოვრებაში, რომ ამ წელს ამერიკაში იმოგზაურა.

ამერიკის სტრუქტურა მოგზაურობის საბჭომ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტთა ჯგუფი მიიწვია შეერთებულ შტატებში. ჯგუფში ხუთი ქართველი ახალგაზრდა იყო: მკვლევარობისა და მექანიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკები — ბუღუ ვამაქაძე და ჯემალ ბაქრაძე, კომპიუტერის მანერის რაიონის პირველი მდივანი მდივანი იური შავლობაშვილი, კომპიუტერის ზედვიდის რაიონის პირველი მდივანი გურამ გუნაგა და კლავდია ნაცვალაძე.

მათ დათვალა იურისტიკის უნივერსიტეტის პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრები, ნიუ-იორკი, დეტროიტი, ვაშინგტონი და მრავალი სხვა. ნახეს სოფლის მეურნეობის ფერმები, საკვლევი ინსტიტუტები, სასწავლებლები.

შეტად საინტერესო იყო აიოვოს შტატის ფერმერ ჯექსონთან შეხვედრა მისსავე ფერმაში. მან გულმოდგინედ გააცნო სტუმრებს თავისი მეურნეობა.

კლავდია, ისე, როგორც მისი ამხანაგები, ყურადღებით ათვალა იურისტიკის უნივერსიტეტს. ბევრი რამ ინტერესებდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ ეკითხა. თითქოს საიდუმლო ამოიკნოთ, თარჯიმანმა მიმართა მათ:

